114/4
1980

ISSN 0132—599 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

8 1980

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 57-ე | № 8 | აგვისტო, 1980 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი

კოლაუ ნადირაძე — პოემა — „სოფლის ამბის“ — შესავალი . . . . . . . 3
ივანე თარბა — ამზამა. თარგმ. ა. წვინარია-აბრამიშვილმა და ჯ. თითმერიამ . . . 5
შალვა ამისულაშვილი — ბალადები მივიწყებული რვეულიდან. . . . . . . 23
დილარ ივარდავა — ლექსები. . . . . . . . . . . 26
გიორგი გიგაური — ყირიმული საუბრები. ლექსი. . . . . . . . 30
რევაზ ჯაფარიძე — მძიმე ჯვარი. რომანი. გაგრძელება. . . . . . . . . 33
მარინე წოწკოლაური — შინაბერა მამაკაცი. მოთხრობა . . . . . . . . . 61
გივი ალხაზიშვილი — ლექსები. . . . . . . . . . 81
გრიგოლ ჩიქოვანი — რწმენა. რომანი. გაგრძელება . . . . . . . . . 84
თენგიზ კაკუშაძე — ლექსები . . . . . . . . . . 113
ოთარ ჭელიძე — აია-კოლხიდელი ზღვაოსანი. პოემა. გაგრძელება . . . . . 117
ვლადიმერ ჯანჯღავა — ერთგულება. დივიზიის მეთაურის ჩანაწერები. გაგრძელება 131

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ლავროსი კალანდაძე — გზადაგზა. . . . . . . . . . . 144
სოსო სიგუა — სიყვარულის ტრანსპლანტაცია . . . . . . . . . . 152
ნუგზარ შავგულიძე — მ. ჯავახიშვილის ერთი მოთხრობის გენეზისისათვის. 169
დავით ანდრიასოვი — ცხრაკარიანის ლომკაცი . . . . . . . 175

### ფაქტები, მოგონებანი

ლევან ასათიანი — უბის წიგნაკიდან. გაგრძელება. . . . . . . . 182

### წიგნების მიმოხილვა

ირაკლი კენჭოშვილი — როცა შედეგებს ვაჯამებთ . . . . . . . . 190

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

**სარედაქციო კოლეგია:**

**გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ს. ბერულავა, ო. ბიგინეიშვილი, ა. გომიაშვილი, კ. კალაძე, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჩილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.**

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11.
მთ. რედ. მოადგილის — 93-55-18, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

© საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1980.

გადაეცა ასაწყობად 3/VII-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VIII-80 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი თაბახი 16.58.
უე 07571. ტირაჟი 19.350. შეკვ. 1920
ნაბეჭდი ფურცელი 13. სააღრ.-საგამომცემლო
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოლაუ ნადირაძე

16750

## პოემა — „სოფლის ქების" — შესავალი

მწვავედ ეწვია ზაფხული თბილისს,
შემოუტია მკაცრი სიავით,
და ისე, როგორც სჩვევია ივლისს,
მოსტაცა ქალაქს გრილი ნიავი.

თითქოს ჩაიხშო სიამის კარი,
ღამე ალერსით აღარ გვწყალობდა!
მოდუნებული მოჩანდა მტკვარი —
მისი დინებაც აღარ ჩქარობდა.

იქ, სადაც დაბმულ ტივებზე, ხიდთან,
ვილხენდით ხშირად მთვარიან ღამით —
თითქოს ქარცეცხლი მოჰქონდა ციდან
და მოსვენებას ვერ ვგრძნობდით წამით!

აღარც დუდუკის ღუღუნი ტკბილი,
არც თასით ღვინო, არც ხმა თამადის,
აღარც სიონის ზარის ხმა დილით,
მხოლოდ მზე ისევ რისხვით ამოდის...

არც კურთხეული კოჯრის ნიავი —
ორბელიანის სულს რომ ალხენდა
აღარ მოჰქროდა ნეტარ სიამით
და ირგვლივ შვებას აღარ აფენდა!

კოჯრის ნიავი, ან მუხათგვერდის
მხრიდან მოსული სიგრილე ტყისა!
ეს ხომ წყალობა იქნება ბედის
და გათენება ნეტარი დღისა!

მაგრამ ამაოდ! მშობლიურ ქალაქს.
ვხედავ, ოცნებად ეს გადაექცა!

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველარ ვპოულობ მე შვების ალაგს
და უიმედოდ შევცქერი ზეცას...

ო, თქეში, გრგვინვა, თუნდაც გრიგალი!!
დაემხოს ოღონდ სიცხის მეფობას!...
მე ვგრძნობდი მხოლოდ, რომ დავიღალე,
რომ სჯობდა გაცლა, სჯობდა დათმობა!

ვერ ვუძლებ სიცხით გათანგულ დღეებს —
გულს ახლა მაინც დაეჯერება! —
სალამი მინდვრებს, სალამი ტყეებს,
და მდინარეთა მშვენიერებას!

სალამი სოფელს — ჩვენს ქართულ ედემს, —
მიყუჟულს სადღაც განმარტოებით...
სალამი ზვიად, თოვლიან ქედებს,
ველებს და კლდეებს ცივ წყაროებით!

მომწყურდა ნახვა მშობლიურ გლეხის,
მისი დალოცვილ მართალი კერის,
თუ როგორ უვლის ის ვაზს და ხეხილს,
თუ როგორ იბრძვის, შრომობს და მღერის...
მე უკვე ვტოვებ თბილისს და მივალ!

ივლისი, 1980 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე თარბა

# ამზაჭა

რომანი

ამქვეყნად დედის თვალებზე
ლამაზი არაფერია.

ავეტიკ ისააკიანი

## 1.

მატარებელი ხიდზე გავიდა თუ არა, იმწამსვე გამოვფხიზლდი და წამოვჯექი.

იმ ღამეს დიდხანს არ მომეკარა თვალზე რული. ფიქრებმა დამრია ხელი და ნაფოტივით მათამაშა. ერთ მოგონებას მეორე მოჰყვა, მეორეს კიდევ — მესამე... რა გზებით, რა ბილიკებით არ ვიარე!... ჩემი ბავშვობისა და ყრმობისდროინდელი ამბები სულ დამიდგა თვალწინ. ზოგი რამის გახსენებამ გამახარა, ზოგი რამისამ — დამაღონა, მაგრამ ფიქრი იმისი ფიქრია, თავისით მოგდის, შენს ნება-სურვილს არაფრად აგდებს. ჰოდა, მივყევი და მივყევი ფიქრის მდინარეს.

უკვე ბავშვი აღარა ვარ, კაცი ვარ და ქუდი მხურავს, ამ ცხოვრებაში წყალი არ მინაყავს, თითქოს, არც თუ ცოტა ხანია, რაც ამ წუთისოფელს ვუცქერი, მაგრამ, თურმე სადა ხარ, სულ რამდენიმე საათში მთელმა ჩემმა აქამომდელმა ცხოვრებამ კინოკადრებივით ჩაიარა თვალწინ. ჰო, ადამიანის ცხოვრება ფილმივით ყოფილა: წვალობ, ეჰიდები მძიმე ტვირთს, მერე ძალა გეცლება, ილევი და ერთ მშვენიერ დღეს მიქელგაბრიელიც მოგაკითხავს. და თუ რამე გაგიკეთებია, — იქნებ საკმაოდ მნიშვნელოვანი კვალიც დაგიტოვებია ამ წუთისოფელში, — ეკრანზე მის წარმოსაჩენად საათი — საათნახევარი თავზესაყრელად კმარა. მორჩა, სულ ეგა ხარ. იყო კაცი და აღარ არის კაცი!..

მატარებლის ხრიგინში თვალი ვერ მომეხუჭა, ვიწექი და ვფიქრობდი, ჩემი ცხოვრების ხის ფოთლები უკვალოდ მიმოიფანტება, თუ რაღაც კვალი მაინც მრჩება-მეთქი. ძლივს, როდის-როდის ჩამეძინა. მეძინა მშვიდად, უსიზმროდ.

მატარებელი ხიდზე რომ გავიდა, მაშინღა გამეღვიძა-მეთქი, კი გითხარით. სულ ასე მემართება —ენგურის ხიდზე მატარებლის ბორბლები სულ სხვანაირად ხმიანებენ ჩემთვის. ამ ხმებს ათასი სხვა ხმისგან ვარჩევ. ახლაც, ეს-ესაა გამოღვიძებულს, ეჭვი არ შემპარვია — ენგურის ხიდზე ვარ. კუპეში სხვას

ყველას ეძინა. ჩავიცვი და დერეფანში გავედი.

ვიდექი და ფანჯარაში ვიყურებოდი. რიბირაბო იდგა, თენდებოდა, გახუნებული ნაცრისფერი აბრეშუმის ძაფებივით ეკიდა ჰაერზე სინათლის სხივები, სხივები და ჩრდილები, ჩრდილები, ჩრდილები...

მატარებელი თოხარიკით მიქროდა.

— მამლის ყივილისათვის დაგისწრიათ, მეგობარო, — ცოტა უცნაური დილა მშვიდობისა მითხრა გამცილებელმა.

— აბა, ძილად ხომ არ ვიქცეოდი, შე კაი კაცო! — თავაზიანობით თავი არ მომიკლავს.

— სოხუმს რომ მივუახლოვდებოდით, გაგაღვიძებდი...

— არა უშავს, გულთან ნუ მიიტან... — მოვუჭერი მე.

„გავიღვიძე, არ გავიღვიძე, სახლში ვარ, მგონია, რაღა დარჩა..."

მაგრამ გზის ბოლო მტკაველები გაგრძელდა უსაშველოდ, საგულე გადამეწურა, ვწრიალებდი.

ყოველთვის ასე მემართება. სოხუმთან მიახლოებულს თითქოს ზღვის ტალღები მითამაშებენ და აჩქარებით მიძგერს გული, მაგრამ დღეს ნამეტანი მიჭირს ღმერთმანი, ნამეტანი!

რასაკვირველია, კაცი ყოველთვის ერთნაირი ფიქრებით, ერთნაირ გუნებაზე არ ჩადიხარ საკუთარ ქალაქშიც კი; ადრე, სტუდენტობისას, სოხუმში მივდგებოდი — მოვდგებოდი და სოფელში მივრბოდი სულის მოსათქმელად, დასასვენებლად, მერე, სწავლის დრო რომ მოვიდოდა, ისევ დედაქალაქში გავბრუნდებოდი. ასე იყო რამდენიმე წელიწადს და შეჩვეულიც ვიყავი, ახლა, ახლა ბუდიდან ამოფრენილ, ფრთაგამაგრებულ მართვესავით ცაში ხარ აფრენილი, გზა ხსნილი გაქვს, გინდა მარჯვნივ წადი, გინდა მარცხნივ, მიდი, იარე, ახლა ყველაფერი შენზე ჰკიდიაო, მითხრეს და, აი, მეც მოვდივარ.

აქამდე სხვები მადგნენ თავზე, ხელს მიმართავდნენ, მპატრონობდნენ, ახლა, მორჩა, აღმართი ჩემით უნდა ამევლო.

უკან დამრჩა ბავშვობის, ყრმობის, სწავლის წლები. წინ გადაშლილი მქონდა ცხოვრების დიდი, იდუმალებით მოცული ყამირი.

„როგორია შენი, პირადად შენი ხვალინდელი დღე?" — აი, კითხვა, რომელსაც ცხოვრება მარტო მე კი არა, მთელ ჩემს ხალხს უსვამს.

აფხაზებს, იცოცხლეთ, შრომაც შეეძლოთ და ბრძოლაც, მაგრამ მტრებს, დამპყრობლებს ყოველთვის ეშინოდათ, ვაითუ, აფხაზმა კაცმა კალამიც და ყალამიც ნაჯახივით და სატევარივით მარჯვედ მოიხმაროს და წიგნით გონება გაინათოსო და ყველაფერს აკეთებდნენ, უკალმოდ, უყალმოდ, უწიგნოდ დაეტოვებინათ იგი.

მაგრამ ახალ ცხოვრებასთან ერთად დაიბადა ახალი პროფესია, ახალი სპეციალობა აფხაზი კაცისა — იგი შეუდგა თავისი ზღაპრული ბუნების, ადამიანის ხორცისა და სულის ხატვას.

მეც ეს ხვედრი მერგო.

სამხატვრო აკადემია დავამთავრე და შინ, სამშობლოში ვბრუნდებოდი.

მხატვარი ალხას ანბა.

რომ მოვდიოდი, ფრთამძლავრი, ცაში აფრენილი, ამაყი არწივი მეგონა თავი.

აკადემიის დიპლომი რომ ავიღე, იმ დღეს გავიფიქრე: ესეც ასე, სწავლა დავამთავრე, ჩემს ოცნებას ფრთა შეესხა, უკვე მხატვარი ვარ, დიპლომიანი, ნაფიცი მხატვარი. ხატვით რამდენი ვინმე ხატავს, შესაძლოა, ჩემზე კარგადაც, მაგრამ სად პროფესიონალი და სად თვითნასწავლი, მოყვარული მხატვარი. მოყვარულს რაც უნდა კარგი ნამუშევრები ჰქონდეს, გამოფენას სადმე მივარდნილ ადგილას, ასე ვთქვათ, ვალის მოსახდელად თუ გაუმართავენ, ჩემი საქმე სულ სხვაგვარად იყო: ჯიბეში მხატვრის დიპლომთან ერთად, თითქოს, ხატვის ნიჭიც მედო.

რაც უფრო უახლოვდებოდა მატარებელი სოხუმს, მეტად და მეტად ვღე-

ლავდი. როდესაც ყველაფერი სალი გონებით ავწონ-დავწონე, ელდა მეცა. აქამდე გაღმა გასულ კაცად მიმაჩნდა თავი, ახლა კი მომეჩვენა, რომ საპნის ბუშტივით ჰაერში ვიყავი აშვებული და საცაა გავთავდებოდი. აქამდე დროებითი ბინა კი იყო, მაგრამ თავს ზევით ჭერი მაინც მქონდა, ახლა ვარ ცარიელტარიელი, ჩიტივით თავისუფალი, მივდივარ, მაგრამ საით მივდივარ, რა მელის?

ვიცოდი, რომ აფხაზეთში პროფესიული მხატვრები ჯერ ცოტანი იყვნენ, ისიც ვიცოდი, რომ ხელისგულზე არავინ დამისვამდა და ბევრი ჰკუის კოლოფი ყურის აწევასაც დამიპირებდა... ერთი სიტყვით, პროფესია უკვე მქონდა, მაგრამ ეს ხომ ცოტა იყო, მაგრამ გზას თუ გავიკაფავდი, მიზანს თუ მივაღწევდი — აი, ეს ფიქრი მტანჯავდა.

ადრე, სასწავლებლად რომ მივდიოდი, უფრო ნათლად ვხედავდი წინ გადაშლილ გზას, უფრო გარკვევით მესახებოდა ჩემი მომავალი, ახლა კი, ახლა იმავ მომავალს ბუნდოვნად ვხედავდი. რამდენი ვინმე მპირდებოდა მაშინ, სასწავლებლად წასვლის წინ ხელის მომართვას, მხარში ამოდგომას, ვერ გამეგო თვალსა და ხელს შუა სად გამიქრა ის ცაში კოშკების ამგები ხალხი?

...აი, დავამთავრე აკადემია და ვარ ჩემი თავის ანაბარა, ვინ მკითხულობს, ვილას ვახსოვარ. სად გაქრა მავანისა და მავანის წერილობითი თუ სიტყვიერი ფიცი — მტკიცი, ოღონდ თქვენ იმარჯვეთ, ისწავლეთ, დანარჩენი ჩვენს კისერზე იყოსო.

ვგონებ, თავი არ შეგვირცხვენია, თავიდან, შესაძლოა, არ ვბრწყინავდით, მაგრამ მერე და მერე ყველამ თვალნათლივ ნახა, რომ ჩვენც კაცნი ვიყავით და თავზე ქუდი გვეხურა, მაგრამ ჯერ მაინც ფონს აქეთა ვართ და გაღმა საერთოდ გავალთ თუ არა, ვერ გაგვირკვევია. წინ ხელის ცეცებით, ნება-ნება უნდა ვიაროთ.

...მატარებელი ფიჭვნარის ხეობაში შევიდა. გულრიფშის თეთრი სანატორიუმი სიმწვანეში გაუჩინარდა. მომეჩვენა, რომ მატარებელმა ჩემი გულის ძგერასავით უმატა სიჩქარეს, მარულაში გამარჯვებული კაცივით ყიჟინ-ყიჟინით შევიდა კელასურში, გაჩერდა, სული მოითქვა, მაგრამ, თითქოს, იგრძნო, მეტი მომივიდაო და მაშინვე აიძრა...

თვალწინ დამიდგა ჩვენი ეზოს კოინდარი, ამაყად მხარგაშლილი კაკალი...

და დედაჩემი, მისი კეთილი, კეთილი თვალები, გავიგონე მისი მალამოსავით ხმა: „ჩამოხვედი, ალხას, შვილო? ვიცოდი, ვიცოდი, რომ ჩამოხვიდოდი, აი, სწორედ დღეს რომ ჩამოხვიდოდი, ვიცოდი... არ შემოგითვლია, მაგრამ ვიცოდი... თუმცა, შემოთვლა რა საჭირო იყო. მე სულ ვიცი, როდის რას ფიქრობ, არც დღისით, არც ღამით, წუთითაც არ მტოვებ მარტოს, შემოგევლე..."

„ვიცი, დედა, ვიცი".

„კეთილი იყოს შენი დაბრუნება, შვილო. ბევრი იწვალე, შვილო, ბევრი, მაგრამ რას იზამ... კიდევ ბევრი სიძნელე შეგხვდება, მაგრამ რას იზამ... ასეა, ბრძოლაა ეს ცხოვრება, ბრძოლა. ენგურის ტალღამ რომ გაგიტაცოს, ხელი უნდა გაანძრიო. ასეა, ასე..."

„მესმის, დედი, მესმის..."

მოთიმთიმე, სხივებით მოლაციცე ზღვას გავხედე. ნაპირი გარუჯული ხალხით იყო სავსე.

ახლა მე მასზე ვფიქრობდი...

ადა...

ზაფხულის არდადეგების შემდეგ კვლავ დედაქალაქში რომ ვბრუნდებოდი, მთავარ გზამდე გამომაცილა.

„მოიწერე ხოლმე, არ დამივიწყო... — მითხრა მან. მე იმ თვალებმა, იმ შემოხედვამ იმედი ჩამიღვარა სხეულში...

მატარებელი სოხუმის სადგურზე გაჩერდა... ჩამოვხტი, წავბარბაცდი, მაგრამ თავი შევიმაგრე.

ხალხი ირევა. არის ერთი ხვევნა-კოცნა, მხრებზე ხელების ტყაპუნი. ყვავილები, ყვავილები...

მე მას ვეძებ თვალით. დახვედრა-გაცილებები მაინცდამაინც არასოდეს მიყვარდა, მაგრამ ახლა კი, თუმცა არა-

ვისთვის შემომითვლია მოვდივარ-მეთქი, გული შემიკრთა. ავიღე ჩემოდანი და გავუყევი გზას.

2

სოხუმში ჩამოსვლის მეორე დღესვე წავედი სახლში. როგორ გაიხარეს! ჩემი უმცროსი და ხომ ცას ეწია სიხარულით! გვერდიდან არ მომშორებია, სულში მიძვრებოდა. დედინაცვალიც თავს მევლებოდა, მიყვავებდა, მეფერებოდა. იქნებ, იმიტომ, რომ ვუთხარი, სოხუმში ვიწყებ მუშაობას-მეთქი. აივნის კუთხეში მიდგმულ ტახტზე ვიჯექი და კოინდრით აბიბინებულ ეზოს გავცქეროდი. ფერად-ფერადი ყვავილები ახარებდა თვალს.

— ბაღში ჩადი, ნახე მაინც როგორ ასხია, — მითხრა მამაჩემმა.

ეზოში ჩავედი. ნიავი ქროდა. შვება ვიგრძენი. ბაღის ალაყაფი გავაღე და შევედი.

თუთას ვაზი შემოხვეოდა, მკვახე ყურძენი ესხა.

თხილის ხესთან მივედი, ტოტს ავწვდი, ჩამოვწიე, რამდენიმე თხილი კბილით გავტეხე, შევჭამე. დამიძახეს, სუფრა გაშლილიაო. ღმერთო, ჩემიანებში ვიყავი! ვიჯექი და ვისმენდი მამაჩემის სადღეგრძელოებს და მინდოდა ეს წუთები საუკუნოდ გაგრძელებულიყო.

..სოხუმის ქუჩებში ხეტიალით გული ვიჯერე. არსაით მეჩქარებოდა, არავინ მელოდა. „აფხაზეთს“ რომ მივუახლოვდი, საყავეში შევედი. სოხუმელი ბერიკაცები აუჩქარებლად, გემოჩატანებით სვამდნენ ყავას. დილაუთენია მოდიან და სხედან ასე, თავისთვის. ხმელ-ხმელნი არიან, სოხუმის ცხელი მზისა და ყავის ორთქლისაგან გამოშაშრული მათი სახე თითქოს წვრილ ღვედებად დაღარულა.

თავისუფალ მაგიდას მივუჯექი და საუზმე შევუკვეთე. ისეთი ფუთფუთი და ზუზუნია, სკაში მგონია ჩემი თავი. ცალკე სიტყვებსღა ვარჩევ, ეშმაკი ვერ გაიგებს, ვინ რას ამბობს.

ვზივარ ჩემთვის, ვიცეცქნები რაღაცას და თან მოხუცებს თვალს არ ვაცილებ. ზოგს მიწაზე გართხმული ბებერი ხეების ფესვებივით დაჭიმვია ძარღვები, ისე დაძაბულან, თითქოს მთელი ქვეყნის ბედ-იღბალი მათზე იყოს დამოკიდებული. სხვები ცალ-ცალკე ან ორ-ორად სხედან და ისე ჩაძირულან ფიქრში, სხვა სამყაროში გადასულან, თითქოს ამ ქვეყანასთან არც არაფერი აკავშირებდეთ, — ამ წუთებში მათი ლანდიღაა აქაობაში დარჩენილი.

ყავახანაში გამხდარი, წოპეცხვირა, წვრილთვალება კაცი შემოვიდა, ქუდი კეფაზე მოეგდო და მთელი ღამის ნაქეიფარი, ნამთვრალევი, ფეხებდაბუქებული, ახლა ჩვილ ბოჩოლასავით ბანცალებდა.

— გამარჯობა შენი, კიაჭ! სად ხარ, სად დაიკარგე!? — მიაძახეს აქეთ-იქი--დან.

— აბა, გეყოფათ, მორჩით! — ხელფეხი ისე გაიქნია კიაჭმა, თითქოს მოსეულ ძაღლებს იგერიებსო.

— კიაჭ!

— ა, კიაჭ!

— კიაჭ!

— ჩუმად, ჩუმად-მეთქი! — მასწავლებელი რომ ცელქ ბავშვებს დატუქსავს, ისე გაუჯავრდა კიაჭი მეინახეებს. დაუმწიფებელი მაყვალივით ნაცრისფერი თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, — ჩუმად!

—მარჯვენა ხელი ბარძაყზე გაილაწუნა. გეგონებოდათ, ამას ელოდნენო, ყველამ გულიანად გაიცინა.

კიაჭიც, მართლაც, თითქოს, ვალი მოიხადაო, მაშინვე ყავის ასაღებად წავიდა.

ფინჯანი ყავა გამოართვა მებუფეტეს, ერთხანს იდგა, ხალხს უყურებდა, ეტყობოდა, მყუდრო ადგილს ეძებდა, მერე ჩემთან მოვიდა და თუ შეიძლება დავჯდეო, მკითხა. ვერ გეტყვით, მართლა ნებართვას ითხოვდა, თუ ისე, სხვათაშორის იკითხა, — ასეა მიღებული. რა თქმა უნდა, შეიძლება-მეთქი, მაშინვე ვუპასუხე და ისიც დაჯდა.

თითქოს, რაც ყურადღება დავუთმეთ, ეყოფაო, კაციშვილი არ იღებდა ხმას. ისხდნენ და ნებიერად სვამდნენ ყავას.

მეც მოვრჩი საუზმეს და წასასვლელად წამოვდექი. ჩემს მეზობელსაც ბოლომდე დაელია ყავა, ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დადგა, სკამი გვერდზე მისწია, ჩემს ჩემოდანს მოკიდა ხელი და კარისკენ გაემართა. რა მექნა, არ ვიცოდი, უხერხულ დღეში ჩავვარდი.

— მეგობარო, ეგ ჩემოდანი ჩემია, ალბათ, შეგეშალათ, — მივაძახე თავაზიანად.

— ვიცი, რომ შენია, — მომიტრიალდა იგი, თითქოს გასაკვირი არც არაფერი მომხდარაო.

— თუ იცი, სად მიგაქვს მერე?

— სადაც ინებებ, იქ მიგიტან, — მშვიდად მიპასუხა მან.

— როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათ, ჩემს ჩემოდანს როგორ გატარებინებთ...

— მე წავიღებ, — გადაჭრით მითხრა მან, არაფრით არ დამანება და ფეხს აუჩქარა.

— დილაუთენია გამოიჭირე, კიაჭ! — მოაძახა ვიღაცამ.

— ყველამ თავის იგეთ მამიდას მოუაროს! — ზურგს უკნიდან ესროლა კიაჭმა. — საით წავიღო? შეწუხებულმა მკითხა. სასტუმროში?

— არა.

— აბა, საით? — სიტყვა წამართვა.

— სასტუმროში არ მივდივარ... სხვაგან უნდა წავიდე... — რა მეთქვა არ ვიცოდი.

— მითხარი, შე კაცო, სადაც მიდიხარ და... — ცერზე დადგა კიაჭი.

— არსადაც არ მივდივარ, სანაპიროზე ვაპირებდი ჩასვლას, — გულზე მომეშვა, იოლი გამოსავალი მოვძებნე მეთქი.

— სანაპიროზე გინდა და სანაპიროზე ჩაგიტან, — რაკი ჩემი გეზი გაიგო, დაადო თავი და გაუტია.

სანაპიროსთან რომ გავედით, ჩემოდანი დადგა და გაბრუნდა.

— აი, — გაურკვევლად მითხრა მან.

— რამდენი გინდა?

ამას არ მოელოდა, ეტყობა, შედგა.

— როგორ? მათხოვარი გგონივარ? ეჰ, სტუდენტო, სტუდენტო!..

სიტყვის ამოღება არ მაცალა, რაღაც წაუმღერა. სიტყვები ვერ გავარჩიე. წყენა ვერ შევატყვე, ის კი არადა, თითქოს გახარებულიც იყო. მადლობელი ვარ-მეთქი, მივაძახე.

მობრუნდა და დამშვიდობების ნიშნად ხელი დამიქნია.

„უცნაური კაცია, — გულში გავიფიქრე, — არ ვიცნობ, არ მიცნობს. რაში სჭირდებოდა, რომ გამომაცილა და ჩემოდანი მითრია? „კარგი ჰქენი და ქვას დადევიო“, არა? იქნება, ასეთი კაცია, ჰა?“

ასე იყო თუ ისე, სოხუმში მხოლოდ ეს კაცი აღმოჩნდა, ვინც ყურადღება მომაქცია.

ახლა ვზივარ სანაპიროზე და თოლიების თამაშს ვუყურებ.

საუზმეზე მორჩენილი ნამცეცები გამითავდა, თოლიები მაინც თავს დამტრიალებდნენ, მაგრამ როცა მიხვდნენ, რომ ჩემგან ველარაფერს იხეირებდნენ, მომეცალნენ.

სოხუმის დილა. ძილსმიცემული ზღვა ბურანიდან გამოვიდა, ახმაურდა. ღრმად სუნთქავდა, თითქოს ფილტვებს იწმენდსო.

მთებიც თითქოს წელში გაიმართნენ და იქიდან, ზემოდან იცქირებოდნენ ზღვაში. მზის სხივები ოქროსფერი ყაბალახის ბოლოებად ეყარათ ზურგსა და მხრებზე. ზღვა ტბორში ჩაწოლილი კამეჩივით იწვა.

განიერი ზურგი მზის სხივებისათვის მიეშვირა. სხივები ისე თიმთიმებდნენ და ციაგებდნენ ტალღებზე, თითქოს ოქროს თევზები დახტიანო.

ნავსადგურიდან სოხუმს რომ გავხედე, სასტუმრო „აფხაზეთი“ დავინახე ყველაფერზე ადრე. მისი სახურავიც მზის სხივებში ბანაობდა.

ჩემოდანი ავიღე და ქალაქში გავედი.

საგამოფენო დარბაზს მივადექი. იქ ჩემი ნათესავი მუშაობდა.

დარბაზი დაკეტილი დამხვდა. დარაჯი იქვე, ახლოს ცხოვრობდა. გადავწყვიტე მენახა, რომ ერთხანს ღამის გასათევის მოძებნაში დამხმარებოდა. მოსახვევში შემეფეთა.

— ალხას! — მიცნო და იყვირა მან, ალბათ, გაუკვირდა, ასე მოულოდნელად რომ შემხვდა.

— ფრანკილ! — სიხარული ვერ დავფარე.

ჩემს წინ ფრანკილ ლაზბა იდგა.

მივიკითხეთ-მოვიკითხეთ ერთმანეთი.

სწავლას მოვრჩი-მეთქი, რომ ვუთხარი, გაეხარდა, მაგრამ ისიც ჩემსავით შეფიქრიანდა. ამდენი ხანია ამ საგამოფენო სახლის დარაჯია, ყველა მხატვარს იცნობს, მათი ავიც იცის და კარგიც, ჭირიც და ლხინიც, ამიტომ ესმის ჩემი.

— თავიდან ძალიან გაგიჭირდება, — მიუკიბ-მოუკიბავად მითხრა მან და ამოიხვნეშა. — ბევრჯერ დადგები ცდუნების წინაშე, თუ გაუძლებ, ხომ კარგი, თუ არადა... მე ერთი უბრალო დარაჯი ვარ, მაგრამ შენი პროფესიის ხალხს, ღმერთი, რჯული, ვიცნობ. ბევრი გადაცდენილა გზას, ჩაუთრევია ცხოვრების ტალღებს...

ვუსმენდი და ხმას ვერ ვიღებდი.

ფრანკილმა, ეტყობა, გადაწყვიტა მთლად არ გადაეწურა წყალი ჩემთვის და გავემხნევებინე.

— ახლა, არც მთლად ისეა საქმე, როგორც ამბობენ. როგორც ქუხს, ისე არა წვიმსო, ხომ გაგიგონია. თავიდან გაგიჭირდება-მეთქი, ადამიანო, თორემ მერე შენც იპოვნი შენს გზას. ვის არ უპოვნია, რო... ვისთვის რაა ცუდი და კარგი და ვისთვის რა... ყველა ისე აწყობს თავის ცხოვრებას, როგორც შეუძლია და უხერხდება. ადამიანი თავის თავზე მაღლა ვერ ახტება. მაგრამ ახლა რაღა დროს ამეებზე ლაპარაკია. თუ კაცი ხარ, გულწრფელად მითხარი, რითი შემიძლია დაგეხმარო?

— სადმე გასაჩერებელი ადგილი უნდა... — ამოვღერღე, როგორც იქნა.

— სწორია, ჯერ ამ საქმეს უნდა მოვაბათ თავი, — კვერი დამიკრა.

ვიცოდი, რომ საგამოფენო სახლს ერთი პატარა ოთახი ჰქონდა მიშენებული, ისიც ვიცოდი, რომ ცალკე შესასვლელი, ქონდა. რამდენიმე ღამეც გამითევია იქ.

— ჩემთან დაგაყენებდი, ალხას, მაგრამ კარგად იცი, რა ვიწროდაც ვართ. ამიტომ დროებით იმ პატარა ოთახში დაიძინე ხოლმე, — საგამოფენო სახლისკენ გაიშვირა ხელი, — ოღონდ არავინ გაგვიგოს, ხო?

— ამ სიკეთეს თუ მიზამ...

იმ ღამეს გვიან შევედი ოთახში. ძველებურ დივანზე მივწექი თუ არა, მაშინვე ძილი მომერია.

3

...— აბა, რას ელოდი. ჩემო ძმაო, გეგონა წითელ კვერცხებს გაგიგორებდნენ? — დიდი ნუგეშისცემა და დამშვიდება არ დაუწყია ფარნა ზაგანიას.

ფარნა ჭარმაგი, ცხოვრებაში ჩახედული მხატვარი იყო. ასე მქონდა გაგონილი. ახალგაზრდების მიმართ გულისხმიერიაო, ამბობდნენ. ეტყობა, შემატყო, რომ ჩემით ვცდილობდი რაღაცას და ჩემი ჭირი და ლხინი გულთან მიიტანა.

ახლა მე და ფარნა გუმისთის ნაპირას ვსხედვართ და დიდი ხნის დაწყებული საუბრისთვის წერტილი ვერ დაგვისვამს, მზე კი კარგა ხანია გადაიხარა და ზღვაში ჩაძირვას აპირებს.

სოხუმში დიდხანს არ დავრჩენილვარ, ამზაჭაში წავედი, მაგრამ მალე მომიხდა დაბრუნება —საამისო მიზეზი მქონდა.

სოხუმში, სადაც და ვისთანაც კი მივედი, სულ ტაშ-ფანდურით შემხვდნენ: ესაო, ისაო, რა კარგია, რომ სწავლა დაამთავრე და ჩამოხვედი, ერთი ინტელიგენტიც მოგვემატაო და ათასი ამისთანა. მაგრამ როდესაც კონკრეტულად დავსვი საკითხი, როგორ იქნება ჩემი

საქმე-მეთქი, ყველამ წამიყრუა და თვალი ამარიდა. თაკარა სიცხეში მოხვედრილ იმ კაცს ვგავდი, ვისაც გრილი წყლის დალევის იმედსაც კი არ აძლევდნენ.

მხატვართა კავშირში ჩემი სახელი და გვარი რაღაც წიგნში ჩაწერეს. ასე ახალშობილ ბავშვს უწერენ საავადმყოფოში მოწმობას. თავი არ დაზოგო, იმუშავე და იმუშავე, სახელი მოიხვეჭე, შეგხედავთ, შემოგხედავთ და მერე, შესაძლოა, მხატვართა კავშირშიც მიგიღოთო.

მაგრამ მანამდე რა ვქნა?

სად ვიმუშაო, რითი გავიტანო თავი?

ეს ,კითხვა ჩემთვისაც და მათთვისაც კითხვად დარჩა.

შემთხვევით სამუშაოზე უარი არ უნდა მეთქვა. მაგრამ ისეთ სამუშაოს მე ვინ მომაშავებს, რომ მასზე გული შემივარდეს, თუ მივაფურთხო ეშმაკს და ვაკეთო ის, რასაც მეტყვიან და ვაკეთო ისე, როგორც მოესურვებათ.

თუ ასე წავიყვანე ჩემი საქმე, ის, რასაც შემოქმედებას ეძახიან, ხომ გვერდზე დამრჩება?

ეჰე, ისეთი პირი უჩანს, ყველაფერი ეს ისევ და ისევ მე უნდა გადავწყვიტო-მეთქი.

იქით მივდექი, აქეთ მოვდექი და ჩემმა ფეხმა ისევ მხატვრებთან მიმიყვანა. დამასაქმეთ-მეთქი, მოვითხოვე.

გაიკვირვეს:

— ჯერ გუშინ მოხვედი და უკვე დასაქმება მოგინდაო?

შენ კი არა, სახელიანი მხატვრები ვერ დაგვისაქმებია, მათთვისაც კი ვერ მიგვიცია დაკვეთები. ძალიან ჩქარობ. ძალიან. ისე, შემოიარე ხოლმე, ვნახოთ, იქნებ შენთვისაც გამოჩნდეს რამე...

ერთხელ სწორედ იქ დამინახა ფარნა ზაგანიამაც. გამომკითხა აქეთურ-იქითური, მერე მშვიდად, ხმადაბლა გამიბა საუბარი, თან აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს ვიღაცა ყურისმგდებელი უზის ახლოს და ეშინია არ გაიგონოსო.

— დაწყება ჰქირს, დაწყება, თორემ მომავალში, იცოცხლე, ყველაფერი კარგად იქნება. მეც ასე დავიწყე. არაფერს ვთაკილობდი, რაც შემხვდებოდა, ყველაფერს ვაკეთებდი და, ა, კი ხედავ, სანამდე მოვედი, — სახლი მაქვს და კარი, ვინმე რომ მესტუმროს, არ შევრცხვები. შუაღამესაც რომ მომადგე, ძამია, მეზობელთან არ გადავალ არაფრისთვის. წელგამართულად ვარ, აპა!

„ქონებრივად კი ხარ წელგამართული, მაგრამ იმ შენს საქმეში თუ ხარ გამართულად? მხატვრობაში თუ ხარ მაგარი ბიჭი-მეთქი“, — კინაღამ ღმერთი გამიწყრა და, ცოტა დამაკლდა, რომ ეს მეკითხა.

ეტყობა, სახეზეც შემეტყო ის, რამაც ფიქრში გამიელვა და განაგრძო:

— მხატვრობაში მაგრად ვარ, ჩემო ძმაო. ჩემს სახლ-კარს შეხედე და მერე განსაჯე, როგორი მხატვარიცა ვარ. ჩემი სახლ-კარის საძირკველი ჩემი მხატვრობაა. ის რომ არა, ახლა ცარიელი-ტარიელი ვიქნებოდი. ჩემი გამწევი ხარიცა და ჩემი მეწველი ძროხაც ჩემი მხატვრობაა, აბა! მეც ვწველი და ვწველი!

ეს სიტყვები დანასავით ჩამესო გულში. შევცბი. „უეჭველია, ადამიანს თავისი საქმიანობა უნდა აცხოვრებდეს. მაგრამ საშინელებაა შენი მოწოდება მეწველ ძროხად გაიხადო და მისდგე და წველო და წველო! ეს ხომ გონებითა და სულით კი არა, მუცლით ცხოვრებაა!“ — ცხადია, ეს ხმამაღლა არ მითქვამს.

ფარნას ისე მიჰყავდა საუბარი, თითქოს ყველაფერი წინასწარ მოეფიქრებინოს — მაბეჯითებდა, არაფერი გამოჩნდება, არაფერი გეშველებაო. დალაგებულად, დამაჯერებლად ლაპარაკობდა, ლარი და სწორი არ სჭირდება ჩემს სიტყვებსო, — მეუბნებოდა ფარნა მთელი მისი არსებით.

— ფესვები ხალხში მაქვს გადგმული. მხატვარი ხალხს უნდა, ემსახურებოდეს. სიტყვით, იცოცხლე, ყველა ასე გაიძახის, მაგრამ საქმით, მთელი ცხოვრებით უნდა დაამტკიცო ეს —

ესაა მთავარი! ჩემი ნამუშევრები ჩაის პლანტაციებიდან დაწყებული ფერმებით გათავებული — სად არ შეგხვდება. მე და ხალხი ისე ვართ ერთმანეთს გადახლართული, როგორც მიწა და ხის ფესვები. სწორედ ეს მასულდგმულებს და მაფრთოვანებს. ფარნა ისე შევიდა ეშხში, ისე აღეგზნო, თითქოს ახლა, ამ წუთში თავის უკვდავმყოფელ ქანდაკებას ძერწავსო. მე, მგონი, სულაც მივავიწყდი, ახლა იგი იმ ცხენოსანს ჰგავდა, რომელიც გზას ასცდა, მაგრამ მაინც მთელი ძალითა და ღონით მიჰქონდა.

—მე რა ვქნა? — მოულოდნელად წამომცდა ჩემი სატკივარი.

— ხო, შენ... — ძალიან გაუჭირდა ერთბაშად ჩემზე გადმოეტანა ფიქრი. შენ ახლა იწყებ ცხოვრებას... — ისე შორიდან დაიწყო საუბარი, გეგონებოდათ ყორანი უქათმო ეზოს დასტრიალებსო, — ხელის შეშველება, დახმარება დაგჭირდება, უთუოდ.

— მერე ვინ დამეხმარება? — ჯიქურ ვკითხე, მომბეზრდა ბრტყელ-ბრტყელი ლათაიების მოსმენა.

— აგერ არა ვართ? — მოუსვენრობა დაეტყო, — ერთმანეთს ხელი უნდა გავუმართოთ... ხე ფესვებითაა ძლიერი, კაცი — კაცით... აბა, როგორ გინდა?..

— გმადლობთ, — ახლა ეს სიტყვა არაფერს ნიშნავდა.

— სამუშაოს მე გიშოვი... ერთმანეთს დავეხმაროთ... სხვანაირად არაფერი გამოგივა, ჩემო კარგო! აბა, ახალგამოჩეკილ ბარტყს ფეხქვეშ ვინ გაეგება. სამუშაოს შოვნა ძნელია, ძნელი! შენ გგონია კალთას ჩამოგახევენ! არა, დრო მოვა და შენი გულისთვის ერთმანეთს თავ-პირს დაამტვრევენ, მაგრამ ეგ როდის იქნება, ე-ე, როდის!..

— გმადლობთ, — ვუთხარი უფრო დაიმედებულმა.

— ასეა, — თქვა და წყალში ჩაყვინთა, თითქოს ჩემი საქმე უკვე გადაეწყვიტოს. ამოიყვინთა. — შემოდი წყალში, შემოდი. — ისე მსუბუქად მიცურავდა; თითქოს მხრებიდან დიდი ტვირთი ჩამოეხსნას. — მზის ჩასვლისას ბანაობა ცხონებაა!

მეტი აღარ გავამეორებინე, შევყევი.

თავიდან ფარნამ რომ მითხრა, მთის მდინარეში ბანაობა მიყვარსო, გამეხარდა. თურმე, ამ ერთ რამეშილა ვყოფილვართ თანამოაზრენი .

მე ზღვაშიც მიყვარს ბანაობა, მაგრამ თუ არჩევანზე მიდგა საქმე, მდინარეს ვამჯობინებ.

ეს სიყვარული თავიდან, ბავშვობიდან მომდის.

ჩემს სოფელ ამზაჭეს (ამზაჭა ახალ მთვარეს ნიშნავს) ისეთი ჩქარი და ცივი მდინარე ჩამოუდის, თითის ჩაყოფა გაგიჭირდება. ეს მდინარე — ალიფსითა გაუხედნავი ცხენივითაა. უადგილო ადგილას თუ შეები, რანაირი ვაჟკაციც არ უნდა იყო, წასულია შენი საქმე. წყალში აქა-იქ უზარმაზარი ლოდები ყრია და როდესაც ტალღები ზედ ეხეთქება, გეგონება მთაში მონადირეებისგან დაკოდილი დათვები აღრიალდნენო. წყლის შხეფები ვერცხლის ფულივით იფანტება ჰაერში. როცა გაივაკებს, ალიფსთა დაღლილი, დამშვიდებული მიედინება.

ასეთ მდინარეში ვისწავლე ცურვა! სოფლელი ბიჭ-ბუჭები წყნარ ადგილებში ვბანაობდით. შემდეგში, როცა წამოვიზარდეთ და მკლავი გაგვიმაგრდა, უქაფო ადგილებს ვიფონებდით და გაღმა გავდიოდით.

როცა მზის ოქროსფერი თმები ზღვაში ჩაიძირა, ფარნას მსუბუქი მანქანით სოხუმში დავბრუნდით. გუმისთას ხიდის ქვეშ გავედით და ცენტრალურ გზას დავადექით. თითქოს ზემოდან ვიღაცამ ნაკვერჩხლები გადმოყარაო, აქეთ-იქით ჩამწკრივებულ ბოძებზე ნათურები აინთო.

მანქანა რბილად მისრიალებდა. სოჭების ხეივანში რომ შევედით, ფარნამ რადიო ჩართო. საქორწილო სიმღერა მოისმა. ფარნამაც, თითქოს მექორწილეებს უნდა ახიამოვნოხო, ნელ-

ნელა აუწია რადიოს და თვითონაც აჰყვა.

აფხაზურ საქორწილო სიმღერას რომ უსმენ, უქეიფოდაც რომ იყო, აგიყვანს, აგიტაცებს. ასე მომივიდა მეც. ჩემს სოფელ ამზაჭაში უჩემოდ გამართული რომელიღაც ქორწილის სიმღერად ვიგუმანე.

— მანქანა სახლში დავაყენოთ და სოხუმის მთაზე ავიდეთ... დავსხდეთ, — მითხრა ფარნამ. თავისი ჭკუით კარგი დროც შეარჩია.

— რა საჭიროა, — მივუგე მე.

თავის სახლში შემიყვანა და ყველა კუთხე-კუნჭული დამათვალიერებინა, თურმე, რაც აქამდე მითხრა, ტრაბახი სულაც არ ყოფილა. ჩემი თვალით რაც ვნახე, მის ნათქვამს დიდად აღემატებოდა. მისი ყველაფრით მოწყობილ-გამართული სახლოსნო ხომ კიდევ რამდენ კაცს ეყოფოდა!

შინიდან გამოსვლისთანავე შეგვხვდა ტაქსი და მთაზე ავვარდით.

ქვემოთ დიდი ოჯახის კერასავით ანთებული ღამეული სოხუმი იწვა. მობრდღვიალე სინათლეები ნაღვერდლებივით იყო მიმოფანტული მთელ ქალაქში. ვინმეს შამფურზე ხორცი რომ აეგო, ალბათ, ღმერთივით შეიწვებოდა.

მთის წვერზე წამოჭიმულ რესტორან „ამზაში“ რომ შევედით, სადაც ნამდვილ ხორცს სწვავენ ნამდვილ შამფურებზე, ოფიციანტები ფარნას მიესალმნენ და ყველა ცდილობდა იგი თავის მაგიდასთან დაესვა. ფარნა ამ ამბით სულაც არ გაოცებულა, შეიფერა, დინჯად გადაჭრა დარბაზი და იმ მაგიდას მიუჯდა, რომელიც თვალში მოუვიდა, მეც ჩამოვჯექი. ოფიციანტი — მომხიბვლელი ქალიშვილი, წკიპზე იდგა. ალბათ, იცოდა ფარნას ხასიათი, თვალში შეჰყურებდა და შეკვეთას ელოდა. ფარნას ზედმეტი არაფერი უთქვამს, რაც უნდოდა — ბევრი რამ — შეუკვეთა და ოფიციანტიც შეუჩერებლად იწერდა. „არის“ ან „არ არის“ არ წამოსცდენია, ყველაფერზე თავს უქნევდა თანხმობის ნიშნად. ჩაწერა რომ დაამთავრა, წუთში გაქრა და წუთშივე გააჩინა მაგიდაზე შეკვეთილი კერძები და სასმელები, ზოგ რამეზეც, უკვე შევუკვეთე და სწრაფად მოგართმევთო, მოახსენა ფარნას.

ვახშმის შემდეგ ქალაქში რომ ჩამოვედით, კარგ გუნებაზე ვიყავით, ერთხანს სანაპიროზე ვისეირნეთ და ნაამებნი დავცილდით ერთმანეთს.

ფარნა თავიდანვე იმით მომეწონა, რომ მაშინვე მუშაობაში ჩამითრია. მეორე დღეს სოხუმის დასავლეთით, ერთ მიყრუებულ უბანში, თვალსაჩინო ადგილას ეკიდა ლოზუნგი: „ერთსულოვნად მივიღოთ მონაწილეობა ჯართის შეგროვებაში“.

ის პლაკატი ჩემი დაწერილი იყო.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მითხრა. სულ მალე სამუშაო თავზე გადამდიოდა — ოღონდ მომესწრო, მიმესწრო...

აგერ, ახლა მე და ფარნა საბჭოთა მეურნეობის გაფორმებაზე ვმუშაობდით. ჩაის მეურნეობა იყო და ვიცოდით, როგორც უნდა გაგვეფორმებინა. ფარნა მეურნეობის ხელმძღვანელობას მოელაპარაკა და მთელ სამუშაოზე ხელშეკრულება მე გამიფორმეს. თავდაპირველად გამიკვირდა, ვიუარე კიდეც.

— შენ სახელზე უნდა გაფორმდეს, ასეა საჭიროო, — მითხრა ფარნამ.

— სირცხვილია, როგორ შეიძლება. შენ აქ იყო და ხელშეკრულება ჩემს სახელზე გაფორმდეს; აბა, მე ჯერ ვინა ვარ, ან რა სახელი მაქვს ან რა წოდებები, — გულწრფელად შევიცხადე.

— ასეა საჭირო, პასუხისმგებლობას უნდა შეეჩვიო. თვითკონტროლის გრძნობა გაგიმახვილდება. ეს წინ დაგხვდება, ავტორიტეტს შეგმატებს.

მადლობა-მეთქი, რაკი აგრეა საჭირო, სხვა რა გზა მაქვს-მეთქი.

— ადამიანის გულის მოგება უნდა ისწავლო, — წამდაუწუმ ჩამჩიჩინებდა ფარნა. — წინასწარ უნდა აუღო ალღო, მიუხვდე, გაუგო, დაუთმო,

ასიამოვნო... ეს იყო ფარნას ქადაგება — დამოძღვრებათა თავი და ბოლო.

ფარნამ სულ იცოდა, რა მოსწონდა და რა არა, რა ესიამოვნებოდა და რა არა მეურნეობის დირექტორს კანსოუ ხალბადს, ეს კი საქმეს გვიადვილებდა და მერე როგორ! კანსოუ ხალბადს მთელ აფხაზეთში და აფხაზეთს გარეთაც კარგად იცნობდნენ. მაგარი დირექტორის სახელი ჰქონდა. ჩვენ, ალბათ, გვევალებოდა რაღაცით კიდევ უფრო მეტად წარმოგვეჩინა მისი სახელი.

უპირველეს ყოვლისა, კულტურის სახლის გაფორმება დავიწყეთ. კაცს მაშინვე უნდა დაენახა ის დიდი მიღწევები, რაც ამ მეურნეობას მოეპოვებინა. ეს იყო ჩვენი თავი და თავი ამოცანა.

ვიდრე მუშაობას დავიწყებდით, ფარნამ ჯერ იმ ადამიანის ბუნება გამაცნო, ვინც ხელშეკრულება დაგვიდო — ყანსო ხალბადი ასეთი და ასეთი კაციაო, ეს გაეხარდებაო, ეს არ გაეხარდებაო, ეს ესიამოვნებაო, ეს არ ესიამოვნებაო და ათასი ამისთანა, მერე მეურნეობის განვითარების გზა გამაცნო და გზადაგზაც, მაინც, მისი მთავარი მიზანი იყო დირექტორის ხასიათი და გემოვნება განემარტა ჩემთვის.

მეურნეობის შესასვლელთან, ორივე მხარეს, ბეტონის ბოძებზე გადებულ ძელზე ეწერა „მასპინძლის“ გულღიაობისა და სტუმართმოყვარეობის მაჩვენებელი სიტყვები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“. დღისით ეს წარწერა ძალზე კარგად იკითხებოდა, ღამეც ნათურებით ნათდებოდა. ჭიშკრიდან მეურნეობის ტერიტორიისკენ ორი დიდი გზა მიდიოდა, რითაც მაშინვე იგრძნობდით, რომ მდიდარ, შეძლებულ მეურნეობაში ხართ და არა რომელიმე ფეხზედასაყენებელ სოფელში. მანქანიდანაც კი მოასწრებდი გზის გარდიგარდმო გამოკრულ-გამოკიდებული წარწერების წაკითხვას, რომლებითაც გაიცნობდი საბჭოთა მეურნეობის მიღწევებს, საქმიანობის ხასიათს, უახლოეს და შორეულ გეგმებს და... მალე მეურნეობის შენობებიც გამოჩნდებოდა. სწორედ აქ, ძველი კლუბის ადგილზე, აღემართათ კულტურის სასახლე, ყველაზე მაღალი შენობა, რომელსაც ახლა გაფორმება-გალამაზებაღა სჭირდებოდა.

ამ სასახლის კედლების გარედან გაფორმება არც ისე იოლი საქმე გამოდგა. ახლომახლო რაიონებში კულტურის სახლები და სასახლეები გარედან არავის გაეფორმებინა და ჩვენ სტუმარ-მომსვლელებისთვის თვალში ნაცარი უნდა შეგვეყარა. ერთი სიტყვით, ეფექტი უნდა მოგვეხდინა.

სასახლე გააფთრებული ლომივით იდგა, ამიტომ ფასადი უნდა შეგვერბილებინა, უნდა შინაგანი სითბო მიგვეცა. ასეთი იყო შემკვეთის სურვილიც.

მარჯვენა კედელზე უნდა ყოფილიყო „ქალიშვილი ჩაის ყვავილით ხელში“.

ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონო, მოვიფიქრო. ეს სურათი ყველა მეჩაიე ქალიშვილს უნდა ასახიერებდეს. არც ყვავილი უნდა იყოს უბრალო, მასში უნდა აისახოს ჩვენი აყვავებული ცხოვრება. როგორც კრიტიკოსები იტყოდნენ, თუ ამ სურათს მთლიანად განვიხილავთ, მასში თანამედროვე საბჭოთა ქალიშვილის შინაგანი სამყარო უნდა ჩანდეს. მაგრამ როგორ ავსახო ეს შინაგანი სამყარო, როგორ?

თეორიულად ყველაფერი კარგად მესმოდა, ამაზე რიხიან მოხსენებასაც კი გავაკეთებდი, მაგრამ, როგორც მხატვარი, შევძლებდი კი ამ ქალიშვილის დახატვას ყვავილით ხელში? ამაზე ზოგადი ლაპარაკი საბჭოთა მეურნეობის დირექტორსაც შეუძლია, მაგრამ ბიჭია და დახატოს!

მაგრამ ეს რა საუბარია, იმ კაცმა ხომ ფარნა და მე მოგვიწვია მხატვრებად! ჰოდა, ახლა ჩვენ უნდა შეგვესხა ხორცი შეკვეთისთვის. კარგახანს ვიმტვრიეთ თავი, მაინცდამაინც ღირსშესანიშნავი ვერაფერი მოვიფიქრეთ და, ბოლოს...

— კედლის მარჯვენა მხარეს შენ მოხატავ, — ვერ მივხვდი, გადაწყვეტილად მითხრა თუ შემომაპარა, ისე დაიწყო ფარნამ.

— როგორ, „ქალიშვილი ჩაის ყვავილით ხელში“ მე უნდა დავხატო? — შევშინდი.

— ასეა საჭირო! — თითი ჯერ მაღლა ასწია, მერე მიწისკენ დაალირა, თითქოს ჩვენ შორის ზღვარის დადება უნდაო, — ასეა საჭირო, გაიგე? ეს სამუშაო შენ გეკუთვნის ყველანაირად — ასაკითაც და ნიჭითაც, აბა!...

— კი მაგრამ, შევძლებ? — შევყოყმანდი.

— შესძლებ და კარგადაც დახატავ! — თქვა და გაათავა ფარნამ, რაკი შემატყო, რომ წინააღმდეგობას ვერ გავუწევდი!

4

მეურნეობის პლანტაციები სულ ფეხით დავიარე. ვაკვირდებოდი მზის ამოსვლიდან დაღამებამდე როგორ იცვლიდა იერს. ბევრი აქამდე შეუჩნეველი რამ შევამჩნიე. საბჭოთა მეურნეობის არსის, მისი მიღწევების ამსახველი სურათები უკვე გადატანილი მქონდა კულტურის სასახლის კედლებზე, მაგრამ ვუახლოვდებოდი იმას, იმ მთავარს, „ქალიშვილი ჩაის ყვავილით ხელში“ რომ უნდა დამეხატა — და სულ უფრო და უფრო მეტად მიპყრობდა შიში.

მეურნეობაში ბევრი მეჩაიე ქალი ვნახე და გავიცანი — ახალგაზრდებიც და ხნიერნიც. ცხადია, მე ახალგაზრდა მეჩაიე უნდა დამეხატა, მაგრამ ვინ? ერთიერთმანეთზე უკეთესები იყვნენ. დავიბენი. ვის ამოარჩევ? რა პრინციპით? ვერაფერი გადამეწყვიტა. თავისი წილი სამუშაო ფარნას თითქმის ბოლომდე ჰქონდა მიყვანილი, მის საქმეში არ ვერეოდი, მაგრამ ხანდახან ვნახულობდი და ვეხმარებოდი კიდეც. უფრო მეტად ვუყურებდი როგორ ხატავდა.

ფარნა სულ სხვა სამყაროს ხატავდა.

მეურნეობის დირექტორი ცხენოსნობის გიჟი იყო. მარულაზე ირბოდა, მაგრამ მხოლოდ მოყვარული — კი არ გახლდათ, სიჭაბუკეში ერთ-ერთ საუკეთესო ცხენოსნად ითვლებოდა და შეჯიბრებაშიც მონაწილეობდა. ახლა მეურნეობაში ცხენებს აშენებდა, წვრთნიდა და მერე რაიონულ და რესპუბლიკურ პირველობებში ამ მეურნეობის მხედრები და ცხენები თითქმის ყოველთვის საპატიო ადგილებს იკავებდნენ.

ფარნას ყოველივე ეს თავის სურათზე უნდა აესახა. რაღა თქმა უნდა, მარულის თემა დირექტორის პატივსაცემად აირჩია, მაგრამ მხატვრის წინაშე ნამდვილად ღრმა და რთული ამოცანა იდგა — მას უნდა ეჩვენებინა აფხაზი კაცის სიყვარული ცხენოსნობისადმი, ამ საქმეში მისი ოსტატობა.

კედლის მარჯვენა მხარეს ხალხის შრომა უნდა ასახულიყო, მარცხენა კი დასვენებისთვის იყო განკუთვნილი. შორს მაღალი მთები მოჩანდა, და სოფლები, რომლებშიც, ეტყობოდა, სიმდიდრე დუღდა და გადმოდუღდა. ცენტრში მწვანედ აბიბინებული მინდორი ჩანდა, რომელსაც ხალხი შემორტყმოდა. აგერ, ტყვიასავით მიჰქრიან ცხენები და ხალხის მთელი გულისყურიც იქითკენაა. სურათის კომპოზიციური ღერძიც ეს ეპიზოდია.

ცხენების ერთი ჯგუფი თავში მიჰქრის, ზოგი — კვალში მისდევს. დაშორიშორებულან. ზოგს იმდენად გასჭირვებია, სარბენი ბილიკიდან გადაუხვევია.

მაგრამ მთლად მეწინავე ცხენი რომელია, როგორი იქნება იგი?

ფარნას ახლა სწორედ ის მეწინავე ცხენი უნდა დაეხატა. წინა ფეხებს რომ ამთავრებდა, მაშინ მივედი. სწორედ ფეხებზე ეტყობოდა, რომ სხვა ნაწილები როგორც არ უნდა დაეხატა მაინც ყველაზე ადრე ფინიშთან ეს ცხენი უნდა მისულიყო.

მთლად წარმოსახვით, ფანტაზიით

ხატავდა თუ ვინმეს ცხენი ჰყავდა მოდელად?

ჯერჯერობით ეს მხოლოდ ფარნამ იცოდა.

კარგა ხანია სოხუმში, ჩემს დროებით ბინაში არ ვყოფილვარ. რაც საბჭოთა მეურნეობაში კულტურის სასახლის გაფორმებას შევუდექი, იქ ღამე არ გამითევია. კვებისა და ღამისთევის საკითხი მეურნეობაში მოგვარებული იყო, ოღონდ გვემუშავა და გვემუშავა. ჩემთვის სულერთიც იყო, სადაც ვიქნებოდი, მაგრამ ფარნას ცოლ-შვილი ჰყავდა და ოჯახში დროდადრო ხომ უნდა ასულიყო. ამიტომაც ჩამოვედით სოხუმში, თუმცა სამუშაო ჯერ არ მოგვემთავრებინა. თვითონ რომ დააპირა წამოსვლა, მეც შემომთავაზა და წამოვყევი.

შეთანხმებისამებრ, საღამოს რესტორან „ამრაში“ შევხვდით ერთმანეთს.

მეორე სართულზე ვისხედით. ირგვლივ მხოლოდ მზის ქოლგები იდგა — დღისით მოქეიფე ხალხის დასაცავად.

უცნაური ცა იყო იმ საღამოს — ვარსკვლავებით მოჭედილი, თალივით ეკიდა ზანტად მონანავე ზღვის თავზე. ზღვის შხეფები სინათლეზე ჰგავდნენ ფუტკრებს, რომლებსაც თაფლით გავსებული დიდი გობიდან ამოსვლა ვერ მოეხერხებინათ.

რესტორანი ყოველმხრივ გახსნილი იყო. ხმაური არ გვაწუხებდა.

ფარნა კი მელაპარაკებოდა, მაგრამ. ეტყობოდა, წრიალებდა, რაღაცას თუ ვიღაცას მოუთმენლად ელოდა, აქეთიქით იყურებოდა, ოღონდ, ცდილობდა, რომ ეს არ შემემჩნია.

— როგორც გითხარი, ამ სამუშაოს რომ მოვრჩებით, კიდევ ერთ კოლმეურნეობაში მოგვიწევს მუშაობა მგონი. ფარს არ იტყვი, ჰა? — მითხრა ფარნამ.

— მართლა? — გამეხარდა.

მოულოდნელად ჩხირივით დალეული ვიღაც კაცი დავინახე. ძალიან მეცნო. ნეტა ვინაა? გონება დავძაბე. მოულოდნელად ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. იგი ისე უცებ შეჩერდა, თითქოს წყლით სავსე ორმოს შეეფეთაო. ერთმანეთი გვიცანით. დავასწარი:

— კიაჰ!

— კიაჰ! — დაუძახა ფარნამაც — ოღონდ შელაზღანდარებით.

გული დამწყდა. ფარნა მასხრობის გუნებაზე დამდგარიყო, მე კი ისე გამეხარდა, თითქოს სისხლით ახლობელი, მონატრებული ადამიანი დამენახოს.

— კიაჰ, ჩვენთან მობრძანდი, — გადავულოცე გზა.

— დაბრძანდი, რატომ წუხდები, — კიაჰი მოვიდა და ხელი ჩამომართვა.

— დაბრძანდი ცოტა ხანს, — ახლა ფარნამ მოიპატიჟა.

კიაჰი არ დაჯდა, მაგრამ რაკი არ მოვეშვით, მაგიდასთან მოვიდა. სავსე ჭიქა მივაწოდე, როგორც კი ჭიქა ჩამომართვა, ჩვენთვის არც შემოუხედავს, პურმარილით გაწყობილ სუფრას თავი დაუკრა, და, თითქოს უხილავი მსმენელების გასაგონად ლაპარაკობსო, დაზეპირებულივით დაიწყო სადღეგრძელო, როგორც მოულოდნელად დაიწყო, ისევე მოულოდნელად გაათავა, ჭიქა ასწია და გადაჰკრა. შემდეგ ფრთხილად დადგა მაგიდაზე, დავალებამილებული ჯარისკაცივით მარჯვენა ხელი შუბლთან მიიტანა, ჩამოუშვა და წავიდა.

— ამას შენ საიდან იცნობ? — გაკვირვებით მკითხა ფარნამ, როგორც კი სუფრასთან მივბრუნდით.

— კიაჰს? მე კიაჰს ძალიან ვემადლიერები. სწავლის დამთავრების შემდეგ სოხუმში რომ ჩამოვედი, პირველად ეგ შემხვდა და ახლობელივით მიმიღო. ბევრ ჩემს მართლა ახლობელზე ვერ ვიტყვი ამას. შესაძლოა პატარა, ბეჩავი კაცია, მაგრამ კეთილზე კეთილია.

— მართალს ამბობ, — დამეთანხმა ფარნა, — მთელ დღეს ქალაქშია, ხან ვის შეაშველებს ხელს, ხან — ვის. ტვირთს უზიდავს ხალხს. დღისით მტვირთავად მუშაობს, ღამე კი დადის

ასე სასადილოებსა და რესტორანში, სმით კი სვამს, მაგრამ სიმთვრალე და ფეხარეული სიარული არ მახსოვს...

ოფიციანტმა ქალმა ორი ბოთლი ღვინო მოიტანა და ისე გახსნა, კითხვაც არ დაგვაცალა: — ეს კიაჰმა გამოგზავნაო.

ამან გამაკვირვა, მაგრამ ფარნამ მითხრა: ეგ ასეთი კაციაო.

ფარნა მოულოდნელად წამოხტა, თითქოს მახათი უჩხვლიტესო და გავარდა. ვერ გავიგე რა ელდა ეცა — უცებ გაქრა. სანამ რამეს მოვიფიქრებდი, ვიღაც ქალთან ერთად დაბრუნდა.

— გაიცანით, — მითხრა ფარნამ, როგორც კი ფეხზე წამოვდექი.

— გალინა, — ხელი გამომიწოდა ქალმა, — გალინა ბრენკერი.

გალინამ თავით ფეხამდე შემათვალიერა. მერე მაგიდას მიუჯდა. ჩვენც ჩამოვსხედით. საფულიდან სიგარეტი ამოიღო. ფარნამ მოუკიდა. ქალმა მადლობის ნიშნად თავი დაუქნია, ბოლი ღრმად ჩაისუნთქა, კარგა ხანს გააჩერა, მერე მძლავრად ამოისუნთქა და ბოლში გამხვია.

ფარნამ ოფიციანტს რაღაც ანიშნა და ისიც უთქმელად მიხვდა, რომ ჩვენს სუფრას ერთი წევრი შეემატა და, შესაბამისად, ზომები უნდა მიეღო.

— მიირთვი, რამე, გალინა, — მისთავაზა ფარნამ.

— თუ არ ვცდები, ეს ის ყმაწვილია, შენ რომ მელაპარაკე, არა? — პირდაპირ დაიწყო საუბარი გალინამ. — დამწყები მხატვარი... როგორ თქვი? ალხასი?

— ანზა, — მიეშველა ფარნა, — ალხას ანზა, — ისე მკაფიოდ, გამოკვეთილად თქვა ჩემი გვარი და სახელი ფარნამ, თითქოს ეშინოდა უგვარსახელოდ არ დავრჩენილიყავი.

— კეთილი, კეთილი. მუშაობთ, არა?

— ერთად ვმუშაობთ, — პასუხი ფარნამ გასცა.



— ძალიან კარგი, ძალიან კარგი. თუ ერთად მუშაობთ, მით უკეთესია. როგორ მოგწონთ სამუშაო, ალბათ, — ღირსად ჩამთვალა და ახლა უკვე მე მკითხა.

— მომწონს, — მოწაფესავით არ დაუყოვნე პასუხი.

— კარგია. ადამიანს თუ სამუშაო მოსწონს, საქმესაც აუცილებლად კეთილად დააგვირგვინებს და თანაც...

ამით ამოიწურა ჩემს მიმართ მისი ყურადღება და ისევ ფარნას მიუბრუნდა:

— მალე მორჩებით სამუშაოს?

— მალე, — საუბარმა სხვა საქმიანი სახე მიიღო, — დიდი-დიდი ათი დღე დაგვჭირდეს.

— კარგია.

— არა, ათი დღე არ გვეყოფა, — ჩავერიე.

— შენ უკეთ იცი? — პირში მეცა გალინა.

— ალბათ, ათ დღეში ვერ მოვრჩებით, — არ დავიხიე.

— კარგია, მაგრამ ცოტა უნდა დაუჩქაროთ, რადგან ისეთი საქმე გელოდებათ, რომ ყველაფრისგან უნდა გამოთავისუფლდეთ. ასეთი შეკვეთა ყოველთვის კი არ შეგხვდებათ... ასე იოლად...

— დავაჩქაროთ, დავაჩქაროთ ჩვენი სამუშაოს დამთავრებაც უნდა მოვასწროთ და ამისიც, — ჩაერია ჩვენს საუბარში ფარნა.

— აი, ეს მესმის, — დაეთანხმა გალინაც.

...კარგა ხანია ვწევარ, მაგრამ ძილი არ მეკარება.

ღამე ილევა.

თვალწინ მიდგას ქალიშვილის სახე, რომელზეც დღედაღამ ვფიქრობ.

ადა ნაზბა.

ნეტავ, თუ ვინმეა ამქვეყნად ადა ნაზბას მჯობი?

არ არის და არც იქნება!

სხვას თუ სხვა აზრი აქვს, მოვიდეს და მიჩვენოს მასზე უკეთესი ქალი!

ადა მიყვარს-მეთქი რომ ვთქვა,

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

ცოტაა. მომიტევეთ და, რაც არ უნდა ულამაზო იყოს აფხაზური წესით ამ გრძნობის ხმამაღლა გამჟღავნება, ვიტყვი — ადას გარეშე ვერ ვიცოცხლებ!

მე ამ დღეში ვარ და თვითონ, იქნებ, სულაც არ ფიქრობს ჩემზე? თუ ისიც ჩემსავით ვერ იძინებს და წრიალებს? ამ ფიქრებში დამათენდა და ძილიც მხოლოდ მაშინ მომერია.

ჰო, მეურნეობაში ვმუშაობდით. უნდა შევდგომოდი „ჩაის ყვავილიანი ქალიშვილის" ხატვას, მაგრამ იმ გასაღებს ვერ ვაგნებდი, რომელსაც ჩემი გული შთაგონებით უნდა შეემსჭვალა.

მაინც დავიწყე.

თითქოს ღრმა ძილიდან გამოვფხიზლდიო, ხელი გონებას ემორჩილებოდა, მიჰყვებოდა.

ქალიშვილს ვეძებდი და ის თვითონ მოვიდა, თვალწინ დამიდგა, თითქოს გულიდან ამომიფრინდა.

ცხადად ვხედავდი და ამიტომ იოლად ვხატავდი. როცა კი დაღლა მერეოდა, სულის მოსათქმელად ვცილდებოდი ტილოს, მერე კი ისევ ვმუშაობდი და ვმუშაობდი ქანცის გაცლამდე.

ერთ-ერთი შესვენების დროს ფარნას კედლისკენ გავედი. ხატავდა, ჩემი ყურადღება კედელზე დახატულმა ცხენებმა მიიპყრო, განსაკუთრებით კი ის პირველი, მარულაში გამარჯვებული მომეწონა.

— ეს ცხენი მშვენიერი გამოვიდა, გულწრფელად შევაქე ფარნას ნამუშევარი, — ძალიან კარგია. გილოცავ.

— მართლა მოგწონს?

— რა თქმა უნდა!

— იმას თუ მოეწონება... ნეტავ?

— ვის?

— მასპინძელს. მეურნეობის დირექტორს. ყანსოუ ხალაბადს.

— მისი ცხენია?

— აბა, რა გეგონა?! — მგონი, ძაან მივამგვანე. თუ რამე მესმის, ნახვისთანავე იცნობს!

— თუ მის ცხენს ჰგავს, იცნობს, აბა, რა იქნება.

— შენი საქმეები როგორ მიდის? — ჩემი კედლისკენ გადმოიხედა ფარნამ, — მთელი კედელი კარგი გამოვიდა, მაგრამ ქალიშვილმა კი ყველაფერი დაჩრდილა. ცოტაღა დაგრჩა, ყვავილსაც დააჭერინებ და მორჩა.

მალე ის ყვავილიც დავაჭერინე ხელში.

პანოს წინა პლანზე იდგა „ქალიშვილი ჩაის ყვავილით ხელში". მისი სამუშაო ტანსაცმელი, აღნაგობა, სახე, სილამაზე მაყურებლის მზერას იპყრობდა, ხოლო მის გარშემო გადაჭიმული ჩაის პლანტაციები, შორს ცამდე აზიდული მთები სათანადო ფონს ქმნიდა. ქალიშვილი კედლიდან მე მომჩერებოდა და თვალს არ მაშორებდა, თითქოს სურდა, რომ მეც მხოლოდ მისთვის მეცქირა, მისთვის და არა სხვა ვინმესთვის.

**ეს იყო ადა ნაზბა.**

...ყანსოუც მოვიდა.

— რა კარგად დაგიხატავს, ფარნა! — შეხედვისთანავე გაიკვირვა მან. — აგერ, თოულანი, ყველა ცხენი ჩამოუტოვებია, აბა! ყოჩაღ, ფარნა, ყოჩაღ!

ფარნა გაიბადრა.

— ორივეს მიერ გაწეული შრომა მავალებს... აბა, რას, რას მავალებს, ფარნა, რას? — ეშმაკურად გაიღიმა ყანსოუმ. — მერხეულში წავედით. ამ საღამოს ჩემი სტუმრები ხართ. ახლავე წავედით.

6

...რესტორნიდან რომ გამოვედი, სოხუმში, სანაპიროზე გავედი სასეირნოდ. ხალხი უკვე იშლებოდა, აქა-იქ თითო-ოროლა კაცი თუ შეგხვდებოდა. მხატვარი ხუტა აბინბა დავინახე. იგი სამხატვრო სასწავლებელში მასწავლიდა.

— პატივცემულო მასწავლებელო! — დავუძახე, — პატივცემულო მასწავლებელო! (ასე ვეძახდი, სახელითა და მამის სახელით დაძახება მომერიდა).

— ალხას! — მაშინვე მიცნო.

ზღვის პირას, ევკალიპტებში ჩამოვსხედით.

ვილაპარაკეთ იქითური, აქეთური.

— შენი საქმეები როგორლაა, ალხას? — მკითხა მასწავლებელმა.

— არ არის ცუდად, — არცთუ მთლად თავდაჯერებით მივუგე, — ვმუშაობ.

— კარგია, კარგია. რას აკეთებ?

— საბჭოთა მეურნეობის კულტურის სასახლეს ვაფორმებთ მე და ერთი მხატვარი. დღეს-ხვალ სხვაგან გადავინაცვლებთ.

— ვინ მხატვარია?

— ფარნა ზაგანია.

— ფარნა? — სიბნელეში შევნიშნე, როგორ შეაგდო მაღლა წარბი, — რას იზამ... უარესს სჯობია. შენ თუ მოგწონს სამუშაო?

— გულმოდგინედ ვმუშაობ. მონდომებას არ ვაკლებ.

— ეგ, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ თვითონ სამუშაო თუ გიზიდავს?

— ამ სამუშაომ ჯვარს მაცვა, „ქალიშვილი ჩაის ყვავილით ხელში" მართლა გულით დავხატე.

— ეგ რა არი?

ვუამბე მეურნეობის კულტურის სასახლის კედლის მოხატვის ამბავი.

— თუ მართლა ისე დახატე, როგორც ამბობ, კარგი იქნება! — თქვა მან, — მაგრამ საკუთარი სურვილით თუ აპირებ რაიმეს დახატვას ამ მოკლე ხანში? თუ სულ კულტსახლების კედლები უნდა აფორმო და პლანტაციებისთვის პლაკატები ხატო?

ეს ბოლო სიტყვები საყვედურივით მომესმა.

მომეჩვენა თუ მართლა ასე იყო?... იმ ღამეს გადაუღებლად წვიმდა.

დილით რომ გავიღვიძე, სახურავზე წვიმის რაწკუნი მომესმა და მომეჩვენა, რომ შიშველ ტანზე მაწვიმდა. გულაღმა ვიწექი, ჭერს ვუყურებდი და მეგონა, იგი თავზე ჩამომემხობოდა. წვიმის წვეთები წკარუნებდნენ, წკარუნებდნენ, წკარუნებდნენ...

ადგომას არ ვჩქარობდი. ძალიანაც რომ მდომებოდა, ფეხსაც ვერ გადავდგამდი, ისე მაგრად წვიმდა, [illegible] ხუმში კი არა, ბათუმში მეგონა.

ვიყავი ასე. არ იძვროდა არც სხეული, არც ფიქრი.

წვიმამ ნელ-ნელა გადაიღო. მეც, თითქოს უხილავმა ძალამ მიბიძგაო, წამოვხტი.

სწრაფად ჩავიცვი, დაბლა ჩავედი, ხელ-პირი დავიბანე და ჩემს დივან-საწოლზე ჩამოვჯექი — სკამი არ მედგა. ფარნას უნდა შევხვედროდი. უკვე წასვლის დროც იყო. რომ არავის დავენახე, უკნიდან გავედი ქუჩაში, ქუჩაში ნიაღვრები მოთქლიშინებდა, ფეხისწვერებზე წავედი სანაპიროზე. ზღვას შავ ზოლად აჩნდა ბასლას ნაკადი, უფრო შორს კი ამ თავსხმა წვიმასაც ვერაფერი დაეკლო, პირიქით, იქ ზღვა თითქოს უფრო დაწმენდილიყო და გალურჯებულიყო. თითქმის არ ღელავდა, თითქოს ჯერ მთლად არ გამოფხიზლებულა და ლურჯი საბნის ქვეშ ლოგინში ნებივრობსო.

ზღვა თანდათან ისე დაიწმინდა, თითქოს ციდან მისდღეში წვეთი არ დასცილებიაო, სულ მალე ქუჩებში ნიაღვრებიც დაშრა და მოწმენდილმა ცამ დიდ სარკესავით დაამუქა მიწას.

ასეთია აფხაზეთის ზეცა. სულ ესესაა თითქოს ქვეყანა ინგრეოდა, მაგრამ ორიოდ წუთში გამოიდარა, სითბო ჩამოდგა, თანამედროვე ახალგაზრდებივით წვეროსანი სოხუმის მთა ნეფესავით დასცქეროდა ქალაქს.

კაფეში შევედი. ფარნამ ვერ დამინახა.

— გამარჯობა, მივესალმე და დავჯექი.

კაფეში გალინა ბერკერი შემოვიდა, სიგარეტის ბოლში იყო გახვეული, წარმოუდგენლად მაღალ ქუსლებზე იდგა. წამოვდექით.

— დაბრძანდით, — გვითხრა მან. დავსხედით.

— ყავას მიირთმევთ? — იკითხა ფარნამ.

გალინამ თავი დაუქნია.

ფარნამ ყავა ყველასთვის შეუკვეთა.

— ალბათ, გალოდინეთ, — დაიწყო გალინამ.

— სულაც არა, მიუგო ფარნამ, — ჩვენც ახლა მოვედით.

— მაშ, მეურნეობაში სულ დაამთავრეთ სამუშაო? — დაჯდომისთანავე იკითხა გალინამ.

— დავამთავრეთ, — უპასუხა ფარნამ.

— ძალიან კარგია, — თითქოს სამუშაო ნახაო და მაღალი შეფასებით მიიღო, ისე თქვა გალინამ, — კარგია, კარგი. ახლა სხვა საქმეს უნდა მოვკიდოთ ხელი, სხვა დიდ საქმეს.

— რა თქმა უნდა, — კვერი დაუკრა ფარნამ.

— შენ რას იტყვი, ალხას? — გალინას ფარნას თანხმობის შემდეგ ჩემი თანხმობა, ნეტა ,რად უნდოდა?

— მე? — ვერ დავმალე გაკვირვება.

— შენა, შვილო, ჰო...

ეს „შვილო" არ მომეწონა. მართალია, უფროსია, მაგრამ მე რა მისი „შვილი" მნახა, რა ასეთი ახლობელია, ერთი!

— მე... არაფერს...

— შენ გამოგიძებნეთ ეგ სამუშაო.

— გმადლობთ, დიდად გმადლობთ, მე მუშაობაში რომ მონაწილეობას მივიღებ, ეგეც დიდი საქმეა.

— გალინას წყალობაა, იცოდე.

— რად სწუხდებოდით, — ზრდილობაზე დავდე თავი.

—ხელის მოწერაღა აკლია შეკვეთას. ყველაფერი მზადაა, ხელს მოაწერ და, როგორც იურისტები იტყოდნენ, კანონი ძალაში შევა.

ჩემი მომავალი საქმეც გამაცნეს. გალინამ თქვა, ამ შეკვეთას სხვაც მრავალი მოჰყვებაო. ასეთი მომგებიანი საქმის მონახვა არც ისე იოლი იყო, მაგრამ ნაცნობობით მოვახერხეთო.

— ალხას, — მითხრა ფარნამ, — დღესვე შემნახველ სალაროში წიგნაკი უნდა გახსნა. მანეთიც რომ შეიტანო, საკმარისია, მერე საბჭოთა მეურნეობას შეატყობინე წიგნაკის ნომერი და მთელ თანხას გადაგირიცხავენ.

— ასე ვიზამ, — ვთქვი მე.

7

ქუჩაში რომ გამოვედი, აბას ნაზბას შევეყარე. ძალიან გაეხარდა ჩემი დანახვა. ერთმანეთი მოვიკითხეთ.

— ხომ მშვიდობაა, აბას ჩემო, რაზე გარჯილხარ, — ისე ვკითხე, თითქოს სოხუმის მთავარი მასპინძელი მე ვყოფილიყავი.

— რაღაც-რაღაც საქმეების გამო ჩამოვედი, — ყრუდ მითხრა.

— კარგია, — უხერხულობის გასაფანტად ვთქვი მეც.

მერე სანაპიროზე გავედით და ჩამოვსხედით. ვგრძნობდი, რომ რაღაცის თქმა უნდოდა ჩემთვის, მაგრამ რა უნდა ეთქვა, ვერა და ვერ მივხვდი — ეტყობოდა, პირდაპირ დაწყება უჭირდა, ვერც მე ვაძალებდი, გინდა თუ არა, მითხარი ,გულში რაცა გაქვსმეთქი.

— სახლისკენ ხომ არ გაგივლია, ალხას, ამ ბოლო ხანს? — მომეჩვენა, რომ სათქმელს მიადგა.

— არა, ეს ერთი ხანია არ ვყოფილვარ.

—მე კი მეგონა იყავი.

— რატომ მკითხე?

— რატომ გკითხე და... სახლში თუ არ მიხვედი, ისე რას გაიგებ.

— რა ამბავია, რა მოხდა, აბას?

— რა მოხდა და მე და ბაძს უსიამოვნება მოგვივიდა. მეგონა იცოდი.

— პირველად მესმის... ღმერთმანი, არაფერი, არაფერი ვიცოდი.

— მჯერა.

— რა მოხდა?

— ხომ იცი, ალხას, საქმემ იცის ხოლმე...

— კი მაგრამ, თქვენს შორის რა მოხდა?

— ბაძის ბრალი იმდენად არ არის, მაგრამ როცა ნახა, რომ ქალს ვადანაშაულებდი, როგორც ოჯახის უფროსმა იწყინა და გამლანძღა. არადა, ცამდე

 

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლი ვიყავი, კაცობას გეფიცები.

— პირდაპირ მითხარი, რა მოხდა, აბას! — მოთმინება დამელია.

— პირდაპირ გეუბნები, — სულაც არ ჩქარობდა, ეტყობოდა, უსიამო ამბის მოსასმენად მამზადებდა, — ახლავე გეტყვი.

— გისმენ, — მოვემზადე.

— პირადად მე და ბაძს, ვიმეორებ, სადავო არაფერი გვქონდა, მაგრამ საქმეს საქმიანი მიდგომა უნდა, სხვანაირად არ გამოვა. ყველაფერი ცარუს ბრალია.

— რა ღმერთი გაუწყრა?

— კოლმეურნეობაში არ მუშაობს?

— როგორ?

— როგორ და არ მუშაობს.

— აბა, რას აკეთებს?

— ხან მოსკოვშია, ხან — როსტოვში, რაღაცა მიაქვს, რაღაცა მოაქვს, ერთი სიტყვით, დადის და ვაჭრობს. ჰოდა, სხვებიც ბაძავენ...

— ახლა...

— მისი საკითხი განვიხილეთ და ბაძს ეწყინა. რას არ ამბობენ ორთავენი ჩემზე...

აბასი კოლმეურნეობის თავმჯდომარესავით ლაპარაკობდა. რა თქმა უნდა, მთავარ აგრონომსაც აქვს ამგვარად ლაპარაკის უფლება, მაგრამ, მაინც, ნამეტანს ხომ არ იღებს თავის თავზე? თავმჯდომარე თავმჯდომარეა და აგრონომი — აგრონომი. „იქნებ, კოლმეურნეობის თავმჯდომარე დასასვენებლადაა და დროებით ეს ასრულებს მის მოვალეობას?“

როგორც იქნა, სათქმელი ითქვა და წასვლისას აბასმა კიდევ მისაყვედურა: მთლად კი ნუ დაგვივიწყებ, შე კაცო, ამჩაჭაში ჩამოდი ხოლმეო.

საგონებელში ჩავვარდი. „რა ეშველება ამ საქმეს? მაგ ქალს ვინ რა უნდა შეასმინოს. რაც ჩვენს სახლში შემოვიდა, ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ქვეყანაზე მაგისი დატევა არ იქნა. თავიდანვე მოერია მამაჩემს და ახლა მაგის მოთოკვა არ გინდა? ახლა, ეტყობა, მამაჩემი და სოფლის ხელმძღვანელობა ერთმანეთს გადაკიდა“.

მეორე დღესვე ჩაველი სოფელში. მამაჩემი გაბრაზებული დამხვდა. აბასზე ბრაზობდა, მაგრამ ნამდვილ მიზეზს არ ამხელდა.

— რა მოხდა, მამა? — ვკითხე მე.

— რა მოხდა და, აბასი არ გვასვენებს. ერთი დღით მეფობა ეღირსა და ას კაცს თავი მოჰკვეთაო.

— რა დაგიშავათ? გაბრალებთ რამეს?

— რა და, რაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე გახდა, სულ შეიცვალა. კოლმეურნეობის იქით თავისუფლად ფეხს არ გვადგმევინებს, გაგვამწარა და სული ამოგვართვა...

„აბასი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აურჩევიათ. ლაპარაკზეც ეტყობოდა. აბა, კოლექტივის თავმჯდომარეა აბას ნაზბა? თუმცა, რა, ახალგაზრდაა, მაგრამ უნდა შეიძლოს... ისე, ცოტა მეტიჩარა ყოველთვის იყო...“

— მაინც, რაო, რა გაგიკეთათ ცუდი? ჯიქურ დავუსვი კითხვა მამას.

— ცუდი რა გამიკეთაო? რა და, ის ქალი დაიბარა (თავის ცოლზე ამბობდა) და ყველას გასაგონად გალანძღა.

— ასე არ იზამდა! — შევეჰვდი.

— ზუსტად მასე ქნა! — დამიდასტურა მამაჩემმა.

— რაო, რას აბრალებს?

— არ მუშაობო... კარგად არ მუშაობო...

— მერე რატომ არ მუშაობს?

— რატომ და ვერ იცლის, ქალია, რა ქნას?

— სხვა ქალები ხომ მუშაობენ. ის, ვითომ, რატომ არ მუშაობს?

— აკი გითხარი, ვერ იცლის-მეთქი.

— ეგრე არ შეიძლება, მამაჩემო!

— კაცო, არყის გამოხდის ნებას არ გვაძლევს, — დაიწყო მამაჩემმა, — ის ქალი ბლისა და ჰაჭისგან არაყს ხდიდა ,მერე აგერ, ქვემოთ, მატარებელი რომ ჩერდება, ჰყიდდა და რაღაც კაპიკებს აკეთებდა. ესეც აუკრძალა. არყის გამოსახდელ ქვაბსაც წაგვართმე-

ვთო, გვითხრა, თითქოს მისი ნაყიდი იყოს. მამა უცხონდა! ვინ არის ეგა, ბოლოს და ბოლოს?! ქალი მაღაზიაში მივიდა და იმდენი შაქარი არ მისცეს, რამდენიც უნდოდა, აბასმა აგვიკრძალა, ნუ მისცემთ, არყის გამოსახდელად უნდაო. ასე, ყველა უფლებაწართმეულად, ლანდებივით ყოფნას რა ფასი აქვს? რაღაც უფლება ხომ...

— კანონით აკრძალული რაც არის, იმის გაკეთების უფლება არავისა აქვს, მამაჩემო! კოლმეურნეობაში არ იმუშაოთო, ხომ არ უთქვამს, ადამიანმა თავისი უფლებების გარდა თავისი მოვალეობაც ხომ უნდა იცოდეს.

— რას ამბობ, რას? — გაცეცხლდა მამაჩემი. — პირი ხომ არ შეგიკრავთ შენა და იმ შენს აბასს, რა ერთნაირად ჭიკჭიკებთ, ჰა? აბა, ჩვენ ჩვენი მოვალეობა არ ვიცით და შენ და აბასმა უნდა გვასწავლოთ? თქვენ დაბადებული არ იყავით, ჩვენ რომ...

— რა საჭიროა ასე გაცეცხლება, მამაჩემო. აბასი მართალია. მე სიმართლის წინააღმდეგ ვერ წავალ.

—აბა, მე არა ვარ მართალი? მხოლოდ მე...

— შენ რატომ? ჩვენ რომ ვლაპარაკობთ, იმ საქმეში ყველაზე მეტად ცარუ ტყუის. მის გამოა, რომ შენც და მთელ ჩვენს ოჯახსაც ასე უყურებენ...

— ასეთი მაინც რა ქვეყანა დააქცია? — შეწუხდა მამაჩემი, როცა შეატყო, რომ მეც კი, მის ღვიძლ შვილს, ვერ მარწმუნებდა თავის სიმართლეში, — თუ ერთ-ორ კაპიკს შოულობს, თავისთვის ხომ არ ინახავს, ოჯახისთვის უნდა, ყველასთვის უნდა...

— ცდები, მამაჩემო, ცოტა სხვა თვალით უნდა შევხედოთ ამ ქვეყანას. ადამიანი თავისი ეზო-კარის იქითაც უნდა იხედებოდეს. დღევანდელ დროში სხვაგვარად ცხოვრება არ შეიძლება.

რაკი დაინახა მამაჩემმა, რომ მხარი არ ავუბი, ცოტათი დაცხრა, უკვე აღარ მეკამათებოდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ აბასზე მაინც ნაწყენი იყო.

ასეთი მტრობა თუ ჩამოვარდა ჩვენს ოჯახებს, მე და ადას რა გვეშველება?

პატარა იმედს ღრუბელი აეფარა.

ვინ და რა გაფანტავს ახლა იმ ღრუბელს?

...თითქოს გუშინ იყო.

დილით ხეს ამოვეფარე. გარინდებული ვდგავარ და ვუცდი ადას გამოჩენას. გული საათივით მიცემს, საგულეში არ მეტევა, ლამის ამომვარდეს.

შორიდან დავლანდე.

ახლოვდება. აგერაა ,ახლოს, რამდენიმე ნაბიჯზე.

სულმოუთქმელად გადავევლე ორმოს და წინ ავესვეტე. შეშინებულმა შეჰკივლა და უკან დაიხია.

— ალხას?! როგორ შემაშინე!...

სკოლისკენ ერთად წავედით.

— ჩემი შეგეშინდა?. — გულწრფელად გავიკვირვე.

— შენ იყავი თუ სხვა იყო. რა ვიცოდი. სხვა დროს ასე არ შემაშინო, იცოდე.

— თუ მართლა შეგეშინდა, სხვა დროსაც შეგაშინებ ,იცოდე...

— ნუ იზამ.

— ვიზამ!

სხვა ვერაფერი ვუთხარი. ადა მერვე კლასში იყო მაშინ, მე — მეათეში. არცთუ ისე შორიშორს ვცხოვრობდით, მაგრამ სხვადასხვა უბანში, ის — ქვევით, მე — გორაზე, შარაგზაზე სხვადასხვა ბილიკებით გამოვდიოდით და სკოლაში ერთი გზით მივდიოდით. მე მიხაროდა მის გვერდით სიარული.

იმას?

მგონი, იმასაც უხაროდა. ხალისით, სიცილით მიამბობდა ათას რამეს. მის გვერდით რომ მივაბიჯებდი, ქვეყანა ჩემი მეგონა და ყველაფერი ლამაზი მეჩვენებოდა.

აფხაზურიდან თარგმნეს
ა. წვინარია-აბრამიშვილმა
და ჯ. თითმერიამ

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ამისულაშვილი

# არყის ტოტი

ბალადები მივიწყებული რვეულიდან

მე სარატოვში არყის ხე შემხვდა,
მომეწონა და... მოვტეხე ტოტი...
და ერთხანს მისი მშვენებით შემთვრალს
ავბედითობის ჩამიქრა შფოთი...
ჩვენი დროც დადგა, ჩამოჰკრეს ზარი
და ეშელონი გასცდა სარატოვს...
ლანდივით დავდნე, ო, მე იმ თარიღს
ვერ მივცემ წყვდიადს დაუსაბამოს...
მივქროდით, ფანჯრის ორმაგ ლორფინოს
თავს ევლებოდნენ არყის ფოთლები;
მინებს სინაზის ფერი მოჰფინეს,
შრიალით შეხვდნენ სხივებს
                    მოფრენილს.
და თვითონ ტოტი ტოლჩაში მდგარი,
თოვლის ფანტელზე უსპეტაკესი,
ისე ბრწინავდა, რომ დილის ცვარიც
ანთებულიყო ტრფობის ნაპერწკლით...
მივქროდით ასე... რუსული დილა
ფრთებს იბერტყავდა საშუადღეოდ;
ნისლის გრაგნილი დგებოდა ტბიდან,
თვითმფრინავები ცას მოარღვევდნენ...
ვიადუკებზე ჰკიოდა რკინა,
ბაქნებზე ქალთა ისმოდა ტაში;
ცერზე დგებოდნენ, მღეროდნენ
                    ტკბილად,
ვარდ-ყვავილები ებნიათ თმაში...
მივქროდი ასე... ის არყის ტოტი
ტამბოვის ახლო დავტოვე ობლად;
ახლოვდებოდა მგრგვინავი ფრონტი,
ცეცხლი სცვიოდა ლიანდაგს, ბორბალს...
მე მახსოვს, იგი როგორ ტიროდა,
როცა ქალები მოადგნენ სარკმელს;
ჰგავდა გადმოსულს მხატვრის ტილოდან
და თითქოს გულში იკლავდა სათქმელს.
სევდამ დააჭკნო მისი ფურცლები,
სევდამ შეცვალა მისი სინაზე;
ბრძოლის ველისთვის დარჩა უცნობი,
ცეცხლი აყვავდა ქვაზე, რკინაზე...
ასე მეგონა, იმ არყის ფურცლებს
თან გაჰყვა-მეთქი ჩემი ვაჟობაც;
შავი ღრუბელი დამეცა გულზე
და ცოტას დარჩა, რომ არ მაჯობა...
წამი წამს გაჰყვა, წუთები წუთებს,
მრავალმა დღემაც გადაიქროლა, —
და როცა დამჭრეს, ვიგრძენი უცებ,
ის არყის ტოტი რასაც ფიქრობდა...
ვიგრძენი უცებ, ამ ლამაზ ქვეყნად
რისთვის ხარობდა კოპწია ტოტი;
მე ახლაც მისი მშვენებით ვფეთქავ
და მოგონება ცრემლებად მოდის...

## რკინის ლაგამი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უზანგში ფეხი შევდგი თუ არა,
საყვირის ხმაზე დამიფრთხა ცხენი;
ნაბომბარ მინდორს გადაუარა
და ულრან ტყეში შეიჭრა ფრენით.
მხარში ხიშტივით მეძგერა ტოტი,
ქანცმილეული მოვწყდი უნაგირს;
მკერდქვეშ ნახეთქი დამიხვდა ლოდის
და ჩემს თვალებში ჩაღგა ბურანი.
დრო დაილია... და როცა ისევ
გაოგნებული მოვედი გონზე,
ტყეში კი არა, დარბაზში ვიწექ,
თავს მადგა ვიღაც ნაფიცარ მოძმედ.
რიაზანელი გამოდგა იგი,
პენზიდან თავის ნაწილს ელოდა:
ჯარისკაცური წესით და რიგით
სულ მცირე ხანში დამიმეგობრდა...
— შენს ცხენს ავშარა ვერას უშველის,
თუ არ ამოსდე რკინის ლაგამი;
მე გისახსოვრებ, ნუ იღუშები,
ნაწილს დაეძებ, იყოს ალალი! —
თქვა და უეცრად წარბი მოღუნა,
მერე რაფაზე დასწვდა მათარას;
ას-ასი გრამი შევსვით მოყვრულად
და ჩვენი თრობაც ამით დამთავრდა.
გამოველ... ცხენი კარებთანება,
ლაგამს ძაგრავდა ავშარის ნაცვლად;
გულს დამეუფლა უსაზღვრო შვება,
მოვსინჯე ხელით უზანგის თასმა...
გათენებისას მივადექ ნაწილს,
მხედრები უკვე ცხენებს ჰკაზმავდნენ:
მეზარბაზნენიც გალავნის გასწვრივ
მწვანედ ნილბავდნენ დიდრონ
ზარბაზნებს.
ჩამოსასხდომად სადლა მცალოდა,
კოლონის თავში გავჩნდი მაშინვე;
დავჯერდი, ბედმა რაც მიწყალობა,
თუმც დაღლილობას ვგრძნობდი
საშინელს...
ჩემს ცხენსაც მთელი ღამის ნარბენალს
ძალა შევატყვე დაუშრეტელი, —
ცეცხლი დაანთეს ქვებზე ნალებმა,
ისევ გაღომდა ლაგმის მკვნეტელი...
მე არავისთვის არ მითქვამს მაშინ,
თუ რა შემემთხვა გზაში მარტოკას;
მარტო ნალების წკრიალა ხმაში
სიმამაცეზე ფიქრი მატკბობდა...

## გ !ტეხილი ფიცი

თუ არ გახსოვს, გაიხსენე
საქსონიის მთები.
იცი? დღესაც მე იმ დღეთა
მოგონებით ვტკბები.
იქ ხომ დიდი გამთიადის
გაგვეშალა ფრთები...
ელბა!
ელბის ნაპირებზე
კოცონების ელვა:
სიზმარივით გაფრენილი
სისხლიანი დელგმა...
ქუდზე
ვარსკვლავს ნატრობდი და
გისახსოვრე კიდეც, —
და მჯეროდა, სამშვიდობო
კარიბჭესთან იდექ,
შენთან შენი მეგობარიც
არ ჰკარგავდა იმედს...
ახლა სად ხარ,
სად გაჰყევი
ყაჩაღების ლაშქარს?
რად დაიდგი მუზარადი,
რად აიღე დაშნა?
რად გაუხდი ბოროტებას
საიმედო ჯავშნად?!
თუ კი
შენმა მეგობარმა
არ გატეხა ფიცი,
რისთვის ცოცხლობს ქვეყანაზე,
იცოდა და იცის,
განა შენ კი არ შეგეძლო
მშვიდობისთვის ბრძოლა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრებთან მეგობრობა,
ძმებთან კიდევ ძმობა?!.
მაგრამ
ისე დაგიბრმავეს
დოლარებმა თვალი,
რომ ლაჩარზე ულაჩრესი
დახვალ სისხლით მთვრალი...
თუ არ გახსოვს, გაიხსენე,
დასძარ ფიქრთა ჩქერი,
რა უყავი, სად დაჰკარგე
სახსოვარი ჩემი?!.
ძლიერია ხმა სიმართლის,
გაჰკვეთს ყველა მანძილს:
ყური უგდე ნამეგობრალს,
ავსებული ღვარძლით: ..
— შენვე გწყევლის შენი კერა,
შენი ღვიძლი დედა,
შენვე გწყევლის შენი შვილი,
სიზმარში რომ გხედავს...
შენთან ერთად
შენისთანა
სხვაც ბევრია ალბათ.
იყოს! მოჰქუხს წასალეკად
წამოსული ტალღა...
გულით მუდამ ლომი არი,
ვინც სამშობლოს იცავს;
ერთს ათასთან შეარკინებს
მშობლიური მიწა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილარ ივარდავა

## მარიკა ჩიქოვანს

არა იმიტომ ჩანს უცნაურად
ხვედრი, რომელიც შესთხოვეთ მოყვასთ,
ბეატრიჩე თუ ასი ლაურა
თქვენს წინ გახუნდა —
ციებას მოჰგავს.

არა იმიტომ ჩანს უცნაურად
ცოცხლებში თქვენი ბედის განგება —
გამომალღვიძა გულის ხმაურმა
და ცხადი ტანჯვა შემომაგება...

დაუჯერებელს უნდა გაგება,
ჭიამაიის ფრთებით გალობა —
ჩემი სათქმელი გახმეს ბაგესთან,
თუ შეღავათთა გსურდეთ წყალობა!

რაც არ უნახავთ, რაც არ სმენიათ,
რად უნდა
ლექსი, სტროფი, გრაფიკა, —
ღვთისმშობლის ცრემლად წინ მისვენია,
თქვენი ცრემლები, დედა-მარიკავ!

ხომ დათრთის ხეთა ფოთლებში სიო —
ნიშანი მიწის სუნთქვის და ფეთქვის...
მაისს ახვედრებთ დიდებულ სიმონს,
მაისს — ანთებულს თქვენივე
ფერფლით!

არა იმიტომ ჩანს უცნაურად
ხვედრი, რომელიც ფესვია ფერთა —
ბეატრიჩე თუ ყველა ლაურა
ჩაფერფლილია
თქვენს ძვირფას ფერფლთან!

* * *

არვინ მაღირსა სულის ცხონება,
ხვალის დღე, ალბათ, უფრო მწარეა, —
აუწყობელი ჩემი ცხოვრება
შენმა გრიგალმა სულ მთლად არია!

საბრალო გულო, არ გიხარია,
ვინ მოგიჩინო დღეის მსაჯულად —
ო, მორწმუნენი ნეტარ არიან,
ურწმუნო დავრჩი და მაჯლაჯუნა.

თითქოს წაართვი სულს გასაღები,
შენს ხატს ვემონვი ხვეწნა-
ვედრებით,
გასისხლიანდა ზეცის თაღები,
ვკვდები და მაინც შენ მახსენდები.

მოვარდნილ ძაბვით, ვითარც ნათურა
წამის წამწამით გადაიწვება,
ისე დამფერფლა სულის ფათურმა —
არყოფნის ღამეც მალე იწყება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

გხედავ ტალღაში,
მზეში,
ყვავილში —
მელანდები თუ ძალზე მინდები —
ჩავარდნილია გულის კლავიში,
სულის მუსიკას ხსოვნად სჭირდები.

ოთახი გახდა ჩუმი საკანი:
სკამი, წიგნები, ბზა, აბაჟური,
პირველყოფილი ფოთლის კანკალი —
გულუბრყვილო და ძალზე ბავშვური.

წამწამზე ბზინვა ცრემლი ობოლის,
ბაგეთა შენთა ნაამბორალის, —
ძნელი, ვითარცა გზა აკროპოლის.
კვნესა, ო, კვნესა
ჩავლილ ქორალის...

ვისმენ ტალღათა გულწასულ ქვითინს—
იწვის ტალღაზე მზე არეკლილი —
გამქრალა ჩემი სიმშვიდის მითი —
კართან წკმუტუნებს მცივან ლეკვივით!

* * *

ფოთოლას

მარტი უკვე მარტობდა,
ირთვებოდა ტყის გული
და სიზმრებით მათრობდა
შორეული ტყიბული.
ვაზი ზვარში ტიროდა,
იშლებოდა ჭილოფად,
გული რასაც ყვიროდა,
თურმე იყო ჭრილობა.
ის უმანკო ცრემლები,
მართლაც გასაკვირველი,
იყო მარტის ტყემლების
ყვავილობა პირველი;
მზეს ირეკლავს ისევე,
თვალს მჭრის,
ველარ ისვენებს,
სევდა კიბეს მიშენებს
და ვერავინ მიშველის!

აი, წლების ჯარობამ
ვერ დანისლა მთის წყარო, —
რასაც გული გალობდა,
გალობს, დაუვიწყარო...
ასე არის ყოველთვის
ის პირველი ხარება
და მით უფრო პოეტის
ცეცხლში აბრიალება;
უნაზესი მანქანით,
ფოთოლ, ჩვენი ჭრილობა —
ისევ ხსოვნის მაქმანით
იქსოვება ჭილოფად.
გახსოვს, დაუვიწყარო,
მწვანდებოდა ტყის გული?!
ჰგავდა მაღლა, მთის წყაროს,
უცოდველი ტყიბული.

* * *

წლები?
ელავენ ელვის უსწრაფეს
და ორი ფერი: მარცხნივ თუ მარჯვნივ,
(შავი თუ თეთრი)
აკვნესებს არფებს —
ზღვას კი აბრმავებს კიაფი მარჯნის.

გაურკვეველი შენი ასაკი,
დღეს სიზმრის ფერებს სიზმარში
არკვევს
და ვნებაც, როგორც მშრალი ასანთი
აენთება და...
ცახცახებს სარკე

მე კი?
ო, ჩემი წარსულის სხივი
დაბურულია დაკარგვის შიშით, —
მაინტერესებს რომელი ხილვის
გარკვევა გინდა ფეროვან ძილში?!

* * *

ვამბობ: „მახსოვს“ და...
მე თვით არ ვიცი,
სჭირდება ვისმე, რაც ახლა მახსოვს?!
აი გაფრინდა მარტი, მაისი...
მინავლდნენ დღენი,
მაგრამ აპრილი გულს სევდას აქსოვს!

როგორც მზეჭველი მაქოზე ძაფებს
ართავს და ართავს;
ივნისს თუ ივლისს,
ვხედავ, აპრილი სუნთქვას უმძაფრებს
და იფრენს ასე —
იფრენს თუ ივლის!

რაც მახსოვს — მახსოვს!
აწ მარადისად მემახსოვრება!
სევდა ნამდვილი ყოველთვის ფასობს —
ან კი უმისოდ რაა ცხოვრება?!

რა დარჩა ახლა იმ აპრილიდან —
გინახავთ ქრქოლა ცაში აფრენის?!
უბოძეს ღამეს რამე დილისგან —
არაფრის გარდა ხომ არაფერი?!

* * *

შენ რა გგონია, სულის ნათელო,
ლიმონისფერი დაისის მიღმა —
მთვარის ჩანჩქერი რომ გადათელო,
იპოვი ღამის იისფერ ნიღაბს?!
დუმილი, ნეტავ, რას მივაწერო,
ალბათ, ვნებათა დაცხრა ღელვანი,
ფრთადამსხვრეული ქარს მიაქვს წერო
და იწურება რწმენის მტევანი.
არარას მაცნობს დღეის ძახილი,
გინდა იტირე,
გინდა იცინე —
მალე დამოკლეს მჭრელი მახვილი
სისხლში ჩაწურავს თოვლის სიცივეს!

* * *

ზღვის პირას —
ჩაშლილ, ხრტილოვან ქიმზე,
იოდისფერი ნაძვის რტოები,
თრთის და კანკალით თვალებში
მიმზერს —
მსხვერპლი ხვალინდელ ამაოების.
ნაძვის ფესვები — მჭკნარი ძარღვები—
აჩინჩხვრავს ნაპრალს
გლუვლოდებიანს —
წერა გახდება მალე ტალღების,
ჟამს გაქრობისა დალოდებია.

ოდეს წარსულის ლამაზი მითი
დღეს არვის ახსოვს,
დღეს არვის სჯერა! —
იქნებ მეც ამგვარ საათებს მითვლის
ნაპრალთან მდგარი დღის ბედისწერა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ლიანდაგები —
გაყინული იანვრის ხელი,
შენსკენ გაწვდილა და...
ლოცვა მესმის, —
ძვირფასო ჩემო,
ფიქრი გაკრთობს თუ ფიქრი გშველის,
სული მწვანდება თუ
გამხმარა ლოდინის ფესვი?!
შორი მანძილი სხვა რაღაა —
არის ვედრება,
ის დუმილია,
ის ქაფია დალეწილ ტალღის;
ხედავ? დღეს მზეში
გამდნარ ფიფქებს უფრო ვედრებით —
დრო გადის ასე
და ვინ გვეტყვის:
დარჩითო ბალღნა!
წამები კვლავაც
ცივი სევდის სახლს მიშენებენ, —
მიწამდე მაინც ნუ გაქრები,
ფარფატა ფიფქო,
ვინლა იდარდოს წამიერად
ჩვენს სიშორეზე, —
სხვას რაღას ეტყვი,
როს ჟამი-ჟამ
ჩვენც აღარ ვფიქრობთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი გიგაური

## ყირიმული საუბრები

— იალტა მინდა...
— კიდევ შორია!
— ჩავაღწევ, ქალავ, თუ დამაცალე,
— გასაოცარი რწმენა გქონია,
— ნუ გეწყინება, შენ გენაცვალე!
— პირიქით, შენ ხარ ჩემი სტუმარი,
შენ ხარ ლამაზი მიწის მგოსანი,
იალტას გრძნობებს ვერ დაუმალავ
და გავიხარებთ ლექსის მოსავლით.

ქალაქი, პორტი, ცეცხლი ყვავილთა
მატკბობს და ვამბობ:
— როგორ გაზრდილხართ!
უკრაინელი მოსულს ფშავიდან
მპასუხობს:
— ნიჭით, შრომით, გარჯითა.
— და ქარავანიც გოლიათ გემთა
რვალის ბორბლებით დროს მიაგორებს,
— მთაშიც ეპოქის სიცოცხლე ფეთქავს,
— კარგის მთქმელს უნდა კარგი
გამგონე...
ვაქკაცს ღიმილი შეურხევს ულვაშს:
— რა შეედრება ამ თბილ მასლაათს,
— მე მეგობართან ვერ მნახავ მდუმარს,
— მეც ასეთი ვარ, მაგრამ გასვლაა.
მიწვდის მარჯვენას, გემისკენ გარბის
და ტრაპზე ასვლის თადარიგს იჭერს,
თან ყვირის, მართლაც, გახსნილი
წარბით:
— ჩემი მოკითხვა თბილისელ ბიჭებს!
...ჩირაღდანივით ელავს იალტა,
ლამაზთა სუნთქვა არხევს დაფიონს,
როგორ იქნება თვალებმზიანთან
ღამე სიმღერით არ გავათიო.

გაშლილ ველებზე ლექსად ვკითხულობ
ყირიმში მოსულ ქართულ რქაწითელს,
ვენახო, უნდა გამადიდგულო,
ზედაშეს ყანწით უნდა მაწვდიდე.
შორს სივრცეებში უნდა გაფრინდე,
დაუსრულებლად და გატაცებით,
შენი ბილიკი რომ არ გაწვრილდეს,
გაიყოლიე სახლიკაცები.
მდუმარე ტრამალს ჩაწვდი ფესვებით
და მოურჩინე ყამირს ჭრილობა,
მეზვრე, მებაღე, მხვნელი, მთესველი
ლოცავს შენს ჯიშს და გვარიშვილობას.
შენს მოამაგეს ვხვდები გულღიად:
— ვიტია, ვაზის ნერგი გიხაროს,
— გვალვას და ქარებს ქედს არ უხრიან,
— მაშ შენც გამხნევდი, არ დაიღალო.
— რა დამღლის მზიან ზვრებზე
ზრუნვაში,
მისი სიკეთე სულში ფართქალებს,
გადავილევე ღვინით ულვაში
და ტოტებისგან ჯვარი გავთალე.
— მწვერვალებისკენ გევლოს ვაზივით,
ყურძნის წვენივით ლალი მენახო,
არ მოგაკლდება, ძმაო პატივი,
როცა ვენახი ასე ვენახობს.

ძრავის გუგუნში გზა იკეცება,
თვალნი ნამიან ყვავილნარს ძოვენ,

ჭაბუკი ამბობს ფართობეჭება:
— ახლა ჩვენ ჩანჩქერ უჩან-სუს
ვტოვებთ.
შორს აიპეტრის მოჩანს მწვერვალი,
გველეშაპივით რომ ასვეტილა,
— ძილში მებრძოდა მხეცი ვერანი,
— დე, ეგ სიზმარიც ახდეს კეთილად!
აგერ გაშლილა „ზღაპრების ველი“
გულგასახარად ცეროდენების,
გოლიათების ქანდაკი გველის
და ბურატინო — გაშლილ ხელებით.
— ჩუ, მგონი ისმის ირმის ყვირილი,
ტანში აჟრჟოლებს მთათ და მინდორთა;
საზღაპრეთია მთელი ყირიმი,
„ზღაპრების ველი“ რაღად გინდოდათ
...ძრავის გუგუნში სივრცე იშლება,
ქარმა ქედიდან ნისლი აჰყარა,
მზე დაწურვილა სხივთა ისრებად
და ჩვენ გვპირდება ხელში აყვანას.

ეს საოცრება მსოფლიოს სწვდება,
მსოფლიოს ბავშვებს არტეკი ართობს,
ზღვას ეფინება წყებად და წყებად
გაშლილი თმები, თვალები ფართო.
— ძია, — მომითხრობს
ყელმოღერებით, —
დღეებს ვატარებთ ლხინში, ღიმილში,
ჩვენ მზე გვიჭირავს ნაზი ხელებით
და ჩვენს ბანაკში მზეს აქვს ფინიში.
— სამაგიეროს მამულიც ითხოვს:
„მომრთეთ მზითა და მომრთეთ
ვაზითო“...
და მე რომ მკითხოთ,
და მე რომ მკითხოთ
ტალღაც მწვერვალზე უნდა აზიდოთ.
უნდა ამაღლდეთ, უნდა აშენოთ,
ალაგმოთ თუკი ქარი თარეშობს,
ჩვენო ფიქრებო, ჩვენო ბავშვებო,
ვრცელია თქვენი სასპარეზო.

ალუშტა ზღვას სვამს ორპირი ქარით
და მიწას კოცნის ყვავილთა ფრთებით,
ქალაქს სტუმრისთვის ღია აქვს კარი,
პლაჟზე ირევა ფერადი ხმები.
ხარაჩოებთან შევხვდი ქართველებს:
მხატვრებს, ხუროებს,
დურგლებს, მლესავებს,
ნანგრევებს მათი ხელიც ამთელებს,
ლოდებზე მათნი თვალნი კვესავენ.
— ღმერთმა გიკურთხოთ მაჯა და ნიჭი,
ვარ მაქებარი თქვენი ღირსებას,
— გაჭირვებაში გატანა ვიცით,
მაინც თბილისზე ფიქრით ვივსებით, —
სოსო სიტყვის თქმას არავის აცლის,
თან მშვიდად ფურცლავს აღებულ
ვალებს,
— ძმებო, შეხვედრის ავწიოთ თასი,
დავლოცოთ ჩვენი ტკბილი და მწარე...
და ფანჩატურში იშლება სუფრა...
— ქართული ეშხი თუმცა არ შვენის,
მოდით, არავინ არ დარჩეს უბრად,
უნდა გავლაღდეთ,
არ გვაქვს საშველი! —
სოსო ღვინოზე ხელგაშლით გვიხმობს,
ლხინი განცდათა ზენიტზე ადის,
ლურჯად კიაფობს საღამოს მწუხრი
და გვეფერება მთაწმინდის ლანდი...
არა მაქვს დარდი ზომასგადასვლის,
აქ მეგობრობის წკრიალებს ქნარი,
გულს ეფონება ერთი ასული,
თმაგაწეწილი ალუშტის ქარით.
ხან სხივი კოცნის, ხან ბურავს ნისლი,
ხან მპყრობელია, ხანაც ვასალობს;
— დამჭერი ლურჯი თვალების ისრით,
მარინე ჰასანოვ!

— ამ ლოდებს ჩემი სისხლი აცხია,
სიმფეროპოლის ლოდებს შავოსანს,
გავიმარჯვე და მაინც მარცხია —
ჩამომაბერა ომის ქაოსმა...
მერეც რამდენი ოფლი დავღვარე,
ქვა და აგური ვაწყე რამდენი,
აღარ გამაჩნდა არც დღე, არც ღამე,
ვბორგავდი, როგორც ცეცხლი
მარტენის,
— აი, შევხარით სახლებს, ბაღნარებს,
ახალ კვარტალებს შენგან ნაშენებს,
— ყოველი ქუჩა გულით მახარებს,
ყოველი სკვერი სულით მასვენებს.
მაინც არ მტოვებს ფიქრი წარსულზე,
ფიქრი კი არა, ცხელი ალმური,
მცირე მიწაზე ცურვით გასულებს
კბილით გვეჭირა ბედი მამულის.
— ქართველებიც ბევრი იმსხვერპლა ომმა,
სისხლის ზღვა მკერდზე გადაიგორეს,

— მახსოვს მტერს ლეწდნენ ბიჭები
ლომა,
მაგრამ სახელებს ველარ ვიგონებ.
— მოხუცო, მზე და მშვიდობა გქონდეს,
ზარბაზნების ხმა არ გაგეგონოს,
გეფერებიან ზღვაცა და კბოდეც,
ოლეგ ეგოროვ!

გემბანზე ისევ ნანდაურს ვხვდები,
უკვე მიდიხარ? — ნაზობს მწყერჩიტა,

— თან მიმყვებიან მაღალი ხმები,
გზები შენი მზით გადამჩრდილა.
...ზღვამ ფრთა შემოჰკრა კლდეებს
გოლიათს,
ტალღებმა ხეთა მწკრივი დაცვარეს,
რა დიდებული მიწა გქონია,
ჩემო ყირიმო, შენ გენაცვალე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# მძიმე ჯვარი

რომანი

წიგნი მეოთხე

## მუმლი მუხასა

### თავი ოცდამეცხრე

ღამით ქვენა ქარმა დაუბერა, სუსხი მოიტანა, ღრუბელი წამოვიდა და თოვა დაიწყო. თოვლს უკვე აღარ ეგვიანებოდა, ბარბალობას ვაკე იმერეთი მუდამ მინდორ-ველგადათეთრებული ხვდებოდა ხოლმე, მაგრამ წინადღეს იმისთანა მზიანი დარი იდგა, კარში ჩამომდგარი ზამთარი არც არავის ახსოვდა.

თვალი რომ გამოახილა, სასთუმლად ამოდებული. უნაგირიდან თავი წამოსწია და წამოდგა, როსტომმა თოვლის სუნი ეცა და კარვიდან გამოსვლამდე იგრძნო, რაც მომხდარიყო.

„ეს ცუდი ნიშანია, — გაიფიქრა მან და სასწრაფოდ თოფ-იარაღის ასხმას შეუდგა. — ამ დალოცვილ ბუნებასაც ჩვენს წინააღმდეგ შეუკრავს პირი. ღმერთო და იესო მაცხოვარო, ბრავალზლის წმინდა გიორგი, სიკეთე ქენი, გელათის ღვთიშობელო, შენ შეგვეწიე, მტერს ნუ გამიხარებ, მე და ჩემი ბიჭუნეები შინ მშვიდობით მიგვაბრუნე! ნაქერალზე წუხელ არშინ თოვლს დასდებდა. თუ ასე ითოვა და ცა ცაირად ჩამოვიდა, სულ ველარ გავინძრევით. ეს რავა მომივიდა, ასე რავა მოვტყუვდი მე უბედური, რომ შვილებიანა ევიყარე და ხუთასიოდე კაცის იმედად ზამთრის პირზე რაჭიდან გამოვედი!“

შუადღე იყო, ავი წინათგრძნობით კრიჭაშეკრულმა ერისთავმა და მისმა მცირერიცხოვანმა ლაშქარმა სატახტო ქალაქი ქუთაისი, ისიც თოვლით გადათეთრებული და ნისლში თუ კვამლში ჩაძირული, რომ მარჯვნივ დასტოვა, საფიჩხიის გორაკები გადაელო და კახნიაურის ვაკეზე გავიდა. როსტომის აზრით, თუ საფრთხე მოსალოდნელი იყო, ჯერ კიდევ შეიძლებოდა ამ საფრთხის თავიდან აცილება. ქუთაისის ციხე და მამედ-ალი კიკიან-ფაშა, რაჭის ბატონის ძველი ყონაღი და საქმეში მხრის ამბმელი, როსტომსა და მის თანმხლებ ლაშქარს პირველ დაძახებისთანავე შეიფარებდა და სისხლმოწყურებულ სოლომონს პირში ჩალაგამოვლებულს დასტოვებდა, მაგრამ მოხუცებულ ერისთავს ახლა ამ თავისი ფიქრის გამხელაც ერცხვინებოდა და ბედს მინდობილი, თითქოსდა ვიღაც მიერეკება და

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7.

3. „მნათობი“, № 8.

უკან მოხედვის ნებასაც არ აძლევსო, სულ წინ და წინ მიიწევდა.

ნაქეიფარი ერისთვიშვილები მხნედ გამოიყურებოდნენ. აგიაშვილის პურმარილს და იქაური ყმა-გლეხობის გულითად დახვედრას ყველა ერთნაირად მოეხიბლა და გაეხარებინა, მხოლოდ მეფე სოლომონის უზომოდ მოძულე ნაბერალ მეთოდეს წახდენოდა გუნება და ლალად მოჯირითე ძმებისაგან თავი შორს ეჭირა.

აჯამეთის ტყეში შესვლამდე ბევრი აღარაფერი აკლდათ, როდესაც გეგუთის ბორანის მხრიდან, დანგრეული ქვეყნის შენებაში გართულ სოლომონს სულ ახლახან რომ გაემართა, ათი თუ თხუთმეტი მხედრისაგან შემდგარი რაზმი დაეწიათ. მხედრებმა, ყურადღება რომ მიეპყროთ, ჯერ თოფები დასცალეს ჰაერში, მერე ცხენებიდან ჩამოქვეითდნენ, ერთად შეჯგუფდნენ და ქუდების ქნევას მოჰყვნენ.

— ვინ არიან? ჩვენ გვეძახის ვინმე? — იკითხა როსტომ ერისთავმა და მზერა პატარა გორაკს მიაპყრო, სადაც უცნობი მხედრები იდგნენ და მათს გასაგონად რაღაცას ყვიროდნენ. სუსხიანი ქარი აქედან იქით ქროდა. რისამე გაგონება შეუძლებელი იყო. გიორგი სარდალმა ერისთვიშვილი ბარძიმი გაგზავნა ათი კაცით. მეთოდე წინააღმდეგი იყო: რაღა ჩვენ მივაკითხოთ და თავი დავიმდაბლოთ, თუ საქმეზე მოსულან და რისამე თქმა სწადიათ, კეთილი ინებონ და გვეახლონ, რა შორიდან გვიხმობენო. ბარძიმი მალე დაბრუნდა და, ყველასადა გასაოცრად, თან ზემომხრის სარდალი ქაიხოსრო წერეთელი მოიყვანა. დანარჩენი მხედრები ისევ იქ, გორაკზე იდგნენ და, ალბათ, მის უკან დაბრუნებას უცდიდნენ.

— სალამი და გამარჯვება, ქაიხოსრო ბატონო! — მიეხალისა თავის დაუძინებელ მტერს როსტომ რაჭის ერისთავი. მისთვის დღესავით ნათელი იყო, რომ მეფესთან საუკუნო ზავის ჩამოგდება, რისთვისაც რაჭიდან აქ ჩამოიყვანეს, მოქიშპე წერეთლებთან ერთხელ კიდევ შერიგებასაც თავისთავად მოასწავებდა. — ეს რა მოულოდნელად შეგვითოვა, კაცო, დასტურ საკურდღლეო ამინდია!..

წერეთელს სახე გაებადრა, ორივე ხელი გაშალა:

— მეც სწორედ მაგაზე გეახელი. მეფემ საკურდღლოდ წაბრძანება ინება და ერთობით ყველას გვეპატიჟება!

სოლომონის ბატონკაცური შემონათვალი, ვით უბრალო შიკრიკმა, თვით ზემომხრის სარდალმა, არგვეთის სადროშოს პირველმა კაცმა რომ მოუტანა, როსტომს არაფრად ეჭაშნიკა, მაგრამ უნდობლობა რომ არ გაემჟღავნებინა, ეს არ შეიმჩნია და დილის არყით გახურებულ წერეთელს კვლავ ხალისიანად შეესიტყვა:

— ეგ ურიგო როდია, ბატონო ქაიხოსრო, ჩვენც ხიამოვნებით გავმართავდით მუხლს, მაგრამ ამხელა ჯარით საკურდღლოდ წასვლა, ჩვენ რომ გვახლავს, შენგან პირველად მესმის. ჯერ ვარციხეს მივსულიყავით, შენის სიკეთით, ჯარი დაგვებინავებინა...

როსტომი თავს იფასებდა. ამით მეფის ერთგულ კარისკაცს აგრძნობინებდა, რომ საკურდღლოდ და საცუღლუტოდ აქ სულაც არ იყო ჩამოსული. მეფეს ერისთავისადმი მეტი მორიდებისა და პატივისცემის გამომჟღავნება მართებდა.

— ბატონი გალმა გვიცდის, გეგუთში, ძაღლებიც იქ გადაგვაყვანინა და მარეკებიც. თქვენს მოსვლამდე ფეხსაც არ მოვიცვლითო.

როსტომი აიმღვრა, ორცეცხლშუა მოექცა: ან ახლავე, საქვეყნოდ უნდა ელიარებინა, რომ ყბადაღებულ კურდღლაობას მეფის მიერ დაგებულ ხაფანგად თუ არა, მისდამი უპატივცემულობის გამოხატულებად მაინც თვლიდა და აქედანვე უკან, რაჭაში უნდა გაბრუნებულიყო, ანდა წყენა გადაეყლაპა, შემონათვალი უყოყმანოდ მიეღო და განკარგულება გაეცა, რათა ჯარს პირი ებრუნებინა და ვარციხის მაგიერ გზა გეგუთისაკენ აეღო. ყველაფერი ყველა-

ფერი და, ამ თოვაში ცხენი და კაცი რიონში როგორ შევიდოდა! როსტომს კარგად ახსოვდა, რომ გეგუთთან ფონი არსად იყო. გაღმა გასვლამდე ცხენიცა და კაციც ყინულივით ცივ წყალში ამოევლებოდა და, მტრისას და ავისას, იქ რომ რაიმე ფარსაგი შეხვედროდათ, ვაითუ ხელიც ვეღარავის გაენძრია!..

— წყლის შიში ნუ გაქვს, ბატონო როსტომ, — ქაიხოსრო წერეთელი თითქოს გულში უჯდა, ადვილად მიუხვდა წუთიერი შეფიქრიანების მიზეზს და უმალვე მიაშველა: — გაღმა ბორნით გადავალთ, ფეხიც არ დაგისველდება!

როსტომმა ერთი გაჰხედა ჯგუფად მდგომ რკინისმკვნეტელა შვილებს, თავშეკავებული მღელვარებით რომ ელოდნენ მამის გადაწყვეტილებას, ერთხელ კიდევ მიმართა ზენაარს. ჩამაგონე, როგორ მოვიქცეო, სიცოცხლე და ვაჟების ბედი ბოლოს ყოვლის გამრიგე ღმერთს მიანდო და ზედმეტი ყოყმანი რომ არავისთვის შეემჩნევინებინა, სადავე მოზიდა და ცხენი იქით მიაბრუნა, საიდანაც რამდენიმე წუთის წინ ზემომხრის სარდალი ქაიხოსრო წერეთელი შემოუერთდათ.

აქეთ გზა უვალი იყო. თოვლს ოღრო-ჩოღრო ადგილები ამოევსო და ტრიალი მინდორი ხელისგულივით გაესწორებინა. ალაგ-ალაგ ცხენები დაჭაობებულ ყამირში ეფლობოდნენ და აქამდე ხელუხლებელი სპეტაკი თოვლი ტალახის შხეფებით ილებებოდა.

ბორანი შორიდანვე დაინახეს. ის დინჯად მოცურავდა გაღმა ნაპირიდან, რომლის უკანაც, ასწლოვან მუხებში, ჰასან-ფაშას შემოსევის დროს დამწვარი თამარისეული სასახლის მაღალი გალავანი და უვნებლად გადარჩენილი კარის ეკლესიის სამრეკლო მოჩანდა. რიონი აქ შედარებით ვიწრო იყო, მაგრამ რაჭისა და ლეჩხუმის პატარ-პატარა მდინარეებით გალონიერებული მაინც ზღვასავით მდორედ და გულსავსედ მოედინებოდა. ფსკერი არსად ჩანდა. მოლურჯო წყალი აქა-იქ თეთრად იქოჩრებოდა, ბუშტულებიან ქაფს იყენებდა და ტალღებს ჩუმი ტლაშუნით მონაცავებდა. მართლაც შეუდრეკელი ვაჟკაცი უნდა ყოფილიყავი, ანდა თავს დიდი გაჭირვება უნდა გდგომოდა, რომ გაგებედა და მორევს ცხენდაცხენ შებმოდი.

როსტომი უზანგებზე შეიმართა და ნაპირს გახედა. ასობით მხედარი ბორნის აქეთა ჯიხურის გარეშემო გროვდებოდა და უდაბურ მიდამოს ცხენების ჭიხვინით, ხმამაღალი შეძახილებით, მათრახების ტყლაშუნით და იარაღ-საჭურვლის ჟღრიალით ავსებდა.

მუხის დიდრონ-დიდრონი ფიცრებით შეჭედილი ბორანი, რომელიც ზამთარშიაც წყალუხვი მდინარის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირამდე გოლიათის ხელით გაჭიმულ ჯაჭვზე იყო ჯალამბრით გამობმული, სამნავიანი აღმოჩნდა. ოციოდე კაცი და ამდენივე ცხენი, იქნებ ცოტა უფრო მეტიც, ზედ თავისუფლად მოთავსდებოდა. სამმა ჟღალწვერა მებორნემ ყიჟინითა და ორთაყვირების მარჯვე ტრიალით ის რომ აქეთა ნაპირს მოაყენა და ქვიშაში ღრმად ჩარჭობილ რკინის პალოზე გამოაბა, ქაიხოსრო წერეთელმა კატასავით მოქნილი მომცრო ცხენი ზედ მიაგდო, ბორანზე გადავიდა და მჭექარე ხმით დაიძახა:

— ბატონო როსტომ!... მობრძანდი!.. ბორანი ჩვენ გვიცდის!..

ეს ისე უცებ და ძალდაუტანებლივ მოხდა, როსტომი არც დაფიქრებულა, სადავე უკან მოზიდა, ცხენი ყალყზე შეაყენა და მერე წინ მიუშვა, რათა წერეთლის კვალდაკვალ ბორანზე გადასულიყო, მაგრამ ცულის პირივით ალაპლაპებული რიონის დანახვაზე პირუტყვი დაფრთხა, გაჯიუტდა და პატრონს გვერდზე ისე მოულოდნელად გადაუხტა, ამდენი მტრისა და მოყვრის თანდასწრებით, კინაღამ ძირს გადმოაგდო.

— უყურე შენ, წყლის შინებია ამ საწელკავეს! — სიცილით შენიშნა ქაიხოსრომ. — დოუარეთ, ბიჭო, თავი, მოაძახეთ, ხომ ხედავთ, არ შვრება ხეირს!..

დამცინავად წარმოთქმულმა ამ უკა-

ნასკნელმა სიტყვებმა ყველაფერი ერთბაშად გადაწყვიტა. სირცხვილის ოფლში გაწურულმა თავმომწონე მხედარმა ცხენი ისევ ყალყზე შეაყენა, ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი ფერდებში უცხუნა და ნაპირზე თავპირისმტვრევით გააჭენა. მის ადგილზე რომ ვინმე სხვა ყოფილიყო, ჯიხურის გარეშემო მოგროვილი და ბორანზე ასასვლელად თავისი რიგის მომლოდინე მოლაშქრეები, რაღა თქმა უნდა, სიცილ-ხარხარს დააყრიდნენ და შეიძლება თოვლის გუნდებიც მიეყოლებინათ, აი, შე გლახა, ცხენმა რავა გაჯობაო, მაგრამ მოხუცებულ ერისთავს კადნიერება ვერავინ გაუბედა და ისიც მალე ხელახლა მოადგა ბორანს. ცხენმა კვლავ არ ინდომა ეშმაკის მოგონილ ბორანზე ფეხის შებიჯება. ისევ ყალყზე შედგა და ყურთასმენისწამღებად დაიჭიხვინა. გეგონებოდა, ვიღაც უხილავს საშველად უხმობსო. გაფიცხებული რომ არ ყოფილიყო, საყვარელი ცხენის ეს უცნაური გაჯიქება უყურადღებოდ როსტომს იქნებ არც დაეტოვებინა. ამჯერად ეს არა ჰქნა. დაუძინებელი მტერი და მოქიშპე ქაიხოსრო წერეთელი არხეინად იჯდა თავის თაგვისფერ ჯაგლაგზე და, თითქოს მის წინ მოხეტიალე ბალაგნის დათვის ბელს ათამაშებენო, სეირს გამხიარებული უყურებდა.

როსტომი ისე გამძვინვარდა, კინაღამ დამბაჩა არ იძრო და ერთგულ ცხენს კეფაში ტყვია არ დაახალა, მაგრამ შერცხვა ვაჟკაცი შვილებისა, უმალ გარს რომ შემოეხვივნენ და ყველა ღონით შეეცადნენ, მამა უხერხული მდგომარეობიდან გამოეყვანათ.

რაჭის ბატონის შინაყმებმა, რომელთაც ერისთვიშვილები და წერეთლის მხლებლებიც ეხმარებოდნენ, გადარეულ ცხენს თვალები ჩაბალახით აუხვიეს და ასე, რის ვაივაგლახით ბორანზე გადაიყვანეს. როსტომი მხოლოდ აქ ჩამოქვეითდა და ფეხქვეშ რწევა იგრძნო. უეჭველად წაბორძიკდებოდა და შუბლით იქნებ ბორნის მოაჯირსაც მიწარცხებოდა, დიმიტრისა და ბარძიმს რომ არ ემარჯვათ და ხელი დროზე არ წაეტანებინათ.

ქალაქწვერა მებორნეებმა [illegible]ყვირებს უსვამდნენ. ბორანი ნელა, თითქმის შეუმჩნეველი სისწრაფით გაღმა ნაპირისაკენ მიდიოდა.

როსტომმა ღვარად წამოსული ოფლი მოიხოცა და მიიხედ-მოიხედა. ახლა-ღა შენიშნა, რომ მხარმარჯვნივ მეთოდე და გიორგი სდგომოდა. დანარჩენი ერისთვიშვილები, უკლებლივ ყველა, ქაიხოსრო წერეთლის მხლებლებში არეულიყვნენ, რომლებიც, ეტყობოდა, ბორანზე ყველაზე ბოლოს ამოვიდნენ, და ტყვიისფრად მოლივლივე მდინარის სივრცეს გასცქეროდნენ.

„ჯარი ვის ანაბარა დამიტოვეს? — გაუელვა როსტომს. — თუ ჯარი ახლავე არ გადმოვიყვანეთ, ჩვენ აქ ისე რის მაქნისი ვართ?“

გაღმა ნაპირს, საიდანაც უკვე გარკვევით მოჩანდა თეთრი ლარტყებით სახურავაჭრელებული და სანახევროდ უკვე გადახურული თამარისეული სასახლის გუმბათი, ბორანმა მშვიდობით მიაღწია. წელამდე სველ მებორნეთაგან ორი ზემოთ დარჩა და ორთაყვირებს ისე ამუშავებდა, მესამე კი ნაპირზე გადახტა და თან გადატანილი მსხვილი ჯაჭვი კლდის ნაპრალში გაჭედილ რკინის პალოს შემოახვია.

ერისთავის ცხენი აქაც გაჯიქდა. თვალები ისევ ახვეული ჰქონდა, ახლა აღარც ბორნიდან უნდოდა გადმოსვლა. წერეთლის მხლებლებმა იმარჯვეს, ცხენი თითქმის ციმციმ გადაიყვანეს და ნაპირის შორიახლოს სხვა ცხენებს შორის დააყენეს.

როსტომმა იმთავითვე გადაწყვიტა, აქ მოეცადა და მეფის ბანაკში წერეთელს მხოლოდ მაშინ გაჰყოლოდა, როდესაც თავის უკანასკნელ მოლაშქრეს და ალალს რიონის აქეთა ნაპირზე დაიგულებდა.

— კი ბატონო, მაგრამ ვაითუ დიდხანს მოგვიწიოს ლოდინი, — ქაიხოსრო წერეთელს, როგორც გამოირკვა, ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა,

მაგრამ „ლიხთიმერეთის სარდალსა და ვიპატოსს“ ეს მაინც შეჰბედა, — თუმცა რავარც გენებოს, მე შენს საქმეში რავა გევერევი!..

—ვატყობ, უმარჯვიათ ბატონი მეფის ოსტატებს, — თქვა როსტომმა, რათა სულ მდუმარედ არა მდგარიყო და კარისკაცისათვის რაიმე ეთქვა, — ღვთით, გადახურვას შესდგომიან!..

— აჩქარდნენ, ვითამ თოვლის ჩამოყრამდე მოვასწრებთო, მაგრამ ვერ შეასრულეს სიტყვა, თავზე დაათოვათ, — მიუგო ქაიხოსრო წერეთელმა, რომელიც ფიქრით სხვაგან იყო და შუა მდინარეში შეცურებულ ცარიელ ბორანს თვალს არ აშორებდა.

— რა უშავს, — მხურავებს საქმე გაუიოლა აღმშენებლობის ყველა წვრილმანის ზედმიწევნით მცოდნე ერისთავმა და თავადაც ბორანს გაჰხედა. — თუ მეტისმეტი არა ჰქნა, ამისთანაში სახალისოც ქე არის სახურავზე მუშაობა. შენ ნუ მომიკვდები!..

როსტომს სიტყვა შუაზე გაუწყდა. საიდანღაც თავგანწირული ყვირილი მოისმა და ეს ცხოველური ყვირილი, თითქოს დასაკლავად წამოქცეულ ხარს ყელში დანა გამოუსვესო, მალე რამდენიმე ასეული ადამიანის ასევე თავგამეტებულმა შეძახებამ და ყიჟინამ დაჰფარა. ქაიხოსრო წერეთელი, წამის წინ ერისთავთან მშვიდობიან საუბარში რომ იყო გართული, ადგილიდან უბოდიშოდ მოირღვა და გაურკვეველი ყვირილითა და ხელების ქნევით მდინარისაკენ გაიქცა. როსტომს ტანზე ეკლები დააყარა. მათს თვალწინ უბედურება მომხდარიყო: ბორანი, წელან რომ ისე მკვიდრად იჯდა წყალში და ნაპირისაკენ ჭზას ძლივს მოიკვლევდა, ჯაჭვს მოწყვეტოდა და ბუმბულივით გამსუბუქებული, წალმა-უკუღმა ტრიალით რიონს თავდაღმა მიჰქონდა. ყოველივე ამის შემყურე ლაშქარი ბღაოდა, წინ და უკან დარბოდა დაჭაობებულ ნაპირზე და მამაზეციერს წყალწაღებულების უვნებლად გადარჩენას შესთხოვდა. ოციოდე მხედარი, ვისაც გული ერჩოდა, ცხენებს მოახტა და მდინარეს გულდაგულ მიაშურა, მაგრამ წყალში ფეხის დასველება ვერავინ გაბედა. რიონი ამ ადგილას ძალზე ღრმა იყო, მოტაცებულ ბორანსაც ისე სწრაფად მიაქანებდა, წინდაუხედავად წყალში შესულს მხოლოდ განგების ძალა თუ გიხსნიდა ახალი ფათერაკისაგან. თვით მებორნეებს ჯერ კიდევ არ დაეკარგათ გადარჩენის იმედი. ერთადერთ ორთაყვირს ღონივრად ჩაჰფრენოდნენ, ორი დანარჩენი წყალს წაერთმია, და უკანასკნელ ძალღონეს ძაბავდნენ, რათა უშნოდ აყალყული, მარჯვნივ გადაფერდებული ბორანი როგორმე ნაპირისაკენ მოეგდოთ. ხალხმა, ცხენდაცხენ თუ ქვეითად, ერთხანს ნაპირ-ნაპირ მისდია, დასახრჩობად განწირულთ რამდენჯერმე ბაწარიც კი გადაუგდეს, მაგრამ კიდევ უმტყუნათ ბედმა, ბაწრის გაკვანძული ბოლო შუა მდინარემდე ვერავინ მიუწია, რიონი კი აქ დათოვლილ ლაქაშებში შევიდა და ყველას, ქვეითსა თუ ცხენოსანს, გზა გადაუღობა.

მობრუნდა თავიდან ფეხებამდე გალუმპული ქაიხოსრო წერეთელი, მობრუნდნენ ასევე დასველებული და სიცივისაგან ფერშეცვლილი ერისთვიშვილებიც.

— როგორ არის საქმე? — მოუთმენლად შეაგება მოსულთ როსტომმა, რომელიც იმავე ადგილას დაუხვდათ, სადაც დასტოვეს. — გადარჩებიან, თუ იცით?

— ერთობ საეჭვოა, — ყველას მაგიერ უპასუხა დაძმარებულმა ქაიხოსრო წერეთელმა და კაბის კალთა ორივე ხელით გადაგრიხა, გაწურა. — ღმერთს უნდა ვთხოვოთ, რომ ბორანი არსად გადოუყირავდეთ და როგორმე ნაპირს მოაყენონ. საჭილაოსკენ კაცები ვაფრინე, გზადაგზა სოფლებს გამოიყვანენ...

ერისთავს ერთი აკვიატებული ფიქრი ულრღნიდა გულს, ვაითუ მთელი ეს დავიდარაბა ჩვენს თვალის ასახვევად გაითამაშესო, და სარდალს შეუფარავი საყვედურით მიმართა:

— ჩვენ რაღა გვეშველება, ჯარი რაღათი გადმოვიყვანოთ? შე დალოცვილო, აგრე რომ მცოდნოდა...

წერეთელმა კაბის მეორე კალთაც აიწია, მუჭებში მოიქცია, გადაგრიხა, წყალი წურწურით გაადენინა და მხოლოდ ამის შემდეგ უპასუხა:

— წინდაწინ ვინ რა იცოდა, ბატონო როსტომ, ღვთის ნება და ფათერაკის საქმეა ყველაფერი. ჯარი ქუთაისზე თუ მოივლის. სხვაგან ხიდი არსად გვაქვს აქეთ, არც ბორანია. ჩვენ მეფეს ვინახულებდით, ფეხზე ხემსს გადავყლაპავდით, ცოტა შევშრებოდით და ამასობაში ჯარიც მოაწევდა...

— ნება შენია, ჩემო ქაიხოსრო, — უჩვეულოდ დატკბა როსტომ ერისთავი. მერე ეს თავადვე იგრძნო და ხმაში ისევ ლითონი გაურია, — იცოდე, ღვთის რისხვას ვერსად დაემალები, თუ გულში ღალატი გიდევს და ამ ხაფანგშიაც მაგისთვის გაგვაბი. გაგვიძეხი ახლა, სხვა რაღა გზა გვაქვს, გვაახელ მწყალობელ მეფეს, ჯარსაც შენავე შეატყობინე, რომ ქუთაისზე მოიაროს და გეგუთში მოვიდეს!

წერეთლის მხლებლების მიერ მორთმეულ ცხენებზე რომ ამხედრდნენ და ბედს მინდობილნი გზას გაუდგნენ, ამდენი უმძრახობის და გარე-გარე სიარულის შემდეგ ნაზერალმა მეთოდემ ხმა პირველად ამოიღო:

— მამა-ბატონო, ტანი მიგრძნობს, ღალატია! თვალთმაქცობა გახლავს, რაც რიონზე მოხდა. ჯარი მოგწყვიტეს. თავსავე შევცდით, რომ აქეთა ნაპირზე ყველა ერთად გადმოვედით!

როსტომმა ღრმად ამოიოხრა და ცხენს ნაბიჯი შეანელებინა.

— მეც მაგას ვჯავრობ და ვტირი, შვილო მეთოდე, მაგრამ ახლა რაი, რაღას მოვეწევით?

მეთოდემ პასუხი ფიცხად გასცა:

— ვიბრუნოთ პირი და შევვარდეთ რიონში. გაღმა ჩვენი ჯარია!..

როსტომმა თავი გადააქნია ნიშნად იმისა, რომ ყველა შესაძლებლობა გონებაში უკვე მოსინჯული ჰქონდა.

— გვიანია, მეთოდე, ტყვია ყველგან ადვილად მოგვეწევა, წყალშიც და ხმელეთზეც. ხომ არ დაგავიწყდა, რომ ჩვენ სულ რვა ვართ, ეგენი კი ურიცხვი არიან.

— აბა, რას აპირებ, მამა, ბატონო, შენგან არ მიკვირს? ჯირკზე თავის დასადებად მიდიხარ? თუ საკუთარი სიცოცხლე მოგყირჭდა და აღარ გეზოგება, ჩვენ რაღა დაგიშავეთ, შე კაცო?!

როსტომმა დაუყვავა:

— ახლა ტკბილი სიტყვა და სრული მორჩილების გამოხატვა არის ჩვენი ერთადერთი უტყუარი იარაღი, მეთოდე. საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანაო, ჩემგან ბევრჯერ გაგიგონიათ. ტკბილი სიტყვა და სრული მორჩილება! მიმიხვდი? თავზე ნაცარი უნდა წავიყაროთ, უნდა დავგმოთ ჩვენი წარსული. მერე ჩვენ ვიცით! ღმერთო დიდებულო და ღვთისმშობელო დედავ, ჯერ ამ სარეგვავიდან მშვიდობით გამიყვანე!... დაწინაურდი, მამაშვილობას, ბიჭუნეები გაამხნევე, არ შეშინდნენ, შემოუძახე შენებურად და კითხე ვაჟბატონ ქაიხოსრო წერეთელს, აქეთ საით მივყევართ, გზა ხომ არ შეეშალა, მეფე-ბატონი სასახლეში არ უნდა ბრძანდებოდეს?

გამოირკვა, რომ კურდღლებზე სანადიროდ გამოწყობილი სოლომონი ძვირფას ქვეშევრდომთ, რაჭის ბატონებს, სოფელ გეგუთში, ტახტის აზნაურ ზურაბ იაშვილის ჭერქვეშ ელოდათ. იქ უკვე იცოდნენ როსტომისა და მისი ვაჟების მიახლოება და შესახვედრად ემზადებოდნენ...

ეს ზურაბ იაშვილი ერისთავების ყოფილი სიძის, უბედურ თამთას სჯულიერი თანამეცხედრის, სადმელის ციხის პატრონ ბუჭუტა იაშვილის გულის ბიძაშვილი იყო. სადმელის ციხე და იაშვილის სამემკვიდრეო ყმა-მამული რომ განრისხებულმა როსტომმა და მისმა შვილებმა დაისაკუთრეს, მცირეწლოვანი ქალ-ვაჟითურთ, ბუჭუტა ქედს აქეთ გამოიქცა და როგორც ამბობდნენ, თავი ბიძაშვილებში შეაფარა. არც ბუ-

ჭუტასი და არც მისი შვილებისა ერისთავსა და ერისთავიშვილებს მას შემდეგ არაფერი სმენიათ. მხოლოდ მოგვიანებით მოაწია ხმამ, რომ სიმამრზე და ცოლისძმებზე დანასისხლად გადაკიდებული ბუჭუტა იაშვილი სოლომონ მეფემ შეივრდომა და საჩინოში პატარა მამულიც მისცა, მაგრამ მთის სუფთა ჰაერზე გაზრდილი ვაჟკაცი დაბლობის ხაშმმა მალე დასცალა და ციებ-ცხელებით შეპყრობილმა და ბოლმით გულგასიებულმა მალე სულიც განუტევა.

რას მოასწავებდა მეფის საქციელი? რაღა საძულველ იაშვილებში განიზრახა როსტომისა და მისი ვაჟების გამასპინძლება? რა უნდოდა ამით ეთქვა ან ეგრძნობინებინა?

ათასი ამოუხსნელი კითხვით გუნებადამძიმებული როსტომი ამაოდ დაეძებდა თუნდაც ერთ სარწმუნო პასუხს, როდესაც მის წინ თქიფინ-თქიფინით მიმავალი მხედრები, მათ შორის შვიდივე ერისთვიშვილი, ცხენებიდან ჩამოქვეითდნენ და სადავეები ყურთამდე ღია ალაყაფის ჭიშკრიდან გამოგებებულ გლეხის ბიჭებს გადასცეს.

როსტომი მიხვდა, მივსულვართო. ხალხით ავსებულ საკმაოდ ფართო ორღობეში ცოტა კიდევ გაიარა და ცხენიდან ჩამობრძანება ზედ ჭიშკართან ინება. აქ ერთ-ორ წუთს კიდევ შეყოვნდა, აუჩქარებლივ მიიხედ-მოიხედა, თითქოს იმის შესამოწმებლად, ყველა უკვე აქ იყო თუ აკლდათ ვინმე, გულში პირჯვარი გადაიწერა და ჭიშკრის ზღურბლს პირველმა გადააბიჯა.

მხარმარჯვნივ, ბებერ კაკლებში, ორსართულიანი იმერული ოდა წამომართულიყო, რომელსაც წინიდან, როსტომმა ეს უმალ შენიშნა და კარგადაც დაახსომდა, თლილი ქვისაგან გამოკოპიტებული ორმუხლიანი კიბე ჰქონდა მიდგმული. კიბეზე და ზედა სართულის პარმაღზე სუფრის თადარიგში გართული გოგო-ბიჭები ირეოდნენ. მხარმარცხნივ, კარმოლიავებულ სახაბაზოდან თორნიდან ახალი ამოყრილი პურის სუნი გამოდიოდა. სამზადიდან, რომლის შელანძღული ყავრის სახურავი აქა-იქ ახალი ყავრით შეეკეთებინათ, თიხისა და ფაიფურის სინებით კერძები გამოჰქონდათ და ოდისაკენ მიარბენინებდნენ, სადაც სადღესასწაულო სუფრა, ალბათ, უკვე გაშლილი იყო. შუა ეზოში, ტოტებგაბარდნილი მამაპაპეული კაკლის ქვეშ, უხსოვარ დროს გათლილი და აქ ჭაპანწყვეტით მოტანილი ქვის სწორი მაგიდა და სიძველისაგან ჩაქანგებული, გვერდებზე ხავსით გადავლილი ქვისავე ტახტი იდგა...

„მაგრამ სად არის თვით მეფე? ან დიდებულები სად არიან? ყურს რატომ არავინ იბერტყავს?“ — გაიფიქრა როსტომმა და ახლა-ღა დაინახა, რომ მეფე სოლომონი ქვის ტახტზე იჯდა, ზურგი ჭიშკრისაკენ მოექცია, იქვე მოწიწებით მდგომ თავისიანებს ესაუბრებოდა და მგონი არც კი იცოდა, თუ ეზოში რაჭის ერისთავი როსტომი და მისი შვილები შემოვიდნენ.

როსტომს ბრაზი წაეკიდა, შერცხვა, ტანზე ოფლი დაასხა, უზომოდ ინანა, რომ მღვდელმთავარ ბატონიშვილ იოსებს დაყაბულდა და მეფესთან შესარიგებლად წამოვიდა. ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა, თავადვე დააპირა ყურადღება მიექცია, ბატონი მეფის გასაგონად და ფეხდაფეხ მომავალი შვილების გასამხნევებლად რაიმე მხიარული კალამბური ეთქვა. ეს როდი-ღა დასცალდა. უცებ მხრებში საშინელი ტკივილი იგრძნო, თავში რაღაც მძიმე დაეცა და თვალთ დაუბნელდა, თითქოს ვეებერთელა მთა ჩამოიქცა და უცაბედად ქვეშ მოიყოლა. ეს ამბავი, სრული უგონობა, უსაშველოდ დიდხანს გაგრძელდა. ცნობიერება რომ აღუდგა და ტკივილებისაგან გულშეღონებულმა თვალი გაჭირვებით გამოახილა, კიბის სულ ძირა საფეხურთან ეგდო მიწაზე და ხელ-ფეხგაბორკილი განძრევას ვეღარ ახერხებდა. რა მოხდა? სიზმარი იყო თუ ცხადი? ეს რა ღვთის რისხვა ტრიალებდა მის თავს? როსტომი ზურგით გრძნობდა, რომ იქ კიდევ ვიღაც იწვა მასავით გაბორკილი და ხელ-ფეხის

გათავისუფლებას სულ ტყუილად ლამობდა. ეზო ატალახებული და სისხლით მოთხვრილი იყო. გულგახეთქილი ქალების წივილ-კივილი და ბალღების ქვითინი იქაურობას აყრუებდა. ერისთვიშვილი გიორგი ჯერ კიდევ ფეხზე იყო. სანამ მიპარვით დაეტაკებოდნენ და იარაღს აჰყრიდნენ, ხმლის გაშიშვლება მოესწრო, სამი თუ ოთხი თავდამსხმელი იმ ქვეყანას უზიარებლად გაესტუმრებინა და ხმალმოღერებული ახლა ქვის ტახტისაკენ მიიწევდა, რომლის კიდეშიაც სოლომონი იჯდა და, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს, აქეთ არ იყურებოდა. გიორგის მასავით მოსული სამი ვაჟკაცი აკავებდა, ერთსაც მსხვილი თოკი ამოედო ნიკაპში და მთელი ძალით უკან ეზიდებოდა. გავეშებულმა გიორგიმ მაინც შესძლო ქვის ტახტთან მიახლოება.

— მოკვდი, შე მუხანათო!.. — არაადამიანური ხმით დასჭყივლა და მეფეს ხმალი მოუქნია. წვერი თითქმის უწვდინა კიდეც. სოლომონი არ განძრეულა. მეორე მოქნევა გიორგის უკვე აღარ დასცალდა. თავში მარგილი დასცეს და ისიც, სისხლით მოთხვრილი და ტანისამოსშემოგლეჯილი, თივის ზვინივით წამოიქცა...

„ვაიმე, შვილო, ვაიმე, ხელისძალათი დალუპულო შვილებო, — მწარედ დაიგმინა მხარგაკრულმა როსტომმა და ერთხელ კიდევ გაიბრძოლა, იქნებ ღმერთი მომეხმაროს და თხერი ბაწარი როგორმე გავწყვიტოო, მაგრამ ვერას გახდა და თვალის უპე ზღვად მოწოლილმა მდუღარე ცრემლმა დასწვა. — ეს რა გიყავით, მამა, ვის ხელში ჩაგყარეთ მე სულამყრალებულმა, რავა უგუნურად გამოვაქვრე კერა გამართულ ოჯახში, რავა გავატანე ქარს წვითა და დაგვით მონაგარი ყმა-მამული! ვაი შენ დედას, მუხანათო სოლომონ, წყეულიმც იყავ, წმინდა ფიცის გამტეხო ბატონიშვილო იოსებ, ღმერთმა მოგკითხოს ჩვენი ცოდვა, ვაი შენი გამზრდელი დედის ძუძუებს, ქაიხოსრო წერეთელო, ვაი შენს გამჩენს, აგიაშვილო!..“

სიმშვიდისა და უდრტვინველობის ნიღაბაფარებული მეფე [illegible] უზენაესი ნების გამოცხადებას [illegible]სრულებას აღარ მოუცადა, სოფელში დაბანაკებული მცველი რაზმი აყარა და სასწრაფოდ წავიდა იმ ანგარიშით, რომ ერისთავის მხლებელ ლაშქარს გაღმა ნაპირზევე შეხვედროდა, ყოველივე მომხდარის მიზანშეწონილობა თავისი პირით ემცნო და აურზაურის აუტეხლად ყველა უკან, რაჭაში გაესტუმრებინა.

გეგუთში საქმის გათავება ქაიხოსრო წერეთელს დაეკისრა.

როგორც კი მეფე ჰიშკარგარე გადასული დაინახა, სარდალმა დაჭრილ-დახოცილებიააკრეფინა, გაბორკილი როსტომ რაჭის ერისთავი და მისი შვილები, რომელთაგან სამი: დემეტრე, გიორგი და იოანე ცნობაზე ეს-ეს იყო მოვიდნენ, ქვის ტახტის წინ გადმოაყვანინა, რათა აქ ყველას დაენახა, ქუთაისიდან საგანგებოდ დაბარებულ ჯალათს, მეუნაგრე ბერძენს, მოუხმო და მეფის განაჩენიც აქვე საჯაროდ წაიკითხა.

სულით ხორცამდე შეძრულმა გლეხის დედაკაცებმა ყბაში მჯიღი შემოიკრეს, ლაწვები ჩამოიხოკეს და რაკი ხმამაღლა ტირილს უკვე ველარავინ ბედავდა, ჩუმ მოთქმა-ვიშვიშს მოჰყვნენ.

ქვრივ-ობლის შემბრალე და ყველა გაჭირვებულის ქომაგ მეფეს, წელან სხვებთან ერთად აბრიალებულ კოცონს რომ უჯდა და ერთი უბრალო მოკვდავივით ლაღობდა, რაჭიდან მოტყუებით ჩამოყვანილი ერისთავისა და მისი შვილებისათვის თვალების დათხრა გადაეწყვიტა. ამავე განაჩენის ძალით, მეფის ხელრთვითა და ბეჭდით რომ იყო დამოწმებული, რაჭის საერისთავო გაუქმებულად ცხადდებოდა, ყოფილ ერისთავსა და მის შვილებს ეკრძალებოდათ უკან დაბრუნება, ხოლო მათთვის ჩამორთმეული ყმა-მამული ტახტის განმგებლობაში გადადიოდა და სასტიკი სასჯელი ელოდა ყველა იმას, ვინც ამიერიდან საერისთავოს აღდგენას შეეცდებოდა და ქვეყნის მთლიანობას ამით რაიმე ზიანს მიაყენებდა.

იაშვილის ეზოში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ხელ-ფეხშებორკილი ერისთვიშვილების ყრუ გმინვა და ეზოს გარეთ გადარეკილი სოფლის ძაღლების წკმუტუნი და ყეფალავლავი არღვევდა მყუდროებას.

ქვის ტახტზე შემდგარი ქაიხოსრო წერეთელი რომ განაჩენს კითხულობდა, ყვავილ-ბატონებისაგან თუ რომელიღაც სხვა საშინელი სენისაგან სახედაკენკილი ბერძენი, ვისთვისაც სულ ერთი იყო, თვალებს ვის დაუვსებდა, ოღონდ დაპირებული გასამრჯელო სრულად მიეღო, უკვე ახურებდა შანთებს სამზადში, საგულდაგულოდ მოვლილ-გაკრიალებულ წამების იარაღებს ტაბაკზე აწყობდა და საქმის დასაწყებად ნიშანს ელოდა.

— ბიჭუნეებო!—არც მტერს მოერიდა, არც მოყვარეს და ჩვეული ალერსით მიმართა თავის სათაყვანებელ შვილებს როსტომმა, რომელსაც ამ წუთიდან, თანახმად მეფის ბრძანებისა, რაჭის ერისთავი უკვე აღარ ერქვა, აღარც სადროშოს სარდლისა და ვიპატოსის წოდება გააჩნდა. — ახლა გმართებთ-ყე, მამა, მოთმინება და ნამდვილი ვაჟკაცობა. მუხთალ მტერს იმას მაინც ნუ ვათქმევინებთ, რომ სულმოკლეები ვართ დიდ ლიპარიტ კახაბერისძის შთამომავლები და გასაჭირთან გამკლავება არ შეგვიძლია. ეს არის ჩვენი უკანასკნელი ომი!..

— ნუ გეშინია, მამი, — გაისმა კაკლის ქვეშ და როსტომმა იცნო, ანდა როგორ ვერ იცნობდა თავისი უმრწემსი ვაჟის, არჩილ ბატონიშვილის კბილა დიმიტრის ხმას. — შენს სახელს არც ერთი არ შევარცხვენთ, თუ სიკვდილია, ვაჟკაცურად დავიხოცებით!..

— ჰო, შვილო, ჰო, მამა, დიმიტრი, შენ მაინც დამეტოვებინე, ამ ერთხელ მაინც შემესმინა უბედური დედათქვენის ხვეწნა-მუდარა! რაღას აყოვნებ ახლა, ბატონო ქაიხოსრო, დიდი ხნის ნატვრა შეგისრულდა, მეფის ხელით წესი ამიგეთ შენ და პაპუნამ, ბარემ დროით შეუდექი საქმეს. ერთი თხოვნა მექნება და, თუ ღმერთი გწამს, ნუ გამაწბილებ: ჯალათმა ჩემით დაიწყოს! — ბერიკაცს შვილების წამებას ნუ მაყურებინებ. შენც მამა ხარ, ჩემი დღე შენც გელის, და მიმიხვდები. თვალისჩინი ჯერ მე დამიბნელეთ!..

— რას ეხვეწები მაგას? თავს რად უყადრებ? — დაიღმუვლა უზომო დამცირებისა და ჯოჯოხეთური ტკივილებისაგან გრძნობამიხდილმა ნაბერალმა მეთოდემ. — რა გაქვს მაგ გუდამშიერის სახვეწარი? სახეში შეაფურთხე!..

— სუ, შენ ქვე რა იცი, ბიჭო!..

მეფის განზრახულებათა აღმსრულებელმა ქაიხოსრო წერეთელმა უბედური მამის უკანასკნელი თხოვნა შეიწყნარა: წამების იარაღებითა და გავარვარებული შანთით აღჭურვილი ჩოფურა ბერძენი პირველად როსტომთან მივიდა...

— თვალის კილო ჩამჭერი, კაკალი თავად წამოვარდება! — ასწავლა მან ჯალათს და წამების მისაღებად განემზადა.

შუაღამე მოტანებული იყო, როდესაც ეზოში აბრიალებულ წალმის ცეცხლის შუქზე ბერძენმა თავისი საქმე მოათავა, თოვლზე გაბნეული სისხლიანი ხელსაწყოები აკრიფა, სათითაოდ გაამშრალა, ბამბით გაწმინდა, აბგაში სათუთად ჩაალაგა, გასამრჯელო მიიღო და, რაკი ვახშმად აღარ დასტოვეს, სამზადთან მიბმულ ცხენზე შეჯდა და გზას გაუდგა. ხალხიც თანდათან წავიდ-წამოვიდა. საშინლად ნაწამები და თვალებდავსილი როსტომი და მისი შვილები, კვლავინდებურად ხელფეხშებორკილნი, მარტოდმარტო დარჩნენ იაშვილების მამაპაპური კაკლის ქვეშ, სანახევროდ ჩანავლულ კოცონთან. მალე ცეცხლი მთლიანად ჩაიფერფლა და იქაურობა სრულმა წყვდიადმა მოიცვა. დიმიტრიმ და იოანემ გონი ადრევე დაჰკარგეს. არც ერთის მხრიდან ჩამიჩუმი აღარ ისმოდა. გიორგი და იაგორა კვნესოდნენ. მეთოდე გაყუჩებული იწვა. გონზე დროდადრო მოდიოდა და ბორგავდა, მაგრამ მალე ისევ კარგავდა ცნობას...

როსტომს ფეხისხმა შემოესმა. თოვ-

ლზე უპატრონოდ დაყრილ სახიჩრებს შორის თითქოს ვიღაც გოლიათი ფეხაკრეფით დადიოდა და რაღაცას თუ ვიღაცას ეძებდა.

— ჰეი, რომელი ხარ? — ტკივილს სძლია და ხრინწიანი ხმით დაიძახა მან. — აქ რას დაეხეტები?

— ბატონო როსტომ, — მიუგეს პასუხად. — ველარ მცნობ. მე ვარ, როსაფ მაჭავარიანი ..

როსტომმა მცირე ხანს იყუჩა, თითქოს დიდი ხნის წინათ დავიწყებულ რასმე იხსენებდა.

— მერე? რა გინდა, როსაფ მაჭავარიანი რომ ხარ, ჩვენს დასახოცად ხომ არ მოგაგზავნეს, ამისთანა ძაღლურ სიცოცხლეს მაინც სიკვდილი გვიჯობს.

— აქიმი გაახლე, ბატონო როსტომ, დასტაქარი, — ათასი ჭირ-ვარამის მომსწრე ძველი მხედრის ხმაში მოყვასის ულრმესი სიბრალული, თანაგრძნობა და წუხილი გამოსჭვიოდა. — იარებს შეგიხვევთ, იქნება ცოტა დაგიამოთ...

— არ გეშინია? წერეთლის ძაღლები თავზე გვადგიან. ვაი იმას, ვინც ჭიქა წყალს და ლუკმას მოგვაწვდის!..

— მეფის ბრძანებას წინ ვერავინ დაუდგება, ბატონო როსტომ, ვერც წერეთელი და ვერც... — მაჭავარიანმა აღარ დაამთავრა.

— მაშ, მეფისაგან ხარ?

— აგრე გამოდის...

— აქიმიც მეფის ბრძანებით მოიყვანე?

როსაფმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა.

— პატრი გახლავს... თვალის მკურნალობაში ხელს უქებენ...

— კიდევ რა დაგაბარა ჩვენთან მეფემ?

— წუხს ძალიან. რაც რო აქედან წავედით, ზედაშის მადლმა, მის თვალზე ცრემლი არ გამშრალა.

— ახლა სად ბრძანდება?

— გელათში, ძმასთან...

— ერთად ზეიმობენ ჩემს დამხობას?

— ისე იზეიმოს შენმა მტერმა და დამაწყევარმა! — გულწრფელად შესძახა როსაფ მაჭავარიანმა და უმალვე ხმას დაუწია, რადგან სწორედ ამ დროს სადღაც ზემოთ კარი გაიღო და თოვლით გადათეთრებულ ეზოში სინათლის ზოლი გამოიჭრა. — იოსებმა უარი ჰკადრა ძმას მიღებაზე. მღვდელმთავრის მანტია მოიხადა. მრევლის წინ განიძარცვა და სოლომონიც შეაჩვენა და თავისი თავიც. ამბობენ, რომ უბრალო ბერად შედგომას აპირებს, რომ ეს საშინელი ცოდვა მხურვალე ლოცვითა და მარხულობით ჩამოირეცხოსო.

— მაშ, შენ ამბობ, რომ იოსები უბრალოა, ძმამ შეაცდინა, ტყუილი ფიცით გზა აუბნია?

— უბრალო გახლავს, ბატონო როსტომ. არავინ იცის, სხვას რას შეეძლო ძმების შუა განხეთქილება ჩამოეგდო.

— რას გვიბრძანებს ჩვენი მტარვალი, ამბობს, სხვა საშველი არ იყო, ფიცის გატეხით სული უნდა წამეწყმიდაო?

— სწორედ აგრე მოგახსენებს, ბატონო როსტომ.

— ისიც მართალია. სხვა საშველი მართლაც არ იყო... — ფიქრიანად თქვა როსტომმა და დაიკვნესა. — თუ ასე არ მოიქეცი და გული არ გაიქვავე, ტახტს მართლა ვერ განამტკიცებ, ისე კი ქვეყანას არა ეშველება რა. მაგრამ სახარბიელო არც ის არის, სოფელ-კუთხეში მკვლელისა და მოღალატის სახელით იარო!..

## თავი ოცდამეათე

ერისთავების დასჯის საქმე ამით არ დამთავრებულა. მეფის საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვილი ბოქაულთუხუცესი ბერი წულუკიძე, მიუხედავად გზის სიძნელისა და ზვავებისა, ნაქერალას მთაზე თითქმის ყოველდღე

რომ წყდებოდა, ნაშობევს რაჭაში გადავიდა, აწ უკვე უპატრონო ხიდიკრის კოშკები დაიკავა, თოფის გაუსროლელად დანებებულ ნინიას ციხეშიაც თავისი ხალხი ჩააყენა და წუთიც არ დაუყოვნებია, ბარაკონს მიმართა.

გარდა ახალგაზრდა თავად ზურაბ წერეთლისა და რამდენიმე მარგველი აზნაურისა, ბერი წულუკიძეს თან ახლდნენ ციხე-სიმაგრეთა მშენებელი ძმები, უკვე სიბერეში შესული ბასილა და კვირიკა იამანიძეები, რომელთაც ერისთავისეული მინდა, კვარა, ტოლის, სადმელის, ონისა და სხვა ციხეების მიღება და შეძლების კვალობაზე ძირფესვიანი შესწავლა ეკისრებოდათ. მეფეს საჭიროდ აღარ მიაჩნდა რაჭის ყველა ეს ციხე ხელუხლებლივ შეენარჩუნებინა, თუნდაც იმიტომ, რომ საამისოდ მრავალრიცხოვანი მეციხოვნე ჯარის დაბანდება და შენახვა დასჭირდებოდა. ესეც რომ არა, თუ ძველ ციხეებს შეინარჩუნებდნენ, კვლავ დარჩებოდა შესაძლებლობა, ისინი მტერს, შინაურს თუ მომხვდურს, თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა და სამეფო კარისათვის ამით ახალი საზრუნავი გაეჩინა. ნაბრძანები იყო, ზოგი ციხე, საქმის ზედმიწევნით მცოდნე ბასილა და კვირიკა იამანიძეების რჩევით, დაუყოვნებლივ აეფეთქებინათ და მომავალ განდგომილთათვის, თუ ასეთები თავს ოდესმე კიდევ წამოჰყოფდნენ, საიმედო საბუდარი ახლავე მოეშალათ.

ერისთავის ჯალაბი განსაცვიფრებელი სიმტკიცით შეხვდა თავზე დამტყდარ უბედურებას, მხოლოდ იმის ღონე კი აღარავის შესწევდა, დაქადებისამებრ მინდა-ციხეში გამაგრებულიყო და საერისთავოს შეუვალობა უკანასკნელი ტყვიის გასროლამდე დაეცვა.

ყველასდა გასაკვირლად, ოდესღაც მტერთაგან მიუვალი და აუღებელი მინდა-ციხეც ბოქაულთუხუცეს წულუკიძეს, რომელსაც წინ შურისძიების გრძნობა მიუძღოდა, დაცარიელებული დაუხვდა. ერისთავის საამაყო ზარბაზნებში, მტერს რომ არ დარჩენოდა, ვიღაც უკუღმართს წინასწარ ნალმი ჩაედო და ლუკმა-ლუკმა დაემსხვრია. ერთი ასეთი ნამსხვრევი ლუხუნის ხიდზეც იპოვნეს, როდესაც ციხის გვერდოზე ადიოდნენ. ვინ მოიმოქმედებდა ამას, თუ არა როსტომის უსაზღვროდ ერთგული ციხისთავი ალი-ენგიჩარი, მოხუცებულ ერისთავს შვილებშიაც რომ არ ერჩეოდა! მაშრიყ-მაღრიბის გზებზე ნაწანწალებ და ათას ჭირსა და ვაებაში გამოვლილ ალის ახალი მომაკვდინებელი საშიშროების მოახლოება ეგრძნო, ბარაკონზე მოსულ ბოქაულთუხუცესისათვის ფეხად გაესწრო და უგზოუკვლოდ გადაკარგულიყო.

ბერი წულუკიძეს თან დიდი რაზმი ახლდა. ხუთას-ექვსას კაცს იგი ბევრად აღემატებოდა. ჯარის სიმცირეს, მეფის საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვილ ბოქაულთუხუცესს ნაკლები რომ ეკმარა, ვაითუ როსტომის თითო-ოროლა ერთგული ყმა გაებრიყვებინა და უადგილო ადგილას იარაღის სუსურიც დაეწყოთ.

რაჭას წასვლა და იქ დამდაბლებული ერისთავის საცხოვრებლის მოსაშლელად ლაშქრობა ბარელთაგან არავის დაზარებია. ისე არ იქნებოდა, მცირე რამ სარგებელი ამ საქმისაგან თავადაც არ მიეღო და შინ ხელმომთბარი არ დაბრუნებულიყო.

სანამ ბოქაულთუხუცესი ბერი წულუკიძე, თანახმად მეფის ბრძანებისა, ერისთავისეულ ციხეებს თოვასა და ქარ-ბუქში იამანიძეების თანხლებით მოივლიდა და გადაწყვეტილებას მიიღებდა, რომელი ამათგანი დაექციათ და რომელში მეციხოვნეები ჩაეყენებინათ, წესში უსაქმოდ დარჩენილმა ლაშქარმა ლაგამი აიწყვიტა და ხელი ძარცვას მიჰყო. ერისთავის სახლ-კარი, ბეღლები, მარნები, საბძელ-სასიმინდე, ქოხ-ბოსლები და საჯინიბოები რომ დაიცალა, ზოგს ხელი ყმა-გლეხების ქონებაზედაც წაუცდა და ამან ხალხის ყველა წოდების საყოველთაო გულისწყრომა გამოიწვია. საქმე, ალბათ, ბოქაულთუხუცესის მხლებელი ლაშქრის სავალალოდ

შეტრიალდებოდა, ბერი წულუკიძეს დროზე რომ არ მოესწრო და ეს განურჩეველი ძარცვა-გლეჯა უმკაცრესი განკარგულებით არ აღეკვეთა.

— ნუთუ არა გრცხვენიათ, ქრისტიანებო? — მიმართა ჯარს ბოქაულთუხუცესმა. — ისე რატომ იქცევა ზოგი, თითქოს სხვის ქვეყანაში შევსულიყოთ და ჩვენ თარეშის უფლება მოგვეცეს? ხომ არ დაგავიწყდათ, თქვე კაი დედმამიშვილებო, რომ ეს ჩვენი სამშობლოა? ეს ხალხი, გარს რომ გვახვევია, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, ჩვენი დები და ძმები არიან. ერთი ძუძუ გვიწოვია, ერთი ლუკმით გავზრდილვართ!..

არცთუ მცირე ბჭობა-ყოყმანის შემდეგ დასანგრევად განწირულ ციხეებს შორის მოჰყვა საერისთავოს მშვენება მინდა, რომლის მიუდგომლობა და სიმტკიცე დედამიწის ზურგზე განზნეულ ბევრ სხვა ციხესა და ციტადელს შეშურდებოდა.

ხმა რომ დაირხა, მეფის კაცები მინდა-ციხეს დანგრევას უპირებენ, რათა იქ, ოთხივე კუთხივ დაცულ ბარაკონზე, ერისთავის რომელიმე შთამომავალმა ფეხი აღარ მოიკიდოს და ტახტს ისევ არ განუდგესო, თავზარდაცემული და წარმოუდგენელი მკრეხელობით გაოგნებული ხალხი გარეთ გამოეფინა.

დენთის მარაგი თვით ციხეში იპოვნეს. ალი-ენგიჩარს, ეტყობოდა, დაავიწყდა ამ მარაგის არსებობა და ამფეთქებლები საქმეს შეუდგნენ. პირველმა სამმა ნალმმა ცამდე აღმართული გოდოლები დაანგრია, ხოლო მეოთხე აფეთქება ისე ძლიერი აღმოჩნდა, მან რიონისაკენ მიქცეული სამხრეთ-დასავლეთი კედელი შუაზე გააპო და ციხეში შესაღწევად უზარმაზარი ღრიჭო გააჩინა.

მინდას ბედი ეწია რიონზე გადამდგარ ნინიას ციხესა და ხიდიკრის კოშკებსაც. იმ ადგილას, სადაც ეს ამაყი ბასტიონები იდგნენ და რაჭის ბატონთა მუდმივ სადგომს საუკუნეების განმავლობაში დაუპატიჟებელი სტუმრებისაგან იფარავდნენ, ოსტატის ხელით გამოტეხილი ქვების გროვა და კირის ბულილა დარჩა.

ციხეებთან ერთად გაბზარა, დაინგრა და უფსკრულში ჩაინთქა რაჭველი კაცის სისხლსა და ხორცში გამჯდარი რწმენა, რომ ერისთავი და მისი უფლებები თვით მაღალმა ღმერთმა დაადგინა და კაცთაგანს, თუნდ მირონცხებულ მეფეს, არავის შეეძლო ღვთისაგან დადგენილ-დაწესებულის მოშლა. ეს ძრწოლასაც იწვევდა, ვინაიდან შეჩვეულს, თაობიდან თაობაში დამკვიდრებულს, ერთის დარტყმით ბოლო ეღებოდა, და აუხსნელ, ჯერაც გაუცნობიერებელ სიხარულსაც ბადებდა მომავლის წინაშე, რომელიც ეს იყო ჩამოდგა და თან ახალი საფიქრალი მოიტანა.

წულუკიძის მხედრებმა მთელ კვირას იჯირითეს დარღვეული საერისთავოს გულში, კარგი სვეს, კარგი ჰამეს, როსტომისა და მისი შვილების მრავალი წლის მონაგარი, წანართმევ-ნაოხარი თუ კანონიერი გზით შეძენილი, ქარს გაატანეს, თან წამოიღეს, რის ადგილიდან დაძვრა და წამოღებაც მოსახერხებელი გამოდგა, წინ ერისთავის მრავალრიცხოვანი ჯალაბი და ცხარე ცრემლით მოტირალი შინამოსამსახურეები გამოიძღოლეს და ვარციხეში დაბრუნდნენ, სადაც ძველი სამონადირეო სასახლე თითქმის უკვე აღდგენილი იყო და გეგუთში გადასვლამდე სამეფო კარიც დროებით აქ იდგა.

ბერის სწორედ ვარციხეში დაუხვდა ახალი სანუგეშო ცნობა: დარიალისა და ქართლის გზით შორაპანში რუსი მოსულიყო და სოლომონი ტახტთან დაახლოებული ყველა თავისი დიდებულითა და სახელდახელოდ შეყრილი ლაშქრით, ათას ხუთასი კაცით, უკვე იქ ბრძანდებოდა.

გენერალ ტოტლებენისა და რუსის კორპუსის გამოჩენა სოლომონს ჩხერის ციხიდან ამცნეს და ამასთან ერთად ისიც ზედ დაურთეს, რომ სამცხიდან მომავალი დედოფალი მარიამიც, ზეკარზე მიმოსვლის შეწყვეტის გამო, შინ ქართ-

ლის გზით ბრუნდებოდა და ჩხერში რუსის ასეულებთან ერთად შემოვიდა.

იმერეთის სამეფო კარზე ჯერჯერობით არავინ უწყოდა, რომ ქართლის მიწა-წყალზე სამცხიდან მომავალ იმერთა დედოფალთან მოულოდნელმა შეხვედრამ „რუსის იარანალი" ისერიგად გააჯავრა, ეპისკოპოს მაქსიმე ქუთათელისა და თავად მოურავოვის ხვეწნა-მუდარა რომ არა, აქედან უკან გაბრუნებას აპირებდა.

— რას ჰგავს ეს? — გრგვინავდა ტოტლებენი. — ნუთუ ვინმეს ჰგონია, მე მახეში გამაბამს, ლალატით ყულფში თავს გამაყოფინებს და ოსმალეთის ხონთქარს ასიამოვნებს? ბრაწ! აი, სამი თითის კომბინაცია! ჯერ მშიერ-მწყურვალმა ბარბაროსებმა არ იციან, ვის გადაემტვრნენ. ორ-სამ კვირაში ცოცხლად გავაგებინებ!..

საქმე იქამდე მივიდა, გამძვინვარებულმა სარდალმა დედოფლისა და მისი მხლებლების, „ამ ბუსურმანი ნაძირალების" დაპატიმრება და ალალში მოთავსებაც კი ბრძანა, სანამ მათს ასავალ-დასავალს გამოიძევდნენ და საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდნენ.

იმერეთის მეფე სოლომონის თანამეცხედრე დედოფალ მარიამს, ოდიშის ბატონ ოტია დადიანის ასულს, ოსმალთა მსტოვრობა, ურჯულო იბრაჰიმ-ფაშასთან დანაშაულებრივი კავშირის გაბმა და კავკასიაში მოსული რუსის მხედრობის წინაალმდეგ ვერაგული ინტრიგების მოწყობა ბრალდებოდა. ბრალმდებელი და მსაჯული თვით გენერალი ტოტლებენი იყო. გრაფს არავის მოსმენა და არავის რჩევა-დარიგების გაგონება არ უნდოდა.

მარიამს რომ რუსის სარდლის ღვთისგანმრისხებელი ეჭვი და ბრძანება შეატყობინეს, ჯერ გაკვირდა, ეგ რას გავს, ხომ არ მომეყურაო, ხოლო როდესაც იგივე გაუმეორეს, ლოყაზე ხელი შემოიდო და პირველი სიტყვები, რაც პირიდან ამოუშვა, ეს იყო:

— ბატონი მეფის, სოლომონის, ყურამდე არ მივიდეს ეს ამბავი, თორემ დავიღუპეთ, ამდენი ხნის ღვაწლი და იმედი წყალში ჩაგვეყრება!

გენერალ ტოტლებენის გამოგზავნილი კაცი აქეთ მომავალ სოლომონსა და მის რაზმს გზად შემოეყარა. რუსის გენერალი, თავისი ჯარითა და არტილერიითურთ, როგორც იტყობინებოდა, ძირულისა და ჩხერიმელას შესართავთან დაბანაკებულიყო და იმერეთის მეფეს იქ იბარებდა. სოლომონი ისე იყო გახარებული და ფრთებშესხმული, რომ მამა-პაპის ძველთაძველი ოცნება ბოლოს მაინც ახდა და ნანატრი „რეგულის ჯარი" უკვე იმერეთის ფარგლებში იმყოფებოდა, არც კი შეუმჩნევია, სარდალი უმცროს-უფროსობის ყველა წესს რომ არღვევდა და იმის მაგიერ, თვით ხლებოდა, მას აქეთ იბარებდა.

ვიწრო ხეობების შესაყარში, მდინარეების ჩამოყოლებაზე გაშლილ ჭრელჭრულა კარვებს თვალი შორიდან დალანდეს და ისედაც ჰენებით გახვითქული ცხენები ააჩქარეს.

სოლომონმა გზაშივე შეიტყო, რომ რუსის საექსპედიციო კორპუსის სარდალი ძირულისა და ჩხერიმელას პირზე დიდხანს გაჩერებას არ აპირებდა, ხვალ დილაადრიან უნდა შემორტყმოდა შორაპნის ციხეს და მისი გარნიზონის უსიტყვოდ დანებება მოეთხოვა. თუ ვინცობაა, ოსმალები ჰკუას არ მოიხმარდნენ და ქონგურზე დანებების მაუწყებელ თეთრ ბაირაღს არ გამოჰკიდებდნენ, რუსები ძალას მიმართავდნენ და ალყაში მოქცეულ ციხეს ზარბაზნებს დაუშენდნენ.

„ღმერთო, შეგვეწიე, — ფიქრობდა ამის გაგებითა და წარმოდგენით იმედმოცემული სოლომონი. — ღმერთო, შენ მოუმართე ხელი რუსის იარანალს, სანანებლად გაუხადე ურჯულოს ჩვენი ტანჯვა-ვაება და ღელედ დაღვრილი სისხლი!.."

მაგრამ ბანაკს რომ ზედ წაადგა, ელდა ეცა. კარვები ეცოტავა. მისი წინასწარი ვარაუდით, აქ ბევრად მეტი ჯარი უნდა დახვედროდა. სად იყო არტილერია, რითაც შორაპნის ციხე უნდა დაენგრიათ,

უკეთუ ის გაჯიუტდებოდა და მეციხოვნენი იარაღის დაყრას არ ინებებდნენ? უთუოდ არტილერია ჯერ გზაშია, მთავარი ძალებიც უკან მოდიან, აქ მხოლოდ მეწინავე რაზმი უნდა იყოსო, თავი გაიმხნევა მეფემ და წინ დედის ნახვას დანატრებული ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი ალექსანდრე და მელვინეთუხუცესი სულთამ ავალიანი აფრინა, რათა „იარანალისათვის" იმერთა მეფებატონის მოახლოება შეეტყობინებინათ.

სწავლას დაწაფებული ბატონიშვილი ალექსანდრე რუსულს უკვე გვარიანად ამტვრევდა, როგორც იტყვიან, გაქცეული რუსის მობრუნება შეეძლო, არც მაინცდამაინც მორცხვობდა და მამის მიერ დაკისრებული მოვალეობა მშვენივრად შეასრულა. ტოტლებენი დაბღვერილი შესცქეროდა ნაადრევად ტანაყრილ ყმაწვილს, თითქმის მთლად ბავშვს, როდესაც ის ზეპირად დასწავლილ სიტყვებს სხაპასხუპით აყრიდა და უმალ შეაფასა, რომ „პატარა ბუსურმანისაგან" დრაგუნის ურიგო ოფიცერი როდი დადგებოდა, თუ მას კადეტთა კორპუსში გაწაფავდნენ და დედის მუცლიდანვე თანდაყოლილ ველურ ჩვევებს მოაშლევინებდნენ.

სოლომონი მოელოდა, რომ ბანაკის შესასვლელში. ხელისდადება ვაკე მინდორზე. თანამდგომი რუსები ასეულს დააყენებდნენ და ხმალგაშიშვლებული ასისთავი, როგორც ფრანციასა და მის მომიჯნავე ქვეყნებში იყო მიღებული, მის შესახვედრად გამოეშურებოდა, მხედრულ სალამს მისცემდა, მაგრამ, ყველასდა გასაოცრად, ახლა ამის მსგავსი არაფერი ხდებოდა. გათოშილი ჯარისკაცები თავის საქმეში იყვნენ გართული. აქა-იქ ცეცხლი აებრიალებინათ, სხვაგან კი ახლა ანთებდნენ და თოვლში მოძიებულ ნესტიან შეშას ახრჩოლებდნენ. ზოგი ზურგგაფუჭებულ ცხენს უვლიდა, ზოგი გაწყვეტილ მოსართავებს აკერებდა, ზოგი მდინარეზე ჩასულიყო და გვერდებშემურული ორი კარდლით იქიდან წყალს მოარბენინებდა, სხვებს, უფრო მოცლილთ, გადაჯვარედინებული ხელები იღლიებში შეეყოთ და ბანაკში ჰენებ-ჰენებით შემოსულ მხედართა მცირე რაზმს თავმობეზრებული კაცის დუნე ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ.

სოლომონი და მისი მხლებელი დიდებულები ჩამოქვეითდნენ, გენერლის კარვისაკენ. სხვა კარვებისაგან სიგრძესიგანით, მოყვანილობითა და მდიდრული ფერებით რომ განსხვავდებოდა (შემდეგ გამოირკვა: ის მეფე ერეკლეს ნაჩუქარი ყოფილიყო), გზა ქვეითად განაგრძეს. კარვიდან ბატონიშვილი ალექსანდრე და სულთამ ავალიანი გამოვიდნენ. მათ გამოჰყვა საშუალოზე ოდნავ მაღალი, ზომიერად ხორცსავსე გრაფი ტოტლებენიც, რომელსაც მაღალ მწითურ შუბლს დარდიმანდულად ჩატეხილი კაკარდიანი ბოხოხი უფარავდა, ხოლო მხრებზე ოქრომკედით ნაქარგი გენერლის ეპოლეტები უბრწყინავდა.

— ამ ბანდზე უკეთ თქვენს შორის არავინ იცის რუსული? — მანამ იკითხა ტოტლებენმა, ვიდრე ქვეყნის მესვეურები მიუახლოვდებოდნენ, მიესალმებოდნენ და, წესისამებრ, ლიხთიმერეთში მშვიდობით მობრძანებას მიულოცავდნენ. — ჩემი თარჯიმანი ალალაშია. თუ არავინ გყავთ, ახლავე გავგზავნი მის დასაძახებლად. ეი, შენ, ზოლდატ, — ტოტლებენმა ხელი დაუქნია ჯარისკაცს, მეზობელი კარვის წინ რომ დაკუნტულიყო და ჭუჭყიან ჩვარში გამოკრული ქონით ცეცხლის პირას გაფიცხებულ წაღებს იპოხავდა. — მაიორი რატიევა მომგვარე სასწრაფოდ!

სოლომონს რაღაც ჩასწყდა გულში. რუსული ენის უცოდინარობის გამო, რასაკვირველია, არ გაუგია, რა ბრძანა „იარანალმა", მაგრამ ალღომ კი უკარნახა, ეს მოყვარე თავისი სიხეპრითა და ამპარტავნობით მტრისაგან ვგონებ დიდად არ უნდა განსხვავდებოდესო. მაიორი თავადი რატიევი, ვისი სახელიც ბოლო დროს ბევრჯერ სმენოდა, პირისპირ კი დღეს პირველად უნდა დაენახა, მალე მოიყვანეს. ნაქართველარი რატიე-

ვი, რომელიც თავის მხრივ მეფეს არ იცნობდა, ხოლო ჩაცმულობით სხვა იმერელ დიდებულთაგან ვერ გაერჩია, მეფის მაგიერ, როგორც მეფეს, თავად ბერი ლორთქიფანიძეს მიმართავდა და გადარჯულებული კაცის კვალობაზე ქართულსაც საკმაოდ გამართულად ლაპარაკობდა.

უხერხული მდგომარეობა შეიქმნა.

— ბატონო მაიორო, — როცა შეატყო, ასე გაგრძელება უკვე აღარ შეიძლებოდა, შესაფერი დრო შეარჩია და დარბაისლურად შენიშნა თარჯიმანს ჭაღარა ლორთქიფანიძემ. — მისი უმაღლესობა ბატონი მეფე აგერ ბრძანდება, — და მოწიწებით სოლომონზე აჩვენა. — ჩვენ მხოლოდ სარდალი და ტახტის მოხელე გახლავართ...

რატიევი ყურებამდე გაწითლდა, ცოტა არ იყოს დაბნეულმა ლორთქიფანიძეს თავი დაუკრა და მაშინვე მედიდურად გულხელდაჭდობილ გენერალ ტოტლებენს მიუბრუნდა.

— უთხარი მაგათ, — თავშეკავებული ათვალწუნებით თქვა გრაფმა, როცა რატიევმა თარგმნა დაასრულა. — ჩვენთვის სულ ერთია, რომელი მეფეა და რომელი მსახური, თავად მორიგდნენ, აქ ამის გასარკვევად არ მოვსულვართ. ჩვენ უტყუარ ცნობებს ვფლობთ, რომ იმერეთის პრინცი სოლომონი პორტას კაცია, აქ ოსმალეთის ხონთქრის საამებელ საქმეს აკეთებს. გადაჭრით გვითხარით, მართალია ეს თუ არა და აპირებთ თუ არა, მომავალშიაც გააგრძელოთ ადრე დაწყებული შავბნელი საქმე?

რატიევი წახდა. იგრძნო, ამ შეკითხვის უცვლელად გადათარგმნას ქართველების აღშფოთება მოჰყვებოდა, მაგრამ არც უთარგმნელობა ივარგებდა, რადგან გენერალი ჩახმახივით შემართული იდგა და პასუხს ელოდა.

პირველივე სიტყვების გაგონებისთანავე სოლომონს სახეზე ალმური მოეკიდა, მზერა ერთ წერტილზე გაუჩერდა, აილეწნენ დიდებულებიც და ხელები ხმლის ვადებზე დაიწყვეს. რატიევი ცრუმორწმუნე კაცი იყო. ქართლში ვილოცას ყურში ჩაეწვეთებინა, იმერთა მეფე სოლომონს თვალი უჭრის და მოერიდეო. ის ახლა რწმუნდებოდა, რომ გაფრთხილება საფუძველმოკლებული როდი იყო...

წამიერად ჩამოვარდნილი სიჩუმის დარღვევას არავინ ჩქარობდა. ბოლოს, ქვემომხრის სარდალმა ბერი ლორთქიფანიძემ მეფეს შეხედა, უსიტყვოდ თხოვა, მოწყალე ნება გვიბოძე პასუხი ისევ ჩვენ გავცეთო და თარჯიმანს მიმართა:

— ჩვენ გადმოგვცეს, ბატონო მაიორო, რომ ქართველი კაცი ბრძანდები, ქართველი თავადიშვილი. ხომ ასეა? ამას შენი დიდებული ქართულიც მოწმობს...

—მე ხელმწიფის სამსახურში ვარ, ბატონო, — თქვა პირქუშად რატიევმა. — დღეს რა გასახსენებელია, თუ გუშინ ვინ რა იყო!

ლორთქიფანიძის სისხლნაკლულ სახეზე ღიმილი გაკრთა და იმავე წუთს მიინავლა.

— მაინც გვეგონა, საწყენად ნუ მიიღებთ, რომ აქ მოსვლამდე გრაფს შეაგნებინებდით, „ვისი კაცია“ იმერეთის მეფე; აქ ხონთქრის ნებას ასრულებს თუ ღლე და მოსწრება ხმალამოღებული ებრძვის ურჯულოს! არა გვგონია, ხელმწიფის კარზე ეს არ იცოდნენ. ჩვენი ელჩების მოხსენებები სათვალავშიაც რომ არ ჩავაგდოთ, მარტო გვარდიის კაპიტან ლვოვის დამოწმებაც იკმარებდა...

— რა უნდათ? — ტოტლებენს მოთმინება გამოელია და მკვახედ იკითხა, — ვატყობ, არ სურთ გამოტყდნენ! გადაეცი, რომ მე აქ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სახელით ვმოქმედებ. არავის სასამართლოს არ გავუმართავ. ომის დროს სასამართლო გაწამაწიისათვის ვისა სცალია! როგორც კი ღალატს შევნიშნავ, გარჩევა არ იქნება, ადგილზევე დავხვრეტ, ვინც არ უნდა იყოს!..

იმერეთის მეფისა და მისი დიდებულების სახის გამომეტყველებით მაიორი რატიევი კვლავ მიხვდა, საკუთარ ძალებში ღრმად დარწმუნებულ ტოტლებენს

მეტისმეტი თავდაჯერება გამოსდიოდა, თარგმნისას მისი სიტყვები საგრძნობლად შეარბილა, მაგრამ შერბილების მიუხედავად იმდენი მაინც დარჩა, რომ ხელახალი გულისწყრომა გამოეწვია.

ამჯერად მეფემ თვით ინება პასუხის გაცემა.

— ჩვენ და ქართლ-კახეთის მეფეს, ბატონ ერეკლეს, — თქვა მან და სივრცეს თვალი სადღაც ტოტლებენის ზურგსუკან გაუშტერა. — რუსეთის უავგუსტოესი ხელმწიფე-იმპერატორის ერთგულების ფიცი გვაქვს მიღებული. მზადა ვართ, ხელახლა დავიფიცოთ და ჩვენი ქვეშევრდომებიც დავაფიცოთ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ოსმალების წინააღმდეგ ერთად ვილაშქრებთ და არც ერთი მხარე არ შეეცდება მეორე მხარის შეურაცხყოფას, არც საქმით და არც სიტყვით!..

რატიევმა თარგმნა და როგორც კი თარგმნას მორჩა, ტოტლებენმა ლაპარაკი დაიწყო. ლაპარაკის დროს ის თანდათან ფიცხდებოდა, ღორბლებს ყრიდა, სუფთად გაპარსული, წვრილ-წვრილი ნაოჭებით დაფარული ბებრული ტუჩების კუთხეებში თეთრი ქაფიც კი ჩაუდგა.

— გრაფს არ სჯერა, რომ ოსმალეთთან, რომელთანაც რუსეთის სამეფო კარი ომის მდგომარეობაშია, ქართველებს ფარული ქსელი არა გაქვთ გაბმული. ამბობს, ყველა ამ ქსელს ხმლით გავკვეთ და ყოველ ხეზე თითო მოღალატეს დავკიდებო.

— მართალი მოგახსენოთ, ვერ გაგვიგია, მაიორო, — თქვა სოლომონმა, — მისი მაღალალმატებულება იარანალი აქ ჩვენს წინააღმდეგ საომრად მობრძანდა, თუ ჩვენს მხარდამხარ ურჯულო ოსმალოს უნდა ეომოს? ამას გარდა, გთხოვთ, ნათლად განგვიმარტოთ, სად არის ის კორპუსი, რომელიც უავგუსტოესმა ხელმწიფე-იმპერატორმა ეკატერინემ ოსმალოს ულლისაგან ერთმორწმუნე იმერეთის გამოსახსნელად გამოგვიგზავნა? ჩვენ აქ ერთობ მცირე ჯარს ვხედავთ. ამ ჯარით ვერც ციხეებში ჩაყენებულ ოსმალოს გავდევნით და ვერც მაშველი მხედრობის შემოტევას მოვიგერიებთ!

რატიევი თარგმნას შეუდგა და, გენერლის რისხვა რომ თავს არ დაეტეხა, შეეცადა, ამჯერად მეფის სიტყვებში ჩაქსოვილი სულისკვეთება შეერბილებინა.

— ნახევარ ასეულ რუსის ჯარს შეუძლია მთელი კორპუსი ოსმალო გაჟლიტოს ან ტყვედ ჩაიგდოს, — ცხარედ განაცხადა ტოტლებენმა. — ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში იმერეთის პრინცი მალე დარწმუნდება!

სოლომონმა ამბოხებულ გულს ლაგამი ამოსდო, რათა მეფური სიდარბაისლე ბოლომდე შეენარჩუნებინა და ნაკლებ გამომწვევად ეპასუხა.

— ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ რუსხელმწიფის რეგულის ჯარი უძლეველია. ამიტომაც გული სიხარულით გვევსება, ღვთის განგებითა და ხელმწიფე-იმპერატორის უზენაესი ნება-სურვილით მას რომ დღეს ჩვენს გვერდით ვხედავთ. მაგრამ ერთი ათასის წინააღმდეგ მაინც ცოდვაა. უთხარი ჩვენი სახელით გრაფს, მაიორო, რომ ოსმალო არც ისე ჯაბანია, როგორც მის მაღალალმატებულებას ჰგონია. ენდოს ჩვენს გამოცდილებას. ომის საქმეში ცოტა რამ ჩვენც გაგვეგება. რა ვუყოთ, თუ წელი ვერ მოვიმაგრეთ და რეგულის ჯარი არა გვყავს. სამაგიეროდ, ქუდზე კაცი გამოვალთ და ჩვენს ნაწვავ-ნადაგს არავის დავანებებთ. აგარიანი ბევრჯერ გვიძლევია. ჩვენც ბევრჯერ ვძლეულვართ. მუდამ გამარჯვებული მარტო მაღალი ღმერთია, შეგეწიოთ მისი მადლი! ჩვენი გადაწყვეტილება ასეთი გახლავთ: მოვუცადოთ დანარჩენი ჯარის მოსვლას, თუ მართლა კიდევ ვისმე მოელით, ნუ ავჩქარდებით. ამასობაში ჩვენც ხელს მოვიწყობთ და...

ტოტლებენმა, ეს რომ გაიგონა, მეფის თათბირი შორს დაიჭირა. ერთ წუთსაც ველარ მოვიცდიო, ისიც ბევრია, რაც აქამდე დრო უქმად გავფლანგე და მტერს სულის მოთქმის საშუალება მი-

ვეციო; ხელმწიფე-იმპერატორის სახელით გიბრძანებთ, ზედმეტ მიეთმოეთს თავი დაანებოთ და ჯარი გამოიყვანოთ, ვინაიდან არა უგვიანეს ხვალ დილისა შორაპნის ალყას ვიწყებ და, როგორც კი ციხე ჩემს ხელში გადმოვა, მაშინვე ქუთაისზე მივდივარო.

სოლომონი ხედავდა და სხვებიც ამჩნევდნენ, რომ ცხრა მთას იქიდან მოსული უცხოელი სარდალი, რომლისთანაც რუსეთის ხელმწიფეს, ალბათ, ასობით და იქნებ ათასობითაც ჰყავდა, ძალაუფლების ყველა სადავის ხელში დაჭერას აპირებდა, რის ნებაც, საქმე საბოლოოდ რომ არ გაფუჭებულიყო, მისთვის არამც და არამც არ უნდა მიეცათ.

მაგრამ მედალს მეორე მხარეც ჰქონდა: თუ მაგრად დაუდგებოდი და გაამაყებულ იარანალს კუთვნილ ადგილსა და მოვალეობას მოაგონებდი, მას შეეძლო განაწყენებული კაცის სახე მიეღო, ჯარი უკან გაებრუნებინა და იმპერატორ ეკატერინეს კარზე ცილისმწამებლური მოხსენებითი ბარათები გაეგზავნა. ამას რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება მოჰყვებოდა და ვინ მოსთვლის, რამდენი ჩიჩინი და მისვლა-მოსვლა გახდებოდა საჭირო, რომ გაუგებრობის ბურუსი გაეფანტათ და მხარეები სადღეისოდ მიღწეულ მდგომარეობას დაბრუნებოდნენ!

სოლომონს ის-ღა დარჩა, მხრები აეჩეჩა, მცირეოდენი დრო ეთხოვა მოფიქრებისათვის და თარჯიმნის პირით, სულ ბოლოს, თავისი ელჩები მოეკითხა. გრაფს ადრევე მოელო მოწყალება, დედოფალი მარიამიცა და ეპისკოპოსი მაქსიმე ქუთათელიც, წერილობითი პირობის ჩამორთმევის შემდეგ, რომ ამიერიდან მოწინაამდეგესთან ყოველგვარ კავშირს გაწყვეტდნენ და საგანგებო ზომების მიღება საჭირო აღარ გახდებოდა, მხლებლებითურთ ვარციხეს გაეგზავნა. სკანდიდან აქეთ მომავალ სოლომონს თანამეცხედრეცა და ლიხთიმერეთის სამოციქულო ეკლესიის მომავალი საჭეთმპყრობელიც გზაში ასცდენოდნენ.

## თავი ოცდამეთერთმეტე

სამეფოს ოთხივე კუთხივ ლაშქრის წვევის წიგნები დაიგზავნა. ჯარი ნელა და უხალისოდ გროვდებოდა. ციხისთავ და ქეშიკთუხუცეს ქაიხოსრო აგიაშვილს ერთხელ კიდევ მოუხდა სადროშოებში კაცების დაგზავნა, რათა ხალხი აეჩქარებინა. თვით მეფე სოლომონი ტოტლებენის შორიახლო, ძირულის მარცხენა ნაპირზე იდგა ბანაკად და აქეთ თავისი ჯარების შემოკრებას და იქით „რუსის იარანალს" თვალყურს ადევნებდა. იმედი ჰქონდა, რუსხელმწიფისაგან დამხმარე ხელის გამოწვდა, რაც იმერეთში საექსპედიციო კორპუსის გამოგზავნაში გამოიხატა, ოდიშის ბატონ კაციასაც, მიუხედავად იბრაჰიმ-ფაშასთან კუდი-კუდზე გადასკვნისა, გუნებას შეუცვლიდა და ადრე თუ გვიან მას თავისი დროშების ქვეშ დაინახავდა. მეფის ამ აზრს იზიარებდა დარბაზის ერიც, რომელიც სოლომონს დადიანთან კაცების მიგზავნას ურჩევდა და საქმის კეთილად დაგვირგვინებასაც უწინასწარმეტყველებდა.

ერისთავების სასტიკად დასჯისა და რაჭის საერისთავოს საშვილიშვილოდ მოშლის შემდეგ სოლომონის ძალა და გავლენა ქვეშევრდომების თვალში ერთიორად გაიზარდა. მეფის სახელის გაგონება ბევრ ვისმე, გუშინ რომ ტახტს გულით მინდობილი იყო, შიშის ზარს სცემდა და აიძულებდა, მუდამდღე ყმამამულისა და საკუთარი სიცოცხლის უშიშროებაზე ეფიქრა. აქამდე გაუგონარი უფლებამოსილებით აღჭურვილი „სამართლის კაცები" — ბოქაულები, დიამბეგები და მათი ნების აღმსრულებელი წვრილ-წვრილი მოხელეები ყოველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეში ერეოდნენ და ყველაფერი, რაც ჯერ კიდევ გუშინ დაფარული იყო და თითო-ოროლა ვინმემ თუ იცოდა, სააშკაროზე გამოჰქონდათ. იმათა ტყვისმსყიდველთა და ავაზაკთა საჯარო მხილებამ, დანაშაულის ადგილზე მათმა შეპყრობამ და ულმობელმა განაჩენებმა. ყმა-გლეხობის გული ეს, რასაკვირველია, სიამეს ჰგვრიდა და ერს ტახტის გარეშემო რაზმავდა, მაგრამ, სამაგიეროდ, დიდგვაროვანნი ჩუმად დრტვინავდნენ, ამა ქვეყნის ძლიერთ ერთმანეთის ნდობა დაჰკარგვოდათ, მომავალი კი სახარბიელოს არას უქადდათ და საკუთარ გულს-ღა შესჩიოდნენ.

ერისთავებს დასჯა მხოლოდ დასაწყისი იყო. სოლომონი ამაზე არ შეჩერდებოდა და მცირეოდენი საბაბის მომიზეზებით, ანდა მთლად უსაბაბოდ ძირძველ თავადთ და აზნაურთ ფრთებს შეაკვეცავდა. აკი კიდევაც დაირხა ხმა, ციხეების ჩამორთმევას აპირებსო! თავადი უციხოდ იგივეა, რაც წისქვილი უწყლოდ და მარანი უქვევროდ. უციხო თავადი რაღა თავადია, თუკი გასაჭირის ჟამს შიგ შეხიზვნა და კარზე მომდგარი მტრისაგან თავის დაცვა აღარ შეეძლება!

ქუთაისელ ჯალათს, რაჭის ერისთავი როსტომი და მისი ვაჟები რომ დააბრმავა, თითო-ოროლა შეგირდიც გამოუჩნდა, თუმცა საქმემ მალე თანდათან იკლო და მას ბერძენიც თავისუფლად ასდიოდა.

სოლომონს თვალი შორიდან ეჭირა, სამართალი არავინ გაამრუდოსო და ყველაზე უფრო დაბურდულ დავას თვით არჩევდა, ანდა სხვის მიერ საქმის გარჩევას ბატონიშვილ ალექსანდრესთან ერთად ესწრებოდა და განაჩენს ამტკიცებდა.

განმდგარი დადიანის მონახულება და იმერეთის მეფის გულისნადების ოდიშში მიტანა სახლთუხუცესმა პაპუნა წერეთელმა, მისმა ძმამ, თავადმა ქაიხოსრომ, ხონელმა მებატონემ — დავით აბაშიძემ, სატახტო ქალაქ ქუთაისის მოურავმა და ქვემომხრის სარდალმა ბერი ლორთქიფანიძემ და კაპუჩინელმა ბერებმა იკისრეს.

პირველ ორს — პაპუნასა და ქაიხოსროს, სოლომონის ძველ თანამდგომებს, საკუთარი საზრუნავი გასჩენოდა და ამ საეგებიო ნაბიჯსაც სწორედ ეს საზრუნავი ადგმევინებდა. მუდამ მეფის კრიჭაში მდგომ დადიანისათვის ძმებს კბილი უნდა მოესინჯათ. თუ ვინიცობაა, ცა ჩამოიმხობოდა, ზომაზე მეტად ძალამოცემული სოლომონი წყალობას მათაც რისხვით შეუცვლიდა, როგორც როსტომსა და მის შვილებს შეუცვალა და მამა-პაპის ნაანდერძევ ციხეს მოსთხოვდა, ვინმე ღონიერი პატრონი და მხარდამჭერი ქვეყნის შიგნით წერეთლებსაც ხომ უნდა ჰყოლოდათ!

თავად ქაიხოსროზე მეტად თავადი პაპუნა ფრთხილობდა. ცალი ფეხი, რომ იტყვიან, უკვე სამარეში ედგა, მაგრამ ასაკთან შედარებით განსაცვიფრებელ სიფხიზლესა და დაუზარლობას იჩენდა. ის უკვე ნანობდა, რომ ახალციხის რაბათში ყოფნისას დედოფლის წინაშე ზედმეტი გულახდილობა გამოიჩინა და მარიამის გულის მოსაგებად პირზე სულ კაცთა დადიანის შემორიგებაზე ზრუნვა ეკერა. გამჭრიახი სახლთუხუცესი არა სცდებოდა. სიძე-ცოლისძმის შერიგებაზე ზრუნვა, რაც სისხლით ნათესავი რაჭის ბატონების დასჯის შემდეგ კიდევ უფრო გართულდა, მარიამის ერთი უპირველესი ფიქრი იყო და იმაზე უკეთესი კეთილისმყოფელი არც არავინ ეყოლებოდა, ვინც ამ საქმეში ხელს შეუწყობდა და მოეხმარებოდა.

ოდიშს სამოყვრო მიზნით მიმავალ დარბაისელთათვის სოლომონს ხელი არ შეუშლია, მით უფრო იმის გამო, რომ ეს დარბაზის ერის ერთსულოვანი გადაწყვეტილება იყო, ზემოთ ხსენებული დიდებულები კი კაცია დადიანთან შეყრას თვით ესწრაფვოდნენ, მეფეს საამისოდ არავითარი ძალის დატანება არ დასჭირვებია.

იმერეთში მოსვლის მესამე დღეს, სოლომონთან წინასწარი მოლაპარაკებისა და საბოლოო შეთანხმების გარეშე,

გრაფი ტოტლებენი ორი მდინარის შესართავიდან აიყარა, შორაპანს მივიდა და იმ ხუთასიოდე კაცით, თან რომ ახლდა და უახლოეს მომავალში მეტს არც არავის მოელოდა, ციხეს შემოადგა. კიდევ სამ დღეს არც ერთი და არც მეორე მხრიდან ბაიბური არ ისმოდა. ციხისთავი ახმედი, ეტყობოდა, ყოველდღე ელოდა ხეობაში დაბანაკებულ რუსების წინ წამოსვლას, ამასობაში სათანადო თადარიგიც გასწია და ახლა, როდესაც მათ ალყა შემოარტყეს და გარესამყაროსთან კავშირი გაუწყვიტეს, სიცოცხლის ნიშან-წყალსაც აღარ ამჟღავნებდა. ტოტლებენმა რამდენჯერმე მოუგზავნა შუაკაცები, ციხის ნებაყოფლობით ჩაბარება მოითხოვა. ამის სანაცვლოდ, ყველა მეციხოვნეს, მათ შორის შენც, ციხისთავო ახმედ, სიცოცხლეს შეგინარჩუნებთ და შინ მშვიდობით გაგიშვებთო, მაგრამ ციხის კარიბჭე არც ერთხელ არ გააღეს და შუაკაცების შიგნით შეშვება არ ისურვეს.

მტრისა და მოყვრის თვალწინ, ტოტლებენმა თავისი ოთხად ოთხი ზარბაზანი სწორედ ციხის პირდაპირ აღმართულ გორაკზე დააყენა. როგორც კი რუსების საომარი სამზადისის და ჯორზე შემჯდარი გრაფის გადაწყვეტილების ამბავი შეიტყო, სოლომონმა ავალიანი და თამაზ მესხი გაგზავნა და სარდალს მეგობრულად ურჩია, ჭურვები დაზოგა. ორი ათასზე მეტი წლის წინათ აშენებულ უმტკიცეს ციხეს, რომლის კედლების სისქე ალაგ-ალაგ სამ ადლსაც აღემატებოდა, საველე ზარბაზნებით მაინც ვერაფერს დააკლებდი და შეილად საღირალი ჭურვები ცუდ-უბრალოდ დაიხარჯებოდა.

ტოტლებენი გაცეცხლდა, ეს როგორ მკადრესო, .რისხვისაგან თვალებამღვრეულმა სულ დორბლები ჰყარა, რას ქვია, ღმერთო კი მომკალი, მე და, ციხეს ვერაფერს დავაკლებო? სოლომონ მეფის კაცებს ზურგი უჩვენა და თოფჩებს ანიშნა, ზარბაზნები ციხისაკენ მიემართათ.

გავარ(და ერთი, ორი, სამი...

ჭურვები ზუსტად მოხვდა მიზანს, ძლავრმა აფეთქებამ მიწაც შეაზანზარა, მაგრამ მოხვედრის რაიმე კვალი ქართველ ოსტატების ხელით მკვიდრად ნაშენებ კედლებს მართლაც არ დამჩნევია.

სროლას ციხიდანაც სროლითვე უპასუხეს. კლდის ქიმზე შემდგარი, დურბინდმომარჯვებული ტოტლებენი იძულებული გახდა ქიმიდან ჩამოსულიყო და სხვაგან, უფრო უშიშარ ადგილზე გადაენაცვლებინა, რადგან ურჯულო თოფჩების ნასროლი ერთი ჭურვი სწორედ მის ცხვირწინ ჩაეშვა ხრამში და თავდაჯერებული სარდალიც კინაღამ თან ჩაიყოლა.

ნაშუადღევს რუსების ორი ზარბაზანი მწყობრიდან გამოვიდა. ორივე ჭურვის პირდაპირმა მოხვედრამ დააზიანა. მომსახურე ჯარისკაცთაგან სამმა იქვე დალია სული, ერთი კი თეძოში დაიკოდა და სისხლში მოთხვრილი ამხანაგებმა უკან, მოფარებულ ალაგას გაათრიეს დახმარების აღმოსაჩენად.

კარავში განმარტოებულ მეფეს, რომელსაც სატახტო ქალაქ ქუთაისის მოურავ ბერი ლორთქიფანიძის „ფიცის კაცებმა" გულის გამგმირავი ამბავი მოუტანეს და ისიც ამ ამბავს მრისხანებისაგან კრიჭაშეკრული ისმენდა, ადიუტანტი დე გრაი დე ფუა გამოეცხადა და გრაფ ტოტლებენის დანაბარები სიტყვასიტყვით გადასცა:

— რას უდგახარ მანდ, პრინცო სოლომონ? რატომ არინძრევი? სეირს გვიყურებ? ხომ არა გსურს, შენმა მეგობარმა ოსმალებმა მართლმადიდებელი რუსეთის მხედრობა უკანასკნელ კაცამდე ამოწყვიტონ?! ხელმწიფის სახელით გიბრძანებ, ახლავე აქ გაჩნდე და შენი გაფუჭებული საქმე შენვე გამოასწორო!..

სოლომონს მწარედ გაეღიმა და თვალზე მომდგარი მხურვალე ცრემლი, ბოლო დროს ასე ხშირად რომ ეძალებოდა ხოლმე, მჯიღით მოიწურა. რომელ ერთს გამკლავებოდა? რომელი ერთი დამცირება, დაწიხლვა და სამარცხვინო ბოძზე გაკვრა გადაეტანა?

თავადაც თავზარდაცემული ბერი ლორთქიფანიძე მეფეს გვიშტიბიდან ატყობინებდა, რომ ოდიშში, დადიანის კარზე გაგზავნილ ელჩობას უბედურება შეემთხვა. კაცია დადიანმა, როგორც მოსალოდნელი იყო, გვირგვინოსანი სიძის უერთგულესი ქვეშევრდომები ჯერ პატივითა და ალერსით მიიღო, სხვებზე უმეტეს რატომღაც წერეთლებს დაუტკბა, შეხვედრისას ბევრი სასიამოვნო დაპირებაც გაიმეტა, საქმეს თითქოს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ ბოლოს, სანადიმო სუფრაზე, ვიღაც თავზეხელაღებული მეკობრეები უიარაღო ქაიხოსრო წერეთელსა და ზურაბ იაშვილს მისცვივდნენ და, ვიდრე ვინმე რაიმეს მოასწრებდა, ხმლებით აკუწეს. ელჩობის დანარჩენი წევრები, რომელთაც, რაღა თქმა უნდა, წერეთლისა და იაშვილების ბედი ელოდათ, ხელდახელ შეებნენ მზაკვარი მასპინძლის მიერ მოჩენილ კაცებს. მოკვლით მეტი აღარავინ მოუკლავთ, არც არავინ დაუშავებიათ. ნაცემ-ნაგვემი იმერელი დარბაისლები და მათი მხლებლები, გარდა მშვიდობის მაძიებელი უცხოელი პატრებისა, დადიანის პირახვეულმა ქვეშევრდომებმა ცხენისწყალზე ნავებით გადმოიყვანეს, ხელებშეკრული აქეთა ნაპირზე დასტოვეს და თავად ისევ ნავებს მიაშურეს. ახლა აქა ვარ, გვიშტიბის ციხეში, და შენი დიდებულების ბრძანებას ველიო, იტყობინებოდა ბერი ლორთქიფანიძე, სახლთუხუცესი ბატონი პაპუნაც აქ ბრძანდება და მუხლმოყრილი გევედრება, პირმაც დადიანს ტახტის საკეთილდღეოდ მრავალჯერ გარჯილი ძეში ძმის, უბედური ქაიხოსროს, სისხლს ნუ შეარჩენ, მისი ჯავრი ან ასე ამოგვაყრევინე, ან ისე და წერეთლების მთელი საგვარეულო გვიმსახურე, მტლად დაგვედებითო.

„რა გაეწყობა, ჩემმა გულხარბმა ცოლისძმამ გაეექილს გატეხილი ამჯობინა, — ფიქრობდა სოლომონი. — ჩემი ერთგული ხალხის დახოცვით საქვეყნოდ სილა გამაწნა და კაპუდან-ფაშა იბრაჰიმისაგან შეგულიანებული ძმათამკლელ ომში გვიწვევს. უთუოდ ღვთის ნებაც ეს არის და სადაც სიტყვა არა სჭრის, სხვა რა ღონეა, რა ხმალს უნდა გავაჭრევინო!“

„ბუსურმანების პრინცად“ მონათლულ იმერთა მეფეს გრაფი ტოტლებენი შორაპანის სერებზე ელოდა, ციხეზე იერიშის მისატანად წინ მისი „ქალამნიანი რეკრუტები“ უნდა გაეშვა და როდესაც სოლომონის სადღაც წასვლა შეიტყო, უზომოდ განრისხდა და ბილწსიტყვაობის კორიანტელი დააყენა.

გენერალს გულწრფელად სჯეროდა, რომ ლატაკი ქვეყნის ლატაკი მეფე, რომელსაც განმგებლობაში ერთი ქალაქიც არ გააჩნდა და თავისი მდგომარეობით კუშგამხმარ აზნაურებისაგან არაფრით გამოირჩეოდა, წმინდა წყლის მოღალატე იყო, ბრწყინვალე პორტასა და რუსეთს შორის, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლესთან ერთად, ორმაგ თამაშს ეწეოდა და ფეხს განზრახ ითრევდა, ოსმალების წინააღმდეგ აშკარა გამოსვლას ერიდებოდა.

— მე მაგას შევაგნებინებ, ვისთან აქვს საქმე! — ბრდღვინავდა და ადგილს ველარ პოულობდა ცალკერძ სამხედრო წარუმატებლობით და ცალკერძ სოლომონის მოულოდნელი გადაკარგვით დაბოღმილი გრაფი, — პანინის უნიჭო დიპლომატი არ ვეგონო! გიენა! გველის წიწილი! ეგ აზიური ქვემძრომობა ჩემთან არ გაუვა, აქ მაგის მოსატყუარი კბილები მოცვლილი გვაქვს! რატიევი მოვიდეს!.. სად არის რატიევი?

— აქ გახლავართ, თქვენო მაღალაღმატებულებავ! — მაიორმა, რომელიც გორაკზე სწორედ იმ წუთს ამოვიდა, რათა გრაფისათვის იგივე ამბავი ემცნო, რაც ტოტლებენმა უკვე იცოდა, წინ წამოდგა. ღეზი დეზს შემოჰკრა და, რუსის ჯარში მიღებული მხედრული წესისამებრ, ორი თითი ყვრიმალთან მიიტანა.

— თქვენ არაფერი გაგიგიათ? — გენერლის ხმაში უფრო ნიშნისმოგება ისმოდა, ვიდრე შეკითხვა, რაც იმას მოასწავებდა, რომ ირგვლივ მხოლოდ უცო-

დინარი და ხელით სათრევი ოფიცრები ეხვია და ყველას მაგიერ საქმის გაკეთება თავად უხდებოდა.

— გავიგე, როგორ არა, თქვენო მაღალაღმატებულებავ, — რატიევმა ისევ მიარტყა დეზი დეზს. — მოსახსენებლად გეახელი. პრინცი თავის ჯარს წაუძღვა და ეს არის, ცხენისწყლისაკენ წაბრძანდა...

ტორმლებენს „წაბრძანდა“ ყურში მოხვდა, ზიზღით შეიჭმუხნა, სახეზე ქინქლლივით ფეროვანი ხორცის სქელ-სქელი ნაკეცები დაასხდა, მაგრამ გამოდავება ზედმეტად ჩათვალა, მხოლოდ ეს იკითხა:

— რა უნდა იქ?!

— ცხენისწყალი საზღვარი გახლავს, თქვენო მაღალაღმატებულებავ, წყალგაღმა დადიანის საბატონო მიწებია. ადრე ეგ მიწებიც იმერეთის სამეფო სახლს ექვემდებარებოდა, ახლა უკვე კარგა ხანია, რაც გაღმა ქვეყანა იმერეთს გამოეყო და საკუთარი მთავარი დადიანი ყავს. მეფე და მთავარი ვერ რიგდებიან. მეფე ძველი უფლების აღდგენას მოითხოვს. დადიანი, გასაგებია, თავისას ებღაუჭება და არ უთმობს, ისე კი ორივე, მეფეცა და დადიანიც, თავს ხონთქრის ყურმოჭრილ ყმად და ფეხთა მტვრად აცხადებს. შეტაკებები ხშირად მოსდით. ერთმანეთს ხალხს სტაცებენ და თათრის ბაზრებზე ყიდიან. სისხლიც ბევრი ილვრება.

— ბარემ სულ დაჭამონ ერთმანეთი!

— კიდევაც დაჭამენ, თქვენო მაღალაღმატებულებავ, თუ დასცალდათ. დადიანს მეფის კაცები ჩაუგდია ხელში და დაუხოცავს. ახლა მეფე შურის საძიებლად აიყარა და, ალბათ, დადიანის ქვეყანას კალიასავით მოედება!

— ველურები! კაციჭამიები! ჩვენ აქ ურჯულო ოსმალებს ვებრძვით, ჯვაროსნულ ომში გამოვსულვართ, წელებზე ფეხს ვიდგამთ და ესენი კი ერთმანეთს შესევიან და ანგარიშს უსწორებენ!

— სანამ ჩვენ ქართლში ვიყავით და აქეთ მოვდიოდით, სოლომონს რაჭის დიდი ბოიარი როსტომი და მისი შვიდი ვაჟი დაუსჯია. მთელი ქვეყანა ახლა ამაზე ლაპარაკობს. ზოგი მეფეს ამტყუნებს, ზოგი ბოიარს. სოლომონს ერთგული ძმა განდგომია და ყველაზე უფრო შორეულ მონასტერში უბრალო ბერად აღკვეცილა. კაცმა არ იცის, ნამდვილად რა მოხდა. შერისხულ ბოიარებს ჯალათმა თვალები დათხარა და ყველა დააბრმავა. ეგენი ოდიშის მთავრის ახლო ნათესავები ყოფილან, თვით მთავარი კი, კაცია დადიანი, მეფის ცოლისძმაა. კაცია დადიანი ადგა და მეფის ხელისშემწყობებს გაუსწორდა!..

— მამა ვაცხონე მისი!.. სად არის თავადი მოურავოვი? ეს ყველაფერი პეტერბურგს უნდა შევატყობინოთ. მეც ჩემი მხრივ მივწერ... — მამლაყინწასავით აქოჩრილ გენერალს აშკარად ეტყობოდა, რომ არსად არაფრის მიწერას არ აპირებდა, ვინაიდან არ უნდოდა, ხელმწიფის კარზე ვისთვისმე თავი შეეხსენებინებინა, მაგრამ ეს სიტყვის მასალად თქვა, რათა ხელქვეითთა თვალწინ თავი იმად წარმოესახა, რაც ნამდვილად არ იყო.

— მისი ბრწყინვალება პრინც ერეკლეს გაჰყვა ტფილისს, თქვენო მაღალაღმატებულებავ, არა მგონია, ერთ-ორ კვირაში პირი აქეთ ჰქნას...

— იცით, გულზე არ მეხატება, მაგრამ მოურავოვის აქ ყოფნა საქმეს სჭირდება და ახლავე დაიბარეთ. კაპიტან, — ტოტლებენი თავის ადიუტანტს, დე გრაი დე ფუას მიუბრუნდა. — თქვენ მოგიწევთ წასვლა. გაიყოლეთ, რამდენი კაციც საჭიროა და მოურავოვი ჩემი სახელით აქ ჩამოიყვანეთ. თავს დიდად დაიფასებს, მაგრამ... კარგს იზამს, თუ ლვოვიც დაგვდებს პატივს და წამობრძანდება. მაგ ქალაღდის მატლებმა თავისი თვალით უნდა ნახონ, რომ აქ საქმე სულ სხვაგვარად ყოფილა, ვიდრე პეტერბურგში, ხელმწიფის კარზე ხატავდნენ...

— მესმის, თქვენო მაღალაღმატებულებავ! — ადიუტანტმა, მაღალმა, პირხმელმა, არისტოკრატული შესახედაობის ცისფერთვალება ფრანგმა, ორი გა-

ფშეკილი თითი ყვრიმალთან მიიტანა და ბრჭყვიალა დეზები გააწკარუნა. — როდის მიბრძანებთ წასვლას?

— ახლავე, ამ წუთში! პრინც ერეკლეს წინადადების მიღება, ალბათ, დაგვჭირდება. ჩვენ ჩვენი შევთავაზეთ. არ უნდა, ნუ უნდა, მაგაზე დამიდგა დარდი! როგორა გვაქვს სურსათის საქმე, მაიორო? — გრაფმა ისევ თავად რატიევს მიმართა.

რატიევმა სარდლის გარშემო შემოკრებილ ოფიცრებს თვალი მოავლო, ვერ დაინახა, ვისაც ეძებდა და მისი წილი რისხვა რომ თავს არ დაეტეხა, გაქექილად მიუგო:

— ინტენდანტმა შემომჩივლა, სამიოთხი დღის მარაგი გვრჩებაო. ფურაჟი სულ გაგვითავდა. თივას და ღომის ჩალას კაზაკები ეზო-ეზო აგროვებენ...

— მერე აქამდე სად იყავით, თქვე პირუტყვებო, რატომ არ მომახსენეთ, რომ, სანამ აქ იყო, სოლომონის კისრიდან ამომელო? — დასჭექა ტოტლებენმა და ამ საქმეში სრულიად უდანაშაულო თავად რატიევს, მწყობრის ოფიცერს, დორბლები მიაყარა. — არის აქ ვინმე სოლომონის ქვეშევრდომი? ახლავე მომგვარეთ! თუ არავინ დარჩა და თავის ავაზაკ ბატონთან ერთად ყველა საყაჩაღოდ წავიდა, ერთი ასეული დაუყოვნებლივ ვარციხეს გაიგზავნოს! სასახლეს ალყა შემოარტყით, გააგებინეთ, რომ ეს ჩემი ბრძანების თანახმად ხდება, და თუ სურსათს ნებით არ იძლევიან, ძალა იხმარეთ, რუსეთის ხელმწიფის ჯარისკაცი შიმშილს ჩვეული არ არის!

გრაფის ხელქვეით ოფიცრებს ამ უკანასკნელი განკარგულების შესრულება აღარ დასჭირვებიათ. ისინი თავიანთ ადგილებზე ჯერ არც კი იყვნენ მიბრუნებული, ხეობაში, წყლის პირზე, დასავლეთის მხრიდან, ურმების გრძელი ქარავანი რომ გამოჩნდა და ერთ-ერთმა დაწინაურებულმა ცხენოსანმა, რომელსაც თავზე თეთრი ფაფანაკი ეხურა და აქაური აზნაურთაგანი უნდა ყოფილიყო, უსაშველოდ დამტვრეული რუსულით ხელმწიფის ჯარის უფროსი მოიკითხა.

სოლომონს, ვიდრე კაცია დადიანისათვის ჭკუის სასწავლებლად ჯარს დასძრავდა და ხმალამოღებული დასავლეთისაკენ გულდაგულ გაეშურებოდა, მანამდე ეზრუნა და მეღვინეთუხუცესი სულთამ ავალიანი რუსის მხედრობის შესანახი ნუზლის შესაკრებად გაეგზავნა. დამშეულ და გაქესატებულ ქვეყანაში, ურჯულო მტრის შემოსევიდან შემოსევამდე სულის მოთქმასაც რომ ვერ ასწრებდა, ნუზლის მოგროვება უბრალო საქმე როდი იყო. სულთამ ავალიანსა და მის ხელისმომმართველთ ბევრი ახლო და შორეული სოფლის შემოვლა მოუხდათ. წინასწარ გაფრთხილებული მოურავები, გზირები და იასაულები, რომელთაც ზემდგომ ხელისუფალთა ბრძანების სიტყვაშეუბრუნებლივ აღსრულება ევალებოდათ, კარდაკარ დაიარებოდნენ, სიმინდის ფქვილს, ღომს, ლობიოს, ცერცვს, მუხუდოს, ღვინოს სავალდებულო გამოსაღების ზემოთ კრებდნენ და სახასო ბეგარაში გამოწვეულ ურმებზე ტვირთავდნენ. უბრალო მოკვდავთაგან ყველამ როდი იცოდა, თუ სად და რისთვის მიჰქონდათ მათი ნაცოდვილარი ლუკმა, ხოლო ვინც იცოდა, ბეღლის ან საკუჭნაოს კარს აკანკალებული ხელით აღებდა, შავი დღისათვის გადანახულ სარჩოს შუაზე ჰყოფდა და ღვთისა და ბატონის ნებას მინდობილი თითქმის ულუკმაპუროდ რჩებოდა.

კიდევ რამდენიმე დღეს ციხის ალყაში ყურყუტმა გენერალი ტოტლებენი დაარწმუნა, რომ ძვირფასი დრო ტყუილად დაჰკარგა. ცოცხალი ძალის მხრივ ზარალი იმ პირველი დღეების შემდეგ, მართალია, აღარ მოსვლია, მაგრამ ორი ვარგისი და ორიც გაჭირვებით აღდგენილი, ნაკლებად სანდო „მარტორქა" უქმ ტვირთად ექცა, რადგან ჭურვები უდროო დროს შემოელია და ტყვია-წამალიც სანახევროდ გაუთავდა. ახლა რომ ღმერთი გამწყრალიყო და სადღაც ცხენისწყალგაღმა, სადადიანოში გადაკარგულ სოლომონს ოსმალები მოეყვანა, ტოტლებენს იქნებ ხელიც ველარ გა-

ენძრია და სამარცხვინოდ დამარცხებული თავისი ჯარით ტყვედ ჩავარდნილიყო. აი, მაშინ უნდა გენახათ, რა ამბავი ატყდებოდა სანქტ-პეტერბურგში! ძველი მტრები და მეშურნენი, უდიდესი სამხედრო პატივი — ბერლინის გასაღების მიღება რომ ვერ ეპატიებინათ, ტოტლებენს მოღალატედ გამოაცხადებდნენ, ერთხელ კიდევ სამართალში მისცემდნენ და კანცლერ პოტიომკინისათვის, ვისი პირადი წარდგინებითაც ის კავკასიაში მოქმედი საექსპედიციო კორპუსის სარდლად დაინიშნა, თვით ხელმწიფე-იმპერატორ ეკატერინეს იქნებ საყვედურიც კი ეკადრებინა!

ოფიცრებს ერთობ გაუკვირდათ, როდესაც საგანგებოდ დაგზავნილმა შიკრიკებმა გენერლის ფიცხელი ბრძანება ჩამოარიგეს. დილის ექვს საათზე დანიშნული იყო ალყის მოხსნა და „საექსპედიციო კორპუსის“ შორაპნიდან გასვლა. ტოტლებენს, როგორც ჩანდა, განზრახული ჰქონდა, იარაღ-საჭურველი ქედგადალმა, მეფე ერეკლეს სამფლობელო ქვეყანაში შეევსო, იქვე გამოეზამთრებინა და იმერეთის საქმეების მოსაგვარებლად მხოლოდ გაზაფხულზე, სააღდგომო უქმეების წინ დაბრუნებულიყო...

## თავი ოცდამეთორმეტე

ცხენისწყალზე გასულ სოლომონს მისი ჯარის სიმრავლით შემკრთალმა კაცია დადიანმა სამთავროს ყველაზე უფრო საპატივცემო ბერიკაცები მოაგება, ძღვენი მოართვა და ზავი სთხოვა. რისხვით შეპყრობილი მეფისათვის ეს ზავი, რომელსაც თვით თავგასული ოდიშის ბატონი ითხოვდა, სწორედ მისწრება იყო, რადგან ძმათამყლეტ ომს, რა საბაბითაც არ უნდა ატეხილიყო, ყველაზე დიდ ბოროტებად თვლიდა, მაგრამ ადვილად და უყოყმანოდ დადიანის მიერ შემოთავაზებული წინადადება მაინც არ მიუღია. სოლომონს ეჭვი ჰქონდა, გონზე ნაგვიანევად მოსული დადიანი გვირგვინოსანი დის, დედოფალ მარიამის, რჩევითა და შეგონებით მოქმედებსო და გულში თანამეცხედრის უაღრესად მადლიერი იყო.

საფაშოს ელჩობიდან დაბრუნების შემდეგ ვარციხის ახალაღდგენილ სასახლეში ასულებითურთ გამოკეტილი მარიამი, ბატონიშვილი ალექსანდრე მამას ახლდა და სალაშქრო ცხოვრების სიძნელეებს იზიარებდა, მეფეს საგულდაგულოდ აღარ შეხვედრია, ხოლო მოვლენები ისე სწრაფად გადაება ერთმანეთს, მეფე-დედოფლის მომავალი შეხვედრა კიდევ უფრო შორს გადაიდო.

კაცია დადიანის სანადიმო სუფრაზე ქაიხოსრო წერეთლისა და ზურაბ იაშვილის ვერაგული მოკვლის ამბავი რომ მოუტანეს, მისი აქ არყოფნის დროს დატრიალებული უბედურებით — ღვიძლი ნათესავი ერისთავების სასტიკად დასჯით ისედაც გულშემოყრილი მარიამი უმალვე მიხვდა, ამას რაც მოჰყვებოდა, მაგრამ ისიც მაშინვე იაზრა, გამძვინვარებულ სოლომონს, თუმცა ჩემი დიდი ხათრი და მორიდება კი აქვს, ახლა ვერა ძალით ველარ დავაკავებო და სანდო კაცები ოდიშს აფრინა, რათა მათ საომრად აღძრულ სოლომონისათვის დაესწროთ და დედოფალ მარიამის საიდუმლო წიგნით მეფეზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ კაცია დადიანს წარსდგომოდნენ.

სოლომონის სიძულვილით ყელამდე სავსე დადიამ, როგორც მას სამეგრელოში ეძახდნენ, ორ დღეს ალოდინა დის მიერ გამოგზავნილი კაცები. ძალა ჯერ კიდევ თავის მხარეზე ეგონა და არ მოისურვა, მათი მიღებით თავი დაემცირებინა, ბოლოს კი, როდესაც დიდძალი

ჯარის თანხლებით აქეთ წამოსული მეფის მოახლოება სარწმუნოდ შეიტყო, მარიამის კაცები მოაყვანინა და წიგნიც წაიკითხა.

დანის წვერი ზედ ყელზე იყო მიბჯენილი. დადიანს სულ ექვსასი-შვიდასი კაცი ახლდა, დანარჩენი ლაშქრის შეკრება და ქვეყნის სათანადოდ გამაგრება, თუ მეტს არა, ხუთ-ექვს დღეს მაინც მოითხოვდა. ამგვარ გამოუვალ ვითარებაში, რომელმაც კაცია დადიანი თავისი ნაჩქარევი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანამ მოაქცია, სოლომონს დიდი და აუნაზღაურებელი ზარალის მოყენება შეეძლო. არჩევანის დრო უკვე აღარ იყო. სოლომონს, რა თქმა უნდა, რუსეთიდან მოსული „იარანალიც“ დახმარებას აღმოუჩენდა და, ამგვარად, ოდიშის ბატონთა სამფლობელოსაგან ქვა ქვაზე აღარ დარჩებოდა...

ყოველივე ეს მარიამის წიგნში ეწერა. იმერეთის ამაყი დედოფალი ფეხებში უვარდებოდა საფიცარ ძმას, მამის ანდერძს მოაგონებდა და მუხლმოყრილი ევედრებოდა, ეს ერთხელ მაინც დამიჯერეო, ძმათა სისხლში ხელს ნუ გაისვრი, ჩვენს ჯიშსა და მოდგმას ერს ნუ დააწყევლინებ, სოლომონთან დანაშაული მიგიძღვის და, თუ ჩვენი და-ძმობის მადლი კიდევ გწამს, კარზე მომდგარი უაზრო სისხლისღვრა მეფის წინაშე გონივრული მორჩილების გამოცხადებით აღკვეთეო.

სხვა დრო რომ ყოფილიყო, ამის გამგონე ზვიადი კაცია გაცოფდებოდა, „სოლომონის ჩრდილ“ თავის დას უპატიური ლანძღვით აავსებდა, მის მალემსრბოლებს კი კადნიერებისათვის ჯურღმულში ჩაყრიდა, მაგრამ ახლა ხედავდა, რომ მარიამის ხვეწნა-მუდარა გულწრფელი და ყოველგვარ ანგარებას მოკლებული იყო, გამწარებული და მართლაც ძმის საკეთილდღეოდ ილვწოდა და ხმა არ ამოუღია.

სოლომონმა პირადად არ ინდომა დადიანისაგან გამოგზავნილ ბერიკაცებთან შეხვედრა, ისინი ქაიხოსრო აგიაშვილსა და ბერი ლორთქიფანიძეს მიანება და თავად კი ცხენიწყალს მიაშურა გაღმა გასასვლელად...

უნდა შექმნილიყო შთაბეჭდილება, რომ შუამავლების მხეცური დახოცვით განრისხებულ მეფეს არაფრის გაგონება არ უნდოდა. რაკი საქმე საქმეზე მიდგა და გარემოებაც ხელს უწყობდა, დადიანების სამთავრო სახლი იარაღის ძალით უნდა მოეშალა, სამთავრო გაეუქმებინა, როგორც მარგვეთსა და რაჭაში ჰქმნა, და დადიანისეული ყმა-მამული ტახტის ერთგულ თავადებსა და აზნაურებს შორის დაეყო. როდესაც წინასწარ გამოგზავნილ მეთვალყურე-მსტოვრებს მოუსმინა და მდგომარეობა ერთხელ კიდევ გონების სასწორზე შეაგდო, მეფე საბოლოოდ დარწმუნდა, დღეს ეს შესაძლებელიაო და ბრძანება გასცა, ჯარს მდინარეზე გადასვლა დაეწყო.

გაღმა, გორდის გადმოსახედზე, გვიშტიბის ციხის პირისპირ, მქრქალი ნისლით დაფარულ ხეობას აქეთა მხრიდან რომ გადაჰყურებდა, რამდენიმე გუნდად თავმოყრილი დადიანის მხედრობა იდგა, იდგა და თვალს შორიდან ადევნებდა, რა ხდებოდა ქვემოთ, ხეობაში. დადიანისანები არც მაშინ განძრეულან, როდესაც გაშლილმა სეფე-დროშამ სადადიანოს ნაპირს გადმოაღწია და მდინარე კიდით კიდემდე ჯარით აივსო. წყალი აქაფდა, აიმღვრა, სიცივისაგან აფრუტუნებულ ძუაგამოსკვნილ ცხენებს მუცელზე შემოადგა და სულ მალე გავაზედაც გადაუარა...

ჩანდა, ოდიშარი ასისთავები და თვით კაცია დადიანიც, რომელიც სიძის შემდგომი მოქმედებისათვის თვალყურის სადევნებლად გორდს ამოვიდა, მტრის ჯარის სიმრავლის გამო ჩაგებებას ვერ ბედავდნენ და თოფის გასროლის მანძილზე მის მოახლოებას ელოდებოდნენ.

ეს სწორედ ის ადგილები იყო, სადაც ლადიანის ასულ მარიამის ხელის სათხოვნად ოდიშს მოსულმა სოლომონმა ფეხი პირველად დაადგა და საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული ერი და ბერი ზარების განუწყვეტელი რეკვითა და საეკლესიო ბაირაღების ფრიალით ეგებე-

ბოდა. დღეს იგივე მეფე სოლომონი ცეცხლითა და მახვილით მოდიოდა და, ნაცვლად მეფური წყალობისა, იმავე ერისათვის სიკვდილი და გაპარტახება მოჰქონდა...

განუყრელ ძიძიშვილ ნიკოლოზ ნაფიჩვაძესთან და სხვა მრავალ თავისიანთან ერთად სოლომონს თან ახლდა ბატონიშვილი ალექსანდრეც. გვირგვინოსანი მამის მხარდამხარ ალექსანდრე ომში პირველად მიდიოდა, ვინაიდან რაჭაში ყოფნას მთლად ომში ყოფნად ვერ ჩასთვლიდი, და წინასწარ ზარავდა იმის წარმოდგენა, რომ გულის სიღრმეში საყვარელ ბიძას, რაღაც მოუხელთებელი მსგავსებით თავის სათაყვანებელ დედას რომ ამგვანებდა, დადიანის სამთავრო სახლის დამხობის შემდეგ, ხელ-ფეხში ბორკილგაყრილს და დამდაბლებულს უნდა შეხვედროდა. სოლომონი გვერდიდან არ იშორებდა შვილს, ისე ეპყრობოდა, როგორც ტოლი ტოლს და თან მისდა შეუმჩნევლად ცდილობდა, ტახტის ჭაბუკი მემკვიდრე განსაცდელისაგან თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად დაეფარა.

გორდის ციცაბო აღმართი ჯერ სანახევროდ ათავებული არც კი ჰქონდათ, როდესაც მეფეს ციხისთავ და ქეშიკთუხუცეს ქაიხოსრო აგიაშვილის მიერ დადევნებული მალემსრბოლი დაეწია. ქვემოთ, ცხენისწყალგაღმა, ეს იყო მოეტანათ ამბავი შორაპნის ციხის ალყის მოხსნისა და რუსის „რეგულის ჯარის“ ქართლში გაბრუნების თაობაზე...

სოლომონს მეხი დასცა ახალი ცნობის მიღებამ და მუხლმოკვეთილი ერთ ადგილზე გაქვავა. რუსის მოულოდნელი წასვლა გაცილებით მეტ უბედურებას მოასწავებდა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა. შეიტყობდა თუ არა, რუსებმა სოლომონი მიატოვესო, კაპუდან-ფაშა იბრაჰიმი დამსჯელი ჯარის გამოგზავნას არ დააყოვნებდა და იმერეთში ერთმორწმუნე ხელმწიფე-იმპერატორის მხედრობის შემოყვანას, ისიც იმ დროს, როცა ფაშა და თვით სულთნის კარი ამოდენა დათმობაზე წავიდნენ, ძვირად დაუსვამდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლომონმა დიდებულები მოიხმო და რჩევა ჰკითხა.

— მდევარი გავგზავნოთ, მეფეო, მე თავად გეახლები, — შეჰბედა გვირგვინოსან ძმას ახოვნებით ყველასაგან გამორჩეულმა ბატონიშვილმა არჩილმა. — შევევედროთ იარანალს, იქნებ არ გამოგვჭრას ყელი და ურჯულოს ხელში არ ჩაგვყაროს!..

სოლომონი არა ჩქარობდა, ყველას სათითაოდ დაეკითხა. დიდებულები წინასწარ შეთანხმებულებივით იმასვე იმეორებდნენ, რაც ძველი ჭრილობებისაგან თავდახსნილმა ბატონიშვილმა არჩილმა ბრძანა და ნათქვამს იმასაც დასძენდნენ, რომ შექმნილი ვითარება დადიანთან დროებითი ზავის შეკვრას მოითხოვდა, მხოლოდ სახლთუხუცესი პაპუნა წერეთელი და ზემომხარის სარდალ ქაიხოსროს ახალგაზრდა ძე, მამის სისხლის აღების სურვილით აღტკინებული ზურაბი არ ეთანხმებოდნენ ამ აზრს და პირველი გავლენიანი კარისკაცის დაჟინებით, ხოლო მეორე ასაკის შესაფერი სიფიცხით ორცეცხლშუა მოქცეულ მეფეს თითქმის ბოლომდე მიყვანილი ლაშქრობის ძლევამოსილ დაგვირგვინებას ურჩევდნენ.

სოლომონმა შვილი დაზოგა, ალექსანდრესათვის არაფერი უკითხავს.

კაცია დადიანის ბანაკში ერთობ განცვიფრდნენ, თითქმის თოფის ტუჩზე მომდგარი მტრის წინსვლა რომ შენელდა და შემდეგ მთლიანად შეწყდა. რა ხდებოდა იქ? რა ახალ გადაწყვეტილებას იღებდა წმინდა ფიცის გამტეხი მეფე, რომლის გამარჯვება ამ ომში თითქმის უეჭველი და გარდუვალი ჩანდა? ნუთუ უკანასკნელ წუთს ყოყმანმა სძლია, ანდა თანამეცხედრემ, დედოფალმა მარიამმა, მასაც ჯადო-წიგნი მოსწერა და სწორედ პირველი საბედისწერო გასროლის წინ ომზე ხელი აიღებინა?

სოლომონთან შუამავლად გაგზავნილი ბერიკაცები გორდში დაბრუნდნენ. მე-

ფის მხარე ქაიხოსრო წერეთლისა და ზურაბ იაშვილის გვამების გადაცემას ითხოვდა, რათა ისინი შესაფერისი პატივით მიწისათვის მიებარებინათ, ამავე დროს ითხოვდა იმერეთიდან გაქცეულ და დადიანის კალთას შეფარებულ კათალიკოს ბესარიონს, რომლის სინდისს სარწმუნოებისა და ტახტის ღალატი ამძიმებდა და არსებული კანონმდებლობის ძალით მასაც აუცილებლად ძმისა და ძმისწულების ხვედრი უნდა გაეზიარებინა.

მოკლულთა გვამების გადასაცემად კაციამ დრო დათქვა, ვინაიდან ორივე უკვე დამარხული იყო და იმერეთში გასაგზავნად გვამები საფლავებიდან უნდა ამოეღოთ, თავისი ღედის ძმის, კათალიკოს ბესარიონის, აწ უკვე სრულიად სამეგრელოს კათალიკოს-პატრიარქის, გაცემაზე კი ცივი უარი განაცხადა. იმედგაღვიძებული მთავარი, რომ რაღაც მოსაზრებით სოლომონმა ომის გაგრძელებაზე უარი თქვა და უკან გაბრუნებას აპირებდა, ამითაც არ დაკმაყოფილდა: მოციქულების პირით სიძეს თვალებდავსილი როსტომ ერისთავისა და მისი ვაჟების ოდიშს გამოგზავნა შეუთვალა. დაბრმავებულები მკურნალობას საჭიროებდნენ და ამ უბედურებს ისე ვერსად უპატრონებდნენ, როგორც ოდიშში...

სოლომონმა სულ ორასიოდე მხედრისაგან შემდგარი მცირე რაზმი გაიყოლა და იმავე საღამოს შორაპნის შორეულ გზას გაუდგა. ასეთივე რაზმის თანხლებით ცოტა უფრო ადრე წავიდა ბატონიშვილი არჩილი. გრაფ ტოტლებენს ის სადმე ჩხერის ციხის მიდამოებში უნდა დასწეოდა და როგორც თავისი, ისე სიმამრის, მეფე ერეკლეს, სახელით ემოქმედა...

სოლომონი ხედავდა და თანდათან რწმუნდებოდა, რომ გამოუსწორებელი შეცდომა მოუვიდა. რაც არ უნდა მომხდარიყო, თავგასულ კაცია დადიანს მთელი ქვემო მხარეც რომ მოეოხრებინა, ისედაც შარის მაძიებელი ამპარტავანი „რუსის იარანალი" არამც და არამც მარტო არ უნდა დაეგდო და ადგილიდან ფეხი არ უნდა მოეცვალა.

მიუხედავად ზამთრის უგზოობისა, ტოტლებენს ძალზე სწრაფად ევლო. ბატონიშვილი არჩილი რომ ჩხერის ციხეში ავიდა, იქ ექვსი რუსის სალდათი დაუხვდა, რომლებიც გრაფს ავადმყოფობის გამო დაეტოვებინა, ხოლო თავად ქართლის თავქვეზე ვახანისაკენ დაშვებულიყო. გაზაფხულზე აქ ისევ გამოვივლი და თან წაგაშავებთ, მანამდე კი ციხეში მოიცადეთო. მეციხოვნეებს, ადგილობრივ გლეხებს, ციხეში მორიგეობით რომ იდგნენ ხოლმე და თოხის ან ცელის მაგიერ ხელში თოფი ეკავათ, თავი გამოედოთ, ახლომახლო სოფლებიდან პურმარილი მოეტანათ და სალდათებს, რომელთაგან ორი დაჭრილი იყო, ერთი უზნეო ცხენს დაეშავებინა, ორი კი წყალს დაეცადა და სტომაქში რაღაცას იტკივებდა, სტუმრის საკადრისად გამასპინძლებოდნენ. ის ამბავი, რომ ერთიმეორის ენის უცოდინარობის გამო სტუმრები და მასპინძლები ერთმანეთს ვერაფერს აგებინებდნენ, მაინცდამაინც არავის აწუხებდა. ჯერ ორნახად პანტის არაყს და შემდეგ ჭურის ღვინოს უცხოობის ყველა ზღვარი წაეშალა და სალდათები და მეციხოვნეები, მიწის შვილები, ერთბაშად დაეძმობილებინა.

არჩილმა სალდათების გამოკითხვა ბრძანა, მაგრამ სანუგეშო მათგან ვერაფერი შეიტყვეს. ექვსივე ზომაზე მეტად გამომთვრალი იყო, პირში არც ერთს ენა აღარ ედგა და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა.

— რა გიქნიათ, ბიჭო, ეს? — გაუწყრა ბატონიშვილის უდროო დროს მობრძანებით ელდანაცემ მეციხოვნეებს უძილარი და კარგა ხნის წვერგაუპარსავი თამაზა მესხი. — დახოცეთ ხალხი? ძალიან პატივი გიციათ, თქვენმა გაზრდამ!

საკინძეგახსნილმა, ჩოხაამოკალთავებულმა ნაღვინევმა გლეხებმა თავები ჩაჰკიდეს და გუნებაგაფუჭებულნი, ეს რა საჯაყი საქმე შეგვემთხვაო, ქალამნის ჭვინტებს დააცქერდნენ.

— რუსული რომელმა იცის თქვენში?

გლეხებს ღიმილი მოერიათ, აციმციმებული თვალებით ერთმანეთს ქვეშქვეშ გაჰხედეს.

— არ გესმით, რას გეკითხებით? — ხმას აუწია თამაზა მესხმა. — რუსული ხომ არ იცით აქ რომელიმემ?

— ამან იცის, ა!

— რომელმა?

— მასხარაობს, ბატონო, თავისი თავი ყავს საცინად ასაგდები, რუსული რა ვიცი მე, ჰიშკარგარე ფეხი არ გამიდგამს!

— რომელმა ნახეთ რუსის იარანალი?

— ყველამ ვნახეთ, აქანა არ გეიარა?

— რა თქვა მერე, რო გეიარა? — თამაზამ ზემოიმერულად მოუქცია.

— რა თქვა, ბიჭო, უთხარით ამ კაცს! — მეციხოვნეები ტვინში შემჯდარმა ღვინომ გაათამამა და ერთმანეთს მიმართეს.

— ღლიცინს მოუკვდა პატრონი! — ხმა დაიმჭახა და მსხვილი თვალები დააბრიალა თამაზა მესხმა. — თავის აგდებას მოეშვით და წესიერად გამეცით პასუხი! ვერ ხედავთ, ძუკნის გაგდებულებო, გარეთ მეფის ძმა, ბატონიშვილი არჩილი იცდის?

— ი! — გლეხებმა კიდევ გადახედეს ერთმანეთს, მერე თამაზა მესხი თვალით გაზომეს და საქმე უაყალმაყალოდ, ვისთვისმე თავის გაუხეთქავად აღარ დამთავრდებოდა, ციხეში სწორედ ამ დროს თვით ბატონიშვილი არჩილი რომ არ შემოსულიყო და საჩხუბრად ამრეზილ მეციხოვნეებს ამით ცივი წყალი არ გადასხმოდათ.

გამოკითხვამ და ჩაძიებამ სასურველი შედეგი არც ახლა გამოიღო. მეციხოვნეებმა მხოლოდ ის იცოდნენ, რომ „ამას წინეებზე“ იმერეთში გადმოსულმა რუსხელმწიფის ჯარმა ისევ უკან გამოიარა, დავარდნილები, ვისაც მგზავრობა აღარ შეეძლო, ციხეში დასტოვა და თვითონ კი მუხლის ჩაუხრელად გზა განაგრძო, თითქოს ვიღაც უკან გამოსდევნებია და რადაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა აქედან როგორმე გასწრობო.

ერთი-ორი საათის შემდეგ უგონოდ მთვრალი სალდათები მოცოცხლდნენ, აულაგებელ სუფრას მიუბრუნდნენ და ძილში მგლებივით მოშივებულებმა ისევ მუქთა საჭმელს გაუსვეს ხელი.

— არიქა, ბატონო, ახლა გვაქ დრო, თუ არა ღვინო დასძალავთ და ძილად მივარდებიან ისევე!..

გზა დაუცალეს რუსულის ზედმიწევნით მცოდნე თამაზა მესხს და სალდათებს წინ დაუყენეს. დალაგებული პასუხის გაცემა მხოლოდ ერთმა შესძლო. კაფანდარა კაზაკი იყო, ცისფერთვალება და ცხვირპაჭუა, დამჭლევებული ლოყები ნაკეც-ნაკეც ეკიდა ყბებზე, ნესვივით წაწვეტებულ ოკრობოკრო კეფაზე თმის ადგილას სულ რამდენიმე ჭალარა ბეწვი-ღა შერჩენოდა.

კაზაკმა თავი დაიფასა, დიდკაცობის მანტია წამოისხა, ძირისძირობამდე გამოიკითხა, ვისთან ჰქონდა საუბრის პატივი და როდესაც ბატონიშვილ არჩილის ვინაობა გაუმხილეს, თვალები დააჭყვიტა, ჯერ არ დაიჯერა, როგორაო, ბატონიშვილის უბრალო მხედრული ალკაზმულობა ეხამუშა, მერე ორივე მუხლზე დაიჩოქა, სამგზის შუბლით მიწას შეეხო და დაეჭვებულმა, არ მასულელებდნენო, ბოიარისადმი თავისი გლეხკაცური თაყვანისცემა გამოხატა. მერე წუწუნს მოჰყვა: ჩვენს საბრალო დედარუსეთს ცხრა მთას იქიდან მოთრეული უცხოელების ხელით დაღუპვა უწერიაო, უჟმური შიგ ტანში გვიზის და იმის ნაცვლად, მკურნალებს მოვუხმოთ და უჟმური ტანიდან გამოვბერტყოთ, გადამთიელებს მივნდობივართ და ჩვენსავე კურთხეულ მიწა-წყალზე სხვისი ხელის შემყურე გავმხდარვართო. თქვა ესა და კიდევ არ დაცხრა, კიდევ ბევრი ილაპარაკა, თან თვალებს მალიმალ აცეცებდა და ცდილობდა, საგულდაგულოდ შეეტყო, მართლა ასულელებდნენ თუ არა.

— რას ამბობს? — ჰკითხა ბატონიშვილმა არჩილმა თამაზა მესხს.

— უფროსებს აუგად იხსენიებს, ცხრა

მთას იქიდან მოთრეული უცხოელები არიან, ბატონებად თავზე გვაჯდიან, აქ საშოვარი ეგულებათ და საწყალი მუჟიკის ხელით აშენებულ ქვეყანას ანგრევენო.

— ეგ ჩვენც ვიცით, — ოდნავ გაიღიმა და მათრახის ტარით ყურისძირი მოიფხანა არჩილმა. — სხვა?

— იარანალს გულისხმობს. ეგ რუსი არ გეგონოთ, აშმორებული პრუსაკია, პრუსიაში დახლში უნდა იდგეს და ძეხვს ყიდდეს, აქ რა უნდა, რუსულისა ინჩი-ბინჩიც არ გაეგება, ნეტა ვინ მისცა ნება, ყველას სახრჩობელით რომ გვემუქრება, თავი შინ ხომ არა ჰგონიაო.

— არ ეშინია, ამხანაგებმა რომ დააბეზღონ და გრაფმა ყულფში გააყოფინოს თავი? ჰკუა კი არ დაუშლის!

— არაფრისაც არ მეშინია! ღვთის შეწევნით, ჩემი წილი მე უკვე ვიცხოვრე. ცოტა მეტიც მომივიდა. ამ საცოდავებს რომ კითხო, — კაზაკმა მხართეძოზე წამოწოლილ ამხანაგებს გადახედა. — კიდევ უარესს გეტყვიან!

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, სალდათო, მაგრამ ეს ჩვენ არ გაგვიგონია, — ცალყბა ხუმრობით უთხრა მესხმა. — გრაფი ჩვენს დასახმარებლად არის მოსული. ჩვენი მეფის მეგობარია. მის ლანძღვაში, იცოდე, მხარს ვერ აგიბამთ. სახელი შენი?

— სახელი? სახელი რად გინდა? შენ ხომ არ გადაწყვიტე, გენერალთან დამაბეზღო? მე, შვილოსა, სხვაც ბევრი მაშინებდა. ისინი წავიდნენ, ღვთის განგებით, მე ისევ მზეს ვუყურებ. მაშა! ხელმწიფეს პირიანად და სიმართლით ვემსახურები? ვემსახურები! ღმერთი მწამს? მწამს! მარხვა როდისმე გამიტეხია? ღმერთმა დამიფაროს! ეკლესიაში დავდივარ? დავდივარ! უკურთხებელ ლუკმას პირში ჩავიკარებ? არა! კიდევ რა გინდა?!

— სახელი კი მაინც არ მითხარი, — შეახსენა თამაზა მესხმა და თავს ძლივს შეიკავა, რომ ხმამაღლა არ გაეცინებოდა.

კაზაკი კოზმა დიაკონოვი, ეპისკოპოს მაქსიმე ქუთათელის ძველი ნაცნობი და კეთილისმყოფელი აღმოჩნდა. ეპისკოპოსისაგან რამდენიმე ქართული სიტყვაც ესწავლა, ვითომ ოდესმე საქართველოში მოვხვდები და გამომადგებაო. სიცოცხლის ბოლო ნაწილი, ათი თუ თორმეტი წელიწადი, ყიზლარის სანაპირო ციხე-სიმაგრეში, საიდანღაც გადმოხვეწილი და რუსხელმწიფის სამსახურში მოკალათებული უცხოელების ხელქვეით გაეტარებინა და სიბერის ჟამს, ესეც, ალბათ, განგების კარნახით, მწყერები აეფრინა — გენერალ ტოტლებენს, სხვა კაზაკებთან ერთად, „საეკლესიო ღვინის“ ზღაპრულ ქვეყანაში, საქართველოში, ურჯულო ოსმალებთან საომრად გამოჰყოლოდა.

— ეგ ყველაფერი კარგი და კეთილი, — მოუწონა გადაწყვეტილება თამაზა მესხმა. — მაგრამ ჩვენ აქ სხვა საქმემ მოგვიყვანა. სად უნდა ბრძანდებოდეს, შენი აზრით, ახლა გრაფი, რა დაიბარა?

— ყურმუხეთსა და მოუსვლელში! მე რა ვიცი, სად უნდა ბრძანდებოდეს! ტოტლებენის გზასა და კვალს მე კი არა, შენი მონა-მორჩილი, მთავარანგელოზი გაბრიელიც ვერ გაიგებს. სახრჩობელაზე გაათავებს სიცოცხლეს, თუ არა აგერ მე და აგერ ჩემი სიტყვა!

— რაიო, რას ამბობს? — ისევ დაეკითხა მესხს სალდათის ამდენი ყბედობით მოთმინებიდან გამოსული არჩილი.

თამაზმა მხრები აიჩეჩა:

— ან თვალს გვიხვევს, ან მართლა არ იცის არაფერი, ბატონო, სასმელით წამხდარი კაცი ჩანს. ქეც რომ თქვას რამე, ამას ნახევარიც არ დაეჯერება!..

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარინე წოწკოლაური

# შინაბერა მამაკაცი

## მოთხრობა

მზის სხივი ფანჯრის რაფაზე დასკუპდა, მერე ცხაურის ერთ ღერთან აიტუზა, გახსნილი დარაბიდან ოთახში შეიჭვრიტა და იქ ჩამოწოლილი ბინდბუნდი თეთრი, მტვრიანი ბილიკით გაჰკვეთა.

ოთახი ფართო იყო. ერთადერთი, შემოსასვლელში გამავალი, მინიანი, უფარდო კარიდან კარგა მოზრდილი ტანსაცმლის საკიდი მოჩანდა; კედელზე, კარის ცოტა მოშორებით, ლამის ჭერამდე აწოწილი სარკე გაეკრათ; ეს ოდნავ შელანძღული სარკე, ალაგ-ალაგ დამსკდარი, ზურგისაკენ შეკაუჭებულ კიდეებიანი ვერცხლის ნაპირებით, ზოგან თევზის ქეცვივით რომ დაჰყროდა, მის მზერას ამოჩემებულ ორ, ფეხებმოჩუქურთმებულ საწოლს ჩვეულებრივზე ოდნავ უჩვეულო შესახედაობას აძლევდა.

ერთ საწოლზე, ფარშავანგებით მოხატული აბრეშუმი რომ ეფარა, ვიღაცის მზრუნველ ხელს ალბათ მეორე საწოლიდან გადმოღებული, კოხტად მოკეცილი ლეიბი დაედო თავისი განუყრელი ამხანაგებითურთ — ფუმფულა საბნით, შუაში ამოჭრილი ოთხკუთხედით, ახლად ამოყრილი ბალახისფერი გულით, საბნის ქათქათა კანს რომ. ჩაებღუჯა ნასვრეტებიანი კბოლებით და ზედ წამოსკუპებული, ასეთივე სიქათქათეში გამომწყვდეული ბალიშით.

მეორე საწოლზე, პირველისაგან ლამის ნათურიანი და ძველმოდური, ოჩოფეხებზე შემომჯდარ ტელეფონიანი ტუმბო რომ აშორებდა, ბოლოებშეჭმული, სუფთა ზეწარი ეფარა. შეჭმუხნულ ნაპირებს სანახევროდ გადმოჰფარებოდა ჭრელი ჩითისგულა, რეცხვისაგან შეცრეცილი, ზოგან ნაკერებზე გამორღვეულსარჩულიანი საბანი.

საბნისა და კარგა შეყვითლებული, დაკუნჭული ბალიშის გასაყარზე თამბაქოსფერკანიანი კეფა მოჩანდა, ალაგ-ალაგ ამოსული ბღუჯა თმით. ეს ჭაღარაშერეული ბალანი ისე საოცრად განლაგებულიყო ტრიალ თავზე, რომ მის მნახველს სულ ცოტა წარმოსახვის უნარი ეყოფოდა იმისათვის, რომ გონებაში ეს დაზოგილად ამოსული თმა წარბებად, წამწამებად, ულვაშებად განელაგებინა და მძინარე მამაკაცის სახე შეექმნა.

ეს კაცი ზურაბ იარაჯული იყო. ნამდვილი სახე საბანში ჩაემალა და ძირს გადმოკიდებული აჯაგრული მკლავის რხევით და კოტიტა, ბრტყელფრჩხილიანი თითების კარგად ნაცნობი მოძ-

რაობით თითქოს უსიამოვნო სიზმრებს უქშევდა.

ოთახში გაწოლილ სხივს ალბათ მობეზრდა უმოძრაოდ ყოფნა და ნელი კუნტრუშით სარკეს მიადგა. ერთხანს იწონა თავი და იბერტყა მტვრიანი ქობა, მერე კაცის კეფაზე ისკუპა და ზედ რამდენიმე წყვილი ბოლთა დასცა.

მძინარეს ეტყობა დასცხა, აწითლებული კანი ოდნავ მოეფხრუნწა და სახე მისდა უნებურად თითქოს შეირხა კიდევაც.

სხივი კანის მოძრაობამ დააფრთხო, კეფიდან ისკუპა, საბანზე გადაკოტრიალდა და მის ნაკეცებში გაეხვია.

კაცი შეიშმუშნა და სუფთად გაპარსული სახე და ძილისაგან მოდუნებული ტუჩებიდან გამოკენჭილი, ჩაწიკწიკებული, იშვიათი კბილები გამოაჩინა.

* * *

ტელეფონმა დარეკა. კაცმა ბალნიანი მკლავი ასწია, ერთხანს გაშეშებული ეკავა ჰაერში, მერე ისევ მოწყვეტილივით ჩამოუვარდა ძირს. სიზმრებიდან გამოყოლილი ლანდები აჰკვროდა ზარმაცად გახსნილ თვალებს.

ტელეფონმა მეორედ დარეკა და მაშინღა მიხვდა, რამაც გააღვიძა. წამოიწია, ბალიშს ცალი მკლავით დაეყრდნო, ზანტად შებრუნდა და ყურმილს დასწვდა.

— დიახ!

— ზურა, თქვენა ხართ?! — მოისმა ქალის მტლაშუნნარევი ხმა.

„კევს იღეჭება“, — ნესტოები დაებერა კაცს და თითქოს გააფრთხილა, — ზურაბი ვარ მე!

— ბატონო ზურაბ, თუ შეიძლება მელაპარაკეთ, რა?

— გინდა რამე?!.

— საქმე არა მაქვს და მინდოდა...

— შენ რაც გინდა, კი ვიცი მე... — ხმაში დაუზოგაობა შეეტყო კაცს — ...მოხვალ?

— მოსვლა რა საჭიროა... ცუდი არაფერი მითხრათ, რა? — მუდარით თქვა ქალმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშინ კარგად იყავი! — კაცმა ყურმილი დადო, მერე თვალებზე ხელი აიფარა და კარგა ხანს იგონა რაღაც.

ტელეფონმა ისევ დარეკა.

— დიახ!

— ბატონო ზურაბ...

— იცი, რა, გენაცვალე. აბაზანა თუ გაქვს?!.

— კი... — უჩვეულო სიტყვების მოსასმენად მოემზადა ქალის ხმა.

— ჰოდა, ცივი წყლით გაავსე, ცოტა წაიჭყუმპალავე და გაგრილდები... — კაცს, ეტყობა, თავისი ნათქვამი ძალიან მოეწონა, ნიშნისმოგებით გაღიმებულმა ერთხანს უსმინა ყურმილში გამეფებულ სიჩუმეს და გათიშა.

მერე კიდევ იწვა გაშოტილი და ისევ იგონებდა რაღაცას. საბანი გადაიხადა, გაჩაჩხულთითებიანი ფეხები იატაკზე გადმოაწყო და ზურგი მოიქექა. ბარძაყის შუამდე ტოტებჩაწვდენილი ტრუსი შეისწორა და ოდნავ წამოზრდილ მუცელზე აზიდა. მერე ფოსტლებში წადგა ფეხი და შუბლშეჭმუხნულმა ნაბიჯი გადადგა.

წინა დღის ნამთვრალევს თავი სტკიოდა, თუმცა თავიც არა, თითქოს რაღაც მტკივნეული კოლოფი უყანყალებდა თავის ქალაში.

* * *

დიდხანს ყლურწა ცივ-ცივი „ბორჯომი“, ოდნავ გამოიკეთა ალრენილი გუნება. მერე ტელევიზორი ჩართო, დივანზე ფეხები მოირთხა და საზურგეს ორივე ხელი გადახვია.

ეკრანი განათდა. ვიღაც თმაგაბურძგნილი და ცხვირგამობურთული კომიკოსი აქეთ-იქით იზნიქებოდა, გაფშეკილ ხელში არარსებულ ყვავილს სუნავდა, ხან ყიოდა, ხან ხორხოცობდა, ხანაც თავისივე თავს ტაშს უკრავდა, მოკლედ, ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ სასაცილო ყოფილიყო. იარაჯულიც თითქოს თავს მოვალედ გრძნო-

ბდა მისთვის ხათრი არ გაეტეხა და გაეცინა... იცინოდა ცრემლმორეული.

მერე აბაზანაში წინა დღეს ჩამბალ პერანგს ჯეჯყავდა ზურაბი და ისევ იმ სიცილზე და ცრემლებზე ფიქრობდა.

პერანგი სუფთა წყალში გაავლო, გაწურა და აივანზე გავიდა. თოკზე რომ ჰფენდა, პერანგის მოშილიფებული საღილედან მოპირდაპირე აივანს გასჭვრიტა. არ შემცდარა, „ის ქალი“ ისევ გადმოდგა აივანზე, დაიხარა, მოაჯირს იდაყვებით დაეყრდნო და გატენილი მკერდი, სანახევროდ რომ უფარავდა გულამოღლეტილი კაბა, ჰაერში გადმოჰკიდა, ოდნავ დაამთქნარა და სახეზე ხელი აიფარა. იცოდა იარაჯულმა, რომ ქალი თითებს შორის დატოვებული სამზერებიდან უყურებდა მას.

პერანგს სახელოები ჩამოუწურა, სამაგრები შეამოწმა და საღილედან ისევ გასჭვრიტა ქალს, ლამის წელამდე შიშველი, ჭორფლიანი ზურგი მისკენ რომ შეებრუნებინა და ხმამაღლა, გამომწვევად კისკისებდა.

ზურაბი ოთახში შებრუნდა და ცნობისმოყვარე ღიმილით ფარდას ამოეფარა.

ქალმა ხელები კეფაზე შემოიწყო, შემოტრიალდა და თეთრი, გაპარსული იღლიები გამოაჩინა. ღიმილი შეეყინა სახეზე, ანჩხლი მზერა ესროლა იარაჯულის ცარიელ აივანს. წითლად ლაწვებატკრეცილმა ყელი ქედმაღლურად მოიღერა, მხრები შეატორტმანა და მიიმალა.

იარაჯულმა ერთხანს კიდევ უყურა დამცინავი ღიმილით მოპირდაპირე აივანს, მერე ხელი ხელს ჩამოჰკრა, ქვედა ტუჩი გადმოაბრუნა და იმანაც იმ ქალივით აიჩეჩა მხრები.

* * *

ზურაბ იარაჯულს საშუალოზე ოდნავ მაღალი, ძარღვიანი, ძვალმსხვილი სხეული ჰქონდა. თავზე შერჩენილ წაბლისფერზე უფრო ღია ფერის თმაში ვერცხლით დაფერილი ძაფები მოხშირებოდა. შუბლზე აბლატებული, აბალახებული წარბები ცხვირის სათავესთან უხეიროდ შეფშვრუკოდა ერთმანეთში.

ნაცრისფერ თვალებში, შიშნაჭამი ეჭვი რამ ასტუზვოდა, ეტყობოდა, ეს კაცი ცხოვრებას კარგად გაცნობილი და წინდახედულიც უნდა ყოფილიყო; ცხოვრებას იგი ყოველგვარი ლამაზი ილუზიების გარეშე აღიქვამდა და არცთუ ცხოვრებას უნდა შეეთავაზებინა უკეთესი; ცხოვრებისეული დალტონიზმით დაესაჯა და მის აღქმაში მისივე თვალების ფერის გარდა, ყველა დანარჩენი ჭრელა-ჭრულა ფერები თითქოსდა სამუდამოდ ამოეწალდა.

ფიქრით გაუმაძღარი კაცი იყო იარაჯული. რიყეზე ალბათ იმდენი ქვა და კენჭი არ მოიფოცხებოდა, რამდენ სჯასა და ურვასაც ჩაებუდებინა მის თვალებში. მტვერი რომ მტვერი იყო, მის თვალებში ჩავარდნილი, ისაც ფიქრად იქცეოდა და ათას სარჯელსა და საზრუნავს აუფანტავდა.

ახლაც ტახტზე გაშოლტილიყო თავქვეშ ხელებამოტრუნული ზურაბი და აქოთქოთებულ, აწეწილ, ერთმანეთში ჩახლართულ, ჩაფარდაგებულ ფიქრებს აშველებდა, ერთმანეთის ხმის ჩახშობას რომ ცდილობდნენ და ნარღვევს უძებნიდა.

ბარემ კარგა ხანიც იყო, რაც იარაჯულს აღქმა შეუფერადდა და ნაცრისფერ, ტრიალ ველზე ქათქათა და სოსნისფერფურცლება ყვავილები ამოიწვერა. კაცი ძალისძალათი ხუჭავდა თვალებს, თუმცა ფერები მოფომფლებული ქუთუთოების ქვეშაც ძვრებოდნენ და ძილშინახულ ლეგასაც უჭრელებდნენ.

. მერე მიეჩვია სამი ფერის ცქერას და როცა კი მარტოდ მოიხელთებდა დროს, ლურჯ ზღვაზე და თეთრ თოლიებზე ფიქრობდა.

* * *

შემოსასვლელში ზარი აწკრიალდა. მერე ხმა ჩაეხლიჩა და მეორედ დაწკრიალებამდე დადუმდა.

იარაჯულმა შუბლი შეიკუშტა, ფიქრებს კიდევ ერთი ფიქრი მიათვალა — ნეტავ ვინ არის?!

წამოიწია. ჩაცმისას ფოსტლები აატლასტუნა. პერანგის ზედა, ღილკილოს გამოპარული ღილი ისევ მარყუჟში მოამწყვდია, წამით სარკესაც ჰკიდა თვალი და კარი გააღო.

ქალი დალანდა ვიღაც. მერე იმ ქალის ცხელი მკლავებიც იგრძნო კისერზე და ცრემლმა დაუკოდა ცალი მხარი.

— ზურა, ზურა... როგორ გამოცვლილა... ვერ მიცანი ხომ, — ლამის ყურში ექვითქვითებოდა ქალი.

— გოგო, ლილი არა ხარ შენ? საიდან, როგორ?... რამდენი ხანია... — გული აუფრთხიალდა კაცს. მერე ბალღივით აიტაცა და ტვირთიანად დაბზრიალდა, — როგორ მიპოვე, გოგო?! რა გაღრიალებს... ოხ, შე ახტაჯინა...

ქალმა სლუკუნი შეწყვიტა, კაცის მკერდზე გაისუსა და სიცილი აუტყდა — ახტაჯინა...

მერე დივანზე ისხდნენ და იცინოდნენ — კაცი ატირებულ ქალზე. ქალი კი თავისთავზე, ცრემლები რომ ვერ მოეთოკა და თავსახვევის ბოლოებივით გამონასკვოდა ნიკაპზე.

— გეშიებათ, — დაფაცურდა იარაჯული, მაგრამ ლილიმ არ გაუშვა — მაცალე გიყურო.

თუმცა თვითონაც დიდხანს ვერ მოისვენა — შენი ბუნაგი დამათვალიერებინეო.

— კარგად მოწყობილხარ, — ჩამოჯდა ისევ დივანზე. შაქარყინულივით ოქრო-ბოკროკედლებიან ბროლის ვაზას მისწვდა და ორი კამფეტი დაითრია ფოჩებით.

— ერთი შენ, — მიაწოდა ზურაბს, — მეორე კი მე, — და კაცს ეშმაკურად შეხედა.

— მახსოვს თვალებში ჩაღრობილი ყინული კიდევ უფრო ჩაუდნა ზურაბს...

* * *

„—...ლილი? — ლობეზე გადმოძვრა ბიჭი.

კანჭტიტველმა გოგომ სახლის კარი გამოაღო, ჯერ მხოლოდ ცხვირი გამოჰყო და ბიჭს ანიშნა, მოვდივარო. მერე ცხვირს თვითონაც გამოჰყვა. ტუჩაპრუწულმა კარი ისევ ფრთხილად მიხურა, ერთი შეიასკინკილავა და ბიჭისკენ სულ კისრისტეხით გამოქუსლა.

— ეს კამფეტი შენ, ზურა, ეს კი მე — უბიდან ორი, სხეულის სითბოსაგან გამღვალი კამფეტი ამოიღო და ერთი ბიჭს მიაწოდა.

მერე მეორეს ქაღალდი ფრთხილად შემოაცალა, ტკბილიანი თითებიც მიალოკა და კამფეტით ლოყაგამობურცულმა დასძინა — დედამ მითხრა, ზურასაც აჭამეო..."

* * *

— გავიგე, შორს წასულხარ, ასეც მჯეროდა. ახლა როგორ დაგიშინებია ის შენი სტუდენტები. — მუჭში ჩაიფხუკუნა ლილიმ.

— მაშ, სულ გულები უსკდებათ.

— ნუ გჯერა რა!.. ასე ამბობენ, ნამდვილი „ღვთის რისხვა“ არისო... ჰა, ჰა, ჰა, ზურა! შენ და — „ღვთის რისხვა“.. ჰა, ჰა, ჰა. ამას წინათ ჩემს ბიჭს ამხანაგები მოუვიდნენ. მე სამზარეულოში ვტრიალებდი, რომ გამოვედი, ყური მოვკარი — ეს იარაჯული ხომ ნამდვილი ღვთის რისხვა არის, ხვეწნა მაგასთან არა სჭრის და პროტექციაო; განსაკუთრებით გოგოები ჰყავს ამოჩემებული, სისხლს უშრობსო.

უცებ გატვრინდნენ — ალბათ ჩემმა ბიჭმა ანიშნა და ჩურჩული გავიგონე — ხმამაღლა ნუ ამბობთ, ზურაბ იარაჯული დედაჩემის სიყრმის მეგობარიაო.

— შენ რა, მაგხელა ბიჭი გყავს?

— სულ პატარა ხომ არ იქნებოდა, გაიზარდა უკვე, სტუდენტია.

— ქმარი, ლილი, გავიგე...

— დავშორდით, უკვე რამდენიმე წელია.

— მაინც ბედნიერი ქალი ხარ, ლილი, შვილი გყავს, — მზერა გაიხევა იარაჯულმა.

— ეჰ, ჩემო ზურა, — ხელი ჩაიქნია

ქალმა და თავი ოდნავ შეაბრუნა — ჩემი შვილი ქვეყანას მირჩევნია, მაგრამ... მარტო შვილის ყოლა რომ იყოს საკმარისი ბედნიერებისათვის, მაშინ ყველა გააჩენდა... თუნდაც უკანონოს, ისაც შვილია... და ბედნიერი იქნებოდა. წამოიბუმბლა ჩემი ბიჭი, გაიზარდა, უკვე მეცხრამეტეში გადადგა და... რაც უფრო გვემატება წლები მე და ჩემს შვილს, მით უფრო ვგრძნობ, რომ მარტო ვარ.

— ...რამდენი წლისა ხარ, ლილი, ახლა შენ?!

— შენზე ერთი თვითა ვარ პატარა, ბიჭო, რამ დაგავიწყა, — ვითომ გაწყრა ქალი.

— მაშ ოცდათვრამეტისა ყოფილხარ.

— ეგრეა... შენა, შენ რატომღა არ მოგყავს ცოლი. რა, პატარა ხარ?

— აბა, როგორ გითხრა, ჩემო ლილი, — პირის ცალი კიდევ ღიმილისაგან აელმიჭა ზურაბს და ზემოთკენ ატაცებულმა ლოყამ ცეცხლმინავლებული ნაცრისფერი თვალის გარშემო ნაოჭების ფიჩხი მოფანტა, — ცხოვრების უკეთურობის უღელში შებმულმა, ხახრისაგან ზურგგადაღლეტილმა და კისერზე საფქვავდაფქვილმა ჩემი ხნის კაცმა ძნელია კიდევ შესძლოს სიყვარული.

— მოგეწონოს ბატონო, ნუ შეგიყვარდება. ქვეყანა ასე ცხოვრობს... თუ შენი მოსაწონიც აღარავინ არის?!

— ბევრი, ლილი, ძალიან ბევრი და მაგიტომაც ჭირს არჩევანი. შეყვარებული კაცი მძინარეს ჰგავს, შემოეხვევა სიზმრების ბურუსი და იმ ნისლს იქით ცხადს აღარ დაანახებს. ფხიზელ თვალებს არც სიზმარი ეკარება და არც ნისლი... თუ მხოლოდ მოგწონს, იმ ქალის სახიანი ათასი ჭინკა და ალქაჯი მოგიმწყვდევს შუა გულში და ხელიხელჩაჭიდებულნი ატლინკდებიან შენს გარშემო წრედ შეკრულნი. მაშინ ეჭვით დაზაფრული გული ყოყმანს იწყებს... ეჭვს წინდახედულება მოსდევს, ყოყმანს — ღლემეხვალიეობა. ორივეს ერთად კი...

— შინაბერობა... — დააზუსტა ლილიმ და ჩაეცინა — ჰმ!.. შინაბერა მამაკაცი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ასეა, — ხმაში ბალღური სიწრფელე შეეპარა კაცს. — მერე იმ ჩემი მოწონებული ქალებიდან ერთი-ორს თუ მოვეწონები, იმათაც ვიწუნებ — ალბათ ცუდი გემოვნება აქვთ, თორემ მე რა მოსაწონი ვარ-მეთქი.

ქალმა წარბები შეკრუნჩხა და კაცს შუბლს ქვემოდან ახედა.

— ზურა, გეყოფა ხუმრობა... სიყვარული არ შეუძლია!!! თავს არ ვუტყდებით, თორემ ხანდახან ჩვენს გულში იმდენი სიყვარულია სიჯიუტის ბაწრით გაძაგრული და სიძუნწით ვერავისთვის გაგვიმეტებია.

— რა ვქნა, გოგო, არავის უნდა ეს ჩემი, სიყვარულით ლამის გასკდომაზე მიმდგარი გული — გაეცინა კაცს და წამოდგა — ყავა მაქვს ისეთი... მოვადუღებ.

ქალი შეკრთა და სამზარეულოს კარში ძლივს გატეულ ბეჭებს მიადევნა თვალი.

— ჰმ!.. მაქვს... ყავა მაქვს...

...მუხლდალილავებულმა ბიჭმა ცხვირი მოიხოცა და კამფეტით დატენილი ჯიბეები ამოიფხიკა — ჰამე, ლილი, ჩვენ კიდევ გვაქვს, ბევრი გვაქვს...“

—მაქვს... გვაქვს — გაიმეორე უაზროდ ქალმა და გაუკვირდა, — რა დრო გასულა მას შემდეგ და რა სცოდნია დროს...

მერე წამოდგა, სარკის წინ მხრები აიჩმუჩნა, კულული შუბლზე გადმოიფინა, ერთი-ორჯერ კიდევ შეტრიალდა და გულხელდაკრეფილმა ოთახში გაიარა.

სერვანტის თავზე შემოდგმული დიდმუცელა ბროლის ვაზა გადმოიღო, გვერდებზე წკიპურტით მიუწკარუნა. მერე ვაზის ნადგამ უმტვერო წრეს დახედა და თავი ჯავრიანად გადააქნია.

სამზარეულოდან კიდევ ისმოდა ჭურჭლის ხრიგინი და გაზის ავი სისინი.

მერე ხმა მიწყდა და ძლივს გამოეტია კარში ორი ფართო ბეჭი.

— „საშინლად მამაკაცურია..." — გაიფიქრა ქალმა.

— მოდი, დაჯექი... სასმელს შენ არა სვამ და... — ტაბლა ფეხით მიაჩოჩა კაცმა, ფინჯნები დააწყო და შეწითლებულ თითებს სული შეუბერა.

ლილი ისევ დივანზე ჩამოჯდა. ხორციან მუხლებზე კაბა გადაიტკიცინა და ფინჯანს მისწვდა.

— შენ თუ გოგუშკებს დაუწყე ტორლიალი...

იარაჯულმა თავი ასწია, ქალს გაკვირვებით შეხედა, დავიწყებოდა ყავამდელი საუბარი. მერე მოაგონდა, სითხის ზედაპირზე გაფანტულ, კედლებისაკენ მიმწვავყვდეულ ქაფის ბურთულებს ჰკიდა თვალი და მზაკვრული ღიმილით, თითქოს ქალის გაბრაზება გადაუწყვეტიაო, უპასუხა — ეგრეა...

— ჭირმა გაგწყვიტოთ ეს კაცები... რა გეშველებათ. მელიები, ვარიები მოუნდათ...

— ქალებიც ასე არიან, ჩემო ლილი, — ყავა მოხვრიპა ზურაბმა — თქვენც მოგწონთ თქვენზე უმცროსები... საოცარია... — წარბები აზრიცა ზევით — რა გვიზიდავს ასე ძლიერ...

თქვა და... ლურჯ ზღვაში ქათქათა თოლიები ათართხუნდნენ.

ლილის სილანაჭამივით დაეტკრიცა ლოყები და თმებიდან გამოჩრილი ყურის ბიბილოები. ფინჯანი ლამბაქზე დადო, თუმცა მისი ცხელი ტანისათვის ხელი არ მოუშორებია. ერთხანს მის ყუნწზე უხილავი რამ ფრჩხილით ფხიკა, მერე ტუჩები ერთმანეთზე ააჩოჩიალა და წაიდუდუნა — ალბათ ის, რომ მათ ჯერ კიდევ იციან სიყვარული, მაგრამ... პატარებთან ლაზღუცი შენი საქმე აღარ არის, ზურა...

— ვითომ რატომ, დავბერდი? — ტუჩებით გაიღიმა ზურაბმა.

ქალმა მეგობარს შუბლზე დაბარტყული, გათავთავადებული ნაოჭები, თმაშეთხელებული საფეთქლები შეუთვალიერა და გული ეტკინა — „ვერ ამჩნევს".

კაცს არ გამოჰპარვია ქალის მზერა. ერთხანს გულწარხოცვილმა უყურა კანშემფრთხალსა და ოდნავ გაფითრებულს...

...ლურჯი ზღვა განაცრისფერდა, აღელდა, აიჭიმა და ფრეთბმოკვეთილი, აწიოკებული თეთრი თოლიები ჩანთქა...

ქალი შეცბა. თვალი ველარ გაუსწორა კაცის მზერას...

მერე იმ მზერამ ზურგი მოუდრიკა და შემცოდესავით ჩაქინდრა თავი.

კარგა ხანს იყუჩა ორივემ.

კაცმა ჩაახველა და სავარძელში შესწორდა.

ქალმა ფეხები ერთმანეთს მიაჭუჭკა, წინ გადაიხარა და ალაპარაკდა.

— მათაც ვიზიდავთ... მაგრამ ჩვენ კი არა, ჩვენს ნაოჭებში ჩაღერკნილჩალექილი მათთვის ჯერ განუცდელი ამბები, თავგადასავლები, საიდუმლოებები...

მერე?.. მერე არაფერი!.. გადის დრო და სიბერის მოქროთამვას ჭრელა-ჭრულა ტანსაცმელით ვცდილობთ. ვკოხტაპრუწობთ სარკის წინ, ვიფერთხავთ ჰალსტუხიდან მტვრის პაწაწინა, უჩინარ მარცვალს და ვერ ვამჩნევთ, რომ ნაოჭების სასაფლაო გაგვჩენია შუბლზე; რომ ნაოჭებიც თურმე კაცის ცხოვრებითა ცხოვრობენ — იბადებიან, ოჯახდებიან, წვრილშვილდებიან, ბერდებიან და სამარდებიან...

...ვლილინებთ მოდურ სიმღერებს, ვცეკვავთ თანამედროვე, სიქაგამცლელ ცეკვებს და ვამხნევებთ წლებით დალეულ, მკერდიდან ლამის ამოხავებულ სისხლნაკლულ გულს; ვკოცნით ზიზღისაგან მოხუჭულ თვალებს, კუშტად მოკრუნჩხულ, გათოშილ ტუჩებს და... — ქალს კიდევ უფრო მოეკუზა ზურგი — ვერა ვგრძნობთ რა...

— ...საბრალონი ვართ, — ილიმებოდა იარაჯული, თუმცა იმ ღამის ნაცრისფერ ბინდში გზა აბნეოდა და გარეთ ვერ გამოეგნო.

... და ლილი ვერა და ვერ მიხვდა, ვის დასცინოდა კაცი...

* * *

იწვა იარაჯული, ირგვლივ განლაგებული ყოველი ნივთი ფიქრად ჩანთქმულიყო მის თვალებში და ისაც ფიქრობდა. ფიქრობდა კიდეებშელახულ, თვალგაშტერებულ სარკეზე, ფანჯრის მჭიდროდ მიგმანულ დარაბაზე, მტვრით მოპუდრულ ტუმბოზე და იმ მტვერზე.

ფიქრობდა ოთახში ჩამწყვდეულ იმ უძალო ფიქრებზეც, კედლებს რომ აწყდებოდნენ და კისერწაწვრილებულნი გასაძვრომს ეძებდნენ.

სინათლე გამორთო, გაქრა კედლები და ყოველი ნივთი. ფიქრები ელვასავით გაენთნენ გარეთ.

გაქრა იარაჯულიც... ცხვირწინ აყუდებული ეკუნეთი თითქოს მისი, სიბნელეში ჩაძირული თავ-ტანიდან იწყებოდა და ბოლო არ უჩანდა.

სადღაც შორს, იმ წყვდიადში თავაწყვეტილნი დაჰქროდნენ ფიქრები და მათ ფეხდანაბიჯზე უშუქარი მჭვირვალდებოდა.

...და ახლა, როცა ასე ბნელოდა, ყველაფერს ხედავდა იარაჯული: ზურგს უკან, უჩინში გართხმულ, მოგონებისაგან შეკონკილ წარსულსაც და წინ, ცხადში ჯერ უნახავი მომავლის ყოველ წვრილმანსაც, დაუკითხავად შემოჭრილი მზერისაგან თვალმოჭრილნი სახეზე ხელებს რომ იფარებდნენ და ერთმანეთის ჩრდილში იმალებოდნენ...

* * *

„...ქარხნის დირექციის დერეფანში ორი ქალი იჯდა. ერთს, ძაძაში რომ შეემალა შუბლი და თვალები, ზურას დანახვაზე ტირილი აუვარდა და დალეული, შავკალთაგადაფარებული ბარძაყები დაიჩქმიტა.

მეორე უფრო ახალგაზრდა ჩანდა. მარაოსავით გაშლილი თმა მხრებზე გაშმაშნოდა და ამოკუზებულ ზურგს უფარავდა.

— შვილი ეყოლება მკვდარი, — შინაურივით წასჩურჩულა ზურას კუზიანმა და თავის კანტურით მიაჩერდა ქალის ნიკაპზე ერთმანეთზე დაკიდებულ ცრემლებს.

კარი გაიღო და ოთახიდან კაცი გამოვიდა. არყის ხის ქერქივით შეფერადებოდა მოშვებული წვერი და ყურებზე გადმოსული თმები.

დანით გადასერილი, ჭრილობასავით გრძლად გადასხეპილი ტუჩებით შაოსანს რაღაც უთხრა, გვერდით მიუჯდა, იმანაც ზურას გამოხედა და თავი ჩაჰკიდა.

ქალი აღარ ტიროდა. მხოლოდ ზუზუნებდა და ბიჭს მოეჩვენა, თითქოს ნელ ხმაზე ღიღინებდა.

კუზიანს, ეტყობა, ცნობისმოყვარეობამ დასძლია, სმენა დაძაბა და ჯერ შენ შედიო — ზურას უთხრა.

ზურამ კარი გამოაღო.

კადრების განყოფილების გამგე მაგიდას გვერდულად მისჯდომოდა. ცალ ფეხზე გადადებულ მეორე ფეხს დასცქეროდა და ტელეფონზე ვიღაცას ელაპარაკებოდა. სახეზე ეტყობოდა, ყოველ სიტყვას ზომავდა, წონიდა და ისე ამბობდა.

მის გვერდით, მაგიდასთან მოკალათებული, წითელი მძივების ყულფში თავგაყოფილი, წარბებამოწიწკნილი, გულხელდაკრეფილი გოგო სკამის საზურგეს მიჰყრდნობოდა და თავხედური ტუჩებით ვიღაცას დასცინოდა.

— ...თქვენთვის, ვარლამ ვარლამოვიჩ, შეუძლებელს შევძელბ, — ვიღაცას დაჟინებით არწმუნებდა კაცი და დროდადრო ყურმილიდან შემოტრიალებული, გოგოს თვალს უკრავდა — მოვიდეს და მერე მე ვიცი...

— ...

— არაფერი, კვირაში ერთხელ გამოივლის და ეგ არის...

...

— რას ბრძანებთ, ვარლამ ვარლამოვიჩ, მაგაზე არაფერი თქვათ, თქვენს პატივისცემაში მაგით ამოვალ?

— ...

— კარგად, ვარლამ...

კაცმა ყურმილი დაკიდა, ერთხანს ჩუმად იჯდა. მერე გოგოს მიუბრუნდა — მააშ!

— რა უნდოდა? — იკითხა გოგომ.

—ერთი ლაწირაკი შვილი ჰყავს და გადამაყოლა თან... სამსახურს ეძებს.

ზურამ ფეხი მოინაცვლა.

— დაბრძანდით, — სკამზე ანიშნა უცებ გუნებაგამოცვლილმა კაცმა, ცხვირზე სათვალე მოირგო და შუბლისაკენ წამოსული თმის ნახევარკუნძული ხელით გადაივარცხნა — რა გნებავთ?!

ზურა ჩამოჯდა და მუხლების აქეთ-იქით სკამს ორივე ხელით ჩაეჭიდა — მუშაობა მინდა.

— სპეციალობა?!

— წელს ჩავირიცხე საღამოს დასწრებულზე.

— რომ არაფერი გვაქვს?! მუშები გვჭირდება? — ჰკითხა კაცმა გოგოს.

— არა, — მთქნარება ყელში ჩაიბრუნა გოგომ და თითქოს გონებაში რაღაც მუსიკას აჰყვაო, თვალები მიბნიდა და მაგიდაზე დაწყობილი თითები აათამაშა.

—არაფერი არა გვქონია, — მხრები აწრუპა კაცმა და ქაღალდებში თავჩარგულმა დაუმატა, — გამოიარეთ...

— აბა, რა ვქნა? — იკითხა ზურამ.

— რა ვიცით — გაიოცეს ორივემ.

—სხვაგან მოძებნეთ, — შუბლი შეიკრა კაცმა.

— ყველგან ასე მეუბნებიან.

ზურა ადგა და კარისაკენ წავიდა.

— ვაააჰ! — ქვედა ტუჩი გადმოაბრუნა გოგომ.

...დერეფანში ისევ სამნი ისხდნენ. კუზიანი წამოდგა, ზურას რომ ჩაუარა, შედგა, ქალსა და კაცს გახედა და ამოიოხრა — მართლა შვილი ჰყოლიათ მკვდარი, ხო ვთქვი...

— რა გითხრეს, შვილო? — ბიჭის დანახვაზე ისევ ცრემლი მოერია შაოსანს.

— რას ეტყოდნენ, — ხელი ჩაიქნია კაცმა — არა გვაქვსო, არა?!

— არაო, — თქვა ზურამ.

— ფულს თუ მიაოხრევბ, ხელად გიშოვნიან... ამოსაწყვეტებო, — ქალმა უფრო ვადმოიწია ძაძა სახეზე.

— ფული რომ მივცე, ხო სირცხვილით დავიწვი, თავზე გადამაფხრიწავს, — ბალღივით გაოცდა ზურა.

— მაშ, ცხვირზეით აიცილებს, ფულიც ჩვენ უნდა მივცეთ და ჩვენვე უნდა გვრცხვენოდეს კიდეც, მაგათ არა... ჰმ!...

...სანაპიროზე ჩავიდა ზურა, დოდინა, მღვრიე, გულდახურულმა მტკვარმა თავისი სოფლის დაწმენდილი, ფსკერზე კენჭებდადიდებული ვერხველა მოანატრა.

ქალაქი ყოველდღე ერთნაირ გუნებაზე ხვდებოდა და აკვირდებოდა ბიჭს.

— სულ ერთ გუნებაზე მყოფი კაცი გულში რაღაცას სიავეს იზრახავს, სანდო არ არის — ფიქრობდა ზურა და იმ რაღაცის ეშინოდა — კაცს სიცუდე ალერსში დააჩნდება და სიკარგე — ლანძღვაში; სულ მდუმარეს კი რას გაუგებ...

* * *

„—...იმათთვის მისაცემი ფული სადა მაქვს, მაგრამ მეც ხომ მჭირდება, მშიერი ხომ არ ვიქნებიო, — ყოველ საღამოს ითვლიდა დედის მოკოწიწებულ, შელოტავებულ ფულს — დედის ძმას ვთხოვ, — გადაწყვიტა ბოლოს და თავის თავს შეუწყრა — სესხად, კაცო, სესხად.

...ბიძამისს ხუთოთახიანი ბინა ჰქონდა ვაკეში... ჯერ სადარბაზოსთან ითრია ფეხი ზურამ. მერე კართან ერთი ათჯერ მაინც ასწია და ისევ ჩამოიღო ზარის დასარეკად გაწვდილი ხელი. ბოლოს გაბედა...

ბიძამ ძლივს იცნო სულ ერთი-ორჯერ ნანახი დისწული. კოცნა და კოცნა — როგორ გაზრდილხარო.

სქელი გავის რხევით და ფოსტლების ფლასუნით შეუძღვა ბიჭს ოთახში. სიგრძივდაზოლილი, წითელ რეზინგაყრილი საშინაო შარვალი კოჭებამდეც ვერ სწვდებოდა მოხუცს და ბებრული,

დამჭკნარკანიანი, ძარღვებდარუმბული შიშველი ფეხები მოუჩანდა.

სარკესავით ალაპლაპებულ იატაკზე რომ დააბიჯა ფეხი, გული გადაუცივდა ზურას — არ დავსხლტე, სირცხვილი არ ვჭამოო.

მერე კაცი სამზარეულოში გატუსტუსდა, — ჩაის ავადუღებ, მგონი კვერცხებიც მაქვსო და ბიჭი მარტო დატოვა.

ზურა მაგიდასთან, სკამზე დაჯდა და ხნოვანებასთან ერთად ფასგაზრდილი, ვინ იცის, ვისი ნაქონი, ვისი თვალისა და გულის გამხარებელი ანტიკვარული ნივთებითა და ავეჯით გადახორგილი ოთახი მოათვალიერა.

მერე სკამიდან თავი გადასწია, მეორე ოთახში გამავალ ღია კარსაც გახედა და გაუკვირდა — ვინ ყოფილა, კაცო, ეს.. .მართლა ბიძაჩემია, თუ ვინ არის, ვისთვის უნდა ნეტა ამდენი ქონება?!

მაგიდაზე დაწყობილ ხელებს ლაქები დაეტოვებინათ აპრიალებულ ზედაპირზე. ზურამ ჯერ სამზარეულოს კარს გახედა, მერე ხალათის მაჯა მუჭში ჩაბღუჯა და იდაყვით აალაპლაპა ისევ.

...ფული რომ სთხოვა, ცრემლად დაიღვარა მოხუცი — სადა მაქვს, შვილო, ფული, იმისა მეშინია სამარცხვინოდ, შიმშილით არ მოვკვდე, კაპიკებს მივტირიო...

...როგორც იქნა,იშოვნა სამუშაო...

...მერე ბიბლიოთეკაში, სულ ბოლო რიგში იჯდა ხოლმე ზურა. ხანდახან თუ მოსწყვეტდა წიგნს უძილობით დაწითლებულ თვალებს; წინა მერხებთან მსხდომთა ზურგებს უყურებდა და ფიქრობდა და ფიქრობდა, რომ ცხოვრებაში იქნებ მაჩანჩალობაც სჯობდა პირველობას, რადგან ბოლოკაცი იმ პირველის გავლილ გზასაც ხედავდა და გასავლელსაც..."

* * *

„...მერე უყვარდა... მეგონა ერქვა გოგოს. ხატაურასავით მწვანე და ნამიან ბალახივით ხასხასა თვალები ჰქონდა, პალმის გრძელ, გაჩაჩხულფოთლებიანი რტოს მსგავსი წამწამებით შემორაჯული.

მაღალ წვივებზე აზიდულის სლიპი-ნაკანიანი პრანჭია სხეულიდან უზომო ვნება გამოსჭვიოდა. ოდნავ ქედშემაღლებულ, თხელცხვირიან და პატარა, აღუებულტუჩებიან სახეზე ბუნებას თითქოს მუჭით მიეყარა ქალური მარილი.

ობობას ქსელს ჰგავდა მეგონას სილამაზე. ეს მზზინავი, საკვირლად დაწყობილძაფებიანი ბადე უცნაურად იზიდავდა კაცს და წინგაუჭვრეტლად ნაბიჯგადადგმულს ხელ-ფეხს უბორკავდა და ითრევდა.

უძლები და ხარბი თვალი ჰქონდა გოგოს. თავის თავზე შეყვარებული, სხვებშიც მისდამი აღტაცებას და სიყვარულს ეძებდა. მთელ დუნიაზე მავალი მამაკაცების გულები რომ დაეხვავებინათ მის ფეხქვეშ, ყველას დაიჩემებდა და ალბათ კიდევ უფრო ბევრს მოიწადინებდა.

ორ სიტყვას ზედიზედ ისე არ იტყოდა, რომ უმიზეზო სიცილი არ დაეყოლებინა, რადგან იცოდა ღიმილის დროს ლოყები საყვარლად ელრუნტებოდა და მის სახეს უფრო მიმზიდველს ხდიდა.

უყვარდა იარაჯულს ეს ენაგაფხავებული, ცერცეტა გოგო და თან სძულდა.

სძულდა, რადგან იმ დაუშრეტელ კეკლუც ღიმილს, მას რომ თავისად მიაჩნდა, შარაგზაზე უმიზნოდ და უხვად ფანტავდა მეგონა.

ხანდახან გოგოს ხატაურას თვალებში ზმორებისაგან ლამის წელში გამწყდარ კატებს ხედავდა ზურაბი და სურვილი იპყრობდა, კუდებში ხელი ეტაცა, თვალებიდან გამოეთრია და ხერხემალდამტყრები და სულგამფრთხალნი შორს მოესროლა...

...მერე ლოგინში იწვნენ... გაფშეკილი წამწამები დაჰფენოდა მეგონას ლაწვებზე.

„— ჩემია, ჩემი, — გოგოს მხურვალებით გვერდს ითბობდა ზურაბი — ღვიძავს და თვალებს არ ახელს, ალ-

ბათ რცხვენია“.

მეგონა გადმოტრიალდა და გაიღიმა. არა! ეს არ იყო მორცხვი ღიმილი და ქალის მიერ მამაკაცის აღიარება.

— „ვითომ არაფერი“ — ეოცა იარაჯულს.

გოგომ ერთხანს აცაცუნა თითები კაცის მკერდზე, მერე წამოიწია, თმა უკან გადაიზიდა და მთქმარებით თქვა — ავდგეთ ახლა, გვიანია.

— სად გეჩქარება?!

— სახლში, — მეგონამ ზურაბს გადაალაჯა, საწოლზე ჩამოჯდა, გაიზმორა, მერე კაბას დასწვდა და დაიწუწუნა — დაჭმუჭნულა... სულ შენი ბრალია.

— ეს ბინა ახლა შენიც არის, — თავი ბალიშიდან გადმოკიდა კაცმა და გოგო მიიზიდა, — არსად არ გაგიშვებ.

— სულელი ხარ შენ, ზურა, სულელი, — წინდა აისრიალა მეგონამ ფეხზე — ესაც თუ ბინაა, გინდა თავი მომეჭრას?.. რას იტყვიან?.. სასაცილო ვერ გავხდები.

— მაშ წუხელ?.. აბა ეს რა იყო...

— მაინტერესებდა!

— რა?! — სახე მოექუშა გაოგნებულ კაცმა.

— როგორი იყავი...

ზურაბი გახევდა, იგრძნო როგორ დაიძრა მის სხეულში ყინულივით ცივი მდინარე, ორად დაიტოტა და ფეხის ცერებამდე გაიკვალა გზა; იგრძნო, როგორ ბორძიკობდა და თრთოდა იმ მდინარეში ჩამდგარი, სწრაფი დინებით რეტდასხმული გული და ყოველი კუნთი.

მერე დასცხა იარაჯულს, ტანს მოდებულმა სიმხურვალემ ძვლები დაუხეთქა, დაუდნო. და ძვალრბილგაერთიანებული, გალეშებული სხეული ოფლით დაუნამა.

...და ზურაბს მოუნდა თმით დაეთრია გოგო. ეცემა, ეგვემა, ტირილით დაეოსებინა და იმ ტკივილითა და ცრემლებით ამოევსო გულის შეურაცხყოფილი კუნჭული.

— მოგკლავ, — ამოიხრიალა კაცმა.

ალარ ახსოვდა როდის გაარტყა პირველად მეგონას, სცემდა სილებით აჭრელებულ, ცრემლებით დაკუფხლულ სახეში, თავში და აქეთ-იქით ახეთქებდა.

— მაშ, როგორი ვიყავი, არა?.. — ხელ-ფეხს უმტვრევდა გონგადასული — აი, როგორი ვარ... როგორი ვიყავი, არა?..

...გათხოვდა მეგონა...

დააბოტებდა ზურაბი ხალხის ნაცრისფერი მარაქით გატენილ ლეგა ქუჩებში და მოთალულ ღრუბლიან ცაზე ცისარტყელას ეძებდა.

ნაცრისფერ სიზმრებს ხედავდა, ნაცრისფრად ილვიძებდა და ფერწასულ ფიქრებში ყურყუმელაობდა.

მერე მის გვერდით ტყუპებივით იცვლებოდნენ ერთმანეთის მგვანი ქვეყნისფერი ქალები და იარაჯულიც მათ მგლისფერმკერდმილმა დაკარგულ ფერებს ეძებდა.

მოსწყურებოდა სიჭრელე სულსაც და ხორცსაც...

დამწვარ ფერებზე ავარდნილი ნატისუსალის სუნი ახრჩობდა ზურაბს...

* * *

...ურჩხულის დაღრენილ ხახას ჰგავდა სოხანეზე გოჯის ტოლზე ამოცილებულ დიდ სიპზე ლაშდაბჯენილი ბუხარი. კარგა ხანს ბრდვინავდა ცეცხლის ენებდალესილი და კრეჭდა ნაკვერჩხალა კბილებს. მერე ენებმა წვეტები მოიმრგვალეს, დამოკლდნენ და ლუდლუდა ღრჯოლებს გაექვრნენ...

ზურაბს გააჟრჟოლა და ლამის ყურებამდე აბუზა მხრები. გადაშლილი წიგნი ცალ ხელში გადაიტანა და ისე, რომ არც წამომდგარა, სამფეხა სკამი ფერფლმოყრილ ლადარისაკენ მიაჩოჩა.

ბუხართან გვერდმიფიცხებულ, შინნაქსოვ ფარდაგგადაფარებულ ტახტზე ქალი იჯდა. შუბლზე გადაწეულ შავ თავსაფარს ორიოდე თითის სისქე ჯავარდნისფერშეპარული თეთრი თმა თუ

უშორებდა მზემოდებული კანისაგან.

ბეჩაურად მკლავებჩამოყრილს თავი ცალი მხრისაკენ მორჩილად გადაეხარა და ნაოჭმიყრილ კალთაში გულებით ზევით ამოტრიალებულ პეშვებს ჩასცქეროდა.

— შეგცივდა, შვილო? — იკითხა ქალმა და რაკი წიგნში თავჩარგული ზურაბისაგან ჩქამიც ვერ გაიგონა, უფრო საწყლად ჩაჰკიდა თავი.

მერე ფარდაგის აწეული ნაპირი ჩამოშალა, ტახტს ხელებით დაეყრდნო და წამოიწია. სახის კუნთების დაძაბვით ბევრს ეცადა მზერამოყურადებული შვილისათვის ძალად დაწყნარებულ ნაკვთებს გამოპარული ტკივილი დაემალა.

კალთა ერთი ხელით გამხდარ წელთან დაიჭირა, მეორეთი ჩამოიბერტყა, მხრებზე შალი მოიგდო და კარისაკენ წავიდა.

ზურაბმა თვალი გააყოლა. გაღებულ კარში მეზობლის სახლის დათოვლილი სახურავი, შავთეთრად აჭრელებული ჩინჩხვრიანი ღობე და მათზე გადმოპირქვავებული ცის ნაგლეჯი დაინახა.

ფანჯარაში დედა გამოჩნდა, ოდნავ ჩაღუნული რაღაცას ჯახირობდა, ალბათ კალოშებს იცვამდა, მერე გასწორდა, ჯოხს მისწვდა და რაფას მიეფარა.

ზურაბი წამოდგა და გარეთ გაიხედა. დერეფნიდან სათონემდე თოვლი ნახევარგზამდე გაეკვალა ცხვირწვეტა ნაფეხურებს და ჯოხის დანაბჯენს, ქალს ერთი ბეწო ზურგი სიცივისაგან უფრო მოჰკუნტვოდა და ჯოხს ჩაფრენილი იმ მეორე ნახევარგზასაც ამოკლებდა.

ამ ვიწრომხრებიანი, უდრტვინველი ქალის გულისათვის მდუღარე წყალშიც კი ჩავარდებოდა ზურაბი, თუმცა ვერ მიმხვდარიყო, რა აიძულებდა — სიყვარული, თუ გულის იმ კუნჭულის ტკივილი, სადაც დედის სახე გაფერმკრთალებულიყო.

ქალაქიდან იშვიათად ჩამოდიოდა და მაშინ ც ერთი სული ჰქონდა გულიდან გამოძევებული დედის მოალერსე მზერას რაც შეიძლება მალე გაეცქვითა და სატკივარი ხალხმრავლობაში დაეამებინა.

სათონის კარი გაიღო და ისევ მიიჯარა. გაკვალულ თოვლს მოაკვლევდა ქალი. ზურაბი ფანჯარას მოსცილდა, სკამზე ჩამოჯდა და წიგნი გადაშალა.

დედამ შეშები შემოიტანა და სიპზე დაყარა. ჩამუხლულმა ბუხრის წინ მიშმაშნული ხმელი წკირები მოაქუჩა, ნაკვერცხლებზე მოფანტა, ლოყები გამობურცა და სული შეუბერა, აპრიალებულ ცეცხლზე სველი შეშები გარდიგარდმო გადააწყო და წამოდგა.

ერთხანს უყურა ზურაბს. მერე მხრებზე ხელები გაუბედავად დააწყო და ლოყით მის თმას დაეკრო.

თავის დანაშაულში ჩახვედრილ დამნაშავე კაცივით დაეღრიჯა სახე ზურაბს, დაპატარავდა... რა უცხო იყო მის მხრებზე და ყელზე მოცაცუნე გახეშებული ხელების სითბო...

— კარგი რა, დედა, პატარა ხომ აღარ ვარ, — თავისივე ხმა ეუცნაურა ზურაბს.

ქალს დაჭორფლილფრჩხილებიანი თითები შვილის კისერზე შეეყინა, ერთხანს უმოძრაოდ იდგა, მერე შებრუნდა და ჩუსტების ჩუმი ფლასუნით გასცილდა.

...ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. შიშხინებდნენ ატირებული, სველი შეშები და ჭახუნით სკდებოდნენ ცრემლები...

ზურაბმა სკამიანად დაიხია უკან და დედას გახედა. ნაწყენი, უდანაშაულოდ დასჯილი პატარა ბავშვივით მიყუჟებულიყო ქალი კუთხეში, თავშალი შუბლზე თვალებამდე გადმოეწია და აცახცახებულ ნიკაპს ხელებით იოკებდა. მერე შეწრიალდა, შვილს ისე გადმოხედა, თითქოს ეუბნებოდა — ოღონდ შენ იყავი კარგად, შვილო და მე სულ გადავიკარგები, თვალით არ დაგენახებიო.

წამოდგა, კარი გააღო და გავიდა.

...იცოდა ზურაბმა, რომ დედა ისევ

სათონისკენ ცხვირწვეტა კალოშებით გაქვავლულ ბილიკს დაადგებოდა. იქ, იმ სიბნელეში, ნესტიან შეშებზე ჩამოჯდებოდა და უხმო ტირილით თავის გაჩენის დღეს დასწყევლიდა...

ის ჩუმი ცრემლები მოთავისე გულს უღრღნიდნენ ზურაბს და საკუთარი უსუსურობის შეგრძნება ამ დალეული ქალის წინაშე თითქოსდა უფრო აძულებდა და აშორებდა მშობელს.

...და ზურაბს მოუნდა გარეთ გავარდნილიყო, იმ თოვლში ქვეყნის ბოლომდე სულმოუთქმელად ერბინა ფეხტიტველს და კოცნით დადაღული კეფა გაეგრილებინა...

...ძირს დაგდებულიყო, დაეკბინა ხელები, მკლავები, სახეში მუშტები წაეშინა, დაენაყა, დაეგალა და დაესისხლიანებინა თავ-პირი, მკერდიდან ამოეგლიჯა და კბილით ნაკუწებად დაეფლითა თავისი ავზნიანი, თავკერძა და მშობლისადმი უმადლო გული...

...ღმუილით შეეძრა ცა და მიწა და ისე, რომ დედას არ გაეგო, ეკივლა, რომ მას ძალიან უნდოდა ჰყვარებოდა დედა...“

...მერე დერეფანში გახევებულიყო ზურაბი...

...მოდიოდნენ ქალები, კაცები... გველის კანივით სლიპინა, ოფლიან ხელებს ართმევდნენ, მხარზე ხელს უთათუნებდნენ, მკერდში ქვითინით ეკვროდნენ, რაღაცას ეუბნებოდნენ და ნელსაცხებლის, საკმევლისა და ბალზამის სუნდატრიალებულ, ჩაკამებულ ოთახში შედიოდნენ.

იქ, იმ ოთახის შუაგულში, შავ კუბოში გულხელდაკრეფილი დედა იწვა და თავთან აპრიალებული სანთლის ჩრდილები დასციალებდნენ ყვითელ შუბლზე.

...და ზურაბს კუბოს ირგვლივ მტირალი ხალხის რცხვენოდა, რომ დედას ასეთი გაუხეშებული, მარილებისაგან დაბრეცილთითებიანი ხელები ჰქონდა; რომ გაფითრებულ, გამხდარ სახეზე ახლა უფრო უშნოდ გამოჰკენჭვოდა კეხიანი ცხვირი... რცხვენოდა ყვითელ მაჯებთან ნაოჭებად მიყრილი მისი უბრალო, თალხი კაბის გამოც და [illegible] ჰქონდა ყველაფერი [illegible] დამთავრებულიყო და დავიწყების ბურუსს შთაენთქა დედაც, ის ხალხიცა და სირცხვილიც...“

* * *

იარაჯულმა საბანი გადა[illegible]და, წამოიწია და წამოჯდა. ზურგს უკან ბალიში ასწია, მიეყუდა და გახევდა.

ერთხანს დაელმებულმა ათვალიერა ცხვირწინ აყუდებული სიბნელე.

მერე წამოიბაბღვა, ბალიშზე მუხლებით შედგა და საწოლის თავზე გადაეტოტა. ფანჯრის დარაბა გამოაღო და ისევ ლოგინში ჩაჯდა.

უკუნეთმა რამდენიმე ნაბიჯით დაიხია უკან...

სარკეში მხრებატუზული, თმაგაბურძგნული, მიწრიელის მსგავსი ლანდი გამოჩნდა.

ბალღურმა შიშმა შეიპყრო ზურაბი... ხელები გაიქნია და ჰაერში მუშტები შეკრა; ლანდმა გამოაჯავრა.

— მე ვყოფილვარ, — დაწყნარდა იარაჯული.

სააბაზანოდან წყლის ჩხრიალი მოისმა, დროდადრო სიმყუდროვე ენაცვლებოდა. თითქოს ბანაობდა ვიღაც...

იარაჯულს ძარღვებში სისხლი დაუთავთხელდა და დაბალნული ტანი დაეხორკლა... სმენა დაძაბა...

...უფარდო მინიან კარს ვიღაც მოადგა.

— „ვინა ხარ!“ — ყინულივით ცივი ხმა დატრიალდა კაცის სხეულში, ნეკნებს ჩაეჭიდა, მოუბღუნძა და მკერდი შეუთელა.

...კარი ფრთხილად გაიღო და იმ წამსვე მიიჯარა.

საწოლის ზურგი ლამის გადაამტვრია იარაჯულის შიშველმა მხრებმა.

...კართან მიქუჩებულ სიბნელეში ვიღაც იდგა... წკაპუნობდნენ სველი თმიდან ჩამოწურწურებული, ძირს დაცემული წყლის წვეთები...

მერე იმ ვიღაცამ თავი ასწია და...

...ლურჯი ზღვა ღელავდა... მაღლა

აჭრილ ფრთაქათქათა თოლიებს ცა ევიწროვებოდათ...

გოგო თვალშეჩვეულ, მიფუჩეჩებულ სიბნელეს გამოეყო და ზურაბმა დაინახა, რომ მას სწორედ ის რბილი, აბუსუსებული ჩუსტები და ბინდბუნდში შემუქებული, ზღვისფერი საძილე ეცვა; სწორედ ისინი, საგანგებოდ მისთვის რომ იყიდა კაცმა და დიდი ხნის წინათ გადაინახა...

წელში გადაზნექილი გოგო დიდხანს იწურავდა სველ თმებს...

...მერე იწვნენ... ტანზე მეორე საწოლიდან გადმოღებული, ამ ღამის დიდი ხნის მომლოდინე ფუმფულა, ხასხასა ბალახისფერგულიანი საბანი ეფარათ და სიქათქათეში გამომწყვდეულ ბალიშზე ეწყოთ თავები...

დიდხანს უყვავებდა იარაჯული გოგოს გამშრალ, ბალიშზე გაფანტულ ბუწუწებს, ლოლნიდა და წრუპავდა სისხლმომჯდარ, ნებასდაყოლილ ტუჩებს და იტმასნიდა ფოლორცა ძუძუებს.

უძლები კოცნით კოცნიდა მომლიმარ თოლიებს და ამშრალებდა თავისივე ცრემლებით შესველებულ გოგოს სახეს... თავს ბალიშში რგავდა, ჭვითინებდა და ისევ კოცნიდა და კოცნიდა.

გრძნობდა, როგორ წვრილდებოდა, ფომფლდებოდა გულზე მოჭერილი ბაწარი, მერე გაწყდა და იქიდან დიდი ხნის ნაგუბარი საალერსო სიტყვები ამოცვივდნენ...

— საყვარელო, — ტიროდა ზურაბი და კვლავ კოცნიდა გოგოს სახეზე თავის ცრემლებს, — როგორ გელოდი... სულ გელოდი... რამდენი ხანია...

— „მეც, მეც"... — ღიმებოდნენ თოლიები...

...და უცებ შეკრთა კაცი... ერთხანს გაფაციცებით ათვალიერა გოგოს შუბლი...

მერე ბალიშში ჩარგული სახე ხელებით დაკრუნჩხა და ალმუვლდა — სტყუი... შენ არა გაქვს ნაოჭები... შენ არა გაქვს ნაოჭები... არა გაქვს ნაოჭები... ნაოჭები...

მერე ისევ ლოგინში იჯდა იარაჯული. ცრემლის გამშრალი ლაქებით დაღაჭიმულ სახეს ისრესდა და მის გვერდით ჩაწოლილ, ერთმანეთში არეულ, დარაბიდან შემოპარულ მთვარის სხივებს ჩასცქეროდა.. .მერე იმ სხივებს მუჭში იგროვებდა, ისევ უშვებდა და გვერდით იწვენდა...

...საბაზანოდან ისევ ისმოდა ღიად დარჩენილ ონკანში უცაბედად მოსული წყლის ჩხრიალი...

* * *

„...მაშინ ზღვაზე ისვენებდა იარაჯული... თუმცა ვერა და ვერ მოიშორა უცნაური შეგრძნება, რომ თითქოს ყველგან, საკუთარ სახლშიც კი სტუმრად, დროებით იყო და საღღაც შორს იყო წასასვლელი, იქ, სადაც იქნებოდა ტკივილი, სიხარული, ნატვრა და... თვითონ.

თვალებზე აფარებული მუქმინიანი სათვალეები თითქოს ამუნჯებდნენ ქვეყანას; აყრუებდნენ და სამყაროს წყვეტდნენ ზურაბს.

დაბორძიკობდა ფიქრების ოკრობოკრო, ტალახით აზელილ გზებზე და შორს, გზის ნაპირებით შეკრულ სამკუთხედს გასცქეროდა... და იცოდა, მის შემდეგ სწორი გზა იწყებოდა...

არა და, არ ილეოდა ოღრო-ჩოღრო და თანაბარი ნაბიჯებით მიიწევდნენ წინ იარაჯული და გზის სამკუთხედი..."

* * *

„...ომი ამტყდარიყო ზღვაში... იბრძოდნენ დორბლმორეული, ქაფიანაბჯრიანი, მკერდგადმოჯგიბული ტალღები და ერთმანეთს ეზვიადებოდნენ; დაჯაბნებულებს ნაპირზე ათხაპნიდნენ და ისევ წყალში ითრევდნენ.

ბეტონის ხელოვნურ რიფებზე, პლაჟზე გადმოყრილ ზღვის უზარმაზარ მეჩხერ კბილებს რომ ჰგავდნენ, ერთმანეთს ახეთქებდნენ, ხერხემალს უმტვრევდნენ.

მაღლა ისვეტებოდა თეთრი სისხლი. კენჭებით დახორკლილ პლაჟს ხო-

კავდნენ გოლგოთაატანილი მომაკვდავნი, კვნესოდნენ და უკანასკნელ ცივშხეფებიან ამონასუნთქს ტოვებდნენ ნაპირზე...

იარაჯულმა შორიდანვე შენიშნა გოგო...

ნაპირიდან მოშორებით იჯდა. ყავისფერი, დახრუკულ მკლავებშემოხვეული, მზენაალერსები წვივები ჩაქინდრული თავისათვის ბოწკინტებად შეეყენებინა, გახუნებული თმები დაჰყროდა მუხლებზე და მხრებზე.

წამოდგა, თმები უკან გადაიყარა, ფეხზე გაიხადა, წინ ჩაღილული კაბა მოიხალვათა და ზღვისკენ წავიდა.

მკლავები ლამაზად მოიმრგვალა თავს ზემოთ და ხელები გადანასკვა. მერე ერთმანეთში ჩაწნული ხელები მკერდზე ჩამოიტანა და ტუჩები ააცმაცუნა.

— „ზღვას ელაპარაკება... რაღაცას სთხოვს, — გაეღიმა ზურაბს, — ნეტავ რას..."

...გოგო შემობრუნდა და უკან გამოკიდებულ ტალღას გამოექცა. თავი არ აუწევია, ისე მიირბინა თავის ადგილამდე და...

ერთხანს გაოცებულმა ათვალიერა იქვე, ქვიშაზე ჩამჯდარი კაცი. ჩაიმუხლა, თავისსავე ქუსლებზე ჩამოჯდა, ბარძაყებზე ხელები დაიწყო და ზღვას შიშითა და აღფრთოვანებით გახედა.

მერე კიდევ კარგა ხანს უყურა ზღვასა და კაცს.

...და იმ აღრენილი ზღვის ნაპირზე იარაჯულმა გოგოს ფართო თვალებში მეორე ზღვა დაინახა...

...ნელად მოტლაშუნე ტალღებს ზემოთ თეთრი თოლიები გიჟმაჟობდნენ.

...მერე ერთად დაადგნენ ბილიკს და გზაჯვარედინზე შეჩერდნენ.

დიდხანს ჩიჩქნიდნენ ქუსლებით მიწას და ჩასცქეროდნენ ჰაერში აქანავებულ საკუთარ ცერებს...

ნაბიჯი გადადგა კაცმა.

— „არ წახვიდე"... — შეშფოთდნენ თოლიები.

— „მიდის.. .არ წავიდეს..." — შორს, აღლანდლარებულ ზღვას შეეხვეწა გოგო.

...და მაინც წავიდა ზურაბი.

მერე სარკის წინ იჯდა და გოგოზე ფიქრობდა — „როგორ მიყურებდა... რა სთხოვა ზღვას... ნეტავ, რა..."

ისევ სარკეში ჩაიხედა კაცმა და იმ გოგოსავით გაიტრუნა — „რაზე ფიქრობენ ხოლმე ამ დროს ადამიანები..."

...და მიხვდა, ყველაფერს მიხვდა...

— „რა სთხოვა ზღვას... ნუთუ..."

მერე ყოველ დღე დაეძებდა იარაჯული ლურჯ ზღვას და ქათქათა თოლიებს.

— „ვინ იყო... რა ერქვა... სადაური... რატომ არაფერი ვკითხე... როგორ მიყურებდა..."

...თვალიც ველარ დაჰკრა გოგოს...

მერე?!

...სასწავლო წლის პირველ დღესვე აუდიტორიაში შესულ იარაჯულს თვალები ლამის შუბლზე აუკოკოლავდა.

...ლურჯი ზღვის ზედაპირზე გაკრული ნაღვლიანი თოლიები მის დანახვაზე აცელქდნენ და კიჟინით აიკლეს გოგოს თვალები..."

* * *

— აი, იმ სახლში ცხოვრობს... — ნიკაპი მაღლა აიქნია ლილიმ — მეექვსე სართულზე.

— ჰ-ო-ო-ო?! — თქვა იარაჯულმა და თვალი ველარ გაუსწორა სახლიდან წამოყოლილ სასომიხდილ თოლიებს.

იქ, იმ სახლში ის ქალი ცხოვრობდა, მისთვის ყოველ საღამოს თბილ-თბილი ჭრიანტელი რომ უნდა დაეხვედრებინა, ლოგინში ჩასწოლოდა და ბალღები გაეჩინა.

...ზურაბს გააჟრჟოლა.

— „...რა უნდა ვუთხრა. როგორ ვუთხრა... ანდა რა მაქვს სათქმელი... ვინ იცის, როგორია..."

„...გოგო ზღვის ნაპირას შედგა. მზიანი მკლავებით ცა მოხვეტა, თავს ზემოთ თითები ერთმანეთში ჩახლართა და დაქადნებულ ტალღებს რაღაც სთხოვა...

...მერე ტალღა გოგოს ფეხებთან

აიკლაკნა, ტანკოტიტა დედაბრად იქცა... სილაზე დათხლეშილი, ჩამოდღლარძული ძუძუები აკრიფა და გოგოს გამოუდგა...

— „მიშველეთ!.. — სველ კენჭებზე ფეხი უსხლტებოდა გოგოს, ფორთხილობდა...“

— ნუ გეშინია... ნუ გეშინია.

— რა თქვი?! — იკითხა ლილიმ.

— არაფერი — თქვა კაცმა.

— „ვინ იცის, როგორია... თოლიებს დამიფრთხობს...“

...დადურალებული, ფრთებში თავჩაყუეული თოლიები ფანჯრის რაფაზე ისხდნენ და შეორთქლილ მინას აჰკვროდნენ.

...დროდადრო ცრემლით დამბალ ნისკარტებს ასავსავებდნენ...“

— არა!

— თქვი რამე?! — კვლავ იკითხა ლილიმ.

— არა!.. სხვა დროს რომ მივიდეთ?

— ახლა! — ფეხების ბაკუნით დაიჟინა ქალმა.

— „...ვინ იცის, როგორია... იქნებ ფანჯრიდანაც მიყურებს... ან იქნებ კიბეებზე ჩამოდის... იქნებ გვერდითაც ჩაგვიარა უკვე... ვაითუ ის ქალია, როგორ მიყურებს...“

სადარბაზოს კართან შედგა ზურაბი.

— ადი შენ, ლილი!

— ცოლი შენ მოგყავს, თუ მე... იქნებ არ მოგეწონოს?!

— შენ თუ მოგეწონება, რაც არის, არის... ჩემთვის სულერთია — კიბის საფეხურზე ჩამოჯდა კაცი.

— „ნუთუ მართლა?“.. — არ დაიჯერეს თოლიებმა.

— ინანებ, ზურა!!!

...მერე მთელი სხეული თითქოს გაეწელა, გაებერა, და ასტკივდა იარაჯულს... და მიხვდა დიდი ხნის წინ ჩასახულ სათქმელს შობის დრო მოსვლოდა. გრძნობდა, როგორ ყლაპავდა მის სხეულში აფართქალებული მეორე სიცოცხლე მის წილ ჰაერს...

მერე მთელი სხეული დაეჩუტა და მოეხალვათა — ვინანო!..

* * *

მერე აივნის მოაჯირს გადაჰყუდებოდა და ფეხებით უკან გატოქილი იარაჯული. რკინის სალტეზე ნიკაპდაბჯენილი, თავის გარშემო მკლავებით შემოწერილ რგოლს ჩასცქეროდა.

საბავშვო, მუყაოს სარკიან კალეიდოსკოპში ჩაყრილი ფერადი მინის ნამტვრევებივით მოძრაობდნენ და სხვადასხვა გამოსახულებებსა და ორნამენტებს ქმნიდნენ ქუჩაში ერთმანეთს გზააქცეული ადამიანები.

ცირკის აკრობატივით აცოცდა იარაჯულის მზერა მოპირდაპირე სახლის აივნებზე. გალიმებული რკინის წკეპლებს ეჭიდებოდა, განზე ხელებგაშლილი თითისწვერებით გადიოდა მოაჯირებზე...

...და გრძნობდა ზურაბი, ციდა-ციდა მომატებული მანძილი როგორ უყალბებდა ღიმილს ჰაერში აკონწიალებულ მზერას...

...ისევ მკლავებით შემოწერილ კალეიდოსკოპს ჩასცქეროდა... წინასწარშეთანხმებულივით მიდი-მოდიოდნენ ადამიანები, მინის ჭრელი ნამტვრევებივით გროვდებოდნენ, იშლებოდნენ...

...და საშინლად მოუნდა ზურაბს თვითონაც მინის ნამსხვრევად ქცეულიყო და იმ ორნამენტებს სულ სხვა, უცხო ფერად შერეოდა...

თავი ასწია იარაჯულმა. რკინის ნაწიბურებისაგან ჩაწეწკილი, აქეთ-იქით წამოკვერებული ნიკაპი მოისრისა და წამოიმართა. ერთხანს გულხელდაკრეფილი იდგა.

ოთახში შებრუნდა...

...ალქმის ობიექტივში მოხვედრილი ნანახის ფერგადანაცვლებულ, შავთეთრა ნეგატივებს ალბეჭდავდა. ძნელადდამჩნეულ კუთხეებს ჩუმუქებდა, ამაგრებდა და უკვე ფერდალაგებულ სურათებს აცნობიერებდა...

...კარი რომ მიიჯახუნა ზურაბს უკან, მაშინ მიხვდა, რომ ძირს ჩადიოდა.

— „სად მივდივარ?“ — იკითხა იარაჯულმა.

გრძნობდა, როგორ მიარბენინებდნენ

კიბის საფეხურებზე, თითო-თითოს გამოტოვებით ფეხები. ისე მირბოდნენ, თითქოს აგვიანდებოდეთ სადმე.

— „სად მივდივართო“ — მთელი გზა კითხულობდა იარაჯული.

მერე თვითონაც შეერია კალეიდოსკოპში ჩაყრილ მინის ფერად ნამტვრევებს...

უცნაურმა შეგრძნებამ დარია ხელი. აქეთ-იქით იხედებოდა და უხაროდა, რომ ვერავინ ამჩნევდა; უხაროდა, რომ მხოლოდ მან, ქვეყანაზე ერთადერთმა იცოდა, რომ თვითონ სულ სხვა მინის ნამტვრევი იყო; უხაროდა და თან ეშინოდა სხვაც არ დაპატრონებოდა მის საიდუმლოს.

მერე ბედნიერებით ალსავსე სახესაც მალავდა კაცი. ის ბედნიერი ღიმილიც მისი იყო, მხოლოდ მისი...

...ისევ სადღაც, ვიღაცასთან დაგვიანებულივით ჩქარობდნენ ფეხები.

— სად მივდივართო — ისევ კითხულობდა ზურაბიც.

* * *

პარკში, ხის ძირას, სალებავგადაქლეტილ სკამზე ჩამოჯდა იარაჯული. ცალი ფეხი მეორის მუხლზე დასვა და გაყუჩდა.

უყურებდა და ფიქრობდა ზურაბი ხალხით აჭრელებულ სკამებზე, კეთროვანივით გარიდებულ თავის სკამზე, წითელ, პატარაგოროხებიან ბილიკზე ტაატით მოარულ ადამიანებზე, ლამის მის ცხვირის წვერთან აფრიალებულ არაფრადჩამგდებ კაბებზე და შური იპყრობდა...

მერე ისევ იმზირებოდა ტანსაცმელში შემალულ ერთმანეთის არამსგავს სხეულებში და მათი მსგავსება აკრთობდა...

— „დედამ მითხრა, ბრმა ხარო, დედამ მითხრა, ბრმა ხარო“... შეირხა იარაჯული.

შუა ბილიკზე შვიდიოდე წლის, კეფაზე ბათაგაფურჩქნული, თვალებზე ხელსახოცაფარებული გოგო ჰაერში გაწვდილ წკეპლასთან ერთად ბზრიალებდა და ჭახჭახა სიცილით ტოლებს იგერიებდა — დედამ მითხრა, ბრმა ხარო, დედამ მითხრა, ბრმა ხარო...

— „ჰმ! დედას უთქვამს, ბრმა ხარო“ — გაეღიმა კაცს.

ეტყობა დაიღალა ბავშვი. თავბრუდახვეულმა ერთხანს იბარბაცა, ჩაიცუცქა, ტუჩები გამობურცა და ალმურდადებულმა, ენისწვერგადმოგდებულმა დიდხანს იფუხფუხა.

სკამიდან ქალი წამოდგა და დაუძახა.

გოგო წამოფრინდა და მისკენ ხტუნაობით გაენთო. ქალის კალთაზე მუხლებით შედგა და კისერზე შემოეხვია. ორივეს ერთნაირი გადაკალმული წარბები და წვეტაპრეხილი ცხვირები ჰქონდათ.

ქალმა ლოყაზე ტუჩებით დაწებებული ბავშვი სიცილით მოიშორა, ბაბთა გაუსწორა და ახლა თვითონ ჩაჰკოცნა...

...ისევ იცინოდნენ, ანცობდნენ ბავშვები; ისევ ჭახჭახებდა და ხტოდა ქალის კალთაში კეფაზე ბაბთაგაფურჩქნული გოგო.

...იმ ბავშვებს წვერ-ულვაშს ასხამდა, მკერდს უკოკრებდა იარაჯული და უკვირდა, რომ ადამიანებს ცუდი და კარგი ერქვათ...

* * *

მერე შეტოკდა, აჭრიალდა კეთროვანივით გარიდებული სკამი. ვიღაც დაჯდა.

...და იარაჯულმა ლურჯი ზღვა და ლოდინით დაქანცული ფრთაგაფითრებული თოლიები დაინახა...

გოგოს შუბლზე ჩვილი ნაოჭები გასჩენოდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიგი ალხაზიშვილი

# დაუვიწყარი

ზღვა მთელი ღამე შენზე მღეროდა,
იმეორებდა თითქოს შენს სახელს.

. . .

ტალღები ზღვის სიტყვებია,
ერთიმეორეს დაეძებენ
და ნაპირისკენ ეშურებიან...

ზღვა ყველა სიტყვას ტალღებით ამბობს
და მუდამ ნაპირს ესაუბრება,
ნაპირი კი საზღვარია,
ზღვამ ოდესღაც რომ მიატოვა
და გული ისევ იქით მიუწევს,
ხან ეფერება, ხან მრისხანედ შეენარცხება.

თოლიები — ზღვის ფიქრები
ზღვის ნაპირას დაფარფატებენ.

დამსვენებლები, მზიან პლაჟზე
უზრუნველად გაწოლილები,
სვამენ საამო შემოდგომის
ულურჯეს დღეებს
და სეზონის სიყვარულით სავსე ჰაერი,
სამოთხის ვაშლის სურნელებით გაქლენთილია.

. . .

ზღვა მთელი ღამე შენზე მღეროდა,
თითქოს შენს სახელს —
ნიაღვრების ბაგეებით ჩამჩურჩულებდა.

სიცარიელეს ვერ შეავსებს ზღვის ხმაური,
ვერც შენზე დარდი,
არც გულცივი წიგნების კითხვა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვგრძნობ დაქანცულ, ცარიელ ფიტულს,
რომელიც მალე მიეგდება ხმელ საწოლზე
და თვალებში თვლემის ნისლი შეუდედდება.

მაგრამ ძილი — დაღლილი კაცის
უერგთულესი მეგობარი, სხვებთან წავიდა,
მე კი მარტოდმარტო დამტოვა.

შენსკენ მახედებს ვიოლინოს შორეული ხმა,
შენსკენ, ვინც თავად მიგატოვე
და უარგყავი...

ხელისგულები ავიფარე დაღლილ თვალებზე
და სიბნელიდან კვლავ შენი სახე ამოცურდა,
ხელისგულებზეც შენი ღიმილი ამოიქარგა.

* * *

მე ავად ვარ გაზაფხულით
და გაქცევაზე მიჭირავს თვალი,
უნდა გავექცე ჩემს თავს სადმე,
უნდა ვაჯობო სიმხდალეს ჩემსას
და ისე, ისე მოგიახლოვდე,
როგორც ცაში ღრუბელს ღრუბელი.

მე ავად ვარ გაზაფხულით,
ადრეულით, მოულოდნელით,
ალსავსე სისხლით მოუსვენარით,
რომელსაც თითქოს ენატრება
გარდასახვა ყაყაჩოებად,
რომ შენს უმწვანეს და იდუმალ
ბორცვებს მოედოს.

მე ავადა ვარ გაზაფხულით,
ჯანმრთელ მარცვალს მონატრებულ
მიწის წიაღით...

ო, დედოფალო, მიიღე ჩემი
სიყვარული —
ქარვისფერი ხორბლის მარცვალი
და კიდევ ერთხელ აგრძნობინე
ნეტარება აღმოცენების.

* * *

რა იქნება
მოულოდნელად შემოხვიდე
და ერთფეროვან ღამეებიდან,
ეს ერთი ღამე გამოარჩიო,
დამამახსოვრო.

ერთხელ მაინც გადავევლოთ
ჩვენი ზნეობის მაღალ გალავანს —
ქვებით კი არა, სიტყვებით ნაგებს:
რას იტყვის ხალხი!
სირცხვილია!
არ შეიძლება!

გადის სიცოცხლე,
ჩემი ნატვრა
შენს სიზმრებში დაეხეტება,
აქამდე აღწევს შენი უხმო
გულისძახილი...

გადის სიცოცხლე,
მივაქლარუნებთ ზნეობის ბორკილს
და როცა ვფიქრობ:
რომელიღაც საუკუნეში მაინც
შეგხვდები,
ამ ქვეყნიდან წასვლას ვჩქარობ,
რომ შენამდე გზა შევიმოკლო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

თქვა: დაჭრილი ვარ
ზურგში ქურდულად...
იმ სიტყვებიდან გამოჟონილი
სისხლის ფერი და სითბო ვიგრძენი
და ამეწვა ზურგი უეცრად.

თქვა: ჭრილობა არ მიშუშდება,
სნეული ვარ, სნეულთა შორის უსნეულესი....
და ამ სიტყვებმა მეც უმალვე დამასნეულეს.

მთხოვა: როგორმე მეორე მხარეს გადამიყვანე,
მიმაღწევინე სასუფეველთან...

ხელი ჩავკიდე და წავედით,
მაშინღა მივხვდი:
მე ვიყავი მისი თვალები,
ის კი ჩემი ღია ჭრილობა,
ჩემი სნება
და ჩემი სისხლი.

* * *

მჯერა —
ძალიან თუ მომენატრე,
ჩადგება ქარი, გაირინდება,
რომ შენს ვნებიან სუნთქვას ვუსმინო—
მონატრებულს, ძლივს გახსენებულს.

მჯერა —
ძალიან თუ მომენატრე
ქვლავ გავიგონებ შენს ხმას ღამით,
როცა ბუდეში წამოიჭყივლებს
დედა ჩიტი თბილ კვერცხებზე
გადაფოფრილი.

მესმის შენი ხმა თბილზე თბილი,
შეხვედრის ხდომით დათაფლული.
ჩემთვის შენი ხმა, შენი თვალები
თითქოს ღია სარკმელებია,
საიდანაც მე ვიხედები
შენს შორეულ მდუმარებაში.

როგორც წვეთი წვეთს
ჩვენ მარადის ვეძებთ ერთმანეთს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მონატრებას
შეერთების წყურვილი ჰქვია...
. . . .
ნუ გამახსენებ,
რომ ცრემლებიც ერთდებიან
ზოგჯერ თვალებში.

* * *

ამოდი მზეო, დილის სპექტაკლს
ელოდება ახლა ქალაქი,
თვალებს იფშვნეტენ ქალაქელები,
იშმუშნებიან,
ყველა თავის ღამის მღვიმიდან
გამობობღდება,
ერთი დღით ყველა მიატოვებს ღამეს—
კმაყოფილი თუ უკმაყოფილო
და ვიდრე დაიწყებოდეს დილის
სპექტაკლი,
ვიდრე ფარდა აიხდებოდეს —
მოირგებენ ნიღბებს, პარიკებს,
ააბზუვლებენ ელექტრობრიტვებს —
განუყრელ და ძვირფას ხოჭოებს,
ქალაქის ჰაერს მოედება
პარფიუმერიის ნაცნობი სურნელი,
ეს კი ნიშნავს, რომ სადაცაა
დაიწყება დილის სპექტაკლი,
რომლის ფინალი მუდამ ღამეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ დანელია

## პროზაული ჩანაწერი

მიწა, რომელიც გუშინ სასაფლაო იყო
და, რომელზეც დღენიადაგ ცრემლის გორა იდგა,
დღეს ბაღია...
აქ ვინ არ მოდის,
რა ჯურის ხალხი...
აქ მოდიან მოარშიყენი
(ამ ბაღისკენ მოისწრაფვის მთელი ქალაქი);
მოდიან, კისკისებენ, ერთურთს ეხვევიან
და არც ფიქრობენ ძვლებზე რომ დგანან.

ამ ბაღში ხვალე ჩვენც გავისეირნოთ?!

## ზ ღ ვ ა

ზღვა სიზმარივით ჩუმად შრიალებს,
როგორც ბალახი ახლად ნათიბი...
შენი თვალები მზეზე თბილია
და ალავერდზე უფრო ნათელი!..

ზღვა სიზმარივით ჩუმად შრიალებს,
(ზღვა იშრიალებს მიწყივ და მიწყივ)...
შენი თვალები მზეზე თბილია, —
მე სანთელივით იმიტომ ვიწვი!

## ზღვა და გაზაფხული

სუნთქავს ზღვა და გაზაფხული,
სუნთქავს ძალზე ლამაზად,
მთვარეც თვალებს აფახულებს
მიმავალი არმაზით...

გაიარა ჩუმად ეზო,
სევდისფერი საძვალეც...

დაიფარე ქარი, ღმერთო,
ეს ქუჩის მაწანწალა

და აანთე, ღმერთო, ფერი,
ხსოვნის ფერი აანთე,
მუხთალია ეს სოფელი,
არ შეგარჩენს არაფერს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტაბაკონა. ბილიკი

მიიკლაკნება გველისნაირად
და მიციმციმებს თოვლის მწიფე წყალივით
ბილიკი...
ტაბაკონაზე მოხასხასებს რიყრაყის ტანი
შემოსილი აგვისტოის მზით,
ტაბაკონაზე ქორიც დაფრინავს,
ქორი...
რიყრაყი...

. . . . . . . . . . .

ჩუმად.
    ბილიკზე მიმოარხევს
    შავგვრემანი საღამო თეძოს!

## ბარტყი

გადმოვარდნილა ბუდიდან ბარტყი,
ვაი, ცოდვაა, რაღა ვუშველო!..
გადმოვარდნილა ბუდიდან ბარტყი —
უფრთო, უმწეო და სულ შიშველი.

სინათლის მოლი აღარ ხასხასებს,
ბზების ნათელიც თითქოს მიმქრალან
და სული — მწარე წყევლით აღსავსე
ქარვისფერ ცრემლებს ჩუმად
იმშრალებს...

წრიალებს ჩიტი. წრიალებს ქარი.
ვაი, ცოდვაა, რაღა ვუშველო!..
ამოფრენილა ბუდიდან ბარტყი,
ლამაზი, როგორც ქალი შიშველი...

ვედრების გზებზე ძაღლები ჰყეფენ.
(მიეხეტება ამ გზაზე მთვარე).
ჩიტს აპოვნიე, ო, ღმერთო, ბარტყი,
ღმერთო, მაცოცხლე მანამდის ბარემ!..

## თბილი მიწა

ნინოს

მწიფე ხორბლისფერ მიწას უკვე დავეჩოქე,
რადგან ვიცი, რომ შენ ხვალ თბილი მიწა იქნები,
მიწა, რომელიც მეც ჩამიკრავს და გამახარებს.
შენ იმ დღეს ერთხელ მე ისევ გამიღიმებ,
ჩვენ ერთმანეთს სამუდამოდ დავუბრუნდებით.

ფიქრების ულრანი ტყე —
მინდვრის წითელი გული —
შენ ამიყვავე და განმიბანე სინათლის სისხლით.
ამ ტანჯვისთვისაც მადლობელი ვარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფე ხორბლისფერ მიწას უკვე დავეჩოქე
და... ვიგონებ შენს ლამაზ თვალებს,
თვალებს ცასავით უკიდეგანოს
და... მიწა ჩემი შენსავით მიყვარს,
ანდა მიწას რა შემაძულებს,
მიწას... დედამიწას.

* * *

თებერვლის ბოლო.
გაილოკა ზამთარმა თათი,
ლობემძვრალასავით მიიმალა.
გლოვისფერ მთებშიც
წელში გატყდა თოვლის მინდორი.

## ნისლის ყვავილები

ფერადი ნისლის ყვავილებს დავკრეფ,
გულმკერდს ლამაზად მოგიქარგავ,
ამოვამღერებ და მაგ თბილ მკლავზე
ამ მტრედისფერ და ფეხშიშველ არაგვს.

ფერადი ნისლის ყვავილებს დავკრეფ,—
შენსავით ლამაზს, მე მხოლოდ შენთვის,
ამოვამღერებ და მაგ თბილ მკლავზე
ამ ცისკრის მინდორს, უსწორესს
ღმერთის!

ფერადი ნისლის ყვავილებს დავკრეფ,
ფერადი ნისლის დაგიდგამ კარავს
და ვაფრიალებ ირმისფერ მთვარეს
შენი სურვილის უნათლეს კართან.

ფერადი ნისლის ყვავილებს დავკრეფ,
ცას თვალებისას მოგიქარგავ
და დაგახატავ გულზე და მკლავზე
ამ მტრედისფერ და ფეხშიშველ არაგვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჩიქოვანი

# რწმენა

## რომანი

ომმა უფრო დაახლოვა ცია და ცისანა. ომამდე ერთი საერთო ფიქრი ჰქონდათ: როდის დამთავრდებოდა მშენებლობა, დასახლდებოდნენ და ჯვარს დაიწერდნენ თავის საქმროებზე. ახლა ეს სანუკვარი ფიქრი საშინელმა ფიქრმა შეცვალა. იგი მუშაობისას, მუშაობის შემდეგ, შინ, გარეთ, ძილში, ღვიძილში თავიდან არ ამოსდიოდათ.

ორთვიანი სამხედრო სკოლა დაამთავრეთ და დღეს ფრონტზე მივდივართო, მოსწერეს უჩამ და ანტონმა. მას შემდეგ წერილი არ მიუღიათ. ტანკსაწინააღმდეგო ბატალიონში ვართ, ერთ თოფს ვემსახურებით, მე პირველი ნომერი ვარ, ანტონი მეორეო.

ციამ და ცისანამ არ იცოდნენ, რას ნიშნავდა პირველი და მეორე ნომერი. მაგრამ მაინც მათთვის ბევრის მეტყველი იყო. უჩა და ანტონი ერთად იყვნენ. მხარდამხარ ერთად უნდა ებრძოლათ მტერთან, ერთ თოფს ემსახურებოდნენ, ერთმანეთის იმედით იქნებოდნენ. იმედს უჭირავს ადამიანი, იმედს უჭირავს წუთისოფელიც.

დღეს პირველად თხრიდნენ ოვალურ კვლებს, მაგრამ კვლებზე არ ფიქრობდნენ, უჩასა და ანტონზე ფიქრობდნენ. მტერი მოსკოვს მოადგა. რისთვის, ვისთვის ვთხრით ამ კვლებს? მტრისათვის?! მოსკოვი თუ აიღეს, ამ მიწასაც დაიპყრობენ. თუ ამდენი ქვეყანა, ქალაქი და სოფელი დაიპყრო ჰიტლერმა, მოსკოვი რანაირად გაუძლებს?!

არ უნდოდათ ასე ეფიქრათ. შიში აფიქრებინებდათ. მოსკოვიდან გარბის ქალი და კაცი, სხვა ქვეყნებსა და ქალაქებს, სოფლებს აფარებენ თავს, ამ ჩვენი ლტოლვილებივით, ნატაშასავით, მაკარივით, დეიდა ოლგასავით. რატომ მუშაობს კვლებზე ეს სამოც წელიწადს გადაცილებული ქალი? იმიტომ ვმუშაობო, რომ სტალინი მოსკოვშიაო. მაშასადამე, ჰიტლერი ვერ აიღებს ჩვენს დედაქალაქსო. ჰიტლერი ძალით მოერეკება თავის ჯარს. სტალინს ხალხი უდგას მხარში. უჩასა და ანტონისთანა ადამიანები ჰყავს სტალინს. ასეთი ადამიანებისაგან შემდგარი ჯარი არ დათმობს მოსკოვს. არ დათმობენ უჩა და ანტონი იმ მიწას, ოთხი წელიწადი რომ ღვრიდნენ ზედ ოფლს და ლტოლვილებთან ერთად ახლა ჩვენ ვღვრით, რათა მოსკოვი გადავარჩინოთ. არ დათმობენ, არ დავთმობთ. უტრიალებდათ თავში ციასა და ცისანას ეს ფიქრი.

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 6, 7.

ადამიანები ციხეებიდან გამოსვლას და ფრონტზე გაგზავნას თხოულობენ. ჯარისკაცების დედები და მამები, ცოლები, დები და ბავშვები ლუკმას იკლებენ და ფრონტს უგზავნიან. არ აქვს საამისო ძალა ჰიტლერს, რომ ასეთი ადამიანები დაამარცხოს.

ხალხი თავის მიწას იცავს, თავის სახლ-კარს იცავს. სტალინს თავისი ხალხის იმედი რომ არ ჰქონდეს, მოსკოვში არ დარჩებოდა. უჩა მეუბნებოდა, შენისთანა ქალების ხელში ვერ წაგვართმევენო კოლხეთის მიწას. ოლგა ბაჩილოსთანა ადამიანების ხელში ვერ წაგვართმევენ სამშობლო მიწას. ვერა. ვერ წაგვართმევენ იმიტომ, რომ ჩვენში ასეთი ქალებია. ვერ წაგვართმევენ იმიტომ, რომ ჩვენში უჩასა და ანტონისთანა კაცებია.

ჯოტია მოდისო, გამოიყვანა ცია მღელვარე ფიქრიდან მაკარ ბაჩილოს შეძახილმა. თვალი მ[illegible]რდილა. შორს გზაზე ჯოტია ფოსტალიონი მოისწრაფოდა. ისეთი გამალებით მოდიოდა, მტვრის სქელ ბულს ტოვებდა უკან.

ჯოტია ჯოჯუა კოლმეურნეობის ფოსტალიონი იყო. მარჯვენა ფეხი დაბადებიდან მოკლე დაჰყვა და იმ მხარეს ჩაბუქნისას ისე მაგრად ურტყამდა მიწას, თითქოს ჯავრს იყრისო მასზე.

ამ ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე კაცს ფეხი ყველაფერში უშლიდა ხელს. ვერ ხნავდა, ბარს ფეხს ვერ უწვდენდა, ვერ თოხნიდა მარჯვენა მხარეს გადაწეული, ყანიდან სიმინდით სავსე კალათი ვერ გამოჰქონდა, წისქვილში საფქვავი ვერ მიჰქონდა და ცხენზე ვერ ჯდებოდა, ცოლს ვერ თხოულობდა, არავინ მიჰყვებოდა ხეიბარს.

ყველაფერ ამ უბედურებას ისიც დაემატა, რომ ყველა მისი ტოლი ჯარში წავიდა და სოფელში მარტო ჯოტია დარჩა ახალგაზრდებიდან.

ისეთი სახიერი იყო, წელს ზევით ისეთი ტანადი, რა დედამ შობაო, იტყოდა ადამიანი და იქვე დაუმატებდა: ცოლევის კითხვა არ არის, ასეთ ვაჟკაცს ფეხი რომ აფუჭებსო.

გულითაც კარგი იყო ჯოტია და სულითაც, მაგრამ ფეხის გამო მაინც [illegible] სოფელში, ვიღაცამ პატარაობისას ჯოტოს ნაცვლად ჯოტია დაუძახა და მას აქეთ სამუდამოდ შერჩა ეს კნინობითი სახელი.

ჯოტიამ ციას ბრიგადის ყანისაკენ გადაუხვია და უფრო სწრაფად გაეშურა. ადრე რამდენიმე შავი ქაღალდი მოუტანა ჭირისუფლებს. ამიტომ მისი გამოჩენა თავისი საფოსტო ჩანთით შიშის ზარს ჰგვრიდა ხალხს.

ჯოტიას ძალიან უჭირდა შავი ქაღალდის მიტანა, ჭირისუფლებზე ნაკლებად როდი განიცდიდა ომში დაღუპული ყოველი ჯარისკაცის ამბავს. ამას ყველა ხედავდა, მაგრამ ზოგმა მაინც შეიძულა, ჭირის დღესავით ეზარებოდათ მისი დანახვა.

ეს რომ შენიშნა ჯოტიამ, იმ დღიდან ერთბაშად გადაწყვიტა, არავისთვის არ მიეტანა შავი ქაღალდი. პარტორგანიზაციის მდივანს, ლონგინოზ ლომჯარიას ეახლა და მტკიცედ განუცხადა — ამიერიდან შავ ბარათს შენთან დავტოვებ, აღარ შემიძლია, დედის, მამის, დაის, ძმისა და შვილის ცოდვის ყურებაო. გარდა ამისა, ასეთი უბედურება მთელმა გამგეობამ უნდა გაიზიაროს და არა ერთმა ჯოტიამო.

ლონგინოზმა უარი რომ უთხრა ბარათის მიღებაზე, ჯოტიამ ჩანთა მოიხსნა და მაგიდაზე დაუდო. პარტორგანიზაციის მდივანი იძულებული გახდა დათანხმებოდა ჯოტიას. მართლა, ერთ კაცს როგორ ეზიდა ასეთი მძიმე ტვირთი. ჯოტია იმაშიაც მართალი იყო, რომ ჯარისკაცის დაღუპვის უბედურება მთელ გამგეობას უნდა გაეზიარებბია.

ახლა ფოსტალიონი მხოლოდ კარგ ბარათებსა და დეპეშებს დაატარებდა კარდაკარ, ყველას ახარებდა მისი გამოჩენა. ჯოტია მოდის, მისი ჭირიმეო, იხუვლებდნენ და შუა გზაზე შეეგებებოდნენ.

კვლებზე მომუშავეებმა დაინახეს თუ არა, რომ ჯოტიამ მათკენ გადაუხვია, სახე გაუნათდათ.

— ბები, იქნებ მამის ბარათია, — უთხრა მაკარმა ოლგა ბაჩილოს.

— იქნებ, შვილო!

— იქნებ, უჩას ბარათია, — გაუელვა ციას ასეთივე ფიქრმა.

— იქნებ ანტონის ბარათია, — გული შეუქანდა ცისანას.

იქნებ მამის, შვილის, დის, ძმის, ქმრის ბარათებიაო, გაიფიქრა ყველამ.

გუდუია ესვანჯიას არც შვილი ჰყავდა ფრონტზე, არც არავინ ნათესავ-ახლობელი, მაგრამ უჩა შამუგია ჰყავდა, ანტონ ბაჩილო ჰყავდა, ბონდო ნოდია ჰყავდა, ვაჟა ჯაფარიძე, კოჩა ყორშია, სპირიდონ გუნია ჰყავდა და გული იმასაც შეუქანდა. თვალს არ აშორებდა ციას, ცისანას, სეროვას, ქარდას, ლომჯარიას, ოლგა ბაჩილოსა და ბავშვებს. დღეს პირველი ოვალური კვლების მოსაწყობად ყველა ისინი აქ ჰყვნენ მოსული და ყველა მოლოდინით შეჰყურებდა ჯოტიას.

— ვისი ბარათებია, ჯოტია? — ვეღარ მოითმინა ციამ და შორიდან დაუძახა, პასუხს არ დაელოდა, გაიქცა მისკენ.

— შენი უჩას ბარათია, ცია, — მოაძახა სახეგაბრწყინებულმა ჯოტიამ და თვითონაც გამოეჩქარა ციასაკენ.

— კიდევ? — სხვებს რომ არ გონებოდათ მარტო უჩას ბარათი აინტერესებსო, დაუძახა ციამ.

— ოლგა ბაჩილოსი, — ჯოტიას ორივე ბარათი ხელში ეჭირა და მაღლა ასწია, რომ ყველას დაენახა.

— ხომ ვთქვი, მამას წერილია-მეთქი, — გაიქცა მაკარიც ჯოტოსაკენ.

ცისანამ თავი ვერ შეიკავა, გამოუდგა ციასა და მაკარს.

ბარათი კი არ გამოართვა, გამოსტაცა ციამ ჯოტიას. იქვე ჩაჯდა. სწრაფად გაშალა სამკუთხად გაკეცილი, ათას გზა გამოვლილი რვეულის ფურცელი. მიირბინა ციასთან ცისანამ, უჩას ბარათში ანტონის ამბავიც ეწერებაო.

— ანტონიც აწერს ხელს, ცისანა, — ახარა მეგობარს ციამ.

ცისანა გვერდით მიუჯდა ციას. ორივემ ერთად დაიწყეს ბარათის კითხვა, მაგრამ მღელვარებისაგან ორივეს აუჭრელდათ თვალი. ასოები ერთმანეთში აერიათ, დაყირავდა და ამოყირავდა, გაიღლაბნა და აიწეწა.

— ცოცხლებია, — რომ ვერ წაიკითხა, წამოიძახა ციამ. ბარათი მკერდზე მიიკრა. მერე ტუჩთან მიიტანა და აკოცა, აკოცნინა ცისანასაც.

მოეხვივნენ ერთმანეთს და ატირდნენ. მაგრამ ეს ცრემლი არა ჰგავდა იმ ცრემლს, საცდელ სადგურის საერთო საცხოვრებლის ოთახში, ლოგინზე წამომჯდრები რომ აფრქვევდნენ იმ შორეულ მთვარიან ღამეს, ომის მოახლოების შიშით.

ეს სიხარულის ცრემლი იყო. უხაროდათ, რომ ასეთი სისხლისმღვრელი ბრძოლებისას უჩამ და ანტონმა მოიცალეს ბარათის დასაწერად, რომ ახსოვთ ცია და ცისანა, რომ სიცოცხლე გრძელდება, სიყვარული გრძელდება და ყოველთვის იქნება იგი მიწაზე, რომ სადაც სიცოცხლეა, სიყვარულია, იქ რწმენაა, რწმენა სიცოცხლის უკვდავებისა, სიყვარულის უკვდავებისა.

იმდენად იყვნენ აღელვებული და გახარებული, ვერ წაიკითხეს ბარათი. ისევ ატირდნენ. სტიროდნენ, ხარობდნენ. ყველაფერი თქვა ბარათმა. წაუკითხავად თქვა — ცოცხლები არიან უჩა და ანტონი.

როდის-როდის დამშვიდნენ. დაიოკეს მღელვარება. ბოლო სტრიქონს დახედა, რომ გაეგო რით მთავრდებოდა წერილი. ვიდრე სული გვიდგას, არ გავუშვებთ, ეწერა ბოლოს ის სიტყვები, გენერალ შვერტმეიერის სატანკო იერიშისას რომ უთხრა ანტონს უჩამ.

ციასა და ცისანასათვის ეს სიტყვები იმას ნიშნავდა, რომ ადამიანები ერთად იღწვიან, ერთად იბრძვიან, ერთმანეთზე ფიქრობენ, ერთმანეთზე ზრუნავენ, ერთმანეთი უყვართ.

ვიდრე ცია და ცისანა ტირილითა და სიხარულით გულს მოიოხებდნენ, მაკარმა ბარათი გზაშივე გაშალა და კვალში შესვლისთანავე ყველას გასაგონად ხმამაღლა წაუკითხა ბებიას.

ნატაშას და მაკარის მამა, კაზიმირ

ბაჩილო მოსკოვის მისადგომებთან იბრძოდა. ისიც ისევე დარწმუნებით იწერებოდა, როგორც უჩა და ანტონი, ვიდრე სული გვიდგას, მოსკოვისაკენ მტერს არ გავუშვებთო და დედას სთხოვდა, თუ რამე იცი ძმების, ანტონისა და არკადისა, მომწერეო. ბოლოს ნატაშასა და მაკარს თხოვდა, ბებიას მოუარეთ, ხომ იცით, გულით ავადმყოფიაო.

ოლგა ბაჩილომ დიდი ხანია არაფერი იცოდა ანტონისა და არკადისა. კაზიმირის ბარათმა კი არ გაახარა, დაალონა. ანტონისა და უჩა შამუგიას ბარათი მოუვიდათ ციასა და ცისანას. არკადი? რატომ არ მოდის მისი წერილი? შეშფოთდა დედის ავადმყოფი გული.

უჩასა და ანტონის ბარათმა, ციასა და ცისანას შემდეგ, ყველაზე მეტად გუდუია ესვანჯია გაახარა, მაგრამ ეს არავის შეამჩნევია. ბევრნი იდგნენ კვალში ისეთები, ვისაც ბარათი არ მოსდიოდათ. განსაკუთრებით გალინა არკადიევნასთვის არ უნდოდა დაენახვებია თავისი სიხარული — ვაჟას ბარათი ისევ არ ჩანდა.

აპრილის ერთ მზიან დღეს ოლგა ბაჩილო ლოგინიდან ვერ ადგა. შემამცივნაო, უთხრა ციას. სიცივემ ისე ააგდო, ძლივს იმაგრებდა თავს, რომ ტახტიდან არ გადმოვარდნილიყო. ეს მაღალი, ტანსრული ქალი ისედაც ვერ ეტეოდა ვიწრო ლოგინზე. ტკივილისაგან თავი უსკდებოდა, წელში ტეხავდა.

ცია მაშინვე მიხვდა, დეიდა ოლგას კი არ შეამცივნა, გააცივა. ბევრი უნახავს ციებით შეპყრობილი, მაგრამ სიცივისაგან ამ ზომამდე აკანკალებულს პირველად ხედავდა. იცოდა, აქ, მშენებლობაზე ჩამოსული რუსები, უკრაინელები და ბელორუსები კოლხურ ციებას ვერ იტანდნენ. იმის მოლოდინით, რომ ასეთ ძლიერ შეციებას დიდი სიცხე მოჰყვებოდა, შეშინდა. დეიდა ოლგას თავისი და ცისანას საბნები დააფარა. მე ქინაქინის საშოვნად წავალ, შენ კი მანამდე ბავშვები ასაუზმეო, დაუბარა ცისანას და სირბილით გაეშურა ამბულატორიაში, მაგრამ გზაში გაახსენდა, რომ დღეს კვირა დღე იყო. ამბულატორია დაკეტილი იქნებოდა. ვასო ბრეგვაძეს ექნებაო, გაიფიქრა და ის იყო უკან უნდა გამობრუნებულიყო, რომ მოაგონდა, ბრეგვაძე ფოთში იყო წასული. ლონგინოზთან მივალ, არ შეიძლება არ ჰქონდეს.

საბნებმა არ უშველა ოლგა ბაჩილოს. კიდევ უფრო ააგდო კანკალ-ძაგძაგმა.

—ეს რა უბედურებაა ჩემს თავზე, შვილებო, — უთხრა კბილების კაწკაწით ნატაშასა და მაკარს.

ნატაშა ატირდა. მაკარი შუბლშეკრული უყურებდა შიშჩამდგარი თვალებით: ბებია ვერ აიტანს მაღალ სიცხეს, რა ეშველება, ბებიას.

— მალარია ჩვენშიაც არის, მაგრამ ასე შეციებული ადამიანი არ მინახავს, — კვნესოდა ოლგა ბაჩილო.

— კოლხური ციება სხვაა, დეიდა ოლგა, — ამშვიდებდა ცისანა, — ალბათ, თქვენებურს არა ჰგავს. ცია ქინაქინას მოგიტანთ და სამ დღეში მორჩებით.

ცია მალე დაბრუნდა. ქინაქინის ფხვნილი და ამპულები მოიტანა. ექთანი ახლავე მოვაო, — უთხრა დეიდა ოლგას. ეს ამპულები თვითონ თავმჯდომარემ მომცა, საღამოს გინახულებთ ტარიელ ქარდაო.

ავადმყოფს ისეთი მაღალი სიცხე მისცა, ვერ გაიგო, რას ეუბნებოდა ცია.

ცისანამ მაშინვე იგრძნო ეს, წარამარა უსველებდა პირსახოცს, წურავდა, ფერთხავდა, ოთხად კეცავდა და შუბლზე აფენდა. ოლგა ბაჩილომ მალე ბოდვა დაიწყო. ვილაცებს ელაპარაკებოდა, უძახოდა, თხოვდა.

ნატაშა და მაკარი ლოგინზე ჩამომსხდრები უყურებდნენ ბებიას და ცრემლს ძლივს იკავებდნენ. ნატაშამ წელან მიატოვა ტირილი. თავი შეიმაგრა, ახლა კვლავ თვალებზე ადგა ცრემლი.

— ვის ელაპარაკება, დეიდა ოლგა? — ჰკითხა ცისანამ ბავშვებს.

— დედასა და მამას,—უთხრა ნატაშამ. არ გაუმხილია, რას ელაპარაკებო-

და ბებია მის დედ-მამას, ვკვდები მე უბედური, მაკარსა და ნატაშას სხვის ხელში ვტოვებო, ეუბნებოდა ოლგა ბაჩილო შვილსა და რძალს, მაგრამ არ იდარდოთ, ისინი არაფერს გაუჭირვებენ თქვენს შვილებსო.

მოვიდა ექთანი ნემსის გასაკეთებლად. ნემსის მოხარშვა ვერ მოასწრო, ისე უცებ ამოხდა ოლგა ბაჩილოს სული. მანკიანმა გულმა მართლა ვერ აიტანა მაღალი სიცხე.

არავინ ელოდა მის ასეთ უცაბედ სიკვდილს. კოლმეურნეობა ისე შეაწუხა ამ ქალის მოულოდნელმა გარდაცვალებამ, როგორც თანასოფლელის, ახლობელი ადამიანის დაკარგვა შეაწუხებდათ.

ოლგა ბაჩილოს დასაფლავებაზე მთელი კოლმეურნეობა მოვიდა.

ბებიას სიკვდილმა ისე გააოგნა ნატაშა და მაკარი, ისე შეუკრა ჯავრმა კრიჭა და გონება, ვერც ტიროდნენ, ვერც ხმას იღებდნენ, ვერც ჭამდნენ და სვამდნენ...

ცია და ცისანა ბავშვების ცოდვით იწვოდნენ. რა ექნათ არ იცოდნენ, რაც უფრო მეტს ამშვიდებდნენ, ბავშვები უფრო მეტს წუხდნენ.

ერთხელ ვახშმისას მაკარი სულ არ გაეკარა საჭმელს.

— სანამდე აპირებ შიმშილს? — ჰკითხა ციამ.

— რა ვქნა, დეიდა ცია, პირში არ ჩამდის ლუკმა, — უპასუხა თავაულებლად მაკარმა.

— ისევ ხომ არ აგტკივდა მხარი?

მას მერე, რაც დაბომბვაში მოხვდა და დაიჭრა, მხრის ტკივილი ხშირად ახსენებდა თავს მაკარს. ახლაც ტკიოდა, ახლა ყველაფერი ტკიოდა, მთელი სხეული ტკიოდა, მაგრამ არ გაუმხილა ციას.

— აბა რაშია საქმე, რატომ არ ჩაგდის პირში ლუკმა?! — ჰკითხა ახლა ცისანამ, თანაგრძნობითა და წუხილით შეხედა.

— მე ვიცი, დეიდა ცისანა, რატომ არ ჭამს მაკარი, — თავი ასწია ნატაშამ.

— რატომ?

— მაკარმა მითხრა, სანამდე ვიყოთ სხვისი ლუკმის შემყურეო.

— სხვისი ლუკმისაო?! — გაოცდა ცისანა. — რას ამბობ, ნატაშა?! — მაკარს მიუბრუნდა: — რატომაა სხვისი ლუკმა, მაკარ?!

მაკარმა თავი კიდევ უფრო ჩაღუნა.

— იმიტომაო, — უთხრა ნატაშამ ცისანას, — რომ ჩვენი შრომით არ არისო მოპოვებული.

— ჯერ თქვენ პატარები ხართ, მაკარ, — დაიწყო ციამ.

მაკარმა თავი ასწია:

— რატომ ვართ პატარები?! — წარბები შეეკრა უკმაყოფილოდ. — მამას ყოველთვის დავყავდი ყანაში. მამა ტრაქტორისტი იყო.

— შრომისათვის არა ხართ პატარებიო, გვეუბნებოდა მამა, — მხარი აუბა ძმას ნატაშამ, — ადამიანმა შრომა ფეხის ადგმის დღიდან უნდა დაიწყოსო. მაკარს ზოგჯერ ტრაქტორზე სვამდა და ახნევინებდა. მართალს ამბობდა მამა, არა ვართ შრომისთვის პატარები.

— ახლა, დეიდა ცია, პატარები რა სათქმელია, — სერიოზული ხმით უთხრა ციას მაკარმა. — დღეს ყველამ უნდა იმუშაოს, დიდმაც და პატარამაც.

— მართალი ხარ, მაკარ. დღეს ყველამ უნდა იმუშაოს, — მოუწონა მაკარს ნათქვამი ცისანამ, — თქვენ ხომ მუშაობთ.

— ვმუშაობთ. მაგრამ კოლმეურნეობის წევრები არა ვართ, ბებოს ვეხმარებოდით, შრომადღე არ გვეწერებოდა.

— ის შრომადღეები დეიდა ოლგას ეწერებოდა, — უთხრა ციამ.

— ჩვენ არ გვეწერებოდა, — თქვა ნატაშამ.

— კარგით, ბავშვებო. ხვალ, თავმჯდომარეს მოველაპარაკები!

— რა საჭიროა თავმჯდომარესთან მოლაპარაკება, — სიტყვა შეუბრუნა მაკარმა. — თქვენ ხომ ბრიგადირი ხართ, თვითონ უნდა გადაწყვიტოთ. მე და ნატაშა თითო შრომადღეს მაინც გამოვიმუშავებთ, თუ მეტს არა!

— მე თვითონ გადავწყვიტე, მაკარ,

მაგრამ კოლმეურნეობის წევრად მიღება თავმჯდომარისა და გამგეობის საქმეა. რაც შეეხება შრომადღეს, დარწმუნებული ვარ, თქვენ თითოს კი არა, მეტსაც გამოიმუშავებთ.

— აბა, რატომ არ უნდა მიგვიღონ კოლმეურნეობის წევრებად?!

— ვინა თქვა, არ მიგიღებენო?!

— უნდა მიგვიღონ, — უთხრა ციას ნატაშამ.

— აი, ოღონდ ბინის საქმე რანაირად მოვაგვაროთ, არ ვიცით, — ჩამოართვა დას სიტყვა მაკარმა.

— რა ბინის საქმე, მაკარ? — გაკვირვებისაგან წარბი აეწია ცისანას.

— სად ვიცხოვროთ მე და ნატაშამ, დეიდა ცისანა?

— როგორ თუ სად?!

— ჰო, სად?

— ჩვენთან არ გინდათ ცხოვრება?!

— კი გვინდა, მაგრამ...

— რა მაგრამ?!

— ბები რომ აღარა გვყავს, ახლა ჩვენ თქვენთვის გარეშენი ვართ, — უთხრა მაკარმა.

— რას ამბობ, მაკარ, რატომ ხართ ჩვენთვის გარეშენი?

— პირიქით, ახლა უფრო ახლობელები ხართ ჩვენთვის, მაკარ, — დაანუგეშა ბიჭი ციამ.

— მაინც გარეშენი ვართ, — თავი გაიქნია მაკარმა. — თქვენ კეთილი გული გაქვთ, იმიტომ ამბობთ ასე.

— არა, მაკარ. ნამდვილად არა ხართ ჩვენთვის გარეშენი, — თანაგრძნობით უთხრა ციამ. გულისტკივილით შეჰყურებდა ბავშვების გაფითრებულ სახეს, მათ სევდიან თვალებს. — ჩვენ ერთმანეთისათვის მითუმეტეს არ უნდა ვიყოთ გარეშენი, დეიდა ოლგას სიკვდილის შემდეგ. გარდა ამისა, ახლა ისეთი დროა, ყველა ერთ ბედქვეშა ვართ, ერთ საქმეს ვაკეთებთ... გამიგე?

— გაგიგეთ, დეიდა ცია, მაგრამ დედის შემდეგ ჩვენთვის, ბებია ოლგაზე უფრო ახლობელი არავინაა.

— ეს ასე იქნება, მაკარ! ჩვენც პატარები რომ ვიყავით, დედის შემდეგ ჩვენთვის ბებიაზე უფრო ახლობელი არავინ იყო. თქვენთვის მე და ცია ყველაფერს გავაკეთებთ, ვიდრე მამა ჩამოგივათ. ერთად ვიმუშაოთ, ერთად ვიცხოვროთ, ერთმანეთს მოვეხმაროთ. ჩვენც ჩამოგვივა ომიდან უჩა და ანტონი, თქვენ ხომ ჩემთვის ანტონის ძმიშვილები ხართ.

— გმადლობთ, დეიდა ცისანა!

თავმჯდომარის კაბინეტში ვასო ბრეგვაძე და ისიდორე სიორდია ისხდნენ. ისიდორეს სული მოეთქვა, ფერზე მოსულიყო, ხორციც მოეკიდა, მაგრამ ისევ ისე შეწუხებული იყო. ციხიდან გამოსვლის შემდეგ თავმჯდომარის, ტარიელ ქარდასა და ვასო ბრეგვაძის რეკომენდაციით კოლმეურნეობის გამგეობამ, ხმის მცირე უმრავლესობით, მიიღო წევრად.

ბრიგადებმა კი უარი უთხრეს ბრიგადაში ჩარიცხვაზე. ახლოს არ გაიკარეს, დაპატიმრებამდე არ უყვარდა არავის და დაპატიმრების შემდეგ მთლად შეიძულეს.

სოფლელებმაც გაიგეს ოქროს მოპარვის ამბავი. მშენებლობაზე ხომ იცოდნენ და იცოდნენ.

ტარიელ ქარდასა და ვასო ბრეგვაძეს რა ექნათ არ იცოდნენ. ძალით ვერ დაავალებდნენ ბრიგადებს ისიდორეს მიღებას და ნებით არავინ ღებულობდა. ყველასაგან გარიყულმა, ცოლ-შვილთანაც ვერ გაბედა მისვლა. რა პირით მისულიყო; იფიქრა, ცოლმა რომ შემიშვას შინ, შვილები შემაქცევენ ზურგსო და გუდუიას აფარებდა თავს. მის პურს ჭამდა და შხამად ჩასდიოდა პირში. სანამდე უნდა ყოფილიყო გუდუიას შემყურე.

— თუ ცია ცანას ბრიგადამაც არ მიიღო, რა ვქნათ მაშინ? — ჰკითხა ტარიელმა ბრეგვაძეს.

— იქნებ ფოთში, ქარხანაში მოვაწყოთ, ან ფაბრიკაში.

— ქარხნები და ფაბრიკები სამხედრო საჭურველზე მუშაობენ, — უპასუხა ტარიელმა. — პირად საქმეს რომ ნახა-

ვენ, უარს ეტყვიან, ან ჩვენ როგორ შევთავაზოთ ასეთი კაცი!

— მართალი ხარ.

ამ საუბრში რომ იყვნენ, კარი გაიღო და ცია შემოვიდა. ეტყობოდა, პირდაპირ ბრიგადის ნაკვეთიდან მოდიოდა. სამუშაო კაბა ეცვა, ხელები თიხით ჰქონდა შესვრილი.

— შეიძლება?

— მობრძანდი, ცია, — უთხრა ტარიელმა და გრძელ მაგიდასთან მდგარ სკამზე მიუთითა: — სამუშაოს მოგაცდინე.

— ჩემს საქმეს ამით არ ევნება, — უპასუხა ციამ და დაჯდა.

— ისიდორეს ხომ იცნობ?

— ვიცნობ.

— მისი ამბავი გეცოდინება.

— ვიცი.

ცია სიორდიასაკენ არ იხედებოდა, არც მისალმებია. ეს ცუდად ენიშნა ტარიელს.

— უნდა დავეხმაროთ, ისიდორეს, — ტარიელის ხმაში უფრო თხოვნის კილო ისმოდა, ვიდრე მითითების.

— ჩემს ბრიგადაში ავიყვან, — თქვა ყველასათვის მოულოდნელად ციამ. — დეიდა ოლგას მაგივრად ჯერ არავინ აგვირჩევია მერგოლეურად. თქვენ თუ თანახმა იქნებით, ისიდორეს კანდიდატურას წამოვაყენებ ბრიგადაში.

ტარიელ ქარდამ და ვასო ბრეგვაძემ ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს.

სიორდია ყურს არ უჯერებდა. გაქვავებულივით იჯდა.

— შენ ალბათ, ისიც იცი, სხვა ბრიგადებმა უარი რომ უთხრეს ისიდორეს.

— არ უნდა ეთქვათ უარი.

ვასო ბრეგვაძე მოწონებით შეჰყურებდა ციას.

— შენმა ბრიგადის წევრებმა რომ არ ინდომონ? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

—აირჩევენ, — თქვა უყოყმანოდ, დარწმუნებით ციამ. — ჩვენ გვქონდა ბრიგადაში ისიდორეზე საუბარი. კაცი შრომით ცდილობს დანაშაულის გამოსწორებას, ხელი არ უნდა ვკრათ.

სიორდიას ქუთუთოები სულმთლად აეხილა. თავს ძლივს იკავებდა, რომ არ წამოვარდნილიყო და არ გადახვეოდა ციას.

— მადლობელი ვარ, ცია, — უთხრა ვასო ბრეგვაძემ. სათვალე მოიხსნა, სული შეუბერა და გამალებით დაუწყო წმენდა. — კარგად თქვი. კაცმა კაცს გასაჭირის ჟამს ხელი არ უნდა ჰკრას. შეცდომა ვის არ მოუვა. კაცი კაცის წამალია, ცია, — უთხრა და სათვალე გაიკეთა.

— მართალს ბრძანებთ, ბატონო ვასო. კაცი კაცითაო!

ვასო ბრეგვაძესა და გუდუია ესვანჯიას რომ არ შეევრდომებიათ ისიდორე, ვინ იცის რა ბედი ეწეოდა, რას აიტეხდა თავის თავის ამარად დარჩენილი კაცი. ვასო ბრეგვაძისა და გუდუია ესვანჯიას გულისხმამ ჩააფიქრა ცია და გადააწყვეტინა ისიდორეს თავის ბრიგადაში მიღება.

ისიდორეს მღელვარებისაგან სული ყელში მოადგა.

— პატენ ვასო და ტარელ, — დაიწყო ენის ბორძიკით და ხმა აუკანკალდა, — ერთხელ მე უჩას ვუთხარ—ძლაბ და ქალ ეშმაკსააო.

— რატომ უთხარი, ისიდორე? — გაეცინა ტარიელს.

— მტეომ, რომ არ ვცნობდ, ცაას... მტომ, რომ ჩემ სულ ეშმაკს ჰქონდა ალბათ. ახლა ვხედავ, რა ორქო ძლაბ ყოფლა ცაა, მაგრამ გვანაა... ფუ, ორქ ხსენება არ მდოდა მე. ორქომ დამღუპა... — პირი გაუშრა, ენა ველარ მოაბრუნა. გაჩუმდა.

— ცოდვის მონანიება გვიან არასოდეს არ არის, ისიდორე, — უთხრა ვასო ბრეგვაძემ.

— ბევრ ცოდვაშ მაქვს ფეხ ჩადგმულ, პატენ ვასო,—დუმილის შემდეგ ძლივს ამოიღო ხმა ისიდორემ. სიმწრის ოფლი მოიწმინდა. — ღმერთ არ მაპატიებს ამდენ ცოდვას. არც ღმერთ მწამს მე, არც ქრისტე, მაგრამ სტყვამ მოტანდა წამომცდა, — გაახსენდა მაშინ ჩეკისტმა რომ არ მოუწონა ღმერთის ხსენება.

— ადამიანს, ისიდორე, რაც პირზე მოადგება, ყველაფერი არ უნდა წამოცდეს, — უთხრა ტარიელმა. — ყველაფერი, რაც თავში მოუვა არ უნდა გაავკეთოს და მაშინ ცოდვაში ფეხს არ ჩადგამს. არ შეცდება.

— თქვენ ბრძნულად ბრძანეთ, პატენ ტარელ, — ისიდორე ოფლში ცურავდა. სველი, მარილიანი ოფლით გაჟღენთილი პერანგი ტანზე ეკვროდა, ისე მწარედ კბენდა, თითქოს შიშველი იყო და კოღოები ესეოდნენ. — ენა უნდა ჩამჭრას კაცმა.

— ხომ იცი, ცის ბრიგადა მოწინავეა, — უთხრა ვასო ბრეგვაძემ, — სირცხვილი არ აჭამო.

—სრცხვილთ ყელამდე ვარ ავსებულ, პატენ ვასო... მეყოფა... თუ კდე შევცდ, ტყვას დავრტყამ გულზე, — ისე გულწრფელად უთხრა ისიდორემ ძველ ინქინერს, რომ ყველამ დაიჯერა, ეს კაცი აღარასოდეს შეცდებოდა.

გალინა არკადიევნა სეროჟა „ოქროს საწმისში“ აგრონომად მუშაობდა. განათლებით აგრონომი არ იყო, მაგრამ სოფლის მეურნეობის საქმე ჩინებულად იცოდა. ბავშვობა სოფელში გაატარა. ყანაში და ბოსტანში ბევრჯერ ამოდგომია მხარში ბებიასა და ბაბუას.

ოდიშში სიმინდს ლაიტს ეძახიან. სეროჟამ ოდიშურ ლაიტს სიმინდის მეფე დაარქვა. აქ, სადაც კარგი მიწაა და კარგად უვლიან, თითო ძირი ლაიტი ორი წყრთის სიგრძე სამ-ოთხ ტაროს იკეთებს. სეროჟამ მოვლაც იცოდა სიმინდის და გემოც. ამიტომ არ გაკვირვებია, როცა ციამ და ცისანამ გეგმით ნავარაუდევი ოცი ცენტნერი სიმინდის ნაცვლად ოცდაათი ცენტნერის მოწევა ივალდებულეს.

გალინა არკადიევნას ფიქრით, თუ დეიდა ბაჩილოს ოვალური კვლები გაამართლებდა, ოცდაათი ცენტნერი კი არა, ორჯერ მეტ სიმინდს მისცემდათ მიწა.

ერთი რამ უდავო იყო მისთვის — ოვალურ კვლებზე, წყალი არ დადგებოდა, მიწა არ დაჭაობდებოდა. მაგრამ იმაში კი არ იყო დარწმუნებული, არ სჯეროდა, რომ სფერულ კვლებზე წყალი ფეხს მოიკიდებდა. — „არც ისე შორსაა ამ კვლებზე ერთმანეთისაგან მცირე არხები დაშორებული. რატომ უნდა დადგეს კვლებზე წყალი?! ნუთუ გრუნტი ასე გაუვალია? იგი ხომ ყველგან ერთნაირი არ არის. რატომ უნდა დადგეს კვლებზე წყალი?! დაჭაობდეს მიწა?! რა კარგი ქნა ტარიელ გრიგორევიჩმა, რომ ცის ბრიგადის ნაკვეთზე მოგვაწყობინა ოვალური კვლები. ახლა ორნაირი კვლები გაქვს, ვნახოთ, რომელი მოუდგება ჩვენს მიწას“.

ამ ფიქრში იყო ცის ბრიგადაში მიმავალი გალინა არკადიევნა, რომ მოსახვევიდან ფოსტალიონი ჯოტია ჯოჯუა გამოვიდა. სწრაფად მოდიოდა. დაინახა თუ არა სეროჟა, ჩანთაში ჩაყო ხელი, ბარათი ამოაფრიალა და სეროჟასაკენ გაიქცა. გარბოდა და ბარათებითა და გაზეთებით სავსე ჩანთა თეძოზე სცემდა ჩაბუქნისას.

— ვაჟას ბარათია, გალინა!.. ვაჟას ბარათია, გალინა!.. მომილოცავს! — ჭიხვინებდა ჯოტია და იმ მოკლე ფეხით მოწას ბუღს ადენდა.

—ჯოტია, ძვირფასო, — მიეგება გალინა არკადიევნა. წერილი გამოსტაცა. ვაჟა წერდა, რომ იგი, სათანადო მომზადების შემდეგ, სხვა მეთაურებთან ერთად, მტრის ზურგში უნდა გადახხან, პარტიზანული რაზმების შესაქმნელად. იწერებოდა, გამართლდა თუ არა შენი წინათგრძნობა, ბიჭი შეგვეძინა თუ არა, და ანდრო თუ დაარქვით.

— დავარქვი, დავარქვი, — წამოიძახა სეროჟამ, შეხტა და შეტრიალდა, მკლავები გაშალა, ჯოტიას მოეხვია, ორივე ლოყაზე აკოცა: — ბიჭია, დავარქვი, დავარქვი, ჯოტია!

— ვინაა ბიჭი, ვის დაარქვი, რა დაარქვი?! — ეკითხებოდა გაოგნებული ჯოტია.

— ჩემს შვილს, ჩემს ბიჭს, ჯოტია, — ისევ მოეხვია და ისევ აკოცა სეროჟამ ჯოტიას.

გალინა არკადიევნა ცის ბრიგადაში

აღარ წავიდა, ყორათ-ფოთის გზისაკენ გაეშურა.

ჯოტია მოკლე ფეხისაკენ გადახრილი იდგა, ღიმილით გასცქეროდა სეროვას. დიდი ხანია სხვისი სიხარული მის სიხარულად იქცა. ფრონტიდან მოსულ ყოველ კარგ ბარათს ისე ლებულობდა, თითქოს მას წერდნენ, თითქოს ისინი მისი ნათესავები იყვნენ, ღვიძლი მამა, ძმა, და, ბიძები იყვნენ.

სეროვას იმედი ჰქონდა, ფოთისაკენ მიმავალ სატვირთო მანქანას, ან ეტლს გაჰყვებოდა, რომ რუსუდანისა და პეტრესათვის ეხარებინა ვაჟას ბარათის მიღება. დიდხანს იდგა გზისპირზე, მაგრამ ამაოდ. ბოლოს მოთმინება არ ეყო. ვინ იცის, რამდენჯერ გადაიკითხა ბარათი. ის იყო, გადაწყვიტა, ფეხით გადგომოდა გზას, რომ ფოთიდან ცხენით მომავალი ისიდორე სიორდია დაინახა, ისიდორეს ხურჯინით თოხები მოჰქონდა ბრიგადისათვის პატარა ფოთის სამჭედლოდან.

გალინა არკადიევნა ადგილიდან მოწყდა და სიორდიასაკენ გაიქცა. უნდოდა ვინმესთვის გაეზიარებინა თავისი სიხარული, გულში რომ ვერ იტევდა, მაგრამ უცებ ვაჟასა და ისიდორეს დამოკიდებულება გაახსენდა. გაახსენდა ის ღამე, „კოლხიდმშენის“ სამმართველოს წინ გუბეში დაცემული სიორდია და მის თავთან მდგარი გაალმასებული და აღშფოთებული ვაჟა რომ დაინახა, გაახსენდა, ვაჟამ რომ დააჭერინა იგი. ასეთ კაცს არ გაეხარდება, ვაჟას ბარათის მოსვლა. უნდოდა, შემდგარიყო, მაგრამ სიორდია თვითონ მოეგება.

— რაცხა ნამეტან გახარებულ ხართ. ვაჟას ბარათ ხომ არ მღეთ? — მოაძახა სიორდიამ და ცხენიდან გადმოხტა.

— მივიღე, ისიდორე. კარგადაა ვაჟა!

— მომილოცავს, ოსურპატენ, — პირველად მიმართა სიორდიამ გალინა არკადიევნას ქალბატონობით, იმდენად გაეხარდა ვაჟას ბარათის მოსვლა და მისი კარგად ყოფნა. მაგრად ჩამოართვა ხელი.

სეროვამ შეატყო, რომ გულწრფელად გაეხარდა სიორდიას ვაჟას ბარათის მოსვლა. მადლიერებით შეხედა. არაფრით არ ელოდა, თუ ასე გაეხარდებოდა ვაჟას ამბავი.

— მე კი რა არ ვიფიქრე, ისიდორე, ბარათი რომ არ მოდიოდა.

— ღმერთმა დაგვფაროთ ვაჟაზე ცუდ ფიქრ, — უთხრა სიორდიამ. — აქეთ სათ ბრძანდებთ?

— ფოთში მივდივარ. რუსუდანსა და პეტრეს უნდა ვახარო. ისინი ჯავრით აღარ არიან.

— ღმერთმა აშოროთ ჯავრ, ვაჟაზე... ღმერთ არ მწამს მე, მაგრამ სტყვაზე ვთქვ. — რთ მდხართ ფოთშ?

— ფეხით. ამდენი ხანია ვუცდი და ერთმა მანქანამ არ გამოიარა.

— ფეხთ როდს ჩახვალთ ფოთშ. ან რა გატარებთ ამ სგრძე გზაზე. ა, ჩემ ცხენ.

— ცხენი? თქვენ?!

— მე ფეხთ წავალ.

— ხურჯინი?!

— ხურჯნს მხარზე გადავკდებ.

— ამ სიმძიმეს. მგონი თოხები მოგაქვთ.

— თოხებ გახლავს, მაგრამ სმძმე არ მომკლავს მე, — ისიდორემ სწრაფად ჩამოხსნა უნაგირიდან ხურჯინი. მერე აბჟანდი დაუწია და გალინა არკადიევნა მარდად მოევლო უნაგირს.

— გმადლობთ, ისიდორე, — მოაძახა სიორდიას და გაქუსლა.

— ღმერთმა გზა დაგლოცოს, — შეშინდა ისიდორე, ასე უცებ რომ მოსხლიტა ცხენი ადგილიდან სეროვამ. — ტფუ, ღმერთ არ მწამს მე, მაგრამ სხრულ რას ათქმევნებს კაცს. ხოხო, რავა მფრენს. მომკლავს საწყალ ჰაკს.

დეიდა ოლგასა და ბავშვების შემოსახლების შემდეგ, ბარაკის პატარა ოთახში საწოლები ძლივს ვანალაგეს. ციამ და ცისანამ თავისები მარჯვენა კედელთან ერთმანეთს მიადგეს. ცias საწოლი კედელთან იდგა და დაწოლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სას და ადგომისას, ცისანას საწოლზე უნდა გადაღოღლებულიყო.

ბავშვებს მარცხენა კედელთან ედგათ საწოლები. ნატაშაც დაწოლისას და ადგომისას მაკარის საწოლზე უნდა გადაღოღლებულიყო. დეიდა ბაჩილო საწოლებს შუა იატაკზე იშლიდა ლოგინს და ადგილი რომ გაეთავისუფლებიათ, ლოგინის გაშლისას მაგიდას ფანჯრისაკენ მისწევდნენ და სკამებს ზედ შეალაგებდნენ.

წელს, გაზაფხულზე სიცხე ადრე დაიჭირა. ციასა და ცისანას ფანჯარა დღედალამ ღია ჰქონდათ. ფანჯრის წინ, ჯარში წასვლამდე უჩამ და ანტონმა ევკალიპტის ორი ხე დარგეს, რომ კოღოები არ შეეშვათ ოთახში. ხეები თავის მოვალეობას ჩინებულად ასრულებდნენ.

შუაღამე გადასული იყო.

ციასა და ცისანას არ ეძინათ. იწვნენ. სიმღერას უგდებდნენ ყურს.

ვიღაცა გარმონზე უკრავდა და ომზე მღეროდა. ომით მოტანილ ხალხის ჭირვარამზე, სამშობლოს განსაცდელზე და ომში წასულ ჯარისკაცის სიყვარულზე მღეროდა.

ლტოლვილი რუსი ქალიშვილის ხმა იყო. მღეროდა ნაღვლიანად, გაბმით. ისე გაშლილად, ფართოდ, თითქოს რუსეთის ვრცელ სტეპს აწვდენდა კიდით კიდემდე თავის ხმას.

სიმღერა ნაღვლიანი კი იყო, მაგრამ მის მჟღერად ჰანგში და სიტყვებში რწმენისა და გამარჯვების იმედი ისმოდა. ხალხის რწმენისა და იმის რწმენისაც, რომ შეყვარებული ჯარისკაცი დაბრუნდებოდა, დაუბრუნდებოდა თავის სახლ-კარს, თავის მიჯნურს.

ცია და ცისანა პირაღმა იწვნენ. ხელი თავქვეშ ჰქონდათ ამოდებული და ფიქრში იყვნენ წასულები. თითქოს მათ ფიქრს მღეროდა ქალიშვილი, მათ ჯავრსა და წუხილს, მათ იმედსა და რწმენას.

— ჰიტლერი თურმე ახლა აქეთკენ მოერეკება თავის ჯარს, — დაარღვია დუმილი ციამ, როცა ქალიშვილმა სიმღერა დაამთავრა.

— საით აქეთკენ, ცია?

— კავკასიონისაკენო. ორჯერ მეტი ტანკი და თვითმფრინავი ჰყოლია იმ წყეულს.

— ფოთის ქარხნებისა და ფაბრიკების მუშები ფულს აგროვებენ ტანკებისა და თვითმფრინავების ასაგებად. თითო თვის ხელფასი შეაქვთო, — უთხრა ცისანამ. — დღეს ლონგინოზ ლომჯარიას ჩამოუტანია ეს ამბავი. ხედავ, გოგო, რას აკეთებს ხალხი!

— ეს რა კარგი საქმე დაუწყიათ, ცისანა, — გაეხარდა ციას. ლოგინზე წამოჯდა, ცისანას დახედა: — ჩვენ რას ვუცადოთ?

— ჩვენთან შრომადღეზე ჯერ არაფერი დაურიგებიათ და რას შეიტანენ.

— როგორ რას?! — გაიკვირვა ციამ. — ამოწყვეტილები ხომ არა ვართ, — დაფიქრდა და მერე განაგრძო: — იცი, რას გეტყვი, ცისანა. უჩას ეწყინება თვარა, ჩემს მზითევს შევიტანდი ტანკის ასაგებად.

— ეს რა კარგი აზრი მოგივიდა, — წამოჯდა ცისანაც. — უჩას რატომ ეწყინება, გოგო. ტანკი ყველაფერზე კარგი იქნება მისთვის. მეც მაქვს მზითევი და არც ისე ურიგო.

დილით ცია და ცისანა ბრიგადებში წასვლამდე, თავმჯდომარესთან გაიქცნენ. ტარიელ ქარდასა და ლონგინოზ ლომჯარიას ამ საკითხზე საერთო კრების მოწვევა გადაეწყვიტათ. ქალიშვილების აზრმა კიდევ ერთხელ დაარწმუნათ, რომ კოლმეურნეობა არც ისე ამოწყვეტილი იყო, პატარა, მაგრამ მაინც თავის წვლილს შეიტანდნენ ამ დიდ საქმეში.

კრებაზე პირველი სიტყვა ციამ მოითხოვა.

— ჩემი საქმრო, უჩა შამუგია ტანკსაწინააღმდეგო ბატალიონში იბრძვის. თოფით ებრძვის ტანკებს. რამდენს არ იკითხავთ? — დაიწყო მან ცხარედ, — ჰიტლერის ტანკები ორჯერ მეტიაო ჩვენ ტანკებზე.

— უფრო მეტია, ცია. დაუძახა ხალხიდან ერთ-ერთმა ლტოლვილმა.

— ჰოდა, — განაგრძო ციამ — რა გამოდის?! ალბათ, იმიტომ ვიხევთ უკან, რომ იარაღი არ გვყოფნის. მიწიდან ორჯერ მეტი ტანკებით გვიტევენ, ჰაერიდან ორჯერ მეტი თვითმფრინავით. ჩვენც რომ იმდენი ტანკი და თვითმფრინავი გვქონდეს, რამდენიც ჰიტლერს აქვს, ხომ დავიფრენდით. სად ვიყავით აქამდე?! არ ვიცოდით, რომ იარაღი არ გვყოფნიდა. მის შესაძენად ფული არ გვყოფნიდა. მუშახელი არ გვყოფნიდა? რატომ არ ვიცოდით?! თუმცა ახლა ამას რაღა მნიშვნელობა აქვს. საქმეს უნდა შველა, — შეისვენა, სული მოითქვა და განაგრძო: — მე და ცისანამ გადავწყვიტეთ, ჩვენი მომავალი ოჯახებისათვის, ჩვენი ქმრებისათვის მისატანი მზითევით ნაყიდი ტანკი, ყველაზე კარგი მზითევი იქნება უჩა შამუგიასა და ანტონ ბაჩილოსათვის.

იგრიალა ტაშმა და დიდხანს არ შეწყვეტილა. ყველა აღტაცებით შეხვდა ციას წინადადებას. ზოგი ფეხზე წამოდგა და ისე უკრავდა ტაშს. ზოგი ციასა და ცისანასთან მიდიოდა და კოცნიდა.

— ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე. ვის გაუგია მზითევით ნაყიდი ტანკი, — პირჯვარი გადაისახა ტანმორჩილმა, გამხდარმა რუსის ქალმა, — ან ტანკი რანაირი მზითევი იქნება?!

— ყველაზე ლამაზი მზითევი იქნება, მარია, — გაუწყრა ქალს მის გვერდით მჯდარი მამამთილი.

— დიახ, ყველაზე ლამაზი, ბაბუა, — მოუწონა სიტყვა მოხუცს მის მეორე მხარეს მჯდარმა ნატაშამ.

ციას შემდეგ სიტყვა გუდუია ესვანჯიამ აიღო. სკამიდან წამოდგა. ჩაახველა. იქვე შედგა.

— მე კი რაც ფული მაქვს, მთლიანად შემომაქვს.

— რამდენი შემოგაქვს, გუდუია? — ჰკითხა ლონგინოზ ლომჯარიამ.

— არ ვიცი რამდენია, — უთხრა გუდუიამ. — რაც ტყიდან გამომიყვანეს და მშენებლობაზე დავიწყე მუშაობა, იმ დღიდან მოყოლებული ყველა მიღებული ხელფასი შემომაქვს.

— მერე რით იცხოვრებ, გუდუია? — დაუძახა უკანა რიგიდან ფოსტალიონმა ჯოტია ჯოჯუამ.

— ჩემი ცხოვრების ნახევარზე მეტი ტყეში გავატარე, ჯოტია, — მიბრუნდა ჯოტიასაკენ გუდუია, — ფული რა იყო არ ვიცოდი, მაგრამ შიმშილით არ მოვმკვდარვარ. არც ახლა მოვკვდები, — გუდუია დაჯდა

წამოდგა ისიდორე სიორდია. მაჯის საათი მოიხსნა. უცხოელი მეზღვაურისაგან ნაყიდი, იაპონური საათი იყო, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, ეამაყებოდა, რომ ასეთი საათის პატრონი იყო.

— ა, პატენეფ. მე პანურ საათ შემომაქვს. ოქროს არ არის, მაგრამ სე მუშაობს, როგორც მზე, — მოიხსნა საათი, მაგიდაზე წინ დაუდო პარტორგანიზაციის მდივანს.

წამოდგა თავმჯდომარე, გალინა არკადიევნა, ჯოტია ჯოჯუა. წამოდგნენ ლტოლვილი ქალები, ბერიკაცები. ვისაც რა ებადა, იქვე დებდნენ ლონგინოზ ლომჯარიას წინ.

ზოგი საქორწინო ბეჭედს იხსნიდა თითიდან, ზოგი საყურეს, სამაჯურს, მედალიონს. ნაჩუქარს, ნაყიდს, მოძღვნილს ახლობელი ადამიანებისაგან, ნათესავებისაგან.

არ დარჩენილა არც სოფლებიდან და არც ლტოლვილებიდან ქალი და კაცი, ან ფული, ან რაიმე ნივთი არ შეეტანა ომის ფონდში. ზოგს, ვისაც ფული და ნივთი არა ჰქონდა, ფოთის ბაზარზე ხბო მიჰყავდა, ქათმები მიჰყავდა. მიჰქონდათ ტანსაცმელი, სიმინდი, ლობიო, ქმრების ქამარ-ხანჯალი და ფაფახი. ახლა ბაზარზე ყველაფერს ყიდულობდნენ და ყიდდნენ. გაჩნდა სპეკულანტები. თაღლითები. ერთი კათხა სიმინდი, ერთი ოყა ყველი სისხლის ფასად იყიდებოდა.

გალინა არკადიევნამ თავისი საქორწილო თეთრი კაბა და ის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი გაიტანა სხვა ნივთებთან ერთად ბაზარზე. მერე დიდხანს ტიროდა, იხსენებდა მის სიტყვებს: რა მშვენიერი ხარ, გალინა, ამ თეთრ კაბაში და ფეხსაცმელში. სიზმარში ხედავდა ვაჟას საყვედურით სავსე თვალებს.

ტარიელ ქარდა დიდი ხანი იყო, ღამეს შინ არ ათევდა. დილიდან საღამომდე გზაზე იყო გაბმული. რაიკომიდან ალმასკომამდე, ალმასკომიდან მტს-მდე, იქიდან საწყობამდე, სადაც სათესლე სიმინდს, ლობიოსა და მუხუდოს არჩევდნენ, საწყობიდან მინდვრამდე, მინდვრიდან ფერმამდე და ფერმიდან გამგეობის კანტორამდე.

ყველგან საგაზაფხულო სამუშაოები იყო გაჩაღებული. იმდენი უნდა დაეხნათ და დაეთესათ, იმდენი უნდა მოეწიათ, რამდენსაც ომის დაწყებამდე ხნავდნენ და თესავდნენ, იწევდნენ ფოთის რაიონში. რანაირადო, ეკითხებოდა თავისთავს ყველა. მხნელ-მთესველი ომში იყო წასული.

სხვებზე უფრო ტარიელი შიშობდა. რანაირად დახნავდა და დათესავდა ათას ჰექტარ მიწას?! ჯერ აუთვისებელ, ყამირ მიწას, მისთვის უცნობი ხალხით — ქალებით, ბერიკაცებით, ბავშვებით?! პირველ კოლმეურნეობაში კოლხეთის ამ დამშრალ მიწაზე, კოლმეურნეობის პირველი თავმჯდომარე. გამოუცდელი, სრულიად ხამი ამ საქმეში, ასეთივე გამოუცდელი ლტოლვილებითა და ადგილობრივი ქალებითა და ბავშვებით, მოხუცებით, რომლებსაც თავისი ხნოვანების გამო დიდი ხანია არ აუღიათ თოხი და ბარი ხელში, არ გაჰყოლიან გუთანს, არ უთესიათ, არ უტეხიათ სიმინდი?!

მოსვენებას არ აძლევდა ეს ფიქრი. ამას კიდევ სხვა ფიქრი ემატებოდა: შვილისა და შვილიშვილის დარდი სიცოცხლეს უმწარებდა. რაც ომი დაიწყო, არც შვილისაგან, არც რძლისაგან არ მოდიოდა ბარათი. შვილი ომში იყო. რძალს რაღა მოუვიდაო, მოსკოვის დაბომბვაში ხომ არ მოხვდა და დაიღუპაო; რძალი შვილზე და შვილიშვილზე ნაკლებად არ უყვარდა.

შინ ღამეს იმიტომ არ ათევდა, ვერ იტანდა მეუღლის საცოდაობას. ვერ უძლებდა მის კითხვით მოჩერებულ თვალს — სად არიან შვილები?! რა გვჭირს?! რა უბედურებაა ჩვენს თავზე?!

ოვალური კვლების ექსპერიმენტი აკლდა მის გასაჭირს ამ განკითხვის ჟამს. ესეც ზედმეტად თავსატეხი გაუხდა. შესრულებული სამუშაო ხელახლა გასაკეთებელი შეექმნა.

ოვალური კვლების მოწყობა დასასრულს უახლოვდებოდა. თესვა უნდა დაეწყოთ, მაგრამ გამოირკვა, რომ დიდი დრო მოანდომეს სფერული კვლების მოშლას და თესვისათვის მთლად მომზადებული არ ყოფილან ბრიგადები.

ტარქტორები ცუდად იყო გარემონტებული. აკლდათ სახნისები, ულლები, ხარ-კამეჩი და კიდევ ზოგი რამ წვრილმანი, მაგრამ საჭირო. ბევრ ლტოლვილს ციება დაემართა. სამუშაოდ ვერ გამოვიდოდა.

— ნუ ღელავთ, პატენ ტარელ, ყველაფერს მოვასწრებთ. ზუსტად, წუთწუთზე ჩავეტევთ დროშ, — ამშვიდებდა თავმჯდომარეს სიორდია.

— Тютелька в тютельку, როგორც რუსები იტყვიან ხოლმე, — ისიდორე ფოთის ნავსადგურში იყო გაზრდილი, რუსული კარგად იცოდა. იშვიათად, მაგრამ მაინც გაურევდა ლაპარაკში რუსულ სიტყვას, რომ თავისი აზრი უფრო დაეზუსტებინა, გასაგები გაეხადა. ეს უფრო ციხიდან გამოსვლის შემდეგ დაჩემდა. ციხეში მასთან ერთად სხვადასხვა ეროვნების პატიმრები ისხდნენ. ყველა ისინი რუსულად ლაპარაკობდნენ.

ისიდორეც კი მატყობს, რომ ვღელავ, გაიფიქრა ერთხელ, ბრიგადიდან კანტორაში მიმავალმა ტარიელმა.

ღმერთმა ქნას მართლა წუთით-წუთზე მოვათავოთ თესვა.

ცხენის გუთანს შეჩვეული ლტოლვილები ვერ შეეჩვივნენ ხარ-კამეჩის გუთანს, სახნისი ღრმად ჩადიოდა არხებიდან ამოღებულ მიწაში და თესლი ზომაზე უფრო ღრმად ჩაჰქონდა გადაბრუნებულ მიწას სიღრმეში.

ამის გამო ხშირად ჩერდებოდნენ გუთნისდედები, სახნისს მიწიდან იღებდნენ და ხელახლა აგრძელებდნენ თესვას. ხარ-კამეჩსაც ვერ იმორჩილებდნენ, საქონელს არ ესმოდა უცხო შეძახილები და ხან მარჯვნივ გადადიოდნენ კვალიდან, ხან მარცხნივ, ხან შედგებოდნენ, ან წინ გაიჭრებოდნენ.

ისიდორე ჯარასავით ტრიალებდა თავის რგოლში. ჯერ ერთ გუთნისდედას მიეშველებოდა,—მერე მეორეს. გვერდზე გაჰყვებოდა, ხარ-კამეჩს მეგრულად შეუძახებდა: აშო, ჯაგა, ვიშო, ბუსკა!.. ათაშ, გოლვაფრო!.. ხოხო, მუ მეულ!..

ასეთი შეძახილის შემდეგ ხარ-კამეჩს მართლაც წესიერად და ღონივრად გაჰქონდა გუთანი.

ლტოლვილებმა მალე შეისწავლეს ეს სიტყვები. საქონელმაც გუთნისდედები აღარ იუცხოვა, თავისად ჩათვალა და დაემორჩილა.

ყველაზე მალე მაკარმა ისწავლა ეს სიტყვები. შინ და გარეთ, ყველგან ხმამაღლა იმეორებდა, რომ არ დავიწყებოდა. ძილშიაც იმეორებდა, ალბათ სიზმარში ხედავდა გუთნეულს: აშო, დზაგა, ვიშო, ბუსკა!.. მანგარო მეუკუნი!.. არიქა, ვადოგურა!.. ონჯგორე ვამოდზირა!.. ათაშ გოლუაფირო!.. ხოხო, მუ მეუგუ!..

მაკარი ხნავდა. ნატაშა გუთანს მიუძღოდა, თავის ენაზე გუთნურს მღეროდა. უცნაურად ისმოდა მისი წკრიალა ხმა, სიცოცხლით სავსე ფიცხი ხმა ოდიში ცის ქვეშ. მას ბანს აძლევდნენ სხვადასხვა მხრიდან გუთნისდედები და მეხრეები ქართულად, რუსულად, უკრაინულად და ეს უცნაური. შერეული სიმღერა ხარ-კამეჩსაც ამხნევებდა და ადამიანებსაც.

თესვა თანდათან კალაპოტში დგებოდა. ბრიგადებს გული საგულეში ჰქონდათ. დარწმუნებული იყვნენ, ვადაზე მოათავსებდნენ საქმეს.

ყორათში მზიანი დღე იდგა.

ისლით გადახურულ, განიერ ფაცხის წინ ძველი, დაფახფახებული სატვირთო მანქანა შეჩერდა. კაბინიდან შუატანის, მუცელგადმოგდებული მამაკაცი გადმოხტა, თან მოზრდილი სანოვაგის ჩანთა გამოიტანა, მაგრამ ფაცხაში შემსვლელ-გამომსვლელი მწველავი ქალები და ბერიკაცები რომ დაინახა, ჩანთა უკან შეაგდო კაბინაში. აქ დამიცადეო, უთხრა შოფერს და კარი მიაჯახუნა, იქვე შედგა, მუცლის ქვეშ შეკრულ ქამარში ცერა თითები ჩაიყო და იქაურობას თვალი მოავლო.

ფაცხის წინ, აგვარებში ძროხებსა და კამეჩებს წველავდნენ, სავსე ნიგით მოდიოდნენ ფაცხისაკენ. დაცლიდნენ იქ და ცარიელი ჭურჭლით ბრუნდებოდნენ ფაცხიდან აგვარებში.

ერთი რუსის ქალი მამაკაცის წინ შედგა. თვალი მოიჩრდილა.

— Вам кого? — შეატყო, რომ მამაკაცი აქაური არ იყო.

. მამაკაცს გაუპარსავ სახეზე ყვითელი ფერი გადაჰკრავდა, ლოყები დაბიჟინებული ჰქონდა, ქვედა ქუთუთოები ჩამოლლეტილივით ჩამოწეული. ტუჩების კუთხეებში დუჟი ედგა, ქუდი კეფაზე ჰქონდა მოგდებული. გიმნასტურის საყელო მოღეღილი და ბანჯგვლიანი, ოფლიანი მკერდი მოუჩანდა.

— Завферми, — უთხრა მამაკაცმა. ჯიბიდან პაპიროსის კოლოფი ამოიღო.

არ მოეწონა ქალი. რა მისი საქმეაო, ვინ მინდაო.

არც ქალს მოეწონა. თავიდან-ფეხამდე შეათვალიერა. ჰმ, ჩაილაპარაკა და აგვარებისაკენ გაეშურა. შუა გზაზე მობრუნდა, ისევ მოიჩრდილა თვალი და ისევ ჰმ, ჩაილაპარაკა.

ვინ არის ეს ოხერიო, გაიფიქრა მამაკაცმა. უკან გაბრუნება დააპირა. მაგრამ შერცხვა. ამ ქალს როგორ შევუ-

შინდეო. პაპიროსის კოლოფი უკან ჩაიდო ჯიბეში, ჯიქურ შეაბიჯა ფაცხაში.

იქ ერთ ჯგუფ ქალსა და კაცს ყველი ამოჰყავდა, მეორე წილი სულგუნს ზელავდა, ამრგვალებდა, აბრტყელებდა და მარილწყლით სავსე კასრში ისროდა. მესამე წილი თუნუქის ბიდონში ნიგიდან რძეს წურავდა.

მამაკაცი შევიდა თუ არა, ფერმის გამგემ — ბურდა კვარაცხელიამ ყველის გადაზელვა მიატოვა.

— მობრძანდი, პატონკოჩი, — უთხრა თავაზიანად, მაგრამ. რომ შეხედა, მასაც არ მოეწონა. — გამარჯვება თქვენი, — უთხრა ცივად.

— ბურდა კვარაცხელია თქვენა ხართ? — მედიდურად ჰკითხა მამაკაცმა.

— აბა ამ ფერმაში სხვა ვინ იქნება ბურდა კვარაცხელია. ჩემს მეტი მეჯოგე კვარაცხელიას გვარში აღარავინ დადის ამ ქვეყანაზე. მე გახლავარ თავად, — უთხრა ბურდამ და უსიამოვნო ღიმილმა გადაუარა სახეზე.

— სოფლის მეურნეობის განყოფილებიდან გახლავარ, — ისევ მედიდურად უთხრა მამაკაცმა.

— დიდკაც ყოფილხარ შენ, — დაბალ, სამფეხა სკამს დაწვდა ბურდა, მკლავი გადაუსვა. წინ დაუდგა: — დიდკაცს ფეხზე დგომა არ ეკადრება, — ფარული დაცინვით შეხედა.

დაცინვა ხმის კილოშიაც შეეპარა. შეუმჩნეველი არ დარჩენია ეს სტუმარს. არ დაჯდა.

— რა გვარი ბრძანდებით, სტუმარკოჩი?

— ყალიჩა ვარ, — სახე მოელრუბლა ყალიჩას.

— რატომ ყალიჩა?! ქართულად ყალიჩავაა თქვენი გვარი. სახელიც მაჩუქეთ ბარემ.

— ყარამანი ვარ.

— ოხ, ნამეტანი კარგი სახელი გქონია, — ვითომ მოუწონა ბურდამ. — ჟარამან ყათილი, არა?

— არა. უბრალოდ ყარამანი.

— კეთილი და პატიოსანი. ყარამანიც უბრალოდ ნამეტანი კარგი სახელია, მაგრამ ყალიჩაზე უფრო სიროზულად, ყალიჩავა ისმის.

— მე ჩემი სერიოზულობა მეყოფა, — მკვახედ მიუგო ყარამან ყალიჩამ.

— კარგი და პატიოსანი, თუ გეყოფა, — უთხრა ბურდამ. — რა ჯობია იმას, კაცს რომ თავისი სიროზულობა ყოფნის, მაგრამ ბევრს რომ არ ყოფნის იგი.

— მაგი არ ვიცი მე.

— მაგი ყველამ უნდა იცოდეს, სტუმარკოჩი.

ყალიჩა თვალს არ აშორებდა, როგორ ისროდნენ კასრებში ოყიან სულუგუნებს.

— დიდია, რა ტყაპა-ტყუპი გაუდით ამ წყეულ სულუგუნებს, — ულვაშებში ჩაიცინა კვარაცხელიამ. — რას გვიბრძანებს სიროზული სტუმარკოჩი?

— მარილწყალში ჰყრით?! — პასუხის ნაცვლად ჰკითხა ყალიჩამ.

— იქაა მისი ადგილი. აბა პირდაპირ ხურჯინში ხომ არ ჩავუყრით სტუმარს.

ყალიჩამ იმედით შეხედა ფერმის გამგეს.

— დედაჩემი დერგში დებდა. იქ თავის წვენს უშვებდა. რომ გაჰრიდი, რძე და ერბო გადიოდა.

— დედაშენი შენთვის დებდა დერგში ერთი ძროხის მონაწველ სულგუნს და იმიტომ გაუდიოდა რძე და ებრო. ბურდა კვარაცხელია ორასი ძროხისა და კამეჩის რძის სულგუნს რომელ დერგში ჩაატევს?! ეუ. ასი დერგი არ ეყოფა მაგნებს. საიდან მოვიტანო ამდენი დერგი?!

— არ მომწონს ასე დამზადებული სულგუნი. რა გემო ექნება მაგნებს, — გამოაჯავრა ყალიჩამ.

— ამდენი კი ვიცი მე. მაგათ უნდა მეთქვა, მაგნების მაგივრად, მაგრამ ტყეში და მთაში გაზრდილ კაცი მეგრულს უფრო ვარ შეჩვეული. მაშ. არ მოგწონს ასე დამზადებული სულუგუნი?

— არ მომწონს.

— მერე გაძალებს ვინმე, ბაბაია?!

— ვინ გამიბედავს დაძალებას. სოფ-

ლის მეურნეობის განყოფილებიდან ვარ თქვა, რომ გითხარი, ვერ გაიგონე.

— რატომ ვერ გავიგონე. ყურს არ მაკლია ჯერ. მე უფრო დიდი კაცი მეგონე და იმიტომ ჩაგეკითხე. იქნებ რევიზორია-მეთქი.

— არა ვარ რევიზორი.

— აბა რატომ არ მოგწონს?!

— წყალი გაუვა რძისა და ებროს მაგივრად. რა გემო ექნება.

— ებროს მაგივრად, ერბო რომ უნდა მეთქვა, მაგიც კი ვიცი მე. ხომ გითხარი, მეგრულს უფრო ვარ შეჩვეული-მეთქი, — არ ეწყინა ბურდას ყალიჩას დაცინვა. — შენ თქვი რა გემო ექნებაო. გემოს ეძებ ამ გაჭირვებისას, როცა ადამიანს ცარიელი მჭადი ენატრება. მაინც არ მითხარი, ვინ ბრძანდები სოფლის მეურნეობის განყოფილებიდან. ვეტექიმი?

— არა.

— ზოოტექნიკოსი?

— არა.

— აუ, აბა, მთლად უფროსი იქნები.

— არა ვარ მთლად უფროსი, მაგრამ მე ჩემს თანამდებობას არ ვიწუნებ.

— მთლად უფროსად რომ არ დაგაყენეს, მეტი რა გზა გაქვს. არ დაიწუნებ შენ თანამდებობას. ისე კაცმა რომ თქვას, არც გეტყობა მთლად უფროსობა.

— გრძელი ენა გქონია, კვარაცხელია, — მუქარით უთხრა ყალიჩამ.

— შენ თქვი, მე ჩემი სიროზულობა მეყოფაო. ჩემს თანამდებობას არ ვიწუნებო. არ გყოფნის, პატენსტუმარ შენი სირიოზულობა, — განაწყენებული კილოთი უთხრა კვარაცხელიამ. — ამ ხნის კაცი მოვიყარე და ჯერ ჩემთვის არავის უკადრებია, გრძელი ენა გაქვსო, — ისევ გადაუარა სახეზე დაცინვის ღიმილმა, — სიროზულ კაცს ფეხზე დგომა არ ეკადრება, — ისევ დაწვდა დაბალ, სამფეხა სკამს, ისევ გადაუსვა მკლავი და წინ დაუდგა. — დამჯდარი კაცი უფრო სიროზულია და არ აკადრებს ჩემი ხნის კაცს, გრძელი ენა გქონიაო.

ყალიჩამ არ შეიმჩნია კვარაცხელიას დაცინვა.

— რა გემო ჰქონდა, ლუდაჩუმის გადაზელილ სულუგუნს, — უთხრა ფერმის გამგეს შემრიგებლური კილოთი და დაჯდა.

— რძე და ებრო გასდიოდა, არა? წავიდა ის დრო, სტუმარკოჩ. აქ დედაშენის შვილისათვის არ ვამზადებთ ყველს. ჯარისათვის ვამზადებთ. ფრონტისათვის ვამზადებთ. ჩვენთვის საჭმელი სულგუნი სადაა, თორემ, მარილწყალში ნადებს კი არა, უბრალო წყალში ნადებს იკადრებდა კაცი. მძიმე დრო დაგვიდგა, სტუმარკოჩი!

— მართლაც, მძიმე დრო დაგვიდგა, — ისევ შემრიგებლური კილოთი თქვა ყალიჩამ. — ყოველ მხრიდან გვიტევენ ის მამაძაღლები. უკან ვიხევთ და ვიხევთ. წინ წყალი, უკან მეწყერიო, ასეა ჩვენი საქმე.

ბურდა კვარაცხელია ყურადღებით შეაჩერდა სახეში.

— არაა ასე ჩვენი საქმე, — უთხრა შეკავებული ბრაზით. — თხრილზე გადამხტარხარ, სტუმარკოჩი?

— რატომ მეკითხები მაგას?! — გაუკვირდა ყალიჩას.

— გადამხტარხარ თუ არა? — ხმაში სიმკაცრე შეეპარა კვარაცხელიას.

— ვთქვათ, გადავმხტარვარ.

— განიერზე, თუ ვიწროზე?

— განიერზეც და ვიწროზეც.

— ვიდრე გადახტებოდი, უკან ხომ დაიხიე?

— აბა რას ვიზამდი, — ყალიჩა მიხვდა რატომ ეკითხებოდა ამას კვარაცხელია, მაგრამ არ შეიმჩნია.

— ასე ვშვებით ჩვენც.

— ვინ თქვენ?! — შეხედა და ის ჩამოლღლეტილი ქვედა ქუთუთო უფრო ჩამოეწია, გაკვირვებისაგან თვალები გადმოექაჩა.

— ჩვენ. ჩვენი ჯარი. უკან ვიხევთ, რომ მერე შენს ჰიტლერს თავზე გადავახტეთ.

— ჩემს ჰიტლერს?! — წამოხტა სიმწრისაგან ყალიჩა.

— ნუ გეწყინება. სიტყვაზე ვთქვი.

— რანაირი სიტყვაა მაგი?! რავა მაკადრე?? — აენთო ყალიჩა.

— შენც მაკადრე, მაგრამ თავზე ცეცხლი არ წამკიდებია.

— ნამეტანს ვიხევთ იმ შენი თხრილიდან.

— ნამეტანი განიერი სამარეა... ტფუი... ნამეტანი განიერი თხრილია და ასეთ თხრილს რომ გადაახტე, დიდი მანძილით უნდა დაიხიო.

— ღმერთმა ქნას, ის თხრილი სამარედ ექცეს ჰიტლერს, — ჯიბიდან პაპიროსის კოლოფი ამოიღო და ისევ ჯიბეში ჩაიდო ყალიჩამ. დასცხა, ქუდი კიდევ უფრო გადაიწია უკან.

— ღმერთი კი არა, სტალინი იზამს მაგას, ჟუკოვი იზამს.

— უიტ, შენ ჟუკოვის გვარიც გცოდნია, — გაუკვირდა ყალიჩას.

— როკოსოვსკიც ვიცი, ვასილევსკიც, ბუდიონნიც, ჩერნიახოვსკიც და ვოროშილოვიც. რავა, ჭურში კი არა ვზივარ. ომის ამბავი ხელისგულზე მიწერია. კონსტანტინე ლესელიძე ხომ ვიცი და ვიცი. იმან არ გვასახელა ქართველები მოსკოვთან, — გული მოუვიდა: — რავა, შენ გონია, ბურდა კვარაცხელია მეჯოგე რომაა, გაზეთს არ კითხულობს, რადიოს არ უსმენს. მეჯოგე კი არა ვარ, დღეს ფერმის გამგე მქვია. უფროსი გახლავარ.

სულუგუნებს ისევ ისე გაუდიოდა მარილწყალში ტყაპ-ტყუპი. ყალიჩას გულისყური იქით იყო, კვარაცხელიას არ უსმენდა. უფრო მეტი დუქი მოადგა ტუჩების კუთხეებში.

— ნეტა ყველასათვის სამყოფი გვქონდეს ასეთი სულგუნები, — შეხედა ბურდამ დუქმორეულ ტუჩებზე. — აქ ორი ბელორუსი ბავშვი მუშაობს, ნატაშა და მაკარ ბაჩილოები. ლტოლვილებია. ერთხელ მათ ბრიგადირს ვუთხარი, გამოიწერე მათვის სულგუნი-მეთქი, ნუ მაყურებიებ მათ ცოდვას. დედა გზაში მოუკლავთ დაბომბვისას. ბიჭი მხარში და თავში იყო დაჭრილი. გამხდრები, გალეულები იყვნენ, რომ ჩამოვიდნენ. ახლა ცოტა სული მოიდგეს მაინც ბავშვებია. მეტი ჭამა უნდათ მერე სხვა საჭმელი. იცი, სტუმარკოჩი, რა მითხრა ბრიგადირმა?

— რაო?

— არ შეჭამენ მაგ ყველს ის ბავშვებიო.

— რატომაო, მოწამლულია თუ?!

— მათვის მოწამლულივით იქნებოდა.

— რატომ?!

— მამაჩემს დააკლდებაო ფრონტზე. ბიძაჩემებს დააკლდებათო, უთქვამთ ბავშვებს. სხვის მამებს, შვილებს, დაძმებს დააკლდებათო,—ბურდამ პირჯვარი გადაისახა: — ღმერთო, რანაირად დასიროზულდნენ ბავშვები. დიდებს კი სიროზულობა ბევრს არ აქვს. იმათ ეს სულუგუნი შხამად უნდა ჩაუვიდეს პირში.

— ვისზე ამბობ მაგას? — თითქოს ვერ მიხვდა ყალიჩა, ვისზე ამბობდა ფერმის გამგე.

— იმათზე, ვისაც თავისი სიროზულობა არ ყოფნის, — თვალი თვალში გაუყარა ბურდამ.

— არ მესმის.

— არც მე მესმის, სტუმარკოჩი, ის არასიროზული ადამიანები, რატომ დადიან ფერმაში.

— აბა, კაცო! — ვითომ გაიოცა ყალიჩამ. ახლა მარტო ცერა თითები არ ჰქონდა ქამარში ჩაყოფილი. მუშტებით ჰქონდა ჩაბღუჯული და უჭერდა, რომ ის მუშტები სახეში არ ეთხლიშა ფერმის გამგისათვის. შეეშინდა, ვაი, თუ თავი ვერ შევიკავოო და აჩქარდა: — მშვიდობით. შენს საქმეს მიხედე, — კარისაკენ გაეშურა.

— სულუგუნს არ მიირთმევ, ყარამან,
— ულვაშებში ჩაიღიმა კვარაცხელიამ.
ყალიჩა შედგა:

— აქ?

— შინ რომ გაგატანო, ვიცი, იმ ბელორუსი ბავშვებივით, უარს მეტყვი.

— აბა რა.

— რისთვის შეწუხდი ამ დილაადრიანად, რომ არ გითქვამს, ისე მიდიხარ?!

— თავმჯდომარესთან მაქვს საქმე, — ცალყბად მიუგდო საქციელწამხდარმა ყალიჩამ. ჯიბიდან ისევ ამოიღო პაპიროსის კოლოფი. ახლა კი მოუკიდა და მაგარი ნაფაზი დაარტყა.

— ყარამან, — არც თავმჯდომარეს მიაქვს ფერმიდან სულუგუნი...

— რას მიბედავ, ყაძახო! — მთლად გადმოექაჩა თვალები ყარამანს.

— ერთ პატარა რჩევას მოგცემ, სტუმარკოჩი, — თვალების ეშმაკური მოჭუტვით უთხრა ფერმის გამგემ.

— ვის უნდა შენი რჩევა!

— კი გინდა, კი გჭირდება, — თვითონ დაჯდა ბურდა იმ სამფეხა, დაბალ სკამზე და განაგრძო: — განიერ თხრილზე გადახტომისას, მეტი უნდა დაიხიო უკან. ოღონდ წინასწარ უნდა დაფიქრდე, შეძლებ თუ არა გადახტომას, რომ თხრილში არ გაიღო ბრაგვანი.

— მაგი კი ვიცი მე, — სული ყელში მოადგა ყალიჩას, სახეზე წამოენთო.

— რომ გცოდნოდა, ყარამან, ჩემთან არ მოხვიდოდი!

ფაცხაში მომუშავე ქალები და ბერიკაცები სულგანაბული უსმენდნენ. ახლა თავი ვეღარ შეიკავეს და სიცილი წასკდათ.

დილიდან შუადღემდე ღვართქაფი ასხამდა. ღვართქაფს ნისლი მოჰყვა, სქელი, განუჭვრეტი. ორივემ უცებ ყორათიდან ჭალადიდისა და ქვალონისაკენ გადაიკარა და ასევე უცებ უკან მოიტოვა მოსარკული ცა. ისეთი კამკამა, ლურჯი, თითქოს წვიმამ განბანაო.

მზემ ისე მცხუნვარედ დააჭირა, რომ წყლით გამძღარი მიწიდან ოხშივარი ავარდა და სველი მიწის დამათრობელი ბანგით შეკრული ჰაერი შედგა.

დაცხა.

ყორათის გადარეცხილ, სველ, მზით აპრიალებულ გზატკეცილზე ნატაშა და მაკარი გარბოდნენ.

უკან კარგა მანძილით ჩამორჩენილი ცია მისდევდათ, თავის ყანაში მირბოდნენ ოლგა ბაჩილოს კვლების სანახავად.

გზატკეცილის ორივე მხარეს ცისანა ცინცაძის ბრიგადის ყანაში [illegible] კვლები წყლით იყო [illegible] და მისი მღვრიე ზედაპირი პირქუშად ბზინავდა.

ციას ყანაში ოვალურ კვლებზე არ დადგება წყალი, ფიქრობდნენ ნატაშა და მაკარი, მაგრამ შიში მაინც ჰქონდათ გულში შეპარული. ეს შიში მიაფრენდათ. მიწას ფეხს არ აკარებდნენ. ცია უკან ჩამოიტოვეს. ციას ყანის ოვალურ კვლებზე არ იდგება წყალი, იმეორებდნენ გულში.

მას შემდეგ, რაც ოვალური კვლები მოაწყვეს, წვიმა არ მოსულა ყორათში. დღეს მოვარდა ზღვისპირული, კოლხური, გადარეული ღვართქაფი. პოლესიაში არ იცის ასეთი ღვართქაფი. ნატაშამ და მაკარმა ჩამოსვლის შემდეგ დღეს პირველად ნახეს წვიმის ასეთი გადარევა, თითქოს მთელი ზღვა ამოიხაპა და ყორათის მიწაზე დაიქცაო.

ციას ყანაში არ იდგება წყალი, — იმეორებდნენ გულში ნატაშა და მაკარი. — ღმერთმა ნუ ქნას!

გამოჩნდა შორიდან ოვალური კვლები. არ იყო წყლით დაფარული, არ ბზინავდა პირქუშად ოვალური კვლების ზედაპირი. ღმერთმა ნუ ქნას. ბებია ოლგა ხშირად ახსენებდა ღმერთს ჭირშიაც და ლხინშიაც. ბებიას სწამდა ღმერთი, ნატაშასა და მაკარსაც სწამთ ღმერთი, როცა რაიმეს ნატრობენ, როცა რაიმე უჭირთ, როცა რაიმეს აღსრულება უნდათ. მხოლოდ მაშინ სწამთ ღმერთი. ღმერთი არ დააყენებდა წყალს ბებია ოლგას ოვალურ კვლებზე.

ცია ვერ დაეწია ბავშვებს. აღარ შეეძლო სირბილი. მუხლი ეკვეთებოდა, ყელი ეწვოდა, ოფლი ასკდებოდა სახეზე, თმა ჩამოეშალა და ოფლმა ლოყებზე გააკრა. მიმოიხედა, ასეთ დღეში მყოფს, ხომ არავინ მხედავსო. რას იტყვიან, რომ გადარია ეს გოგოო! მაინც არ შედგა, ისეთი ძლიერი იყო კვლების ნახვის სურვილი. რა იქნება ჩემს ბრიგადაში? ვაი, თუ იქაც ისე დგას წყალი, როგორც ცისანას ყანაში.

ნატაშამ და მაკარმა მიირბინეს კვლე-

ბთან და გაოცებულნი შედგნენ. თვალი დაახამხამეს. შეხედეს ერთმანეთს, ხომ არ გვეჩვენებაო, მერე უცებ ორივემ ერთად ასწიეს ხელები. მთელი ხმით შესძახეს:

— არა დგას წყალი ჩვენს კვლებზე. ერთი წვეთი არა დგას, — ხტოდნენ, ხელ-ფეხს იქნევდნენ, ტლინკაობდნენ: — ერთი წვეთი არა დგას, — ეხვეოდნენ ერთმანეთს, მერე გაახსენდათ, ცია რომ მოსდევდათ, შებრუნდნენ მისკენ და ყვირილით გაიქცნენ: — დეიდა ცია, არა დგას წყალი ჩვენს კვლებზე. ერთი წვეთი არა დგას.

მოირბინა ციამ. გული ხელით ეჭირა. მოავლო თვალი კვლებს.

— მართლა არა დგას ერთი წვეთი ჩვენს კვლებზე, — წამოიძახა ალტაცებით. სახიდან თმა მოიშორა, მკლავით მოიწმინდა ოფლი. — ჩვენს კვლებზე კი არა, დეიდა ოლგას კვლებზე, — გამართლდა ბავშვებო, ბებიათქვენის აზრი.' შეხედეთ, რა მშრალია, რა ფხვიერია მიწა. აქა-იქ სიმინდიც ამოწვერილა. აი, იქით, — ხელი გაიშვირა ციამ. — რამდენი ღივია. როგორ ამოუხეთქია მიწა, — ხელში აიღო მიწა და დაფშვნა. — ისეთი მიწაა, შეჭამს ადამიანი.

— შეჭამს... მიწას?! — გაიცინეს ნატაშამ და მაკარმა.

— აი, ლობიოს ღივიც, მუხუდოსიც. ასეთი ამინდი თუ დაიჭირა, ორ დღეში გადამწვანდება ყანა, — წელში გაიმართა. ისედაც კარგად ხედავდა ამონაყარს. მიდიოდა წინ გახარებული, ხელებგაშლილი, თითქოს უნდოდა მოხვეოდა მიწას, გულში ჩაეკრა.

გაჰყვნენ უკან ნატაშა და მაკარი.

შორს, მოპირდაპირე მხრიდან ვიღაც მოდიოდა კვლებში. ისე დასცქეროდა მიწას წელში მოხრილი, როგორც წელან ცია. დაინახა ბავშვები და ბრიგადირი და გამოიქცა.

ციამ მაშინვე იცნო ისიდორე. თვითონაც გაიქცა თავის მერგოლურისაკენ.

— ხედავ, ცა, ერთ წვეთ წყალ არ დგას, — მოაძახა სირბილით გულამომჯდარმა. შედგა ბრიგადირისა და ბავშვების წინ. — სხვა ბრგადებს ყანებ სელ დაუტბორავს, კოჭამდე დგას წყალ. გავკთდთ, ავშენდთ, ცა!

— მართლა გავკეთდით, ავშენდით, ისიდორე, — უთხრა ციამ. — ასეთ კვლებზე ვერც წვიმა ავნებს სიმინდს და ვერც გვალვები.

— დეიდა ციამ თქვა, ისეთი მიწაა, შეჭამს ადამიაანიო, — უთხრა ისიდორეს ნატაშამ.

— მართალ უთქვამს. ორქო მწაა... ფუ, ორქოს თქმა არ მნდოდა მე. პურვთ მწაა. მართლა შევჭამ მე ასეთ მწას, — დაიხარა, აიღო სამი თითით მიწა, დაამრგვალა და პურივით ჩაკბიჩა.

ბავშვები სიცილით გადაბჟირდნენ.

— რას შვრები, ისიდორე?! — გაოცდა ცია.

— შენ თვითონ გთქვამს, სეთ მწაა, შეჭამსო ადამან.

— ვთქვი, ისიდორე, მაგრამ მიწას რა გაჭმევს?!

— მწა გვარჩენს ჩვენ. — უთხრა ისიდორემ და კინაღამ წამოაღებინა, მაგრამ მაინც გადაყლაპა. — შეხედე, რა მსუქან, რა რუხ ფერსაა. ხომ ვამბობთ, პურ ჩვენ არსობსაო. მწა ჩვენ არსობსაო, რატომ არ ვამბობთ?!

ციამ არ იცოდა, რატომ ამბობენ, პური ჩვენი არსობისას და არც ის იცოდა რატომ არ ამბობდნენ მიწა ჩვენი არსობისას. ის ახლა ამაზე არ ფიქრობდა. ისიდორეზე ფიქრობდა. იცოდა, რომ ეს კაცი არ უყვარდათ მშენებლობაზე. არც ახლა ეხატათ კოლმეურნეობაში გულზე. ერთადერთი კაცი, ვინც მას სწყალობდა, ვასო ბრეგვაძე იყო. ისიც იცოდა, ვასო ბრეგვაძემ რომ გამოიყვანა ციხიდან და თავდებადაც რომ დაუდგა, კოლმეურნეობაში მიღებაშიც ეხმარებოდა ამ სახელგატეხილ კაცს. ხედავდა, რომ მან გულწრფელად მოინანია თავისი დანაშაული და თავდაუზოგავად მუშაობდა ბრიგადაში, მერგოლურთა შორის მთელს კოლმეურნეობაში ტოლი არა ჰყავდა, მაგრამ ვერ წარმოედგინა, თუ ამ კაცთმოძულე ადამიანს დეიდა ოლ-

გას კვლების გამართლება ისე გაახარებდა, რომ მიწას შეჭამდა.

ციას ისიც ახსოვდა, უჩა შამუგიას და ვაჟა ჯაფარიძის ბარათების მოსვლამ როგორ გაახარა სიორდია. უჩამ და ვაჟამ დააჭერინეს მაშინ, ოქროთი სავსე ქოთანი რომ გაიტაცა. ისიც მოაგონდა, როგორ მოიხსნა თავისი საამაყო იაპონური საათი, რომელიც წყალგაუვალი იყო, წამსაც უჩვენებდა, წუთსაც, საათსაც, დღესაც, თვესაც და წელიწადსაც. არც ჩამორჩებოდა, არც წინ მიდიოდა და ერთმა პირველთაგანმა რომ დადო ლონგინოზ ლომჯარიას წინ მაგიდაზე ტანკისა და თვითმფრინავის ასაგებ ფონდში შესატანად.

ციას ბრიგადაში ისიდორეს ყველაზე მეტი შრომადღე ჰქონდა გამომუშავებული. მას შემდეგ, რაც ციხიდან გამოვიდა, რასაც აკეთებდა საოცარი გულმოდგინებით, მონდომებითა და ხარისხიანად აკეთებდა. მისი ნახელავი ყველასათვის მისაბაძი, სამაგალითო იყო.

მუშაობაში ისიდორეს მშენებლობაზეც არა ჰყავდა ბადალი ათისთავებში, მაგრამ აქ მაინც სხვა იყო, სხვანაირად მუშაობდა. ასი ხელი გამოიბა, ასი გული ჩაიდგა, ცეცხლი გასდიოდა ხელებიდან. საქმე ყოველთვის გარანდული და გაწალდული ჰქონდა.

ხასიათითაც გამოიცვალა ისიდორე. ყველასთან, ვინც კოლმეურნეობაში საქმეს გულით აკეთებდა, თავაზიანი იყო, მათთვის კარგი უნდოდა, გარდა კირილე ებრალიძისა, რადგან იცოდა, კირილეს კოლმეურნეობისათვის შავი გული ჰქონდა.

მშენებლობაზე მოსვლის დღიდან კირილე მისი განუყრელი მეგობარი იყო, მისი მესაიდუმლე, მისი ამქარი და ამფსონი. ახლა კი ჭირივით შეიძულა ეს ყოფილი დამქაში, გაურბოდა მას და თუ შეხვდებოდა, თვალი განზე მიჰქონდა. ისე ელაპარაკებოდა, თითქოს გაჩენის დღიდან ერთმანეთს მტრობენო. კარგად ახსოვდა ანდაზა: მტრის შინ ყოლას, ლომის გზაზე წოლა ჯობიაო. მტერია იყო კირილე.

— რატომ შეიძულე კირილე ბიძია, ისიდორე?! — ჰკითხა ერთხელ ციამ, ყანიდან რომ ბრუნდებოდნენ. — რას ერჩი?

— მე არ ვერჩი მას. ის ერჩის ქვეყანას, — მიუგო სიორდიამ და სწრაფად დაწინაურდა, კიდევ რაიმე რომ არ ეკითხა ციას.

ისიდორე შეიცვალა. კირილე კი ისევ ისეთი დარჩა. ისევ ის თომა იყო, ისევ ის ტყავი ემოსა და ამიტომ ეკლად ესობოდა თვალში ისიდორეს.

ვერც ერთი ვერ ბედავდა სიტყვის ჩამოგდებას მათი გათიშვის მიზეზებზე. ისიდორე იმიტომ ვერ ბედავდა, რომ კირილე გაამხელდა წარსულში ჩადენილ მის ცოდვებს. ასევე იყო კირილეც. ისიდორემ ხომ მისი ბევრი ცუდი იცოდა.

კირილე ებრალიძეს არც წარსული ჰქონდა კარგი და არც აწმყო. მისი პეპერა, ათანასე ებრალიძე ყურსალი იყო — ტყვეებს ყიდდა თურქებზე. ტყვეს რომ ვერ ჩაიგდებდა ხელში, აბრაგობდა. ძარცვავდა ყველას, ყმასა და ბატონს, ნათესავსა და ახლობელს, ქალსა და კაცს.

როგორც გაყიდვა, ისე კაცთკვლა არაფრად მიაჩნდა. არც გურიელის კარის მსახურს ინდობდა და არც დადიანისას. მღვდელსა და მონაზონს ისე გაუყენებდა სტამბოლის გზას, წარბს არ შეიხრიდა.

ბევრი ეცადა გურიელი თვითონ გაეყენებინა ათანასე ებრალიძე სტამბოლის გზისათვის, მაგრამ ხელში ვერ ჩაიგდო. შინ ღამეს არ ათევდა. დღისით სახლ-კარს ახლო არ ეკარებოდა. სიცოცხლის მეტი ნაწილი ოდიშში, იმერეთსა და აფხაზეთში გაატარა. იქ იპარავდა ბავშვებსა და ცხენებს. ნაძარცვ-ნაღლეტით რომ გაძღა, ამ საქმეზე ხელის აღება გადაწყვიტა. სწორედ ამ დროს უმტყუნა ბედმა. რაც გურიელმა ვერ მოახერხა, ოტია აბაშიძემ მოიმოქმედა. ყულევში რომ მიჰყავდა იმერეთში მოტაცებული ბავშვები, წინ თავისი კაცე-

ბი დაუხვედრა და თვითონ გაუყენეს იმ გზას.

ათანასეს ერთი ვაჟი დარჩა. სევერიანე ერქვა. მამის ასლი და კვალი იყო. ისიც მამის გზას დაადგა. შვილს თავისი ნაძარცვ-ნალლეტით მამასახლისობა მოუპოვა და მამა-შვილი სოფელს ახლა სხვა გზით ღლეტდნენ. მენშევიკები რომ მოვიდნენ, კირილეს მამა ტყეში გაიპრა და იქ დალია სული.

კირილე ვერც პეპერას, ვერც ბაბუის და ვერც მამის კვალზე ვერ წავიდა. მოწიფული ბიჭი იყო, ბოლშევიკებმა მენშევიკები რომ დაამარცხეს. სოფელს არც ბაბუამისი უყვარდა თავის დროზე და არც მამამისი. კირილეც შეიძულა — კვიცი გვარზე ხტისო. ეშმაკის ნაშიერი ეშმაკის კვალს დაადგებაო.

კირილე არ აპირებდა ბაბუისა და მამის კვლით სიარულს, მაგრამ რაკი სოფელმა დაინახა პირწავარდნილი მამამისი იყო, მის კაი კაცობაში დაეჭვდა და ზურგი შეაქცია.

შინ აღარ დაედგომებოდა. განუდგა სოფელს, გაბოროტდდა. სოფლისათვის არც ავს აკეთებდა, არც კარგს. იყო ადამიანთაგან გარიყული და ჯავრი ჭამდა. კოლმეურნეობის წევრად არ მიიღეს. საკარმიდამო ნაკვეთი ჩამოუჭრეს; რით ეცხოვრა? ადგა და ქალაქებსა და მაზრებში დაიწყო ხეტიალი სამუშაოს საშოვნელად. ფულს შინ გზავნიდა. ცოლშვილს მაინცდამაინც არ უჭირდა, მაგრამ ისე უყვარდა ისინი, ეს ძუნწი, ქვაწვია კაცი, პურს რომ არავის გაუტეხავდა, თუ რაიმეს არ გამორჩებოდა, თავის პირისათვისაც რომ არ იმეტებდა, იმ ლუკმას შვილებისათვის არ იშურებდა. ცოლს ყოველ ბარათში ეხვეწებოდა, ბავშვები სოფელს შეაჩვიე, ამხანაგები და მეგობრები გაუჩინე, ხალხი შეაყვარე, სტუმართან და მეზობლებთან ხელგაშლილი იყავი, ყველას წმინდა გული უჩვენეო.

სოფელს ბოლშევიკებმა შეაძულეს ჩემი თავიო, ფიქრობდა კირილე. ძველი დროის დაბრუნების იმედით ცხოვრობდა და ომი რომ დაიწყო, ამ იმედის აღსრულება კარზე მომდგარად ჩათვალა.

ეს იცოდა ისიდორე სორდიამ. მისთვის ბოლშევიკებს მამამისი ტატაჩია არ გაუხსენებიათ, არ წამოუძახებით, არ წაუყვედრებიათ, პარტიაშიც მიიღეს და სამსახურიც მისცეს. არ სძულდა შრომა. ადამიანი კი არ უყვარდა და ზოგჯერ ისეთ რამეს ჩაიდენდა, რაც საზოგადო საქმეს ვნებდა. ამაზე ისიდორე ოქროთი სავსე ქოთნის მოპარვისა და ციხეში ყოფნისას დაფიქრდა და იქიდან გამოსულმა შეიძულა კირილე. სამუდამოდ ამოიღო გულიდან.

ისიდორეს შემდეგ ცისანამ მოირბინა ციას ბრიგადის ნაკვეთზე. ცისანას ტარიელ ქარდა და ლონგინოზ ლომჯარია მოჰყვნენ. მოვიდნენ ციას ბრიგადის წევრები და სხვა ბრიგადების წევრებიც.

ყველას უხაროდა. ხელით იღებდნენ მიწას. ფხვიერს, მშრალს და ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ გაოცებას. ნანობდნენ, რომ სხვა ბრიგადების ნაკვეთებზე არ მოაწყვეს ოვალური კვლები, მაგრამ ტარიელი ამშვიდებდათ, გაისისათვის მოვაწყობთ ყველა ბრიგადაში, თუ ბოლომდე გაგვიმართლა ოვალურმა კვლებმაო.

ამ დროს ნატაშა და მაკარი ჩურჩულით უყვებოდნენ ბრიგადის წევრებს, როგორ შეჭამა სიხარულით გადარეულმა ისიდორე ბიძიამ მიწა და სიცილს ძლივს იკავებდნენ.

მოვიდნენ გალინა არკადიევნა და ვასო ბრეგვაძე. მოხუც ინჟინერს სიხარულისაგან ცრემლი მოადგა თვალზე. ეს იყო მისი და ყველა მშენებლის მრავალწლიანი მძიმე შრომისა და მღელვარების ნაყოფი, გაცოცხლებული მიწის იმედის გამართლება.

აქამდე არავინ იცოდა, რას იზამდა გრუნტი, არ მიიღებდა წყალს, თუ მიიღებდა. ამ კვლებზე, რაც ჭირდებოდა გრუნტს, მიიღო. დანარჩენი მცირე არხებით შემკრებ არხებში ჩავიდა. იმ არხებიდან დედაარხში ჩადენილი ნაწრეტი წყალი ზანტად მიიზლაზნებოდა ზღვისაკენ.

ვასო ბრეგვაძე ცხვირსახოცით ხან სათვალეს იწმენდდა და ხან ცრემლს.

მოვიდა კირილე ებრალიძეც. მოვიდა და გესლიანი ღიმილი მოიტანა. ეგონა, ცის ბრიგადის ნაკვეთიც დატბორილი დახვდებოდა და პირკატა ეცა. ეს ისიდორეს მეტმა ვერავინ შეამჩნია.

ყველამ თავის სამუშაოს მიაშურა. ზოგი ბრიგადაში წავიდა, ზოგი კანტორაში, ფერმაში, მტს-ში და რაიკომში.

ისიდორე დურგალთან მიდიოდა ნაბადაში. თოხის ტარები ჰქონდა შეკვეთილი ბრიგადისათვის. მალე მარგვლა დაიწყებოდა. ახლავე უნდა დაეჭირა მერგოლეურს თადარიგი.

კირილემ გზაზე მარტო მიმავალი ისიდორე რომ დაინახა, უკან გაჰყვა. ის იყო გზატკეცილიდან ნაბადისაკენ ბილიკზე უნდა გადაეხვია ისიდორეს, რომ ზურგს უკან კირილეს ხმა შეესმა:

— დამიცადე, ნენა. რავა იორღა ცხენივით გააჭენე. სად მიგეჩქარება ასე? ერთად წავიდეთ.

ისიდორე მობრუნდა, შეხედა კირილეს და პირქუშად მიახალა:

— ჩვენ ერთ გზა აღარ გვაქვს, კრლე.

— აქამდე თუ გვქონდა, ახლა რატომ გაიყარა ჩვენი გზები, ნენა?! — თვალი თვალში გაუყარა კირილემ.

— ჩვენ არასოდეს არ გვქონდა ერთ გზა, — თვალი გაუსწორა ისიდორემაც ისეთი რისხვით, რომ ზედა ქუთუთო აეწია.

კირილემ დაინახა, რა რისხვით აენთო მას თვალები, მაგრამ არ დაიბნა.

— დაგავიწყდა, ანდრო განგიას და ვაჟა ჯაფარიძეს რომ გადაუდექი.

— მე მტომ გადავუდექ მათ, რომ ასე მწამდა. მე ცალკე პრებს გადავუდექ. შენ ხალხს ხარ გადამდგარ.

— ვითომ?

— ვითომ კ არა, ასეა.

— დაგავიწყდა, ნენა, მხარში რომ მედექი?

— შენ მედექ მხარშ, მე კ არა. ახლა სხვა ჰკუთ ვცხოვრობ და ვმუშაობ.

— ეს მაშინ შეგატყვე, ნამეტანი გახარებული რომ იდექი [illegible]

— არ არის გასახარ[illegible]?!

— ვისთვის არის, ვისთვის არ არის. ვიფიქრე, ფრთები შესხმია ისიდორეს და გაფრენას აპირებსთქვა.

— ფრთებ კ შემესხა, მაგრამ გაფრენას არ ვაპირებ.

— როდის აქეთია გიხარია მაგათი სიკეთე, ნენა?!

— რას ჰქვია „მაგათ". ჩემ ხალხ ჩემთვის „მაგათ" არასოდეს არ ყოფლა. ყოველთვს მხაროდა მს სკეთე.

კირილეს ქვედა ტუჩი მოექცა.

— რაცხა არ გატყობდი აქამდე, ნენა, — გამოსცრა კბილებში.

— არ გნდოდა შეგეტყო და მტომ.

— არ დავფიცავ. არ მინდოდა. იქნებ ციხემ გამოგასწორა, ნენა, — უთხრა ღვარძლიანად კირილემ და გულში დანა გაუყარა ამის თქმით. — არ გახსოვს, რა საქმისთვის გიკრეს თავი იქ ბოლშევიკებმა?

— მახსოვს და არასოდეს დამავიწყდება ჩემ სრცხვლ.

— იცი, რატომ გამოგიშვეს ციხიდან?

— ვთხოვე, რომ სრცხვლ მომერეცხა.

— მუშახელი ჰირდებოდათ და იმიტომ გამოგიშვეს, — ისევ ღვარძლიანად უთხრა კირილემ. თავს იკავებდა, რომ ყელში არ წვდომოდა და არ წ ეხრჩო ამ შარაგზაზე ქვეყნის დასანახად. — რომ არ უჭირდეთ, არ გამოგიშვებდნენ. ის ოქრო, შენ რომ მოიპარე, ბოლშევიკების კი არ იყო, რომის იმპერატორის იყო.

— ჩვენ ჰყო.

— ვის ჰყო თქვენ? — დასცინა კირილემ და ნიკაპი მოიფხანა, რომ იმ ხელით სილა არ გაეწნა ისიდორესთვის.

ისიდორეს თვალს არ გამოეპარა ეს. გაეხარდა, რომ გულზე ხეთქავდა.

— ვს ჰყო და ჩვენ, ბოლშევიკებს. სახელმწიფოს ჰყო. ხალხს ჰყო.

— ასე გასწავლეს, ნანა, ციხეში? — კირილემ ისევ მოიფხანა ნიკაპი.

— სხვს სწავლება არ მჭრდება მე, ჩემ სრცხვლს მოსარეცხად.

— მაგი არ არის სირცხვილი, ნაპოვნი ოქრო შინ რომ წაიღო, — შემრიგებლური კილოთი უთხრა კირილემ.

— შენთვის არ არს სრცხვლ. შენ ნაპოვნს კ არა, ბანკდან მოპარავ ოქროს.

კირილემ იგრძნო, ვერ შეირიგებდა ისიდორეს.

—მე არ მოვიპარავ, ნენა, — უთხრა აშკარა მუქარით, — მალე გერმანია მოვა და ის წაილებს ოქროსაც და შენ სულსაც.

— არ დაგდგება ს დღე, კრლე.

— ისე დამიდგება, როგორც მზე მაღლაა, — ჩაიქილიკა კირილემ.

— ნამეტანს ბედავ, ყაძახო, — ისიდორემ ჰრუტა თვალები სულში გაუყარა.

— ჯერ სადა ხარ, ნენა. გაბედვა მაშინ ნახე, ისინი რომ მოვლენ.

— არ დაგდგება ს დღე-მეთქ.

— იმ დღის განთიადი უკვე დამიდგა. ნახევარი რუსეთი აღებული აქვს, ჰიტლერს. მალე ყუბანს მოადგება. იქიდან ჩვენამდე ორი ნაბიჯია.

— ორ ნაბიჯს გადადგმა უნდა. მოსკოვამდე ერთ ნაბჯ ჰყო, მაგრამ ქე დაფრენს. გაუტყდა ტაბაკ შენს ჰტლერს.

— ჰკუაზე მოდი, ნენა, — თვალი აემღვრა კირილეს. აქეთ-იქით მიმოიხედა. გრძნობდა, მეტს ველარ მოუთმენდა. ასე ეგონა, ხელები ისიდორეს კისერზე ჰქონდა შემოჭდობილი. — ავი ქარი გაქვს ნაკრავი. ვერა გცნობ.

— ახლა შენთვს დათვს შუბლ ვარ და მტომ ვერ მცნობ, — უთხრა ისიდორემ.

კირილეს კოპებიც შეეკრა. ისევ მიმოიხედა აქეთ-იქით. ხელებს ძლივს იმაგრებდა.

— ფრთხილად, ისიდორე. გეტყობა, წერამ აგიტანა.

— წერამ შენ დღხან აგტანა, — მიახალა ისიდორემ და გატრიალდა.

ციამ თავის ბრიგადაში კიდევ ერთი სიახლე შემოიღო — წინადადება შეიტანა, თითოეულ კოლმეურნეზე ნაკვეთი გაეპიროვნებიათ, იმდენი, ვინც რამდენს ისურვებდა, დამუშავებას შეძლებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კირილე ებრალიძემ ქვა [illegible] თავი შეუშვირა: ეს რანაირი შრომა იქნება ცალ-ცალკეო.

სწორედ ასეთ შრომაში გამოჩნდება, ვინ რისი გამკეთებელიაო, თქვა ისიდორე სიორდიამ და პირველმა დაუჭირა მხარი ბრიგადირს.

ტარიელ ქარდასა და ვასო ბრეგვაძის გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა. ადრე ამ ორ უკუღმართ კაცს კუდი კუდზე ჰქონდა გადაბმული, ყველა საჩოთირო საქმეში ერთი პირი ჰქონდათ და ახლა რა მოხდა, რატომ გაირბინა შავმა კატამ მათ შორისო.

ყველაზე მეტად გალინა არკადიევნა იყო გაოცებული.

ისიდორემ იმითაც გააკვირვა ტარიელი, ბრეგვაძე და სეროჟა, რომ ჰექტარნახევარი მიწის მოზომვა მოითხოვა. კირილე ებრალიძეს ამით კიდევ ერთი ნიშნი მიუგო და მთლად მოუწამლა სული. თხა გასუქდა და, ვაი, ერთი მგელს დამაჭიდაო. ასე მოსდის მაგ დედაგაღლეტილს. გულზე კბენდა ებრალიძეს ისიდორეს ფერისცვალება.

ზოგმა საერთო კრებაზე რომ ვერ გადაწყვიტა, რამხელა ნაკვეთი მიეზომა, მეორე და მესამე დღეს მოდიოდა ბრიგადირთან. იზომავდნენ ერთ ჰექტარს, მეტსაც და ნაკლებსაც. ვის, როგორ ერჩოდა გული, რამდენისთვის ყოფნიდა საფანტი.

რუსების, უკრაინელების და ბელორუსების უმრავლესობას არ უთოხნია ყანა, არ უხნავს, არ მოუწევია სიმინდი, ლობიო და მუხუდო, მაგრამ ახლა საჭირო იყო და უნდა მოეწიათ.

ნატაშამ და მაკარმაც მოითხოვეს ნახევარ-ნახევარი ჰექტარი მიწა. მოერევითო ამდენს, ჰკითხა მაკარს ციამ. ნახევარ ჰექტარს როგორ ვერ მოვერევი, ხელები შეკრული ხომ არა მაქვსო, მიუგო მაკარმა.

ძმის ასეთი პასუხის შემდეგ ციამ ნატაშას აღარ ჰკითხა, შენც მოერევიო ნახევარ ჰექტარს.

ოვალურ კვლებზე სწრაფად აიყარა ტანი სიმინდმა. სამი ფოთოლი გამოიღო, გასქელდა, გამუქდა. ძალაში შევიდა ფოთლები. სიმინდს ბევრი სარეველა ამოჰყვა, როგორც ეს ოდიშის მიწამ იცის.

ნატაშა და მაკარი დილით ბრიგადირს ასწრებდნენ ადგომას. ეშინოდათ, სარეველა არ მორეოდა სიმინდსა და ლობიოს. თოხს შეუჩვეველები იყვნენ, ისე ვერ ხმარობდნენ, როგორც ოდიშელები და მათ რომ არ ჩამორჩენოდნენ, ერთ წუთს არ კარგავდნენ. ხელ-პირსაც კი არ იბანდნენ. ისე გარბოდნენ ყანაში. მიჰქონდათ თოხები, ცივი მჭადი, გამხმარი თევზის პატარა ნაჭერი და დოქით წყალი.

სტკიოდათ წელი, მხრები, უხუროდათ და ეწოდათ ხელები. ჯერ გაუწითლდათ, მერე წყალი ჩაუდგათ, დაუბებრდათ. მზიზე თავი უსკდებოდათ. ჰირს მაინც არ ეპუებოდნენ. ხელისგულებზე იფურთხებდნენ, იგრილებდნენ. სიმწრით, კბილების კრეჭით ურტყამდნენ მიწას ერთ ოყიან თოხს. ეცემოდა სარეველა გაპირული თოხების ქვეშ (თოხებს ისიდორე უპირავდათ), ედგნენ მხარში ერთმანეთს და წინ მიიწევდნენ.

პაპანება. მარგვლა, ცივი მჭადი და ხმელი თევზი წყურვილს ჰგვრიდათ, მაგრამ თბილ წყალზე გული არ მისდიოდათ და წყურვილი ტანჯავდათ.

ერთ სვრელს რომ გაიტანდნენ, ისვენებდნენ. ნაკვეთები ერთმანეთის გვერდით ჰქონდათ და ერთად მარგლიდნენ. სადილობა რომ მოატანდა, ყანის პირას კენტად მდგარ თხმელის გაშლილი ტოტების ჩრდილს მიაშურებდნენ, ხელს იბანდნენ. კალათიდან მჭადსა და თევზს ამოიღებდნენ. ძალით ჰამდნენ, რომ სული შერჩენოდათ.

ერთხელ, სწორედ პურისჭამის დროს მოულოდნელად თავზე ფერმის გამგე ბურდა კვარაცხელია წაადგათ. ხელში კაკლის ფოთლებში გამოხვეული რაღაც ეჭირა. ფოთლებიდან სითხეს გამოეგონა და ახალუხის კალთა და სახელოები დაესველებია მისთვის. ბავშვებს თბილად მიესალმა. მათ წინ მოიკალათა. ოფლში იყო გაღვარული, [illegible]ოდა, დიდი გზა გამოევლო ფერმიდან აქამდე.

— აპაპაპა, ძალიან იკბინება ეს დალოცვილი მზე. ასე იცის აქ გაზაფხულზე, — უთხრა ნატაშასა და მაკარს. კაკლის ფოთლებში შეხვეული წინ დაუდო. — გცხელათ არა, ბაბუებო. ცოდვის კითხვა არ არის, ახლა თქვენ თოხი გეჭიროთ ხელში. იჩუ ქიანა. ჯერ ასეთი სიცხე არ მახსოვს ამ ხნის კაცს, — ყანას გადახედა: — ერთი ღერი სიმინდი არ არის სიცხით შეწუხებული. აბაშაში და დარჩელში არ მინახავს ასეთი ყანა. როგორ მოუხდა იმ თქვენი ბებიის კვლები. რა ჰქვია, შურიგე. დამავიწყდა მე გამოჩერჩეტებულ ყაძახს ამ კვლების სახელი.

— ოვალური კვლები, ბიძია, — უთხრა ნატაშამ.

— სირცხვილად ნუ ჩამომართმევთ და კი არ ვიცი, რას ნიშნავს სიტყვა ოვალური.

მაკარმა ხელით უჩვენა, რა არის ოვალური.

— უიტ, იმიტომ არ ჩერდება წყალი ზედ. მიწაც იმიტომაა ფხვიერი. ის ცხონებული ბებიათქვენი, ქალი კი არა, პროფესორი ყოფილა.

ნატაშას გაეცინა.

— რატომ გაგეცინა, ბაბუია?!

— განა არ შეიძლება პროფესორი ქალი იყოს, ბაბუ?!

— რავა არ შეიძლება. დღეს ზოგი ქალი პროფესორსაც ჯობნის და აკადემიკოსსაც. ჩემისთანა ყაძახს ხომ ჯობნის და ჯობნის! ხომ ხედავთ, ბებიათქვენმა გვაჯობა ყველა ყაძახებს. ჩვენ, ოდიშელებს მთელი ჩვენი დღე და მოსწრება თოხი გვიჭირავს ხელში, მაგრამ ოვალური კვლები არ მოგვიფიქრებია.

— ბებიაჩვენმა კი არ მოიფიქრა ოვალური კვლები, მეცნიერებმა მოიფიქრეს, ბაბუ, — აუხსნა ნატაშამ.

— ვინ მოიფიქრა? — ყურზე ხელი მოიფარა ბურდამ.

— დიდმა ნასწავლმა ადამიანებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მასე მეგონა მეც. ნასწავლი კაცი რას არ მოიფიქრებს. კარგი საქმე ცოდნამ იცის, ბაბუია. ელექტრონი ნასწავლმა კაცმა მოიგონა. რადიო ნასწავლმა კაცმა მოიგონა. აეროპლანი ნასწავლმა კაცმა მოიგონა... იცით, რას გეტყვით, ბაბუებო! ნასწავლი კაცი, თუ მოინდომა, ქვეყანას დააქცევს.

— დააქცევს, თუ ააშენებს?! — ჰკითხა გაკვირვებულმა მაკარმა.

— კიდევაც ააშენებს და კიდევაც დააქცევს. ეს მითქვამს მე ჩემი მოკლე ჭკუით და თქვენ, ბალნებო, კარგად დაიმახსოვრეთ. დამახსოვრება რათ გინდათ. აგერ, შეხედეთ, რას ჩადის გერმანია. ქვეყანას არ აქცევს აეროპლანებითა და ტანკებით.

— არ დააქცევინებენ, ქვეყანას, ბაბუ, — უთხრა მაკარმა.

— ღმერთმა გისმინოს, ბაბუ. უიტ, რავა შევყევით საუბარს. ჭამაში ხელი შეგიშალეთ. ასეთ გაგანიაში რა გაჭმევთ მაგ გამხმარ თევზს?!

— ზოგს ესეც ენატრება, ბაბუ, — უთხრა ნატაშამ.

— კი ბაბუია. ნამეტანი გაჭირვებაშია ხალხი. რა ვუყოთ მერე. დრომ მოიტანა და დრო წაიღებს, — ნატაშას დააცქერდა: — შენ ნატაშა გქვია, ბაბუია, არა?

— დიახ, ნატაშა მქვია. თქვენ საიდან იცით?! — გაუკვირდა ნატაშას.

— შენ კი მაკარი ხარ, — პასუხის მაგივრად თქვა ბურდამ და ახლა მაკარს შეხედა: — სულგუნი რომ დამიწუნეთ ის ბალნები ხართ, ხომ!

— კი არ დავიწუნეთ, არ გვერგებოდა, — უთხრა მაკარმა.

— რატომ, ბაბუია! თქვენისთანა ბავშვებს სულგუნი კი არა, ელარჯი უნდა აჭამო. ან კატლეტი, რესტორანში რომ აკეთებენ ისეთი. ჯერ შუა დღე არც კი დამდგარა და შეხედეთ, რამდენი გაგიმარგვლავთ. ღმერთო კი მომკალი, ხელები რას გიგავთ. არ ვიცოდი, თუარა, მარწვენს წამოგიღებდით. ან ებროს. ძალიან მოუხდება მაგ კურთხეულ ხელებს. მარწვენი და ებრო არა, მაგრამ ცოტა სულუგუნი წამოგიღეთ. ჰყინტია, ბაბუებო. რძე და ებრო გაუდის...

— არ გვინდა, ბაბუ, — უთხრა მაკარმა. დამზადებას დააკლდება ყველი...

— მასე რომ გითქვიათ, კი მითხრა თქვენმა ბრიგადირმა, მაგრამ რომ გავიგე, ნახევარ-ნახევარი ჰექტარი მიწა მიგიზომიათ, გულმა არ მომითმინა და მაინც წამოგიღეთ. ჩემი ხელითაა გადაზელილი. რძე და ებრო გაუდის. ვიფიქრე, პირს გაისველებენ-მეთქი ბალნები. პირის გასველებას ხილზე იტყვიან, მაგრამ რძე და ებრო რომ გაუდის, იმიტომ ვთქვი ასე, — ბურდამ ფოთლები შემოხსნა ორ სქელ და მოზრდილ სულუგუნს: — ნახეთ, რა ყველია. თქვენ, ბაბუებო, ფრონტზე ნაკლებ საქმეს არ აკეთებთ აქ. — ქარქაშიდან დანა ამოიღო, სქლად მოაჭრა სულუგუნს ნაჭრები და ერთი ნატაშას გაუწოდა, მეორე მაკარს. — შრომის ომი ბრძოლის ომზე ნაკლები არაა. ბრძოლისთვისაც აძლევს ჩვენი მთავრობა გმირობას და შრომისთვისაც, აპა!

ნატაშასა და მაკარს სული მისდიოდათ ყველზე, მაგრამ მაინც ყოყმანობდნენ. უცებ მოეწონათ ეს კეთილი, ენატკბილი ბერიკაცი, პატივცემითა და მადლიერებით შეჰყურებდნენ.

— გამომართვით, ბაბუებო. მაგი დამზადებას არ დააკლდება. შრომადღეზე მერგო და თქვენ წამოგიღეთ.

— რატომ შეწუხდით, ბაბუ. თქვენი წილი ჩვენ რატომ მოგვიტანეთ?! — დაიმორცხვეს ნატაშამ და მაკარმა, მაგრამ მაინც გამოართვეს. მადიანად ჩაკბიჩეს.

— რა გემრიელია, — წამოიძახა ტლტაცებით ნატაშამ, — ნიკაპზე ჩამოედინა ყველის წვენი. — მართლა, რძე და ერბო გაუდის.

— მოგეწონა, ბაბუ? — გაეხარდა ბურდას. — ღმერთმა ტკბილად შეგარგოს.

— ძალიან მომეწონა, ბაბუ!

— აბა, მე აწი ყოველ თვე მოგიტანთ, თითო ამხელა სულუგუნს, — უთხრა ბურდამ ბავშვებს. — ჩემს შრომადღეზე მიღებულს, — იცრუა ბურდამ. შრო-

მაღლეზე ყველს არ ანაწილებდნენ. იცრუა იმიტომ, რომ ასეთი სიცრუე ცოდვად არ ჩაეთვლებოდა. — ჰო, ანტონ ბაჩილო, მართლა თქვენი ბიძაა?

— იცნობთ, ანტონს?! — გაეხარდათ და ერთხმად ჰკითხეს ბავშვებმა.

— ანტონს ვინ არ იცნობს ჩვენთან. პირველი დრაგერი იყო მშენებლობაზე. უჩა შამუგიასთან ერთად თხრიდა დედაარხს. ერთმანეთი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჰყავდათ გამოწვეული. თქვენ რომ ცისანა ცინცაძესთან ცხოვრობთ ბარაკში, იგი ქალიშვილი მისი საცოლეა.

— ვიცით, ბიძია, — უთხრა ნატაშამ. — უჩა შამუგიას საცოლე კი, ჩვენი ბრიგადირი, ცია ცანაა.

— ჩვენი სიძეა, ანტონი. უნდა მეთქვა სასიძოაო, მაგრამ იგი უკვე სიძედ მეგულება და ამიტომ ვთქვი ასე. მშენებლობის დამთავრებას უცდიდნენ ანტონი და უჩა და ამიტომ არ იწერდნენ ჯვარს. არ დასცალდათ. ომი დაიწყო... არ დასცალდეს ჰიტლერს სიცოცხლე, — დასწყევლა ბურდამ „ფიურერი". — მამათქვენი რა მოხელეა?

— ტრაქტორისტია, — უთხრა ნატაშამ.

— ახლა ტანკისტია, — თავმომწონედ თქვა მაკარმა.

— უიტ. ორივე კარგი ხელობა ქონია, — მოუწონა ბურდამ ბავშვებს მამის ხელობა. — თქვენ რა გინდათ, რომ გამოხვიდეთ?

— მე ჯერ ფრონტზე ვაპირებ წასვლას ჯარისკაცად, — უთხრა მაკარმა.

— რა დროს შენი ფრონტია, ბაბუია, ჯერ ბაღანა ხარ. პირზე რძე არ შეგშრობია.

— ორი წლის შემდეგ ჩვიდმეტის გავხდები.

— ორი წელიწადი გაგრძელდება ვითომ ომი?! — გაიკვირვა ბურდამ.

— თუ გაგრძელდა, უსათუოდ წავალ.

— არ ეყოფა ფრონტს მამაშენი და ანტონი?

— კიდევ მყავს ფრონტზე ბიძა, მაგრამ მაინც არ ეყოფა. ჰიტლერს ჩვენზე მეტი ჯარი ჰყოლია.

— ჰო, ბევრნი ყოფილან დაჭრილები.

— მაინც ვერ მოგვერევიან, ბაბუ, — უთხრა ნატაშამ.

— ღმერთმა გისმინოს, შვილო.

ნატაშას და მაკარს კიდევ გაუჩნდათ ერთი გულშემატკივარი და შემწე, მაგრამ არ იცოდნენ, ვინ იყო.

დილაადრიანად ყანაში რომ შევიდოდნენ, გაოცებული შედგებოდნენ. წინა დღით სადაც მარგვლა შეწყვიტეს, იმის იქით გამარგვლული ხვდებოდათ ნაკვეთი.

სიმინდი ისე იყო გამოთოხნილი და დარიგებული, მხოლოდ გამოცდილ მესიმინდეს შეეძლო ასე გამარგვლა. სარეველა მიწის ქვეშ იყო უკლებლივ მოქცეული. სიმინდები ერთმანეთისაგან თითო არშინით დაშორებული და ძირში მიწა ზომიერად შემოხვავებული. ამის გამკეთებელს კარგად ცოდნია, რომ სიმინდი თუ შორსაა ერთმანეთისაგან დარიგებული, უფრო ღონიერია, მსხვილ ტანს იკეთებს, მეტ ტაროებს ილებს და ის ტაროები უფრო გრძელი და მარცვალუხვია.

ნატაშამ და მაკარმაც ერთი არშინის მოშორებით დაიწყეს სიმინდის დატოვება, ძირშიც მეტ მიწას უყრიდნენ, სარეველასაც ღრმად აქცევდნენ მიწის ქვეშ.

ბავშვების ყურადღება თავიანთი გულშემატკივრის ნაფეხურმაც მიიპყრო. იგი არა ჰგავდა ჩვეულებრივი ადამიანის ნაკვალევს. მტკაველნახევარი მაინც იქნებოდა მისი ფეხის სიგრძე. განს კი ნულარ იკითხავთ, ნურც სიღრმეს. ეტყობოდა, ზორბა ტანის, მძიმე კაცი იყო უცნობი.

ყანა ნატაშასა და მაკარის საცხოვრებელ ბარაკიდან სამი კილომეტრით იყო დაშორებული. დილით ადრე მიდიოდნენ ყანაში და შეღამებულზე ბრუნდებოდნენ შინ. უთუოდ ის ვიღაც ან გვიან ღამით მარგვლავდა მთვარიანზე, ან ცისკრისას. გადაწყვიტეს, ღამე ჩასაფრებო-

დნენ. მანამდე ციასა და ცისანას გაუმხილეს, ვიღაც გვეხმარება მარგვლაშიო.

— როგორ თუ ვიღაც?! — გაიკვირვეს ქალიშვილებმა.

— არ ვიცით ვინაა, — უთხრა მათ მაკარმა, — სამი დღეა ჩვენს განამარგლს ვიღაც აგრძელებს.

ცია და ცისანა მაშინვე მიხვდნენ, ვინ იყო ის ვიღაც, მაგრამ არ გაუმხილეს ბავშვებს.

— ააშენა მისი ოჯახი ღმერთმა, — უთხრა ბავშვებს ციამ. — ღვთისნიერი კაცი ყოფილა. ხედავს თქვენს აუტანელ შრომას და გული შეტკივა თქვენზე.

— ყველა ასე შრომობს ახლა. რატომ შეტკივა ჩვენზე გული?! — იწყინა მაკარმა. — ჯობია იმ ვიღაცამ თავის საქმეს მიხედოს.

— ის ალბათ, თავის საქმესაც ასწრებს და თქვენც გეხმარებათ. რა არის ამაში ცუდი?! — ჰკითხა ცისანამ მაკარს.

— არ გვინდა სხვისი დახმარება, — თქვა შეურაცხყოფილი კილოთი მაკარმა. — ჩვენ შესაბრალისი არაფერი გვჭირს.

— ეს თქვენ იმას უთხარით, ვინც გეხმარებათ, — მოეწონა ციას მაკარის პასუხი.

— რომ არ ვიცით ვინ არის!

ნატაშამ და მაკარმა იმ ღამესვე გადაწყვიტეს ჩასაფრებოდნენ უცნობს. დაღლილებიც იყვნენ, ძილი ქვეყანას ერჩივნათ, ძალიან ეზარებოდათ სამი კილომეტრის გავლა. შუა ღამემდე ისხდნენ არხში ჩამალულები, მაგრამ არავინ მოვიდა. მთვარიანიც იყო. ყანა დღესავით განათებული. რატომ არ მოვიდა? შეწუხდნენ ბავშვები.

ამ ფიქრში შეუმჩნევლად ჩასთვლიმეს. არ ახსოვდათ, რამდენი ხანი ეძინათ. თოხის ცემის ხმამ გაალვიძათ. მძიმე თოხი ყრუდ ხვდებოდა მიწას.

მთვარე გადახრილი იყო. მსუყედ ანათებდა ცვრით აკრიალებულ სიმინდის ფოთლებს. ახლად გათოხნილი მიწა ხავერდივით ბზინავდა მის ალმაცერ, ნათელ შუქზე.

ნატაშასა და მაკარის კვალში ღამის მნათობით ერთ მხრიდან განათებული მდევკაცი იდგა. თავი ყაბალახით შეკრული და წაკრული. დინჯად მარგლავდა ყანას.

ბავშვებმა მაშინვე იცნეს გუდუია ესვანჯია. ღამის სიგრილით და მიწაზე წოლით შეცივებულები არხიდან ამოხტნენ და გუდუიასკენ გაიქცნენ ძახილით: დაგიჭირეთ, წაგასწარით, ბაბუ! ძალიან უყვარდათ გუდუია. ბარაკში გუდუიასა და მათი ოთახის კარები ერთმანეთს უყურებდა. დილა-საღამოს ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს დერეფანში. კვირას ოთახში ესტუმრებოდნენ. იატაკს დაუგვიდნენ, ლოგინს გაუმზეურებდნენ, მტვერს გადაუწმენდნენ. იცოდნენ მისი ამბავი და ეცოდებოდათ მარტოხელა მოხუცი. ისიც იცოდნენ, გალინა არკადიევნა რომ არა, დღესაც ტყეში იქნებოდა ხალხისაგან განდგომილი.

გუდუია და ბავშვები თევზის ჭერაში დამეგობრდნენ. გუდუიამ ასწავლა ნატაშას და მაკარს რიონში ლლავის ანკესის ჩაბმა ისეთ ადგილებში, სადაც ლლავები ბუდობენ.

— ბაბუ, აი, თურმე ვინ მარგლავს ჩვენს ყანას, — უთხრა ნატაშამ. არ გაკვირვებია, რომ გუდუია იყო ის ვიღაც. ერთადერთი კაცი ვიზეც ეჭვი მიიტანეს ნაფეხურებით, გუდუია იყო.

— გეხმარებით, ბაბუებო, — ისე უთხრა გუდუიამ, თითქოს მოვალე იყო მოხმარებოდა. — რამ აგაყენათ ასე უთენია?!

— არ ვიცოდით, ვინ გვეხმარებოდა და აგერ, იმ არხში ჩაგისაფრთდით, — მიბრუნდა არხისაკენ მაკარი: — რატომ გვეხმარები, ბაბუ გუდუია?! ჩვენ მოვასწრებთ ჩვენი საქმის მოთავებას.

— ვიფიქრე, ვერ მოასწრებდით.

— გმადლობთ, გუდუია ბაბუ. მოვასწრებთ... ოღონდ ხელებმა გვიღალატეს ცოტა, — უჩვენა ხელისგულები ნატაშამ.

— ვიცი, ბაბუ. განა არ დაგინახეთ, რა დღეში გაქვთ ხელები.

— თქვენ თქვენი სამარგლავი რომ გაქვთ მოსათავებელი, — შეწუხდა მაკარი.

—მე, ბაბუ, ჩემსას დროზე ადრე მოვათავებ. ჩემი დღე და მოსწრება თოხი მეჭირა ხელში. თქვენს ხელისგულებს რომ ვუყურებ, გული მეწვის. ანტონის ძმისშვილებს როგორ არ მოგეხმაროთ. ვინა გყავთ სხვა მომხმარე. ბებია ოლგა ცოცხალი რომ გყავდეთ, მიხმარება არ დაგჭირდებოდათ.

ნატაშა და მაკარი საღამოს იმ არხში ტოვებდნენ თოხებს, სადაც წელან დაიმალნენ მოიღეს თოხები. ამოუდგნენ მხარებში გუდუიას და ერთად დაიწყეს მარგვლა.

— ახლა ჩვენი მუშაობა ნადსა ჰგავს, ბაბუებო, — გადახედა ბავშვებს გუდუიამ.

— რა არის ნადი, ბაბუ? — დაინტერესდა ნატაშა. ცოტა რომ გამთბარიყო, თოხს სწრაფად იმარჯვებდა.

— ერთ კაცს მეზობლები რომ ეხმარებიან ხვნაში, თესვაში, მარგლვაში, სიმინდის ტეხვაში, ან გარჩევაში, იმას ჰქვია ნადი.

— ასეთ მუშაობას ხომ კოლექტიურს ეძახიან, — გაიკვირვა მაკარმა.

— არა, კოლექტიურს არ ეძახიან. ხალხმა ძველთაგანვე იცოდა ერთად შრომის ფასი. ერთი პირის ჭირიმე და ბევრი ხელისაო. ბევრ ხელს ბევრის გაკეთება შეუძლია, ბაბუებო, — გუდუიამ სვრელს გახედა: — აი, ჩვენ ერთად გათენებამდე ამ სვრელს ბოლომდე გავიტანთ. მარტო თქვენ შუადღემდე მოუნდებოდით.

ოფლში გალვარული, სახეზე წამოწითლებული შევიდა გალინა არკადიევნა კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტში. ტარიელ ქარდასთან რაიკომის მდივანი ვახტანგ ქანთარია და პარტორგანიზაციის მდივანი ლონგინოზ ლომჯარია ისხდნენ.

— აი, გალინა არკადიევნაც მოვიდა, — შეხედა რაიკომის მდივანმა დაქანცული თვალებით სეროვას. ძალიან დაღლილი იყო. დღედაღამე გასწორებული ჰქონდა. ცოტა ეძინა, [illegible] არ ეცალა. — სწორედ თქვენ გელოდით, — წამოდგა და თავის გვერდით სკამი გამოუწია მაგიდიდან. გაცნობის დღიდან მოეწონა მდივანს ეს მოუსვენარი ქალი. ენერგიული, საქმისათვის თავგადადებული. — დაბრძანდით.

— გმადლობთ, ვახტანგ სემიონოვიჩ, — სახე შეიწმინდა ცხვირსახოცით და დაჯდა. სული მოითქვა. ეტყობოდა ჩქარა მოდიოდა პაპანებაში.

— როგორაა საქმე? — ჰკითხა ტარიელ ქარდამ.

— ცუდად. ძალიან ცუდად, ტარიელ გრიგორიევიჩ!

— ძალიან ცუდად. ეს უკვე აღარ არის კარგი, — თქვა რაიკომის მდივანმა. — სამი დღის წინათ არ ამბობდით, ძალიან ცუდადააო.

— სამი დღის წინათ არ იყო ძალიან ცუდად, მაგრამ როგორც ხედავთ, გვალვა გრძელდება, ვახტანგ სემიონოვიჩ! სფერულ კვლებზე მიწა უფრო გაიტკიცა. გამაგრდა. თოხს არ იკარებს. მხოლოდ ცია ცანას ბრიგადა მოათავებს დროზე მარგვლას. როგორც იცით, ბრიგადებში უმრავლესობა ლტოლვილი ქალებია. არ იციან მარგვლა. ახლა სწავლობენ გაქვავებულ მიწაზე.

— თქვენ ხომ ბრიგადებში მერგოლურებად გამოცდილი მესიმინდეები გყავთ.

— სწორედ ისინი ასწავლიან ქალებს. კარგად ასწავლიან, მაგრამ მიწა არ იკარებს თოხებს, — გაიმეორა ისევ სეროვამ.

— თქვენ ბრძანეთ, მხოლოდ ცია ცანას ბრიგადა მოათავებს დროზე მარგვლასო? — ჩაეკითხა სეროვას რაიკომის მდივანი.

— დიახ.

— ალბათ, იმიტომ, რომ ის ბრიგადა ოვალურ კვლებზე მუშაობს.

— არა მარტო იმიტომ, ვახტანგ სემიონოვიჩ. ამ ბრიგადაში დაწყებული ბელორუსი ბავშვებით — დეიდა ბაჩილოს შვილიშვილებით და დამთავრებუ-

ლი ყველაზე ხნიერი გუდუია ესვანჯიათი, სუყველა კარგად მუშაობს. ისიდორე სიორდიას რგოლი კი ხვალ ამთავრებს მარგვლას. რასაკვირველია, მათ წარმატებას ოვალური კვლებიც უწყობს ხელს.

— რას იტყვით, ტარიელ? — მიუბრუნდა რაიკომის მდივანი თავმჯდომარეს.

— მოათავებს თუ არა ცია ცანას ბრიგადა მარგვლას, მისი წევრები იმ ჩამორჩენილ ბრიგადებში უნდა გადავიყვანოთ. აქვე მინდა ავღნიშნო... მარტო ის არ არის ბრიგადების ჩამორჩენის მიზეზი, რომ მისი წევრების უმრავლესობამ მარგვლა არ იცის. სფერული კვლები დატბორა წვიმებმა, მერე ერთბაშად გვალვები დაიჭირა და მიწა გამაგრდა, გაიტკიცა. მართლა არ იკარებს თოხს. ოვალური კვლების მიწა კი ისე ფხვიერია, თოხი თავისით მარგვლავს სიმინდს.

— დიახ, ასეა, ტარიელ გრიგორევიჩ, — დაუდასტურა თავმჯდომარეს სეროვამ,— გამოგიტყდებით, ცია ცანამ თავის ყანაში სფერული კვლების ოვალურ კვლებად გადაკეთების საკითხი რომ დააყენა, გულში ვშიშობდი, ვაი, თუ ვცდებით-მეთქი. ეს შიში ბევრ ჩვენგანს აღელვებდა, მაგრამ არ ამხელდა. რისკს გამბედაობა უნდა. ჯერ პირველი მარგლვა არ მოუთავებია ცია ცანას ბრიგადას და ისეთი სიმინდი დგას, ავ თვალს არ დაენახვება.

— მე სიმინდის ბევრი ყანა მინახავს ჭალადიდში, ქვალონში, თვით აბაშასა და დარჩელში, მაგრამ ისეთი, როგორც ცანას ბრიგადის ყანაა, ზღაპრადაც არ მსმენია, — თქვა რაიკომის მდივანმა. მის გამხდარ, ფერმკრთალ სახეს ნელი შუქი შეეფინა. — ახლავე შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, ოლგა ბაჩილოს ოვალურმა კვლებმა გაამართლა. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თქვენ კარგად ბრძანეთ, გალინა არკადიევნა, რისკს გამბედაობა უნდა. ეს გამბედაობა ზოგჯერ გვაკლია. მართალია, როგორც რუსული ანდაზა ამბობს, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან, მაგრამ დასაწყისი რადგან ჩინებულია, არ შეიძლება დასასრული ისევე ჩინებული არ იყოს. ცანას ბრიგადის ყანას ვერც წვიმები ავნებს და ვერც გვალვები.

— გაისად ყველა ბრიგადის სფერული კვლები ოვალურ კვლებად უნდა გადავაკეთოთ, ვახტანგ, — თქვა ტარიელ ქარდამ.

— აუცილებლად, ტარიელ გრიგორევიჩ, — განაგრძო სეროვამ. — გუდუია ესვანჯია ამბობს, ცანას ბრიგადის ყანაში ყოველ ჰექტარზე სამოც ცენტნერ სიმინდს ავტეხავთო.

— თუ მეტი არა, გალინა არკადიევნა, — დაეთანხმა ლონგინოზ ლომჯარია.

—დიახ, ტარიელ, გაისად კოლმეურნეობის მთელ მიწაზე ოვალური კვლები უნდა გავაკეთოთ, — კმაყოფილებით შეხედა რაიკომის მდივანმა თავმჯდომარეს. — ეს დიდი საქმეა, ამხანაგებო, — მიმართა ყველას. — ძალიან დიდი. ძეგლი უნდა დავუდგათ ოლგა ბაჩილოს.

— მართლაც ძეგლის ღირსია, ოლგა ბაჩილო, — უთხრა ტარიელ ქარდამ. — ოვალურ კვლებს კიდევ ერთი უპირატესობა აქვს. ერთ ჰექტარზე მისი მოწყობა მხოლოდ ექვსასსამოცდაათი მანეთი დაგვიჯდა, მაშინ როდესაც სფერული კვლების მოწყობა ათასორასი მანეთი ჯდება. ორჯერ მეტი ფული და ორჯერ მეტი დრო იხარჯება. დროს დიდი ფასი აქვს ჩვენთვის.

— ჰო, ტარიელ. ახლა ჩვენთვის განუზომელია დროის ფასი, — განაგრძო რაიკომის მდივანმა. — მოგეხსენებათ, რა მნიშვნელობა აქვს დროს იარაღის, საჭურვლის, სურსათის და ომისათვის სხვა მრავალი პროდუქციის დამზადებისათვის. ძველად ერთმა ჭკვიანმა კაცმა თქვა: სხვებს ის უსწრებს, ვინც დროს უკეთ იყენებსო. ჩვენ დღეს ასჯერ უფრო ვალდებულნი ვართ დრო უკეთ გამოვიყენოთ. ამას ომის ბედი გვავალებს. დრო ომისათვის უნდა ვამუშაოთ. უნდა გავუფრთხილდეთ თვეს, დღეს, საათს.

— წუთსაც კი, ვახტანგ სემიონოვიჩ!

— დიახ, წუთსაც კი, გალინა არკადიევნა. ერთ წუთში ახლა ორი ტანკი, ერთი ავიოგამანადგურებელი, ჯარისკაცის ათასობით ფეხსაცმელი, თექვსმეტი ათასი კვადრატული მეტრი ქსოვილი მზადდება. აი, რა დიდია, ამხანაგებო, ერთი სამუშაო წუთის ფასი. თვალის ჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ დროს, დრო ყოველთვის ძვირფასი იყო ადამიანისათვის. ამჟამად კი ასჯერ უფრო ძვირფასია, — ცხვირსახოცი ამოიღო შარვლის ჯიბიდან და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. დაღლილი იყო. დილიდან რამდენიმე კოლმეურნეობა შემოიარა, იყო მტე-სებში, ქარხნებში. — არ ვიცი წუთში რამდენ ჰექტარ სიმინდის ყანას მარგლავენ ჩვენში. ასს, ორასს, მაგრამ ვიცი, რომ სიმინდის და ხორბლის ყოველი მარცვალი ოქროა ჩვენთვის, როგორც ყოველი ტყვია, ყოველი ჭურვი. კარგი გიქნიათ, რომ ცანას ბრიგადის წევრების განაწილება გადაგიწყვეტიათ ჩამორჩენილ ბრიგადებში. ეს ბევრად წასწევს წინ საქმეს, — ცხვირსახოცი დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო. — ბალახის თიბვის საქმე როგორ-ლა მიდის?

— ვერ მიდის კარგად, — უთხრა ტარიელმა. — ფერმის გამგე ბურდა კვარაცხელია ქვეყანას აქცევს — მთიბავები მომაშველეთო.

— მართლა საგანგაშო მდგომარეობაა ფერმისათვის, — უთხრა რაიკომის მდივანს ლონგინოზ ლომჯარიამ. — ზღვასავით მოდის ბალახი. ვერ მოვასწრებთ მოთიბვას.

— კარგი იქნება, ვახტანგ, თუ იქაც მივახმართ ხალხს მთიბავებს, — ტარიელ ქარდამ პაპიროსს მოუკიდა. — მასწავლებლებს და უფროს კლასელებს.

— მოდით, წავიდეთ, ამხანაგებო, მთიბავებთან, — წამოდგა რაიკომის მდივანი.

— დაღლილი ხართ, ვახტანგ სემიონოვიჩ, — უთხრა სეროვამ.

— არაფერია, გალინა არკადიევნა! — ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება, — გაიცინა რაიკომის მდივანმა. თვალის უპეებთან ნაოჭები აესხა. უფრო დაეტყო დაღლა. ციებისაგან იყო გაწამებული.

□გაგრძელება იქნება□

ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**თენგიზ კაკუშაძე**

* * *

კვირა, შუადღე, სიწყნარე სუფევს,
ცაა უსაზღვრო, მშვიდი, კრიალა
და მიძინებულ სიმწვანის სუფრებს,
გაყუჩებიათ ქარის იარა.
ძველს, განცდილ განცდებს
აღორძინებულს,
ივსებს და იტევს ხსოვნის ფიალა...

გადარჩენილი ოცნების კალთა,
ისევ ნატრულობს ფიქრების ფიფქებს,
ძველი მომდგარი ახალის კართან,
თავს მაგონებს და ნაზ ხელებს მიქნევს.
ნეტავ გაცოცხლდეთ, ძველო ლანდებო,
იმ სიყვარულის სასწორმა გვწონოს,
ტკივილო, სხვაზე არ გადამდებო,
შენ, სინანულო, მომიღებ ბოლოს!

* * *

შენთან მოვდივარ ჩემი ფიქრების,
დასაწმენდად და დასახვეწელად,
ხანგამოშვებით ერთად ვიქნებით,
ასე გვსურდა და ასე გვეწერა.
ქარებს აუსხი ღრუბლების მძივი,
გამომეცხადე შვების ხატებად,

როცა ლოდინში გაწყდება სიმი
და გაწყდომის ხმა გაგვიხარდება.
შენ ჩემი შვების ნავსაყუდარო
და სიმყუდროვის გზნებავ პირველო,
შენი ავდრები დარებს ვუდარე,
მიმზიდველო და გულთამხილველო!

* * *

მომიქსოვე იმ სხივებით
სანუგეშო ფარჩა,
მკერდში რა ცემს ამიხსენი,
გული ხომ მანდ დარჩა.
სიმწვანეზე გადმოხვეტე,
იმედები ბლუჯად,
გულწასული ზეცის ჭვრეტამ
სული ჩამილურჯა.

მზის სხივები გაერია
ბაღში ვარდს და ეკალს,
რა სპეტაკი ჰაერია,
თითქოს ზარი რეკავს.
როგორც მზე და როგორც ღმერთი,
სულთან ისე მოდის —
ამ საყვარელს, ამ გაცვეთილს,
ვერ გავწირავ მოტივს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

შენ ერთადერთ პატარა ბლის ხევ,
მახსოვრობაში გამქრალო მკრთალად,
იმ თვალმილულულ დღეებთან მიხმე,
შეგიგრძნო ისევ ფერშემკრთალ ქალად.
წვიმიან დღეში შემოგანათებს,
ბუხრის სიღრმიდან ალი, ლადარი,
იმ მოწყენილი დღეების მნათევ,
დრო გულსატკენი ნეტავ რად არი!

* * *

მე იმედების სრულ მტევნებს ვწურავ
და ხშირად ვთვრები ამგვარ ნაწურით
და სასმისებში ვჭრეტ როგორ ცურავს
წუთები, ამ წლებს შემოძარცული.
შემდეგ ისე, ვით ქარი ტიალი,
კვლავ ფიჩხებივით ვკრეფავ იმედებს
და მწამს იმედი ამგვარ ტრიალით
სიკვდილამდე რომ არ გამიმეტებს,
რა ვქნათ, მრავალი ფერი თუ ეცვა,
თვალებს ფიქრიანს, წუთებს
პირწყლიანს,
სიკვდილის წუთში შევძახებთ ზეცას,
რომ ჯერ სიცოცხლე არ დაგვიწყია!

* * *

თვალებში ბრწყინავს ძვირფას მძივებად
წყნარი წუთების ხსოვნა მზიური,
როდესაც ცაზე გაემწკრივება,
თეთრი ღრუბლები ელეგიური.
მზით დაცვარული თეთრი ღრუბლები,
უნაცრისფერეს ქედების თავზე
და სურათები ჯავრხელუხლები,
მოგონებებში ცოცხლდება ასე.
გრილ ოთახებში აპრილის კვირტად
დაცეცხლღვარობდა შენი არსება,
ეომებოდა არიმანს მითრა
და იწყებოდა მთვარის ავსება.
ხალისის მომგვრელ სითბოს ვეულე
და მაწუხებდა სურვილთ სკდომის ხმა
და გაზაფხულის ნაზი მეუფე
იმ ტოტებივით ნაზად გამიხმა.
წყნარი წუთების ხსოვნავ ურიცხვოვ,
შენს მლვიმეებში დავალ მოკეთე,
დასალოცავად თუ დაგივიწყო,
ზეალმართული მკლავი მომკვეთე.

* * *

ისევ მომხედე, რომ შენს ფერადებს,
შუქი დაადგეს ისევ ელვარე
და ასახდენელ ბედისწერამდე
დამხსნელ ხატებად გადამეფარე.
შუქი, რომელიც შენს ყოველ
წვრილმანს
გამომიფენს და შექმნის სართულებს,
აღმიდგენ ყოველ დარსა და წვიმას,
მახსოვრობაში მიმოფანტულებს.
და მიეცემა ნივთებს სიმკვეთრე,
ლმობიერება ხელშესახები,
ამ ნაზ ყვავილებს მკერდზე ვიკეთებ
თუ არ დამიჭკნა ხსოვნის ბაღები,
ლექსია მათი შემკრთალი ქარგა,
სულის სიღრმიდან ამოსაღები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

წავაგე, ასე როგორ წავაგე,
ახლა რაღა ვქნა, მადლო განგების,
ვაფორხიალო ისევ გზა-ვაკე
თუ სინანული ვზიდო წაგების.

მაისის დღეა, დღე მშვენიერი,
ასეთ დღეებში არ თვლიან ცოდვებს,
ზეცამ გვიბოძა ის ზნე და ფერი,
წაუგებელი ვიყავით ოდეს.

* * *

წლების წრიალო, მაინც მიმათრევ,
წარმოსახვებით ხანდახან თუ მსჯი,
ბავშვის თვალებში ჩამრჩა სინათლე,
ღამის ქუჩა და სინათლე ლურჯი.
ვიტრინებს იქეთ წყლები, შროშანი,
როდის დაჭკნა და სანამ იხარა,
ის დრო დღეს ჩემთვის უფრო შორს არი,
ვიდრე რომი ან ვიდრე ქვის ხანა.

გაოცებული მაინც იქ ვიცდი,
სად წავედი და საიდან მოველ,
სასიყვარულო წარმოსახვისთვის
ღამის წუთები ულმობლად მგმობენ.
და ვასავსავებ ფიქრებს უძლურად
და ამ განწყობას რაღაცას ვადრი,
მგონი, მაგონებს სიცოცხლის კუნძულს
ტვინს ჩახატული ეს ერთი კადრი.

* * *

იმედის რტოო, შენს სულთქმის უნარს,
გაოცება და ჩემი პატივი,
რომ შემშრიალებ ხანდახან მჭმუნვარს,
ასე რთული და ასე მარტივი.
როცა დღეები ჩრდილებს მასევენ
და მაშინ გვცვივა მწიფე ნაყოფი,

ასიათასჯერ შენთვის ასევე
თანაგრძნობა მაქვს შემოსალობი.
და შენს ძალის ხმას მით ვიზიარებ,
როცა დღეებში ცვივა ღამენი,
ზამთარში ვნების მძიმე სიზმრები,
ზაფხულში ვნებით მოკამკამენი.

* * *

ოღონდ ხე იყოს იმ აივანთან,
სადაც არ არის ხეი, რომელიც
გიშრიალებდეს ხალათის კალთას,
მიმზიდველი და არა მთმობელი,
ჩამობინდული თბილი მაისის
უფრო და უფრო გამათბობელი.

ოღონდ შენ იყო ისეთი ისევ,
როგორიც გინდა შენ და უფრო მე.
ოღონდა იყოს ის სიხალისე,
რომელსაც შუღლი ჩამოუთოვე,
სუყველაფერი იყოს ოღონდა,
სუყველაფერი იყოს ოღონდა,
ის მაისები როგორ დამწუხრდა,
საღამოებ როგორ მელონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სად ხარ, ხვეწნათა ხატო ნახვეწო,
რატომ გაღვივდა ჩამქრალი ალი,
არცერთი სიმი აღარ ამეწყო,
როცა მავანმა მოგტაცა თვალი.
უნდა წავიდე, როგორც მლოცველი,
დაკარგულ დროში სულის სახსნელად,
თავდავიწყების ალბათ დროც მელის,
თუ არ და ის დრო რამ გამახსენა.
ერთი ჩამოვლა იმ წლებს ჩაძირულს,
ერთი ჩამოვლაც და ალბათ ბოლო,
მომეჩვენები როგორც განწირულს,
შენ, ვისთვისაც იქ მოვედი მხოლოდ.

* * *

მიტოვებული უბნის მშვენებავ,
უნდა მითხრა და უნდა ამიხსნა,
რა მწყუროდა და რა მეჩვენება
გახახხახებულ შენი ღამისგან.
რა ხმები მესმის სულის დამტკბობი
და დაწურული წლების ძირებთან,
ვინ მიხვდებოდა ხალისთა მშობი,
დრო ჩამოღლილი ჩაიძინებდა.
არაფერია, იძინე მზეში,
ბევრი მოგიწევს ღამის გათევა,
როდისმე მოვალ, რომელიც შეგრჩი,
ერთგული, ხელის ჩამოსართმევად.

* * *

იმ ღამის მსგავსი ღამე ვათენოთ,
რომ განთიადის მღვრიე ვნახოთ ცა,
ძველთა სურვილთა კორიანტელო,
იმ სურვილების გზნებამ დაგვხოცა.
დაგვხოცა? არა მე ერთი მომკლა,
დროს როგორც სარკმელს შუბლით
ვაწვები,
როგორც ის წლები, ისე არ მოხვალ,
ოხრავენ დილის ქარში ნაძვები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჭილაძე

# აია-კოლხიდელი ზღვაოსანი

### პოემა

### XXIX

სამი დღეა ულვთო ელდას
ხალხი დაჰყავს ძაძიანი,
მეფეს ზარავს უცხოელთა
ხლება, ელჩთა სამძიმარი.
მიჰყინვია ქალაქს დაღლილს
ძაძასავით შავი ელვა,
კაცი კედლებს თავს არ ახლის,
თორემ — რისხვა არ ილევა,
მოირხევა ტალღა თალხი
და შეერთვის ხალხის ღელვას
ვიღაც ძაღლი-მამაძაღლის
დედისა და მამის წყევლაც:
— მეფის ქალი ვინც წაგვგვარა,
ჩვენს შემრცხვენლად ვინც აღმდგარა,
არ მიილოს წინაპარმა,
არ იხაროს მისმა გვარმა!...
უწყევლიან მკვდარს და ცოცხალს,
არ აკლებენ „ზმას“ და „ლოცვას“
მის ყველა კარგს, გასათხოვარს,
თავს — ადრევე გასახმობარს.
აიელებს სულში ელდად
რა სირცხვილიც დასცემიათ —
წყევლა რაღას უშველიდათ
თავლაფდასხმულთ, თვალცრემლიანთ!
აქ არავის არ ეგონოს
თითქოს რამე სიყალბეა.
თავის მოჭრა არ იგლოვონ?...
რა დროს დარდის ნიღაბია!
ცრემლში ზილეს ქუჩის მტვერი
უსასოოდ დაბმულებმა,
შეიცხადეს ურიცხვ მდევრის
ხელმოცარვით დაბრუნება,
ოღონდ დადის ნელა, უხმოდ
სასახლის წინ ზრდილი ხალხი,
მეფე რომ არ შეაწუხონ —
ძირს გაფინეს ზღვის ბალახი,
ზედ ეტლები გადადიან
ჩუმად, როგორც ეტლის ლანდნი;
დიდვეზირი გადარია
რიდმა აიეტისადმი.
მაგრამ იგი მაღალ სტუმრის
ხელმწიფესთან მიღებისას
ღვრიდა სახეგაბადრული
მარაგს ბერძნულ სიტყვებისას.
ახლა, უცხოელებთან
არ იღებდა ხმას ჯამბაზი,
წყურვილს უცხოველებდა
მათთან მეფის სჯა-ბაასი.
მას მოსწონდა ტროელის
ოქროს თმებიც, ფეხსაცმელიც,
ამოდ დამათრობელი
სურნელებაც ნელსაცხებლის...

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 7.

ხელზე გემმა შვენოდა,
ტანთ — ბრწყინვალე სამოსელი,
მწირად გამოჩნდებოდა
მასთან ყველა არგოსელი,
მკერდზე მისთა ალმასთა
მშვენიერი შეხამება
დიდ სამეფო დარბაზთან
ვეზირს ძალზე შეხარბდება.
გაიღიმა მან ლამაზად —
სტუმრის შურით შეძრულმა,
როს ბერძნული ახალგაზრდამ
სხარტად ჩააბერძნულა.
ისხდნენ მისი თანმხლებნი
ჩუმად, თითქო პირდამწვარნი,
შემოსილნი თალხებით,
ვითარც მათი წინამძღვარი.
როცა მხოლოდ მოწმეა,
თავს თვლის განზემიგდებულად —
ამ დროს იცის მოწყენა
აიელმა დიდებულმა.
მეფის კარის პოეტი
გულში ჩუმად იგინება —
სამძიმარი ყოველთვის,
რომ ერთი და იგივეა.
კარისკაცი გაწამდა
და მოსძაგდა საუბარი,
დამთქნარებით დაცალა
მოთმინების საგუბარი.
ახალგაზრდა ტროელმა
გაუსწორა მეფეს თვალი
და თქვა აუთრთოლებლად:
— გველად მექცეს ჩემი ხმალი,
თუ ვილაც არგოსელთან
დიდხანს დარჩეს თქვენი ქალი!
ჯანკამ სახე იცვალა —
საგანგებოდ გაპარსული —
დაუბლაგვა იმ წამმა
ცხვირ-ნიკაპი გაბასრული
და წინასწარ იმწარა
ამ საუბრის დასასრული.
მეფის კარის პოეტი
გულში აღარ იგინება:
სამძიმარი ყოველთვის,
რომ ერთი და იგივეა.
ბოლოს ადგა სტუმარი,
ოდეს ბრძანა, რაც უწყოდა
და ხელმწიფეს უსტარი
მოწიწებით გაუწოდა.
პირნი — მისი თანმხლებნი —
მორიდებით ადგნენ ჩუმად,
შეძრულიყო ნაღველით
ფერი მათთა აბრეშუმთა.
და ვეზირმა როდესაც
მალვით წასვლა დააპირა,
მთელი მისი ცხოვრება
მაშინ დადგა თავდაყირა.
რომ აკმარა სიმწრის წერილს
მეფემ თვალის შევლება,
დაიტეხა შვილის ცრემლი
მის თვალებში ელვებად,
უმკაცრესი სიძლიერის
რისხვად, საშინელებად.
მეფემ თითით უხმო ჯანკას:
— შენზე ხელს არ გავისვრი,
უხელოდ და უხმლოდ ჩაგკლავ,
სხვა სიკვდილის ხარ ღირსი.
ბილწო, გაგცა ამ წერილმა,
ჩაესვენა შენი მზე! —
თქვა და სახეალეწილმა
წიხლი ჩასცხო ზედიზედ,
მტრობა სისხლით აწყვევინა,
შემდგა მეფე ვეზირს ზედ,
შხამად წამოარწყევინა,
რაც შეუსვამს დედის რძედ.
ფეხით თავი დაუთეთქვა
წმინდად პირგაპარსული,
მეფემ წამში გაუერთა
მას აწმყო და წარსული,
სიკვდილის წინ დაუბედა
რაღაც სხვა დასასრული...

XXX

— ე, მაგისთვის სარდალთ საბჭოც
დავითხოვე თავმდაბლად,
ე, მაგ არაკაცად ნაშობს
ვსვამდი ყველგან თამაღად,
ლამის ვიქეც სათამაშოდ
მაგის ხელში, არადა...
თურმე ღვარძლით დამპალ სარჩულს
საპირე მიმალავდა.
მაგას — წარმყვნელს ამაგისას —
მაგას დავემოკეთე,
მაგის გამო ძმას მაგისას
ვემტრე, თავი მოვკვეთე.
ეგ მურდალი, პირთახსირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ცოცხალი გადარჩა,
წაათრიე, ვითარც ვირი,
შენ გემონოს მარადჟამს —
კი არ დაგიჯდება ძვირი —
არსაჭმელსაც კარგად ჭამს.
(დაიგმინა ნაკაცარმა —
ხელმწიფის დატორილმა)
— ყველა მაგან გაამწარა, —
ჰკადრა მეფეს ტროელმა.
— ეჰ, ჭაბუკო, ვუწყი ვინც ხარ,
უცხოობა არ გშვენის;
გიცნობ უმცროს ძმობის ღირსად
ბადიშს ბაბუაშენის;
მწამხარ, რა თქმა უნდა, მისგან,
ვისაც შენ ეშველები;
შემოგხედე, უცებ გიცან —
თვალის ერთი შევლებით.
(წამოსწია თარსი თავი
შიშით ნავაზირალმა;
არ ძალუძდა თავისსავე
სისხლში გაესრიალა,
მცურავივით რალაც ავი
გამოსცრა გესლიანად).
ზოგს უენო რომ ვგონივარ,
მათ რა უწყით ჩერჩეტებს!
ზრდილო ბუბა ოდორიავ,
დროა მეფე შეჩერდეს?...
ჭირში შვების მონიჭებამ
გამაბრუა, დამათრო.
ბრძვილი ალბათ მომირჩება,
მნახე, ოდეს გავა დრო;
თავისუფლად მოდი ჩემთან,
თავი არ მომანატრო.
უმედეოდ შევხვდით ახლა, —
აიეტმა თქვა ხვნეშით, —
შინაური მტრებიც მახლავს,
მაგრამ ამ ხმლით დაჩეხილს
ძვირად ნახავ, — ხელით ვლახავ,
ზოგს ფეხითაც — ძაღლიშვილს.
ზურგსუკანაც ბევრი მძრახავს
გარეთ და სასახლეშიც,
მაღ მეძახის ბევრი გლახა
გადარეულს და შეშლილს.
(აიეტმა მას დახედა:
სისხლში თავჩამხობილი
ძირს ეგდო და ცახცახებდა
დიდვეზირი — ყოფილი).
ეგ ძვირფასი ტანსაცმელი
რომ გაცვია ტროელის,
აიას და ტროას ძნელი
ცხარე ბრძოლის დრო ელის;
უერთგულეს ძმად ვექცევი —
მიერთგულებს რომელიც...
თავს ხრის ბუბა მორიდებით
აიეტის წინაშე:
— დიდო მეფევ, მომიტევეთ
წელანდელი სიბავშვე —
არ მოტყუვდა სხვა ფანდებით
თვალი მთავარ კარიბჭის...
ახლა თქვენი დავალებით
ჰკუაც უფრო გაგვიჭრის —
ვპოვოთ მისი ნაკვალევი,
ვისი ძებნაც არ გვიჭირს,
გზას გავიკვლევთ ვარსკვლავებით,
ძმას რა მიშავს ცხრა ბიჭის —
შორსმჭვრეტელი აქვთ თვალები,
ძალაც მოსდევთ და ნიჭიც,
ათვეს ერთი საწადელით
არგოსელთა ჯავრი გვჭირს!
და პასუხობს აიეტი
ნათქვამს გულზე მოხვედრილს:
— ვატყობ, ჭირშიც თან მდევს ბედი —
სწორედ დროზე მოხვედით;
ახლა რწმენა და იმედი
თქვენ ხართ მთელი კოლხეთის.
ვარ მლოცველი ჩემი ძველი
თანამოძმის ბადიშის,
დღეს რომ კარში გაუძვერი
ეგეთ ნაგაზს დაგეშილს;
საბერძნეთში ამა წერილს
მას ვატანდი ძაღლიშვილს.
(აიეტმა კვლავ დახედა:
მისი ნავეზირალი
იწვა, მალ-მალ თვალს ახელდა
მალულ მათკენ მზირალი.)
ელადაში განა მსტოვრად,
გგზავნი როგორც სპასალარს;
არგოს მეფეს შეხვდი სწორად,
ამას ჰკადრებ სხვას არას:
ვუთვლი ქალის წაგვრას მტრობად
მას და მისსავ მასხარას.
დამიბრუნოს მან ასული
ოქროს საწმისიანად
და უნახოს სხვა საცოლე —
ვინც სწამს თავისიანად,
თვითონ იქცეს თავგასული

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამზადის სიმამრად,
თორე თავზე ლაფდასხმული
ივლის მასთან ზიარად.
ურიცხვ ოქროს გატან საგზლად,
ჯიბის ფულად სახარჯავს,
ზურგის ქარი თანამგზავრად
გდევდეს ყველგან, მარადჟამს;
დაბრუნდები — მთავარსარდალს
გეტყვი ძმობას და ვაშას.
...წერილს მისცემ, როგორც ფირმანს
მთელი ქვეყნის სახელით! —
თქვა და ბუბა ოდორიას
ჩამოართვა მან ხელი.

### XXXI

დამდგარიყო დრო მათი,
ძმებს სიცოცხლე უხაროდათ:
უაფრებო ხომალდი
მიგელავდა უქაროდაც.
და დღედაღამ მბორგავი,
ცხენთა ძალის გადამცემად,
ღვედის ძარღვით ბორბალი
ნიჩბებს წყალზე ანარცხებდა.
მძლე ხომალდი — გაკრული
ამრეზილად მზირალ ზღვაზე,
ქროდა, როგორც ზღაპრული
ხელთუქმნელი სილამაზე,
ქროდა რისხვად დაძრული,
ქიმზე ლახვარშემართული,
როგორც ხილვა ტაძრული
წარმართული, ძველქართული.
უბერავდა ნიავი
და ის ჟამი იდგა, როცა
ზღვიდან ადამიანი
მონატრებულ მიწას ლოცავს.
ჯერ ითმენდა შავი ზღვა,
მერე ზვირთნი დაახვავა,
ქარავნებით დაიძრა
სასწაულის სანახავად:
მარჯვედ სცემდა ას ნიჩაბს
ათი მოყმე ზღვისპირელი,
თავად ჰგავდა ქარიშხალს
ასფრთიანი ზღვის ფრინველი.
ოხვრა შორი სიღრმიდან
ცად აღმოხდა წამოთფოფრილს,
მან პირველად იხილა
უძლეველი ძალა ბორბლის;
მზის სახებად და შვილად
იცნო თვალი მზისმიერი
და, რატომღაც, დამშვიდდა
ზღვა, კაცივით ღვთისნიერი.
თუ ხვდებოდა სივრცე ლურჯი —
მყობადისთვის რას ნიშნავს,
რომ უშენდა წმინდა სულში
ათი კაცი ას ნიჩაბს?
მომავლის ხმას გაიგებდა
ეს სილურჯე, ეს წყალი,
რა სივრცეებს გაიკვლევდა
ელადაზე შემწყრალი
დიდი წინაპარი გემთა,
ზღვის პირველი მერცხალი?!
ჰჭრეტდნენ ხომალდს გაოცებით,
მერე შიშით — ერთმანეთს —
უცხოელი ზღვაოსნები
და მეც ვიტყვი ერთ რამეს:
რაც თქმულება გვაბადია —
ითქმის იგავ-არაკად?
აქაც მსგავსი ამბავია,
„ხომალდს" ვამბობ, მაგრამ რად?
გადავნათლოთ და „ბაიას"
გემი დროზე დავარქვათ.
და საქვეყნოდ იყოს ცხადი,
რასაც ბნელი ჰფენია —
პირველი თვლის და ფოლადის
შემოქმედი გენია,
რომ მიაფრენს — ის ხომალდი
პირველქმნილი გემია.
ქედმოხრილი, ოდნავ გვიან,
მონად ათი ძმობილის,
გემზე ბუბა ოდორიას
ახლდა ვეზირ-ყოფილიც.
რაც მას მისად მიუსაჯა
მეფის სიტყვამ — კანონმა:
ბუბა ოდორიას დარჩა
ვითარც ვერი და მონა.
და რაც ერქვა ნავეზირალს —
იცნობთ სახეგაცრეცილს;
სულში წამლად არ ეძია
სინანულის ნამცეციც.
ეგდო იგი ბუბას ფერხთით:
— ჩემო დიდო ბატონო,
არ გამწირო, თუ გწამს ღმერთი,
მარტო არსად დამტოვო.
ბნელ საქმეთა სამსახურად
მზის ქვეყნეთში გაჩენილს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეშინოდა მას საკუთარ
თავთან მარტო დარჩენის.
ჯანი ჯერაც არ ერჩოდა
ჯიგრიანად დატორილს.
პირსახეზე ალბეჭდოდა
ხელი მეფე-ბატონის...
შურდა, ერთ დროს ყოვლისშემძლეს,
ხვედრი თავისუფალთა
და გზადაგზა ცოდვილ ლექსებს
ჰაიჰარა უთხზავდა —
ცაში აჭრილ ქორებს, მერცხლებს,
გედებს, ბატებს, თუ სხვათა.
მერე არაყს — მენამცეცე —
სუფრის შემდეგ ხუხავდა.
მან ისწავლა პურის ცხობაც
სხვისი საცვლის გარეცხვაც,
ეგებ ბევრი დიდი ცოდვა
წაერეცხა გარეწარს;
ვისაც ბედმა ბევრჯერ მკაცრად
მოანატრა სხვა დრონი,
ახლა გემზე, ერთის ნაცვლად,
ჰყავდა ათი პატრონი;
ვინც თავისად მიიჩნია
აიეტის სასახლე —
კიჩო გახდა მისი ბინა,
ვიწრო, როგორც საძაღლე...
და რაღაცის მოიმედე,
წრფელად, განა გულცივად,
გემის გალიაში მტრედებს
წყალს ყოველდღე უცვლიდა.
ერთ დღეს ბუბა ოდორიას
ჩიამ სთხოვა: — მადლია,
მას თუ დავსვამთ, როგორც იაქს,
სადმე ვერან ადგილას...
კაცი რომ არ გაეკაროს
როგორც ღამის უკუნს — მზე,
მიწაც თავად დაეყაროს
უკაცრიელ კუნძულზე.
ველარ ვუძლებთ მაგის სახეს,
მოგვწყდეს აუცილებლად! —
ძმებმა ერთხმად განიზრახეს
მისი ჩამოცილება.
მაგრამ ბნელით მოცულ ჯანკას,
როგორც შავი მეჭეჭი
არათითზე რომ უჩანდა —
შხამი ესხა ბეჭედში.
ისღა აკლდა, რომ დაეწყო
მცურავივით სრიალი,
უფრო კარგად რომ გაეცნო
ათ ძმას ნავეზირალი.
ჯანკა თვალებს აცეცებდა,
მაგრამ განა მოწამვლის,
რაღაც სხვა გზას დაეძებდა,
რაღაც სხვა გამოსავალს,
რასაც ქვეყნად ვერასოდეს
გაუგებდა ვერავინ,
სხვას ეძებდა ვერავობას
ძველი მსტოვარ-მზვერავი.
იჯდა იგი თავჩარგული
ლურჯ ბრინჯაოს ლუზებთან
და მსხვერპლს, ბედით დაჩაგრული
გლახასავით უმზერდა.
ზღვას აპობდა გემი მათი
ასი ნიჩბის ტლაშუნით,
ტალღებს კვეთდა გოლიათი
რვალით შემოჯავშნული:
ბასრი ქიმით ჰგავდა რისხვას,
წყალს აფრქვევდა შხეფებად,
გუგუნებდა, მართლაც მტრისას
მისი ერთი შეხება!

XXXII

შემოდგომის დილა იდგა
შუაზღვაზე, როდესაც
მეზღვაურებს გემბანიდან
ქალის მოთქმა მოესმათ.
ზვირთს სჩვევია — დაიკივლებს
უცხო ხმაზე ხანდახან...
ძმებმა დიდად გაიკვირვეს,
ყველამ შეიცხადა ხმა.
ზღვაში წლობით გაწაფულთა
მაჯისცემა აჩქარდა,
ხმა შეიცნეს, რა თქმა უნდა,
ის გოდებდა აშკარად...
ათივ შეცბა და გაოცდა:
გულზე ცეცხლის მომდები —
ბნელმა კიჩომ ხმა გამოსცა
დიაცური გოდების.
ჯანკამ ისევ დაიკნავლა,
ცრემლად ღვარა ნაღველი;
ხელში ეპყრა თავის ქალა —
აიეტის ნახმლევი.
და თქვა ბუბა ოდორიამ:
„ყალბად, ძალისძალათი
თვალზე ცრემლებს როგორ იბამს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი ძმის ჯალათი?...
შენახული მალულ, ზევით
სად მოჩხრიკა, სად ნახა?...
მოუხდება საუზმემდე
გემრიელი გალახვა...“
თავის ქალას ეხვეოდა
ჩვენი ძველი ნაცნობი,
ნათვალრებში ილვრებოდა
ცრემლთა მისთა ღვარცოფი.
შემოდგომის დილა იდგა
შუაზღვაზე, როდესაც
მეზღვაურებს გემბანიდან
ბუბას ჰექა მოესმათ:
— ადექ, ძაღლო მამაძაღლო,
გეყოს ურცხვად თამაში,
ახლავ უნდა გაგასაღოთ,
არ ჩაგახრჩობ ამ ზღვაში!
გრძელ ანძაზე დაკიდული
გატყავდები სამპირად;
ძმა — შენგანვე გაყიდული —
დღეს გაგიხდა სატირლად?!
თავის ქალა გამოგლიჯა
და მან არყით გალეშილ
ჯანკას სხვათა გამოც ჰგლიჯა
ხელი თაღლით თვალებში,
ეგდო კაცი მთლად ტიტველი:
სულით, ხორცით, წარსულით;
ძმის და ქვეყნის გამყიდველი,
ნილაბშემოძარცვული.
რომ დაუცხრა რისხვა ბუბას,
ცხრა ძმას უთხრა: — ნეტავი,
მაგის გარდა, ვის რად უნდა
ქეციანი ეგ ტყავი!...
ჯერ ცოცხალი თავით დარჩეს,
მზეს უცქიროს, თუ სძულს მზე,
ეღირსება თავის სასჯელს
უკაცრიელ კუნძულზე.
და იმ შემოდგომის დილის
შემოდგომ — ნავეზირალი
იჯდა ენაჩავარდნილი,
ავად განზე მზირალი.

XXXIII

— ოი... ოდოია.. .ოდა!..
კოლხთა ძველი სიმღერა
ტიბარენთა და მაკრონთა
მისდით, როგორც ზღვის ღელვა —
მატიენთა, ალაროდთა
მხარეს ტალღა ირხევა
— გასწვრივ ჩვენდა — ბოსფორია,
მარცხნივ — მხარე ლიბანთა. —
ისე იტყვის ოდორია,
თითქოს აქ დაიბადა.
შორს ნაპირი ამოძრავდა
და ფრიალო სალ კლდიდან
გუნდი შიშველ ამორძალთა —
აქ მოდითო! აკივლდა.
დაიწივლა სიპ ქარაფზე
ცალკე მათმა ბელადმა,
რომლის ტანის სილამაზე
ბრინჯაოსფრად ელავდა.
ცხრა ძმას ბუბა ოდორიამ
სათითაოდ შეხედა:
ხედავთ? ერთად მოგროვილან,
ჩვენთან უნდათ შეხვედრა.
ჩია იტყვის: — ჩავაბაროთ
მაგათ ნავეზირალი.
მე შენ გითხრა, არ დამართონ
ცვედანს რამე ზიანი.
გაწვა ჯანკა ბუბას ფერთხით:
წავალ, ჩემო ბატონო!
მათთან მივალ, თუ გწამს ღმერთი,
სხვაგან არსად დამტოვო.
ბნელ საქმეთა სამსახურად
მზის ქვეშეთში გაჩენილს
შეეშინდა მას საკუთარ
თავთან მარტო დარჩენის.
ბუბა იტყვის: — დედაბერად
გამოჩნდები მათ შორის,
ახლა, როგორც გეკადრება,
ისე გიშვებთ აღჭურვილს!
ხელს ჩასჭიდებს ყველა ერთად
ჭურჭელს ღვარძლის და შურის.
ზღვაში, ქალთა შესახვედრად
ჩაუშვებენ საჭურისს.
ამორძალნი გაიფანტნენ.
აყიჟინდნენ კლდის იქით,
და მცურავი ნაპირამდე
ძლივს მიცურდა თხის ტიკით.
ზღვაოსნებმა გაიცინეს,
მაგრამ ვერა, ვერც დაძრეს
ის სიმძიმე, რა სიმძიმეც
გულზე ერთად ეწვათ ძმებს.
ბოლოს შეწყდა, როგორც იქნა,
ამორძალთა კივილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამაც ბუბა ოდორია
შესძრა მწარე ტკივილით...
და მიეცა სხვა საფიქრალს,
რაც მას დასდევს ერთთავად,
რასაც უღლის ცალად ზიდავს,
რაც ვერ უთქვამს ძმებთანაც.
გასცდნენ ბოსფორს და გაცურეს
პონტოს, ანუ შავი ზღვა.
შორს თებელთა ვაჟკაცური
შეყივლება გაისმა.
— აქეთ, ჩვენსკენ წამოდითო,
ღვინო ვსვათო, თუ გინდათ! —
მაგრამ კოლხებს წამი თითო
მთელ სიცოცხლედ ულირდათ.
გაივლიდა გემი სადაც,
მოყვრებსა თუ მტრებს ფრთხილად,
შიშით ერთი რამ ეწადათ —
სასწაული ეხილათ.
სასწაული განეცადათ,
სასწაულით ელხინათ.
სტოვებს გემი იონიას
და ტროაშიც არ შევა,
სადაც სმაზე იოლია
კარგი ქალის არჩევა.
არ სჭიროდა ათ ძმას მაშინ
სხვა ქალაქთა ამაგი —
ძლივს ჩატიეს მათ ხომალდში,
ჯანკას გარდა, სხვა ბარგი:
ფქვილი, ღვინო, ლორი, შაშხი
და მარილის მარაგი.
— ოი... ოდოია... ოდა!...
მძლავრი ჰანგი გემიდან
ლაჟვარდისკენ, მაღლა ქროდა,
სწადდა ცა შეეფლითა,
ხმას მოსდევდა და ლაღობდა
დიდი გუნდი დელფინთა,
ერთი ისე მაღლა ხტოდა —
ლამის გემზე შეფრინდა.
— ოი... ოდოია... ოდა!...
ერთხელ კიდევ დასძახეს.
გემი შორით მისდგომოდა
ზღვისპირ, მაღალ სასახლეს.
ელვისუმალ არგოსელთა
ატყდა ზრინვა და ზარი,
დიდ-პატარას აოცებდა
წყალში მდგარი ტაძარი,
მაგრამ ახლო არ მომზევდა,
ხმით ზარავდა ბაზარი,
მან შორიდან გადმოძენძა
ჩრდილი უზარმაზარი.
ისვენებდა თქორნადენი
და ზღვა ანანავებდა,
არგოსელთა ხომალდები
ჩანდნენ მასთან ნავებად.
ვინც ბუდობდა ამ ქალაქში —
ყველა მისკენ მორბოდა,
იდგა ზრინვა და განგაში
სახიჩართა, ობროდთა,
ყველა — კაცი, ქალი, ბავშვი
ზღვის ნაპირას მოგროვდა.
ბუბამ ნავით გამოცურა
და ბოლაზთან ყიჟინით
დიდი ტალღა არგოსელთა
ზედ მიაწყდა გიჟივით.
ზოგი ოქროს ფოლაქს მისწვდა,
ზოგი — ოქროს დალალებს,
აბარბაცეს, კოცნეს დიდხანს,
დაამგვანეს ნამთვრალევს,
მგზავრი ღვთიურ ხომალდისა
დიონისედ ჩათვალეს.

## XXXIV

სახლი, სადაც მამისერთა
ქალი დაატარებდა —
ბუბას არც კი აფიქრებდა
მასთან დასადარებლად,
რაც დგას აიაში მტერთა
თვალთა დასაბრმავებლად.
მხილველს ზღაპრულ თაღ-დარბაზთა
კოლხთა მეფის სასახლის
არ ეუფლა ახლა განცდა
სიუცხოვის და ახლის,
რამეთუ სჭრის თვალს ანაზდად
ქმნილება სულ სხვა სახის...
— მამა სანადიროდ გახლავს —
დღეს ცისკრისას წასული,
დედოფალიც მას თან გაჰყვა,
მარტო ვარ და კარს ვუვლი... —
ეუბნოდა სტუმარს მაღალს
არგოს მეფის ასული,
უღიმოდა და ხალვათად,
შილიფად გადაცმული
ნამძინარევს გავდა ახალს
ლამაზნაკვთებასხმული.
გარეთ კარისკაცთა სუფრა

დაებინდა კაკლის ჩრდილს;
სვამდნენ, თვალიც არ მოუკრავს
ბუზასათვის კაციშვილს.
გაუცინა ქალმა სტუმარს:
— სუფრას ახლავ გაგიშლი.
მარტო დავრჩით, — თქვა მაცდურად,—
ხელს არავინ არ გვიშლის.
მის ძუძუებს დილა ადგა
და თეძოებს მადლიანს;
ჩამოუშვა ფრთხილად ფარდა,
სულთქმა გაიადვილა,
ქალი თავად დილას ჰგავდა,
რად უნდოდა სხვა დილა!
— არ ინაღვლო, ვინც არ დაგხვდა,
შისი ქალი მოგივლის, —
თქვა მან ჩუმად და შემართა
ტანი ჯიქის მოქნილის,
სწრაფლ გაშალა, სუფრის გარდა,
ლბილბუმბულა ლოგინიც.
მოეფერა ჭაბუკს კრძალვით
ქალი ოდნავ ტანსრული,
ჩამოშლოდა დაუმცხრალი
თმები — წეღან დაწნული;
თრთოდა, როგორც ამორძალი
სამოსშემოძარცვული.
გარეთ სუფრა სავსე თასთა
დაცლის ჟინით ილხენდა;
მეფე ჭიშკარს რაკი გასცდა,
კარს რად უნდა მიხედვა!
რა უწყიან კარისკაცთა —
დრო ვინ უკეთ იხელთა!
ქალს და ჭაბუკს მზე უჭვრეტდა
ფარდის ჭუჭრუტანიდან,
ოდეს მდედრი ცხელტუჩება
ცხელ ტუჩებს ჩაფრინდა...
სუნთქვა უცებ შეუჩერდათ,
ორთავ უცბად გარინდდა.
კარისკაცთა სუფრამ სჭექა
მძლე სიმღერა გარედან:
„უხვი შემოდგომა მოდის
და ესლა გვენაღვლება —
დიდი დიონისე როდის,
როდისღა გვეახლება!...“
ოქროს ქოჩორს ჩაბღუჯული
ტანზე ეკვრის და სტუმარს
ხან დუდუნით, ხან ჩურჩულით
უბამს ქალი საუბარს:
— სახე მზისგან გარუჯული

გშვენის მძლავრს და სანუკვარს,
მთელი ტახტი დასდევს, იდემს,
მე კი შენთან აქა ვარ;
მათზე უკეთ ვინადირეთ, —
მოთენთილმა თქვა ქალმა,
ოდეს თრობის სინამდვილე
სიზმრად აღარ ჩათვალა, —
მითხარ, შენი ძალის მლცოველს,
რა ვქნა შენმა მონამ ხვალ?
შენებრ სიტკბოს სხვა ვინ მომცემს?..
დიონისე ხომ არ ხარ —
ჩემს სხეულში ზღვა სიცოცხლეს
რომ ატევ და რომ მარხავ?
თქვი, ლომი ხარ, თუ ღვთაება?
შენგან ველი განაჩენს:
ოქროსთმება, ლურჯთვალება
ბოკვერს შენგან გავაჩენ.
თუ მაჩუქე უკვდავება,
გთხოვ დილამდე აქ დარჩე.
ბუბა უარს როგორ კადრებს
ნატვრას მთელი არგოსის...
მის აბურცულ კოკორ-ვარდებს
ერთხელ კიდევ დაკოცნის:
— შემახვედრე, ოღონდ ადრე
მეფეს ღვთისგან დალოცვილს! —
თქვა და ამით აგულისხმა,
რად რჩებოდა ცისკრამდე.
გაწყრა ქალი: — რა გსურს მისგან?...
ირმებს დასდევს ცისმარდლე;
მას ხათრობ თუ ასულს მისას?..
ეგ სიტყვები ვის კადრე?!
და ის — ჭაბუკს მლოცველივით
ვინც ელტვოდა და სწვავდა,
იწვა ახლა მოცელილი,
დილა ლამის წამწარდა,
მწუხრს აფენდა მოწყენილი
ჩრდილი მისთა წამწამთა.
დაუყვავებს ბუბა ლამაზს,
შეუშრალებს მართალ ცრემლს;
ეტყვის, რომ მის უფალ მამას
უნდა რაღაც გადასცეს,
ნუ სწყინს, ქალთან თუ დამალავს —
რა სათქმელიც აქვს კაცებს.
შესთხოვს ბუბა მიტევებას —
რაც წამოსცდა ანაზდად;
ქარცეცხლივით მიენთება
ალმინავლულ ნაზ ხანძარს
და ორთავე ისე თვრება,

მათ დილამდე რა დასძრავს!
ბოლოს ეტყვის იგი მთვლემარ
და ბედნიერ ლამაზმანს:
— კვალზე მოვდევ მთელი თვეა
თქვენს აიელ პატარძალს.
უკრო კარგად იგრძნობ შემდეგ,
რადაც ღვრიდი, კარგო, ცრემლს...
თქვი, იაზონს იცნობ ეგებ —
კოლხეთმოვლილ არგოსელს?
— ნუ მიხსენებ ვინძლო ეგეთს,
ჩემი ქისის გამომცლელს!
კი ვიცნობდი მაგას კარგად,
ხომ არ მითვლის მოკითხვას?..
არგოსელი გახლავს, მაგრამ
გულახდილად რომ ითქვას,
ვითარც კაცი არად ვარგა,
ფესვს ველარსად მოიდგამს,
ცუნდრუკია, ამას გარდა,
სადაც დალევს — ცოლს ირთავს;
ერთი თვის წინ გადაბარგდა
კოლხი ქალით კორინთას.
მეფემ ჩვენმა, ვით გაუწყო,
გაამართლა ამაში —
პირმშოს მისას ვინც დაუწყო
თვალთმაქცური თამაში:
შემარცხვინა, ვითარც უცხო,
მამის რისხვას გადავრჩი.
მე ალვჭურვე, მისი „არგო“
ჩემი ხარჯით ავაგე,
ადრე გავილმერთე საქმრო,
როდოპისებრ ალნაგი;
ლაკედემონელებს, კარგო,
ჰკითხე — რაც ვეამაგე.
ტინდარიდებს ახსოვთ კარგად,
ქვეყანა დამიმოწმებს:
მამა როგორ დაზოგავდა
ჩემთვის განძს ან სიცოცხლეს!..
ოქრო უძლვნა — არგონავტთა
მზე მეფისა ილოცეს.
ერთ დღეს იაზონი გაქრა
კოლხეთს გამგზავრებამდე,
ღამის სახლში გადიკარგა,
ვნახე, რა არ შევკადრე,
თავიც დავიწყევლე, მაგრამ
იყო თურმე ჯერ ადრე.
მეფეს, ჩვენსას, ჩემი საქმრო
სტუმრებია მორჩილად,
უთქვამს, რომ ვარ ბევრის სატრფო,
რომ ის იქცა თოჯინად,
რომ მის შორეთს წასვლას ვნატრობ,
მამის სახელს რომ ვჩრდილავ.
ეგრე ურცხვად და უხათროდ
მოვუსპივარ მომჩივარს.
მას სიტყვებით ლომის დაბმაც
ჩალის ფასად ულირდა;
ესეც უთქვამს, რომ დიდ ამაგს
წყალში არ ჩაუყრიდა —
ვის ასულსაც, ჭორის გარდა,
ზურგში ხანჯალს უყრიდა.
შეძრა მეფე მისმა ფიცმა,
მისმა გვარიშვილობამ
და სასჯელად ვილაც ბილწმა
დამიკარგა შინ ნდობა,
ის წაბრძანდა და წასვლისას
არცკი დაგვემშვიდობა.
გაემგზავრა კოლხეთს ასე
და ბელზებლად შემძაგდა;
აცილებდა ოხერს გზაზე
მთელი ჯოგი მეძავთა;
მე თავმოჭრილს, ბოლმით სავსეს
სამ წელს მისთვის მეცადა?..
რაც გიამბე, ამის გარდა
კიდევ ბევრი სხვაც ვიცით:
მეფის ნახვა არც იკადრა,
გაქრა ოქროს საწმისით,
და ვის ხელშიც გაიზარდა —
მტერი გახლავს აწ მისი.
მოკლედ, რაღა გავაგრძელო,
საქმროს ვალში არ დავრჩი...
ახლა კი გთხოვ, დამასვენო,
ნულარ გამხვევ ლადარში.
ჩემს დარბაზში ავალ ზემოთ,
ვიდრე მოვა მამა შინ.
დარჩა ბუბა ოდორიას
მარტოს მთელი სასტუმრო:
„ხვალ მეფესთან როგორ მივალ,
ჰოი, ეშმავ, მაცდურო!
ამ დარბაზში მგონი რამდენს
დაათრობდი ჩემს გარდა!“ —
თქვა და ჩუმად მობინადრეს
მასთან ყოფნა შეზარდა,
ვინც ახლოდან სოფლის ნათრევს
და შორიდან მზეს ჰგავდა,
ვინც გარეწრის მაგინარი
ვლიდა ქალის სამოსით,
იაზონის მაგიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო თავის ნამუსით,
ცბიერი და კადნიერი,
ხარბი და იანუსი.
დაიწყევლა მეათასედ
მოყმემ თავი აბდალი,
რომ შებღალა გზნებასავსე
კოლხთა რწმენა და თვალი —
სულმაღლობით ქვეყანაზე
ვისაც არ ყავს ბადალი.

XXXV

დასანახად კარისკაცთა
რომ მიმოდის მდუმარე,
ერთ მ. კრალს ნაცნობ სხვა ვიღაცად
ეჩვენება სტუმარი:
— ქალს შეხვდება მამის ნაცვლად,
ნამდვილად ის თუ არი.
სიტყვობს მათთან ნაღვინარი,
უშნოდ პირწამახული,
მერე ბუბას მომღიმარი
ისე ხვდება მსახური,
თითქოს უცხო ნაღვლიანი
ბევრჯერ ყავდეს ნახული.
მთვრალებს გამოცილებული
ეტყვის: — მეფე, ძვირფასო,
კარგად გამოძინებული
ჯერ არ გახლავს, სძინავსო;
მანამდე კი ჩინებული
ღვინო გვისვი, იაზონ!
ვიდრე გნახავს მასპინძელი,
რაკი ჩვენთან მოხვედი,
დაჯექ, გვითხარ, რას იქმს ძველი
განძით სავსე კოლხეთი,
სადაც დაჰყავ სამი წელი —
ოქროს ბლომად მოხვეტდი.
არა, ნასვამს და უსახურს
არ აიგდებს აბუჩად,
ბუბა ცივად ეტყვის მსახურს:
— გმადლობ, კოლხეთს რა უშავს,
მაგრამ შენგან ბევრჯერ ნახულს
რითი ვგავარ ნაბუშარს?..
ამ დროს გარეთ გამობრწყინდა
თავად მეფის ასული,
თმები გვერდზე გადმოსცვივდა
მარგალიტებასხმული;
თითქო ჯერ არ გაუცვნია,
წელან მასთან ჩაწნული,
კვლავ გაიცნო, გაუცინა,
შეხვდა გულით და სულით,
წარუდგინა მამას ელჩი
და იქ დარჩა თავადაც,
ბუბამ ნაცნობ სასახლეში
ღამის წაითამადა,
ირმის ბეჭის ანახლეჩი
ქალს მიართვა თამამად.
მეფეს ჯერ არ გაეხადა
სანადირო სამოსი,
თითქოს მაჭანკალი ყავდა
სტუმრად ქალის საქმროსი,
წითელ ღვინოს დაეხარბა,
ადღეგრძელა არგოსი.
სუფრა იყო ჩინებული,
მაგრამ სახემტირალი
თვალებგამოციებული
და ჭრელხალათმტვრიანი
კარგად გამოძინებული
ჯერ არ გახლდათ ტირანი.
თავი დიდხანს საუბრისა
ველარება სამთავეს:
რიგი კითხვა-პასუხისა
ხელად ჩამოათავეს,
ადრიანი საუზმისას
სამთავ ჰგავდა ნა[illegible]ვრალევს.
მერე ბუბა, ოდორია
ქალთან ჯერ არ გამხელილ
უსტარს იწვდის, როგორც ფირმას
მთელი ქვეყნის სახელით,
მეფის სახეს რომ მოფინა
მწვანე ჩრდილი ნაღვლის:
„არგოს მეფეს თანასწორად
ვთვლი და ვკადრებ სხვას არას:
ვუთვლი ქალის ნატვრას მტრობად
მას და მისსავ მასხარას.
დამიბრუნოს მან ასული
ოქროსსაწმისიანად,
მოუძებნოს სხვა საცოლე —
ვინც სწამს თავისიანად,
თვითონ იქცეს თავგასული
არამზადის სიმამრად,
თორემ თავზე ლაფდასხმული
ივლის მასთან ზიარად“.
წუთით თითქოს შეწყდა სამთა
მაჯისცემა და სუნთქვა,
თითქოს დავა ერთხანს მართლა
ამ უსტარით დასრულდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ მეფე მკვირცხლად ადგა,
გადინაცვლა ასულთან,
უკარნახა, რაც ეწადა
და სათქმელად რაც სურდა.
რომ უცქერდა ამას ბუბა
დინჯად და მოთმინებით,
ქალმა სტუმარს შეუკურთხა:
ღორო, როგორ ინებეთ,
ჩვენთან მოსვლა ასე ურცხვად
ამდაგვარი გინებით!..
თუ არ უწყი — რაც მოგქონდა,
შენ ყოფილხარ სულელი,
თუ არა და, რადგან ცოდავ
ჩვენი ავისმსურველი,
გამოგიწვავ მაგ თავს ქოთნად,
შეწყალებას ნურც ელი! —
თქვა და მამას გაუწოდა
მოცახცახე ფურცელი.
ბუბა იტყვის: — გთხოვთ მისმინოთ,
თქვენ წაგვგვარეს პირველად
თქვენი პაპის ქალი იო —
სრულყოფილი ქმნილება
და აგიგდოთ სასაცილოდ
ვიღაც ფინიკიელმა.
ყაჩაღს არც თქვენ მიართმევდით
ალბათ, დაფნის გვირგვინებს,
ხომ ილანძღეთ თვიდან თვემდის,
საქვეყნოდაც იგინეთ?..
— მაგრამ ეშმა და ქალღმერთი
ვინ თქვა ერთდაიგივედ?! —
ბერძენთ მეფემ ხმა გამოსცა
ზარად გრიგალ-ქარიშხლის, —
ბარბაროსი ბარბაროსად
რჩება ,მტრობას არ იშლის:
სჯობს ავზნიანს და ჯადოსანს
მიუაროს თავის შვილს.
ქალი ნებით თუ არ გაჰყვა,
ძალით ვერვინ ვერ წაგვრის!..
უსწავლია ლანძღვა-თათხვა
კუდიანი დედაბრის,
სწორედ ახლა, თავლაფდასხმა
მას უხდება მეტადრის!
მეფე აფრქვევს ბარათს ცოფებს, —
როგორ უნდა მაკადროს!..
გადაეცი, დაახსომდეს
თქვენს უჯიშო ბარბაროსს,
ხელი მაცთურ ქალის ცოდვებს
აღარ გადააფაროს,
სხვისი ბრალი არასოდეს
სხვას არ გადააბრალოს!
შენ კი, რაებს ბოდავ, ბრიყვო,
ვინ დაგარქვა სპასპეტი?!
ახლა ელჩი რომ არ იყო,
სხვაგვარ პასუხს გაგცემდი:
აქვე დაგკოდავდი, ვით ღორს,
საჭურისად გაქცევდი,
გიმონებდი, ვითარც გიპყრობთ
თქვენი მოძმე სპარსეთი:
ის ას ყრმას და ქალწულს ითხოვს,
მე აქ მძევლად მყავს ერთი.
რა ითმენდა ამას ბუბა,
ისევ ესმა ხმა ბოზის:
გასწი, ვიდრე არ დაგღუპავს
დიდი მეფე არგოსის!
გებას მხრებზე გასახმობად
ეგ თავი ბარბაროსის!
შესიტყვება არ ეწადა —
გესლის ნთხევით ეჯობნა?..
ამპარტავან გარეწართა
მოთხრას არც კი ეჭვობდა;
მათ ტახტიან დალეწავდა,
დიდი ძალა ერჩოდა,
მაგრამ განა აგრე სწამდა
მას კოლხეთის ელჩობა!
ბუბამ მხარი არ აუბა
მტრებს უაზრო ლანძღვაში,
უმალ გაეცალა უხმოდ
გაანჩხლებულ მამა-შვილს,
გაასრულა, რაც აქ სურდა
და იქ — ქალთან, დარბაზშიც...
მაგრამ ასეთ წყნარ საუბარს
მის ხსოვნაში რა წაშლის?..
და მავანმა თუ იცოდა,
ეს იცოდა მარტო მან,
რომ თავისი უბიწობა
სამშობლოში დატოვა,
რომ ხვედრისგან წუთისოფლად
ბევრჯერ ელის დატორვა,
რომ წარიშლის ულირს ცოდვას,
თუ საწუთრომ ადროვა,
რომ სამეფოს კარისკაცად
ის აროდეს ივარგებს,
რომ ენდობა ზღვაში ნაცად
მისკენ შორით მზირალ გემს,
რითაც პასუხს მაცილ-მაცალთ
თავისდროზე მიაგებს.

XXXVI

თოლიებზე თეთრები
და მფრთხალები ხოხბებისებრ,
გალიაში მტრედები
წედან რარიგ კოხტად ისხდნენ,
ახლა რა დაფეთებით
გაფრთხიალდნენ კოლხეთისკენ.
ბუბა ჭვრეტს მოწყენილი
ეგეოსის ცას საფირონს:
სამი თეთრი წერტილი
გადაუფრენს სანაპიროს
და სამად გადაწერილს
გაჰქროლებს სამ პაპირუსს:
„...დიდო ხელმწიფეო, მაგრად
ვიდექ არგოსს, ტირანთან —
წიგნი შეიცხადა, მაგრამ
არას ამბობს პირნათლად,
რადგან ჭკუათმყოფელს არ გავს
ტანისამოსიანად,
მას და მის კარს ქალი მართავს
თავის არგოსიანად.
ამიტომ გთხოვ მონა შენი,
დასახრჩობად ზღვა მასვი,
ანდა სპანი მომაშველე
ასი, განა ათასი;
კოლხნი — ზღვაზე მოლაშქრენი
არიეთში გადასხი.
იქ დავხვდები ჩემი გემით,
წარვუძღვები ასივეს,
რადგან ჭირთან შერიგების
ჯავრი გულზე გვასიებს,
ოდეს ზღვაში შევებმებით,
ვნახოთ — ვინ ვის დასცინებს.
ვნახოთ, ხელი შვილის ცოდვებს
ვინ უნდა დააფაროს,
ვნახოთ, ვინ ვის შეიცოდებს
თავლაფდასხმულ საბრალოს,
ვინ ვის ჰკადრებს და უწოდებს
უჯიშოს და ბარბაროსს!
მინდა ელინთ შეწყალებულ
ყაჩაღს ზღვაში შევება,
დავარისხო ჩვენგან წყეულს
დიდი საშინელება
და ამა გზით ჩვენს წამებულ
მეფის ქალს ეშველება.
მაგრამ ასეთ ავბედ დროში
მთელ ელადას არ ავშლი,
არ გადავზრდი ბრძოლას ომში,
სხვას არ გავრევ ამ ომში,
ვითარეშებ ყომრალ დროშით
და თუ ცოცხალ გადავრჩი,
მათ ვუჩვენებ მოსვლას ოხტში.
იავარვყოფ და დავსჯი“...

XXXVII

მზე არგოსის ღერბია —
აბდღვიალებს ცას საფირონს,
გემზე ჩასაფრებიან,
ჭვრეტენ ძმები სანაპიროს,
ზღვაში ვიღაც ნებივრად
ზის დელფინზე და ნადირობს.
მაგრამ არ გავს მშვილდ-ისარს —
რაც უპყრია იარაღად,
თითქოს იგი დილისჟამს
ყომრალ რაშზე იჯდეს ლაღად
და წინ გადაშლილი ზღვაც
უჩნდეს ცვრიან იალაღად.
ბუბა ოდორიას სისხლში
ჰმუნვამ გამოიდარა,
დელფინოსანს უმზერს შიშით:
— ეე, ნადირობს კი არა,
ხედავთ, თითქო იჯდეს ლხინში,
ხელთ უპყრია კითარა!
იჭვრიტება ცხრავე მისკენ
„ბაიას“ დერეფნიდან —
დელფინოსანს განზე მისდევს,
ლაღობს გუნდი დელფინთა,
მღერის კაცი და ძმებს მისკენ
თვალები მიებინდათ.
მაგრამ უცხოს უცხო გემი
აფრთხობს, ეუცხოვება.
— რაღა ჩვენთან უცხოვდები,
თუ ენდობი ცხოველთა! —
გასძახებენ, — მგზავრობისას
დავრჩეთ კარგ ნაცნობებად! —
ძმებს წადილი გაცნობისა
უფრო გაუცხოველდათ.
გემის უფროსს ბრეთად მიყავს
სწრაფმავალი „ბაია“
და დელფინითა მხედარს კითხავს:
— ხელში რაც გიკავია,
ალბათ თავზე მეტად გიყვარს?
— განა საკითხავია? —
ამოსძახებს მას უცნობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაღად, თავდაჯერებით, —
რომ არ იყოს აუწყობი,
ახლავ ავაჟღერებდი.
გულახდილი საუბარი
გაიმართა უცნობთა;
ბუბა შესთხოვს: — დაუკარი
ეგრევე, აუწყობად,
რაც კარგი და სანუკვარი
არიონმა უწყოდა!
ერთს ხმამაღლა გააცინებს
ეს ნათქვამი ჯადოქარს
და კითარის დაღლილ სიმებს
ხელს თამამად ჩამოჰკრავს.
დელფინთ მცირე კრება თითქოს
მათ მუსაიფს უსმენდა,
ზურგზე რასაც ეჯდა თვითონ —
ისიც გაისუსება.
— არ მინახავს მსგავსი გემი,
თუმცა ვსერავ ზღვას მრავალს...
რადგან უცხო მაცივდები,
სხვა გა არ მაქვს გზადმავალს;
გიმღერთ, ვიდრე გავცილდებით,
ჩემსავ თავგადასავალს, —
თქვა და ქღერას კითარისას
აჰყვა დიდი აედი, —
ერთი წლის წინ იტალიას
ამ დელფინით წარვედი,
იყო, ესეც იღბალია,
ღვინობისთვის ცამეტი.
არიონი ვისაც ჰქვიან,
კარგი ვარ თუ გლახა ვარ,
მკვდრებს თუ ცოცხალს მიმათვლიან,
მეცამეტე გახლავარ.
ყველას ერთი ბედი მოგვდგამს
მრავალ ასწელს ავბედად,
ღმერთი გვწყევლის დელფინოსანთ
კითაროდთა, აედთა.
ბედის ზღვარი ჩვენმა მოდგმამ
ვერასგზით გადაკვეტა.
ჩვენსავ წმინდა მართალ საქმით
არსად არ დავიმშევით,
მაგრამ არ გვიჩნს გზა არსაით,
ესეც ვრჩებით შიშველნი:
გაგვძარცვავენ ავაზაკნი
და დელფინი გვიშველის.
სასწაული არის მართლაც —
გონით შეუცნობელი,
რაც არიონთ დაგვემართა —
ვინ ირწმუნებს, რომელი?
ვუწყი — ჩვენთა მომავალთაც
ჩვენი ხვედრი მოელის.
კიდევ მრავალ ასწელს გასტანს
კითაროდთა დალახვრა,
რადგან გულქვაობა კაცთა
სდუმს ყოველთა თანახმა,
მაგრამ სიმძიმილის ნაცვლად
ვმღერით ისევ ხმამაღლა!
კითაროდებს და აედებს
სადაც სცემენ დიდ პატივს —
ერთიანად ჰგვანან მდიდრებს,
განურჩევლად სიფათის;
თასში ხურდას ვინ ჩაგიგდებს?
ღმერთკაცი ხარ იმათთვის!
ლხინში ბევრი თავის ბეჭედს
და სამაჯურს მიწვდიდა;
ცალკე თვალ-ქვებს, ვითარც კენჭებს,
ძლივსღა ვხვეტდი მიწიდან;
და ვიცოდი — განძთა მხვეჭელს
რა ხიფათიც მიცდიდა!
ოქრო ბევრი დავაგროვე —
ლამის ათი ტალანტი,
კი გავმდიდრდი, მაგრამ ტომრებს
დელფინს გამოვატანდი?
ერთ ხომალდზე ჩემს თვისტომებს
ავემგზავრე და მათი
გახსენება მანადგურებს
და მკლავს კაცის ღალატი...
თორემ ოქრო არ მაოცებს,
არც რამ განძი მინდა რა,
ქვეყნად ვიდრე ხმას გამოვცემთ
მე და ჩემი კითარა.
ძლივს ვეცანი კორინთელებს
სხვაგან დიდად ნაქები,
დილით ტკბილად მომიფერეს,
ვუძღვენ კიდეც ჰანგები;
ღამით ერთად მომიღერეს
ბასრი იატაგნები.
მკვიდრთა ჩემსავ ქალაქისას
რომ შევხედე უნდობლად,
მივხვდი — ვძაგდი დანასისხლად,
რადგან ოქრო უნდოდათ.
— თქვენი იყოს ეგ სიმდიდრე,
გქონდეთ. არ მომიპარავს...
კვლავ ვიშოვი — ქვეყნად ვიდრე
ვაცოდვილებ კითარას! —
ვუთხარ, მაგრამ თან ვიფიქრე:

ისევ დაკვრა კი არა,
რაც ვეხეტე, რაც ვეთრიე,
რაც ვიტანჯე, ის კმარა!...
იმ მომღერლებს არასოდეს
თავი არ უწყევლიათ,
ვისაც ცივი ხმა ამოსდის,
ისიც მარტო ყელიდან.
და რამეთუ ჩვენი მოდგმა —
ასგზის წყალწალებული —
ვერ მოიშლის ლექსით ბოდვას
ნაგვემ-გაწამებული,
ხმას ამოსდევს ბედის მოთქმა
ჰანგში გაზავებული.
კორინთელნი არც დამთანხმდნენ,
არც ამაგეს ძელს მწვადად,
მაგრამ მლანძღეს და გამთათხეს,
რადგან ოქრო ეწადათ.
ბოლოს ყველა ერთხმად მირჩევს:
— ცოცხალს სად გიდარაჯოთ?
შენი თავი შენ დაიხრჩე,
ანდა ახლავ დაგახრჩობთ!
მივისაჯე თავის მოკვლა,
თავის — დიდად ნაქების,
ყველამ უცებ დაიმოკლა
ენაც, იატაგნებიც.
ზღვა ზღვაურით მომეფერა,
სიკვდილს არ გავენაზე.
ბოლოს ვთხოვე, რომ მემღერა
კოხტად ჩაცმულს გემბანზე.
რაც გადახდა დიდ წინაპრებს,
რაც ასეთ დროს ინატრეს,
რაც ძალმიძდა, ის ვინატრე,
მეც წავბაძე წინაპრებს.
დამრთეს ნება დიდის ამბით;
ყველას, მსგავსად მეძავთა,
სხვისი ოქროც, სხვისი ჰანგიც,
სხვისი გარჯით ეწადა.
შევაქციე უმეცართა
ზურგი თავაზიანად

და ქამს შევუხამე სადა
ლექსი ზღვასა მზირა[illegible]
— დღეს საწუთრო [illegible]
მხოლოდ მათდა ზიარალ.
ვისაც ჯერ არ გაუცვლია
ძმა ოქროზე და ფულზე,
ვისაც ჯერ არ დაუვსია
სხვისი კერა და ფუძე;
თუ უდროოდ ვარ მოსული,
ზევსო, ასად ამკუწე! —
შევძახე და ქაფმოსხმული
ადგაფუნდა ზღვა უცებ.
დავუკარი, თან ვიმღერე,
პირს ღიმილი მეფინა,
გადავეშვი ზღვაში მერე
კითარით... და დელფინმა
არიონის ღრმა სიბერე
სიკვდილს გააგდებინა.
ახლა მკვდარი რომ ვგონივარ
იმათ, ყაჩაღ-მათხოვართ,
კორინთაში როგორც მივალ,
წინ დავხვდები მათ ხომალდს, —
თქვა და ბუბა ოდორია
სთხოვს სამხარზე თანხმობას.
— არა, — ეტყვის მნეთიმნელი, —
ზევსმა ხელი დამრიოს,
თუ ოდესმე კეთილმქნელი
მგზავრი გზაზე დალიოს,
მაგრამ ვჩქარობ, დელფინებით
იქ რომ დავხვდე ალიონს...
ამ სიტყვებზე ძმები ლამის
გაუცხარდნენ არიონს:
— შენ მიაღწევ ჩვენზე მალე
კორინთოს სანაპიროს?
— აბა ვნახოთ, — თქვა აედმა, —
ყაჩაღებმა ვინც მოკლეს!...
და დელფინთა ამაყ მხედარს
თვალი შორით ძლივს მოკრეს.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ვლადიმერ ჯანჯღავა**
გენერალ-ლეიტენანტი,
საბჭოთა კავშირის გმირი

# ერთგულება

## დივიზიის მეთაურის ჩანაწერები

### ტყვე და ალაფი

ჩვენ პოლკს იმდენი ტყვე და ალაფი არასოდეს არ უგდია ხელთ, რამდენიც ნიკოლსკოეს ბრძოლაში. წინათ იყო ხოლმე შემთხვევები, როცა მებრძოლებს ხელში უვარდებოდათ, ვთქვათ, თხუთმეტიოდე შაშხანა, ამდენივე კოლოფი ვაზნები, რამდენიმე ავტომატი და ხელის ტყვიამფრქვევი. აქ კი აი მთელი არსენალი: 18 ზარბაზანი — ერთი მძიმე საარტილერიო პოლკი და პირამიდულად ფაქიზად დაწყობილი ჭურვის ყუთები, ორი ტანკი თავისი გაუხარჯავი საომარი მასალებით, უამრავი ავტომატი, შაშხანა და ვაზნები. სხვათა შორის, ნიკოლსკოეში ერთი ჩვენი ტ-34 ტანკი გერმანელებმაც ხელთ იგდეს. ჰიტლერელებმა იგი შეიყვანეს ერთ-ერთ სახლში, შეძვრნენ თვითონ შიგ და ძლიერ გამაგრებულ საცეცხლე წერტად გადააქციეს.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ნიკოლსკოეში ბოლო წუთებამდე იმყოფებოდა თურმე ჩვენგან განადგურებული 162-ე მძიმე საარტილერიო პოლკის შტაბი. ჩვენგან ნაალაფევი ქვემეხები სწორედ მისი კუთვნილება ყოფილა. გერმანელთა 82-ე ქვეითი დივიზიის შტაბი მეზობელ სოფელში, ოუოგაში იყო განლაგებული. მისი ოფიცრები და თვით უფროსიც, დივიზიის მეთაური გენერალი ბეშენი არაფრით არ მოელოდნენ სოფელში ჩვენი ჯარების შეჭრას და მხოლოდ მაშინღა გაიქცნენ, როცა ოუოგში შვენდიკის ბატალიონი შეიჭრა. გენერალმა გაქცევა ვერ მოასწრო. იგი მოჰკლეს ბრძოლაში, მისი ადიუტანტი მილერი კი ტყვედ ჩავარდა.

სულ მალე, სოფლისპირა ხევიდან ავტომატებით შეიარაღებულმა ჩვენმა ორმა მებრძოლმა სოფელში ტყვე გერმანელების ჯგუფი მოიყვანეს.

ტყვეები სულ ორმოცი კაცი იყო, მათ შორის რამდენიმე ოფიცერიც. უმეტესობას თავი მატყლის შალით ჰქონდა შეხვეული, ზოგიერთებს პილოტურებზე ადგილობრივი გლეხებისათვის წართმეული რუსული ქუდები ჩამოეფხატებინათ. მსუბუქ ფარაჯებზე ფაშისტ მეომრებს ათასი რაღაც მოესათბურებინათ, ძველმანებიდან დაწყვეტილი და ბამბის საბნებით დამთავრებული. ამ უცნაურ „მორთულობით" ასიონი მოხეტიალე ავაზაკთა საცოდავ ბრბოს ჩამოჰგავდნენ.

ერთ-ერთი ტყვის სახე ნაცნობი მომეჩვენა, თუმცა იგი სხვებისაგან დიდად არაფრით განსხვავდებოდა. ჩაცმულიც ისე იყო, როგორც სხვები — თხელი, ლეგა ფარაჯა ეცვა, მაგრამ ფეხზე კი ნამდვილი რუსული ქეჩები ეცვა, ხოლო თავზე საყურეებიანი სამხედრო ქუდი ეხურა. ასეთი ქუდები ჩვენს არმიაში მთელ პირად შემადგენლობას დაურიგდა. ტყვეს ქუდი ზედმეტად დაბლა ჰქონდა შუბლზე ჩამოწეული და ყურსაფრები გლეხურად ნიკაპქვეშ ჰქონდა შეკრული. იგი შემომყურებდა ბოროტი და, იმავ დროს, ტურასავით შეშინებული, უძრავი თვალებით.

უცბად კომენდანტის ასეულის მეთაურმა ლეიტენანტმა გიორგი ჩხენკელმა დაიძახა:

---

* გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 5, 6, 7.

— შეხედეთ, ამხანაგებო, ეს ხომ მეშვიდე ასეულის ყოფილი ზემდეგია!

გვერდით მდგარმა ფომინმა დაუდასტურა:

— ნამდვილად ის არის!

მერე გაირკვა, რომ ეს არამზადა ორმოცდაორი წლის შემოდგომაზე, მძიმე თავდაცვითი ბრძოლების დროს თვითონ ჩაბარებია ტყვედ გერმანელებს. ქერები და ქუდი „ყოველი შემთხვევისათვის" თან წაუღია: იცოდა, გერმანელების ხელში ასეთ სიკეთეს ვერ ელირსებოდა. გამყიდველი აჩქარებით გამოვარდა ტყვეთა მწკრივიდან, ჩამივარდა ფეხებში და შეწყალებაზე დამიწყო მუდარა. თან რაღაც გაუგებარს ბურტყუნებდა, თითქოს დამნაშავე არაფერში ყო, „თავისიანებისთვის" არ უსვრია...

მოღალატეს ყველანი ზიზღით ვუყურებდით. ტყვეების მომყვანთაგან უფროსს ვუბრძანე, რომ დივიზიაში მიყვანისთანავე მოღალატე განსაკუთრებული ვანყოფილებისათვის გადაეცათ. დაე, ყველაფერი კანონიერად მოხდეს და მისი საქმე ტრიბუნალმა მთელი თავისი სამართლიანი სიმკაცრით განსაჯოს, სულერთია, მოღალატე, გამყიდველი და მშიშარა შეწყალებას მაინც ვერ ელირსება.

## ძნელი ბრძოლა

ახლა ჩვენი მთავარი ამოცანა ის იყო, რომ უკან დახეული ჰიტლერელებისათვის რაც შეიძლება ჩქარა ჩაგვეკეტა ურიცკოსაკენ გასასვლელი დერეფანი. ურიცკოე მტრის მთავარი დასაყრდენი პუნქტი იყო, რომელსაც ჩრდილოეთით სარკინიგზო კვანძი კასტორნოე იფარავდა. ჩვენ არ ვიცოდით, ამჟამად იქ რა გარნიზონი იდგა. ამის შესახებ მთელი წინანდელი ცნობები ერთ ღამეში მთლიანად მოძველდა. ჩვენი შეტევის დასაწყისშივე გერმანელთა სარდლობას სრულიად ადვილად შეეძლო ურიცკოეს გარნიზონი კასტორნოედან გადმოსროლილი ახალი ძალებით შეევსო. გარდა ამისა, იგი უკვე ივსებოდა იმ ოფიცრებითა და ჯარისკაცებით, რომლებმაც ნიკოლსკოედან გაქცევა მოახერხეს. ჩვენ, მართალია, თავს იმით ვიმშვიდებდით, რომ ნიკოლსკოედან ძალიან ცოტანი წავიდნენო, მაგრამ ეს ცნობა საკმაოდ ბევრის შემცველი იყო. დივიზიის შტაბიდან შეგვატყობინეს, რომ ჩვენი 321-ე მსროლელი პოლკის მიერ განადგურებული ბორკინსკის გარნიზონის ნაწილების ნარჩენებმაც თავი აგრეთვე ურიცკოეს შეაფარესო.

აი ასეთი იყო ვითარება, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ურიცკოე მაინც სასწრაფოდ და აუცილებლად უნდა აგვეღო.

დივიზიის მეთაურს რაციით მოვახსენე მოწინააღმდეგის ნიკოლსკოეს დაჯგუფების განადგურებისა და ჩემი გადაწყვეტილების შესახებ ურიცკოეს აღებაზე. დივიზიის მეთაურმა მოიწონა ჩემი გადაწყვეტილება და წარმატება მისურვა, თან გამაფრთხილა, რომ გვემოქმედა სწრაფად, თორემ მოწინააღმდეგე შეიძლება გაგისხლტეთ და რკალი, რომელიც უნდა შეიკრას, ცარიელი აღმოჩნდებაო. დივიზიის მეთაური თხოულობდა, რომ მთელი ოპერაცია დაგვემთავრებინა დღის ბოლოსათვის და მოვერიდებოდით ღამით ბრძოლას, რომელიც ძალთა უკიდურეს დაძაბვასა და ზედმეტ მსხვერპლს საჭიროებს.

მე იქვე დავუკავშირდი ჩვენს მომიჯნეს — 321-ე მსროლელი პოლკის მეთაურს ვოლოშჩენკოს და ერთდროულად მოქმედებაზე შევუთანხმდი.

როცა ბატალიონების მეთაურებს ორიენტირება მივეცი და ამოცანა ადგილზე დავაზუსტეთ, ერთხელ კიდევ მოვაგონე მათ ჩვენი ძირითადი მიზანი: არ გაგვეშვა მტერი ურიცკოედან, არ მიგვეცა მისთვის კასტორნოეს მიმართულებით გაქრის საშუალება და არც ურიცკოეში შემოგვეშვა მტრის რეზერვები.

სოფლისათვის ბრძოლა დაიწყო 27 იანვარს, დღის მეორე ნახევარში. ამჯერად არავითარი უცაბედი თავდასხმა არ ყოფილა. ჰიტლერელები კარგად მოემზადნენ ჩვენი იერიშების მოსაგერიებლად და ბრძოლის პირველსავე წუთებიდან მედგარი წინააღმდეგობა დაგვახვედრეს. მიუხედავად მტრის გააფთრებული ცეცხლისა, პირველმა ბატალიონმა მაინც მოახერხა ურიცკოეს ჩრდილო-დასავლეთის მხარეს გასვლა. გასვლისას ჩვენმა მებრძოლებმა მთლიანად მოსპეს ჰიტლერელთა კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც თავისი თავდაცვის წინა ხაზიდან უკან იხევდა. მაიორ კონცედალოვის ქვედანაყოფის იერიშის მოგერიების მიზნით, მოწინააღმდეგემ თავისი გარნიზონის ძალების ნაწილი სამხრეთ-დასავლეთიდან მოხსნა და ჩრდილო-დასავლეთის მხარეს გადაისროლა. ამით დაუყოვნებლივ ისარგებლეს ბელოუსოვისა და შვენდიკის ბატალიონებმა და სოფელს სამხრეთ-დასავლეთიდან შეუტიეს. დაიწყო ქუჩის ბრძოლები, ჯერ გარეუბნებში, შემდეგ სოფლის ცენტრში, სადაც ეკლესია იდგა. მტერი საკმაოდ იყო გამაგრებული და ყოველი ქოხი, სახლი, ნაგებობა ცალ-ცალკე უნდა გამოგვეგლიჯა ხელიდან.

ბრძოლის საათებში ხშირად მიხდებოდა ჩვენი პოლკის ქვედანაყოფებში — ბატალიონებში, ასეულებსა და ოცეულებში ყოფნა, და თვალით ხილვა იმისა, თუ რა უმაგალითო სიმამაცით იბრძოდნენ ჩვენი მეომრები, უკლებლივ ყველა. მთელი პოლკი იბრძოდა შეუპოვრად, ურყევად, უშიშრად. იბრძოდა სიკვდილისადმი ზიზღის გრძნობითა და ყოველ წამს გადარაჯებული სიფათის არაფრად ჩაგდებით.

მას შემდეგ, რაც ურიცკოედან გასასვლელი ყველა გზა ჩვენმა ქვედანაყოფებმა გადაკეტეს, ჰიტლერელებს იმას გარდა აღარაფერი დარჩენოდათ, რომ იარაღი დაეყარათ და ტყვედ დაგვნებებოდნენ, მაგრამ მათ კიდევ რაღაცის იმე-

დი მქონდათ და თავდაცვას განაგრძობდნენ. ბრძოლა სოფელში მხოლოდ შუაღამისას მიწყნარდა. დაახლოებითი გაანგარიშებით ამ ბრძოლაში ჩვენმა პოლკმა მტრის ოთხასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტა, უფრო მეტი ტყვედ წამოიყვანა.

მაგრამ ურიცკოეს გარნიზონის განადგურება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ბრძოლის საბოლოო დამთავრებას. თითქმის გამთენიისას ჩვენ ბრძოლა მოგვიხდა ვასილევსკის, ნაბანოვოსა და სტანისლავსკის რაიონებიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმავალ მტრის მოზრდილ საბრძოლო დაჯგუფებასთან. საბოლოოდ ეს დაჯგუფებაც გავანადგურეთ — ზოგი ტყვედ წამოვიყვანეთ, მცირე ნაწილი აქეთ-იქეთ მიმოიფანტა.

ასე დასრულდა პირველი და დაიწყო მეორე დღე-ღამე ჩვენი 676-ე მსროლელი პოლკის მიერ წარმატებით დაგვირგვინებული ბრძოლისა, შეტევითი ბრძოლისა, როცა, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა — თოვლ-ქარბუქისა, ნამქერებისა და ყინვისა, მიუხედავად მოწინააღმდეგის გააფთრებული წინააღმდეგობისა, დივიზიის სხვა ქვედანაყოფების მეომრებმაც — ნაღმმტყორცნელებმა და მეკავშირეებმა ღლის საბრძოლო ამოცანა მთლიანად და წარმატებით შეასრულეს.

ფრონტისა და არმიის სარდლობამ არ დააყოვნა და ეს მნიშვნელოვანი მოვლენა ბრძოლებში განსაკუთრებით თავგამოჩენილი მეომრების დაჯილდოებით აღნიშნა. ჩვენ დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი ა. ნ. სლიშკინი მტრის მსხვილი დასაყრდენი პუნქტების წინააღმდეგ ბრძოლასა და მათს განადგურებაში ბრძოლის მარჯვე ხელმძღვანელობისათვის დაჯილდოვდა სუვოროვის მეორე ხარისხის ორდენით. დაჯილდოებულთა რიცხვში იყვნენ პოლკების მეთაურებიც. პირადად მე დამაჯილდოვეს წითელი დროშის ორდენით. ჯილდოები ხვდათ ბატალიონების, ასეულების, ბატარეებისა და ოცეულის მეთაურებს. ჩვენი პოლკის ბატალიონის სახელოვანი მეთაური მაიორი ივანე ვლადიმერის ძე ბელოუსოვი ბატალიონების მეთაურთაგან დივიზიაში პირველი დაჯილდოვდა ალექსანდრე ნეველის ორდენით.

შეტევით ბრძოლებში წარმატებისათვის, მოწინააღმდეგის თავდაცვის ცალკეული დასაყრდენი პუნქტების განადგურებისათვის, ბრიანსკის ფრონტის სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა მ. ა. რეიტერმა და მე-13 არმიის სარდალმა გენერალ-მაიორმა ნ. პ. პუხოვმა, მე-15 სივაშის მსროლელი დივიზიის პირად შემადგენლობას და, მათ შორის ჩვენი პოლკის მებრძოლებსაც, მადლობა გამოუცხადეს.

ეს სასიხარულო ცნობა მოგვიტანა დივიზიის მეთაურმა გენერალმა ა. ნ. სლიშკინმა. ხანმოკლე თათბირის შემდეგ, რომელზეც დივიზიის მეთაურმა შემდგომი შეტევითი ბრძოლების გეგმა დააზუსტა, მე ვკითხე:

— გნებავთ ჩვენი „განსაკუთრებული" ალაფი ნახოთ, აფანასი ნიკიტიჩ?

— რატომ „განსაკუთრებული?" განა ყველა ნადავლის შესახებ არ მოახსენეთ დივიზიას? — დაინტერესდა სლიშკინი.

— ამის შესახებ ჯერ არ მომიხსენებია.

— კეთილი, წავიდეთ, ვნახოთ.

დივიზიის მეთაური წამოდგა და ოთახის კუთხეში ლურსმანზე დაკიდებული მაზარისაკენ წავიდა.

— არ გინდათ მაზარა, აფანასი ნიკიტიჩ, იგი აქვეა, გვერდით ოთახში.

ის, რაც დივიზიის მეთაურისათვის უნდა მეჩვენებინა, არავითარ სამხედრო ღირებულებას არ წარმოადგენდა.

წინა დღეს ჩვენი პოლკის მზვერავებმა ნაალაფევი მტრის ალალის ერთ-ერთ საზიდარში სხვადასხვა მარკის საათებით გატენილი ჩემოდანი იპოვეს — დაწყებული შვეიცარულით და გათავებული ჩვენი „კიროვით". ეტყობა, ფაშისტი მეაღალე გაქნილი მაროდერი იყო და ამ საათებს სპეციალურად აგროვებდა — აცლიდა მაჯებიდან და ჯიბეებიდან როგორც თავიანთ მკვდრებს, ისე ჩვენსას, რომ მერე მოგებით გაეყიდა, ანდა ამანათით გერმანიაში გაეგზავნა. ფაშისტი მაროდერი ჩვენმა მზვერავებმა სროლაში მოკლეს, ხოლო საათები, წამოსასხამ ლაბადაში ნაჩქარევად შეხვეული, ჩემთან მოიტანეს — იქნებ წასახალისებელ საჩუქრებად გამოგვადგესო.

დივიზიის მეთაურს ოთახში ფეხდაფეხ შევყევი, საჩქაროდ გავშალე ლაბადა და ბრჭყვიალა ფერის საათები მაგიდაზე ლავახვავე.

— საიდან ამდენი? — მოიღუშა გენერალი სლიშკინი.

მე ავუხსენი. მერე ერთი საათი ამოვარჩიე, რომელიც უფრო მომეწონა და დივიზიის მეთაურს გავუწოდე:

— მიიღეთ საჩუქრად, აფანასი ნიკიტიჩ, თორემ თქვენი საათი, შემჩნეული მაქვს, მთლად საიმედო არ უნდა იყოს. ყოველთვის, როცა კი დროის გაგება გსურთ, ჯერ უსათუოდ ყურზე უნდა მიიდოთ.

— მადლობელი ვარ, — გენერალმა საათი კიტელის გარე ჯიბეში ჩაიდო და დაუმატა, — დაე ეს ურიცკოეს განთავისუფლებისა და ჩვენი პირველი დიდი შეტევის პირველი დღის სამახსოვრო იყოს.

...შეტევა გრძელდებოდა. მე-13 არმიის დივიზიები ზედიზედ სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და სხვა ნაწილებსა და შენაერთებთან მჭიდრო ურთიერთშეთანხმებული ბრძოლით მიიწევდნენ დასავლეთისაკენ.

ერთი დღე-ღამის დასვენების შემდეგ ჩვენი პოლკიც დაადგა სალაშქრო გზას. თუმცა ყინვა ოცდაათ გრადუსს აღწევდა, ქარბუქი არ ცხრებოდა და სიარული ხშირად სრულიად უგზოზე გვიწევდა, მაგრამ დაღლას კაციშვილი არ

გრძნობდა. ახლა უკვე არავითარ სიძნელეს აღარ შეეძლო მებრძოლებისა და მეთაურების მხნე განწყობის შეცვლა. გზაზე ვანთავისუფლებდით და სამშობლოს ვუბრუნებდით დასახლებულ პუნქტებს, სადაც ცოტა ხნის წინათ სისხლისმღვრელ ბრძოლებს ვეწეოდით. და ასე, საერთო მიმართულებით მივიწევდით კურსკისაკენ.

როგორ უცნაურად შეცვლილა აქ ყველაფერი გერმანელთა მფლობელობის წლინახევრის მანძილზე! დილის ბინდბუნდში ამაოდ დავეძებთ თვალებით სოფელ მიშინოს. რუკაზე იგი კვლავ სოფლად არის აღნიშნული, სინამდვილეში კი მინამქრული ღუმელების ბუხრები და შავად შერუჯულ ხეთა შიშველი ვარჯებიღა დარჩენილა. სოფელი მთლიანად გადამწვარია. იგივე ბედი სწვევია ბევრ სხვა დასახლებულ პუნქტს, საიდანაც ცოტა ხნის წინათ გერმანელები გაიქცნენ. ცოცხლად გადარჩენილი მცხოვრებლები — ქალები, ბავშვები და მოხუცები სარდაფებსა და მიწურებში იყვნენ შეფარებულნი. ისინი სიხარულის ცრემლით ხვდებოდნენ და აცილებდნენ ჩვენს ჯარისკაცებს.

უკვე დრო იყო, ხალხი დამესვენებინა, დამეპურებინა და პატარა შესვენებაც გამეკეთებინა. ვუბრძანე, პოლკი გაეჩერებინათ სოფელ კშენსკისთან. შტაბი მოთავსდა სასწაულად გადარჩენილ ერთადერთ მთელ სახლში. და მოხდა ისე, რომ ამ სახლის ირგვლივ განლაგდნენ კომენდანტის ოცეულიც, მეავტომატეთა ასეულიც და პოლკის შტაბის თანმხლები კიდევ რომელიღაც ქვედანაყოფიც — სულ ორასამდე კაცი.

წესდების თანახმად, დამშეულები და გაყინულები. ჯერ უნდა მოვმაგრებულიყავით. სანამ ჩემი ორდინარეცი მაგიდას გააწყობდა, ცაში მოტორების გუგუნი გაისმა.

— რა არის? — მივაყურადე მე.

ფომინმა კარი გამოაღო, სახლში ცივი ჰაერის ტალღა შემოიჭრა.

— „ჩარჩოა“, — თქვა ვასილ ალექსანდრეს ძემ და ხელი ზიზღით ჩაიქნია.

— კარი დაკეტე, სახლი ნუ გააციე, — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა არტილერიის უფროსმა კოვრიგინმა.

გაისმა თოფისა და ავტომატის ერთობლივი ბათქები.

— ყოჩაღ, ბიჭებო! — წაილაპარაკა ფომინმა, — არა, თქვენ ამას ხედავთ, ვლადიმერ ნიკოლაევიჩ, ფაშისტთა მზვერავ თვითმფრინავს უკვე თოფით უპირებენ ჩამოგდებას. წინათ კი, გახსოვს, რა იყო: ამ „ჩარჩოს“ გამოჩენა და თავქუდმოგლეჯილები თავშესაფრებისკენ გარბოდნენ...

ზევით უკვე ვთქვი, რომ ჩვენი შეტევის დასაწყისშივე ცუდი ამინდი იდგა და ავიაცია შეტევის მხოლოდ პირველ საათებში მოქმედებდამეთქი. 30 იანვარი კი მზიანი, ნათელი დღე იყო, მაგრამ, ჩანს, გამარჯვების სიხარულმა სიფხიზლე მოგვიდუნა და მოწინააღმდეგის ავიაციის არსებობა თითქმის მთელმა შტაბმა დავივიწყეთ.

ცხელი საჭმლის მოლოდინში მე, ტ. ა. ფომინი, ი. ი. მაზნიჩენკო და ნ. ა. კოვრიგინი მაგიდას მივუსხედით. ოთხივე მხიარულ ხასიათზე ვიყავით. და ის იყო, დაასხა ჭიქებში ფომინმა ტრადიციული ფრონტული „ას-ასი გრამი“, რომ ჰაერში კვლავ გაისმა მოტორების გუგუნი და თანაც ამჯერად უფრო ძლიერი. წამსვე მივხვდით, რაც მოხდა: „ჩარჩომ“ შეამჩნია ხუტორში ჩვენი ჯარების თავმოყრა და ბომბდამშენები მოიყვანა. ქუჩიდან გაისმა გამაფრთხილებელი შეძახილები: „ჰაერი!“ მაგრამ უკვე გვიან იყო. ბომბდამშენებმა პიკირება გააკეთეს და ჩვენს თავზე ბომბები ჩამოყარეს, გაისმა აფეთქების გამაყრუებელი გრგვინვა.

— დაწექით! — დაიყვირა ფომინმა, მაგიდიდან წამოვარდა და იატაკზე გაწვა, რომ ნამსხვრევებს გადარჩენოდა, თუ, რა თქმა უნდა, ღმერთი შეგვეწეოდა და ბომბი პირდაპირ ჩვენს თავშესაფარ ქოხს არ დაეცემოდა.

მაგიდიდან წამოხტომისას შევამჩნიე, როგორ გადაჰკრა კოვრიგინმა ორივე სავსე ჭიქა — ჩემიც და თავისიც.

— ვერ გავიმეტე, დალოცვილი, დასაღვრელად, — ამიხსნა, როცა იატაკზე ჩემს გვერდით გაწვა და თავზე ხელები წაიჭირა.

მეორე წამს ახლოს დაცემულმა ბომბის ტალღამ ჩვენი ქოხი ნაფოტებად აქცია და ჰაერში მიმოფანტა. მაზნიჩენკო მძიმედ დაიჭრა. იგი კედლისკენ იჯდა და აფეთქებისას მაგიდიდან წამოდგომა და დაწოლა ველარ მოასწრო. ჩვენ მას სასწრაფო დახმარება აღმოვუჩინეთ და დაბომბვა რომ დამთავრდა, ჰოსპიტალში გავგზავნეთ. ასე დავცილდით ჩვენს საყვარელ კომისარს, ერთგულ მეგობარს, მამაცსა და უშიშარ მებრძოლს. მას შემდეგ ივანე მაზნიჩენკო ჩვენთან აღარ დაბრუნებულა. ერთხანს კიდევ ჰქონდა კავშირი ჩვენთან, მერე ისიც შეწყდა და ერთმანეთი საბოლოოდ დავკარგეთ.

საკმაოდ დიდი მსხვერპლი დაატყდა თავს დახოცილთა და დაჭრილთა სახით ხუტორში განლაგებულ ჩვენს ქვედანაყოფებს. ასე ძვირად დაგვიჯდა ჩვენი გაუფრთხილებლობა და შენიღბვის წესების არ დაცვა.

ისევ მარშით მივდივართ. გადავედით ყინულით შეჯავშნულ მდინარე კშენზე, მერე ტიმზე. ძალზე ნაცნობი ადგილებია. აქ იცავდა თავს ჩვენი დივიზია გასული წლის ზაფხულს და ეწეოდა მტერთან სასტიკ ბრძოლებს. რამდენმა სახელოვანმა მებრძოლმა და მეთაურმა გაწირა აქ თავი!

**1943** წლის 2 თებერვალს რადიომ სასიხარულო ამბავი მოგვიტანა — სტალინგრადის რაიონში წითელმა არმიამ დაამთავრა ალყაში მოქცეული გერმანელთა ჯარების განადგურება. ამ სასიხარულო ამბავმა გააათკეცა ჩვენი ძალები. მაშინ ჩვენ ყველა ერთი ფიქრით და მისწრა-

ფებით ვიყავით გამსჭვალული, რომ შეგვესრულებინა პარტიის ბრძანება — გაგვედევნა მტერი საბჭოთა მიწა-წყლიდან რაც შეიძლება ჩქარა და გვეხსნა საბჭოთა ადამიანები ფაშისტური მონობისაგან.

ჩვენ განვაგრძობდით მტრის დევნას.

## გრიგოლ კაგამლიკი

იანვარ-თებერვლის შეტევების ცოტა ხნით ადრე გენერალმა სლიშკინმა ტანკსაწინააღმდეგო თოფების გათვლებთან საცდელ-საჩვენებელი საბრძოლო მეცადინეობების ჩატარება დამავალა. დივიზიის მეთაურმა არჩევანი ჩემზე უმთავრესად იმიტომ შეაჩერა, რომ წინათ მე სატანკო დივიზიაში ვმსახურობდი და, მისი აზრით, სხვებზე უკეთ უნდა მცოდნოდა მტრის ტანკების სუსტი ადგილები.

შევუდექი მეცადინეობის ჩატარებას.

შეკრებები ტარდებოდა სოფელ გატიშჩაში ორ ნაკადად, თითო ჯგუფში სამოცი კაცი ირიცხებოდა. ესენი ძირითადად ჩვენი 47-ე მსროლელი პოლკის მებრძოლები იყვნენ. ამოცანა ის იყო, რომ მესწავლებინა მათთვის არა მარტო ტანკებისათვის ზუსტი სროლა, ან სწორი პოზიციის შერჩევა, არამედ შაშხანისა და ავტომატის სროლაც. სტალინგრადის ბრძოლების გამოცდილებამ — ხოლო ჩვენ მას დიდი ყურადღებით ვსწავლობდით — ნათლად დაგვანახვა, რომ ყველა სახის სასროლი იარაღის სრულყოფილად დაუფლება ისევე აუცილებელია ტანკსაწინააღმდეგო მეთოფურისათვის, როგორც თავისი საკუთარი თოფით მიზანში სწორად სროლა.

პირველსავე მეცადინეობებიდან ჩემი ყურადღება ერთმა ქერათმიანმა, გამხდარმა, ოცი წლის ბიჭმა მიიპყრო. იგი აუცდენლად აზიანებდა მიზანს როგორც „პეტეერით“ — ტანკსაწინააღმდეგო თოფით, ასევე შაშხანითა და ავტომატითაც. თანაც ისეთი წყნარი, დაკვირვებული და აუჩქარებელი იყო, რომ მისთვის ყველანაირი საბრძოლო ამოცანის მინდობა შეიძლებოდა.

ეს იყო სერჟანტი გრიგოლ კაგამლიკი, ტანკსაწინააღმდეგო მეთოფე 47-ე მსროლელი პოლკიდან. ერთი სიტყვით, „ჩვენი არ იყო“. და რაც უფრო მეტს ვამეცადინებდი ჯავშანვამტანებს, მით უფრო ხშირად ვფიქრობდი, არ იქნებოდა ურიგო, რომ სერჟანტი კაგამლიკი ჩვენს პოლკში გადაგვეყვანა-მეთქი. ამის შესახებ დივიზიის სამწყობრო ნაწილსაც კი მოველაპარაკე, მაგრამ გაიგო 47-ე პოლკის მეთაურმა პოდპოლკოვნიკმა ი. ი. კარტაშოვმა და ცეცხლი მოიკიდა.

— არა, ძმაო, ამ ბიჭს ვერ დაგითმობ. იგი ჩვენ თვითონ გვჭირდება.

არც თხოვნამ, არც ჩემმა ქართულმა სიჯიუტემ — არაფერმა არ გასჭრა.

პოდპოლკოვნიკ კარტაშოვის, თვითონ გრიგოლ კაგამლიკისა და მისი პოლკელი მეგობრების ნაამბობით ამ მებრძოლის ბიოგრაფიიდან ზოგიერთი რალაც გავიგე. წარმოშობით იგი პოლტავშჩინიდან იყო, გრებენკოვსკის რაიონიდან. შვიდწლედის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში მუშაობდა და თანასოფლელთაგან პატივისცემითაც სარგებლობდა. ხოლო როცა ფრონტი გრებენკოვსკის რაიონულ ცენტრს მიუახლოვდა, ახალგაზრდა კოლმეურნე წითელი არმიის მოხალისე გახდა. ცოტა ხანი სათადარიგო პოლკში გაატარა, რომელიც იმ მრისხანე დროს ისევე მონაწილეობდა ბრძოლებში, როგორც მოქმედი პოლკები, ხოლო იქიდან პირდაპირ ჩვენი დივიზიის 47-ე მსროლელ პოლკში გამოგზავნეს.

რიგითი გრიგოლ კაგამლიკი მოკლე დროში სრულყოფილად დაეუფლა ყველა სახის სასროლ იარაღს, ისწავლა ტანკსაწინააღმდეგო თოფის ზუსტად სროლა, და აუცილებლობისდაკვალად მეკავშირის მოვალეობასაც ასრულებდა. ბრძოლებში მეთაურის დავალებით არაერთხელ აღუდგენია დაზიანებული სატელეფონო კავშირი.

ყველაზე სერიოზული საბრძოლო ნათლობა მან მიიღო ორმოცდაორი წლის ზაფხულს მდინარე ტიმზე მოხდარ ბრძოლაში. ტანკსაწინააღმდეგო თოფითა და ავტომატით შეიარაღებული გრიგოლ კაგამლიკი, სხვა მებრძოლებთან ერთად, სანგარში იჯდა და ფაშისტთა მოიერიშე ტანკების გამოჩენას მოელოდა. როგორღაც მოხდა, რომ იმჯერად ფაშისტებმა ტანკები აღარ გამოიყვანეს და 47-ე მსროლელი პოლკის პოზიციებს მხოლოდ ქვეითი ძალებით შემოუტიეს. კაგამლიკს დიდხანს არ უფიქრია, აიღო ავტომატი, მტრის ქვეითის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება და თავისი გაბედულებითა და მამაცობით სხვებიც გაამხნევა, გაიყოლია. საკმაოდ დაზარალებული მტრის ქვეითი ჯარი იძულებული გახდა, უკან დაეხია და თავისავე პოზიციებზე დაბრუნებულიყო. ამ ბრძოლაში ტანკსაწინააღმდეგო მეთოფე კაგამლიკმა ავტომატით სამი ათეული მტრის ჯარისკაცი გაანადგურა.

საბრძოლო-სამოსწავლო მეცადინეობის დამთავრების შემდეგ გრიგოლი თავის 47-ე მსროლელ პოლკს დაუბრუნდა და მას აღარ შევხვედრივარ, მაგრამ ღრმად მწამდა, რომ ამ მამაცი უკრაინელი ბიჭის სახელს კიდევ ბევრჯერ გავიგონებდი, გავიგონებდი მტერთან მისი მამაცური ბრძოლისა და მის მიერ მოწინააღმდეგის ტანკებისა და ცოცხალი ძალის განადგურების ამბავს.

დივიზიის შეტევითი ბრძოლის პირველ დღეებში გრიგოლს მტერთან ბრძოლა უმეტესწილად ავტომატითა და ტყვიამფრქვევით უხდებოდა. დიდი თოვლისა თუ სხვა რამ მიზეზის გამო, ფაშისტები ორმოცდასამი წლის იანვარში არც თავიანთი დასაყრდენი პუნქტების დაცვასა და არც იერიშებში ტანკებსა და ყველგანმავლებს ისერიგად არ იყენებდნენ. ძირითადად ქვეითითა და არტილერიით იბრძოდნენ. როგორც მერე მითხრეს, უფროსი სერჟანტი კაგამ-

ლიკი, ერთ-ერთი შეტევის დროს, თავისი პოლკის კომორგს — უფროს ლეიტენანტ პავლე დუბოკს თურმე საყვედურობდა კიდეც, რომ ტანკსაწინააღმდეგო მეთოფეურების მეთაური მქვია და მტერთან კი უმთავრესად ავტომატით და შაშხანით ვიბრძვიო. თუმცა მის ხელში სნაიპერის შაშხანაც ისეთივე მრისხანე იარაღი იყო ჰიტლერელებისათვის, როგორც მისი ჯავშანგამტანი — ტანკებისათვის. არა ერთი მტერი დააგდო ბრძოლის ველზე სახელოვანმა მეომარმა როგორც ავტომატის ჯერით, ისე შაშხანის ცალკეული გასროლით.

როცა მტერმა 9 თებერვლის დილას კონტრიერიში წამოიწყო და თითქმის ზედ მიადგა მეორე ნოკოლსკოეს, ამ დროს უფროსი სერჟანტი გრიგოლ კაგამლიკი თავისი განყოფილებით საბრძოლო დაცვის შემადგენლობაში იმყოფებოდა — უფროსი ლეიტენანტის დატუშინის ასეულში, რომელსაც იმ დღეს პირველს დაატყდა თავზე კონტრიერიშზე გადმოსული მტრის პირველი დარტყმები.

მოწინააღმდეგე დატუშინის ასეულს მეთხილამურეთა ბატალიონის ძალებით უტევდა. ბატალიონს შვიდი ტანკიც უმერდა მხარს.

— ტანკები არ უნდა გავიდნენ, — უთხრა ასეულის მეთაურმა კაგამლიკს. — შენი განყოფილების მთავარი ამოცანა, ამხანაგო უფროსო სერჟანტო, ის არის, რომ შეაჩეროთ ტანკები და არ გაუშვათ ისინი წინ.

— გასაგებია, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, — ვერ გავლენ, — სრული დამაჯერებლობით უპასუხა ათეულის მეთაურმა.

ჰაერში მტრის ბომბდამშენები გამოჩნდნენ. თავიანთი სასიკვდილო ტვირთი პოლკის განლაგების რაიონში ჩამოყარეს, ისევ უკან შებრუნდნენ და კურსკისაკენ გაფრინდნენ.

უფროსმა სერჟანტმა კაგამლიკმა თავის ხელქვეითებს უბრძანა, — თოფები გატენეთ და პოზიცია მეტყვიამფრქვევეთა მეზობლად დაიკავეთო. შორიდან მოტორების გუგუნი მოისმა და წუთის შემდეგ გრიგოლმა მტრის შვიდი ტანკი დაინახა. ტანკები მუხლუხებით თოვლს აქეთიქით ისროდნენ და საბრძოლო დაცვისკენ ზვავებივით მოხუოდნენ, ხოლო უკან აჩქარებით მოსდევდა მეავტომატეთა მთელი ბატალიონი. ქროდა ძლიერი ქარი და ტანკებსა და მეთხილამურეებს დროდადრო თოვლის თეთრ საბურველში ახვევდა.

როგორც კი ფაშისტები ცეცხლის სამოქმედო მანძილზე მოახლოვდნენ, ჩვენმა მსროლელებმა წამსვე ტყვიამფრქვევის ზუსტი ჯერი შეაგებეს, ხოლო ტანკსაწინააღმდეგო მეთოფეებმა ტანკებს დასცხეს. თავის მხრივ მტრის ტანკებმაც სვლისასვე აუტეხეს სროლა მეტყვიამფრქვევეთა და ტანკსაწინააღმდეგო მეთოფეურების პოზიციებს.

ძალები უთანასწორო იყო. მტრის დაწოლისთვის რომ გაეძლოთ, საჭირო იყო რკინისებური ნებისყოფა და ამტანობა. მტრის მეწინავე ტანკი წამით გვერდზე შებრუნდა. კაგამლიკმა ამით ისარგებლა და ესროლა. ტანკი არ დაზიანებულა, ყოველ შემთხვევაში განაგრძობდა მოძრაობას, მაშინ გრიგოლმა კიდევ ორჯერ ესროლა. ფაშისტთა ჯავშნიანი გოლიათი მძიმედ გადაწვა გვერდზე და აბოლდა.

— ერთი არის! — თვითონაც ვერ გაიგო, გაიფიქრა თუ იყვირა კაგამლიკმა და კვლავ სასროლად მოემზადა. ამ დროს მტრის ტყვიამ მხარი გაუხვრიტა. იმავ წამს უსულოდ მიესვენა სანგრის კედელს მისი მეორე ნომერი. თითქმის მთლიანად მწყობრიდან იყვნენ გამოსული ათეულის სხვა მეთაურებიც. საიდანღაც ზურგიდან გაუხსნა ცეცხლი ტანკებს ჩვენმა არტილერიამ. გვერდით კი შეუჩერებლად ცხრილავდნენ ფაშისტ ჯარისკაცებს ჩვენი „მაქსიმები“.

მტრის კონტრიერიში თითქმის შესუსტდა, ქვეითი მეთხილამურენი თოვლში დაეყარნენ და უვნებლად გადარჩენილ ტანკებსაც გაუბედაობა დაემჩნათ, მაგრამ ეს ძალიან ცოტა ხანს გაგრძელდა. მეორე წუთს ფაშისტები თითქოსდა მიხვდნენ, რომ მათ წინააღმდეგ მხოლოდ ერთი ასეული იბრძოდა და კვლავ წინ გამოიჭრნენ.

გრიგოლ კაგამლიკს სხეულში კიდევ ერთმა ტყვიამ გაუარა. მას შეეძლო და უფლებაც ჰქონდა, რომ მოეკრიბა მთელი ღონე, უკან გამოხოხებულიყო და იქნებ სანიტარულ ნაწილამდეც მიეღწია, არადა, ქრილობას ვისმეს ხომ მაინც შეახვევინებდა. მაგრამ გრიგოლმა ეს არ გააკეთა, არ დატოვა ბრძოლის ველი იმიტომ, რომ ბრძოლის გუგუნ-გრიალში კიდევ გაიგონა მოტორების ხმაური. აჰა, მაშასადამე, ისევ ტანკები მოდიან.

ამ დროს ტანკსაწინააღმდეგო მეთოფის სანგრისაკენ მტრის ყველგანმავალი წამოვიდა. კაგამლიკმა დასძლია ჯოჯოხეთური ტკივილს, შეარჩია მარჯვე წუთი და პირველივე გასროლით მტრის ყველგანმავალი ადგილზე გააშეშა.

უცბად მეზობელი „მაქსიმი“ დადუმდა. მეტყვიამფრქვევენი ყველანი დაიღუპნენ, მოწინააღმდეგეს ამით გზა გაეხსნა და ჩვენს საბრძოლო დაცვას ფლანგიდან შემოვლის საშიშროება შეექმნა. გრიგოლი გაჭირვებით მიხოხდა ტყვიამფრქვევთან და ცეცხლი გახსნა. მხოლოდ ერთი გრძელი ჯერის გასროლა მოასწრო და მესამე ტყვიაც მოხვდა, ამჯერად უკვე სასიკვდილო.

ვინ იცის, გრძნობის საბოლოოდ დაკარგვის წინა წამებში იქნებ გაიგონა კიდეც ერთობლივი „ურა!“ ბრძოლის ადგილზე მისულმა პოლკის მთავარმა ძალებმა რომ დაიძახეს და მტერიც უკუაგდეს.

სანგარში გრიგოლ კაგამლიკი პირველმა დაინახა მისმა მეგობარმა, უფროსმა ლეიტენანტმა პავლე დუბოკმა: იმავ წამს მივარდა და ცეცხლის ზოლიდან გამოიყვანა. გრიგოლი მცირე

ხნით მოვიდა გრძნობაზე, გაჭირვებით სუნთქავდა, მაგრამ ჩურჩულით მაინც მოახერხა თქმა:

— მე ბოლომდე ვიბრძოლე... მშვიდობით... ფაშისტები ვერ გავიდნენ... არ გავუშვით...

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

კომკავშირელი სერჟანტის უკვდავი გმირობის ამბავი იმავ დღეს მთელს დივიზიას მოედო და მისი მეომრები მტრისადმი გაორმაგებული სიძულვილითა და გმირული თავგანწირვის სურვილით აღანთო. სულ მალე კი ყოფილი პოლტავშჩინელი კოლმეურნისა და ტანკსაწინააღმდეგო მეთოფურის, უფროსი სერჟანტის გმირული მოქმედება მთელმა ჩვენმა საბჭოთა ქვეყანამ და მთელმა წითელმა არმიამ გაიგო. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით უფროს სერჟანტ გრიგოლ სერგის ძე კაგამლიკს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

გრიგოლ კაგამლიკი გახდა პირველი საბჭოთა კავშირის გმირი სივაშის მსროლელ დივიზიაში. ამჟამად გრიგოლ კაგამლიკის სახელი ეწოდება იმ კოლმეურნეობას, რომელშიც ომამდე მუშაობდა და სკოლას, სადაც სწავლობდა. სადგურ პონირში, სამამულო ომის გმირთა ბაღში, სადაც შემდეგ გადმოასვენეს მებრძოლი-პატრიოტის ნეშტი, მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად აღმართულ ობელისკს ქვაზე ამოკვეთილი ასოებით წერია: „საბჭოთა კავშირის გმირი გრიგოლ კაგამლიკი. 1923-1943 წელი“.

გრიგოლ კაგამლიკმა სულ ოცი წელი იცოცხლა, მაგრამ თავისი გმირობით დროს გაუსწრო და ხალხთა გულებში წარუშლელი ხსოვნა დატოვა. რევოლუციის წლისთავის ზეიმის დღეებში კომკავშირელი გმირი მებრძოლის საფლავზე აღმართულ ობელისკთან მიდიან ადგილობრივი ქალიშვილები და ჭაბუკები, მრავალრიცხოვანი სტუმრები და გმირის უკვდავი ხსოვნის აღსანიშნავად ობელისკის ირგვლივ ცოცხალი ყვავილის თაიგულებს აწყობენ.

გრიგოლ კაგამლიკის კომკავშირული ბილეთი და მისი ტანკსაწინააღმდეგო თოფი, როგორც უწმინდესი რელიკვია, საბჭოთა არმიის ცენტრალურ მუზეუმში ინახება, ხოლო მისი გვარი და სახელი მუდმივად შეტანილია სამხედრო ნაწილის პირადი შემადგენლობის სიაში.

## მეთაურები

მარტის ბოლოს ჩვენი მე-15 სივაშის მსროლელი დივიზიის ნაწილები და შემდეგ მთელი მე-13 არმიისაც, საბოლოოდ გადავიდნენ თავდაცვაზე კურსკის რკალის ჩრდილო კიდურზე. საბრძოლო ვითარების შემდგომ განვითარებაზე, დასაწყისში, რა თქმა უნდა, ჩვენ გარკვევით არაფერი ვიცოდით. შეგვეძლო მხოლოდ გვემარჩიელა და ათასნაირი ვარაუდები შეგვექმნა. ხოლო ვარაუდები — სრულიად სხვადასხვაგვარი — საკმარისზე მეტიც იყო. მათ გამოთქვამდნენ, უზიარებდნენ ერთიმეორეს კერძო ლაპარაკში არა მარტო უფროსი მეთაურები და შტაბის მუშაკები, არამედ ბევრი ქვედანაყოფთა ოფიცრებიც. უმეტესად ასეთი საუბრები იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ 23 მარტისათვის ჯარების მიერ დაკავებულ ზღუდეზე თავდაცვის მოწყობა ბევრი მოულოდნელობით არის ნაკარნახევი, და სულ არ არის გამორიცხული, რომ ახლო მომავალში, აქ სასტიკი თავდაცვითი ბრძოლები დაიწყოს.

ამ დასკვნის საკმაოდ ბევრი მომხრენი, ჯარების სტაბილურ თავდაცვაზე გადაყვანისთანავე, ჩვენს მე-15 სივაშის დივიზიაშიც გაჩნდნენ. მათ შორის ყველაზე უფრო თავგამოდებულნი ჩვეულებრივ რუკას მიმართავდნენ ხოლმე.

— ხედავთ, რა გამოდის, — ამბობდნენ ისინი და თან ფანქარს ან თითს აყოლებდნენ ფრონტის ხაზის თავისებურ ხვეულებს, რომლებიც საბჭოთა ჯარების თებერვალ-მარტის შეტევითი ბრძოლების შედეგად გაჩნდა რუკაზე — ეგრეთწოდებული კურსკის შვერილი უზარმაზარ რკალად შეიჭრა მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე. — წითელი არმიისათვის მას, რა თქმა უნდა, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. და თუ იგი მას დაიკავებს და მდგომარეობაც ხელს შეუწყობს, შეუძლია ძლიერი დარტყმები მიაყენოს მოწინააღმდეგეს როგორც ორიოლის, ისე ბელგოროდ-ხარკოვის დაჯგუფებათა ზურგსა და ფლანგებს, ამავე დროს კურსკის შვერილმა გარკვეულწილად ხელსაყრელი სტრატეგიული პირობები შეუქმნა მოწინააღმდეგესაც. ფაშისტი გენერლები ალბათ შეეცდებიან მის გამოყენებას, შეუძლიათ შვერილის გადაჭრაც სცადონ და ერთდროულად ორი დარტყმა განახორციელონ — ერთი ორიოლის რაიონიდან სამხრეთით და მეორე ბელგოროდის რაიონიდან ჩრდილოეთით და კურსკის საერთო მიმართულებით, და ეს გააკეთონ იმ მიზნით, რომ გარშემოარტყან და გაანადგურონ შვერილის შიგნით მყოფი საბჭოთა ჯარები. ხოლო რაკი მსგავსი ვარიანტი სრულიად შესაძლებელია, მაშასადამე, წითელი არმიის ნაწილებს, რომელთაც კურსკის რკალის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაპირებზე უკავიათ თავდაცვის პოზიციები, და მათ შორის ჩვენს დივიზიასაც, შეუპოვარი მოგერიებით ბრძოლების გადატანა მოუწევს.

ოღონდაც სულ არ იყო საჭირო დიდი სტრატეგიული ტალანტი იმისათვის, რომ კაცი უბრალო ჭეშმარიტებას მიმხვდარიყო: კურსკის რკალის ჩრდილოეთ და სამხრეთ კიდურებზე თავმოყრილი ფაშისტთა ჯარები საკმაოდ დიდ საფრთხეს უქმნიდნენ შვერილის შიგნით მყოფ წითელ არმიას.

თუ თავდაპირველად ეს მხოლოდ „დაბლამდგომთა“ ვარაუდი იყო, მალე ცნობილი გახდა, რომ იგი მთლიანად შეესაბამებოდა უმაღლესი სარდლობის სტრატეგიულ მოსაზრებასაც. „მა-

ლლიდან“ იმ ჯარებისაგან, რომელთაც თავდაცვა კურსკის რკალის ჩრდილო და სამხრეთ კიდეებზე ეკავათ, მოითხოვდნენ არნახული სიღრმისა და მასშტაბის თავდაცვის მოწყობას და, აგრეთვე, ძნელი და სასტიკი მოგერიებითი ბრძოლებისათვის მუდმივ მზადყოფნას. დირექტივებსა და ბრძანებებში ყველაფერი ეს, რასაკვირველია, უფრო ფართოდ და გასაგებად იყო მოცემული, და მთელი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ თავდაცვა მტრისთვის დაუძლეველი და გადაულახავი ყოფილიყო, რომ მომავალი მოგერიებითი ბრძოლა, ბოლოს და ბოლოს, საბჭოთა ჯარების ახალი ძლიერი შეტევის დასაწყისი გამხდარიყო.

შეტევითი ბრძოლების დამთავრების შემდეგ ჩვენმა 676- პოლკმა დაიკავა თავდაცვა სადგურ პონირის ჩრდილო-დასავლეთით. მისი შტაბი სოფელ გნილუცში მოთავსდა. ეს იყო ომის მანძილზე პოლკის პირველი საკომანდო პუნქტი, რომელიც მესანგრეებმა „კომფორტულად“ ააშენეს. იგი საიმედოდ გადახურული, კარგად გამთბარი და ფართო, ხალვათი ბლინდაჟი იყო.

ერთხელ, მარტის ბოლოს, ამ ჩემს ფრონტულ „ბინაში“ დივიზიის მეთაური გენერალი ა. ნ. სლიშკინი მეწვია.

— არ ცხოვრობ ცუდად, ვლადიმერ ნიკოლაევიჩ, ნამდვილი სასახლე აგიშენებია, — მითხრა დივიზიის მეთაურმა და მაზარა „მისაღებში“ კედელზე მირჭობილ ლურსმანზე დაჰკიდა.

— პოლკის ინჟინერმა კაპიტანმა მისინმა და მესანგრეებმა ივაჟკაცეს, — ნახევრად ხუმრობის კილოთი მივუგე მე.

— სწორედ მოქცეულა შენი ინჟინერი, — მოწონებით თქვა აფანასი ნიკიტას ძემ. — თუკი არის შესაძლებლობა, ყოველთვის უნდა ეცადო, რომ ცხოვრების მინიმალური პირობები მაინც შეუქმნა მებრძოლებსა და მეთაურებს. თორემ აგე, ორი წელია, ისე ვომობთ, რომ თოვლსა და მიწიდან ვერ გამოვსულვართ. ადამიანურად დაბანაც კი ვერ შევძელით. იმედი მაქვს, პირადი შემადგენლობის მოთავსებაზეც ასევე იზრუნებდნენ?

— აბა როგორ! მათ მოთავსებაზეც იზრუნეს, დაბანაზეც და ტანსაცმლის გასაშრობი და გამოსაშუში ღუმელებიც მოუწყეს.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი, რაკი ასეა. — თქვა დივიზიის მეთაურმა და მაგიდასთან ჩამოჯდა.

საუბარი ოჯახურ ამბებზე ჩამოვარდა. აფანასი ნიკიტას ძემ დაწვრილებით გამომკითხა ჩემი ოჯახის მდგომარეობა, სად იმყოფება იგი ამჟამად და რას გწერს ცოლი ახალს, საინტერესოს?

თავდაპირველად ვერ მივხვდი, დივიზიის მეთაური უბრალოდ იყო პოლკში მოსული — იმის გასაგებად, როგორ მიდის საქმეები, თუ ჩემთვის გაუგებარი სხვა რამ მიზანი ჰქონდა. თუმცა ამჯერად ერთად ვახშმობაზე სიამოვნებით დამთანხმდა. ჩვენი შტაბის მზარეულმა ზაქირ ახმედის ძე ხამიდულინმა, რომელსაც ყველა და მათ შორის მეც, რატომღაც ახმედს ვეძახდით, როგორც ყოველთვის, თადარიგი ახლაც ადრევე დაიჭირა: რაკი დივიზიის მეთაური გვეწვია, მაშასადამე, სტუმარს კარგი ვახშამიც უნდა მივართვათო, და სამზადისს შეუდგა. კერძის მომზადება კი მართლაც იშვიათი იცოდა. ტყუილად კი არ ემუშავა ომამდე შეფმზარეულად, როგორც თვითონ ამბობდა, ქალაქ ყაზანის საუკეთესო რესტორანში: თვით ყველაზე გაჭირვებულ დღეებშიც კი ახერხებდა თავისი თეთრი ხალათისა და მზარეულის „ფაფახის“ გარეცხვა-გაუთოვებას. ოღონდ ეგ იყო, წესდებას ვერ ეწყობოდა და კარგად ვერც სამხედრო სუბორდინაციებში ერკვეოდა.

ახმედი ბლინდაჟში ჩემი გამოძახების ზუსტად ერთი წუთის შემდეგ შემოვიდა და თუმცა ჩვენთან გენერალი იყო, მაინც ჯერ ისევ მე მომმართა:

— ვახშამი მზად არის, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო. შეიძლება შემოვიტანო?

მიხვდა, რომ ისევ შეცდომა დაუშვა და გენერალს მხოლოდ ამის შემდეგღა წარუდგა.

იმხანად ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ამანათებს ვღებულობდით. ამანათებს გვიგზავნიდნენ სრულიად უცნობი ადამიანები, მაგრამ ჩვენ მათ ისე ვიღებდით, როგორც ყველაზე ახლობელი ძვირფასი ადამიანის საჩუქარს. და სინამდვილეში ასეც იყო, ამას ხომ ჩვენი, საბჭოთა ადამიანები გვიგზავნიდნენ, თვითონ უკანასკნელს იკლებდნენ, რომ თავიანთი ყურადღებით, სითბოთი და სიყვარულით ჩვენ, ფრონტელები გავეხარებინეთ. ან როგორ თბილ, დაუვიწყარ სიტყვებს გვწერდნენ წერილებში. გვეკითხებოდნენ ჩვენს საქმეებზე, გვიყვებოდნენ თავიანთ თავზე, იმაზე, თუ რა თავდაუზოგავად შრომობენ ღრმა ზურგში თვითონ და გვეხმარებიან საძულველ მტერზე ჩვენს მომავალ, დიად გამარჯვებაში.

ორმოცდასამი წლის გაზაფხულზე ამანათები ჩემი თანამემამულეების, ქართველი მშრომელებისაგანაც მივიღეთ. იმ ამანათში, რომელიც მე მერგო, აღმოჩნდა ორ-ორი წყვილი შინ მოქსოვილი მატყლის წინდა და ხელთათმანი — ყველაზე უფრო საჭირო და აუცილებელი ნივთები ფრონტელისათვის, აგრეთვე, ღვინო, ქართული კონიაკი და რამდენიმე ცალი ჩურჩხელა, რომელიც აფანასი ნიკიტას ძემ პირველად ნახა და „ტკბილი ძეხვი“ დაარქვა.

ჩვენმა მზარეულმა ახმედმა სუფრა გააწყო და ამანათით მიღებული ქართული კონიაკი ყველაზე საპატიო ადგილზე ჩამოდგა, მერე ერბოში „ყაზანურად“ შემწვარი კარტოფილი, მოხარშული ხორცი და კიდევ რაღაც-რაღაცები შემოგვიტანა: ერთი სიტყვით, გააკეთა ყველა შესაძლებელი, რაც კი ღარიბ სამზარეულოს მოეთხოვება.

აფანასი ნიკიტას ძეს ვახშამი ძალიან მოეწო-

ნა. ჩანდა მზარეული ახმედაც მოეწონა, რადგან, როცა იგი მაგიდის ასალაგებლად მეორედ შემოვიდა, დივიზიის მეთაურმა „ყაზანურად“ შემწვარ კარტოფილზე მადლობა გადაუხადა და მე მომიბრუნდა:

— დამითმე ეს ოსტატი, ვლადიმერ ნიკოლაევიჩ, თორემ ჩვენს შტაბის სასადილოში წესიერი მზარეული არა გვყავს.

რა უნდა მეთქვა? მხოლოდ მხრები ავიჩეჩე გაურკვევლად. დივიზიის მეთაურმა ყოყმანი შემატყო და საჩქაროდ დაუმატა:

— თუმცა, დარჩეს ჯერჯერობით პოლკში. მერე კი, როცა დივიზიაში შენი დანიშვნის ბრძანება მოვა, ამასაც თან წამოიყვან, და სადილვახშამს ბარემ ორივეს ერთად მოგვიმზადებს.

— როგორ ერთად? ან რა ბრძანებაზე მეუბნებით, ამხანაგო გენერალო? — ვკითხე გაოცებულმა.

— არმიის სარდლის ბრძანებაზე — დივიზიის მეთაურის მოადგილედ შენი დანიშვნის შესახებ, სამწყობრო დარგში, — აუჩქარებლად განაგრძო გენერალმა სლიშკინმა, — შენ ხომ იცი, რომ ჩემი მოადგილე დააწინაურეს, მე კი ახალგაზრდა, ერთგული მოადგილე თუ არ მეყოლა, საქმეში გამიჭირდება. ჰოდა, მეც ნიკოლოზ პავლეს ძე პოპოვს შენი კანდიდატურა წარვუდგინე ამ ადგილზე დასანიშნად.

კიდევ ნახევარ საათს ვილაპარაკეთ ჩემს მომავალ სამსახურზე და კონკრეტულ მოვალეობებზე, რომელთა ასრულებაც მე იქ მელოდა. წასვლისას გენერალმა სლიშკინმა ღრმად ამოიოხრა და სინანულით მითხრა:

— ვბერდები, ძმაო, მე. ჯანმრთელობაც უკვე მღალატობს. ორმოცდაცამეტს მივაკაკუნე, ხუმრობა ხომ არ არის!

მე მაშინ ოცდათხუთმეტი წლისა ვიყავი და გენერალი მართლაც მობერებულად მეჩვენებოდა, მაგრამ ზრდილობისათვის ვანუგეშე, რომ ორმოცდაცამეტი წელი არც ისე ბევრია და ფრონტზე ბევრად უფრო ხნიერი გენერლებიც არიან-მეთქი.

— გაჩუმდი, პოდპოლკოვნიკო, — შემაწყვეტინა აფანასი ნიკიტას ძემ. — შენც გახდები ჩემი ხნისა და... მხრებზე სამოქალაქო ომის სიმძიმე მაწევს, ახლა ძველი ჭრილობები...

რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა ჩემი შემცვლელი პოდპოლკოვნიკი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ონოფრეენკო — საშუალო სიმაღლის, სწორი, ლამაზი ტანის ახალგაზრდა კაცი. იგი ჩემზე ხუთი წლით უმცროსი იყო, მიუხედავად ახალგაზრდობისა, ადამიანში ნდობას და მოკრძალებას ბადებდა. შემდგომ ბრძოლებში თავი გამოიჩინა როგორც ნებისყოფიანმა და გაბედულმა მეთაურმა, ხელქვეითების კარგმა ხელმძღვანელმა და ორგანიზატორმა.

აქვე შევნიშნავ, რომ დივიზიის ორი სხვა მსროლელი პოლკის მეთაურებს — პოდპოლკოვნიკ გირგოლ ვოლოშჩენკოსა და პოდპოლკოვნიკ ივანე კარტაშოვს უკვე კარგად ვიცნობდი. ეს ნაცნობობა ახალ სამსახურს მიადვილებდა, თუმცა ახლა, როცა ისინი ჩემი ხელქვეითები გახდნენ, დამოკიდებულებაც ერთგვარად უნდა შეგვეცვალა.

ნ. ონოფრეენკოსათვის პოლკის გადაბარებას დიდი დრო არ დასჭირვებია. 1943 წლის 4 აპრილს უკვე გამოვემშვიდობე პოლკის ამხანაგებს. მართალია, მე იმავე შენაერთში ვრჩებოდი, მაგრამ მაინც ძნელი იყო მათთან განშორება, ვისი შეყვარებაც უკვე მოვასწარი პოლკის მეთაურობის ერთი წლის მანძილზე, ვისთან ერთადაც ძნელ და მძიმე ბრძოლებში მხარდამხარ ვმონაწილეობდი; მაგრამ ასეთია არმიის წესი: მოვა ბრძანება ახალი დანიშვნის შესახებ და დაუყოვნებლივ შეუდექი საქმეს. პირად გრძნობებს და სიმპათიებს, რაგინდ ძლიერიც არ უნდა იყოს ისინი, ალარავითარი მნიშვნელობა არა აქვთ. მიეჩვიე ახალ ადამიანებს, ახალ თანამოსამსახურეებს! მთავარია სამშობლოს წინაშე მოვალეობის პირნათლად ასრულება.

## დიადი ბრძოლების შესახვედრად

თავდაცვის ზოლი კურსკის რკალის ჩრდილო მხარეზე... როგორ შენდებოდა იგი და რას წარმოადგენდა კურსკის დიადი ბრძოლების წინადღეს?

სამხედრო ლექსიკონში ბევრნაირ განმარტებას შეხვდებით. ცნობილი იყო ღრმად ეშელონირებული, ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითსაწინააღმდეგო, გამძლე, საიმედო თავდაცვა. დიახ, ყველაფერი ეს ასე იყო. თუმცაღა ეს მხოლოდ ზოგადი განსაზღვრებაა. კურსკთან კი, განსაკუთრებით მტრის მთავარი დარტყმის ადრევე ნავარაუდევი მიმართულებით, ესე იგი, მეცამეტე არმიის ზოლში, რომლის შემადგენლობაში ჩვენი მეთხუთმეტე სივაშის მსროლელი დივიზიაც შედიოდა, ჭეშმარიტად უნიკალური, ომების ისტორიაში სრულიად უპრეცედენტო თავდაცვა იყო შექმნილი.

პირადი შემადგენლობის უშუალოდ დივიზიაში მეცადინეობის გარდა, გვიხდებოდა აგრეთვე მსხვილმასშტაბიანი მეცადინეობები და სწავლება ფრონტის პოლიგონზეც, რომელიც არმიაში საბჭოთა კავშირის მარშლის გ. კ. ჟუკოვის ინიციატივით იქნა შემოღებული. ასეთი მეცადინეობები ტარდებოდა თავდაცვის წინა ხაზიდან დაახლოებით 30 კილომეტრზე. ფრონტის შემადგენლობაში შემავალი ნაწილები რიგის მიხედვით გადიოდნენ წინ ტაქტიკური ილეთების დასამუშავებლად, ახალი სახის იარაღის გამოყენებით. პოლიგონზე ხშირად გ. კ. ჟუკოვის, კ. კ. როკოსოვსკისა და არმიის სარდლის ნ. პ. პუხოვის თანდასწრებით, ტარდებოდა გრანდიოზული შეტევითი „ბრძოლები“, რომლის დროსაც წყდებოდა სხვადასხვა სახეობის ჯარების ურთი-

ერთმეთანხმებული მოქმედების ურთულესი ამოცანები.

ერთ ასეთ მეცადინეობაზე, რომლის თემა იყო „პოლკის შეტევა მოწინააღმდეგის თავდაცვის გამაგრებულ რაიონზე" და რომელსაც ვატარებდი პირადად მე, ესწრებოდნენ მთავარსარდლობის წარმომადგენელი გ. კ. ჟუკოვი, ფრონტის სარდალი კ. კ. როკოსოვსკი და ჩვენი არმიის სარდალი ნ. პ. პუხოვი. მეცადინეობამ წარმატებით ჩაიარა. მისი შეფასებისას ჟუკოვმა თქვა:

—თუ თქვენ საომარ ვითარებაშიც ასევე ორგანიზებულად მოაწყობთ შეტევით ბრძოლას, არავითარი მტერი თქვენთვის საშიში აღარ იქნება.

ჟუკოვმა მეცადინეობაში მონაწილე ყველა პირად შემადგენლობას მადლობა გამოუცხადა და წინადადება მოგვცა, რომ ჯარების მომზადება შემდეგაც ასეთ მაღალ დონეზე ჩაგვეტარებინა.

— თუ ჯარი სათანადოდ არ იქნა მომზადებული, — თქვა მან ბოლოს, — მარტო თავდაცვის გამაგრებით, რაგინდ ძლიერი და საიმედოც არ უნდა იყოს იგი, მტერს ვერ შეაჩერებ.

და ჩვენც, რომ იტყვიან, ვამზადებდით ჯარებს მუხლჩაუხრელად. მე, როგორც დივიზიის მეთაურის მოადგილე, თითქმის სულ სასწავლო პოლიგონებზე ვათევ-ვაღამებდი, ვამუშავებდი სხვადასხვა საკითხებს ტანკებთან და არტილერიასთან პოლკებისა და ბატალიონების ურთიერთშეთანხმებული მოქმედების შესახებ.

ჩვენმა სარდლობამ ბევრი რამ იცოდა პირისპირ მდგარი მოწინააღმდეგის შესახებ. მათ შორის, კურსკის შვერილზე თავმოყრილი მისი ძალებისა და საბრძოლო საშუალებების შესახებაც, იცოდა მისი გეგმები და განზრახვები. ქვეითის, არტილერიის, ტანკებისა და თვითმფრინავების მთლიანი რაოდენობა, რა თქმა უნდა, ცოტა გვიან გახდა ცნობილი. მაგრამ ის, რომ მტერმა ფრონტის ამ უბანზე შექმნა უზარმაზარი დამკვრელი დაჯგუფება და გამალებით ემზადებოდა ზაფხულის შეტევისათვის ჩვენი თავდაცვის გარღვევის მიზნით, საბჭოთა სარდლობამ საკმაო სიზუსტით იცოდა, გარკვეულწილად ცნობილი იყო ისიც, რომ კურსკთან, ჩვენს ჯარებზე ძლიერი დარტყმის მზადებისას, ფაშისტთა გენერლები და მათი ცოფიანი ფიურერი ძირითად იმედს ახალ საბრძოლო ტექნიკაზე ამყარებდნენ — მძიმე ტანკებზე „ვეფხვებსა" და „პანტერებზე", და ძლიერ თვითმავალ ქვემეხებზე „ფერდინანდებზე", რომლებიც მათ სულ ცოტა ხნის წინ საკმაოდ დიდი რაოდენობით შემოიტანეს ფრონტზე.

ჩვენ ველოდით ბრძოლის დაწყებას, ველოდით ჯერ კიდევ მაისის ნახევარში, მაგრამ ივნისიც გავიდა და მტრის შეტევა კი მაინც არ დაწყებულა.

საღამოობით, ღამითა და დილის რიჟრაჟისას ფრონტზე დაძაბული სიჩუმე იდგა. მყუდროებას მხოლოდ ბულბულის სტვენა და ღამის კანტიკუნტი გასროლები არღვევდა. მომხიბვლავია კურსკის ბულბულები! ომშიც კი არ წყვეტდნენ ისინი თავიანთ წკრიალა, საგაზაფხულო და საზაფხულო სიმღერებს. ოღონდ ეგ იყო, რომ ჩვენ მათ მოსასმენად მაინცა და მაინც არ გვეცალა. მომავალი ბრძოლის დაძლეული მოლოდინი სულს ხუთავდა და დღე და ღამე მოსვენებას არ გვაძლევდა.

დაახლოებით ივნისის შუა რიცხვებში მოწინააღმდეგემ გააძლიერა ჩვენი პოზიციებისათვის ცეცხლდაშენა, რასაც აკორექტირებდა დიდ სიმაღლეზე მფრინავი მზვერავი თვითმფრინავებიდან. ხანდახან დასახლებული პუნქტის ვერხნი ტაგინოს ჩრდილოეთით ჰაერში მტრის აეროსტატი ადიოდა და ამისდაკვალად საარტილერიო ცეცხლდაშენაც მატულობდა. ასეთ დღეებში მოწინააღმდეგე მარტო ჩვენი დივიზიის თავდაცვის უბანზე დღე-ღამის განმავლობაში 1500-1800 ჭურვსა და ნაღმს აგდებდა.

ცაში წანდაუწყუმ იფეთქებდა საჰაერო ბრძოლები, ზშირად მათში ორივე მხრიდან ერთდროულად ას-ასზე მეტი თვითმფრინავი მონაწილეობდა. მტრის ავიაცია ზოგჯერ კურსკისა და ელეცის სარკინიგზო კვანძებზე, სხვა რკინიგზის სადგურებსა და საავტომობილო გზებზე მასიურ დარტყმებსაც აწერხებდა. მაგრამ ვალში არც ჩვენი მფრინავები რჩებოდნენ, მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითის თავმოყრის ადგილებს ისინიც ასეთსავე ძლიერ დარტყმებს აყენებდნენ. გააფთრებული ბრძოლები განსაკუთრებით გამანადგურებლებს შორის ხდებოდა.

ყველაფერი ეს მომავალი დიდი ბრძოლის დასაწყისი იყო.

ივნისის ბოლო რიცხვებში, სწორედ კურსკის ბრძოლების დაწყების რამდენიმე დღე-ღამით ადრე, დივიზიამ მიიღო მოულოდნელი (ყოველ შემთხვევაში ჩემთვის მაინც) ბრძანება. ჩვენი შესანიშნავი დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი აფანასი ნიკიტას ძე სლიშკინი ხელახლა შექმნილი 29-ე მსროლელი კორპუსის მეთაურად დაინიშნა და მე-15 სივაშის მსროლელი დივიზიის მეთაურობა დროებით მე დამეკისრა.

...დადგა ივლისი — ცხელი, ჩახუთული და ძველებურად შფოთიანი, დამქანცველი მოლოდინით აღსავსე. დასვენება თითქმის არ გვიწევდა. გაუხდელად თუ მივეგდებოდით ერთ-ორ საათს, მერე ორდინარეცის დახმარებით თავზე ერთ ვედრო ცივ წყალს გადავივლებდით, პაპიროსს მოვწევდით და კვლავ საქმეს შევუდგებოდით.

ყველაზე სახიფათო დრო გარიჟრაჟი იყო. ბრძოლები უმეტესად დილაადრიან იწყება.

1 ივლისის ღამე განსაკუთრებით ცხელი და ჩახუთული იყო. მახსოვს, დაძინება ვერ შევძელი. დიდხანს ვუჭვრეტდი რუკას და თავში ათასნაირი ვარიანტი მიტრიალებდა, სულერთთავად მოწინააღმდეგეზე ვფიქრობდი. ვერ გავიგე, როგორ შემოაპარა განთიადმა. რუკა გვერდზე გავწიე, მაგიდიდან წამოვდექი და ბლინდაჟში

გავიარ-გამოვიარე. გამოვედი გარეთ, ირგვლივ სიწყნარეა. დიდხანს ვიდექი სათვალთვალო პუნქტთან და საყოველთაო სიჩუმეს ვაყურადებდი.

ვარსკვლავები ერთმანეთის მიყოლებით ქრებოდნენ. აღმოსავლეთით სულ უფრო მძლავრობდა განთიადი. ქროდა ნელი და თბილი ნიავი. როცა ცა მზის პირველმა სხივმა გაანათა, მახლობელ ბუჩქნარში ახლად გაღვიძებული ბულბულის წკრიალა ხმა გაისმა. ბულბული ისე ლაღად და მიმზიდველად გალობდა, თითქოს მზეს სადიდებელს უმღეროდა.

მტრის განლაგებაში კენტი გასროლის ხმა გაისმა. შეშინებული მგალობელი უმალ დაჩუმდა და კვლავ დაძაბული და ავისმომასწავებელი მდუმარება ჩამოწვა. როდის დაიწყებს მტერი შემოტევას? იქნებ დღესვე — ერთი საათის ან იქნებ რამდენიმე წუთის შემდეგაც?..

საბჭოთა დაზვერვამ მოახერხა მტრის შემოტევის მიახლოებითი დროის დადგენა სამი დღე-ღამის სიზუსტით. ცნობილი გახდა, რომ მისი დაწყება მოსალოდნელი იყო ივლისის 3 და 6 რიცხვებს შუა. დივიზიაში ეს ცნობა მოიტანა არმიიდან მოსულმა შტაბის უფროსმა პოლკოვნიკმა ვ. პ. შმიგლევმა. სამი დღე-ღამე! 72 საათი! მათგან რომელზე დაიწყებს მტერი ჩვენი პოზიციების იერიშს? იმისათვის, რომ დაგვესწრო მისთვის და მთელი შეიარაღებით დავხვედროდით, საჭირო იყო იერიშის დაწყების დროის უფრო ზუსტად ცოდნა.

ჩვენ მუდმივად ვზვერავდით მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა მხარეს. ჭოგრიტები, სტერეომილები და პერისკოპები სულ იქით გვქონდა მიმართული. ხმისსაზომი საგუშაგოები, „საარტილერიო ყურები" მარჯვედ იჭერდნენ გამოთოფვით გასროლას, აზუსტებდნენ მტრის თავდაცვის სიღრმეს, რეზერვის თავმოყრის ადგილს, საცეცხლე წერტების განლაგებას და სხვა წვრილმან-მსხვილმანს. ყველაფერი საგულდაგულოდ იყო შესწავლილი, დაზუსტებული და გააზრებული სულ პაწია ბუჩქების, ცალკეული ხეებისა და ძლივშესამჩნევი ბილიკების ჩათვლით. მიწის ყოველი მეტრი არტილერისტებს, ნაღმმტყორცნელებსა და მეტყვიამფრქვევეებს, რომ იტყვიან კორაზე ჰქონდათ დასმული. მტრის ჯარების დღის რეჟიმი დაწვრილებით ვიცოდით. მის ყოველგვარ ცვლილებას, თვით სულ უმცირესსაც კი, მეთვალთვალენი დაუყოვნებლივ გადასცემდნენ დივიზიის შტაბს.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ტელეფონთან, — დამიძახა ტელეფონისტმა.

რეკავდა არმიის სარდალი გენერალი ნ. პ. პუხოვი. მაცნობა, რომ ცხრიდან ათ საათამდე დივიზიის განლაგების ადგილზე მოვა ფრონტის სარდალი არმიის გენერალი კ. კ. როკოსოვსკი, დამისახელა შეხვედრის კოორდინატები და ბოლოს მკითხა:

— როგორ არის მანდ, შენთან საქმე?

— სიწყნარეა.

— ყურადღებით იყავი, არ მომწონს მე ეგ სიწყნარე.

სიწყნარე არც მე მომწონდა, არც პოლკებისა და ბატალიონების მეთაურებს მოსწონდათ და დივიზიის არც დანარჩენ მებრძოლებს. ყველას მობეზრდა მისი ყურის გდება, პირდაპირ გულს გვიწუხებდა, მაგრამ რა გვექნა, დრომდე თავს ვერაფრით დავაღწევდით.

დივიზია ყველაფრით მზად იყო ნებისმიერი საბრძოლო შემოწმებისათვის, მაგრამ ფრონტის სარდლის მოსვლა მაინც სხვა რამეა. მანქანით წავედი ფრონტის სარდალთან შეხვედრის ადგილზე.

არმიის გენერალ კ. კ. როკოსოვსკისა და მის თანმხლებ პირებს — გენერალ-ლეიტენანტ პ. პ. სუხოვს, გენერალ-მაიორ ა. ნ. სლიშკინსა და ფრონტის შტაბის უფროს ოფიცერთა მცირე ჯგუფს შევხვდით დათქმულ ადგილზე, ჩვენი წინა ხაზიდან თხუთმეტი კილომეტრის დაშორებით. კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ უსიტყვოდ მომისმინა მოხსენება-რაპორტი და ბრძანა:

— ახლა, პოლკოვნიკო, თქვენს საკომანდო პუნქტზე წავიდეთ და იქ ყველაფერზე დაწვრილებით მოვილაპარაკოთ.

საკომანდო პუნქტზე უფრო დაწვრილებით მოვახსენე დივიზიისა და მის მიერ დაკავებული თავდაცვითი უბნის მდგომარეობის შესახებ. ფრონტის სარდალი, ეტყობოდა, კმაყოფილი დარჩა იმით, რაც მოისმინა. მხოლოდ რამდენიმე შეკითხვა მომცა პირადი შემადგენლობის განწყობილების თაობაზე და ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვის რაიონების შესახებ, რის შემდეგაც ენერგიულად წამოდგა მაგიდიდან და მოკლედ მოსჭრა:

— კეთილი, პოლკოვნიკო, ვნახოთ თქვენი თავდაცვა ადგილზე. რით დავიწყოთ?

ჩემს მაგიერ გენერალმა სლიშკინმა უპასუხა:

— თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ამხანაგო სარდალო, წავიდეთ ექვსას სამოცდამეთექვსმეტე პოლკში. მას უკავია თავდაცვა გენერალ ბარინოვის ოთხმოცდამეერთე დივიზიის შესაყარზე.

— ასე იყოს. წავიდეთ ექვსას სამოცდამეთექვსმეტეში, — დათანხმდა როკოსოვსკი.

მივდიოდით ტრანშეებზე. რამდენჯერმე გავჩერდით. კონსტანტინე კონსტანტინეს ძე ესაუბრებოდა მებრძოლებსა და მეთაურებს, სურდა მათი განწყობისა და თავდაცვის შესახებ მათივე აზრის გაგება. მისი ადიუტანტი პოლკოვნიკი ერთი ნაბიჯით არ შორდებოდა და ბლოკნოტში გამუდმებით რაღაცას იწერდა, ალბათ მებრძოლთა პასუხებს სარდლის კითხვებზე.

ჩვენ შეგვეგება პოდპოლკოვნიკი ნ. ნ. ონოფრიენკო, „ჩემი" ყოფილი 676-ე მსროლელი პოლკის მეთაური. მან მკვირცხლად მოახსენა პოლკის საბრძოლო მზადყოფნის შესახებ. ფრონტის სარდალმა ხელი მჭიდროდ ჩამოართვა და უთხრა:

— გვაჩვენეთ თქვენი მეურნეობა, პოდპოლკოვნიკო.

მოსულებმა ყურადღებით დაათვალიერეს პოლკის თავდაცვითი პოზიციები და კმაყოფილიც დარჩნენ. ტრანშეებსა და ხანგრებში ყველგან სანიმუშო წესრიგი იყო გამეფებული. მსროლელებმა, მეავტომატეებმა და მეტყვიამფრქვევეებმა ბევრ ადგილას პირდაპირ შესაშური ჯარისკაცური ოსტატობით მოაწყვეს ბურჯების, ნაღმისა და ავიაბომბების ნამსხვრევებისაგან თავდასაცავი სათვარები, სანიმუშოდ ჰქონდათ მოვლილი იარაღი და საომარი მასალაც. ასეთივე საიმედო იყო არტილერისტების, ტანკისტების, მეკავშირეების და სხვა სპეციალობის ჯარების თავშესაფრებიც.

საბრძოლო პოზიციების დათვალიერებისას ფრონტის სარდალი უბრალოდ, მეგობრულად ეკითხებოდა მებრძოლებსა და სერჟანტებს იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად იცოდნენ მათ ბრძოლაში თავიანთი მოვალეობა. ყველანი თამამად და დამაჯერებლად პასუხობდნენ, ხოლო ზოგიერთები სარდალს თვითონაც აძლევდნენ შეკითხვას.

როგორც ახლა მახსოვს, ერთ-ერთი დანაყოფის მეთაურმა უფროსმა სერჟანტმა სარდალს ასეთი რაღაც უთხრა:

— როდისღა მოეღება ბოლო, ამხანაგო სარდალო, ჩვენს სანგრებში სხდომას? მტრისგან ოკუპირებულ საბჭოთა მიწა-წყალზე, ჩემს მშობლიურ უკრაინაში, ჩვენ გვეღიან მშობლები, ცოლები, შვილები, ჩვენ-კი თხუნელებივით ვსხედვართ მიწაში და რაღაცას ველით. გვიბრძანეთ შეტევაზე გადასვლა და ჩვენ ავლგვით მტერს პირისაგან მიწისა.

კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ წარბები მოღუშა და მძიმედ ამოიოხრა.

— მივა საქმე უკრაინის განთავისუფლებამდეც, ამხანაგო უფროსო სერჟანტო! ამ წელს თუ არა, გაისად მაინც უკრაინა განთავისუფლებული იქნება. მანამდე კი მტერი აი აქ, კურსკთან უნდა გავანადგუროთ.

ყოჩაღი, გონიერი ჯარისკაცი ფრონტის სარდალს ეტყობოდა მოეწონა, რადგან მასთან სხვებთან შედარებით დიდხანს ილაპარაკა. ჰკითხა, დიდი ხანია, რაც ფრონტზე ხართ, სად, რომელ ბრძოლებში მონაწილეობდით და ტრანშეის საბრძოლო ვითარებაში კარგად თუ ერკვევითო. სერჟანტი ყველა კითხვაზე მოკლედ, მაგრამ ამომწურავად პასუხობდა.

— უფროსი სერჟანტი გამოცდილი და უნარიანი მეთაურია, ამხანაგო სარდალო, მისი ათეული ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია პოლკში, — ჩაურთო პოდპოლკოვნიკმა ონოფრენკომ.

— რაკი საუკეთესოა, მაშ საჩუქარიც ეკუთვნის, — თქვა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ, უფროს სერჟანტს საათი გადასცა და გულთბილი ღიმილით დაუმატა, — ხოლო უკრაინას, როგორც მთელს საბჭოთა მიწას, ჩვენ უსათუოდ გავანთავისუფლებთ, ახლა უკვე დიდხანს ლოდინი აღარ მოგიწევთ.

როკოსოვსკის მზედველობიდან არაფერი არ გამორჩენია, მაგრამ ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვის მდგომარეობა აინტერესებდა.

მეორე ხაზის ტრანშეაში დავბრუნდით და იმ ადგილზე მივედით, სადაც სქემაზე ერთ-ერთი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის გათვლის საბრძოლო პოზიცია იყო აღნიშნული. არმიის სარდალმა ნ. პ. პუხოვმა ირგვლივ მიმოიხედა და ქვემეხები რომ ვერსად დაინახა, მკაცრად იკითხა:

— რა არის ეს? სად არის გათვლა?

სანამ მე ვუპასუხებდი, ფრონტის სარდალი ჯარისკაცურ ეშმაკობას მიხვდა და საბრძოლო განგაში გამოაცხადა. არტილერისტებმა უმალვე გამოაგორეს ქვემეხები სათვარებიდან და საბრძოლო პოზიცია დაიკავეს.

— ოცდათექვსმეტი წამი, — კმაყოფილებით წარმოთქვა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ და მაჯის საათს მზერა მოსწყვიტა, — კარგია; ძალიანაც კარგია. — შეაქო მან არტილერისტები, — ვინ არის ტანკსაწინააღმდეგო კვანძის მეთაური?

მეთაური აღმოჩნდა უმცროსი ლეიტენანტი ივანე ბორისიუკი. ფრონტის სარდალი გულთბილად ელაპარაკა უმცროს ლეიტენანტს და მასაც და ქვემეხის გათვლის მთელს შემადგენლობას მადლობა გამოუცხადა.

— თუ ბრძოლაშიც ასევე სწრაფად იმოქმედებთ, ასევე შეთანხმებულად, ვერც ერთი „ვეფხვი“ და „პანტერა“ თქვენ წინ ვერ დაგიდგებათ — უთხრა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ საბოლოოდ ბორისიუკს.

საბრძოლო პოზიციების დათვალიერება დღის მეორე ნახევარშიღა დამთავრდა. ღრმა ტრანშეებით საკომანდო პუნქტში დავბრუნდით.

ის იყო ბლინდაჟში შევედით, რომ შტაბის უფროსმა პოლკოვნიკმა შმიგლევმა მოგვახსენა: ფრონტის შტაბიდან დარეკეს, გვთხოვეს, გადაეცით სარდალს, რომ მტრის შეტევის დაწყების შესახებ არავითარი ახალი ცნობები არ არის და ყველაფერი ძველებურად რჩება: 3-დან 6-ივლისამდე.

— კვლავ იგივე — სამიდან ექვსამდე, — ჩაფიქრებით და აშკარად უკმაყოფილოდ თქვა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ, როცა შმიგლევის მოხსენება მოისმინა, — ზუსტად როდისღა? რაც არ უნდა დაჯდეს, უფრო ზუსტი ცნობებია საჭირო. ჩვენ უნდა ვიცოდეთ არამარტო დღე, არამედ საათი და წუთიც. როდის იწყებს მტერი დარტყმას. — მერე მე მომიბრუნდა და ბრძანების კილოთი დაუმატა, — „მოენე“ გვინდა, პოლკოვნიკო, სწორედ თქვენი დივიზიის უბანზე. თქვენ აუცილებლად უნდა ჩაიგდოთ ხელთ „მოენე“. ეს ჩემი პირადი დავალებაა.

როკოსოვსკიმ საბრძოლო პოზიციების დათვალიერებას შედეგად მიღებული შთაბეჭდილე-

ბები გაგვიზიარა და რაც ნახა 676-ე მსროლელ პოლკსა და არტილერისტების ტანკსაწინააღმდეგო კვანძზე, ყველაფერს მაღალი შეფასება მისცა. დასასრულ ჩვენი დივიზიის ფრონტის უბანი რუკაზე ფერადი ფანქრით შემოხაზა და მტკიცედ განაცხადა:

— ყველაზე საპასუხისმგებლო უბანი თქვენ გაბარიათ, ყველაფრით სავარაუდოა, რომ მოწინააღმდეგე უპირველეს ყოვლისა, სწორედ აქ შეეცდება თავდაცვის გარღვევას. შესაძლოა, თქვენსა და ოთხმოცდამეერთე დივიზიის შესაყარზე. ერთი სიტყვით, მტრის პირველი დარტყმის გადატანა თქვენ და თქვენს მეზობლებს მოგიწევთ. თქვენ ღრმად ჩასულხართ მიწაში, შეგიქმნიათ საიმედო თავდაცვა არა მარტო წინა ხაზზე, არამედ სიღრმეშიც. ეს მნიშვნელოვანი გარანტიაა იმისა, რომ დაქანცოთ მტერი ცხარე ბრძოლებში და დაასუსტოთ. თქვენ უზრუნველყოფილი იქნებით ყოველმხრივი დახმარებით. ღამით თქვენთან მოვა საინჟინრო-სასანგრო ბრიგადა და ნაღმის ღობურებს გაამაგრებს. და საბოლოოდ: ბრძოლის დაწყებამდე ხელთ უნდა იგდოთ მოენე, რაღაც უნდა დაჯდეს!

საუბარი რომ დამთავრდა, როკოსოვსკი და მისი თანმხლები ამხანაგები სადილად მიიწვიე-უარი არავის უთქვამს. მზარეული აჰმედ-ადრი-ვე მყავდა გაფრთხილებული და ამჯერად მართლაც ბრწყინვალე ოსტატობა გამოამჟღავნა: მისი „სადღესასწაულო" სადილი, როგორც თვითონ ამბობდა, ყველას ძალიან მოეწონა.

გამომშვიდობებისას ფრონტის სარდალმა ხელი მაგრად ჩამომართვა და მომავალ ბრძოლაში გამარჯვება მისურვა.

დიდი სამამულო ომის გამარჯვებით დამთავრების მრავალი წლის შემდეგ. საბჭოთა კავშირის მარშალმა კ. კ. როკოსოვსკიმ მე-15 სივაშის დივიზიაში ყოფნის შესახებ თავის მოგონებებში ჩაწერა:

„პონირის რაიონში ზღუდეების შემოწმებისას, ერთ-ერთი ქვედანაყოფის ჯარისკაცს ვკითხე, როგორ აფასებთ თქვენს პოზიციას-მეთქი. მებრძოლებმა დამაჯერებლად მიპასუხეს: „აქ მოწინააღმდეგე ვერ გავა!" და უნდა ითქვას, რომ მათ ეს საქმით დაამტკიცეს".

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროსი კალანდაძე

# გზადაგზა

## ზოგი რამ კონსტანტინესთან ურთიერთობიდან

ყოველი დროის ამაღლებული სულის პიროვნებანი ალბათ ყოველთვის ოცნებობდნენ ისეთ დროსა და ვითარებაზე, როდესაც ადამიანთა შორის დამყარდება და დამკვიდრდება დილის ცვარივით ანკარა, სუფთა და გამჭვირვალე კავშირი ანუ უხინჯო, უანგარო ურთიერთობა.

შეგნებულად თუ ქვეშეცნეულად ჩვენც შევნატრით და ვესწრაფვით ასეთ უზადო ადამიანურ კავშირებს.

რა დასამალია, რომ ამ ნატვრასა თუ ოცნებას წინ უძღვის ერთგვარი დიდი გულისტკივილიც.

მერე რა? — უგულისტკივილოდ ერთი გონივრული ნაბიჯიც ვერ გადაიდგმის წინ — სინათლისა და სიმართლისაკენ.

დაე, თქმული როგორღაც სიმების აწყობასავით იყოს, რომ მოგონებები და გულისძგერა ავაყოლო მას. სიმართლე, მხოლოდ სიმართლე! მაგრამ რა ძნელია თქმა სიმართლისა, მუდამ უამრავი გარეშე და შინაგანი მკაცრი გამკითხავი რომ გექარება აქეთ და იქეთ. მინდა, როგორც ლიტერატურისა და ხელოვნების მოყვარულმა, ზოგიერთი თავგადასავალი, ფიქრი და ფაქტი გავანდო გულახდილად ქაღალდის ფურცლებს. იქნებ ოდესმე ვინმე ზნეთა გამომკვლევი შეეფეთოს აქ ნაამბობს და თავისი აზრების ასაღლესად გამოიყენოს. ეს დიდი საქმე იქნება, მაგრამ ხომ არ ვკადნიერდები ამ გაბედული იმედით? მე, რაც არის, იყოს, არსებითად გიამბობთ წყობილსიტყვაობის მოყვარულის თავგადასავალს.

მინდა დავიწყო კონსტანტინე გამსახურდიასთან ურთიერთობიდან. პირველად მის „დიდოსტატის მარჯვენაზე“ აზრი გამოვთქვი ეგრეთწოდებულ შინასარედაქციო რეცენზიაში, რომელიც, როგორც მახსოვს, დავწერე 1941 თუ 1942 წელს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის („სახელგამის“) დავალებით. მთლიანად რომანის ფრიად დადებით შეფასებასთან ერთად აღვნიშნავდი მცირეოდენ ენობრივ ხინჯს და ზოგიერთ ერთობ გამძაფრებულ ეროტიულობას. რეცენზიას რომ გაცნობოდა, კონსტანტინეს ტელეფონით დაერეკა გამომცემლობის დირექტორ ნ. კიკნაძისათვის: „მაგ ჭაბუკს მოახსენე, მოფარებულში წერას სჯობს, ჩემს გამო თუ რამე აქვს სათქმელი, სადმე პრესაში დაბეჭდოს, პურიტანისტული შეგონებანი კი თავისთვის შეინახოს“. მერე ამას მოჰყვა საკმაოდ გულითადი შეხვედრა და პირადი გაცნობა. ის რეცენზია კი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მაშინდელი მდივნის — სიმონ ჩიქოვანის დავალებით გადამუშავებული და გავრცელებული, სომხურად გადაითარგმნა და ერევნის სომხურ ჟურნალში დაიბეჭდა სამამულო ომის დროს (სხვათა შორის, ერევნიდან კარგა მოზრდილი ჰონორარიც ჩამომიტანა — ჟურნალისტმა საშა ხოსროევმა); ამ წერილის დაწერა სომხური ჟურნალისათვის სიმონ ჩიქოვანმა, ვფიქრობ, მე იმიტომ დამავალა, რომ ერთ საუბარში ჩვენი შეხედულებანი ამ რომანში ქრისტიანული და წარმართული ფენების გამო დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

ომის პერიოდშივე დაიბეჭდა „მნათობში“ ჩემი რეცენზია „დავით აღმაშენებლის“ იმ ხანებში გამოქვეყნებული ნაწილების გამო. რეცენზიაში დახასიათებული იყო მწერლის მდიდარი გამომსახველობითი საშუალებები, უხვი ფერების პალიტრა, სახეებისა და ძერწვა-გამოკვეთის დიდი ოსტატობა. გაკვრით შევნიშნავდი, რომ, ჩემი აზრით, რომანში ნაკლებად მოჩანდა ერის ისტორიის მამოძრავებელი ძალები და წინააღმდეგობანი.

მახსოვს, კონსტანტინე გამსახურდია სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორის კაბინეტის ერთ კუთხეში მიმჯდარი კითხულობდა „მნა-

თობს" (ალბათ, ჩემს რეცენზიას); ცოტახანი დავყოვნდი და კითხვა გათავებული რომ ექნებოდა, იმ კაბინეტში შევედი. მივესალმე, მომესალმა და ღიმილით მითხრა: „—ჭაბუკო, მე რომანს ვწერ და არა სოციალურ ტრაქტატს... თუ ჩემს გამო კვლავ აიღებდი ხელში კალამს, ეს ყოველთვის გახსოვდეს". ვფიქრობ რეცენზია არ იმსახურებდა ასეთ საყვედურს. მაგრამ მაშინ მე არ შევკამათებივარ მწერალს... ამაზე ცოტათი უფრო ადრე, თუ უფრო გვიან (ზუსტად არ მახსოვს) კონსტანტინემ მითხრა: — გავიგე, ჩემს გამო ერევნის სომხურ ჟურნალში წერილი დაგიბეჭდავს. ძალიან კარგია, ჩვენ მოძმე ხალხს რომ ვაცნობთ ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას... სომხეთში მე ბევრი მეგობარი მყავს.. საწყენს არ მაკადრებენ. მეც ძლიერ ვუფრთხილდები სომხების ეროვნულ ღირსებას. ფრიად ნიჭიერი ხალხია...

ნათქვამი დავუდასტურე... ისე, ეტყობოდა, იმ დღეს რაღაცით თუ ვიღაცით ნაწყენი იყო. მახსოვს, სხვათა შორის, ვიღაცას შეუკურთხა კიდევაც, თან დაახლოებით ასეთი რამ დაატანა: — მეჯავრება მლიქვნელობა და მლიქვნელებად გადაქცეული ადამიანებიც. მწერლობაც, კრიტიკაც სად გაექცევა მოშხამულ ჰაერს... სხვებისა კი არა, თავისთავის ნდობაც კი ძნელი და საშიშია ჩვენს საუკუნეში... თუმცა შიში ლაჩრობაა და სხვა არაფერი! უნდა გაქროლდე თავდაუზოგავად!..

...კონსტანტინე ცხენსა და ცხენოსნობაზე დიდად შეყვარებული იყო. შეიძლება ითქვას, მის ყველაზე დიდ სპორტულ გატაცებას ცხენოსნობა წარმოადგენდა; თუმცა ნადირობაც თავის დიდ ჟინად თუ ვნებად მიაჩნდა. ცხენოსნობის ტრფიალმა ერთ მარცხსაც შეამთხვია. თბილისის იპოდრომის თავლის მუშაკთა შორის, როგორც ჩანს, კონსტანტინეს რამდენიმე ახლო ნაცნობი და მეგობარი ჰყავდა. სწორედ ამ ნაცნობ-მეგობართა ხელშეწყობით კონსტანტინემ, ალით მირცხულავამ და კიდევ ვიღაც სხვამ ბობოქარი წლის ერთ დღეს თბილისის იპოდრომის თავლის ნაპატიები ცხენებით გაისეირნეს ქალაქგარეთ. ვგონებ, ბეთანიის მიმართულებით. როგორც ჩანს, კონსტანტინე ყველაზე ფეხმარდ და მთრთოლვარე ცხენზე იჯდა. გზის რომელიღაც მონაკვეთზე, ამ ცხენმა მხედარს თავი წაართვა და ქარივით გაქროლდა მოზვეულ ბილიკზე, მხედარი ცხენიდან გადმოვარდა, ფეხიც ილრძო და სხეულიც გვარიანად დაებეჟა. თითქმის თვეზე მეტი იწვა ლოგინში. ბოლოს, როცა კოჭლობით გამოვიდა გარეთ, მახსოვს, ერთხელ გამომცემლობაში იხუმრა: — ღღეს მძღოლს არ უნდოდა წინა ბაქნიდან შევეშვი, აქედან მხოლოდ ორდენოსნებს აქვთ უფლება შემოვიდნენო; შე კაცო, ვუთხარი, მართალია, ორდენი არა მაქვს, მაგრამ ფეხი მაქვს მოტეხილი, ძლივს ვმოძრაობ, ამაზე დიდი საბუთი რაიმე არის-მეთქი.

10. „მნათობი", № 8.

თვითონ მწერალი ამის გამო გულიანად იცინოდა...

იმ ხანებში ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღებას ხშირად იპყრობდა მწერლის მახვილი ანტიფაშისტურ-ანტიჰიტლერული გამოსვლები. ეს გამოსვლები კარგად არის შენახული ქართული ლიტერატურის საცავებში თუ ანალებში. ამიტომ მათ არ შევეხები...

გაირბინეს დღეებმა, თვეებმა, წლებმაც კი. კონსტანტინე გამსახურდიასთან ყოველი შეხვედრა „რაღაცით" ყოველთვის იყო საგულისხმო... მწერალმა „მნათობში" რომანი „ვაზის ყვავილობა" გამოაქვეყნა... მახსოვს, ყოველ სარედაქციო შენიშვნას იგი შორს იჭერდა... იმ ჟამად ჟურნალს რედაქტორობდა ირაკლი აბაშიძე. იგი, როგორც ყოველთვის და როგორც თითქმის ყველასთან, ერთობ კეთილმოსურნე და ალერსიანი იყო კონსტანტინეს მიმართ. ამით მწერლის ზოგიერთ თვინიერ დათმობას თუ მორჩილებასაც აღწევდა. ჟურნალს სტილისტურად შოთა ძიძიგური ასწორებდა. მის მიმართ კონსტანტინე უფრო შეურიგებელი იყო. სხვა თანამშრომელთა შენიშვნებსაც შორს იჭერდა. რას იზამდით, დათმობა გარდუვალი იყო, საქმე დიდ და სახელოვან მწერალს ეხებოდა... მახსოვს, პირადად მე მაშინ მწერალს დიდი მოკრძალებით შევკადრე: — ბატონო კონსტანტინე, რაღაცათი თქვენი ეს ახალი რომანი წინგადადგმული ნაბიჯიცაა და რაღაცათი ადგილზე გაჩერებაცაა... ამ რომანის იდეურ-თემატიურ შინაარსსა და ნივთიერ-მხატვრულ ფაქტურას შორის, ადამიანებსა, ხასიათებსა და მათს სამოქმედოსამოძრაო ვითარებებს შორის იგრძნობა-მეთქი. მაშინ კონსტანტინეს სახეზე წყენისა თუ გაბრაზების ჩრდილმა გადაურბინა, ერთხანს იყუჩა, მერე კი მწარე ღიმილით მითხრა: — ნუ გეწყინება, მასეთ ყურით მოთრეულ შენიშვნებს მე ყურს ვერ ვუგდებ...

მეწყინა. არ შევეპასუხე.

ამ დროიდან რამდენიმე ხნის შემდეგ „ვაზის ყვავილობა" ერთობ მწვავედ გააკრიტიკეს მოსკოვის ერთ-ერთ გამოცემაში, ვგონებ „იზვესტიაში". რამდენადაც მახსოვს, კრიტიკული რეცენზიის ავტორი ჩვენებური კაცი, პოეტი იყო.

საქართველოს მწერალთა კავშირში გამართულ ერთ-ერთ დისკუსიაზე მე მკაცრად უარვყავი მოსკოველი კრიტიკოსის უაღრესად ნიჰილისტურ-უარმყოფელი მიდრეკილება, მაგრამ, ამავე დროს, ჩემის მხრივ, რომანის მიმართ გამოვთქვი ზოგიერთი არსებითი კრიტიკული შენიშვნა. შემდეგში ჩემი ამ სიტყვის დებულებები მე განვავითარე და გავაღრმავე ჩემს ვრცელ წერილში „ვაზის ყვავილობის" გამო. იქ გამოთქმული მოსაზრებები და დებულებები მე ახლაც მართებულად მიმაჩნია. წერილი დაიბეჭდა ქართულად „ლიტერატურულ საქართველოში", რუსულად კი „ლიტერატურნაია გრუზიაში". არსე-

ბითად, მე ვეხებოდი რომანის პერსონაჟთა ხასიათს, მათი ფსიქოლოგიურ-ინტელექტუალური არსებისა და მათი საარსებო გარემოცვის დაშორიშორებას, რომანის მხატვრულ-ემოციური მასალისა და იდეურ-თემატიური ნაგებობის გათიშულობას, რაც არსებითად ფორმისა და შინაარსის გათიშულობაზე მითითებას მოასწავებდა. მალე, წერილის გამოქვეყნების შემდეგ, კონსტანტინე ერთ დილით რუსთაველის პროსპექტზე შემომეყარა, თავაზიანად მომესალმა, ხელი მკლავში გამომიყარა, ნაბიჯ-ნაბიჯ გამომყვა და დინჯად მითხრა:

— ჭაბუკო, ლიტერატურულად საკმაოდ კარგად დაგიწერია ერთობ მწარე წერილი ჩემი რომანის გამო. მაგრამ იცოდე ერთი წერილი, რაგინდ სუსხიანიც უნდა იყოს, მე ვერ მომკლავს, ვერ მომსპობს...

მე ნამდვილად შევშფოთდი, შევწუხდი.

— რას ბრძანებთ, ბატონო კონსტანტინე, არსებითად მე თქვენთვის მხოლოდ სიკეთე მსურს... თუ ბოროტება გამოვიდა, ჯობდა არასდროს არაფერი დამეწერა, მაგრამ თქვენ არაერთხელ გითქვამთ, კრიტიკა მაფხიზლებს და ამით მშველის კიდეცო.

— დიახაც, მშველის, — მიპასუხა, — ნურავინ იფიქრებს, ერთმა კრიტიკულმა წერილმა შეარყიოს ჩემი საძირკვლები... შენგან მაინც არ ველოდი ასეთ დაუნდობლობას. მე მხოლოდ ორი ნიჭიერი კაცის კრიტიკული სიტყვა მიმაჩნია ყურის დაგდების ღირსად: გიორგი ნატროშვილისა და აკაკი გაწერელიასი...

ნაღვლიანად დავშორდით მაშინ ერთმანეთს.

...ვიცოდი, რომ იმ ხანებში რუსი კრიტიკოსი სემიონ ტრეგუბი მოლაპარაკებას აწარმოებდა გამომცემლობა „ზარია ვოსტოკასთან“ კონსტანტინესთან „ვაზის ყვავილობის“ თარგმნის შესახებ, მას გულდაგულ წაეკითხა რომანიც და ჩემი წერილიც. და ერთ დღეს ტრეგუბმა დამირეკა სახლში და მითხრა:

— მე წავიკითხე თქვენი საკმაოდ მძაფრი და საკმაოდ საფუძვლიანი წერილი „ვაზის ყვავილობაზე“... ყველაფერი ბოლომდე არ მაქვს გააზრებული. შესაძლოა, ბევრ რამეში დაგეთანხმოთ კიდევაც. მაგრამ ერთი რამ მიკვირს: როგორც მითხრეს, როდესაც რომანი ჟურნალ „მნათობში“ იბეჭდებოდა, თქვენ ჟურნალის რედაქციაში მუშაობდით. როგორ დაუშვირეთ მხარი ამ რომანის დაბეჭდვას ჟურნალში?

— ბოდიში, მეგობარო, — შევეპასუხე ტელეფონით ტრეგუბს, — თქვენ ღრმად სცდებით თქვენს შეგონებაში... თქვენ უნდა იცოდეთ, რომ კონსტანტინე გამსახურდია იმდენად დიდი მწერალია, რომ უფლება აქვს დაიბეჭდოს სხვათა ჩაურევლად, თუნდაც ძალიან დიდი ავტორიტეტების ჩაურევლად. თუკი, რასაკვირველია, რაიმე საშიშ კრიმინალთან არ გვაქვს საქმე... ერთხელ კიდევ მინდა შეგახსენოთ, რომ კონსტანტინე გამსახურდია ჩვენი დიდი მწერალია და არც თქვენ გირჩევთ, როგორც მთარგმნელს, იოლად ჩაერიოთ მის მხატვრულ კონსტრუქციებში...

— არა, მე თქვენთვის საწყენად არ მითქვამს, — მითხრა ტრეგუბმა, — არსებითად ბევრ თქვენს მოსაზრებასა და დებულებას მე უყოყმანოდ ვიზიარებ... თარგმნის პროცესში კიდევაც შევეცდები დავითანხმო ავტორი ზოგიერთ ცვლილებასა და გასწორებაზე...

როგორც ჩანს, ბევრ რამეს ავტორის დათანხმების მხრივ, ტრეგუბმა ვერ მიაღწია. დანამდვილებით გავიგე: კონსტანტინეს მისთვის ეთქვა:

— ჩემი რომანის თარგმნის დროს თქვენ კრიტიკოსის კალამი განზე გადადევით და ხელში მხოლოდ მთარგმნელის კალამი აიღეთ. ჩვენ მხოლოდ ასე შევძლებთ ერთმანეთს გავუგოთ და ერთმანეთთან კარგად ვითანამშრომლოთ.

კარგა ხნის შემდეგ სემიონ ტრეგუბი მე ახლო გავიცანი. ერთხელ მას ბესო ჟღენტისათვის ეთხოვა, ჩარგალი მანახეო. როგორც ჩანს, ბესოს დრო არ ჰქონდა და მე მთხოვა მისი მანქანით ტრეგუბს ჩარგალში გავყოლოდი. მან თან თავისი ქალ-ვაჟი გამოგვაყოლა. ტრეგუბი ჩარგალში აღფრთოვანდა და გაოცდა დიდი ვაჟას კარმიდამოთი. აქ მე ერთდროულად ჰომეროსისა და ძველთაძველი წარმართობის სამყაროში ვიმყოფებითო. ვაჟას სამშობლოს ხელთუქმნელ სილამაზეზე განსაკუთრებით მაშინ გაიკრიფა ენად, როდესაც მაღაროს კარის სახინკლეში თუშურ ხინკლებს მიეძალა.

— კონსტანტინე გამსახურდიაც სადღაც და როგორღაც ქართული წარმართული სამყაროდან მოდისო, — თქვა ტრეგუბმა. ჩემი თანამშრომლობა მასთან ფრიად შინაარსიანი და სასიამოვნო იყო, თუმცა ჩემ მცირეოდენ რჩევასაც კი შორს იჭერდა.

ვაჟას სამყაროს ირგვლივ ტრეგუბს ჩემს გარდა ძალიან სასიამოვნოდ და ფრიად განათლებულად ესაუბრებოდა ბესოს უფროსი ქალიშვილი — ნინიკო.

მინდა ყველა წუთი, ყველა შესანიშნავი ეპიზოდი გავიხსენო.

მაგრამ რას ნიშნავს შესანიშნავი ეპიზოდი? მე მგონი, მთელი ცხოვრება თითქმის ყველა ადამიანისა ყელთამდე სავსეა შესანიშნავი წუთებით, სიბრძნით, სილამაზით, დრამატიზმით. ო, რა უთვალავი უმშვენიერესი, მართლაც ბრძნული წუთები იკარგება ადამიანების გრძელ, გრძელ კი არა — უსასრულოდ გაზიდულ ისტორიაში.

ბევრი მახსოვს კონსტანტინეს მახვილგონიერება და ენამოსწრებულობა, განსაკუთრებით ერთ საჭარო კამათში იგი ერთობ ენაწყლიანიც და ენამწარეც იყო.

იგი ლაპარაკობდა ცხარედ... შუალედებში, მე ზოგჯერ ასოციაციურ რაღაცაზე ვფიქრობდი (თავს ვიმართლებდი გალაკტიონის მოშველე-

ბით: „მიდის ოპერა ლაკმე, ბუტაფორიის შეხლა; განა ეგ არის საქმე, მე სულ სხვას ვფიქრობ ახლა“); მართლაც ასე იყო: დრო და დრო ვეთიშებოდი თათბირის მდინარებას. კონსტანტინე, თითქმის როგორც ყოველთვის, სიტყვამოხწრებულად ლაპარაკობდა. ბევრ ვინმეს ელაება, განსაკუთრებით კრიტიკოსებს. ზოგიერთის საოცრად მწარე შედარებით გადასწვდა:

— ზოგი კრიტიკოსი უნივერმაღის კარებს მაგონებს, საითაც ხელს ჰკრავთ, იქით გაიღებათ...

არ შეიძლება ითქვას, რომ ერთობ ბობოქარი იყო დისკუსია „ვაზის ყვავილობის“ გამო 1958 წლის ივლისში, საქართველოს მწერალთა კავშირში. ბობოქარი არა, მაგრამ ზოგი რამით მაინც საკმაოდ საგულისხმო იყო. მე ჩემს გამოსვლაში განვავითარე უკვე ზემოთნახსენები ჩემი წერილის დებულებები, თუმცა წერილი, ვგონებ, მოკვეცებით დაიბეჭდა იმავე 1958 წელს.

თავის საბოლოო სიტყვაში კონსტანტინე საკმაოდ თავაზიანი იყო ყველა მოკამათის მიმართ. თუმცა ზოგიერთის მიმართ ქვეტექსტში სიტყვას არ აკლდა სიმწვავეც. ეს სიტყვა დაბეჭდილია კონსტანტინე გამსახურდიას რჩეულ თხზულებათა VII ტომში, რომელიც გამოცემულია „საბჭოთა საქართველოს“ მიერ 1965 წელს.

მე, როგორც რომანის იმ ეპიზოდს შევეხე, სადაც წყალდიდობისა და ბავშვის გადარჩენის ამბავია მოთხრობილი, ვილაპარაკე თავგანწირვისა და გმირობის ფსიქოლოგიურ შინაარსსა და შინაგან მოტივიზაციაზე. ამის გამო კონსტანტინე, ეკამათება რა სხვა ოპონენტს, იზიარებს ჩემს ერთ მოსაზრებას. იგი წერს:

„განა არ გახსოვთ პროფესორი თამარაშვილი, ქართველი ბერი — თეოლოგიის დოქტორი მიდიოდა რომში ტიბროსის ნაპირას, ბავშვი იღრჩობოდა, თამარაშვილმა გაიხადა ანაფორა, ცურვა არ იცოდა და ბავშვთან ერთად დაიხრჩო.

განწირულების დროს კაცი თავდადებულია და კეთილშობილი. გავიხსენოთ თუნდაც მღვდელი — ილიას „გლახის ნაამბობიდან“...

ლავროსი კალანდაძემ ამის შესახებ მართებულად გითხრათ, მე მსროლელი არა ვარ, მაგრამ რომ დავინახო, ბავშვს ვილაც ესვრის, სასიკვდილოდ იმეტებს, იმ წუთს ზარბაზანიც რომ მქონდეს, იმით ვისვრი... ეს არის თავგანწირვის ის პუნქტი, რომლისთვისაც ყოველი კეთილშობილი ადამიანი თავს გაწირავს“. (კ. გამსახურდია, **VII** ტომი, **1965** წ. გვ. **534**).

ვერ ვიტყვი, რომ მთლად ზუსტად იყოს გადმოცემული აქ ჩემი მოსაზრება, მაგრამ უზუსტობა იმდენად უმნიშვნელოა, რომ მასზე შეჩერება არ მიმაჩნია საჭიროდ.

იმავე ჩემი გამოსვლის გამო კონსტანტინე წერს:

„მე მინდა შევეხო ლავროსი კალანდაძის სიტყვას. მან მისურვა, რომ თანამედროვეობაზე დაწერილი ჩემი რომანები ამეყვანა იმ სიმაღლეზე, რომელ სიმაღლეზედაც დგანან საქართველოს ისტორიული პიეტიზირებისათვის დაწერილი რომანები.

ლავროსი კალანდაძე ანგარიშს უნდა უწევდეს იმ გარემოებას, რომ ხშირად მასალას აქვს დიდად გადამწყვეტი როლი. მაგალითად, როგორ დაუპირისპირო დავით აღმაშენებელს გლეხი, რომელსაც არც რიგიანი სახლკარი აქვს, არც ქონება გააჩნია. თქვენ ასე არ უნდა დააყენოთ საკითხი, თვითონ მასალა უწყობს ხელს ოსტატობას... თუ თქვენ ასე დააყენებთ საკითხს, მაშინ ჩვენ გეტყვით, რომ ჩვენ შესაძლებლობას ვუზღუდავთ თანამედროვე მწერალს. პირიქით, მწერლის ნიჭი უეჭველად გამოჩნდება არა მარტო იქ, სადაც მასალა ხელს უწყობს, არამედ იქაც, სადაც მასალა ხელს არ უწყობს მას. „ვაზის ყვავილობაში“ უეჭველად გაცილებით მეტი წინააღმდეგობა მქონდა, ვიდრე „დიდოსტატის მარჯვენაში“, იმიტომ, რომ „დიდოსტატს“ სარჩულად უდევს უბრწყინვალესი ლეგენდა, რომლის გამო ქართველმა ხალხმა ლექსი შექმნა და ასეთი დაპირისპირება არ არის მთლიანად მართალი“ (კონსტანტინე გამსახურდია, ტომი **VII, 1965** წ. გვ. **535**).

კამათის გაგრძელების საჭიროება არ არის. ვიტყვი მხოლოდ: მხატვრული ქმნილების იდეურ-თემატიური შინაარსისა და ნივთიერ-ემოციური ფაქტურის, ხასიათთა და მათი სამოქმედო გარემოს შესატყვისობა ყოველთვის იქნება ერთ-ერთი ურღვევი პირობა მხატვრული სრულყოფილობისა. ამ მოვლენის უმძაფრესი გრძნობა და გეში ახასიათებს თვით კონსტანტინეს თავის უკეთეს და უძლიერეს ქმნილებებში.

მაინც ყოველთვის მაწვალებდა გრძნობა იმისა, რომ მწერალს როგორღაც გული ვატკინე. ვერ არის სასიამოვნო „ხელობა“ კრიტიკოსობა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, თვითონ მწერალიც საკმაოდ ენამწარე კრიტიკოსი იყო. საკმაოდ იყვნენ მისგან გულნატკენი მწერლებიც.

**1961** წელს კონსტანტინე გამსახურდიას შეუსრულდა დაბადების **70** წელი და შემოქმედებითი მოღვაწეობის **50** წელი. ამასთან დაკავშირებით მე გამოვაქვეყნე პატარა წერილი, გამსჭვალული, ჩემი აზრით, დიდი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით მწერლისა და მისი შემოქმედებისადმი. აღსანიშნავი იმასაც, რომ მწერალთან ზოგიერთი საკითხის გამო გვიდავია და, შესაძლოა, მომავალშიც ვედავოთ, მაგრამ მის დიდ ნიჭსა და ერისკაცობას ვერაფერი შეკვეცავს.

მე სრულიადაც არ ვფიქრობდი, რომ როგორმე შევანელებდი მწერლის გარკვეულ გულნატკენობას ჩემზე. ამიტომ რამდენიმედ კიდევაც შევშფოთდი, როდესაც მწერლისაგან მივიღე ერთობ თავაზიანი მიწვევა საიუბილეო წვეულებაზე (ბანკეტზე) მაშინდელი „ორიანტის“ რესტორანში. წვეულება ერთობ ხალხმრავალი იყო. პირადად მე წვეულებაზე დიდხანს არ დავრჩენილვარ. უსიამოვნო გრძნობა დაირხა ზოგიერთთა წაკინკლავების გამო (შესაძლოა, ამას უკეთ

მოიგონებენ ირაკლი აბაშიძე, პავლე ინგოროყვა და ზოგიერთი სხვა)... რამდენიმე დღის შემდეგ კონსტანტინე შემხვდა და მითხრა: — წვეულების დროს ხშირად შემოსასვლელი კარებისაკენ ვიხედებოდი, რამდენიმე კაცის სტუმრობის განსაკუთრებული მოსურნე ვიყავი... შენ რომ არ მწვევოდი, მეწყინებოდა, გულუკეთურობას შეგწამებდი. მადლობელი ვარ, რომ მეწვიე.

მერე საუბარში გაიხსენა ჩემი დავა მასთან ენის საკითხებზე:

— ბევრი დამესიეთ, — თქვა მან, — მაგრამ მართალი არც ერთი არ იყავით: არც ჩიქობავა, არც ძიძიგური, არც შენ. მართალი უნდა გითხრა: შენი კამათი ჩემთან, რასაკვირველია, თავიდან ბოლომდე, მცდარი იყო, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ულონო იყო, სადავო რად უნდა იყოს აქსიომა: როცა ერი სახელმწიფოებრიობას ჰკარგავს, მისი კულტურაც და ენაც ლატაკდება...

— მაინც სადაო არაფერია-მეთქი, ვუთხარი... საბოლოდ გავიხსენე მისი დებულება, რომ შემთხვევით ერთი „მკლავმაგარი კაცი მოვარდება მწერლობაში და სამი თაობის ჭაპანს ასწევს, ხოლო უნიჭოები სხედან და ცოხნიან ათასი წლის მანძილზე ნაცოხნს. ეს მკლავმაგარი კაცი გახლავთ ეროვნული ენერგიის უცაბედი ერუპციის გამოვლინება, სხვა არაფერი“.

გავახსენე, რომ ამ ენერგიულად ნათქვამ სიტყვებს, როგორც ჩემს პოლემიკურ წერილში ვწერდი, დიდი შინაგანი ულონობა სჭირს-მეთქი. ენის განვითარებაში არ შეიძლება გამოირიცხოს დიდ პიროვნებათა უდიდესი როლი, მაგრამ ენის მთავარი შემოქმედი ხალხია, სწორედ ხალხი, თანაც ენის განვითარებაში, შესაძლოა შემთხვევითობას ადგილი ექნეს, მაგრამ არსებითი მაინც რაღაცნაირი ისტორიული კანონზომიერებაა....

კონსტანტინე მცირე ხანს ყურს მიგდებდა, მერე კი მითხრა, — ჩვენ ამ საკითხში ვერ შევთანხმდებით; მე ვიცი, ქვეყნიერების ბორბალს მხოლოდ დევკაცები ამოძრავებენ, შენ კი გგონია ჭიანჭველებისა და კოლოების ლაშქარი ატრიალებს სიცოცხლის ჩარხს...

კამათი არ დამიწყია.

დრო ულმობელი გულგრილობით მიიზლაზნებოდა.

კონსტანტინე ჯერ კიდევ შორს იყო ასაკობრივი სიძაბუნისაგან, მაგრამ ხანი მაინც თავისას იჩემებდა. მწერლის ურთიერთობა ჩემთან საკმაოდ [illegible]: ხან [illegible], მეგობრული და გულითადი იყო, ხან კი ცივი და [illegible] თუ ორხელ. — თავის კოლ[illegible] კაბინეტში მიმიპატიჟა [illegible] დარბაზი საკმაოდ პირქუში მეჩვენა. როგორც ჩანს, მწერალს, მისი სიტყვები რომ მოვიშველიოთ, მრუმე მყუდროება უყვარდა...

[illegible] ხანებში გამოქვეყნდა ჩემი ერთი განცდილ-ნაფიქრალი — „გრძნობათა გამო“ („პირიმზე“, „ბუტბუტებს მტკვარი“), რაც ჩემი ლიტერატურული მიდრეკილების [illegible] დამახასიათებელ ნიმუშს წარმოადგენდა და რასაც შემდგომ, მიზეზთა სხვადასხვათა გამო, უკვე გვერდს ვუქცევ. ჩემს განცდილ-ნაფიქრში, სხვა საკითხებთან ერთად, ვეხებოდი მხატვრული შემოქმედების ბუნების პრობლემასაც. იქ ერთგან ვწერ: „შემოქმედება არის ერთადერთი თავშესაფარი, სადაც ადამიანი ემალება მარადიულ სიკვდილს. პატარა თუ დიდი შემოქმედი ყოველ ადამიანშია. შემოქმედება მომავლის დაპყრობის, მომავალში დამკვიდრებისა და განმტკიცების მუდმივი ჟინი და წყურვილია“; ამ აზრის დასაცავად ვიშველიებდი „დიდოსტატის“ ზოგიერთ ადგილს, კერძოდ იმასაც, რომ „ხელოვნება თავისთავად უკვდავებაა“...

„ათასეული წლები წარეკავენ ირგვლივ ყოველივეს, მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება, როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი“, ასე ფიქრობს ერთგან ხუროთმოძღვარი არსაკიძე. შემდეგ მწერალი ავითარებს თავის აზრს: „მართლაც სხვა რა ევალებათ ოსტატს, თუ არ წამიერის მარადჟამულად ქცევა? სხვა რა ევალება ამ ქვეყნად ოსტატს, თუ არ ჭიდილი წარმავალობის ნისლთან?“ მე კი ამის გამო ვწერდი: „ჩემი აზრით, ამ სიტყვებში არის შემოქმედის ბუნების, მისი უცვლელი ფსიქოლოგიური საფუძვლის ღრმა გაგება, გაგება იმისა, რომ შემოქმედი თავის ქმნილებაში ყოველთვის აქსოვს უკვდავებისა და მარადისობის გრძნობას“:.. სადღაც, როგორღაც მჭირდებოდა ხელოვნებისა და მეცნიერების სასაზღვრო მიჯნის გავლება და ფიქრებში ვასაბუთებდი: მეცნიერება მიელტვის პიროვნულის ზოგადთან შერწყმას, უკეთ ვთქვათ, პიროვნულის ზოგადში გათქვეფას, ხელოვნება კი ზეიმობს იქ, სადაც სული განუმეორებელ პიროვნულობას პოულობს... ვეხებოდი ქართული ენის ჯავარიანობას, მის დიდ გამომსახველობით შესაძლებლობას. ერთგან ვწერდი: „გვახარებს, რომ ქართულმა სიტყვამ ძლევამოსილად გააჩერა სიკვდილ-სიცოცხლის გასაყართან მცხეთის ლაჟვარდში შეცურებული სვეტიცხოველი, მკლავმოკვეთილი ქართველი ხელოვანის ბორგვა და ქარაფიდან უფსკრულში გადაფრენილი ქართველი ასულის ტრაგიკული ხვედრება“.

საგრძნობლად ჯანმრთელობა შერყეული კონსტანტინე საქართველოს მწერალთა კავშირში შემხვდა, თითქოს აპათიურად გამოიყურებოდა. მაინც ერთ საწერ მაგიდასთან მიმიწვია, პიჯაკის ჯიბიდან ის გაზეთი ამოიღო, რომელშიაც დაბეჭდილი იყო ჩემი „გრძნობათა გამოს“ ერთი ნაწილი. გაზეთი მომაწოდა და მთხოვა წამეკითხა ის ნაწილი, სადაც „დიდოსტატის“ ეპიზოდზე იყო ნათქვამი, წავიკითხე. თითქოს საკმაოდ მოდუნებულად მიგდებდა ყურს. მერე გაზეთი გამომართვა, დაკეცა და ისევ პიჯაკის

ჯიბეში ჩაიდო. ერთი სიტყვაც არ უთქვამს წაკითხული ნაწყვეტის გამო. როგორც ჩანს, სულის ძალიან მეტწილს ჯანმრთელობის შერყევის გადალახვას ანდომებდა... ამაზე ცოტათი უფრო ადრე, თუ უფრო გვიან (ზუსტად არ მახსოვს), კონსტანტინე თავისი მეუღლითა და ქალიშვილითურთ რიკოთის უღელტეხილზე შემოგვეყარა მე და ჩემს ვაჟს. იქაურ რესტორანში შეჩერებულიყო წასახემსებლად. ერთი ბოთლი „მანავის მწვანე“ გამოგვიგზავნა. — მძღოლმა-მხატვარმა აქ თავი შეიკავოს ნუნუასაგან... მაგის მიმართ ჯავრს სხვა დროს ვიყრი, — გადმოგვძახა თავის სუფრიდან კონსტანტინემ. იქ გავიგე, რომ კონსტანტინეს ქალიშვილი თამრიკო და ჩემი მხატვარი ვაჟი თბილისელი ნაცნობმეგობრები ყოფილან.

რიკოთზე ხანამ ერთმანეთს გზას დავულოცავდით, კონსტანტინემ, სხვათა შორის, ჩემი ვაჟის გასაგონად თქვა: — ერთი რამ მარადჟამს უნდა ახსოვდეს ხელოვანს, განსაკუთრებით ფუნჯის ოსტატს: გარეგნულმა ბრჭყვიალებამ არასდროს არ უნდა დაჩრდილოს ნაწარმოების შინაგანი ხნივოსნობა... მე მეჯავრება კაცი, ვინც ცდილობს უფრო ლამაზად იუბნოს, ვიდრე მისი საგნის თვითარსი სილამაზეა...

ჩემი განცდილ-ნაფიქრალი წაეკითხა კონსტანტინე გამსახურდიას მეუღლესაც — მირანდა გამსახურდიასაც (ფალავანდიშვილი); ეს შესანიშნავი მწყაზარი მანდილოსანი ჩინებულად ახასიერებდა კდემამოსილი ქართველი დედის, მეუღლისა და არგვლიველის სათნო, კეთილი არსების თვისებებს... იმ ხანებში მე იგი შემთხვევით შემხვდა ზემელზე, აეროფლოტის სადგურის წინ, მანქანას ელოდებოდა. კეთილად მომესალმა და კეთილი სიტყვაც მითხრა ჩემი წერილის — „გრძნობათა გამო“.

— ნოველასავით იკითხებათ, არ იფიქროთ, რომ იმიტომ მომეწონა, რომ კონსტანტინე გყავთ კარგად ნახსენები... „ვაზის ყვავილობის“ გამო თქვენ საკმაოდ მკაცრი იყავით, მაგრამ იმ წერილის ღირსებაზეც თვალი არ დამიხუჭავს...

ეს ღვთისნიერი ქალი უაღრესად მზრუნველი მეუღლე იყო; როგორც ვიცი, იგი თავგამეტებულად უვლიდა კონსტანტინეს, როცა ეს უკანასკნელი ერთხანს მძიმედ ავადმყოფობდა... მახსოვს, ავადმყოფს მოსკოვშიაც ახლდა ერთ-ერთ ყრილობაზე. სასტუმრო „მოსკოვის“ ვესტიბიულში რამდენიმე ქართველს გვთხოვა დავხმარებოდით, რომ კონსტანტინე მიგვეცილებინა კრემლის დარბაზამდე. — იცოდეთ, წლების სუსხი არავის არ აცდება, მაშინ ჩვენი შვილები და შვილიშვილები შეგეშველებათ! — ღიმილით გვითხრა მირანდამ.

კონსტანტინე ერთგულად მივაცილეთ კრემლამდე... მერე ერთ-ერთ მოსკოვურ გამოცემაში გამოქვეყნდა ფოტოსურათი, რომელზედაც აღბეჭდილი იყო, თუ როგორ ათვალიერებდა სახელოვანი ქართველი მწერალი — კონსტანტინე გამსახურდია ცოცხალი ფრინველების განყოფილებას ფაუნის მუზეუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხდა ხანი. კონსტანტინე თანდათან მომჯობინდა. დროდადრო იგი სასაუზმოდაც და სასაუბროდაც გვეპატიჟებოდა ხან სად და ხან სად (უმეტესად „ორიანტის“ რესტორანში) გიორგი ნატროშვილსა და მე. თვითონ მეტწილად ყავასა და კონიაკს ეტანებოდა... ზოგჯერ კრიტიკის ერთგვარ „გაკვეთილებსაც“ კი გვაძლევდა: — თქვენ, კრიტიკოსებმა, სწორედ ეგრეთწოდებულ დიდ და ცნობილ შემოქმედებს უნდა დაუგმოთ წყალწყალობა, სისუსტე და შეცდომები, თორემ სხვადასხვა ჩიტირეკია მწერლების „გამოფატვრა“ ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს ვერავის... მხოლოდ ტყუილუბრალოდ გულს ვატკენთ საწყალობლებს... ახალგაზრდა ნიჭიერებსაც მკაცრად უნდა მოვეკიდოთ. მაგალითად, მე საკმაოდ მკაცრად და წარბშეკრულად შევხვდი თავის დროზე მეტად ნიჭიერ ახალგაზრდა მწერალს — რევაზ ჯაფარიძეს. მე მგონია, იმ სიმკაცრემ კარგი სამსახური გაუწია მას; ახლა იგი ღონივრად და გაბედულად მიიწევს წინ. დარწმუნებული ვარ, უეჭველად დაიპყრობს დიდი სიმაღლის ყინულოვან მწვერვალს. მაგრამ ეს უტანჯველად არ იქნება. ვინც კალამს ჰკიდებს ხელს, უნდა ახსოვდეს, რომ მწერლობაზე დიდი სატანჯველი არა არის რა.

დროდადრო კონსტანტინე საოცრად ცივად და უნდოდ მხვდებოდა. აქამდე მგონია, ვიღაც ჩვენ შორის წყალს ამღვრევდა, ღვარძლს თესავდა. ან იქნებ ტალანტის უნებლიე მიზეზიანობის, თუ დარ-ავდრიანობის ბრალი იყო... ჩემი დაკვირვებით, მწერალი მეტად განსხვავებული და თავისებური იყო თავის ოჯახურ ურთიერთობაშიც (ასე მგონია, ოდნავ პატრიარქალურობის იერიც დაჰკრავდა მის ოჯახურ მესვეურობას)... თავის ლიტერატურულ შრომაში, რამდენადაც ვიცი, იგი საკმაოდ იშველიებდა თავის მეუღლეს — მირანდას, კერძოდ, თავისი ნაწარმოებების ანაბეჭდების კორექტურასა და თხზულებათა რუსულად თარგმნის შემზადებაში... დიდ მამობრივ გრძნობას ამჟღავნებდა თავისი უფროსი ქალიშვილის (პირველი ქორწინებიდან) — ნათელას, თავისი სათნო ასულის თამრიკოსა და ერთადერთი ვაჟის — ზვიადის მიმართ... მეგობართათვისაც თბილი გრძნობა არ ეშურებოდა, ყოველთვის კეთილად იხსენიებდა ალექსანდრე აბაშელს, კონსტანტინე ჭიჭინაძეს, ვიქტორ გაბესკირიას და ბევრ სხვას...

ერთხელ ერთ-ერთ საუბარში კონსტანტინემ სიტყვა ჩამოაგდო თავის მრწამსზე, თავის საზოგადოებრივ შეხედულებაზე.

— თქვენ კარგად მოგეხსენებათ, — გვითხრა მან გიორგი ნატროშვილს და მე, — სოციალისტი არასდროს არ ვყოფილვარ... ბოლშევიკი არა ვარ, მაგრამ ბოლშევიკებს ბევრ რამეში ვემხრობი, განსაკუთრებით შრომის განდიდე-

ბაში, შრომის აპოლოგიაში... მე შრომით ალბათ ხშირად ვიღლები, მაგრამ შრომის სიყვარულით არასდროს არ ვიღლები... საერთოდ, მე მგონია, ადამიანი უცილობლად იღლება სხვების სიყვარულითაც, თუგინდ ულამაზესი ქალის სიყვარულითაც... სიძულვილით, ავზორიტების, სისაძაგლისა და სიმახინჯის სიძულვილითაც ხომ უეჭველად იღლება ყოველი კეთილი სული. მაგრამ შრომის სიყვარულით, თუ ნამდვილი ვაჟკაცი ხარ, არ უნდა დაიღალო. შრომით, რასაკვირველია, ყოველი ვაჟკაცი დაიღლება, მაგრამ შრომის სიყვარულით არა, არ უნდა დაიღალო. აი, ჩემი ყველაზე დიდი რწმენა...

აქ მე, რასაკვირველია, ვცდილობ, დიდად ვცდილობ დავიცვა მწერლის მეტყველების სტილიც, კილოც, წყობაც, მაგრამ ამ მხრივ სრული სიზუსტის მიღწევა შეუძლებელია, მით უმეტეს საგრძნობი დროის შემდეგ.

საოცრებაა ჟამთასვლა. გვწყურია დროის დამორჩილება, მაგრამ წლები, თვეები, დღეები, საათები, წუთები ჩვენ ნებას ოდნავადაც არ ემორჩილებიან, პირიქით, ისინი საშინელი ვეშაპებივით გვნთქავენ. იხტუნე რამდენიც გინდა, დროის მჩრახველ ნებას თუ ვნებას ვერსად გაექცევი. ოი, ადამიანო, რა საცოდავი ხარ ამ ულმობელი ფენომენის წინაშე!

ერთხელ კონსტანტინესთან სიტყვა ჩამოვარდა დროისა, სივრცისა და საწყისი სუბსტანციის, ანუ ღმერთის პრობლემაზე...

— მე ამ საკითხზე საზოგადოდ არ ვკამათობ, — თქვა მან. — მწამს და ვიცი მხოლოდ არსთა გამრიგის უსათუობა. უაზრობაა, უგუნურებაა წარმოიდგინო სამყაროს საოცარი წესრიგი უზენაესი გონივრული სათავის გარეშე. მე არც ისე შეზღუდული გონების პატრონი ვარ, რომ უსასრულო ზესკნელ-ქვესკნელის გასაოცარი სიმწყობრისა და წესრიგის სათავედ რაღაც უგონო სუბსტანცია მივიჩნიო.

...მე ისეთი უსაშველო პესიმისტი არა ვარ, როგორიც ისინი, რომელთაც ყველაფრის სათავედ უგონო ნივთიერება მიაჩნიათ...

— ბატონო კონსტანტინე, — ვუთხარი მე,— მე თქვენ კამათს არ გიწყებთ, გეტყვით მხოლოდ: ჩვენ არ გვინდა ადამიანებს ხელი ავალებინოთ ერთადერთი კეთილდღეობისათვის, ერთადერთი ამქვეყნიური ბედნიერებისათვის ბრძოლაზე იმის იმედით, თუ ყალბი არა, ყოველ შემთხვევაში, ფრიად საეჭვო იმედით, რომ სიკვდილს იქით, სიკვდილის გაღმა მოიპოვებენ სიცოცხლეს და ბედნიერებას...

— სჯობს პური ვჭამოთ, ვიდრე ასეთ განუჭვრეტელ საგანზე ვიბაასოთ, — მითხრა კონსტანტინემ და ნატროშვილისაკენ გამოყოლია, — გეურქა ვნახოთ (ზოგჯერ ალერსით ასე ეძახდა გიორგი ნატროშვილს), კარგი კაცია, კალამიც უჭრის...

დაახლოებით იმ ხანებში კონსტანტინემ გამოაქვეყნა თავისებური მოგონებანი „ლანდებთან ლაციცი". რამაც, გულახდილად რომ ვთქვათ, დიდი რამ ვერ შემატა მწერლის ცხოვრებას — შემოქმედებას. ვგონებ, დროის ამავე მონაკვეთში გამოჩნდა ქართულ პერიოდიკაში განზრახული რომანის „თამარის" ნაწყვეტები...

ჩვენ შორის ერთგვარი დუმილის პერიოდი იდგა. ამასობაში მწერალს დიდი საწუხარი დაატყდა თავს: 1970 წლის თებერვალში გარდაიცვალა მეუღლე — მირანდა. ჯანით საკმაოდ დასუსტებული მწერალი სტოიკურად ერკინებოდა ბედის სიმუხლთეს...

ცოტათი ამაზე ადრე იყო, თუ ამაზე გვიან, — კარგად არ მახსოვს, — კონსტანტინემ ირაკლი აბაშიძე, გიორგი ნატროშვილი და მე დაგვპატიჟა ვაკის პარკის ცნობილ რესტორანში — რესტორნის თანამშრომლებმა, კონსტანტინე და ირაკლი დაინახეს თუ არა, უმალვე განცალკევებული კაბინეტი გაუწყვეს. კონსტანტინეს შინიდან წამოიღო განსაკუთრებული ღვინო („დიდი თანამდებობის პირმა გამომიგზავნაო") და რამდენიმე ბოთლი უმაღლესი ხარისხის ქართული კონიაკი. შესანიშნავი სუფრა გააწყობინა. თვითონ მხოლოდ კონიაკს წრუპავდა, საჭმელს კი ერთ ლუკმასაც არ იდებდა პირში. თამადად ირაკლი აირჩია. კონსტანტინეს სადღეგრძელო რომ ითქვა, ბოლოს თვითონ დაასკვნა: — ვინცა ვარ და როგორიც ვარ, სიკვდილამდე ასეთი მინდა დავრჩე. არცერთი ნამდვილი მწერალი, რომ აწამო, ჩემებრ არ დაწერს, მეც რომ მაწამონ, სხვისებრ ერთ სტრიქონსაც არ დავწერ. ზოგიერთს დიდად უხარია, როცა სხვა კალმოსანი ცუდად წერს. მე მიხარია სხვათა წარმატება... ზოგჯერ ზოგზოგები ტყუვდებიან: რიხით, ხმამაღლა და გაბედულად თქმული სისულელე, გონივრულ სიტყვად ეჩვენებათ... ზოგზოგებს ახარებთ ჩემი ლაძაბუნება, მაგრამ ისე არ დავძაბუნდები, რომ ერთი ვინმეს ტვირთი ვერ ავზიდო... ავყიების ჯიბრზე სიბერესაც უნდა ვაჯობო და იმასაც შევეცადო, სიკვდილიც დავჯაბნო... მე ვიცი, რომ სრული გულახდილობის გზა რამდენადმე სახიფათო გზაა, მაგრამ მე მაინც ამ გზას ვირჩევ.

პურობა როცა მოვათავეთ, კონსტანტინემ თავის მძღოლს შეახსენა, — ჩვენი ნაგაზი არ დაგვავიწყდესო...

ბევრჯერ დავრწმუნდი, რომ ამ დიდი მწერლისათვისაც არაფერი ადამიანური უცხო არ იყო...

ამ დროს იყო თუ სხვა დროს, მახსენდება გიორგი ნატროშვილს რომ უთხრა დაბეჯითებით — მხატვრული პროზისათვისაც გევარგა კალამი, არ მოეშვა, დიდ რამესაც შეეჭიდე!

კონსტანტინეს 80 წელი შეუსრულდა. დიდი ხმაური და ზარზეიმი არ ატეხილა. ამ თარიღთან დაკავშირებით მე გამოვაქვეყნე ერთი პატარა წერილი — „დიდოსტატის დიდოსტატი". შეძლებისდაგვარად შიგ მწერლისადმი გულწრფელი, უხინჯო სიყვარული ჩავაქსოვე.

წერილის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჩემს ბინაში ტელეფონით დამირეკეს:

— ლავროსი ბრძანდებით?

— დიახ...

— მე კონსტანტინე გამსახურდიას ქალიშვილი ვარ, თამრიკო, მამას სურს თქვენთან ლაპარაკი.

წუთით დაველოდე.

— გამარჯობა ქაბუკო! — მომესალმა კონსტანტინე, — თუ ასე გიყვარდი, არ მეგონა. მადლობელი ვარ. ალბათ შევხვდებით სადმე ერთმანეთს...

— სულ გამარჯვებული ბრძანდებოდეთ! — ვუპასუხე, — აწი მაინც ნუ შეგეპარებათ ეჭვი ჩემს გულითად სიყვარულში!.. ჩემს ქაბუკობას კი სინამდვილე მხარს არ უჭერს.

მაგრამ ჩვენი კვლავ შეხვედრის შესაძლებლობას აღსრულება არ ეწერა.

ვინ უწყის, საწუთრო სად და როდის გიმუხთლებს!

მთაწმინდის ზეგნის ჩრდილო-დასავლეთის ფერდობის ერთ კლდოვან კუთხეში, ეგრეთწოდებული კოლხური კოშკის ეზოში 1973 წლის ოქტომბერში, დედის საფლავის გვერდით გაითხარა თამრიკოს საფლავიც, ხოლო 1975 წლის ივლისში იქვე გაითხარა დიდოსტატ კონსტანტინეს სამარეც. საქართველო, თბილისი გლოვამ მოიცვა... მიწის ყოველ ნაკვეთზე მეტად შემოქმედის სახიერებას ხალხის დალოცვილი ხსოვნა ინახავს.

მაგრამ, როგორც ვატყობ, ჩემს თემას გადავცდი.

მე ის მინდა ვთქვა: როგორც ლიტერატურის მოკრძალებული განმხილველი, თუ ვინმეს მიმართ ვიყავი მკაცრი, ყველაზე მეტად „ვაზის ყვავილობის“ მიმართ ვიყავი. მაგრამ კონსტანტინე არც დამმდურებია, არც უდიერად მომპყრობია („კრიტიკა მაფხიზლებსო“ იტყოდა)... ერთი პოეტი კი, ვისი ერთი მართლაც ძლიერ სუსტი პოემა მორიდებით, ზრდილობიანად დავიწუნე, იმდენად გამინაწყენდა, რომ ერთხელ ზღვის პირას თვალწინაც ვერ დამინახა, ხოლო შორს შორეული ნაცნობიც კი შეამჩნია. ერთხელ იმავე პოეტმა, მოსკოვში, სასტუმროს იმ სართულზე გაჩერებაც კი არ ისურვა, რომელზედაც მე ვიმყოფებოდი. რას იზამთ: პატარა სულს დიდი პრემიაც ვერ აამაღლებს.

ამის შემდეგ, შეძლებისდაგვარად, შალვა დადიანთან შეხვედრები უნდა გავიხსენო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოსო სიგუა

# სიყვარულის ტრანსპლანტაცია

## 1. მუდმივი მეტამორფოზა

ლექსი ხილულ თუ უჩინარ პიროვნულ თვისებათა ამოფენაა. ადამიანის ფსიქიკა, თვით სუბიექტისაგან დამალულ ნიშნებს მასში გამოავლენს. პოეტის არსებაში მეტყველებს ენა, რომლის არაცნობიერი ათვისებით დაიწყო სამყაროს შეცნობაც. იგი იმორჩილებს ხელოვანს და აიძულებს არ წავიდეს საკუთარი მიდრეკილებისა და სწრაფვის წინააღმდეგ, არ ჩაიხშოს ბუნებრივად გადმოცემული სასიცოცხლო ენერგია. ადამიანი ეძებს თავის თავს და ამ დაუცხრომელი შფოთვის გზაზე გაივლის მრავალ გარსს სინამდვილისას. საბოლოო ზღვარი, რომლის მიღწევითაც მშვიდდება ხელოვანის ნება, არ არსებობს. თვით მოძრაობა, ბრძოლა, რღვევა და აშენება არის იდეალური ღრო. ამიტომაც ტარიელ ჭანტურიას შემოქმედებაში თავს იყრის რამდენიმე განსხვავებული სტილური ნაკადი. ისინი სხვადასხვა დროის სიტყვიერი უკუფენაა, განწყობილებათა ენობრივი ფიქსირება. არცერთ თანამედროვე ქართველ პოეტს არ დაუწერია ესოდენ განსხვავებული მანერისა და ტონალობის ლექსები. მას ღრმად სწამს, რომ არ შეიძლება მუდამ ერთ ხასიათზე იყო, ერთ აზრს ანვითარებდე, ერთი განწყობილებით ცოცხლობდე. ადამიანი ისევე განუწყვეტლივ იცვლება, როგორც სამყარო, შენს ირგვლივ განლაგებული საგნები. პოეტი ამ ცვალებადობის მხატვარია. ოცი წლის ჭაბუკს თავისი იდეალები აქვს, რომლებიც განსხვავდება ორმოცს მიტანებული კაცის შეხედულებებისაგან. ეს სრულიადაც არ ნიშნავს გაუკეთესებას. ყველა ასაკი მშვენიერია და თავისი სილამაზე ახლავს. მთავარია ადამიანმა შეიგრძნოს და დააფასოს იგი.

ტ. ჭანტურიას ლირიკის მეტამორფოზის ერთი საწყისი ეს არის.

მაგრამ თვით სინამდვილეც იცვლება ყოველ დროს, ათწლეულს თუ წელიწადებს, მოაქვს რაღაც ახალი და განუმეორებელი. ეს ყველაზე მეტად საგრძნობია ჩვენს ეპოქაში. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია (სტრ) საოცარი სისწრაფით ფერს უცვლის ადამიანთა ურთიერთობის წესსა და ფორმას. პოეტი მიჰყვება ამ ცვალებადობას, რადგან იგი მხოლოდ სუბიექტური განცდების ამსახველი კი არ არის, არამედ იმ იდეებისაც, რაც აცოცხლებს ქართველ ერს, რაც მისი სულის ძახილს გამოხატავს. ამით არის შთაგონებული და განსაზღვრული მისი ლექსების ერთი ციკლი.

ამდენად, ეპოქალური მოვლენათა განცდა, დროის დინების შეგრძნება არის ამ მეტამორფოზის მეორე საწყისი.

მაგრამ შემოქმედს, როგორც ითქვა, უნდება საკუთარი თავის პოვნა იდეების და ემოციების გარსმოწოლილ კორიანტელში. მან უნდა დაადგინოს წარსულსა და მომავალს შორის მომწყვდეული თავისი ფიქრები. მასში ცოცხლდება წინაპართა მიერ მემკვიდრეობით გადმოკემული სული, იდეები, ვნებები.

ეს არის პოეტურ მეტამორფოზათა მესამე საწყისიც.

ამდენად პოეტის პოზიციაში სამყაროს მუდმივი ფერისცვალების სახე ირეკლება. მას არ აკმაყოფილებს ერთხელ მიღწეული და მუდამ უსილავ გზათა დალაშქვრის სურვილით არის ანთებული. ყოველი სიტყვა სიგნალია ამ იდუმალების მოხილვისა.

ტარიელ ჭანტურიას ადრინდელი ლექსები, რომლებიც უკვე ასცილდა მოწაფურ ვარჯიშობას, მართალი და გულწრფელი ლირიზმის აჟღერება იყო („ჟურნალი № 3“, „ზამთარი“, „სახლის გადახურვა მთვარიან ღამით...“) და მოვლენათა ინტუიციურ აღქმას გულისხმობდა,

ახასიათებდა ფაქიზი ინტონაცია, მინორი და კონკრეტიზმი. პოეტი წერდა სადა სტრიქონებით, რომელთა აზრი იყო ამოზრდილი ნაცნობი და განცდილი ფაქტებიდან:

მე გავახსენებ ნოემბრის ცამეტს,
ღამეს და მთვარეს — ნახევარ მთვარეს,
კრამიტზე ფრთხილად ვაწყობდით კრამიტს,
ვწუხდით, ვითვლიდით მეზობლის ვალებს.
...ყოველთვის,
როცა მერცხლები წავლენ,
ყოველთვის,
როცა ფიფქები მოვლენ,
გულო! რამხელა მოწყენას ავლენ!
გულო! რამხელა სინანულს ავლენ!
დედას მაგონებს მე ყველა ფიქრი,
სიცივეც,
ქარიც,
გრიგალიც,
თოვლიც...

ასეთი ლექსები შევიდა პოეტის პირველ ორ წიგნში „ლტოლვა" და „ქვა და ომი". შემდეგ მან უარყო ნათელი ლირიზმი. ცხოვრებისეული განცდის რიტმულ-ინტონაციური მოწესრიგება, პირველადი შეგრძნების სანაცვლოდ შემოიტანა მეორადი განწყობილებაც. ლირიკის საწყის მასალად იქცა ინტელექტის მიერ მოპოვებული ინფორმაცია. ლირიკული მეტყველება შეცვალა ანალიტიკურმა აზროვნებამ. გართულდა ლექსის სტრიქონები. აზრი წინა პლანზე გადმოვიდა. შემეცნების წყურვილმა იძალა („ლტოლვა", „სტუმარი", „თეთრი ლაბირინთი", „გაღმა ნაპირი", „ორნი"). ემოცია დაემორჩილა არსებობის საზრისის პოვნას. ამ დროს მემკვიდრეობით გადმოცემული არაცნობიერი შთაბეჭდილებები შემეცნების ნაწილად გაფორმდა.

ერთის მხრივ, ასოციაციათა სიხშირეს და სწრაფ მონაცვლეობას უნდა აღედგინა გადავიწყებული დეტალები, მეორეს მხრივ, წლების მანძილზე დაგროვილ და წიგნებიდან გადმოსულ ერუდიციას ავგო ლექსის სტრუქტურა. ორი საწყისი — ინტუიციური და ინტელექტური უნდა შერწყმულიყო. ვფიქრობ, ამ წონასწორობის დაცვა მაშინ ვერ მოხერხდა. მაგრამ ჯიუტი სწრაფვით, საკუთარ თავზე ამაღლების სურვილით მან სრულიად ახალი რკალი მოხაზა.

გარდა პოემებისა, რომლებიც ზემოთ დავასახელე, ამ პერიოდში მან დაწერა არაერთი, შეცნობის წყურვილით გამსჭვალული ლექსი. ისინი ამჟღავნებენ სიახლოვეს ო. ჭილაძის სამყაროსთან. პოეტის თვალწინ მოვლენები თუ გარდასული ისტორიული რეალიები გაიშლება ჰერეტის სავანად. სწორედ ჰერეტა გახდა სამყაროსთან მიმართების საშუალება, ნაცვლად პირდაპირი ალქმისა. ეს თვისება ყველაზე ნათლად გამოჩნდა ლექსების წიგნში „გაღმა ნაპირი" (1969). მასში საგრძნობი იყო ინტელექტური ნაკადის მოძალეობა, რომლის საწყისი ადრე მხოლოდ ნაწილობრივ შეიგრძნობდა. ემოციურობას იწვევდა ლექსის ძირითადი იდეის განვითარება, [illegible] კონცეფციური გააზრება. „ცნობიერების ნაკადის" მეთოდის შემოტანა. სიტყვებს [illegible] სიმბოლო და ალეგორია. ის დაიტვირთა უფრო მეტი ინფორმაციით, ვიდრე ჩვეულებრივ მეტყველებაში გაჩნდა: „მე კი [illegible] მონაცდელში ბოლოთას ვცემ ისე უხალისოდ. თითქოს საკუთარ საფლავს ვტკეპნიდე" („უკანასკნელი მონოლოგი"). ცალკეული ნიუანსები გაერთიანდა და მოვცა ასოციაციებით დანაღმული სურათი, რომელსაც ქმნის გონების მიერ წარმოჩენილი ფაქტების შემეცნება („გაღმა ნაპირი", „მუღამუპი", „ატლანტიდა, ატლანტიდა"...). საერთოდ, გამორიცხული აღმოჩნდა სმენითი აღქმა, სინამდვილის მუსიკალური შეცნობა. შესუსტებული მელოდიურობა უნდა შეევსო რიტმულ მრავალფეროვნებას, სხვადასხვა საზომებისა და სტროფულ წყობას. პოეტი განერიდა რითმას. გაჩნდა პროზაიზმები, გაბატონდა თეთრი ლექსი.

სათაურს მიენიჭა განსაკუთრებული ფუნქცია. ლექსი თითქმის მთლიანად სათაურიდან გამოიყვანება. მოვიტან ამ წიგნიდან რამდენიმე მაგალითს: „აგვისტო. სიცხე. ფიქრი". ლექსის სასაუბრო თემაა აგვისტოს სიცხე, რომელიც იძლევა ფიქრისა და განსჯის საბაბს. რეალობის ვანმჭვრეტი ფანტაზიიდან იბადება ახალი მგრძნობელობა. აღდგება მეხსიერებაში ჩარჩენილი ხვატისაგან შეჭმული ბუნების სურათი, რომელსაც უნებლიედ მივყავართ დასკვნისაკენ:

მე ვიხდი პერმში შეკერილ პიჯაკს
და ცოტნეს გვერდით თამამად ვწვები.

„ბავშვი. გასროლა. სინანული". ლექსი ეძღვნება ჰემინგუეის და სხვებს, რომელთა სიცოცხლე ნაადრევად დასრულდა. შემოქმედი ბავშვად არის წარმოდგენილი, როგორც წმინდა და ფაქიზი არსება, რომელიც ამავე დროს თავისთავში იტევს მოსალოდნელ საფრთხეს („ბავშვს თოფი რატომ არ დაუმალეს"). ეს იმიტომ, რომ მის ბუნებაში ჩასახული მიამიტური ხასიათის უეცარი გამოღვიძება („მეორე, უცხო კეთილი ბავშვი") შესაძლოა საბედისწერო აღმოჩნდეს. ბრალსაც ვერაფერში დავდებთ, რადგან ის ბავშვია. ხოლო სინანული იმათი ხვედრია, მისი სინათლის გზას რომ მიჰყვებოდნენ.

„შემოდგომა. ჰექა-ქუხილი. ამირანი". ლექსში ნაჩვენებია თუ როგორ იტანჯება ამირანი შემოდგომის ავდრიან დღეს. პოეტი გრძნობს „ნელ-ნელა როგორ ამოდის პალო, რომელზეც ამირანი ყავთ მიჯაჭვული". სურათი აქ წყდება, ე. ი. მაშინ, როცა ამირანმა თავი უნდა აიშვას. სათაურის სიტყვები იმავე თანმიმდევრობით იშლება, როგორც სხვა ლექსებში (მაგ. ბავშვი—გასროლა—სინანული). ასეთი ლექსები ლოგიკურ სქემას არ ემორჩილება. ნაწარმოებს აქვს გამჭოლი სიუჟე-

ტი. მაგრამ ასოციაციური ნაწარმოებები, პირიქით, მოჩვენებით ალოგიკურობას ეფუძნება (მაგ., „ლტოლვა"). აქ წამოწეულია შემეცნების პროცესი, რომელშიც ნაპოვნი აზრი მკითხველმა უნდა გამოიტანოს. პოეტს საამისოდ არა სცალია. მოგვაქვს ციტატა პოემიდან „გაღმა ნაპირი", რათა საგრძნობი გახდეს თუ როგორ გართულდა სადა და ბუნებრივი მეტყველება:

„მთელ ქვეყანაზე კვეთენ ერთმანეთს პარალელური ლიანდაგები. ბნელით შემკრთალი ჭაღარა ბავშვი აივნიდან ეძახის მამას, და არ ესმის დაღლილ მამას შვილის ძახილი; და უფრო გვიან, უმამობით შემკრთალი შვილი აივნიდან გასძახის დედას, და არ ესმის დაღლილ მშობელს ბიჭის ქვითინი. და რგავენ ტვიის უმწეო ბუჩქს... იბეკნება გაღმა ნაპირი, და ხარობს გვიმრა, ლაქაში, ჭილი. მთელ ქვეყანაზე კვეთენ ერთმანეთს პარალელური ლიანდაგები. ნიჩბების ჯვარზე გაკრულ მენავეს რა შორეული ეჩვენება გაღმა ნაპირი... სიმღერასავით გაბმული კოცნა ეძახის იმედს — კოცნა გაბმული სიმღერასავით; ვინც დედამიწა შემოხაზა ზუსტი ფარგალით, მასაც კი კოცნა მზის ჩასვლაზე მეტად უკვირდა"...

ამრიგად, პოეტის მსოფლგანცდაში გაჩნდა ორი ოპოზიციური სტილი: პირველი გვაზიარებს მახლობელ და თანდაყოლილ გრძნობებს, ბალახის სინედლეს, ზეცის კამკამა და აუმღვრეველ ფერს, მეორე — ინტელექტის დაწოლით ქმნის ან იგონებს წესრიგს, ფხიზელი, რაციონალური წარმოსახვით იჭრება არსის სულში. საერთოდ შემოქმედი ჯერ ითვისებს არსებულ დონესა და გამოცდილებას, შემდეგ ვლინდება არაცნობიერი მიდრეკილებანი, რომელთაც მოსდევს ინფორმაციის წყალობით დალექილი და ამეტყველებული შთაბეჭდილებანი. ტარიელ ჭანტურიას ლირიკამ განვლო სტილური ევოლუციის ამგვარი გზა. ინტელექტუალური ნაკადი პოეტის დამოუკიდებელი სახის დასადგენად წარმოიშვა, რათა ცნობიერად გამიჯნოდა წინაპარსა და თანამოძმეს. ის მოპოვებულის ამოფენაა და არა მხოლოდ ფსიქიკის ქაოსში თავისთავად არსებულის გამომზევება. მაგრამ არც აქ შეჩერებულა და თანდათან კვლავ დაუბრუნდა სადა და ნათელ მეტყველებას. ესეც ზოგადი პრინციპია: სირთულე, ქარიშხალი, ამბოხი დიდხანს არ გრძელდება. ხანგრძლივი განმარტოების შემდეგ სულს ენატრება ადამიანური საუბარი და კვლავ უბრუნდება კლასიკურ სინათლეს. გონება მარტივიდან რთულისაკენ გადადის, რათა მასში გამოწრთობილი სტრუქტურები ახალშობილ სისადავედ აქციოს, რომელიც ყოველთვის ტრადიციულის მონათესავეა. ტრადიციებთან ამბოხი დროებითი, მაგრამ აუცილებელი პროცესია. გზაჯვარედინთან მდგარი ხელოვანი მა[illegible]ვევე უნდა შეებრძოლოს, როგორც ოიდიპოსი საკუთარ მამას.

ტარიელ ჭანტურიას პოეზიის ახალი ჰორიზონტი გაიხსნა წიგნით „ახალი მთვარე" (1970). ევოლუციური თვალსაზრისით [illegible] პრინციპული კრებულია. აქ [illegible] კვა პოეტის მსოფლგანცდა, პოეტიკური სისტემა და პოზიცია. ინტელექტუალური ჭვრეტა ორ ნაკადად განიტოტა: ერთი გადაიზარდა ირონიულ-პაროდიულ პოეზიაში, მეორემ — ალადგინა, გაამძაფრა და აზრობრივი დინამიკით შეავსო ინტიმურობით გამსჭვალული ნაზი და მთრთოლვარე სული. ეს ორი ნაკადი დღემდე პარალელურად თანამგზავრობს, როგორც საპირისპირო პოლუსთა ერთიანობა. მე მგონია, ყოველი ცდა და ექსპერიმენტი მიმართულია ამ მეორე ხაზის დასაცავად და გადასარჩენად. „ლამე", „ქართლის ცხოვრება", „მძევალი", „აკაკის სიმღერა 1900 წელს", „აკაკის წამოსვლა ქუთაისიდან", „დინ რიდი. სიმღერა. ფიქრი", „ტორო", „დედამიწის გარშემო", „გმირები", „მეც, ზურაბივით", „ფრანსუა ვიიონი: ჩივილი სასაფლაოდან", „თოვლი ღამით", „გვიანი შემოდგომა", „ჩემი ერკემალი", „როგორც კი მოვა", „რუსთველს და აკაკის", „ზანგი დონორების სიმღერა", „ბოლთას სცემს", „დიდი ყინული", „ქართველითა ქართველისა დამთრგუნველი", „ზღაპარი სიზმარში", „ცოტნე დადიანი ანისს გამგზავრების წინ", „ქვათახევის მონასტერი", „ოდისევსი ღამით", „ავტობიოგრაფია", „სალამოს გადაცემები", „ბუხარი", „ახირებული კოლექციონერი", „სალაღობო", „ბალადა ათიათას ნაკბენზე", „ლომის პორტრეტი", „შეშის დახერხვა დეკემბრის დილით", „სუპერ-კაზინო", „სანამდე არმაზს", „რა იქნა, მეფევ"—აი, ის ლექსები, რომლებიც ყველაზე უკეთ ინახავენ პოეტის სულის მღელვარებას. მათ დაემატება რამდენიმე პოემა, თხუთმეტიოდე განსხვავებული სტილის ლექსი და ხელთ გვექნება ტ. ჭანტურიას საუკეთესო ქმნილებათა ინდექსი. მაგრამ, როგორც ითქვა, მათ შორის ცენტრალურ ნაწილს სწორედ ლირიკული მანერით დაწერილი ლექსები იპყრობენ, სულერთია იგი ეხება სამშობლოს, ისტორიის გმირებს თუ თავად ავტორის სულის ექსტაზს ავლენს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ტ. ჭანტურიას პოეზიას კარგად არ იცნობს ჩვენი მკითხველი. მართალია, მისდამი ინტერესი იზრდება და ეს თანდათან უფრო საგრძნობია, მაგრამ საჭიროა მეტი დაფასება იმ შემოქმედისა, ვინც ზურგქარს არ მოელის და თავისი ინტელექტუალური სიმამაცით გამოხატავს საყოველთაო ფიქრებსა და ოცნებებს. ალბათ იმასაც აქვს მნიშვნელობა, რომ პოეტი წიგნიდან წიგნში უნდა იმეორებდეს რჩეულ ლექსებს, რათა აუდიტორიას მკვეთრად დაახსომდეს ისინი: ცალკეულ წიგნებში გაფანტული ნიმუშების გამოსაკრებად მას არა სცალია. აუდიტორია პირველ რიგში ეტანება რეკლამირებულ ავტორს (არსებობს მრავალი სახის რეკლამა). მაგრამ ნამდ-

ვილი ხელოვანის პოპულარობა ხომ განფენილია არა სივრცეში, არამედ დროში.

საილუსტრაციოდ იმისა, თუ როგორ დაუბრუნდა პოეტი ინტუიციურად გამჟღავნებულ სტილსა და ინტონაციას, მიმართებას სიტყვასთან, მოვიტან რამდენიმე სტროფს:

მე — ვიყავი!
მე — ვიქნები!
მე — მარადის ვმეორდები!
მძევალი ვარ და დღე-დღეზე
თავის მოჭრას ველოდები.
...მიწა თურმე მრგვალია, თურმე ისე
მრგვალია,
მოვიარო ქვეყანა — თურმე შენთან მოვალ...
...მე მოწყენილი, დედა,
შენი მოწყენის გამო ვარ,
მე შენი ხათრით, დედა,
ტელევიზორშიც გამოვალ.
...ჩემო ბიჭებო! გოგოებო! ჩემო ბავშვებო!
დამლალეთ ისევ! გამაბრაზეთ თქვენი
ხმაურით!
გრენადერებო! რაინდებო! კოხტა პაჟებო!
თქვენც, თქვენს მკვლელებსაც გეპატიათ
დანაშაული!
...რა იქნა, მეფევ, სკიპტრა მაღალი
და მეწამული შენი წალები!
ანდა ასული შენი რა იქნა, და სუნთქვა მისი
გულისწამლები,
სადაა თმები, ვისაც შვენოდა ეს მშვენიერი
სავარცხელები!
წყვდიადისფერად ვინ გადალება უსპეტაკესი
თქვენი ცხენები!

ამრიგად, უნდა გამოიყოს ოთხი განსხვავებული სტილური ნაკადი — 1. ლირიკული, 2. ინტელექტუალური, 3. ირონიულ-პაროდიული, 4. კვლავ ინტიმურ-ლირიკული. ყოველი მათგანი გარკვეული წლების, პერიოდის, სულიერი მიმოქცევის სიტყვაში აღბეჭდვაა და მიგვითითებს პოეტის დაუცხრომელ და მაძიებელ ბუნებაზე. მაგრამ მათდამი ინტერესი დროდადრო ახლაც ვლინდება. ამიტომ უნდა მივიჩნიოთ არა ქრონოლოგიურ საფეხურებად, არამედ სტილის შემადგენელ ნაწილებად. ამ ოთხმაგი სტილური სისტემით, ლიტერატურული წრეებით და იმ კონცეფციით, რაც მათში გაიშალა, ქმნის პოეტური სამყაროს გამთლიანებულ მოდელს, რომელშიც თავს იყრის განსხვავებული და დაპირისპირებული სტრუქტურები. მაგრამ მათ შიგნით არსებობს მყარი, უცვლელი ელემენტები, რომლებიც მეორდება ისე, რომ შესაძლოა პოეტმა არც იცოდეს. აი სწორედ ისინი და მათი კომბინაცია წარმოშობს ორიგინალურ პიროვნულ და პოეტურ ხასიათს. ჩვენ გვიხდება მათი გამოყოფა, შემდეგ იზოლირება და შერწყმა, რათა დადგინდეს პოეტის განუმეორებელი, ურიცხვ სიტყვაში ამოტვიფრული სახე.

## 2. ქაოსიდან სისტემისაკენ

ტარიელ ჭანტურიას პოეზია უაღრესად სტრუქტურული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ის არა მხოლოდ განცდების, ახლად გადააზრებული ჭეშმარიტებების სფეროში ეძებს თავის სათქმელს, არამედ პოეტიკურ სისტემაშიც. ერთი კორექტივით: მას არასოდეს ფორმალისტური ცთუნების სენი არ შეჰყრია. ყოველი გარეგნული დეტალი ემსახურება საუწყებლის მეტი ინტენსივობითა და სინათლით წარმოდგენას. ერთხანს რითმას განუდგა და თეთრ ლექსს მიმართა. თითქოს ამ ხაზს იგი ვერლიბრამდე უნდა მიეყვანა. ეს ვარაუდი არ გამართლდა და იგი დაუბრუნდა ლექსის კლასიკურ სტრუქტურას. ამის ფსიქოლოგიური მიზეზი ალბათ ისიც იყო, რომ ახალთაობისაგან განსხვავებული გეზი შეერჩია. მართალია, თავისუფალი ლექსი მისთვის უცხო არა ყოფილა, მაგრამ ამ ფორმით მეტყველებას არჩია რითმის ერთგულება; ურითმობა ბუნებრივი აღმოჩნდა ინტელექტუალური რკალის ლექსებსა და პოემებში, სადაც აზრის, იდეის, შეცნობის ლოგიკა, ასოციაციათა სიხშირე ტექნიკური სრულყოფის საშუალებას არ იძლევა. აქ რითმასთან ერთად გაწყრელია აზრიდან გაჩენილი მეტაფორა, რომელიც ფაქტის არსში სულ სხვაგვარად გვახედებს. მხატვრული სახე აქ აზრის განათებაა და არა ემოციური მირაჟი. მისი ლექსი ცალკეული დეტალებით ვერ შეფასდება, მთლიან განწყობილებად უნდა აღიქვა, რადგან გამჭოლ თუ ასოციაციურად გასდევს აზრის დინამიკა, შეუმჩნეველი და ახლად მიკვლეული ნიუანსები. მოვიგონოთ ზოგი მათგანი:

მთელი სიცოცხლე ეკლებს აგროვებს პოეტი. ყველას აოცებს ეს უცნაური ჰობი. ამ მეტაფორული სიმბოლოს მიღმა ცხოვრებისეული ტკივილები იკითხება, რომლითაც სავსეა ადამიანის გული. ეს ყოველივე ერთად გროვდება და ლექსში ექცევა („ახირებული კოლექციონერი“); ბრუნავს უთვალავი მილიონი მიცვალებულის ძვლებით დამძიმებული დედამიწა. მის წიაღში განისვენებენ პაჟები, გრენადერები, რაინდები. ლანდების მუზეუმად ქცეულა ისტორია. ახლა მოდის პოეტი, რომ ყველას, ცოდვილს თუ უცოდველს, შენდობა გამოუცხადოს; ყველაზე ბედნიერი სარდალი იქნება იგი, თუ ამ უდიდეს არმიას გვერდით ჩაუვლის და სიცოცხლისაკენ, კვლავ მიწაზე დასაბრუნებლად მოუხმობს („სალაღობო“); სხვა ლექსში გვევედრება, რომ შევაგროვოთ დერეფნებში, პანაშვიდებზე, ლოდებზე, ზღვის კენჭებში გაბნეული ჩურჩული, როგორც ყველაზე გულწრფელი და იდუმალი სიტყვა („ჩურჩული ჩურჩულის გამო“); „ახირებულ კოლექციონერს“ ეხმიანება „ბალადა ათიათას ნაკბენზე“, რომელშიც პოეტი გველების შხამს აგროვებს; სამყაროს ნამდვილი გაცნობა და შეცნობა სულიერი ოდისეა-

და და არა მოგზაურობა დედამიწის გარშემო („დრომომანის გასაგონად“). ასეთი ლექსების პოეტური აზრი კონკრეტული ფაქტების რაციონალურ წარმოსახვას ეურდნობა.

გვინდა მკითხველს გავახსენოთ აგრეთვე ლექსი „სუპერ-კაზინო“. იგი პოეტის სტილის დასრულებული ნიმუშია. მთელი ცხოვრება, მუდმივი ბრძოლა, სისხლისღვრა, საუკუნეთა ტრიალი ალქმულია კაზინოდ. მაგრამ ვიდრე ამ დასკვნამდე მივიდოდეს, ვიდრე იპოვიდეს ანალოგიას აზარტულ თამაშსა და ცხოვრებას შორის, იგი ანვითარებს კონკრეტულ მსჯელობას, რომელიც ნელნელა ივსება რთული ინფორმაციით და სტოვებს ლოკალურ გარემოს. მეტყველება გადადის ჭვრეტის ნისლში, მძლავრობს ლირიკული სულიდან დაძრული პათეტიკა, არყოფნაზე სევდიანი ფიქრით შებურვილი:

სიცოცხლით სიკვდილს გაგინაღდებ,
სიცილით — ქვითინს;
აგებ თუ იგებ, ბოლოს მაინც ვიქნებით
ქვითი,
ავდარი — დარით შეგეცვლება,
ცისკარი — ღამით;
კარგია ღამე — მიიჩოჩე საწოლთან სკამი
და მწარე ფიქრი ამოავსე უმწარეს კვამლით,
სანამდე ღამეს გახერხავდეს ყივილი მამლის.
ვაგებ და ვაგებ. და ჯიბიდან ვიღებ და ვიღებ.
ვაგებთ ყველანი. შენ ერთი ხარ, რომელიც
იგებ.
თამაშობ ყომარს, ბრიჯს, ბაქარას,
პრეფერანსს, რულეტს,
აგებ გულებს და იგებ ფულებს! ჰუჰყიან
ფულებს!
და გულში ყველას, ალბათ ყველას გვეძახი
სულელს!
მრგვალ მაგიდაზე უფრო მრგვალი —
ბრუნავს სოფელი!
მემფისის, მცხეთის, ბაბილონის და
პერსეპოლის
რაღა გადარჩა — ოდენ ძვლები! ოდენ ნაცარი!
ისე წავედით, დარიგებაც ვერ მოვასწარით!
ისე მივდივარ, დარიგებაც ვერ მოვასწარი!

რითმა და მეტაფორა ტარიელ ჭანტურიასათვის არაცნობიერი ფსიქიკის წვდომის საშუალებაც არის. ისინი მხოლოდ ლექსის სტრუქტურას არ აყალიბებენ, არც მარტოოდენ ფერად მუსიკას ქმნიან, არამედ მეხსიერების დაშლილი ფენებიდან ამოზიდავენ სრულიად ახალ, ნედლ განცდებს, რომელთა შესახებ წარმოდგენა შესაძლოა არცა ჰქონოდა. ბგერათა უეცარ შეთანხმებასა და დაცილებულ სიბრტყეთა შეხვედრას რომ არ გამოეწვია. მოულოდნელად გაელვებული მახვილი აზრი გადადის ფსიქიკის ქაოსში, იტვირთება ჭარბი და უხვი დეტალებით. ტ. ჭანტურია რითმას ან მეტაფორას კი არ იყენებს, კი არ მიმართავს, არამედ ავლენს. ის ისევე ბუნებრივად წარმოიშობა, როგორც სიცოცხლის წესრიგი სამყაროში. ეს ნამდვილად პოეტების თვისებაა. ისინი იჭრებიან არაცნობიერ ფსიქიკაში, რომელსაც პოეზიად ამოიტანს ასოციაციების სწრაფი მონაცვლეობა. გონება და გემოვნება აკონტროლებს მის დინებას და უეცრივ ჩერდება რომელიმე ფირზე. პოეტში იღვიძებს ატავიზმი და ის თითქოს ხელმეორედ თხზავს ენას, როგორც მისი წინაპარი, რომლის ფანტაზიამ ენა მითებად გამოსახა. ამიტომ გადადის ფსიქიკისა და ფანტაზიის სტრუქტურა გენეტიკაში, რაც გულისხმობს სხეულის აგებულებას, ტემპერამენტს, სოციალურ-გეოგრაფიულ გარემოს, რომელშიც ხელოვანი ჩამოყალიბდა. ტ. ჭანტურიას პოეზიაშიც ის იდეები, ნიშნები და მიდრეკილებანი გამჟღავნდა, რაც მის გენებს მემკვიდრეობით გადმოეცა, რომლებიც მაშინაც არ შეიცვლებოდა, თუნდაც უცხო ენაზე ეწერა (ემოციურობა, ირონია, აზრის დინამიკა). სამაგიეროდ სუსტად იქნებოდა გამოხატული, რადგან ეს ყოველივე ნაციონალურ ენაში ცოცხლობს, მისი კოდებით იშიფრება. სულში დალექილი კოლექტიური გამოცდილების შეცნობისაკენ სწრაფვა ოცნებას აბრუნებს წარსულისაკენ. ხოლო ისტორია სამშობლოს ბნელში დანთქმული ფუნდამენტია. ამიტომ არის ნაციონალური იდეები ტ. ჭანტურიას მხატვრული სიტყვის აზრობრივი ბირთვი, რომელიც მრავალსახედ იშლება და სიმბოლურ-ყოფიერი დრამატიზმით ივსება. შთაგონება, რომლის მოახლოება იწვევს თრობისა და სიზმრის განცდას, სიტყვაში ჩასახლებული ყოფიერებისაგან ამოსწოვს იმ ზეპიროვნულ მოტივებს, რითაც ყველასაგან განირჩევა, რითაც მისი სულიერი და სხეულებრივი არსებობა დასტურდება. ეს ძალუძთ ისეთ შემოქმედთ, რომელნიც ერთი ხელით მართლაც ცას ეხებიან და მეორეთი — მიწას.

ტარიელ ჭანტურიამ დაამკვიდრა ინტელექტუალურ-ლირიკული პათეტიკა, შეაერთა ეს ორი განსხვავებული საწყისი. მისი იმპულსური, ფეთქებადი ბუნება, ცვალებადი ხასიათი, რევისტრების სწრაფი მონაცვლეობა ამ ინტონაციად გაიშალა, რადგან მისთვის უცხოა ეპიკური სიმშვიდე. ლექსი იწყება წყნარი თხრობით, უეცრად ირღვევა წონასწორობა. ხმა კი არ ძლიერდება იმდენად, რამდენადაც სიტყვებში გაფოთლილი აზრი:

ბედმა, როგორც ტორომ,
დაგვიფლითა ალამი.
სხვამ იკითხოს, თორემ
ჩვენ — ქვეყნის გვაქვს ვარამი.
— ოლეე!
— ოლეე!
რეკავს სეგიდილია!
მარჯვნივ — სიკვდილია!
მარცხნივ — სიკვდილია! („ტორო“).

...წესად გვაქვს დედის გაღმერთება,
საკუთარ სისხლის გამეტება!
ხოლო თუ სისხლი გათავდება —
ხორცს დავწვავთ, სანთლად აენთება.
(„ზასკი დონორების სიმღერა").

... მდინარეების და ქარების მე ვარ მდევარი!
მდინარეების და ქარების ღამის მთევარი!
მდინარესავით და ქარივით — სილურ ნაპირებს
გადასული და კალაპოტში დაუტევარი!
(„ქარებისა და მდინარეების ქება").

მისი პათეტიკა გამორიცხავს ზეაწეულ ტონს, მაღალფარდოვან მეტყველებას. თვით აზრის დინამიკა, ლექსის სიუჟეტი ამას ნათლად გვიდასტურებს. იგი ნაწარმოების კულმინაციური წერტილია, რომლისგანაც გამოდიან ან რომელსაც ესწრაფვიან პოეტური ელემენტები. ლირიკული პათეტიკა აზროვნების პროცესში მიიღწევა. მას არ ასაზრდოებს მხოლოდ ჟარივენული, პიროვნების მიღმა არსებული ისტორიული ქარტეხილები, რომელთა უბრალო ხსენებაც კი გვიცვლის განწყობილებას.

ტარიელ ჭანტურია არ არის პოეტი-ტრიბუნი. მის პათეტიკას ახლავს ნერვიული თრთოლვა, სინაზე და მღელვარება. პიროვნული ვნებები, ფსიქიკური მიდრეკილებანი, ცხოვრებისეული დაკვირვებანი, რომლებიც ქაოსურად ირევიან და ერთმანეთში გადადიან, სისტემურ წესრიგს ჰპოვებს სიტყვაში. მისი ინდივიდუალური ფორმა და სახე ავტორის ბუნებაშია მოქცეული, სანახევროდ არაცნობიერი სამყაროს თარგმანია. მისი ფრაზა რიტმულად მუდამ მოწესრიგებულია და რბილ ნიუანსებზე აგებული. ტ. ჭანტურია მინიშნებათა ოსტატია. ბევრი რამ ნაცნობი თუ უცნობი სტრიქონების გადააზრების, მათი მოულოდნელი წაკითხვის შემდეგ იხსნება. გადასახელების მეშვეობით იქმნება ახალი აზრის შემცველი შესანიშნავი სახეები: „მე შენ თვალებში ვილუპები", „წინ მივიწევთ უკან-უკან", „ქართველითა ქართველისა დამთრგუნველი", „ბიჭების უმრავლესობა იღუპება... ცრემლის ჩაქცევით"... თვით ტრადიციული ტროპები გვაძლევენ მეორად შრეს, რაც მათი პოლივალენტური ახსნის საშუალებას იძლევა.

ლექსის სტრუქტურას ძვირფას თვლებივით ანათებენ ახალი და კეთილხმოვანი რითმები: იავუარი — იაგო არი; ვამო ვარ — გამოვალ; ნოსტელ გიორგის — ნოსტალგია; კართაგენისა — ვარდა გენისა; საფლეში — საფლავში...

ტარიელ ჭანტურიას აქვს ლექსის კომპოზიციის საოცრად ფაქიზი ალღო. მის ნაწარმოებებში სტროფების გადაადგილება არ შეიძლება, ვერც შეკვეც, ვერც ვერაფერს მიუმატებ. სტრუქტურა ლოგიკურად არის მოწესრიგებული, ასოციაციურ ლექსებსა და პოემებშიც კი. ამის საიდუმლო ის გახლავთ, რომ პოეტი იღებს გააზრებულ იდეას, რომელსაც ჯერ სათაურად აქცევს, შემდეგ მისგან გამოჰყავს მთელი ნაწარმოები, რომელსაც გასდევს ერთიანი აზრის განწყობილება. ის ახალი ნიუანსებით მდიდრდება და იშლება. ლექსს გააჩნია ნოველისებური კულმინაცია. მიგნებული აზრის სიტყვიერი რეალიზება, პოეტური განსხეულება სწრაფად ხდება, ვიდრე ახალი განწყობილება ძველს განდევნიდეს.

## 3. ინტიმურ წარმოდგენათა წრე

თემატურად ტ. ჭანტურიას ლირიკა ორი ნაკადის მომცველია — ერთი გვაცნობს ავტორის პირადულ ცხოვრებას, განწყობილებას, მიმართებებს, მეორე — პატრიოტულ სულისკვეთებას. ეს ორი განსხვავებული და, ამასთანავე, მუდამ ერთიანი ნაკადი ვლინდება ახალ-ახალ ფორმებად. ლირიკული მეტყველება გულისხმობს სულის ფარული სიმების აჟღერებას, იმ განცდების გადმოცემას, რაც უაღრესად პიროვნულია, მხოლოდ შემოქმედის კუთვნილებაა და, ამავე დროს, — ყველასათვის მახლობელი და გასაგები. ამიტომ შემოდიან ლირიკული ლექსების პერსონაჟებად დედა, მამა, შვილები, მეგობრები, ახლობლები. იკვრება ის წრე, რომელშიც ცხოვრობს პოეტის პიროვნება. იწყება გარემოს მითოლოგიზება ემოციებით. თვით მიძღვნითი ხასიათის ნაწარმოებები ავტორის სულის წაკითხვაა, პირადი „მეს" აღსარებაა, ვიდრე ოდა და დითირამბი, რაც ნაკლებ მახლობელია მისი პალიტრისათვის.

როგორც ითქვა, მან პათეტიკა ლირიკულ სპექტრში გაატარა და სულიერ მიმოქცევას, შინაგან მღელვარებას დაუმორჩილა. ადამიანის ცხოვრებას აზრს ანიჭებს კონკრეტულ სახეებთან და საგნებთან დამოკიდებულება, კომუნიკაციის უნარი. ის ვერ იცხოვრებს აბსტრაქტული იდეალებით. არც ფსიქიკაა ზოგადი და განყენებული ცნება და მუდამ იცვლება გარემოსთან მიმართებით. ტ. ჭანტურიას პოეზია საკუთარი ფსიქობიოგრაფიის პროექციაა. ის ყოველდღიური წვრილმანები, ნაღველი და აღტაცება, ღელვა და სინანული, რასაც განიცდის, რომელსაც უძღვის პრედიკატი — ქართული, აქცია ლექსის მასალად. ამიტომ დგას ცენტრში კონკრეტულად პოეტის პიროვნება, რომელიც ზოგადად ჩვენი მოქალაქის ფიქრებს ამჟღავნებს. სისხლისმიერი და სულისმიერი ნათესაობით იკვრება ლირიკული ლექსების ერთი ჯგუფი, რაც პოეტის დამოუკიდებელი სამყაროს აღმნიშვნელია.

ხშირად გაიელვებს დედის სახე, როგორც ყველაზე მშობლიური და მახლობელი. მისი გახსენება იწვევს სევდით შეფერილ ასოციაციებს. ერთ-ერთი პირველი მშვენიერი ლექსი სწორედ მას მიეძღვნა — „ზამთარი". დედის გარშემო იკრიბება ბავშვობის მთაბეჭდილებანი,

რომელთაც ჩამოცილებული აქვთ ეთნოგრაფიული იერი. პოეტს იმ კუთხის მთათა, მდინარეთა და სოფელთა სახელები კი არ აინტერესებს, სადაც დაიბადა, არამედ ის ფაქტები, რაც სულს დააჩნდა და წარუშლელად გაჰყვა. ისინი დავიწყებიდან ამოიტანენ სუბიექტურ მოტივებს, ამასთანავე — ყველასათვის მახლობელს, რადგან ლირიზმი, განწყობილება გვაბრუნებს ჩვენს ბავშვობასთან და გვაიძულებს ვიყოთ ლექსის თხზვის მონაწილე — თანაავტორი: „მარტოა ლამით.., და დედაჩემთან რემა შელიას ობოლი დადის და გაუთხოვარ გოგოს დასჩემდა გადაუფრენელ მერცხლების დარდი“ („გვიანი შემოდგომა“); „ღამეა ახლა, და უსიმღეროდ დარჩენილი შენი ურემი ნაღვლიან შემოდგომის უფოთლო ტყეში სამუდამოდ მიიმალება“ („ურმული“). მცირე რამ უხარია მარტოდ დარჩენილ დედას („საღამოს გადაცემები“), მოგონებებსა და ფიქრებში გართულს: „ბოლოს ფიქრივით გაქრება ცეცხლი — ვერ გაგახარებ ნავთით და შეშით... და უსარგებლო ჩემი სიცოცხლე მწარე კვამლივით იბოლებს შენში“ („დედა“). ლექსის სარკეში გამოჩნდება არყოფნის ნისლიდან წამოსული მამის ლანდი. საერთოდ, მშობელთა სახეები მუდამ შემოდგომასა და ზამთარს, თოვლსა და წვიმას უხმობენ, რაც ამძაფრებს ადამიანურ სევდას და ჰმუნვას საკუთარ ხვედრზე.

წვეთავს და თითქოს კისერში ჩამდის
წვეთები ცივი და უამური,
ავზილე ფეხით სიკვდილის ლანდი
და საყვედური მესმის მამური.
(„როგორც კი მოვა“)

შემდეგ განივრცობა კონკრეტული არეალი. შვილთა სახელები — ნინო და ირაკლი — უკავშირდება ზღვას, ალმართს, რომელთა მილმა თვალს ახალი გადასახედი ეგულება. „ვერ ვიტყვი, თითქოს არ ვუყვარდე გოგონას ჩემსას, მაგრამ მე უფრო მეტად მიყვარს გოგონა ჩემი“, ამბობს ერთ ლექსში და ეს არის ამ სიყვარულის საუკეთესო ფორმულა.

სასიცოცხლო ძალას, შთაგონებას, სინამდვილეს აზრს აძლევს ადამიანური ურთიერთობის ლირიზმი. ამიტომ კიდევაც ერთად იხსენებს მახლობელსა და ძვირფასს — დედას, მამას, ოჯახს, დებს, შვილებს, ლექსებს („ავტობიოგრაფია“):

დები — მარცხნივ და მარჯვნივ,
ჩემი კეთილი დები!
დები — აქეთ და იქეთ!
ვგავარ შუაში დედიზს!
არ ვიცი, ბრუნვა სოფლის
ძირს სად ალმითხვრის სადით!
ვიცი: ბოლო დღე ჩემი
გალამაზდება მათით.

ამ ციკლის ლექსებს ახლავს უაღრესი გულწრფელობა, სევდიანი ლირიზმი, პოეტი არ უჩივის მარტოობას, მიუსაფრობას, ის ჩვეულებრივი ცხოვრების დეტალებს გამოხატავს შესაშური სინათლით, სიმსუბუქითა და ემოციურობით. განცდები ისე გადმოგვეცემა, შესაძლოა მოგვეჩვენოს, რომ ასე სადად ჩვენც შეგვეძლო დაგვეწერა. ეს მაქსიმალური უბრალოების ილუზიაა. არცერთი ხელოვნური ნოტი, სიტყვა და ფრაზა ამ ლექსებში არა ჟღერს. ის ისევე სადაა და ძვირფასი, როგორც ალსარება და ღიმილი. ასეთივე მშობლიურობის, ახლობლობის განცდა მიჰყვება იმ ლექსებს, რომლებიც მეგობრებს თუ ნაცნობებს ეძღვნება. აქაც მეხოტბედ არსად გვევლინება. იხსენებს ცალკეულ ბიოგრაფიულ დეტალებს, რაც მიმართვის ობიექტთან აკავშირებს. ამ შტრიხებს აზრობრივი გამიზვნა გააჩნია. ასე ყალიბდება პოეტის ეთიკური მრწამსი, მოქალაქეობრივი სახე. ამავე ციკლში გაკრთება რამდენიმე სატრფიალო ლექსი („დედამიწის გარშემო“, „ორი აივანი“, „შეშის დახერხვა დეკემბრის დილით“), რითაც უფრო კონკრეტული და რეალური ხდება პოეტის ოცნების ქვეყანა:

სიყვარულისთვის! კარგო, ჩვენ მხოლოდ
სიყვარულისთვის გავჩნდით და ვცხოვრობთ.

მაგრამ ეს არის პიროვნების მიმართებათა ერთი მხარე, მისი არსებობის ნაწილი, რითაც უკავშირდება მიწას, ახლობლებს, გარემოს. პოეტი ხომ არსებულის გამითებით არ იფარგლება. მას ჰყავს სულის ნათესავები, „ძვირფასი მკვდრები“, ის ადამიანები, რომელთა სუნთქვა არ შეწყვეტილა. მაგრამ ყველა ვერ განიცდის და მხოლოდ ძლიერი სულის ანტენები შეიგრძნობენ ეს ის ხალხია, რომელთა სულში სისხლივით გამოტარდა ქართული ლექსი. მცირეა მათი რიცხვი. პოეტი სურვილისამებრ ლიტერატურულ წინაპარს ისევე ვერ აირჩევს, როგორც დედასა და მამას. არაცნობიერი მიდრეკილებანი მისდაუნებლიედაც უკავშირდება კონკრეტულ სახელებს. ტ. ჭანტურიასათვის ყველაზე მახლობელი პოეტი, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში, არის აკაკი წერეთელი. შემთხვევითი როდია, რომ მის ლირიკაში დამკვიდრებულ სინათლედ შემოვიდა რაფსოდების შთამომავლის ფიგურა. აკაკისეული სადა, პატრიოტული და ლირიკული ლექსი, იუმორი და ირონია მისთვის ფრიად მახლობელი აღმოჩნდა. არ შეიძლება არ გავიხსენოთ ამ დიდი მგოსნისადმი მიძღვნილი შესანიშნავი სტრიქონები:

მეცხრამეტე დასრულდა... ჯერი დადგა
მეოცის.
აღარც — გიჟი ტრისტანი, არც სევდა
რომეოსი.
მიჯნურობა, როგორიც ჯულიეტამ იცოდა!

სინანული, რომელმაც ჩამოადნო იზოლდა!
ულმობელი ხელები კლავენ კლავიშს,
კლავენ სიმს,
ვიოლინოს გოდებას და მწუხარე კლავესინს.
...შენ რომ წადი თამარელამ
თვალი ცრემლით დაისია;
შენთან ყოფნა დილა იყო
უშენობა — დაისია.
სათაფლიას მოწყენილი
ბულბულები დაესია!
შენთვის ტირის წყალწითელა,
თვალი ცრემლით დაისია.

წამიერად გაიქროლებენ შოთასა და გალაკტიონის აჩრდილები; ლექსად ამეტყველდება სულიერი მამების ვედრება. განუქარველი გულისტკივილი, რაც საპედისწერო განწყობილებად გადაეცემა მთამომავალს. ასე იკვრება პოეტის ინტიმურ წარმოდგენათა წრე, როგორც საწყისი ახალი იდეათა და მოტივთა. ამ თანდაყოლილ განცდებს დაეშენება შეძენილი და მიკვლეული რთული ინფორმაცია.

მთავარი და საგულისხმო ის არის, რომ ნაჩვენები მოდელი არაა ფაქტის უბრალო ფიქსირება. ცხადია, ყველა პოეტი წერს მშობლებზე, მეგობრებზე, ლიტერატურულ წინაპრებზე. მაგრამ ტ. ჭანტურიას თავისებურება, გამოსარჩევი თვისება ის გახლავთ, რომ საუკეთესო ლექსებით გამოხატა მიმართებათა ეს მოდელი. ამდენად აქვს ესოდენი პრინციპული მნიშვნელობა. საერთოდ პოეტი რაზეც წერს კარგად, ის არის მისთვის მახლობელი და ბუნებრივი. ყოველგვარ მსოფლგანცდას აზრი ეძიება მას შემდეგ, თუ ის ნამდვილი პოეზიის ენით იქნა გამოხატული. ამიტომ გადმოგვედება პოეტებისადმი მიმართვის ცეცხლი. მათი ბიოგრაფია ერთნაირად მშფოთვარეა, დრამატული და სევდით სავსე:

ბევრის წიგნებს ყიდიან
ჩამოკლებულ ფასებით,
თაროებზე დებისგან
რომ გამხდარან ბაცები!
მაგრამ ხომ გვაქვს ბადაგით
გავსებული თასებიც!
პატრონები იმათი!
პოეზიის ასები!
ლექსის პიტიახშები!
ზმის, მაჯამის ხასები!
შუბლზე — გრძელი ღარები!
ხელის გულზე — ხაზები!
მოკლე სიცოცხლისა და
დამწვარ ბედის ნიშანი —
მუდამ დამარცხებული
პოეზიის ასები!

ემოცია, ლირიზმი, განწყობილება შემაგრებული უნდა იყოს აზრობრივი დაძაბულობით, პასუხობდეს ინტელექტუალური მკითხველის ინტერესებს. წმინდა გრძნობები, მუსიკალობა და გარეგნული ნიშნით შერჩეულ სიტყვათა მოზაიკა იოლად ხუნდება. ამას მშვენივრად გრძნობს ტ. ჭანტურია. მხოლოდ აზრთან წილნაყარი ლირიკა უძლებს ჟამთა კაპრიზულ ცვალებადობას. ამიტომ აქცევს მას მთლიანი სტილის შენაკადად და აქაც გამორიცხავს შიშველ მგრძნობელობას. შეცნობის სურვილისაგან დაცლილი სიტყვა უეცრად იშიფრება. ის მალე იპყრობს აუდიტორიას და ასევე სწრაფად კარგავს, რადგან განსაზღვრული დროის განწყობილებაზეა გათვლილი. მთამომავლობის წინაშე ლირიკოსები წაგებულნი არიან მათი პოპულარობა თანდათან ნელდება. ტ. ჭანტურია ახდენს ლირიკული მსოფლგანცდის მოდერნიზებას, რომელიც ჩვეულებრივ სიყვარულის ესთეტიკაზე იყო აგებული. ის ქმნის შინაგან მისწრაფებათა გამოვლენის მრავალფეროვან სტილს და, როგორც ითქვა, ლირიკული ტონალობის ლექსთა საწყის ბირთვად აქცევს ინტელექტუალურად განსჯილ და მიგნებულ ფაქტებს. ის ერთი იმათგანია, რომელთაც მგოსნის ცნება პოეტის ცნებით შეცვალეს და მუსიკალურ სამყაროს დაუპირისპირეს საგნის არსში ჩაბუდებული მშვენიერება.

## 4. „ღამე“. „ქართლის ცხოვრება“. „მძევალი“

„სევდა! წარსულში მე არა მყავს სხვა ჩიჩერონე“. ამ ეპიგრაფით ერთიანდება ლექსების ერთი რკალი, რომელიც ქმნის პატრიოტული მრწამსის განსხვავებულ კონცეფციას ჩვენი სინამდვილის ფონზე. ტ. ჭანტურიას ლექსების ერთი უმთავრესი ძალა და შთაგონება ნაციონალური იდეების ხორცშესხმაა. ის, როგორც უაღრესად ფხიზელი მოქალაქე, გადაჰყურებს ისტორიას. მასში თანამედროვე ცხოვრების სახე ილანდება, ადამიანური ურთიერთობის უცვლელი მოდელები მიიკვლევა. ის არ არის ისტორიის, წარსულის მეხოტბე. პატრიოტული თემატიკა მუდამ ასულდგმულებდა ქართულ პოეზიას. მცირერიცხოვანი ერის შვილები მტკივნეულად განიცდიან თავიანთ ხვედრსა და ისტორიას. ეს მითუმეტეს ითქმის ქართველზე, რომელიც მარად თავს იცავდა და არსებობის გადასარჩენად იბრძოდა. საქართველოს წარსული მუდმივი წუხილის, სევდისა და მელანქოლიის აღმძვრელია. კაცმა რომ თქვას, ის ალტაცების, პათეტიკის მაგალითებს ნაკლებად იძლევა. დაუვიწყარია გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, გრ. აბაშიძის ლექსები, რომლებშიც კვნესის საქართველოს ტრაგედიული წარსული.

ზოგს შეიძლება მოეჩვენოს, რომ აზრი დაეკარგა ისეთ სიტყვებსა და სახელებს, როგორიცაა სვეტიცხოველი, ზარზმა, ვარძია, ცოტნე, დავითი, პაატა, ვახტანგი — იმდენად ხშირად,

ისე წარამარა ვახსენებთ მათ. ეს მხოლოდ დროებითი ილუზიაა. პოეტებმა შექმნეს საქართველოს წარსულის მითოსი. მისი პერსონაჟები, გმირები და ატრიბუტები გადადიან ლექსიდან ლექსში. მათი ხსენება და მოგონება ქართველს არასოდეს მობეზრდება. მხოლოდ ასეთ მყარ ფუნდამენტზე დაყრდნობილი აწმყო შეძლებს წინსვლას დიადი მიზნისაკენ. ტ. ჭანტურიას პატრიოტული მრწამსი, რომელიც შესანიშნავ ლექსებად გაიშალა, ორიგინალურია და საინტერესო. მისთვის ისტორია მარად ცოცხალი პროცესია. შენ ისე უნდა განიცდიდე გარნისის თუ კრწანისის ტრაგედიას, თითქოს იგი გუშინ მოხდა. ამიტომ წერს:

მე ვიხდი პერმში შეკერილ პიჯაკს
და ცოტნეს გვერდით თამამად ვწვები.

ე. ი. ეროვნული გმირები შენი თანამედროვენი არიან, როგორც ფიქრისა და ოცნების განუყრელი ბინადარნი. ეს აზრი უკვე პოლემიკურია ისტორიის, როგორც დამთავრებული პროცესის, ასახვისა და განცდის კონცეფციისაგან. ამასთან ერთად ტ. ჭანტურია არ აიდეალებს გარდასულ დროს, მასში არ ხედავს მაინცდამაინც ჰეროიკულს, სამაგალითოს, გასაოცარს. ქართველი ხალხის წამების მატიანე სავალალო და გულისმომკვლელი ამბების მომცველია. მის ღამეში მხოლოდ აქა-იქ გაიელვებს მთვარის სხივი და სინათლე.

პოეტი მოერიდა პანეგირიკულ ინტონაციებს და როგორც სახტიკი, ფხიზელი რეალისტი მივიდა წარსულის აჩრდილებთან. ღალატი, ძმათამკვლელობა, შინაქაოსი, სხვისთვის ომები ქართული ყოფის მუდმივი პარადიგმაა. „წაგებული დიდი ომები“, დანგრეული ქალაქები და ციხეები, იავარქმნილი სახელმწიფო სწორედ სევდის საზრდოს იძლევა, რომელიც შეცნობის შემდეგ თავად იქცევა ენერგიად. ტრაგიკული და მწუხარე ოპტიმიზმი ანათებს პოეტის სტრიქონებს:

ათასწლეულებს გადმოვცურავ მათი
ნავტიკით,
და მათ მიწაზე მოწეული პურის ნატეხით...
ათასჯერ მშობეს და ათასჯერ მომკლეს
ღალატით!
ათასჯერ მომკლეს და ათასჯერ ისევ ავდექი.“
(„მეუხარი“).

საქართველოს ისტორია ინახავს უნიათობის, ღალატის, გულუბრყვილობის უამრავ მაგალითს. წინაპრებს ედავებიან კიდეც, არა მხოლოდ ემადლიერებიან.

ტარიელ ჭანტურიასთვის უცხოა ისტორიის მოგონებით ტკბობა, სახელოვანი ამბების შერჩევა და თავის დამშვიდება. მისი მზერა ჩერდება იმ წყლულებზე, რომლებიც ქართულ სულს დააჩნდა და დრომ ვერ წარხოცა, ამიტომ მოგვიწოდებს მუდმივი მზადყოფნისა, ბრძოლისა და მოქმედებისაკენ.

განსაკუთრებით დრამატული ელფერი შეიძინა ნაციონალურ პრობლემატიკას სტრ-მ. დღეს ხდება ტოტალური გაერთმნიშვნელიანება. ტექნიკის გიგანტური წინსვლა ყველგან ქმნის მსგავს ქალაქებს, ქუჩებს, კვარტალებს, კორპუსებს. ტელევიზია, ესტრადა, კინემატოგრაფი არღვევენ ნაციონალურ ჩარჩოებს. მანქანა, თვითმფრინავი, გაზეთი, წიგნი ავრცელებს ყველაზე პოპულარულ იდეებს, ცხოვრების საერთო წესს. სტრ უთვალავი არხით იჭრება. სოფლები ცარიელდება და იზრდება ქალაქების ხვედრითი წონა; საერთაშორისო მოდელები, სტანდარტები არა მხოლოდ ყოფა-ცხოვრებაში, არამედ ენაში, აზროვნებასა და ფსიქიკაში ამცირებს ნაციონალურ თვისებათა მარაგს. ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელია. ის უნდა შეიცნო და გაიაზრო. თვალწინ მიმდინარე რღვევის კარნავალი, რომელიც მარტოოდენ სალექსო ფორმებს როდი ეხება (რაზეც ასე ხშირად ვმსჯელობთ), ნაციონალურ იდეებს უაღრესი დრამატიზმით აღბეჭდავს. განსაკუთრებით პატარა ერის პოეტი გრძნობს მწვავედ დროისა და ამინდის ცვალებადობას. მისი აღქმა მეტისმეტად გაფაქიზებულია. არ არის გასაკვირი, რომ ბოლო წლებში ესოდენი სიმკვეთრე შეიძინა პატრიოტულმა სიტყვამ. „მაგრამ... სიტკბო მიმწუხარა მშობელ ეო-მეოსი“. წერს ტ. ჭანტურია. ეს ერთი მცირე სიგნალია ნაციონალური ფერისცვალებისა, რომელსაც უნდა მოჰყვეს პათეტიკური შეძახილი, სამოქმედო ლოზუნგი:

ყველანი აქ ვართ!
აქ არის ყველა!
შეხედე: ცოტნეც
მოვარდა ჩორთით!
— საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
ბიჭებო, სწორდით!

ასეთი სიგნალები გაბნეულია სხვადასხვა ლექსში. ისინი უნებლიედ თავს შეგვახსენებენ. თითქოს უნდა შევაგროვოთ, რათა უეცარი, მახვილი აზრებისაგან შემდგარი ტექსტი ჩვენ თვითვე შევთხზათ.

ისტორიის ამ მძაფრი წარმოსახვის შემდეგ, როცა მას ვარდისფერი საბურველი გადაეცალა, შეიძლება იმ გმირთა მოხმობა, რომლებიც დღევანდელობას ლახვრიდება. მათი არსებობა გამართლებულია მომავლის გასახსიევებლად. ამიტომ ახსენებს პოეტი არმაზს, ხერთვისს, ჭყონდიდს, აწყურიას, თევდორე ხუცესს, სამას არაგ-

ველს, დავითსა და ცოტნეს. თავიანთი გადახდილი და გადაუხდელი ვალებით ისინი მომავლის საქართველოს აშენებენ. სამშობლო — ეს არის უმაღლესი ცნება, რომელიც იკრებს პიროვნების სასიცოცხლო ძალებს ყველაფერი მიმართულია ამ ერთადერთის წარმოსაჩენად და გადასარჩენად.

გადარეცხილია ისტორიის გაცრეცილი პალიმფსესტი. მასზე ახალი წარწერები დამსხდარან. გაისმის ქორალური გლოვის ხმები. დროშ თანაბრად წაშალა ლაჩრებისა და გმირების ნაფეხურები. ჟამთა დენამ გაანიავა ხმლით მოგებული საგანძური. გაქრო ფოლიანტები, დაანგრია სასახლეები. ქვეყანას წარლვნამ გადაუარა და თითქოს ყველაფერი წარიტაცა. ამიტომ ქვითინებს დამარცხებული ისტორია პოეტის შემეცნებაში:

შოთას მეორე, შოთას მესამე, შოთას მეოთხე
წიგნი სად არი!
ან ის — დავითი! დავით მეხუთე! ვის ჯარს
მიუძღვის გმირი სარდალი.
ვისი თორია უემტკიცესი — ათას ადგილას
შუბნაძგერები!
წყვდიადისფერად ვინ გადაღება ფსპეტაკესი
მათი ცხენები!
თუმც... არა სკიპტრა ბაგრატოვანთა,
ან სეფე დროშა ამილახვარის,
შალვას, ბიძინას და ელიზბარის სულს
ენატრება სამი ლახვარი!
მაგრამ სად არის ხმალი — ის ხმალი!
ანდა სად არის ფარი — ის ფარი!
უკვე გამქრალა სამი ტუზია შალვა, ბიძინა
და ელიზბარი.
მათთვის პარაკლისს არ გადაიხდის ტყეში
ჩადგმული ციცქნა საყდარი!
აღარ ფრუტუნებს — ბერი თევდორეს
გამხდარი ჯორი, ალარსად არი. („??“).

ვინ გაგვცემს პასუხს შეკითხვაზე — „რატომ დაიღუპა თმოგვი და ქორსატეველა. რატომ“. თვალს ელანდება პირველადი იაფეტური წრე — მუამდთხარეთი, ხახკები, პელაზგები. მრავლის მთქმელია თუნდაც სათაურების გახსენება: „ახურელების შემოსევა“, „მონგოლთა შემოსევის შემდეგ“, „ტამერლანის შემოსევის შემდეგ“. ქვეყანას წყვდიადის ტალღა გადაუვლიდა და აღარავის ახსოვდა შთრეული წარსული; ვერც მტერი და მოყვარე გაერჩიათ ერთმანეთისაგან:

არც მზის ვულზე თვლემდნენ ბერიკაცები,
აღარც სადმე ბარავდნენ და მარგლიდნენ,
და ტიროდნენ გაჩეხილი ვაზები
შუბლგაჩეხილ ვაჟკაცების მაგიერ...
ყველგან — მტკვარზე, ალაზანთან, იორთან—
სულ ელოდენ... სულ ელოდენ... ელოდენ...
შორს კი ქარი აქანებდა იურტებს
და ბავშვები ჩვენს მკვლელებზე მღეროდნენ.
(„ტამერლანის შემოსევის შემდეგ“).

ვარძიის ათას ჭრილობას ათასი თეთრი არწივი დასტრიალებდა („მეწამულ თრიმფის!“); ზოგჯერ მთელი ერის ცხოვრება სამგლოვიარო პროცესიის სვლას ჰგავდა: („ადრე წასულთა გამო“). ხანდახან ჩნდება ეჭვიც — აბდენმა ომმა, სისხლისღვრამ და ღალატმა ხომ არ გამოფიტა ქართველი ხალხის ენერგია:

ალავერდი ხომ გინახავს, ანდა გელათი,
ორად ორი ნაბიჯია კართაგენამდი.

ასეთი წუხილისა და შემფოთების ჟამს მიდის აჩრდილი დავითის საფლავთან („გმუოფა ძილი, განჯლრევ, გაღვიძებ, გეყოფა ძილი, ადე, გაგვიძეხ!“), სთხოვს შეფეს, გააკეთონ გრძელი როქი — ადგილები გასცვალონ. მაგრამ ეს წამიერი სეეპსისია, რომელსაც აღძრავს სიყვარულის ფანატიზმი, სინანული და კეშანი წარმავალი მოვლენების გამო. მას თანაბრად იწვევს „ისრით გამტყდარი ძველი კრამიტი“ და ...ნს სინამდვილეში თავჩენილი მანკიერებანი. მაგრამ პოეტის სიტყვა და ერთგულება მიემართება არა კონკრეტულ მოქალაქეს, არამედ სამშობლოს, რომელიც არ არის ჯამი დღევანდელი მოსახლეობისა:

მეც,
ზურაბივით,
ქართლის კედელში
ჩაშენებული გყავარ
შუამდე...
ნახევრად მაინც რატან გადაერჩი —
ნახევრად მაინც ვიგრძნობ ქრუანტელს.
გაიქროიალა ომიანლის ქარმა,
ჩაესო ურჩხულს ხმალი ვადამდე,
და ვეკითხები ნაომარ არმაზს:
ჩემო ძვირფასო მთებო, სადამდე!..

ამიტომ ჩანგი, სიტყვა და მკლავი შეწირულია სივრცესა და სიღრმეში განფენილი მამულისადმი. ჰმუნვა იფანტება მუდმივი მოქმედებისა და მოძრაობის პაროლით:

დღისით — თმოგვის მეციხოვნე,
ღამით — ფანასკერტელი ვარ!
ხვალ რომ ქვა ვარ საგორავი,
ზეგ არმაზის კედელი ვარ.
(„ღამე. „ქართლის ცხოვრება“. მძევალი“).

„ყვითელ ბალახში ჩაკარგული დიდი ცხოვრების“ წილ იხსნება ახალი სინამდვილის კარი. კვლავ ცოცხლობს დამარცხებებით, მარტვილობით, ტანჯვით შეუმუსრველი სული, რომელსაც ყველაზე უკეთესი დღეები მერმისში ეგულება:

არ მიწერია მე დამარცხება,
თუ შუბლზე შენი მადლი მეცხება!
ყველაზე ნალდი შენი საზღვრები
ფრთით მომიხაზეს შენმა მერცხლებმა.

მანამ ვიცურებ მე შენს რიონში,
სანამდე ძარღვი არ გამესკვნება!

დღეს შექმნილია ახლებური ჟღერადობის პატრიოტული პოეზია, რომელმაც ზოგი რამ დაივიწყა და უარყო, ზოგიც აღიდგინა და ისწავლა. მისთვის ნიშნეულია მეტი ფიქრი, განსჯა, შეხამებული აღმაფრენასა და ბრძოლის ექსტაზთან. თუ ბოლო წლებში კვლავ გაღვივდა ინტერესი ლექსისადმი, ეს პირველ რიგში იმ პოეტების დამსახურებაა, რომლებმაც ერის სულისკვეთება მკვეთრად გამოხატეს. ხალხს არ აინტერესებს განყენებული ესთეტიკა, თუნდაც განუმეორებელი ძალისა იყოს. მას მუდამ თავისი ფიქრისა და ოცნების ამოკითხვა და პასუხი სწყურია ხელოვანის ნააზრევში. შემოქმედს აუდიტორია მაშინ აიტაცებს, როცა მათ შორის სრული თანხმოვანება სუფევს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტ. გრანელი და ლ. ასათიანი უფრო უყვართ მასებს, ვიდრე ზოგიერთი მათზე ძლიერი სიტყვის ოსტატი.

## ნ. ირონიულ-პაროდიული რკალი

ლექსების დიდი ნაწილი ირონიულ-პაროდიული ბუნებისაა. კლასიკურ ლექსზე შეჩვეულ თვალსა და ყურს, რომელსაც ხიბლავს თანმობილი რომანტიზმი, იგი ეუცხოება. აუდიტორიას უჭირს მისი მიღება და ამიტომ შეცბუნებულია, დაბნეული ადევნებს თვალს პოეტის სულის მოძრაობას. „ანტი" — არის ამგვარი პოეზიის პაროლი — ანტილექსი, ანტირომანტიზმი, ანტიესთეტიზმი... პოეტი, რომელიც წლების მანძილზე წმინდა ლირიკის წიაღში ეძებდა სათქმელს, მოულოდნელად მისგან განდგა, დაუპირისპირდა და ქართული ხასიათისათვის ჩვეული იუმორი ირონიად გადაზარდა. ირონია ნიშნავს სიტყვას და საგანს შორის არსებული რეალური ურთიერთობის დარღვევას, მიღებული ნორმების შეცვლას, პირობითობათა დაცილებას, დისტანციურ დამოკიდებულებას.

ამ ათიოდე წლის წინათ დაიბეჭდა ტ. ჭანტურიას პირველი ლექსები, რომლებიც უარყოფის, გაუცნაურების და საერთო მდინარებისაგან განდგომის ნიშნით იყო აღბეჭდილი. ირონიულ-პაროდიულ ლირიკას აუდიტორიამ იგივე იარაღი — ირონია დაუპირისპირა და სერიოზულად თითქმის არავინ შეხედა. მაგრამ პოეტის სწრაფვა არ დამცხრალა. მან უფრო გაზარდა ასეთი ლექსების რიცხვი, თემატიკა, განწყობილება. ასე შეიქმნა ახალი ციკლები — „აუწყობელი გიტარები", „ახალი მთვარე", „დაწყევლილი სერპანტინი", „კასეტა № 9". უკვე სათაურებიც მიგვანიშნებს, რომ პოეტი რღვევის გზით წასულა, რომელსაც მოჰყოლია მოულოდნელ პირობითობათა დაფუძნება. ამ ტენდენცია ტრადიციის მიმართ [illegible] ედიპოსის დანაშაულის" იდეა [illegible] ყოველ ახალ წამოწყებას.

ტ. ჭანტურიას მშვენივრად მოეხსენება ტანჯული ფილოსოფოსის ცნობილი შეგონება: „შეეცადეთ უარყოთ ყველაფერი! ო, რა ადვილია ნგრევა, მაგრამ აშენება!.." მისთვის რღვევა უკვე შენებაც არის, რადგან პროცესი გამოხატულია სიტყვასა და ახალ სისტემაში. ამას წინ უძღოდა თეორიული განცხადებანი: „როგორც კარნიზი უარყო რაიტმა, ჩვენც ისე უნდა უარვყოთ რითმა"; „თურმე ერთმანეთს შედგენილობით უახლოვდება ცრემლი და შარდი" („ახალი პოეტიკის საფუძვლები"). სიმართლე უნდა ითქვას, რომ პირველი ლოზუნგი მან ახალთაობას დაუწერა, რომელმაც ტრადიცია რითმის პორფარში დაინახა, ფორმის სიმბოლოს შეებრძოლა, მაგრამ სიტყვის ესთეტიკა მიიღო. ტ. ჭანტურიამ კი სწორედ არსებითისკენ — ესთეტიკისაკენ წარმართა ირონიის მახვილი.

ტრაგედიული, მღელვარე გრძნობები, შეუცნობი მოვლენები დახურდავდა და ყოველდღიურ ბანალობად იქცა. პოეზიაში შემოვიდა ცხოვრებისეული წვრილმანები, ყოფითი დეტალები, დიალოგები, ჟარგონი და დიალექტიზმი. გაუფასურების, გადაფასების პირველი ობიექტია ღმერთი. ის კვებავდა ძველი ქვეყნის ფანტაზიას, მაგრამ მოკვდა და იდეების სასაფლაოზე განისვენებს. დაგვრჩა მისი ფიტული. მართალია, ღმერთები მხოლოდ მიცვალების შემდეგ არიან მშვენიერნი, მაგრამ ისიც ხომ ნათელია, სწორედ დაცემული ღმერთები იმსახურებენ მიწიერ, ადამიანურ მოპყრობას — დაცინვასა და ირონიას: „ატარებს ღმერთი ერთდროული თამაშის სეანსს სამნახევარ მილიარდ დაფაზე: გროსმაისტერმა გაიმარჯვა ყველა შეხვედრაში" („ღმერთი — გროსმაისტერი"); „თამაშობს ღმერთი ცაზე ბილიარდს, ჩააგდებს „ვარსკვლავს" — კმაყოფილია" („მწარე ხუმრობა მოწყვეტილი ვარსკვლავის ხილვისას"). ერთად პაროდირებულია ყველა ღმერთი — ზევსი, ქრისტე, ალაჰი, შივა, ბუდა, ჰეფესტო... „ერთად მიხრიგინებენ რამზესის, წუთისოფლის და ვიღაც ხონელის ეტლი" („ღმერთები"); ჯვარზე გაკრული მაცხოვარი მოთმინებით ელის მეოთხე ლურსმანს, რომლის მოტანა დავიწყნიათ („მეოთხე"): „შავი ღრუბლების ჭუჭრუტანიდან — როგორც მსტოვარი გახვრეტილი გაზეთიდან — გვიყურებს იგი" („ღმერთი"); „თამაშის შემდეგ ღმერთმა და ეშმაკმა მაისურები გაცვალეს" („სუპერ-მატჩი"); სპექტაკლებს ზეცაშიც დგამენ: „მოდის იუდა — მაცხოვრისათვის მოაქვს იოდი" („მოდერნიზაციის შემდეგ").

ღმერთის ლანდი ჩარჩა ისტორიის მეხსიერებაში, ბავშვობის სიზმრებსა და მოგონებებში. ამიტომ არ გვერიდება მას ვუწოდოთ „ყველაზე დიდი პროვოკატორი" („კართაგენის დაქცევის

ნამდვილი მიზეზი“). დევალვაციის პირველი ისრები სწორედ ღმერთისაკენ არის წარმართული, რომელიც გვირგვინად ადგას მითებსა და ლეგენდებში, რომანტიზმისა და ილუზიის ბურუსში ჩაძირულ ქვეყანას. ახალ დროს მოაქვს სხვაგვარი მშვენიერება. ემხობა დატკბილული, მათრობელა ცნებები და სახელები — უალრესი რეალიზმის, ნამდვილი ცხოვრების ნიშნით. ლოგიკურ და მიღმურ მოვლენებში კომიზმის შეტანა მათ ანადგურებს და გზას ხსნის ულმერთო სამყაროსაკენ. მას განაგებს მანქანა და ეჭვებით, ვნებებით, დიადი და მარტივი იდეებით შეპყრობილი ადამიანი. ოფიციოზის, გაბატონებული შეხედულებებისა და ტრადიციების რღვევის ჟამს მჟღავნდება ახალი ჭეშმარიტებანი, რომლებიც ძველთან მიმართებით ანტიჭეშმარიტებად ანუ სატანის აზრებად მიიჩნევა.

სამყარო დაუპირისპირდა შემოქმედს და ბოლოს იგი უარყო, როგორც ზედმეტი და გამოუსადეგარი ნივთი. ღმერთი იძულებულია მიწაზე ჩამოვიდეს და ადამიანს ტოლივით ესაუბროს („გზაზე“). უზენაესის პაროდირების შემდეგ დგება ადამიანის ჯერი, რომელმაც იგი ჯერ მოიგონა და მერმე მოკლა. პოეტის მიზანია პიროვნების აბსტრაქტულ ცნებაში გადაარჩინოს სწორედ ის, რაც კეთილშობილია და ჰუმანური, განტვირთოს ბალასტისაგან, რომელშიც თითქმის ჩაიკარგა ადამის ნაშიერი. ირონია არის ის იარაღი, რომელიც ებრძვის მოძალებულ უგულობას, უზნეობას, ამორალიზმს. მათთან ლოგიკურ დავას აზრი არა აქვს. ირონია არის თავდაცვის ხერხი მოწოლილი ქაოსისა და ძველი ესთეტიკური წესრიგისაგან, რითაც აქტიურდება და სიცოცხლის უნარს იძლიერებს ადამიანი — დედამიწის ყველაზე მშვენიერი და სასტიკი არსება. ტ. ჭანტურია მრავალკეცი ვარიაციით უბრუნდება ამ თემას, აცლის ილუზიურ საბურველს.

ამ რკალშიც საინტერესოა სათაურების გააზრება. მათ გარეშე ნაწარმოებთა ლექმა გაჭირდებოდა. სათაურში მოქცეულია იდეა, რომლის გაშლაა მთელი ანტილექსი. ის უკვე შეიცავს მიგნებულ აზრს, გარკვეულ ინფორმაციას: „ბანალური ელეგია ანუ ჰამლეტი საკოლმეურნეო ყანების ნახნავებში“, „ნეოფაშიზმის საფრთხე ანუ დაკვირვება ბალიშზე“, „ტრანსპლანტაცია თბილისში“, „მეორე დღე წარღვნის შემდეგ ანუ ბიბლიური საუზმე“, „ნაწყვეტი ქართული ლიტერატურის ზეპირი გამოცდიდან“, „როგორ ელერსება ყმაწვილი კაცი მეუღლის მუცელს, რომელშიც მისი პირველი შვილი თამაშობს“, „შეყვარებული არქიმედე“, „შაბათი სალამო ინტერნატში“, „ჭრრრ... ჭრრრ...“ და ა. შ. ტ. ჭანტურია აზროვნებს არა მხოლოდ სახეებით, არამედ სტილითაც. სტილი უკვე თავისთავად არის გარკვეული ინფორმაციის მატარებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ ასე: ღმერთის შემდეგ დგება ადამიანის ჯერი.

სიყვარული არ არსებობს მინარევის გარეშე. მას მუდამ ახლავს ეჭვი, შიში და სინანული („სიყვარული“); დედინაცვალი თვრამეტი წელი ინახავდა ტუზა მოქიის ერთადერთ პიჯაკს, მაგრამ ოჯახში მოვიდა რძალი და მაზლის ერთადერთი მოსაგონარი ბელურების საფრთხობელად გამოიტანა („ჭვარცმა“); ადამიანი მანეკენს დაემგვანა, რომელიც ცხოვრობს სხვისი ღიმილით, ნაწნავით, ტამით, მუსიკით, საკუთრივ მხოლოდ მარტოობა გააჩნია („მანეკენი“); გოგო-ბიჭები ქალაქში მინდორს აკოწიწებენ, ხოლო სოფელში — ასფალტს აგებენ („მოვსპოთ განსხვავება სოფელსა და ქალაქს შორის“); მეოცე საუკუნე მიაგავს ოთახის ძაღლს, რომელიც წყლისა და ძეხვის ნაჭერის ამარა დარჩა („მეოცე საუკუნე“); „სისულელეა ყველაფერი სისულელეა“, აბსურდს ქადაგებს ალბერ კამიუს თუთიყუში; მაგრამ ეს ოპოზიციონერის აზრია, რომელსაც პოეტი თავისი ლექსებით ედავება, რადგან იბრძვის არა მხოლოდ მდინარეთა და ზღვათა, არამედ ადამიანის სულის გაბინძურების წინააღმდეგ („ეკოლოგებო და პოეტებო“); ის ჩართულია ცხოვრების „თამაშში“ მას არ ეთიშება და ამდენად არ არის ნიჰილისტი. ნიჰილიზმი განწირულობის ფილოსოფიაა. მას არ აინტერესებს პიროვნების სულის ხსნა, რომელიც გარს აკრავს. მაგრამ ირონია მიზნად სიკეთეს იგულვებს და მისი სახელით ჰკიცხავს. ამხილებს ფსევდო-ფასეულობას, იმ ურთიერთობას, რომელიც დრომ გააყალბა.

ღმერთსა და ადამიანს შორის არსებული საგნები და გრძნობები განიცდიან მუდმივ დევალვაციას. სიკვდილ-სიცოცხლე, სიყვარული, მეგობრობა, ჭეშმარიტება ყოველ დროში განსხვავებულად აღიქმება. პოეტი პირველი ახდენს ეპოქის ნიშნების ფიქსირებას. მისი სულის მგრძნობიარე კამერტონი აღბეჭდავს დღევანდელ ფარულ ნიუანსებს, რომლებიც ხვალ ყველასათვის აშკარა იქნება, ანდა სულაც გადავიწყებული. ტ. ჭანტურია ქმნის დაუნთავრებელ ლექსებს, მხატვრულ დეტალებს, იძლევა ცალკეულ მინიშნებებს, თხზავს ფრაგმენტებს, ის ლექსებად კრებს სინამდვილის ჰვრეტით აღძრულ მახვილ აზრებს: „აქ, № ათასწლეულიდან III ათასწლეულამდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ადამიანი“ („გაფრთხილება ანუ მემორიალური დაფა დედამიწაზე გასაკრავად“). ასეთი ფრაზები არაა სკეპტიციზმის გამჟღავნება, ნიჰილისტური გამძაფრება, არამედ მოახლოებული საფრთხის შეგრძნება, მწარე ცხოვრებისეული სიმართლის ირონიული გააზრება, რომლის ქვეტექსტია თანამედროვე მსოფლიოს ნერვიული და აჩქარებული პულსაცია.

პოეტის მჭრელი ხედვა სწვდება ათას წვრილ-

მანს, კონკრეტულ რეალიებს, პროზაულ მასალას. მათში პარადოქსული აზრის მიგნებით თუ შეტანით სულ სხვაგვარად ნათდება ემპირიული ფაქტები. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ ლექსი — „სტიუარდესა“, რომელმაც ერთ დროს გაუგებრობაც კი გამოიწვია:

ბზზზ... ბუზი სარკმელთან
მიმწყვდეულია. ბუზი სარკმელთან
მიმწყვდეულია. ბუზი სარკმელთან
მიმწყვდეულია. ბუზი სარკმელთან...
როგორც სარკმელთან — გოგონა ცასთან
მიმწყვდეულია. გოგონა ცასთან
მიმწყვდეულია. გოგონა ცასთან
მიმწყვდეულია. გოგონა ცასთან...

ეს ორსტროფიანი ლექსი ხუთი სხვადასხვა სიტყვისაგან შედგება: „როგორც სარკმელთან — გოგონა ცასთან მიმწყვდეულია“ და საფუძვლად უდევს უაღრესად შთამბეჭდავი ასოციაცია. სტიუარდესა, რომელიც უამრავ მგზავრს აცილებს და სულ ღრუბლებშია გახვეული, ცასაა გამოკეტებული. მის ოცნებას ლაჟვარდის ზღუდე ახურია, რომელსაც თავს ისევე ვერ დააღწევს, როგორც ბუზი სარკმელს. მაგრამ აქ თვით ადამიანის უმწეობის, მარტოობის იდეაც იმალება. მარადისობის ზღვას ადამიანიც მიმწყვდეულია. კოსმიურ ძალებთან მიმართებით ის საცოდავი არსებაა, ბუზივით მარტივი და განდაბნეული. მრავალგზისი განმეორებით ამ აზრის ტრივიალობაც იხსნება, მისი ყოველდღიური ხასიათი გადმოგვცემს. ხოლო ჩვენს ფიქრებში მკვიდრდება მეოცნებე გოგონა.

აშკარაა, გარეგნულად მარტივი, შინაგანად კი ღრმა და რთული აზრებით იქსოვება ჩვენი სინამდვილის დრამატული ტექსტი.

ამ ციკლის ფრაგმენტულ ლექსებში გაფანტულია მრავალი უცნაური, ირონიით შეპყრობილი ორიგინალური შეხედულება. ისინი გაბნეულია ცალკეულ სტრიქონებად და სახეებად. პოეტს არ უცდია მათი ერთ მთლიან, ანალიტიკურ ნაწარმოებად შეკრება, პარადოქსების სისტემური დალაგება, რადგან ისინი მუდმივი სწრაფვის ნაყოფია. ამიტომ ჩვენ უნდა წარმოსახვით გავაერთიანოთ და ახალი ტექსტი შევადგინოთ, რათა შემთხვევითი უარიყოს და უმთავრესი გამოიკვეთოს, რითაც გაიშიფრება პოეტის ცნობიერება.

ზოგჯერ ამ რკალშიც გამოითქმის ურთიერთსაპირისპირო აზრები, რაც თავისთავად საინტერესოა.

ტ. ჭანტურიას რწმენით, როგორც უკვე ითქვა, დღეს არ შეიძლება მისდიო ამოჩემებულ კონცეფციას, პოეტიკურ სისტემას, თუნდაც უაღრესად ფასეული და ორიგინალური იყოს; რასაკვირველია, თუ გინდა, რომ დღევანდელობის ფიქრთა მხატვარი იყო. პოეტი არ ერიდება პოზიციის გადაფასებას, შეხედულებათა უარყოფას, ცალკეულ წარუმატებელ ცდასაც ეგუება, რადგან ვისაც შეცდომისა ეშინია, ის ვერაფერს შექმნის. დღეს ყველაფერი [illegible] ბერდება და ცვდება. საუკეთესო [illegible] ის არის, რომ მიჰყვე მუდმივ განახლებას, სწრაფ ცვალებადობას. ამიტომ არის ესოდენ რთული და მრავალმხრივი ინფორმაციით სავსე ტარიელ ჭანტურიას პოეზია. მოპირისპირე შეხედულებანი, განცდები და ფორმები მან შეგნებულად აქცია ლექსის საშენ მასალად, რომლის შიგნით მოძრაობს მაძიებელი და მღელვარე სული. მთელი ირონიულ-პაროდიული ლირიკა უნდა გავიაზროთ განუყოფელ მთლიანობად. მას ალბათ მომავალში მიეცემა უფრო სრული, უფრო გარკვეულად კონცეფციური სახე. მაგრამ ახლაც საგრძნობია, რომ აქ ცალკეულ ლექსზე — უფრო სწორად — დეტალებზე არ უნდა ვიმსჯელოთ. აუცილებელია მისი მთლიანი წარმოდგენა, რათა გადაწყარბება, მახვილი მიგნება, უცხო შეხედულება მივიღოთ ინტელექტუალურ გააზრებად ჩვენი დღეებისა. ამ საუკუნეს „ეჭვის ერას“ მარტოოდენ ფიგურალურად არ უწოდებენ.

ამ ლექსების საწყისია არა მოლოდინი და მოქანცული განწყობილება, არამედ ოცნება უკეთეს მერმისზე, ფსიქიკის სიღრმეში დალექილ ნეგატიურ მოვლენათა მხილება, პომპეზურის გაშარჟება, ზეციურის გამიწიერება, უარყოფა თეზისა — „ცხოვრება ხანგრძლივი ავადმყოფობაა“, როგორც ამბობდა სოკრატე — პირველი დეკადენტი. ისიც უნდა დავძინოთ, რომ ლექსის „დაუმთავრებლობა“, „ფრაგმენტულობა“ კლასიკური სიმეტრიისა და წესრიგის მსხვრევას ნიშნავს. მასში ამღვრეული ყოფიერების იდუმალი სახე ილანდება, რომელიც ახლა მჟღავნდება, ხელოვანისაგან თითქმის დამოუკიდებლად და არავინ იცის როგორ მიაღწევს სრულყოფას.

ირონია პაროდიისაგან განუყოფელია, რომელიც გულისხმობს დაკანონებული და აღიარებული სტილის მიბაძვას, განმეორებას. ამ ხერხით ტექსტის საპირისპირო, კონტრასტული აზრები წარმოიშობა, რითაც ირღვევა არსებული სტრუქტურის ჰარმონია. ტ. ჭანტურიას შემოაქვს მეცნიერულ-ჟურნალისტური სიტყვები („დეზოქსირიბონუკლეინი“, „პასი“, „ჰიპოტენუზა“, „ტრანსპლანტაცია“, „გენი“, „ცრემლი მეათე ხარისხში“, „ბანალური მეტამორფოზები“, „სუპერვარსკვლავი“, „სექს-ბომბი“, „ღმერთი-გროსმაისტერი“, „ტრანს-საოცნებო ლიანდაგები“ (დიალექტიზმები — „იმე, ბეჩა გავგიჟდები“, „ჯვარზე უნდა გაცო“, „მითომ რათა“, „ნუ გეიკრიფე, გო, ენად ეიწი ზემოთ პერანგი“...). ამიტომ დგება იმ ენის უარყოფის აუცილებლობა, რომლითაც იწერება ლირიკული, დრამატული, რომანტიკული ლექსები. დღევანდელი ურბანული ცხოვრება, მანქანა და ტელეფონი, ტელევიზორი და თვითმფრინავი აუფასურებს იმ სიტყვებს, რომლითაც ტრადი-

ციული პოეზია იქმნებოდა: თანდათან ისინი საგანდაკარგულ ფორმებად რჩებიან. ენა ლექსის სპეციფიკაა. მისი არსი მეტყველებაში იმალება, რომელშიც სახლობს უფიერება. პოეტი მჟღავნდება ენის მოხმარებისას, რადგან ის ავლენს და ეყრდნობა „მარადიულ ენას“ და არა გუშინ გაჩენილ ლექსიკას. სინტაქსი, ინტონაცია, ლექსიკა ზოგჯერ მასალის მიერ არის ნაკარნახევი, როგორც ფსიქიკური მდგომარეობის შესატყვისი. ხანაც რომანტიკული შინაარსი ტრივიალურ-ყოფითი ენით იშლება, რაც უკვე პაროდიული სურათია. ტ. ჭანტურიასათვის მახლობელია ლინგვისტური, თემატური, აზრობრივი პაროდია. მისი ირონიული ლირიკა თავისთავადაც უკვე პაროდიაა კლასიკური ლექსისა. მაგრამ ეს, როგორც ითქვა, არ მოასწავებს ნიჰილიზმს, სულის კრიზისს, არამედ ნიშნავს ცის გახსნას ახლად ამოჭრილი ყლორტებისათვის. ირონიულ-პაროდიული სტილი მთლიანი პოეტური თვალსაზრისის, ტემპერამენტის, ბუნების ერთი შემადგენელი ნაწილია, დამორჩილებული უფრო მაღალ მიზანს, ვიდრე რღვევაა.

ტარიელ ჭანტურიამ ფრანსუა ვიიონის „მცირე ანდერძის“ პაროდიად მთელი პოემა დაწერა, რომელიც მიეძღვნა დ. წერედიანს — ამ ნაწარმოების მთარგმნელს. ფრანსუა შენაცვლებულია ფრანსუაზათი, ე. ი. მეტყველებს ქალი და არა კაცი. პოემას ერთვის შენიშვნები. მათში ახსნილია ტექსტის ის დეტალები, რომლებიც კონტრასტულად აძლიერებენ კომიზმს. ძველ ფორმაში ახალი შინაარსია მოქცეული. საერთოდ, თანამედროვეობამ ტრაგიზმის ტრაგედიის სანაცვლოდ წამოსწია იუმორი, კ[illegible]ია. აუდიტორიას სიცილი სწყურია, გართობას ელტვის და ტრაგედიას საკმაოდ გულგრილად ეკიდება. მშვიდ, წყნარ ცხოვრებას ეხამუშება შემარყეველი კივილი, სიკვდილი, ყიჟინა და შფოთი. ხალხს მობეზრდა ეს ყოველივე. იუმორის მოთხოვნილებამ დაჩრდილა ლირიზმი, ტრაგიზმი, ეპიკური თხრობა. პოეტი მშვენივრად გრძნობს ღრმა სტრუქტურული ცვლილებების ანარეკლს. მაგრამ იმასაც ნათლად ამჩნევს, რომ აქ მსუბუქი გართობის სურვილი იმალება, რაც უცხოა ხელოვანისათვის. მან ეს მოთხოვნილება ინტელექტუალურ სფეროში გადაიტანა. სადაც იუმორი უკვე ირონიაა და პაროდია. ინსტინქტური მახვილსიტყვაობა გამორიცხულია. ირონია — პაროდია ეფუძნება მრავალმხრივ ლიტერატურულ მასალას, განსაკუთრებულ გემოვნებას, ვრცელ ცხოვრებისეულ ინფორმაციას.

არ შეიძლება დაგვავიწყდეს „ტფილისელი დიდვაჭრის სიმღერა“, რომელშიც პაროდიულად გაიაზრება გასული საუკუნის სოვდაგრის შეხედულებანი. მისი ეთიკა და მორალი ეწინააღმდეგება ჩვენს სულსა და ხასიათს. ამიტომ ღიმილს იწვევს, ოღონდ დამცინავ ღიმილს, რადგან დიდვაჭრის ქცევა და ცხოვრების წესი ჩვენთვის მიუღებელია, საჩოთირო და გასაკილავი.

განსაკუთრებით მშვენიერია პროზად დაწერილი „ეტრატაჲ ანუ გაშიფრული პალიმფსესტები“. იგი მთელი ციკლის შესავალია. მაგრამ სავსებით დამოუკიდებელი ნაწარმოებიც არის. როგორც ყოველი პაროდია, ისიც ორ პლანში იკითხება: გვეჩვენება, რომ პოეტი მსჯელობს პალიმფსესტების, მელნის მომზადების, ტექსტის გადარეცხვის, კალმისა და ეტრატის შესახებ. მაგრამ ამ თხრობას ფარულად ენაცვლება სულის პალიმფსესტის ცნება. ანალოგიის ძალით პოეტი აღადგენს შთამომავლობის მიერ გადახაზულ პირვანდელ ვნებებს ჩვენი წინაპრებისას. მას ამჯერად არ აინტერესებს მეორეული ტექსტი, სწყურია პირველადი ნაწერის წაკითხვა, რომელიც დროის მტვერმა დაფარა. ამიტომ პალიმფსესტების მეცნიერული ანალიზი პაროდიულ, გადატანით ელფერს იძენს. ისიც უნდა დავძინოთ, რომ ეს ორიგინალური ჩანაფიქრი გაშლილია უჩვეულო მგზნებარებით, რომელიც ტოლფასია ლექსად დახარჯული ემოციისა:

„ოსტატი მელანს — ნიგვზის წენგოსაგან მომზადებულ ნაყენს — სიმტკიცისათვის უმატებდა რკინის მტვერს! მაგრამ უფრო გამძლე იყო მელანი, თუ მას უმატებდნენ ცოტაოდენ ცრემლს! და კიდევ უფრო გამძლე იყო მელანი, თუ მას ერთდროულად უმატებდნენ ცრემლსა და სისხლს! და კიდევ უფრო გამძლე იყო მელანი, თუკი მას, გარდა რკინისა, ცრემლისა და სისხლისა, უმატებდნენ ოქროს მტვერს! და მაინც, მიუხედავად ყოველივე ამისა, შეიძლებოდა გადარეცხილიყო ის, რაც რკინით, ცრემლით, სისხლით და ოქროთი იყო ნაწერი“...

„პალიმფსესტების გადარეცხილი სტრიქონებიდან დღესაც ისმის ბოჩოლების ზმუილი და მათ ზმუილში დროდადრო გამოკრთება მწყემსის შეძახილი. დრომ ეს შეძახილიც გადარეცხა“!..

ასევე უნდა გამოვყოთ „უცნაური ფერხული“. იგი მისტიკური რიტუალის პაროდიული წარმოდგენაა.

ზოგჯერ პაროდია მიმართულია თვით ავტორის პიროვნების მიმართ, იმ განცდების საპირისპიროდ, რომლებიც ბატონობს სხვა რკალის ლექსებში. ამიტომ იძენს უარყოფა, ინტელექტუალური სიცილი, პაროდირების სურვილი გლობალურ ხასიათს. ის ყოფისა და ცნობიერების თითქმის ყოველ მხარეს წვდება. შეიძლება ერთი ლექსი სანიმუშოდ მოვიტანოთ:

ისე ვწერ, თითქოს წამი დამდგარა
უკანასკნელი — საალსარებო:
სულ ამ წიგნში ხართ, ჩემო თვალებო!
ნეკნებო! მხრებო! შუბლო! სახსრებო!
და ერთადერთი, რაც წიგნს აკლია,
ეს არის ჩემი ლურჯი პიჯაკი!
ისიც ლექსისთვის როგორ მიმეცა?!
შიშველი დავრჩე? — ხომ მოვიჯაყე!..

(„ნაკლული წიგნის ბალადა“).

დაძაბული განწყობილება უეცრად იქცევა ირონიად, თვითდამცინავ ღიმილად, რაც იმის სიგნალია, რომ ყოველივე ემორჩილება პაროდირების პრინციპს, მუდმივ და უსასრულო დევალვაციას.

ლექსის დარღვეულ სტრუქტურაში შემოდის (ცი არ იჭრება) დიალოგები, ზოგჯერ აზრისაგან დაცლილი: „რვასართულიანი სახლის წინ იდგა ჩია კაცი და სასოწარკვეთილი აჰკიოდა მეშვიდე სართულს: — თინაა! თი-ნაა! თი-ი-ნააა! ბადურა ჩამომიგდე! ბა-დუ-რა! კართოფილი მინდა ვიყიდო!“. მათ მნიშვნელობა ეძლევა მთლიან სტრუქტურაში ჩასმით, მთელთან მიმართებით, ხოლო არსი ძევს ქვეტექსტში. ყოფითი დიალოგი ხატავს ჩვენი ცხოვრების ზუსტ და შეუფერავ სურათს — ანტიპათეტიკურს, ანტირომანტიკულს, ანტიჰეროიკულს. ხოლო თვით დეტალი, დიალოგური შტრიხი ანტილექსია, რადგან თანამედროვე პროზაულ ურთიერთობას ლექსი ნაკლებად შეეფერება. ამიტომ დათმო მან პოზიციები — პროზის, კერძოდ — რომანის სასარგებლოდ. მაგრამ ტრადიციაზე აღზრდილ ჩვენს გემოვნებას ეჩოთირება მეტყველების ესოდენი შეტოლება არსებულ ვითარებასთან. პოეზია ანგარიშს უწევს აუდიტორიას, რომელსაც გართობის სამოსელით აწვდის დაკვირვების შედეგს.

როგორც ვთქვით, დეტალების ერთობლიობა აღადგენს თანამედროვე მოქალაქის ცხოვრების რიტმს, განწყობილებას, შეხედულებებს. აქ დაცულია სტრუქტურული შესაბამისობა, რაც მოითხოვს დევალვირებული ესთეტიკის წილ ფორმის დევალვირებასაც. რითმას ჩამოსცილდა ფუნქციური სიმძიმე. ის იქცა გამრთობ ელემენტად. მეტაფორა გაუბრალოების, დაჩიავებისა და ემპირიულობის მაუწყებელია („ყოველ მეხუთე მამაკაცში დღეს დედაკაცის ჰორმონია“). ლექსის დეტალებს ემოციურ სინათლეს აძლევს აზრის უეცარი გაბრწყინება, ალქმისა და დაკვირვების კვალი. მკითხველი შეცბუნებული რჩება არა მხოლოდ შინაარსის სახეცვლილებით, არამედ ლექსის სტრუქტურის პროზად ქცევითაც.

ასე იქმნება „გაცრუებული მოლოდინის“ ესთეტიკა. მისი ყოველი ნიუანსი გაოცებულს გვტოვებს და ყოველივე „ანტის“ პაროლითაა დაშიფრული შემდეგ თანდათან ცხრება განცვიფრება; თვალი ეჩვევა სხივთა უცნაურ თამაშს, ცნაურდება პოეტის ჩანაფიქრი და ჩვენს წინაშე დგება ჰოსმთქმელი ხელოვანი, სტრ-ით რეკონსტრუირებული სამყაროსა და ფიქრების მხატვარი. ხოლო თვით ამ რკალს ნამდვილი ფასი ეძლევა არა მხოლოდ როგორც მთლიანობას, არამედ ავტორის სხვა ბუნების ლექსებთან შეპირისპირებით.

ირონიულ-პაროდიული ლირიკა ლიტერატურაში დღეს საკმაოდ პოპულარულია (მ. მაჭავარიანი, ჯ. ჯავახაძე, ბ. ხარანაული, მ. ფოცხიშვილი, ნ. ზართაია). მოსალოდნელია, რომ ეს ინტერესი არ განელდება — უფრო გაღრმავდება.

ბიბლიოთეკა

## 6. ლირიკული ეპოსი

ტარიელ ჭანტურია ათზე მეტი პოემის ავტორია. მან ამ ჟანრში დაწერა და გამოაქვეყნა სრულიად სხვადასხვა სახის ნაწარმოებები. ის, ოთარ ჭილაძესთან ერთად, წლების მანძილზე იბრძოდა ლირიკული ეპოსის შესაქმნელად, ლირიკული პოემის დასამკვიდრებლად. და ამ გზაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია შეასრულა. ბოლო წლებში მან მხოლოდ ორი პოემა გამოაქვეყნა. როგორც ჩანს, ტ. ჭანტურიას ბუნებისათვის უცხოა ეპიკური აზროვნება. ის იმარჯვებს იქ, სადაც ლირიკოსად რჩება. პოემებშიც ყველაზე მომხიბვლელია და მშვენიერი ცალკეული პასაჟები, რომელთა ამოღება და ლექსად წარმოდგენა თავისუფლად შეიძლება.

მე ერთხელ უკვე სპეციალურად განვიხილე ტ. ჭანტურიას ლირიკული ეპოსი (იხ. „ციდან მიწაზე სხივი გავიბი“). ამიტომ მას აღარ ვეხები. მაგრამ მას შემდეგ დაიწერა პოემა „მანქანა“. ეს იმდენად საინტერესო ნაწარმოებია, რომ გვერდს ვერ ავუვლით.

„მანქანა“ ტ. ჭანტურიას ერთ-ერთი საუკეთესო პოემაა. იგი თანამედროვეობის განცდით არის აღბეჭდილი. მანქანა ახალი რომანტიზმის მახარობელია, რომელიც მოაქვს ტექნიკის საუკუნეს. ეს სათაურშივე არის მინიშნებული — „უარყოფა თემისა: „ცხენი“. მანქანა — ეს არის ანტიცხენი. დაპირისპირებათა პირველადი მოდელი საწყისს აძლევს ორ განწყობილებას — ტრადიციულსა და თანამედროვეს. მთელი პოემა სტრ-ს მიერ მოტანილი პრობლემებისა და რეკონსტრუირებული სამყაროს ქვრეტა და განცდაა. მართალია, ამგვარი დაპირისპირება ნაცნობია თუნდაც რუსული პოეზიისათვის (მაგ; ა. ვოზნესენსკი). მაგრამ ამჯერად იგი ქართულ მასალაზე არის გაშლილი, ქართულ სინამდვილეში შეტანილი.

პოეტები უმღეროდნენ ვარდს, ბულბულს, ქალს, მერნებზე ისხდნენ და ხელთ მახვილი ეკავათ. მათი შთამომავალი ჩაკარგულია დიდი ქალაქის მღვრიე ნაკადში. მისი ხმა ნაკლებად ესმით ტრანზისტორისა და საქსოფონის, ტელევიზორისა და ქარხნების გუგუნში. ქალი უკვე იქცა არა აღტაცებისა და ხოტბის, არამედ დაკვირვებისა და განსჯის საგნად. არაა შემთხვევითი, რომ მას ესოდენ მცირე ადგილი უჭირავს ტ. ჭანტურიას პოეზიაში, ისევე როგორც მთელს დღევანდელ ლირიკაში. ალბათ ამანაც გამოიწვია რეაქცია ფემინისტური ლირიკისადმი. პოეტები ახლა აღარ გალობენ. ისინი ფიქრობენ, სჯიან და განიხილავენ.

ეს პოემა ეძღვნება კატასტროფაში დაღუპულ გრშ 75-73-ის ხსოვნას.

ადრე ცხენებს, რომლებიც დემონური ადამი-

ანის ატრიბუტად მიაჩნდათ, რომანტიკული სახელები ერქვათ — დარდიმანდი, არაბია, გუნტერი. ისინი წარსულმა ჩაიბარა. მათი ადგილი დაიკავა მანქანის მარკამ და ნომერმა. ყველაფერი დანომრილია, აღნუსხული და დაზუსტებული. ყოფიერების ბუნებრივ წესრიგს ცვლის ხელოვნური, ადამიანის გონების მიერ რეალობად ქმნილი მოდელი. ეხლებიან ფარები ფარებს, ეჯახებიან მოქალაქეებს, სისხლით ილებება ასფალტი, ვნებიანად კისკისებენ წყვილები და მიაბიჯებენ ჟანგისფერ სმოგში. ჟანგბადი ილევა, სუნთქვა ქირს, დუღს და ხმაურობს დიდი ქალაქი, გაბრუებული მანქანების ქროლვით. ღრჭიალითა და კატასტროფებით. მანქანის საჭესთან მჯდომი ზღაპრის გმირი მხოლოდ წინ იხედება. უკან რომ თვალი გააპაროს, უმცროს ძმასავით გაქვავდება, რადგან რკინის, მინისა და ნიკელის ნიაღვარს მიაქვს ქუჩები.

„მანქანა“ — ეს სახელი სიხარულის მაცნეც არის და მწუხარებისაც. დემონური სული მასში გადავიდა. „რკინის ეშმაკი“ დაემუქრა თავის შემქმნელს — ადამიანს. ცხოვრება იქცა ტექნიკურ ურთიერთობათა ჯამად. ის ნელნელა სცილდება მიწასა და სულს. არისტოკრატი ჯერ ინტელიგენტმა შეცვალა, შემდეგ ინტელიგენტი ტექნოკრატად იქცა, რომელიც ნაკლები ჰუმანურობითა და ადამიანობის წყურვილით ხასიათდება. ძეხორციელი თითქოს დაემგვანა თავისსავე გონების ნაყოფს — მანქანას, რომელიც ახალი ცხოვრების ტემპის, რიტმის და სახის სიმბოლოა:

მოდის ზაფხული. მოკრის მწვანეს ყვითელი,
და მანქანებზე დაკრულ საბნებით,
შეზლონგებით, „ლეჟანკებით“ და ჰამაკებით
გზას მიიკვლევენ კატასტროფებში
და კისკისებენ ჯინსიანი გოგო-ბიჭები,
როცა დროდადრო ცხელ ასფალტზე
გადარბის მელა...
ჩვენ კი... ჩვენ ისევ ვეხეტებით ჟანგისფერ
სმოგში —
ბენზინის სუნში, მანქანის მტვერში...

ამჯერად პოეტს ფსიქიკა არ აინტერესებს. ხომ არაერთხელ გვიჩვენა თანამედროვე ადამიანის სულიერი მეტამორფოზა და მღელვარება. ახლა გარემოს მიუბრუნდა და გარეგნული ნიშნებით ახსნა ყოფიერების ცვალებადობა. ის იმ რეალურ ჩარჩოს ეძებს, რომელშიც დღევანდელ მოქალაქეს ცხოვრება უხდება. ამით მთლიანი ფერისცვალების სურათი მოგვცა, რომელშიც სიზმარივით გაკრთება ძველი სინამდვილის დეტალები, როგორც წარსულის მონატრება: ასფალტზე მელა გადაირბენს, კვლავ საამო სურნელი შერჩენია დედას პურს, მყეფენ სოფლის ძაღლები, შრიალებს ცაცხვი, იღვიძებს ჩიტი... ამ ორი სამყაროს დაპირისპირება სტრუქტურაშიც ვლინდება. პოემაში მონაცვლეობს ვერლიბრი და თოთხმეტმარცვლოვანი ვერბლანი. მოძრავბენ მანქანების გიჟურ ქროლვას ადევნებული ასოციაციები. ფიქრი ამოსხლტება ქალაქის ბუფიდან. აჩქარებული და ნერვიული ყოფის რიტმი, რომელიც შეცნობის მასალად არის ჩათვლილი, სულსაც მეტი ძალით ათრთოლებს. ეს ნაწარმოები ინტელექტუალური თემის ლირიკული მოდელირებაა, სადაც ყოველივე ახლებური რომანტიკით შფოთავს:

ვუახლოვდები სულის ბნელ და უხილავ
მხარეს! —
ფიქრობენ გულში პოეტები და აწვიმთ წვიმა
მეტეორების, და აწვალებთ მარად სურვილი:
შეიძლებოდეს სიყვარულის ტრანსპლანტაცია,
ანდა პირიქით — ადამიანს ამოჭრა ხსოვნა —
სევდა მოჭრილი ცაცხვის გამო, რომელიც
ღამით
შენს აივანთან შრიალებს ისევ
და ყრის ზეწარზე ფიქრის ყვავილებს...
მაგრამ ეს ფიქრი განა მანქანის
ფარზე ნაკლებ საზარელია?
— პოეზია! -- მაფრთხილებენ აქეთ-იქიდან,
მაგრამ არ მესმის მათი ძახილი
და სამუდამოდ განწირული ვარ.

პოემის ერთ ნაწილში დაჯგუფებულია სხვადასხვა მარკის მანქანების სახელები. ისინი ქმნიან ერთგვარ მოზაიკას, არა მხოლოდ ოპტიკურს, არამედ — სმენითსაც; თითქოს გრიალებენ, ერთმანეთს ასწრებენ, ღმუიან და სიკვდილის სუნთქვას გვახრჩოლებენ:

იმპერიალი. ფოლკს-დრაკონი. ფიატი. ფორდი.
მოსკვიჩი. რენო. კადილაკი. იაგუარი.
კონტინენტალი. ფორდ-მუსტანგი.
სტარ-ფაიერი
მერსედეს-ბენცი. როლს-როისი. პანჰარდი.
ვოლგა.
გლადიატორი. დე თომასო მანგუსტა. დატსონ.
ზაპოროჟეცი. ფოლკს-ვაგენი. შევროლე.
ლოტუს.
სიტროენ-საფარი. ოლდსმობილი...
ზის პატარა. ოცნებობს, უნდა,
უფრო გასქელდეს, გაიჭედოს პიკის საათი,
ფარები ფარებს შეეჯახოს, თვალები —
თვალებს.

პოემა „მანქანა“ მთლიანად ასოციაციური კომპოზიციის ნაწარმოებია. მეტყველება იწყება მას შემდეგ, რაც კატასტროფა მოხდა და მანქანა დაილუპა. რადგან პასტორალი შეცვლილია ავტორალით, აღარ ჟღერს სამგლოვიარო რექვიემი: ესეც წარსულს ეკუთვნის. როგორც მომხდარი ფაქტის განსჯა, ფიქრები ილტვიან ნაირგვარი მიმართულებით. საწყისი წერტილი ერთია: მანქანა და ადამიანი, ტექნიკა და სული. ეს ორი ძალის მუდმივი კონფლიქტია, განუწყვეტელი სხვადასხვაობა, რომელთა სათავეა პრომეთესა და ორფეოსის მითები.

**მანქანა ბედისწერის ძალად განსახიერდა.** ადრე ზანგება იყო გაფოთლილი მთვარედ, სიზმრად, სხივად, ღრუბლად, ქალად. ისინი ქმნიან ადამიანის პირველად სახიცოცხლო წესრიგს, ბუნებრივ რეალობას. ამიტომ მათგან სახიფათოს, სასიკვდილოს არ მოელიან, თუმცა შეიძლება მეტ ფათერაკსაც გადაჰკიდონ. მანქანა კი სულისათვის უცხოა. ის მეორადი, წარმოქმნილი, გონებით რეკონსტრუირებული სამყაროს ატრიბუტია, ამიტომ — ნაკლებად მშობლიური და მახლობელი. ურემი, ცხენი თუ ეტლი უფრო ღრმა და მწვავე განცდების აღმძვრელია, რადგან ისინი არაცნობიერ ფსიქიკაში დიდი ხნის წინათ მოექცნენ, ყოფიერებას შეეზარდნენ და ურიცხვი, საერთო კოლექტიური მოგონებით დაიტვირთნენ. მანქანა სულისათვის ჯერ გაუშინაგნებელია, გარეგან საგნად რჩება. ამიტომ წარმოსახავს პოეტი მანქანებით გადარეულ სივრცეს; ამიტომ აფრთხილებს ფიქრებში წასულ ადამიანს — „მანქანა"! ეს სიტყვა მოახლოებული სიკვდილის სიმბოლოა.

„მანქანა" ტარიელ ჭანტურიას ლირიკული ეპოსის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. მიწიერი და ზეციერი რეალობის გამთლიანებული ჭვრეტა, ფსიქიკის უფსკრულში არსებული იდეალებისაკენ ლტოლვა და პიროვნული ხასიათის გარდასახვა, რაც მთელს მის პოეზიაში კონცენტრირებულად იყო ჩამოქნილი, ახალ ნივთიერ, კონკრეტულ საყრდენს პოულობს, უფრო მეტად და ხილულად აკავშირებს იმ დროსთან, რომელშიც ცხოვრობს.

ამ ნაწარმოებმა ახალი ელფერი და ხიბლი შემატა ტარიელ ჭანტურიას ლირიკულ ეპოსს.

როცა დავხურავთ ტარიელ ჭანტურიას წიგნებს და თუნდაც წუთით დავფიქრდებით, უფრო ნათელი გახდება რაოდენი ღრმა სიყვარულით არის შეძრული იგი ქართველი კაცის მიმართ, როგორი წმინდა და მართალია მისი სიტყვა, რარიგ ძლიერი და წარუშლელი — ლექსებიდან გადმოსული განწყობილება. ჩვენს თვალწინ გადაიარბენს უთვალავი ფაქტი. გონება სტოვებს საუკუნეთა უსრულეს ლაბირინთს, მზერა კი მაინც ციხკენ მიიწევს, რომლის სარკმელს ერთად აღებენ პოეტები და კოსმონავტები. ამიტომ ეძლვნება ამდენი ლექსი მათ.

პოეტის ოცნება — „შეიძლებოდეს სიყვარულის ტრანსპლანტაცია" — ასახრულა მისმავე სიტყვამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარ შავგულიძე

# მ. ჯავახიშვილის ერთი მოთხრობის გენეზისისათვის

მიხეილ ჯავახიშვილმა თავისი შემოქმედების პირველ წლებში სულ რამდენიმე მოთხრობა, ნოველა და ჩანახატი გამოაქვეყნა, მაგრამ ჭეშმარიტი მხატვრისა და მოაზროვნის შესაფერისმა ალღომ, დაკვირვების უნარმა მაინც საკმაოდ საფუძვლიანად მოასინჯვინა მისი თანამედროვე საზოგადოების თითქმის ყველა ფენის ცხოვრება; იმ დროის ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების გააზრებაში და ერთგვარ სისტემატიზაციაში, თავის პირად დაკვირვებებთან ერთად იმ მწერალთა მიერ დაგროვილი გამოცდილება ეხმარებოდა, რომელთა შესახებ იგი 1936 წელს დაწერილ ავტობიოგრაფიაში შენიშნავდა: „ჩემი სამწერლო მოღვაწეობის პირველ ხანაში (1903-1908 წ.წ) ერთგვარ გავლენას განვიცდიდი ფლობერის, მოპასანისა და გორკისა“.1

ჯავახიშვილის დებიუტი ლიტერატურულ ასპარეზზე მაშინ მოხდა, როცა ბურჟუაზიული საწარმოო და საზოგადოებრივი ურთიერთობების შემდგომმა განვითარებამ განსაკუთრებით გაამკვეთრა ადამიანის საზოგადოებრივი ღირებულების შეფასების კრიტერიუმები და ლიტერატურისათვის მთავარი გახდა ადამიანის, არა როგორც სრული და ჰარმონიული პიროვნების განვითარების საკითხი, არამედ წინა პლანზე წამოსწია ამ ახალი კრიტერიუმებით გაუფასურებული, მასში არაფრით გამორჩეული „პატარა ადამიანის“ გარემომცველ სამყაროსთან ტრაგიკული დამოკიდებულების პრობლემა. ამ პერიოდის მწერლობისათვის კი დამახასიათებელი იყო ღრმა ფსიქოლოგიური ძიებებისა და ანალიზის მეოხებით ეჩვენებინა, თუ როგორ რთული და მრავალწახნაგოვანი გახდა თავად ადამიანის ცნება და ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობებით განსაზღვრული სინამდვილე როგორ განაპირობებდა პიროვნების დისჰარმონიულ განვითარებას. ეს ახალი სინამდვილე კი მარტოდ დარჩენილ პატარა ადამიანს მტკიცედ შემოუსაზღვრავდა ერთბაშად გაუცხოებული სამყაროს საშინების ტრაგიკულ შეუცნობადობას.

ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციებზე აღზრდილმა მ. ჯავახიშვილმა თავისი პირველივე მოთხრობებიდანვე გამოამჟღავნა დიდი სითბო და დაინტერესება „საწყალი კაცისადმი“; დაჩაგრული ადამიანებისადმი თავის სიყვარულს მწერალი თავისებურად გამოხატავდა, როცა მკაცრ, შეულამაზებელ სურათებს ქმნიდა და მკითხველს აიძულებდა არა მხოლოდ ჩაფიქრებოდა ადამიანური არსებობის ზოგად პრობლემებს, არამედ ამ ვითარების გამომწვევი, სოციალ-კონკრეტული მიზეზებიც დაეძებნა. ადამიანური ყოფის ამგვარ, მკაცრი რეალისტურობით ასახვას. მ. ჯავახიშვილის შემოქმედების პირველ პერიოდში, როგორც უკვე არაერთგზისაა აღნიშნული ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, გარკვეულად განაპირობებდა ფლობერის შემოქმედებითი მანერა, რომელშიც „მ. ჯავახიშვილს მოსწონდა სინამდვილის გამიმვლებულ, უალერსოდ დამაჯერებელ გადმოცემასთან ერთად გასაოცარი უნარი მოვლენების სიღრმეში შეჭრისა, თითოეული დეტალის მხატვრულ სიმაღლეზე აყვანისა და სურათის ბუნებრივი დამთავრებისა“ (ხაზი ავტორისაა — ნ. შ).2 მაგრამ მ. ჯავახიშვილის შემოქმედების პირველ პერიოდზე გავლენის, შემოქმედებითი, ზოგჯერ მსოფლმხედველობრივი პრინციპების ფორმირების თვალსაზრისით, როგორც ამას ერთსუ-

ლოვნად აღნიშნავს მ. ჯავახიშვილის შემოქმედების თითქმის ყველა ქართველი მკვლევარი,[3] უმთავრესი ადგილი მოპასანს, მის შემოქმედებას უჭირავს

მოპასანის შემოქმედებისადმი ინტერესი მ. ჯავახიშვილმა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის ადრეულ ხანაშივე გამოამჟღავნა, როცა 1910 წელს „საქართველოს მოამბის" მეათე ნომერში გამოაქვეყნა სტატია „მოპასანი და მისი ცხოვრება". ამ წერილით მ. ჯავახიშვილი წარმოგვიდგება არა როგორც მხოლოდ მოპასანის შემოქმედების დამფასებელი მწერალი, არამედ ფრანგი პროზაიკოსის შემოქმედების ანალიტიკური მცოდნე, რომელსაც კარგად ჰქონდა გააზრებული მოპასანის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზის ყველა თავისებურება და ამაში იგი, მოპასანის შემოქმედების მცოდნეთა ავტორიტეტულ მოსაზრებებთან ერთად, თავის პირად დაკვირვებებსაც ეყრდნობოდა.

ღრმა ინტერესი აღეძრა მ. ჯავახიშვილს მოპასანის ნაწარმოებებისადმი იმიტომ, რომ მოპასანის შემოქმედება ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების იმ ეპოქას მიეკუთვნებოდა, როცა ფრანგული ბურჟუაზია თავის „ოქროს საუკუნის" იდეალებს გამოეთხოვა და რევოლუციური კლასიდან თანდათანობით რეაქციულ კლასად გადაიქცა; როცა წინააღმდეგობა საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობებს შორის თავისი განვითარების ყველაზე მძაფრ ფაზაში შევიდა და ბურჟუაზია, იმისათვის, რომ თავისი ძალაუფლება განემტკიცებინა, იძულებული გახდა თავისუფლების იდეალებიდან ძალადობის იდეალებზე გადასულიყო.

მოპასანის შემოქმედება მეტ-ნაკლები პესიმიზმით გამოხატავს საზოგადოების იდეალებისა და კულტურის კრიზისს და მასთან ეს კრიზისი კეთილისა და ბოროტის, მარადიული სილამაზისა და სიმახინჯის საბედისწერო ბრძოლის ფორმითაა გადმოცემული. ამ ორი საწყისის ბრძოლა წარმოადგენს კიდეც მოპასანის მსოფლმხედველობრივი და შემოქმედებითი კონცეფციის ერთ-ერთ მთავარ ქვაკუთხედს, რომელმაც თავის მხრივ, თავისებური ასახვა ჰპოვა მ. ჯავახიშვილის შემოქმედების პირველი პერიოდის მოთხრობების ერთი ნაწილის („ხავერდის კაბა", „ეკა", „უპატრონო") პრობლემატიკაში.

მოპასანის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი წარმმართველი ტენდენცია სიყვარულია, რომელიც მის შემოქმედებაში ბურჟუაზიული საზოგადოების ხლართებისაგან ადამიანის თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებადაა გამოცხადებული. მას კარგად ესმოდა მის თანამედროვე საზოგადოებაში ჰარმონიის დამყარების შეუძლებლობა და აქედან გამომდინარეობდა ცხოვრებაზე, რეალობაზე მისი პესიმისტური მისტიკით აღბეჭდილი შეხედულებებიც. იგი იდეალურ სამყაროს ეძებდა, [illegible] იდეალური სამყაროს სამანები [illegible] მომცველი რეალობისაგან მიუწვდომლად შორს იყო შემოსაზღვრული.

საზოგადოებრივი დისჰარმონიის მიზეზს მწერალი ეძებდა არა სოციალურ გარემოში, არა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ ნატურალისტების მსგავსად ცდილობდა იგი ადამიანის ფიზიოლოგიურ ბუნებაში, მის ბიოლოგიზმში აღმოეჩინა.

შოპენჰაუერისა და სპენსერის თაყვანისმცემელ მოპასანს სურდა ეგრძნო ხელ იყო: «Таинственное проявление воли и в особенности определяющее ее, общие всему человечеству инстиктивные импульси».

მწერალს ბოლომდე არ ესმოდა საზოგადოების განვითარების სოციალური კანონები, მისი მამოძრავებელი ფაქტორები და ცდილობდა აღმოეჩინა არსებითი და ეს არსებითი მისთვის, ბიოლოგია იყო. ამიტომ იყო, მოპასანი ასე გატაცებით წერდა ძლიერი ვნებების, ძლიერი გრძნობების შესახებ და ადამიანის გადარჩენას არაჩვეულებრივი ნატურისაგან, სპენსერისეული ინტერპრეტაციის გამოჩენილი პიროვნებისაგან ელოდა; თვლიდა, რომ ყოველი ადამიანი თავად ქმნიდა საკუთარ სამყაროს, სწორედ ამით ამართლებდა იგი თავის მიდრეკილებას მისტიკისაკენ, ცდებს, დამდგარიყო ყოველდღიურობაზე მაღლა.

რასაკვირველია, როცა მიხეილ ჯავახიშვილი თავის შემოქმედების პირველ პერიოდზე მოპასანის გავლენის შესახებ წერდა, სრულიადაც არ გულისხმობდა თავის შემოქმედებაში მოპასანის წინააღმდეგობრივ, ზოგჯერ მიუღებელი დებულებებით გამსჭვალული კონცეფციის მექანიკურ გადმონერგვას, მაგრამ, ამასთან ერთად, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოპასანის ზოგიერთი ძირითადი ტენდენცია, რომელიც უკიდურესობამდე გართულებულ სამყაროში დაბნეული ადამიანის ბედზე მ. ჯავახიშვილის იმდროინდელ შეხედულებებს ეხმაურებოდა, მის შემოქმედებაში თავისებურად ყალიბდებოდა. ასეთად უნდა მივიჩნიოთ სიყვარულის, როგორც სამყაროში მარტოდ დარჩენილი ადამიანის, თავის დახსნის თემა. მოპასანის შემოქმედებისადმი ასეთი დამოკიდებულების საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ორი ნოველის — მოპასანის „საფლავისა" და მ. ჯავახიშვილის „ხავერდის კაბის" ურთიერთმიმართება.

„საფლავის" სიუჟეტური ქარგა ასეთია:

ერთ ღამეს, პატარა, პროვინციული ქალაქის, ბეზიერის სასაფლაოს დარაჯი, რომელიც მიცვალებულთა საუფლოს განაპირას, პატარა სახლში ცხოვრობდა, სამზარეულოში ჩაკეტილი ძაღლის ყეფამ გააღვიძა. იგი დაბლა ჩავიდა და დაინახა, რომ ძაღლი გააფთრებით ყეფდა,

კარის ზღურბლს ისე ყნოსავდა, თითქოს სახ-ლის გარშემო მოხეტიალე მაწანწალა ჰყოლო-და აღმოჩენილი. დარაჯმა თოფი აიღო და გა-რეთ ფრთხილად გამოვიდა. მალე მან შეამჩ-ნია რომ ერთ-ერთ საფლავს ფანრის შუქი ანათებდა. საფლავთან ახლოს მისულმა დარაჯ-მა შემაძრწუნებელი სურათი დაინახა: — ვი-ღაც კაცმა, ცოტა ხნის წინათ დაკრძალული, ახალგაზრდა ქალის საფლავი გათხარა და იქი-დან მისი გვამი ამოიღო. სასაფლაოს დარაჯმა დამნაშავე დააპატიმრა და პოლიციას ჩააბარა. იგი ადგილობრივი, მდიდარი და წარჩინებული მოქალაქე, ვექილი კურბატაილი აღმოჩნდა. ვექილი გაასამართლეს. სასამართლო პროცეს-ზე მან თავის დასაცავად სიტყვა წარმოთქვა: არსებითად, ეს ნოველა ვექილ კურბატაილის თავის დასაცავ სიტყვას წარმოადგენს.

ბრალდებული მოჰყვა მისი იმდამინდელი მელანქოლიური დანაშაულის გამომწვევ პირობე-ბზე. აღმოჩნდა რომ მას ღრმად და ნაზად უყვარდა იმ ღამეს საფლავიდან ამოღებული ახალგაზრდა ქალი — მისი სატრფო.

დიდი სიყვარულისაგან თავბრუდახვეული კურბატაილისათვის ეს ახალგაზრდა ქალი სი-ცოცხლისა და ბედნიერების წყაროდ იქცა. მას აქვეყნად მეტი არავინ და არაფერი არ სუ-რდა და არც ელოდა. მაგრამ მოხდა დიდი და გამოუსწორებელი უბედურება. ერთ საღამოს კურბატაილი და მისი სატრფო მდინარის პი-რად სასეირნოდ წავიდნენ. ისინი წვიმაში მოჰ-ყვნენ და ახალგაზრდა ქალი გაცივდა. ერთი კვირის შემდეგ იგი ფილტვების ანთებით გა-რდაიცვალა.

ვიდრე დაკრძალვის მძიმე პროცედურა და-მთავრდებოდა, მწუხარებისაგან გაოგნებული კურბატაილი არაფერზე არ ფიქრობდა, იგი მხოლოდ ტიროდა. როცა ქალი დაკრძალეს და ახალგაზრდა კაცი გონს მოეგო, მან ისეთი სულიერი ტანჯვა გადაიტანა, რომ ეს ტანჯვა მისთვის ფიზიკურ ტკივილად აღიქმებოდა. ის ბედნიერება, რომელიც კურბატაილს მისმა სატრფომ აჩუქა, ამ ტანჯვის შემდეგ, მას მე-ტისმეტად ძვირად ნაყიდად მოეჩვენა. ამის შემდეგ მოპასანი თავისი გმირის მეშვეობით გამოთქვამს თავის მოსაზრებებს სიკვდილ-სი-ცოცხლის პრობლემებზე, სიყვარულზე, სამ-ყაროში ადამიანის ადგილზე.

ახალგაზრდა ვექილი თავის მონოლოგში ლა-პარაკობს ორი მოსიყვარულე სულის დაშორე-ბით გამოწვეულ ტანჯვაზე. მას თავზარს სცემს იმის გაფიქრებაც, რომ ესოდენ ნაცნობი და საყვარელი სახე მისი სატრფოსი წავიდა, სა-ბოლოოდ გაქრა და რომ ადამიანს ამ სამყა-როში, შემოდგომაზე მკვდარ ბუზზე მეტი ფასი არა აქვს და მან, მწუხარებისაგან სიგიჟემდე მისულმა, გადაწყვიტა ერთხელ მაინც უკანას-კნელად ენახა თავისი სატრფო. აიღო ბარი, ფანარი, ჩაქუჩი, გადაძვრა სასაფლაოს კედელ-ზე, მონახა საფლავი, ამოთხარა კუბო და თა-ვის გარდაცვლილ სატრფოს თვალი შეავლო. შემდეგ კი სასამართლოზე კურბატაილი შიშ-ითა და ძრწოლით ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მისი სატრფოს სხივმფინარი მშვენებისა და ამო სურნელის ნაცვლად მან სხეულის გახრწნის ამაზრზენი სურათი და შემზარავი სუნი დახვდა. ის საშინელმა შიშმა შეიპყრო, ბოლოს მაინც გაბედა და მის თმას შეეხო, ამ დროს იგი დააპატიმრეს. მთელი ღამის გან-მავლობაში მან ვერ მოახერხა თავიდან მოე-შორებინა ეს ამაზრზენი ხატება და საშინელი სუნის შეგრძნება.

სასამართლომ და ნაფიცმა მსაჯულებმა იგი გაამართლეს. დარბაზი ტაშით შეეგება სასამა-რთლოს ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ მწუხა-რებისაგან ქვადქცეულმა კურბატაილმა ვერა-ფერი ვერ შეამჩნია, იგი არც კი განძრეულა თავის სკამზე.

დაახლოებით ასეთი შინაარსისაა მოპასანის ზემოხსენებული ნოველა, რომელიც პირველად 1884 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ჟილ ბლა-ზში“. აქაც, ისევე როგორც დანარჩენ თავის სხვა ნაწარმოებებში, მოპასანი ფსიქოლოგიური სიტუაციების შესაქმნელად და გადმოსაცემად, ამ სიტუაციების საფუძველზე გაჩენილი განწ-ყობების ასაწერად, დეტალების უმკაცრეს შე-რჩევას მიმართავს, მაქსიმალური სიზუსტითა და სიფაქიზით გამოხატავს ადამიანურ ვნებათა და განწყობათა მდიდარ პანორამას, აბსოლუ-ტური სიზუსტით ახასიათებს ყველაზე რთულ სულიერ ნიუანსებს. „საფლავის“ მთავარი გმი-რი ცდილობს ბოლომდე გაერკვეს საკუთარ თავში, სამყაროში მიმდინარე პროცესების ფონზე განსაზღვროს თავისი, ზოგადადამია-ნური არსებობის საწყისი, ჩასწვდეს სიკვდილ-სიცოცხლის, ადამიანური არსებობის საზრის-ში.

ყველა ეს პრობლემა, ამ ნოველაში, ისევე, როგორც სხვა თხზულებებში, კონცენტრირე-ბულია მისი შემოქმედების ერთ-ერთ უმთავ-რეს ტენდენციად ქცეული სილამაზისა და სი-მახინჯის, სიკეთისა და ბოროტების საბედის-წერო დაპირისპირების ფორმით. „საფლავში“ ნაჩვენები მშვენიერისა და მახინჯის, სიკეთისა და ბოროტების თითქმის სქემატური დაპირის-პირება და სილამაზის, სიკეთის უცილობელი დაღუპვა. მოპასანის პესიმისტური მსოფლმხე-დველობის მხატვრული დასაბუთების ცდას წარმოადგენს. ნოველა ტრაგიკულ კოლიზიაზეა აგებული. ადამიანის მთელი ბედნიერება საყ-ვარელ ქალშია თავმოყრილი და ამ ქალის უაზ-რო სიკვდილს კურბატაილის მთელი ბედნიე-რება მიაქვს მთელი მისი არსება აღდგება ბუნების, მისი აზრით, უაზრო კანონების წინააღმდეგ, რადგანაც მოპასანის აზრით, ჩვე-ნგან უხილავი, ცნობიერების, რეალური სამ-ყაროს მიღმა მდებარე სტიქიური ძალების წი-

ნაშე ადამიანი უმწეო, უსუსურ არსებადაა ქცეული და არაფრით არ განსხვავდება შემოდგომაზე მკვდარი ბუზისაგან. ასეთად მიიჩნევს საკუთარ თავს, ადამიანურ არსებობას მ. ჯავახიშვილის ნოველის „ხავერდის კაბის“ მთავარი გმირიც — სოფლის მასწავლებელი პეტრე. ისიც ბუნების ულმობელი კანონების წინააღმდეგაა აღმდგარი, მაგრამ მისი პროტესტი უფრო სტიქიურია, გაუცნობიერებელი და მისი პროტესტი თვითგანსჯის, თვითანალიზის საფუძველზე კი არ არის დამყარებული, არამედ ქვეცნობიერიდან მომდინარე იმპულსებს ემორჩილება, როცა რამდენიმე საოჯახო ნივთისა და ცოლის ძველი ხავერდის კაბის მეშვეობით დაკარგულის აღდგენას ცდილობს, რომ ამით მაინც მოახერხოს საყვარელი მეუღლისა და მეგობრის დაკარგვით დაცარიელებული სამყაროს ნაწილობრივი შევსება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიუხედავად კურბატაილისა და პეტრეს პროტესტის ფორმები და ინტენსიობა ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებულია, ადამიანური თანარსებობის განმაპირობებელი უმთავრესი ფაქტორების განსაზღვრაში მათი პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა.

მ. ჯავახიშვილმა „ხავერდის კაბა“ პირველად 1909 წელს გამოაქვეყნა ალმანახ „ქართველი ერის“ პირველ ნომერში. ნოველის ფაბულა ასეთია: სოფლის მასწავლებელ პეტრეს, ახალგაზრდა მეუღლე გარდაეცვალა. ნოველაში აღწერილია ახალგაზრდა ქალის დაკრძალვის შემდგომი პირველი საღამო. სამი ღამის უძილობით დაქანცული, დარდით გაბრუებული პეტრე კაკლის ხის ძირში იწვა და დაკარგული მეგობრის, მეუღლის ლანდს ესაუბრებოდა. შუაღამის სიჩუმეს რაღაც იდუმალი და უჩინარი შიში შემოჰყვა. სევდით გათანგული პეტრე წარმოიდგენს, რომ სოფიოს საფლავშიც ასე ბნელა და შიშისაგან გააჟრჟოლებს, მერე წამოდგება და ხელების ფათურით სახლის კიბეს მონახავს, ადის და ოთახში შევა. სახლში გამეფებული სამარისებური სიჩუმე კვლავ სოფიოს საფლავს გაახსენებს და თვალწინ სასაფლაო დაუდგება, ღრმა ორმო, რომლის ძირშიც ხის კუბო და ამ კუბოში ჩასვენებული სოფიო წარმოუდგება; პეტრეს შუბლზე ჭირის ოფლს დაასხამს. შიშის ზარი აიტანს. გაოგნებული თვალს მოავლებს მთვარის შუქით მკრთალად განათებულ ოთახს. ავეჯს და თვალწინ ცხადად წარმოესახება სოფიოსთან გატარებული ხანმოკლე, ბედნიერი ცხოვრება — როგორ ამზადებს სოფიო ჩაის, ხოლო თავად პეტრე კი მოწაფეთა რვეულებს ასწორებს და ა. შ. შემდეგ პეტრე გამოერკვევა, ოთახს თვალს მოავლებს და ცხადად წარმოიდგენს იმას, რომ სოფიო ვეღარ ნახავს ვერც ამ ოთახს, ვერც სარკეს, ვერც ამ მთვარეს და ა. შ.

ოთახში გამეფებული დუმილისაგან და სიბნელისაგან პეტრეს თმა ყალყზე დაუდგება და ატორტმანებული კედელს მიაწყდება, ხელში ახლახან გარდაცვლილი მეუღლის შავი ხავერდის კაბა მოხვდება. მოგონებისაგან სულშეძრული პეტრე ამ კაბას, როგორც ცოცხალს ისე ჩაეხვევა, ელაპარაკება, ეალერსება, მერე თავში რაღაც აზრი გაუელვებს, კაბას ტახტზე დააფენს და რამდენიმე მუთაქისა და ძველმანების დახმარებით მიაღწევს იმას, რომ ამ ძველმანებით გამოტენილი კაბითა და სოფიოს მანდილით, ახლახან დაკრძალული მეუღლის შორეულ ხატებას შექმნის. ბოლოს იმდენად დაკარგავს რეალობის გრძნობას, რომ ამ ხელოვნურად შეკოწიწებულ „სოფიოს“ ისე ეპყრობა, როგორც ცოცხალ ადამიანს — ეჩურჩულება, რაღაცას უყვება, ემუდარება, რაღაცას ეკითხება. ბოლოს კაბის დუმილით განაწყენებული პეტრე „სოფიოს“ ხელს მაგრად ჩასჭიდებს და ახლოს მიიზიდავს, მაგრამ ეს ხელოვნური ქმნილება მოხვევას ვეღარ გაუძლებს და დაიშლება. პეტრეს ხელში მხოლოდ კაბაღა შერჩება, სასოწარკვეთილი ახალგაზრდა კაცი საწოლზე დაეცემა, დაქმუჭნულ ქსოვილს მკერდში იკრავს და თავის სამარადისოდ გამქრალ მეგობარს ხმის ამოღებას ემუდარება. ასე მთავრდება ეს ნაღვლიანი ისტორია.

ალბათ თვალის ერთი გადავლებითაც შეიძლება დავრწმუნდეთ იმაში, რომ ამ ორი ნოველის ურთიერთდამოკიდებულება აშკარაა. უფრო მეტიც, „ხავერდის კაბა“ სიუჟეტურად და აზრობრივად იმდენად ახლოს დგას „საფლავთან“, რომ ამ ორ ნოველაში აზრობრივად სინქრონული პარალელებიც კი შეიძლება დაიძებნოს (რასაკვირველია „საფლავის“ პრიორიტეტის გათვალისწინებით). საილუსტრაციოდ ერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება:

მოპასანი — „საფლავი“:

„თქვენ მხოლოდ წარმოიდგინეთ! იგი არა მხოლოდ თქვენთვის, არამედ ყველასათვის სამუდამოდ ქრება. იგი გარდაიცვალა. გასაგებია თქვენთვის ეს სიტყვა? არასოდეს, არასოდეს და არსად ეს ქალი უკვე აღარ იარსებებს! ეს თვალები არასოდეს აღარაფერს აღარ დაინახავენ; ვერცერთი ქალური ხმა ვეღარ წარმოთქვამს სიტყვას ისე, როგორც იგი ამბობდა.

აღარასოდეს აღარ დაიბადება სახე, რომელიც მას ემსგავსება. აღარასოდეს, აღარასოდეს! ინახავენ იმ ფორმებს, რომლებშიც ქანდაკებებს ასხამენ; უფრთხილდებიან ანაბეჭდებს, რომ აღადგინონ საგნები, მათი მოხაზულობა, ფერიც კი. მაგრამ ეს სახე, სხეული, დედამიწაზე უკვე აღარასოდეს აღარ გაჩნდება. დაიბადება ათასობით არსება, მილიონობით, მილიარდობით და უფრო მეტიც, მაგრამ მომავლის ქალებს შორის ასეთი აღარ მოიძებნება.

შესაძლოა ასეთი ფიქრისაგან ჭკუაზე შეიშალო!

მან დედამიწაზე ოცი წელი იცხოვრა. მეტი არა და სამუდამოდ გაქრა, სამუდამოდ, სამუდამოდ!

იგი ფიქრობდა, ილიმებოდა, ვუყვარდი მე! და იგი აღარაა! ჩვენ ამ სამყაროში შემოდგომაზე დახოცილ ბუზებზე მეტი ფასი არა გვაქვს. იგი აღარაა და მე წარმოვიდგინე მისი სხეული, ასე ახალგაზრდა, მხურვალე, ნაზი, თეთრი მშვენიერი მიწის ქვეშ, ხის ყუთში დღეიდან როგორ გაიხრწნება, მაგრამ მისი სული, მისი აზრები? სად არიან ისინი?“[5]

მ. ჯავახიშვილი — „ხავერდის კაბა“.

„...იქაც ისეთი სიჩუმეა, — გაუელვა თავში და თვალწინ წარმოუდგა გაშლილი სასაფლაო. ღრმა ორმო, მის ძირში ხის კუბო და კუბოში გაცივებული, გაშეშებული და სანთლის ფერი სოფიო. შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. და შიშის ზარმა აიტანა...

— სოფიო ვეღარ ნახავს ვერც ამ ოთახს, ვერც იმ მთვარეს, ვერც ამ ბაღს. ვეღარ ნახავს ვერც ამ სარკეს, ვერც ამ პირსაბანს, ვერც იმ კაბას, კედელზე რომ ჰკიდია. ვერ გამოიღებს მას, ვეღარ ჩაიცვამს, ვერ გაივლის და დამანახვებს თავის გამოქანდაკებულ ტანს... ვერც ამ ლოგინზე წამოწვება, ვერ ადგება ...პირს ვეღარ დაიბანს... ვერ შევა კლასში... ვეღარც თვითონ იცინებს და ვერც მე მატირებს... ცრემლს ვეღარ შევუშრობ... ვეღარ ვანუგეშებ. ვერ მაკოცებს... ვერ გადამეხვევა... ვერასოდეს.., ვერასოდეს...[6]

ამ ორი პასაჟის ყველაზე ზერელე შედარებისას, ალბათ ერთი შეხედვითაც შეიძლება გამოიკვეთოს კიდევ ერთი დამახასიათებელი დეტალი, რომელიც ასე უახლოებს ამ ორი მწერლის — მოპასანისა და მ. ჯავახიშვილის განსაკუთრებულ სწრაფვას რომელიმე საგნის ან მოვლენის დეტალიზაციისაკენ (ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი გარდაცვლილი სატრფოსა და მეუღლის დაკრძალული ცხედრების გონების თვალით წარმოდგენისას), რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ფსიქოლოგიური სიტუაციების შესაქმნელად და ამ სიტუაციათა საფუძველზე გაჩენილ განწყობათა გადმოსაცემადაა გამიზნული.

გარდა ზემოთ თქმულისა, ამ ნოველათა შეპირისპირებისას ერთი საინტერესო მომენტი შეინიშნება. მათი სიუჟეტური მდინარება ერთმანეთის პარალელურად კი არ ვითარდება. არამედ ორივე ნოველაში გაშლილი თხრობა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, თუ შეიძლება ასე ითქვას, ექსპოზიციური და პოსტპოზიციური ნაწილებისაგან შედგება. ექსპოზიციური ნაწილი — ამბის ფსიქოლოგიური მოტივაციის ძიებანა და ამ ფსიქოლოგიური მომზადების შემდგომ მომხდარი ქმედება („ხავერდის კაბა“). პოსტპოზიციური ნაწილი — ამ ქმედების შემდგომ დაგროვილი „გამოცდილების“ განზოგადება და წინასწარ დასკვნების გაკეთება. აქედან გამომდინარე, [illegible] მიუხედავად დროული და სივრცობრივი სიშორისა, მ. ჯავახიშვილის მასწავლებელი პეტრე და მოპასანისეული ვექილი კურბატაილი პირობითად ერთ მთლიანად უნდა იქნეს განხილული, რადგანაც ორივეს ფსიქოლოგიურ განწყობებსა თუ პრაქტიკულ რეალიზაციას ერთი და იგივე მოტივი — მოგონება უდევს საფუძვლად. მოგონება კი განცდის ობიექტივაციას გულისხმობს, წარსულში მომხდარი ობიექტური მოვლენა სუბიექტურ აქტთან ერთად როდი ისპობა, იგი განაგრძობს არსებობას, როგორც უკვე მომხდარი აქტი, მაშასადამე, იგი, როგორც წარსული, აწმყოშიაც მოქმედებს. ასე ჩნდება წარსულის განცდაც და მასთან საკუთარი „მე“-ს განცდაც, რომელიც თავის შინაარსს წარსულში პოულობს (დ. უზნაძე).

უიმედო, უსიხარულო მომავალი, მარტოობის შიში განაპირობებს ამ ადამიანების ამგვარ დამოკიდებულებას როგორც წარსულისადმი, ისე მომავლისადმი, რადგანაც კურბატაილისათვისა და პეტრესათვის ერთადერთი შეუქცევად ღირებულებად, ადამიანებთან ურთიერთობა აღმოჩნდა და როდესაც სამყაროსთან შემაერთებელი ეს უკანასკნელი ხიდიც ინგრევა, მათთვის აშკარა ხდება, რომ საყვარელი ადამიანის სიკვდილთან ერთად გარემოს სრული შეცნობადობის, სამყაროსთან გაუცხოების მომენტი დგება.

მ. ჯავახიშვილის შემოქმედების მოპასანის შემოქმედებით მემკვიდრეობასთან შეხების წერტილები აქ არ მთავრდება, რადგანაც ამ ორ ნოველაში — „საფლავსა“ და „ხავერდის კაბაში“ გაჩენილი ძირითადი კონცეფციები ერთმანეთს ავსებენ, ვინაიდან მოპასანისეული გმირის მიერ განცდილი ეს დიდი უბედურება, თვითდაკვირვებისა და თვითგანსჯის საფუძველს დაყრდნობილი, სცილდება მხოლოდ ერთი, ლოკალური მწუხარების არეს, ერთი ადამიანის, მხოლოდ ერთი პიროვნებისათვის გაანგარიშებულ სააზროვნო მოდელს და უფრო ზოგადი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა, ნოველა მწერლის პესიმისტური კონცეფციის მხატვრული ხორცშესხმის, ადამიანისადმი, ცხოვრებისადმი მოპასანის დამოკიდებულების უშუალო გამოვლენას წარმოადგენს (კურბატაილი: — „ჩვენ ამ სამყაროში, შემოდგომაზე დახოცილ ბუზებზე მეტი ფასი არა გვაქვს“). მართალია, მ. ჯავახიშვილისეული პეტრე მხოლოდ ლოკალური, მხოლოდ საკუთარ თავზე დატეხილი უბედურების განცდითაა შემოსაზღვრული და თავის პირად უბედურებაზე მაღლა ვერ მაღლდება (პეტრე: — „ვის ვიპოვი შენისთანას, ვინ გაიგებს შენსავით ჩემს გულის წუხილს, ვინღა მანუგეშებს, ვინღა დამედება მალამოდ. ვინღა გამინათებს

შენსავით ჩაბნელებულ გულს“),7 მაგრამ თუ პეტრესა და კურბატაილს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირობითად ერთ მთელად განვიხილავთ, მაშინ მასწავლებელ პეტრეს განცდებში ადვილად შეგვიძლია დავინახოთ ის საოცრონი მარცვალი, რომელიც შემდგომი გაზრდისა და განზოგადების შემდეგ სამყაროს პესიმისტური ალქმით ალბეჭდილი, მწყობრი სისტემის სახით ჩამოყალიბდა ვექილ კურბატაილის მონოლოგში.

დაბოლოს გვინდა შევნიშნოთ, რომ ამ წერილის მიზანი იყო არა მოპასანისა მ. ჯავახიშვილის შემოქმედებათა შეპირისპირება და სტილისტურ-სემანტიკური ანალიზი, თუნდაც ამ ორი ნოველის ფარგლებში, არამედ კიდევ ერთხელ, შესაძლებლობის ფარგლებში, გვეჩვენებინა მ. ჯავახიშვილის შემოქმედების პირველ პერიოდზე მოპასანის გავლენის კონკრეტული ფარგლები. კერძოდ კი, ჩვენი აზრით, დაგვეზუსტებინა „ხავერდის კაბის“ წარმომავლობის პირველწყარო. ალბათ ახლა დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მ. ჯავახიშვილის ზემოხსენებული ნოველ[illegible] მავლობით დიდად არის დავალებული მოპასანის „სათვალავისაგან“. ეს კონკრეტული ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ თავისი ლიტერატურული ახალგაზრდობის პირველ წლებში მ. ჯავახიშვილი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მოპასანის შემოქმედებასთან; ამასთან ერთად, ჩვენ კარგად ვიცით, რომ შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში „ჯაყოს ხიზნების“, „მართალი აბდულას“, „ლამბალოსა და ყამას“, „არსენა მარაბდელის“, „ქალის ტვირთისა“ და სხვათა და სხვათა ავტორი თავად გახდა ლიტერატურული მეტრი და ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიმკვიდრა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში, როგორც ნოვატორმა, სრულიად დამოუკიდებელმა, ორიგინალურმა შემოქმედმა, რომელმაც ახალი გზა გაკვალა ჩვენს მწერლობაში.

## შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი:

1 მ. ჯავახიშვილი, რჩეული თხზულებანი ექვს ტომად, ტ. VI, თბილისი 1958 წ. გვ 491.

2 გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. III, თბილისი, 1958 წ. გვ. 496.

3 ს. ჭილაია, მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა, ტ. III, თბილისი, 1962 წ. გვ. 87.

4 Е. М. Евнина, западно-европейский реализм XIX—XX веков. М., 1967. ст. 46.

5 Ги де Мопасан, полное собрание сочинений в двенадцати томах, т. 10. М., 1958 г., ст. 377.

6 მ. ჯავახიშვილი, რჩეული თხზულებანი რვა ტომად, ტ. I, თბილისი, 1969, გვ. 159.

7 იქვე, გვ. 160.

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

დავით ანდრიასოვი

# ცხრაკარიანის ლომკატი

მედგრად! გრძნობამ წინ რომ გაიწიოს,
მეშინის ვისი, მეკრძალვის რაის?
ამ ნანგრევებთან მშობლიურ სიოს,
მარად ვუპოვით უჭკნობელ მაისს!
გალაკტიონ ტაბიძე

დასაბამიდანვე, ხელოვნებასა თუ ცხოვრებაში, წარსული და დღევანდელობა განუყრელად იყო გადაბმული ერთიმეორესთან. ყოველი ჭეშმარიტი ხელოვანი თავის ერის სულიერ საწყაოს, თანამედროვეობის ცოცხალი მაჯისცემის სახიერ ხატებად ჩამოქნისა და ჩამოძერწვის ოსტატია. ის როდია ერის დაულეველი პათოსის, მძლავრი და შეუბოჭავი ადამიანური მიზანსწრაფვის მარტო წარმომჩენი, მარტო მემატიანე და თანამდგომი, არამედ მისივე ბედის, მომავალი გზისა და სასიცოცხლო ინტერესების მჭვრეტელ-შემმეცნებელი და მკაცრი, ამასთან, სამართლიანი მსაჯული და შემფასებელი გახლავთ.

ამგვარად, წარსული, თანამედროვეობა და მომავალი — აი, ის სამი ნიშანსვეტი, რომლის გარშემოც ტრიალებს შემოქმედთა ფიქრი და მხატვრული ნააზრევი, განცდა და გარდასახვა.

ხელოვანთა და მამულიშვილთა რჩეულ რიგებს, რომელთაც ერის სატკივარი თუ სიხარული გაითავისეს, განეკუთვნება ელგუჯა ამაშუკელი, — მოქანდაკე, მხატვარი და მოაზროვნე. მის ბუნებაში ეს სამი მხარე ისეა ერთმანეთთან შეზრდილი და შედუღაბებული, რომ წარმოუდგენელია მათი დაშორიშორება.

ელგუჯა ამაშუკელი ის მხატვარია და ის დიდოსტატი, ვისთვისაც ხელოვნება, კერძოდ, კი ქანდაკება, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული სულის განსხეულების საშუალებაა და მას ღრმად სწამს, რომ მარადიულ მასალაში გაცოცხლებული და გაცხადებული სული და ძალვი ეროვნული ბუნებისა, ეროვნული არსობისა და ყოფიერებისა — არასოდეს დაკარგავს კუთვნილ სანთელ-საკმეველს.

კოტე მარჯანიშვილის ცნობილ სიტყვებს: „ხელოვნების მიზანი უბრალოა — მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა“, სავსებით ამართლებს ამაშუკელის შემოქმედება; არადა, ყველას როდი ძალუძს ამ სიტყვებით გამოხატული, ერთი შეხედვით უბრალო და მარტივი აზრის გამართლება. სიხარული და მხნეობა — ეს ის ორი უზოგადესი პირობაა, ყოველ ნაღდ ხელოვნებას რომ უნდა ახლდეს თან. შესაძლოა ბევრია ამ ქვეყნად ისეთი მხატვრული ნაწარმოები, სიხარულსა და სიამოვნებას — ემოციურ შეგრძნებათაგან ამ უმაღლესს, „ღვთიურ საწყისს“ რომ აღძრავს ადამიანში, მაგრამ მხნეობა, როგორც შინაგანად ამაღლებული, გამთლიანებული გრძნობიერება, სულ სხვა მადლია; იგი ყოფიერების დამახასიათებელი პირველსაწყისია; ოსტატის მკვრივი მარჯვენისა და შორსმჭვრეტელი გონის მეშვეობით გარდაიქმნება იგი ამაღლებულ, სახიერ პლასტიკურ ხატებად, იმედებად, თემებად; ელგუჯა ამაშუკელის იმედებიც, ხან „ქართლის დედის“, ხან „ვახტანგ გორგასალის“, ხან „კოლხეთის დედისა“ თუ „დაჭრილი არწივის“ და ხანაც „ფიროსმანის“ სახით გვევლინებიან.

აი, ეს მხნეობა ამჯერად ხელგამოწვდილი შემოგვეგება ამაშუკელისეულ ქანდაკებაში „ბოროტსა სძლია კეთილმან“. ამ ნაწარმოებში ლომზე ამხედრებული, გვირგვინშედგმული

მზექაბუკის წინსწრაფული სულისკვეთება, სწორედ რომ ერის მხნეობისა და დაუწყურავი, დაუშრეტელი ენერგიის მეტყველ სიმბოლოდ იკითხება.

გორში დადგმული გამარჯვების მონუმენტი, ერთი შეხედვით, საკმაოდ ტრადიციული თავისი ზოგადი არსით ქართული, ეროვნული მხატვრული აზროვნებისათვის, გადაწყვეტილია მრავლისმომცველი და ტევადი სიმბოლური გააზრებითა და თემისადმი მძაფრი, შემოქმედებითად გამახვილებული მიდგომით.

ერთის მხრივ, ვაჟკაცის მთელ ფიგურაში მარჯვენა ხელის მომწოდებული მოძრაობა და, მეორეს მხრივ, მარცხენა ხელში, ვაზის რტოთი დამშვენებული მეტყველი დეტალი, ამ ქანდაკების ორი ნაკადია; ამ ორი ნაკადი-თვისების გამაერთიანებელი და მატარებელია სწორედ მზექაბუკის ფიგურა, ზოგადად ქართველი კაცის სიმბოლურად გააზრებულ სახედ რომ აღიქმება და თავის თავში იტევს პლასტიკური დახასიათებისათვის მოხმობილ იმ ნიშანდობლივ მომენტებს, მოქანდაკემ წინგაწვდილი მარჯვენის ჟესტით და ჯვარ-მახვილ-ვაზის სამსახოვანი ბუნებით რომ გაიაზრა. უნდა ითქვას, რომ ხელის ჟესტი მეტად ნიშანდობლივი აზრობრივი და პლასტიკური ელემენტია, საერთოდ სახვით ხელოვნებაში, და ამ შემთხვევაში, ელ. ამაშუკელის შემოქმედებაში. გაიხსენეთ, როგორ ორგანულად ერწყმის და რაოდენ ემოციური და შინაარსობრივი ძალით მუხტავს შემართული მარჯვენის ჟესტი ვახტანგ გორგასალის მხატვრულ-პლასტიკური სახის ზოგად სტრუქტურას. ეს თავისებურება მოქანდაკის ახალ ნაწარმოებში უფრო სახიერად წარმოჩინდა; იგი ისე დიდი აზრობრივი დატვირთვითაა შემოტანილი და იმგვარად გადაწყვეტილი, რომ ეროვნული სულის უკვდავების ძალასაც შეაგრძნობინებს მნახველს და რწმენის და მხნეობის სამარადისო შარავანდედითაც მოსავს მას.

ჯვარ-მახვილ-ვაზის მხატვრულ-პლასტიკურ სიმბოლიკაში ხალხის სულიერი მიდრეკილებები, მარადიული იდეები და დახვეწილი, ზეაწეული ვნებები ყველაზე ხატოვნად იჩენს თავს; აქ ჩანს სიცოცხლისა და წინსვლის ჟინი, ხალხის რწმენა, სიმართლის უკვდავება, კეთილი ნება და თანადგომა.

მახვილი — სიმბოლოა ბრძოლებისა და გამარჯვებისა, ვაზი — შრომისა, ეროვნული უკვდავებისა და მარადიულობისა, ჯვარი — რწმენის ურყევი ხასიათისა; ყოველივე ეს ქართველი ხალხის ისტორიის თანამდევი ატრიბუტებია, თვითდამკვიდრებისა და ადამიანური ყოფიერების საზრისისაკენ სწრაფვის ჭეშმარიტად ჰუმანისტური რაობები. ასეთ ხელოვნებას ძალუძს ახალი ძალით წარმართოს ერის სასიკეთო ძალები ყოველივე ამაღლებულისა და უკვდავისაკენ.

რაოდენი ფიქრისა და განსჯის, განცდისა და გააზრების მომცველია ეს ნაწარმოები! კომპოზიციაში უმთავრესი კომპონენტის — ჯვარ-მახვილ-ვაზის სიმბოლო დაბლაა დაშვებული; ამ შეუმჩნეველ მოძრაობას კი ძალდაუტანებლად, თითქოს შეფარვით შემოაქვს მთელს ქანდაკებაში, მის ემოციურ პარტიტურაში ერთგვარი გლოვა-მწუხარების ინტონაციური ტონი; ეს სრულიადაც არ არის შემთხვევითი. ყოველი დიდი გამარჯვება ხომ დიდსავე ფიზიკურ მსხვერპლს თხოულობს და ამ უკანასკნელის უგულებელყოფა და დავიწყება ხომ გამარჯვების სიხარულს ბევრწილად შეანელებდა, თავად ნაწარმოებს კი მოაკლებდა შინაგანი მთლიანობის განცდას; ამდენად, მწუხარების თემა, შემოტანილი ქანდაკებაში მეტად დიდი მხატვრული ტაქტითა და ზომიერებით, ისე, რომ სრულიადაც არ არღვევს ნაწარმოების საერთო პათოსსა და პირველად მიზანდასახულობას, ღრმად საგულისხმო ფაქტორია ამ მონუმენტური ქმნილების მხატვრულ-სულიერი აღქმის თვალსაზრისით. აღნიშნული თემის შემოტანა ქანდაკებაში ნაკარნახევია ნაწარმოების ზოგადი მხატვრული იდეის მრავალპლანიანობით, არაერთსახოვნებით, მრავალწახნაგოვნებით, მასშტაბურობით; იგი ბუნებრივად ერწყმის მონუმენტის ზოგად არსში ჩაქსოვილ გმირობისა და გამარჯვების სულისკვეთების შეუპოვარ, მძლავრსა და მოუხელთებელ პათოსს.

ქართველი მზექაბუკის ფიგურის ძლიერ, საკმაოდ მძაფრად და მეტყველად გამოვლენილ რაკურსულ მოძრაობას კიდევ უფრო აძლიერებს შინაგანად დაძაბული, რაღაც გაუცნობიერებელი, ქვეშეცნეული დინამიზმით ნიშანდებული ლომის ფიგურა. ამ მეფური ცხოველის პლასტიკურ-მხატვრულ გააზრებაში შეიცნობა ძველი, ნაცნობი ისტორიული რეალიები, წამოსული ქართული ეროვნული სულიერი კულტურის, ხელოვნების (კერძოდ, მხატვრობის) სიღრმისეული პლასტებიდან, სიკეთის, მშვიდობისა და კეთილმყოფელობის ამაღლებული თემის მომცველი ანალებიდან, რაც მოქანდაკისათვის შინაარსობრივ-აზრობრივად და სტილისტურად მოქმედი მხატვრული ორიენტირიც იყო ნაწარმოებზე მუშაობის პროცესში. შემთხვევითი არაა, რომ მთლიანობაში წაკითხული ლომის ფიგურა, ერთსა და იმავე დროს, გვაგონებს ეტრუსკული, ასირიულ-ბაბილონური, შუამდინარეთისა და ძველი ქართული ხელოვნების ნიმუშებს — რელიეფურ ქანდაკებას, მინიატურასა თუ ლითონმქანდაკებლობას; ელგუჯა ამაშუკელს თვით ნაწარმოების ღრმად განცდილმა ეროვნულმა ხასიათმა უკარნახა, კიდევ უფრო ჩაღრმავებოდა ქართული კულტურისა და ცივილიზაციის უხსოვარ საწყისებს; ამან განსაზღვრა ქანდაკების სტილი, მისი პლასტიკურ-სახეობრივი კოორდი-

ნატები, რომლებმაც ნაწარმოების ზოგად კონტექსტში, დღევანდელობაში შეიძინეს სრულიად ახლებურად გააზრებული იდეურ-ესთეტიკური ფუნქციები: ეროვნული ცხოველმყოფელობის ამ ულრმესი წიაღიდანაა ამოზრდილი და აღმოცენებული ლომზე ამხედრებული მზეჭაბუკის სახება. ლომის პლასტიკური ნახატი, სისხლსავსე, მკვრივი, ხელშესახები ფორმები, იმავდროულად, შორეულ ასოციაციებს იწვევენ ძველ-აღმოსავლური ქანდაკების მოცულობით-პლასტიკურ კონსტრუქციებთან; ამასთან, ამ მონუმენტში, ლომი, გაიაზრება ძველთაძველი, ქართველთათვის მეტისმეტად ახლობელი სიმბოლური მოდელის გამოხატულებად; ესაა ხორცშესხმული ლეგენდა რწმენისა და იდეალის ერთგულებაზე; მოქანდაკის მიზანიც სწორედ ამ მარადიული მოდელის დანახვა, გადააზრება, ხილვადობამდე კონკრეტიზაცია და ახსნა იყო რთული, მრავალსაუკუნოვანი ეროვნული ფსიქოლოგიისა და გენეტიკურად მოქმედი ფსიქიკის ჭრილში. ამდენად, თვით ამ ქმნილების მთლიან სტრუქტურას ქმნის ავტორისეული კონცეფცია, რომელიც შესაბამის სტილისტურ სახეებს გამოიხმობს მითოსური ლეგენდებიდან და ჰკრავს განუყოფელ მხატვრულ ორგანიზმად. ამგვარად გააზრებული ლომი — ადამიანური რწმენის ლომია, ლომი-სიმბოლო: მასზე ამხედრებული რაინდი კი ასევე სიმბოლური ხატია, ხალხში ასე სიყვარულით გარემოსილი კაცისა, და მისი სახით მოვლინებული სიკეთისა, ქართული მარადიული რწმენისა. ამდენად, ის თავისი კონკრეტული ხასიათის გამოა ამაღლებული და გარდასახული სიმბოლომდე; წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი სიმბოლური და თუნდაც ემბლემატური რაობა შეუცნობელი და მიუღებელი იქნებოდა.

ამ ნაწარმოებში გმირობისა და ვაჟკაცობის ჰეროიკული თემა იმგვარადაა გააზრებული, რომ აყვანილია ადამიანური ზნეობრიობის განზოგადებული კატეგორიის სიმაღლეზე. ეს კიდევ უფრო აღრმავებს, აღვივებს და ამძაფრებს ქმნილების ეპიკურ პლანს, იმ ფართო აზრობრივ მასშტაბს, რომელიც ამ ქანდაკებაში ვლინდება მთელი სისრულით.

ლომზე ამხედრებული მზეჭაბუკი — ქართველი კაცია, დარწმუნებული არჩეული კეთილი და საიმედო გზის გონივრულობასა და სისწორეში; რადგან რწმენა, შინაგანი ღირსების გარდა, მძიმე ტვირთიცაა, ამიტომ არის ლომზე მჯდომარე მზეჭაბუკი ასე დაძაბული და შინაგანად შემართული. ლომის სხეული კი სავარძელი, ან მოხერხებული ტახტრევანი არ არის, რომ კაცი ზედ მოხერხებულად მოკალათდეს, მასზე ჯდომა ხომ მუდმივ შინაგან გულისყურსა და მზადყოფნასაც გულისხმობს. ლომის ასევე შინაგანად, მაგრამ გაუთვითცნობიერებლად მბორგავ სხეულს იმის ძალაც შესწევს, ადამიანში ყურადღება და თვითკონტროლის შეგრძნება გაამძაფროს და ხშირად შეახსენოს მის მპყრობელს არჩეული და ზიდული ტვირთის სიმძიმე, რამეთუ რწმენაც ტვირთია, თუმცა ტვირთი საამოდ სატარებელი.

ამგვარად, მზეჭაბუკი ლომზეა ამხედრებული; ლომიც, ასევე მძლავრად არის დამუხტული, მაგრამ პლასტიკურად დიდი ტაქტითაა მოტანილი, შინაგანადვეა მასში თითქოს მოწესრიგებული და ერთგვარად დათრგუნვილი ის სტიქიური საწყისი, ასე ცხოვლად რომ აჩენს განგება მის შინაბუნებას. აქ ორივეს ერთი გრძნობა ამოძრავებს, ორივე — ლომიცა და რაინდიც ერთნაირად გამომხატველი არიან რწმენისა და სიკეთისა, ესაა მათი ურთიერთობის პირველსაწყისშიც. შეიძლება ამ ქანდაკების ზოგადი იდეა მოთავსდეს ერთ სახელწოდებაში — ლომი და კაცი, უფრო უკეთ — ლომკაცი. რწმენა აქ ლომის სახით არის გააზრებული, როგორც ფიზიკურად და სულიერად მოქმედი ფენომენი, რომლის ეთოსიც და სამყაროსეულ მოვლენებთან მიმართება ყველგან ავლენს თავის ენერგიულ და მიზანსწრაფულ ხასიათს; ამდენად იგი სწორედ ლომის ფორმაშია განსახოვნებულ-განთვისებული, მაგრამ ეს რომ მხოლოდ ხორციელი, მატერიალური ფორმა იყოს, მაშინ იგი თვითმიზნურად ტენდენციურ ჩანაფიქრის სახით წაიკითხებოდა; მაგრამ ელგუჯა ამაშუკელის ქანდაკებაში ლომის ფიგურაში ჩაბუდებული და ჩასახულია სული უძლეველობისა, რწმენისა, ეროვნულად მოქმედი მაღალი იდეალის ურყევი ძალისა. მეორეს მხრივ, თუ გავითვალისწინებთ ლომის, როგორც მზის ეროვნული სიმბოლოს, რაობის მნიშვნელოვან და ანგარიშგასაწევ მომენტს, და გავავლებთ აზრობრივ პარალელს ლომი-მზისა და კაცი-მზეჭაბუკის ურთიერთშენაცვლებად მოტივებს შორის, აღმოვაჩენთ ერთი სიმბოლიკური ელემენტის (ლომი-მზე) უშუალო განვრცობა-გაგრძელებას მეორე ელემენტის — გარკვეული გაგებით — ეკვივალენტის (კაცი-ჭაბუკი) სახით.

როგორც უკვე ითქვა, ელგუჯა ამაშუკელის მონუმენტური ქანდაკება „ბოროტსა სძლია კეთილმან" დიდი მხატვრული და პლასტიკური ღირსების მატარებელი ნაწარმოებია. ეს ორფიგურიანი კომპოზიცია, მიუხედავად დამახასიათებელი მონუმენტურობისა და ფორმათა განზოგადებული გააზრებისა, არ არის მოკლებული ლირიკულ-რომანტიკულ მოტივირებასაც, რომელიც ქანდაკების ზოგად არსში მისივე შინაგანი სამყაროს გამოვლენისაკენ არის მიმართული; აქ ამაშუკელისათვის დამახასიათებელი ფართო ეპიკური განზოგადება შინაგანად ითავსებს ამაღლებულ პოეტურ სულსა და მეტი სიღრმითა და შთაგონებით ამოქმედებს ქმნილების დაუოკებელ სამყაროს.

* * *

სივრცული მეტყველების თვალსაზრისით, საინტერესოა ის მომენტი, რომ მზეჭაბუკის ფიგურა ლომზე დაყენებულია იმგვარ სივრცობრივ რაკურსში, რომ საშუალებას იძლევა, მაყურებელმა ნებისმიერ ადგილიდან განსხვავებული და, ამავე დროს, თანაბრად სახიერი ხედვითი წერტილი მოიძებნოს, იმავდროულად კი, ამ ახალი წერტილიდან თვით მხატვრული სახის ახალი პლასტიკური და, თუ გნებავთ, აზრობრივი მოტივიც აღმოაჩინოს. მაშასადამე, საშვილიშვილო პრობლემა, სპეციფიკურად საზური ყველა დროის მოქანდაკისათვის — მრგვალ ქანდაკებაში ყოველმხრივი და ყოველი წერტილიდან ხედვითობა, ამ შემთხვევაში ელგუჯა ამაშუკელის შემოქმედებაში, მიგვაჩნია უდიდეს მიღწევად.

დღეს სავსებით კანონზომიერი და ბუნებრივი მოვლენაა ის, რომ ქართული საბჭოთა მონუმენტური ქანდაკების სივრცობრივ-არქიტექტურული და მხატვრულ-პლასტიკური მეტყველების სფეროში ელგუჯა ამაშუკელის რამდენიმე ნაწარმოები, თავისი დიდი მხატვრული ღირსებების გარდა, ქრესტომათიულ ნიმუშებად შეიძლება მივიჩნიოთ თავისი უაღრესად გამძაფრებული სივრცულ-პლასტიკური ხედვის თვალსაზრისით. ეს ქმნილებები, დადგმისთანავე, მთავარსა და განმსაზღვრელ ჟღერადობას იძენენ ამა თუ იმ არქიტექტურულ კომპლექსში, სივრცეზე ბატონდებიან და იმორჩილებენ მას, რადგანაც გარემოს სივრცული ათვისების ცხოველმყოფელი უნარი ელ. ამაშუკელის ამ ნაწარმოებთა შემთხვევითი კი არა, სრულიად კანონზომიერი, შინაგანი თვისებაა, ამოზრდილი ყოველმხრივ გაცნობიერებულ საფუძველზე, მოქანდაკისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი „მეექვსე გრძნობა".

უნდა ითქვას, რომ გორში დადგმული მონუმენტური ანსამბლის შერწყმა გარემოსთან ურთულესი ამოცანა იყო, როგორც მოქანდაკისა, ისე არქიტექტორისათვის, რადგანაც უაღრესად მდიდარი და ჩამოყალიბებული არქიტექტურული გარემოა ქანდაკების ირგვლივ; ამდენად უნდა შექმნილიყო იმგვარი პლასტიკური ორგანიზმი, რომ მეტოქეობაც კი გაეწია გორის შემოგარენის კოლორიტული და ერთგვარად „მაცდური" სახიერებისათვის; მაგრამ, რაც მთავარია, ქანდაკება თავისი შინაგანი ენერგიით უნდა დაპირისპირებოდა სივრცეს, და არათუ უბრალოდ სივრცეს, არამედ იმ გარემოს, რომელიც თავისთავად შეიცავს ესთეტიკურ მომენტს. გარდა ამისა, ეს დაპირისპირება გარემოსა და მონუმენტურ ნაწარმოებს შორის არ უნდა დარჩენილიყო მხოლოდ თვითმიზნური დაპირისპირების დონეზე, არც ერთი მხარე არ უნდა გამოვლენილიყო გამარჯვებულის სახით, არამედ უნდა მომხდარიყო სივრცული გარემოსა და ქანდაკების, ხუროთმოძღვრული და სკულპტურული ფორმების სრულიად ჰარმონიული შერწყმა. მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ბედნიერ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

მონუმენტის შინაგანად ამაღლებული პათოსის შემცველი ხასიათი, როგორც უკვე ითქვა, „ცხრაკარიანისა" და გორის ციხის ანსამბლის ფონზე იკითხება, როგორც ღრმა და მეტყველ პლასტებად ჩამოქნილი ემოციური აქცენტი-დომინანტი; თვით მონუმენტი ვითარდება გორის ციხის ქონგურების ღერძზე. ესაა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ანსამბლის ლოგიკური გვირგვინი, რომელიც დიდების მუზეუმის მშენებლობის დამთავრების შემდეგ დასრულებულ სახეს მიიღებს; სწორედ მაშინ გამოვლინდება მთელი კომპლექსის არქიტექტურულ-პლასტიკური ამოცანების ორგანული სინთეზის შედეგი, ხოლო მის მაჩარობელ დასტურად მიგვაჩნია ეს ახლად დადგმული მონუმენტი.

საერთოდ, ისეთ რთულსა და მრავალსახოვან გარემოში, როგორიც გორის ციხის შემოგარენია, ძალზე რთულია ახალი სახვითი კომპონენტის შეტანა, რადგანაც თუ არა სივრცული აზროვნების თანდაყოლილი ნიჭი, ოსტატობა, ადვილი შესაძლებელია ამ გარემომ არ მიიღოს, არ შეითვისოს იგი; საერთოდ, უკვე არსებულ ისტორიულ-არქიტექტურულ ანსამბლთან შეხებაში ორი მომენტი წამოიჭრება: ერთია, როცა ქანდაკება ძალისძალით შედის ანსამბლში და, თუ შეიძლება ითქვას, „აკრძალული" ხერხებითა და „ილეთებით" მკვიდრდება. აქ დროის ფაქტორიც მოქმედებს: ადამიანის თვალი, ბოლოს და ბოლოს, ეჩვევა მას, თუმცაღა თვით ქმნილება ვერ ღებულობს არქიტექტურულად და სივრცობრივად მაორგანიზებელი მხატვრული ელემენტის სახეს. და ავტორშიც, ცხადია, თუ ის პროფესიულ სინდისს არ ღალატობს, მუდამ ბუდობს უკმარობისა და ერთგვარი უხერხულობის განცდა ქანდაკების ადგილის შეუსაბამობის გამო; მეორე მომენტი კი გულისხმობს, რომ მონუმენტური ნაწარმოები ბუნებრივად, ორგანულად, უმტკივნეულოდ, ხელოვნური ჩარევის გარეშე ერწყმის გარემოს. ეს კი, ცხადია, უკვე არაა შემთხვევით ფაქტორებზე დაფუძნებული მომენტი. ეს შინაგანად გათავისუფლებული შეგრძნებაა ავტორისა, სივრცის შინაგანად გაცნობიერებული და გამახვილებული შეგრძნება. მეტიც, ეს მხატვრის სულიდან წამოსული პროფესიულ თვისებად გარდასახული იშვიათი ფენომენია. მიგვაჩნია, ამ თვისებას სრულყოფილად ფლობს ელგუჯა ამაშუკელი. როგორც ითქვა, გორში აღმართული დიდების ძეგლიც სამაგალითოდ ავლენს ქანდაკების სივრცული კავშირების თავისებურებათა საყოველთაო ხასიათს. ყოველივე ეს კი, ემსახურება ერთ დიდ მიზანს — გამძაფრებულად და

განზოგადებულად მოიტანოს სათქმელი — მაღალი და ღრმააზროვნული იდეა, დამუხტული დიდი ეროვნული, ზნეობრივი, ჰუმანისტური და მოქალაქეობრივი დედააზრით.

გორის მემორიალში გამოჩნდა მონუმენტის ხასიათის არქიტექტურულ-სივრცული ზარემოსადმი დაქვემდებარების მეტად თავისებური და ფართო მიდგომა.

მასშტაბის თვალსაზრისით, ზუსტად არის დაცული ზომიერება, რაც აუცილებელი პირობაა აქაური, ჩვენთვის ესოდენ ცნობილი ლანდშაფტური და ისტორიულ-არქიტექტურული გარემოს ქანდაკებით ასავსებად (მონუმენტის საერთო სიმაღლეა — 16 მ., კვარცხლბეკისა — 8 მ. ქანდაკებისაც — 8 მ.). თვით ქანდაკების პლასტიკური და ფაქტურული მოდელირება თითქმის მთლიანად გამომდინარეობს „ცხრაკარიანისა“ და გორის ციხის არქიტექტურულ-სტილური ბუნების თავისებურებებიდან. მზექაბუკის სხეულის მთელი აღნაგობა, მისი მყარად გამოკვეთილი უკიდურესად დახვეწილი და მწყობრი, არქიტექტურული კონსტრუქცია, მყარად ზის ლომის პლასტიკურ სხეულში. საერთოდ, ქანდაკების საკმაოდ მოწესრიგებული სილუეტური ნახატი, ისე ორგანულად შედის კომპოზიციის მოცულობით ფორმაში და იმგვარად უნივთდება მისსავე პლასტიკურ სტრუქტურას, რომ შეუძლებელია მათი გათიშვა.

როგორც ითქვა, გორში დადგმული მონუმენტის პლასტიკური სახე აშკარად გამომდინარეობს მიმდინარე არქიტექტურული გარემოს სტილური ბუნებიდან. ლომის, სქელი ფაფარი სტილიზებული ხასიათისა, ხოლო მისი სხეულის გასწვრივი, და მასთან, გორის ციხის ქონგურების ვერტიკალური წყობა — რიტმულ ასოციაციაში ალიქმება (ასევეა გადმოცემული ვახტანგ გორგასალის ძეგლში ცხენის ფაფარის მკაფიოდ დეკორატიული და პლასტიკური ხასიათი); მთლიანად, მონუმენტის კომპოზიციური განლაგება — მთელი ანსამბლის ორგანული გაგრძელება-განვითარებაა; თვით გრანიტის სადა, ზემო ნაწილში ოდნავ დავიწროებული პოსტამენტის თავისებური არქიტექტონიკა (მემორიალის არქიტექტურული ნაწილის ავტორია ვ. დავითაია) ისევ ქონგურების კომპოზიციიდან გამომდინარეობს და, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, ლომკაცის ბრინჯაოს ქანდაკებით ავვირგვინებს „ცხრაკარიანის“ მთელ ხუროთმოძღვრულ გარემოს. თავად ლომის ფიგურა თუმცა პირობით ხასიათს ამჟღავნებს, მასში მაინც უკიდურესადაა შემცირებული მკვეთრი სტილიზაციისა თუ საზგასმული დეკორატიულობის ნიშნები, თუმცა მისი არქაული ხასიათი და წარმომავლობა აშკარაა, მაგრამ ეს ნიშნები ქანდაკების ტიპიური ბუნებიდან ამოდის. ლომის ფიგურის წინსწრაფული, ჰორიზონტალური კონსტრუქცია და მზექაბუკის ასევე წინგასწრაფული, ჰორიზონტალურად დაყენებული მარჯვენის მოძრაობა, ჭაბუკის სხეულისავე ვერტიკალური წყობა და მისი პლასტიკური ანალოგია მახვილის ვერტიკალი, მეტიც, მთლიანად მზექაბუკის სხეულის ჯვრის ფორმის პლასტიკური სტრუქტურა რიტმულად მეორდება ჯვარ-მახვილ-ვაზის ვერტიკალური სილუეტის პლასტიკურსავე ხასიათში. თავად ლომის წინწადგმული თათები დინამიზმს მატებს მთელ ფიგურას და, ამასთან, მთელ ქანდაკებაში შემოაქვს უჩვეულო მდგრადობისა და მონოლითურობის განცდა, რომელსაც ასევე ხელს უწყობს მასათა ზოგადი დამუშავება; მიუხედავად ამისა, ფიგურა მკვეთრად მოძრავია, მისი სხეულის სიმძიმეც თანაბრადაა გადანაწილებული ყველა წერტილზე. სილუეტი შეკრულია და მეტყველი. კიდევ ერთი რიტმულ-ასოციაციური ნაკადია უკვე მზექაბუკის პლასტიკურ სახეში, მის კონსტრუქციაში ეს გახლავთ თმის სქელი ფენის, მოგრძო ნაწნავებისა და ტანზე შემოტმასნული სარტყლის ხასიათი, რომელიც რიტმულ-მოცულობითი თავისებურებებით ასახსნელი ხერხია. რაც მთავარია, ყოველივე ეს ცოცხალ, ცხოველმყოფელ ფორმას ქმნის, უაღრესად ემოციურსა და განზოგადებულს, მთელი სიცხადით ამეტყველებულს.

დღეს, როდესაც ჩვენს სინამდვილეში საკმაოდ იდგმება გმირთა ძეგლები, მემორიალური ანსამბლები, მონუმენტური კომპლექსები, ცალკეული ქანდაკებები, შეიქმნა ერთგვარი ტრადიცია ამ თემის გადასაწყვეტად; ძალზე ძნელი სათქმელია, თითქოს ეს ძეგლები ყოველთვის ინარჩუნებდნენ თავის ცხოველმყოფელ ძალას და ჰქმნიდნენ პირობას თემის მხატვრული არსის სრულფასოვანი შეგრძნებისათვის (ეს ცალკე საუბრის დიდი თემაა, და ამაზე სხვა დროს შეიძლება გვქონდეს მსჯელობა); 60-70--იან წლებში მომხდარმა თვისობრივმა ძვრებმა ქართულ (და საერთოდ საბჭოთა) მონუმენტურ ქანდაკებაში, თავისთავად მოიტანა თვით დარგის აზრობრივ-იდეური და ჟანრულ-სტილისტური ხერხების გადასინჯვის აუცილებლობა. ამ პროცესებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, თვისობრივად ახალი სიტყვაა ელგუჯა ამაშუკელის შემოქმედება, რომელიც თავიდანვე განრიდებული იყო ყალბ ემოციურობას, მოჩვენებით მონუმენტალიზმს; მისი ხელოვნება მუდამ მიისწრაფოდა ისტორიული და თანამედროვე სახის სიღრმისეული დახასიათებისაკენ .ამ ძიების შედეგად ქანდაკებამ არქიტექტურულად და ისტორიულ-შინაარსობრივად მოქმედი გარემოს კონტექსტში კონკრეტული ხასიათიც მიიღო. უფრო სწორად, გაიღრმავა კონკრეტულობის ნიშანი, რომელიც თავიდანვე ჩაქსოვილი იყო ნაწარმოების ზოგად არსში, ამან კი მასვე მიანიჭა მეტი სულიერი განზოგადება. კომპოზიციაში არსებუ-

ლმა, პარალელურად მოქმედმა ეპიკურმა და ლირიკულმა ნაკადებმა ამ შემთხვევაში საერთო აზრობრივ-შინაარსეული საყრდენები შეიძინეს, ხოლო მათმა თანაარსებობამ კი მეტი დამაჯერებლობა და შინაგანად მფეთქავი ინტონაცია შესძინა ღრმა ეროვნულ სახეებს. ამით მისი მსოფლმხედველობითი ასპექტები გამდიდრდა, მეტ სულიერ-ადამიანურ ღირსებებს ეზიარა. ეს კი, პრინციპულად არსებითი თავისებურებაა ბოლო ხანებში (70-იანი წლები) ელგუჯა ამაშუკელის მიერ განხორციელებული ნაწარმოებებისა. ესაა სწრაფვა მხატვრული ხახის რომანტიკული კონცეფციის სათანადო მოტივირებისა, ლირიკულ-ემოციური თუ დრამატული ასპექტების წინა პლანზე წამოწევისაკენ; ყოველივე ეს აფართოებს მონუმენტური სახის გააზრების საზღვრებს და მასშტაბებს. ახალი, უაღრესად საგულისხმო ძიებების გზით წარმართავს მოქანდაკის შემოქმედებითს ინტერესებს: ესაა მხატვრული ფორმის მძაფრი გრძნობის, პლასტიკური სიცხადისა, კონკრეტულობისა და სიზუსტისაკენ ლტოლვა, რაც განსაკუთრებული ძალით გამოჩნდა ელგუჯა ამაშუკელის ამ ბოლო ნაწარმოებში. ამაში თვალსაჩინოდ დაგვარწმუნა უკანასკნელ წლებში დადგმულმა მოქანდაკის სხვა ნამუშევრებმაც, განსაკუთრებით ფიროსმანის ძეგლმა თბილისში და გმირ მეზღვაურთა დიდად საინტერესო მემორიალურმა ანსამბლმა მალთაყვაში, რომლებშიც სრულიად ახალი ნიშანდობლივი მხარეები გამოვლინდა გამოჩენილი ხელოვანის შემოქმედებისა; ეს თავისებურებები, რა თქმა უნდა, 60-იან წლებში შექმნილ, როგორც მონუმენტურ ,ისე დაზგურ ნიმუშებშიც შეიმჩნეოდა, მაგრამ მან პრინციპულად მდგრადი, სისტემატური, ჩვენ ვიტყოდით, ტიპოლოგიური და მეთოდოლოგიური ხასიათი მიიღო ბოლო ნაწარმოებებში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ტენდენცია ზოგადად ახასიათებს საერთოდ ქართული მონუმენტური ქანდაკების მიმდინარე პროცესს, ტენდენცია, რომელიც საბოლოო ჯამში მხატვრულ-მონუმენტური სახის სულიერი მთლიანობისა და მრავალმნიშვნელოვანი და ჰუმანისტური კონცეფციის დამკვიდრებასაც გულისხმობს.

ბევრჯერ გავიმეორეთ აზრი, რომ ელგუჯა ამაშუკელის მიერ შექმნილი მონუმენტური ქმნილება „ბოროტსა სძლია კეთილმან“ ღრმად ეროვნულ საწყისებზე ამოზრდილი მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც თავისთავად გულისხმობს მის უაღრესად ღრმა სულისმიერ შენაკადებს არა მარტო ქართული, არამედ მთელი საკაცობრიო კულტურის ძეგლებთან; მარტო „ვეფხისა და მოყმის“ ბალადა“ და შოთას გენიალური პოემა გამოდგება ბოლოიდან, მასთან აზრობრივ-ფაბულური შესატყვისების მოსაძიებლად და იმაში დასარწმუნებლად, თუ რაოდენ დამკვიდრებული იყო ქართველი შემოქმედი კაცის, საერთოდ — ერის ცნობიერებაში ვეფხვის და ლომის კულტი. აღარას ვამბობთ მდიდარ ქართულ პლასტიკასა და მინიატურაზე. ამისათვის მარტო საქვეყნოდ განთქმული გელათის ვერცხლის ტონდო „წმ. მამანტი ლომზე“ (VI-VIII ს.ს.) იკმარებდა.* ასურულ-ბაბილონური და ეტრუსკული ცივილიზაციის წიაღიდან მომდინარე ძირები, თუნდაც VI საუკუნის ეტრუსკული ხელოვნების გენიალური ნიმუშის — „ძუ მგელის“ პლასტიკური და აზრობრივ-სიმბოლური მეტყველების უცნაური ძალა, ყოველივე ეს ორგანულად შევიდა და შეენივთა ელგუჯა ამაშუკელის ნაწარმოების სტილისტურ და შინაარსობრივ ქსოვილს. აქ მოხდა იმგვარი მოვლენა, მხოლოდ მაღალი ტალანტის სამანებს რომ ემორჩილება — შუმერულ-ეტრუსკული კულტურის ფუძიდან ამომავალმა, დღევანდელობის პათოსითა თუ მიზანსწრაფვით აღბეჭდილმა ხელოვნებამ თავისი მძლავრი და ლონიერი ნაყოფი გამოისხა ჭეშმარიტი ოსტატის ხელში, უდიდესი განმაზოგადებელი ძალა შეიძინა, როგორც არა მარტო ეპიკური გაქანებითა და ეროვნული პათოსით აღბეჭდილმა ძეგლმა, არამედ, როგორც წმინდა ხელოვნების ნიმუშმა. ასე მოხდა სრულიად ბუნებრივი ათვისება საკაცობრიო კულტურის მთელი მხატვრული და პლასტიკური გამოცდილებისა. მსოფლიო ხელოვნების უხსოვარ, რაც ყველაზე ნიშნულია, მონათესავე ძირებამდე ჩაღრმავებამ და მასთან სულიერმა შეხებამ ე. ამაშუკელისათვის დიდი ხნის სრულიად კანონზომიერი შემოქმედებითი და სულიერი გრძნობის თვისება მიიღო; ამჯერადაც არ უღალატა მას ამ იშვიათმა და ზეგარდმო მომადლებულმა ნიჭმა. შედეგმაც არ დააყოვნა — მისი ახალი პირმშო გორის ციხის ქონგურებიდან გადმოსული ლომკაცის სახით მოგვევლინა.

ელგუჯა ამაშუკელის შემოქმედებით პრინციპებს მუდამ ახასიათებდა ერთიანი მსოფლმხედველობითი კონცეფცია, იდეურ-ესთეტიკური მრწამსი, რომელიც მყარად არის ჩაქსოვილი მისი ყოველი ქმნილების ყოველ უჯრედში. ამჯერადაც გაიელვა ამ მადლმა, რომელიც ეროვნული და საკაცობრიო კულტურული გამოცდილების თითქმის ფენებთან ხელშესახებ კავშირს გულისხმობს; ეს კავშირი სათ-

---

* გარდა დასახელებულისა, უნდა მოვიხსენიოთ: „ლომზე მჯდარი მამის“ გამოსახულება XII-XIII საუკუნეების ხელნაწერზე, ლომზე მჯდარი ატისის მცირე ზომის ქანდაკება, XII ს. ასტრონომიული ტრაქტატზე გამოსახული მიმავალი ლომის მინიატურა, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა მინიატურა „წმ. მამა და გაზაფხულის სცენები“, განგლოსის „მზის ღლესასწაული“ და სხვ.

ცრად სულისმიერი და შინაგანად გათავისებულია, იგი შემოქმედებითად არის ათვისებული.

მოქანდაკემ ამჯერადაც ღრმა და საფუძვლიანი, საიმედო დასაყრდენი იპოვა წარსულის დიდ ხელოვნებასთან კავშირის მეშვეობით. ამ გზით მან თავისი ქმნილება გაამდიდრა არა მარტო პლასტიკურ-სახეობრივი სტრუქტურებით, არამედ, პირველ ყოვლისა, ამაღლებული, ჰუმანისტური ნაკადით, ღრმა ფილოსოფიური იდეით; ეს იდეურ-პლასტიკური საფუძველი საგრძნობლად გაფართოებულია, არსებითად გარდაქმნილ-გადახალისებულია, იგი გვევლინება, როგორც ისტორიული ტკივილებით დაღდასმული, მრავალწირთამთმენი რთული ეროვნული ხასიათი, რომელსაც ღრმა სულიერი კავშირები აახლოვებს და ანათესავებს წინაპართან; ამასთან, გმირის შინაგანი სულიერი სამყარო გარდატეხილია თანამედროვე პათოსის შემცველ განწყობილებათა პრიზმაში, მაგრამ ისე, რომ მისი არქაული ჟღერადობა კვლავ საჩინოა. ყოველივე ეს კი უფრო სრულყოფილს ხდის ნაწარმოების ისტორიულობის შეგრძნებას. ესაა წარსულიდან მოხმობილი, სულჩადგმული ფორმა, ალჭურვილი თანამედროვე მჯისცემით; და აქ საუკუნეთა წიაღიდან მოვარდნილი სტიქიური ძალაც ისევე საცნაურია, როგორც ინტელექტის შემაკავებელი საწყისის არსებობა მასში.

ელგუჯა ამაშუკელის ქანდაკება სწორედ რომ დროთა კავშირის აღდგენის მეტად თავისებური გააზრებითაცაა აღბეჭდილი; ეს მარადიული მოდელი ქანდაკების უზოგადეს მხატვრულ იდეალს წარმოადგენს, რომელიც შემოტანილია ახალი გზით. აქ სულის სიმტკიცისა და შეუბოჭავი შინაგანი ძალის იდეალი — „ქართველთა ამაყი ჯიშის“ მძლავრი შენაკადი უთლოდ თანამედროვეცაა და შორიდან წამოსულიც. ეს კავშირი კი შეიმჩნევა არა მხოლოდ სულიერ ასპექტებში, ქვეცნობიერების იდუმალ სიღრმეებში, არამედ წმინდა სტილურ-პლასტიკურ მიმართებების სფეროშიც. რაც მთავარია, მოქანდაკე სწორედ იმგვარ განზოგადებულ ხასიათს ქმნის ამ მარადიული პირველ მოდელისა, რომელიც ნასაზრდოებია მრავალი ურთიერთგადამკვეთი, თუმცა ერთი დიდი სათავიდან მომდინარე მხატვრულ-ემოციური ნაკადებით; მასში თანაბარი ძალითაა ამოქმედებული ინტელექტუალური და გრძნობისმიერი პლასტები, პოეტური რაობა, უჩვეულო და დახვეწილი მხატვრული ფანტაზია, ღრმააზროვანი ფართო და მრავლისმომცველი მსოფლმხედველობითი განაფულობა; აქაა, ერთის მხრივ, მკაცრად გამოხატული, რაციონალურად მოქმედი პირობითობა, დატვირთული და გამდიდრებული რთული და სახოვანი სულიერი გზნებით, მხატვრული ფუნქციითა და სპეციფიკურად გართულებული ხასიათით, შინაგანი ჰარმონია რომ მეფობს მასში, მეორეს მხრივ, კი, თავისი ღრმა ხალხურობით, ისტორიული ტრადიციის გონებისმიერი შეგრძნებითა და უშუალოდ, ამასთან გაზრებულად მიღებული უთლოდ მშობლიური, ახლობელი და ცოცხალი ფორმა.

* * *

ბედნიერია ის მოქანდაკე, რომლის ქმნილებაც მის სიცოცხლეშივე აღიმართებათ — უთქვამს როდენს. ელგუჯა ამაშუკელს კი, „ქართლის დედიდან“ მოყოლებული, ბარე ათამდე ქანდაკება ექნება აღმართული.

შარშან მისი ორი დიდებული ნაწარმოები შემოემატა ჩვენს ხელოვნებას, — ერთმა ქართლის გულში დაიდო ბინა, მეორემ — ზღვისპირას, მალთაყვაში, თუმცა ისიც სათქმელია, რომ სიტყვა „შემოემატა“ მაინცდამაინც ზუსტად ვერ გამოხატავს სათქმელს, როცა ელგუჯა ამაშუკელზეა ლაპარაკი, ვინაიდან მისი ყოველი ახალი ნაწარმოების დადგმა, როგორც შემოქმედებითი, მხატვრული თუ საზოგადოებრივი მოვლენა, მონუმენტურ ქანდაკებათა (თუნდაც მაღალმხატვრულის) მხოლოდ საერთო რიცხვის ზრდას კი არ მოასწავებს, არამედ ახალი ქმნილების დაბადება და დიდი ეროვნული დღესასწაულიც არის.

დღეს თბილისს ელგუჯა ამაშუკელის ორი ბრწყინვალე ქმნილების — „ქართლის დედის“ და „ვახტანგ გორგასალის“ შუქი დაჰნათის.

ამიერიდან გორსაც დაუდგა შემწედ გორის ციხის წიაღშივე შობილი, მისივე ლომკაცი. იგი დღევანდელი საქართველოს სულჩადგმული ხატია — ერის ღრმა გონით მოძიებული, მახვილი თვალით განჭვრეტილ-დანახული, მკვრივი და მადლიანი მარჯვენით ჩამოქნილ-ჩამოძერწილი, ძვალ-რბილში რომ აქვს მყარად გამჯდარი დასაბამიდან მომდინარე წარუხოცელი მადლი შრომისა, სიკეთისა, ბოროტ ძალთა ძლევისა და დათრგუნვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ასათიანი

# უბის წიგნაკიდან

კონსტანტინე ჭიჭინაძე:

— 1908 წელს 17 წლის ჭაბუკი ვიყავი, თბილისში მივედი „ივერიის“ რედაქციაში. ამ გაზეთს მაშინ რედაქტორობდა კოწია თუმანიშვილი. მე მას მივუტანე ჩემი რამდენიმე ლექსი.

თუმანიშვილმა მითხრა, ეგ ლექსები წაუღე ი. გრიშაშვილს, იმას წაუკითხე, თუ მოეწონება დაგიბეჭდავთ.

წავედი ი. გრიშაშვილის მოსაძებნად. ქართული თეატრის ეზოში წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა იყო მოთავსებული, იქ მიმასწავლეს, მივედი. ოთახში 19-20 წლის ჭაბუკი დამხვდა, მორჩილი ტანისა, მორიდებით ვკითხე, გრიშაშვილის ნახვა მინდა და სად იქნებათქო.

— მე ვარო, — მიპასუხა.

გამიკვირდა, ასე ახალგაზრდა რომ იყო. გადავეცი ჩემი ლექსები. ის შემპირდა მათ წაკითხვას და გაზეთში მოთავსებას, თუ გამოდგებოდა.

ამის შემდეგ მე წავედი რაჭაში, ჩემს სოფელში.

გაიარა რამდენიმე თვემ. ერთხელ ჩემმა მეზობელმა დამიძახა, მითხრა, გაზეთში შენი ლექსია მოთავსებული, არ გინახავსო? გამოვართვი გაზეთი, ჩავხედე, ერთი ჩემი ლექსთაგანი იყო დაბეჭდილი, იმ ლექსებიდან, გრიშაშვილს რომ დავუტოვე. ლექსს სათაურად ჰქონდა „ალბომში“.

აუწერელი იყო ჩემი სიხარული. თვალს არ ვუჯერებდი, რომ ჩემს ლექსს დაბეჭდილს ვხედავდი.

ამის შემდეგ 1909 წელს კიდევ დავბეჭდე ორი ლექსი. მერე აღარ მიწერია 1914 წლამდე, როცა გიგო დიასამიძემ მოათავსა თავის გაზეთ „თემაში“, ერთ ნომერში, ჩემი ორი ლექსი და ერთი პროზაული ნაწარმოები.

საგურამო. ახალგაზრდობის მოგონება.
**13. VIII. 45.**

* * *

სერგეი შერვინსკი (პოეტი):

— მამაჩემი, ვასილ დიმიტრის ძე შერვინსკი, ცნობილი ექიმი იყო, შინაგან სნეულებათა სპეციალისტი. ის ღრმა მოხუცი გარდაიცვალა 1941 წელს.

თუ რამდენად ბევრი იცოცხლა მან, იქიდან ჩანს, რომ მისი პაციენტები იყვნენ ტურგენევი და მაიაკოვსკი.

მე საამაყოდ მიმაჩნია, რომ ლოზინსკის მიერ დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ თარგმნა ჩემს სახელთან არის დაკავშირებული; ამ პოემის თარგმანი მან ამ ომის დროს ჩემს ბინაში, მოსკოვში დაამთავრა. ის ამ დროს თითქმის მთელი წელიწადი ცხოვრობდა ჩემსას.

თავდაპირველად დანტეს თარგმნა მინდობილი გვქონდა სამ კაცს: „ჯოჯოხეთი“ უნდა ეთარგმნა ლოზინსკის, „სალხინებელი“ — მე და „სამოთხე“ სერგეი სოლოვიოვს. მე უარი ვთქვი თარგმანზე იმ მოსაზრებით, რომ უფრო მიზანშეწონილად ვთვლიდი, სტილური ერთიანობის თვალსაზრისით, მთელი პოემის ერთი კაცის მიერ თარგმნას. ჩემი კანდიდატურა მოიხსნა.

---

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 6, 7.

მაშინ პოემის დანარჩენი ორი ნაწილიც ლოზინსკის მისცეს.

ლოზინსკი მიკითხავდა თავის თარგმანს. მე ბედნიერი ვარ, რომ ვიყავი პირველი მკითხველი და კრიტიკოსი ამ თარგმანის.

მამაჩემისაგან გამიგონია, რომ როდესაც საფრანგეთში ჩავიდა (ახალგაზრდა ექიმი), ის დაიბარა ავადმყოფმა ტურგენევმა. ის ცხოვრობდა პარიზის მახლობელ ქალაქში.

როდესაც ზედა სართულში, კაბინეტში მამაჩემი სინჯავდა ტურგენევს, ქვედა სართულიდან მას ესმოდა პოლინა ვიარდოს სიმღერა.

**საგურამო. საუბარი აივანზე. 14. VIII. 45.**

* * *

ლეო ქიაჩელი:

— მამაჩემი, მიხეილი, უფროსი შვილი იყო სამეგრელოში ცნობილ ზურაბ შენგელაიასი. ეს ზურაბი დაახლოებული პირი იყო ჩიჩუებისა, რომლებიც დადიანების შემდეგ სამეგრელოს უპირველეს თავადებად ითვლებოდნენ. როდესაც ქუთაისის გიმნაზია გაიხსნა, სამეგრელოს თავად-აზნაურობას ექვსი ადგილი მიეცა: სამი თავადებს, სამი აზნაურებს. მამაჩემი, სხვა ხუთ მეგრელ ბავშვებთან ერთად, მიღებულ იქნა ქუთაისის გიმნაზიის პანსიონში, სახელმწიფო ხარჯზე.

მამაჩემი მეექვსე კლასში ყოფილა, როცა ბაბუა გარდაცვლილა. ის ჩამოსულა მამის გასვენებაზე .მისი დამარხვის შემდეგ ის ოჯახის თხოვნით და წინადადებით, როგორც უფროსი შვილი და ერთადერთი პატრონი ოჯახისა, სახლში დარჩენილა. მაშინ სათანადოთ არ აფასებდნენ განათლებას. ოჯახი შეძლებული იყო და მას უზრუნველად შეეძლო ცხოვრება.

ექვსკლასიანი ცოდნით აღჭურვილი, რუსული ენის მცოდნე ახალგაზრდა იმ დროს იშვიათი იყო სამეგრელოში. მისი გამოყენება სასარგებლო და საჭირო იყო მთავრობისთვისაც.

ჩქარა მამაჩემს სამსახური დაუწყია კიდეც მომრიგებელ მოსამართლესთან, ხონში. პირველ ხანებში მომრიგებელი მოსამართლე კარგად ეპყრობოდა ახალგაზრდა ხელქვეითს. მაგრამ ერთხელ მათ შორის მომხდარა კონფლიქტი, რომელსაც მეტად სამწუხარო შედეგი მოჰყვა მამაჩემისათვის. რაღაც საქმის გარჩევის დროს მოსამართლესა და მამაჩემს შორის მწვავე უთანხმოება ჩამოვარდნილა. მამაჩემი გაცხარებულა, დაუგდია ქვეშ მოსამართლე და მწარედ გაულახავს.

ეს მძიმე დანაშაულად ჩაუთვალეს მას, რადგან მოსამართლეს სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების დროს შეეხო.

სასამართლომ მამაჩემს სამი წლის პატიმრობა მიუსაჯა და ყოველგვარი უფლებები აყარა. სამი წელი ქუთაისის ციხეში გაატარა. ამის შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ სოფელ ობუჯში, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩქარა მან ხვიტიას ქალი შეირთო, შეძლებული ოჯახის შვილი, სახელად მართა (დედაჩემი).

ვინაიდან უსაქმოდ დარჩენა არ შეიძლებოდა, ის შინაურ მასწავლებლობას ეწეოდა. თავის სოფელში იყო, მოწაფეები დაუდიოდნენ, ამზადებდა მათ სასწავლებლისათვის.

გავიდა წლები. ჩემი უფროსი ძმა წამოიზარდა, მას სასწავლებელში არ იღებდნენ, რადგან მამაჩემს უფლებები ჰქონდა ახდილი. მეც უკვე შვიდი წლის შევიქენი, საჭირო იყო ჩემი სკოლაში მიბარება, არ მღებულობდნენ. დედაჩემი შინ მასწავლიდა ანბანს და კითხვას.

ამ დროს ქუთაისში ხელმწიფე ალექსანდრე მესამე ჩამოვიდა. მეგობარმა თავადებმა ურჩიეს მამაჩემს, თხოვნა მიერთმია ხელმწიფისათვის უფლებებში აღდგენის შესახებ. მაგრამ მამაჩემი ვერ გამოჩნდებოდა სხვა თავადაზნაურებთან ერთად.

მაშინ მეგრელებმა ეშმაკობა იხმარეს. როდესაც ქუთაისში თავადაზნაურობა ხელმწიფეს წარუდგა, დადიანებმა, მხეიძეებმა და ჩიჩუებმა წაიყვანეს დედაჩემი და ჩუმად მწკრივს უკან დამალეს.

ხელმწიფემ ჩამოიარა თავადაზნაურობის წინ. როცა მეგრელ თავადების ახლო გამოიარა, ამ დროს მათ უეცრად წინ გამოუშვეს დედაჩემი.

ის ახალგაზრდა ქალი იყო მაშინ, მიმზიდველი გარეგნობის, ხაზარდა ეცვა.

დედაჩემი უეცრად წინ გამოუხტა ხელმწიფეს, დაიჩოქა და ხელით თავზე დაიდვა არზა, ხელმწიფემ ადიუტანტს უბრძანა გამოერთმიათ ქალისათვის ქაღალდი.

ამის შემდეგ ორმა წელმა განვლო, არაფერი პასუხი არ იყო. ამასობაში მამაჩემი ზუგდიდში გადმოვიდა საცხოვრებლად, სახლი აიშენა.

უეცრად პეტერბურგიდან მოვიდა დეპეშა, სადაც ეწერა, რომ აზნაური მიხეილ ზურაბის ძე შენგელაია უმაღლესი ბრძანებით აღდგენილია თავის უფლებებშიო.

მამა ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა იყო. ის მოემზადა და ქუთაისში კერძო ვექილის გამოცდები ჩააბარა დიდი წარმატებით. ამის შემდეგ დაბრუნდა ზუგდიდში და შეუდგა მუშაობას, როგორც კერძო ვექილი.

როგორც ნიჭიერმა, ჭკვიანმა და მომზადებულმა, ამასთან ერთად პატიოსანმა კაცმა, ჩქარა დიდი ნდობა და პატივისცემა მოიპოვა საზოგადოებაში. უამრავი კლიენტი ჰყავდა. არამცთუ საქმისათვის უბრალო რჩევისათვისაც კი მოდიოდნენ მასთან.

მამას კითხვა უყვარდა, კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა. გამოწერილი ჰქონდა აგრეთვე გაზეთები „ივერია“ და „ნოვოე ობოზრენიე“. ამ უკანასკნელის კომპლექტები, მახსოვს, წლების მიხედვით ჰქონდა შეკინძული და შენახული.

სამწუხაროდ, დიდხანს ვერ იცოცხლა. ორმოცდაათს არ იყო მიღწეული, რომ გარდაიცვალა, მე სასწავლებელში ვიყავი, მეექვსე კლასში, ეს მოხდა 1901 წელს.

4. XI. 45.

**ლეო ქიაჩელი:**

წერა 1908 წელს დავიწყე. მაშინ მოსკოვში ვიყავი, ახალგაზრდა კაცი, ციხიდან ახლად გაქცეული. არალეგალურად ვცხოვრობდი, საშინელ მარტოობას ვგრძნობდი ამხელა ქალაქში. არავინ მყავდა ახლობელი, არც სამშობლოსთან მქონდა კავშირი. არ შეიძლებოდა, სახიფათო იყო. რომ დავეჭირეთ, კატორღა მელოდა, მე კი სუსტი ახალგაზრდა ვიყავი, უსათუოდ დავიღუპებოდი.

მარტოობაში ბევრს ვფიქრობდი ჩემს თავზე. გადავწყვიტე წერა დამეწყო, რომ არ დავკარგულიყავი. თუ დამიჭერდნენ, ჩემი ნაწერები მაინც დარჩებოდა.

უფრო ნაყოფიერად ჟენევაში დავიწყე წერა. იქ ამ დროს არსებობდა ზუბალაშვილის მიერ დაარსებული ქართული ბიბლიოთეკა. ქართველ ემიგრანტთა თხოვნით ზუბალაშვილმა ამ საქმისათვის 60 ათასი მანეთი გაიღო. ძალიან მდიდარი ბიბლიოთეკა იყო. ყველა ქართული წიგნი იყო, აგრეთვე ქართული ჟურნალ-გაზეთები.

მე მთელი დღეობით ვიჯექი ამ ბიბლიოთეკაში.

ზუბალაშვილს ჟენევაში, ქალაქის გარეთ საკუთარი ვილა ჰქონდა. მასთან ხშირად მიდიოდნენ ემიგრანტები, ის ყველას დახმარებას აძლევდა.

ერთხელ მეტად არასასიამოვნო ამბავი მოხდა.

როცა ზუბალაშვილი ეტლით შინ მიდიოდა, გააჩერეს, ჩაუსხდნენ შიგ და, როგორც ჩანს, ფული მოსთხოვეს; არ ვიცი ვინ იყვნენ თავდამსხმელები, ემიგრანტები კი იყვნენ, ეს მახსოვს. ზუბალაშვილმა მისცა მათ ჩეკი, რამდენიც მოსთხოვეს. ეს იყო და ეს. მას შემდეგ ნაწყენი იყო, აღარავის აღარ იკარებდა. ჩქარა ამის შემდეგ მან სრულიად მიატოვა ჟენევა და წავიდა იტალიაში საცხოვრებლად.

**სტუმრად ლეოსთან. მე და რაჟდენ გვეტაძე.**

5. IX. 45.

* * *

აკად. ნ. კეცხოველი (უნივერსიტეტის რექტორი):

— მისაღებ გამოცდებზე მოვიდნენ ახალგაზრდები. ზოგიერთს საკვირველი სახელი ჰქონდა. ერთს, მაგალითად, ლანგთემური ერქვა, — გვარი არ მახსოვს. იმერეთიდან იყო. მეორეს კი — კოლჩაკი! მესამეს — ბულატი! საიდან, რატომ არქმევენ ასეთ სახელებს?

ერთ ქალიშვილს (გურჯაანიდან) დაბადების საბუთში ეწერა: მარუსა კოლიას ასული, ესა და ეს გვარი.

ერთხელ კარი გაიღო და შემოსვლა მოითხოვა სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა ყმაწვილმა კაცმა. ორ ყავარჯენზე იყო დაყრდნობილი. ცალი ფეხი წვივში ჰქონდა გადაჭრილი. ზორბა ვაჟკაცი იყო, ლამაზი, კეხიანი.

— მობრძანდით, — ვუთხარი, რა გნებავთ?

— სწავლა მინდა, უნივერსიტეტში მიმიღეთო.

დავსვი. გამოვკითხე მისი ისტორია. ომის წინ დაემთავრებინა სასწავლებელი, პირველ დღიდანვე წაუყვანიათ. ბრძოლა ოდესიდან დაუწყია, ბრძოლით გაუვლია უკრაინა, ბელორუსია, პოლონეთი, გერმანია. მონაწილეობა მიუღია ბერლინის აღებაში. და იქ დაუკარგავს ფეხი. ის 23 წლისა იყო, კაპიტნის ჩინი ჰქონდა, გული ორდენებითა და მედლებით ჰქონდა დაფარული. ახლა ჰოსპიტალში იწვა, რადგან ჭრილობა კიდევ არ ჰქონდა შეხორცებული.

— კარგი, იარეთ გამოცდებზე, მანქანას გამოგიგზავნით ხოლმე ჰოსპიტალში, — ვუთხარი, მაგრამ იმ წუთშივე გადავიფიქრე, — თუმცა, არა, საჭირო არ არის თქვენი მოსვლა, უგამოცდოთ იქნებით ჩარიცხული.

იმ დღესვე ჩავრიცხე.

მას თავის სამშობლოსათვის ჰქონდა გამოცდები ჩაბარებული.

**რექტორთან. 11. IX 45.**

* * *

**ვაჟა ფშაველას ცხოვრებიდან**

**ილო მოსაშვილი:**

— დედაჩემი მოჭრისა (ასე ერქვა) ქავთარ რაზიკაშვილის ასული იყო. ეს ქავთარი ვაჟა ფშაველას მამას, პავლე რაზიკაშვილს, მკვიდრ ბიძაშვილად ერგებოდა. ერთი ძმისშვილი ქავთარი იყო, მეორე ძმის შვილი — პავლე.

მამაჩემი, ონისიმე, ვაჟირელი იყო. ადრე დაობლებულა. დედამისი მშობიარობას გადაჰყოლია. ორი უფროსი ძმა ჰყავდა თურმე. შვიდი წლისას მამაც (სახელად გლახა) გარდაცვლია, ის მღვდლად ყოფილა ხევსურეთში... იქვე მომკვდარა და შატილში დაუმარხავთ.

ობოლი ბიჭი მეცხვარეებს მიჰკედლებია; როცა ისინი მთისკენ ლაძრულან, თან გაჰყოლია მწყემსად.

თიანეთში მოჯამაგირედ უმსახურია. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩარგალში ასულა, იქ ვაჟა ფშაველას მამას, პავლე მღვდელს დასდგომია მოჯამაგირედ.

ჩვიდმეტი წლის რომ გამხდარა, პავლეს მისთვის წერა-კითხვა უსწავლებია. შემდეგ წელს თბილისს გამოუგზავნია, დარიას მონასტერში დიაკვნად რომ მომზადებულიყო.

ამის შემდეგ მამაჩემი დიაკვნად იყო პავლე მღვდელთან. ამ დროსვე შეჰყვარებია და შე-

ბიბლიოთეკა

ურთავს დედაჩემი, — ის მეზობლად ცხოვრობდა, ვაჟას სახლის უკან.

ჩქარა ონისიმე მთავარი დიაკვანი გამხდარა. შვილები შესძენია, მე მეექვსე შვილი ვიყავი. პავლე მღვდლის შემდეგ ჩარგალში მამაჩემი მღვდლობდა.

შვიდ წლამდე ჩარგალში ვიზრდებოდი მყავდა ერთი მეგობარი, ჩემი ტოლი, ზიომშვილი, მამაჩემის დიაკვნის შვილი.

კამეჩებგაბმული ურემი პირველად ამ ასაკში ვნახე, თიანეთში, რადგან ფშავში ურემი არ იციან, სულ ცხენით დადიან.

ვაჟა-ფშაველა კარგად მახსოვს ბავშვობიდანვე. ვიგონებ რამდენიმე ეპიზოდს, მის ხსოვნასთან დაკავშირებულს.

ვაჟას სახლის პირდაპირ, წყალგაღმა ერთი ბეჩავი კაცი ცხოვრობდა, ბატარა ერქვა. ყველა მას იჯაბნიდა.

ერთხელ მისულიყო მეზობელი, გოგოთური, ხელი ეტაცნა მისთვის, სცემდა. ბატარა ცწარედ ჰყვიროდა.

ვაჟა გამოვარდა სახლიდან, შეხედა ამ ამბავს. ხელად ხევში ჩაირბინა, გაღმა გავიდა. მივარდა გოგოთურს და ელვის სისწრაფით ხანჯალი ამოართვა ქარქაშიდან. იმ წუთშივე გაუქნია და ბრტყლად სახეში გაარტყა ხანჯალი. მერე წასწვდა იმ გოგოთურს და უწყალოდ სცემა. ვაჟა მეტად ჯანიანი და ღონიერი ვაჟკაცი იყო.

გოგოთურიც ისე აყვირა, როგორც ის ბატარას აჭყვირებდა.

ვაჟამ მისი ხანჯალი ქვაზე ურტყა, სანამ სულ არ დალეწა.

1913 წელს ვაქირში ვიყავი. 17 წლის ჭაბუკი ვიქნებოდი. მაისი იდგა. ერთხელ განთიადისას ვიღაცამ ეზოში ცხენი შემოაყენა.

აივანზე ვიწექ, წნელში გავიხედე. იმ დროს სოფლებში ჩადრები დადიოდნენ, სავქვო პირებს იჭერდნენ, პროკლამაციებს ეძებდნენ. ვიფიქრე, ნამდვილად სტრაჟნიკია, ჩემი სიძის დასაჭერად მოვიდა-თქო. ჩქარა ვიცანი — ვაჟა იყო.

გავეგებენით ეზოში, დედაჩემი, მე — საცვლეზამარა ვიყავი. ცხენის ჩამოსართმევად გავწიე, მაგრამ ვაჟამ არ მომცა სადავე.

— გადი, შენ მძინარავ, შენა, ჯერ ტანისამოსი ჩაიცვი და პირი დაიბანე. ვის უნახავს ამდენხანს ძილიო, — ცხენი დედაჩემს მისცა, სთხოვა უნაგირს ნუ მოხდით, მხოლოდ გარსაკრავი მოუფონეთ, შირაქში მივდივარო.

ვაჟა სახლში შემობრძანდა. ძალიან გაგვეხარდა. ის ცოტა შეწუხებული იყო. თქვა: მხარზე ტყავის ჩანთა მქონდა გადაკიდებული, გზაში ჩამომწყვეტია, დამიკარგავსო, შიგ ახალი პოემა მქონდა კახეთზე დაწერილი, იმის დაკარგვის ჯავრი მაწუხებსო

ვაჟამ საგაზეთო განცხადება დასწერა. იმ დროს სიღნაღში გაზეთი გამოდიოდა — „ხმა კახეთისა“; მთხოვა ეს რედაქციას გადაეცით, პოემის დაკარგვის შესახებ ვაცხადებ, იქნებ ვინმემ იპოვოს, დამიბრუნოსო.

ეს განცხადება თითქმის მთელი თვე იბეჭდებოდა გაზეთში, მაგრამ პოემა აღარ გამოჩნდა, დაიკარგა სამუდამოდ

იმ დღეს ვაჟა საღამომდე დარჩა. დიდი სუფრა გაიშალა, თითქმის ოცდაათ კაცამდე ვისხედით .იყვნენ ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები, მასწავლებლები და სხვები. კარგად მოილხინეს, იყო სიმღერა. მოსაღამოვდა, მაგრამ ისევ სუფრაზე ვისხედით კიდევ. ამასობაში ამინდი შეიცვალა, ცა შავი, საწვიმარი ღრუბლებით დაიფარა.

ვაჟამ აივნიდან თავისი ცხენი დაინახა ეზოში, უბელოდ იყო, სძოვდა. მაშინვე დედაჩემს უთხრა: მოქრისა, ცხენს უნაგირი შემიდგით, მე ჩქარა უნდა წავიდე, შირაქს მიმეჩქარებაო.

არავითარმა ხვეწნამ აღარ გასჭრა. ჯიუტი იყო. უკვე ბნელდებოდა, წვიმას იწყებდა. ის მაინც შეჯდა ცხენზე და წავიდა.

ვაჟა იმ ხანებში ფშაველების გადასახლების საქმეს თაოსნობდა, ხშირად დაიარებოდა ჩარგლიდან შირაქში. მდიდარი თუშები ეწინააღმდეგებოდნენ ფშაველების შირაქში ჩასვლას, რადგან საძოვრები უმცირდებოდათ. თუშების რწმუნებული ამ დროს ვიღაც პრისტავი იყო. ვაჟასა და იმ პრისტავს შორის ამ დროს ბევრჯერ მომხდარა შეტაკება.

გამიგონია ვაჟას ნათქვამი: ერთხელ, — ახალგაზრდა ვიყავი, — ჩემს მეზობელს მოხუცს, მანჯიკა ვთხოვეო (მანჯიკა — საზაფხულო მარხილი, თივისა და სხვა ტვირთის საზიდლად).

მოხუცი კარის დირეზე იჯდა, ხელში ყავარჯენი ეჭირა. მოდიო, მითხრა, წაიღე მანჯიკაო. შეტრიალდა, მეც შევყევი. მოხუცი უცებ მობრუნდა, მომიქნია ყავარჯენი და ერთი-ორჯერ კარგა ლაზათიანად მითავაზა.

— აი შე ზარმაცო, შენა. ორ ნაბიჯზე ტყეა, შედი და მანჯიკას მეტს რას გააკეთებო.

ასე მასწავლა ჭკუა მოხუცმაო, — სიცილით ამბობდა ვაჟა.

ვაჟას ძმა, ბაჩანა, ვეჯინში იყო სახალხო მასწავლებლად. ტანდაბალი იყო, მაგრამ ჩაფსკვნილი, ჯანიანი. ამასთან უშიშარი და შეუპოვარი ვაჟკაცი.

შემოდგომობით უყვარდა დათვზე ნადირობა. მარცხენა მკლავზე კამეჩის ტყავის სამხარულს წამოიცვამდა, წავიდოდა მთაში.

გამიგონია, ბევრჯერ მოუკლავს მარტოკას დათვი, ის გამოცდილი მონადირე იყო. ხერხი იცოდა. როცა ჰინწველნაჭამი, გაავებული დათვი კაცივით აიმართებოდა და ტორებს დასცემდა, ბაჩანა ტყავიან მხარს შეაგებებდა, მარჯვენა ხელით კი წამსვე ხანჯალს გაუყრიდა გულში.

დათვი უსულოდ ეცემოდა მიწაზე.

საუბარი ლიტფონდში. 18. IX. 45.

* * *

**ილია ჭავჭავაძე და გრ. ტატიშვილი.**

**ი. ტატიშვილი:**

— მამაჩემი, ცნობილი ქართველი ქსილოგრაფი გრიგოლ ტატიშვილი ბათომში მუშაობდა, რკინიგზის ვაგონების სამღებრო სახელოსნოში, როცა თბილისიდან გამოიწვიეს და მიანდვეს „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ძვირფასი გამოცემისათვის ჩუქურთმიანი თავკიდურებისა და ბოლოკიდურების გაკეთება.

ამ გამოცემის საქმეს ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე. მისივე წინადადებით გრ. ტატიშვილს „ვეფხისტყაოსანზე“ სამუშაოდ მისცეს საუკეთესო ხუთოთახიანი ბინა ყოფილ განის (ეხლა აკაკი წერეთლის) ქუჩაზე, ზედ ქუჩის დასაწყისში, მარცხნივ, სადაც ეხლა თელასის სამმართველოა.

ილიას „ივერიის“ წარწერა, როგორც ჟურნალზე, ისე გაზეთზე, მამაჩემის გაკეთებული იყო.

ილია ჭავჭავაძესთან დაკავშირებით ჩემი ბავშვობიდან მახსოვს ერთი ამბავი:

თბილისში, ძველთაგან, ყეინობა იცოდნენ. მეფის ადმინისტრაციამ აკრძალა ეს ხალხური გასართობი, მაგრამ ქალაქის სხვადასხვა უბნებში მაინც აწყობდნენ ყეინობას.

90-იან წლებში, როცა პატარა ვიყავ (დაბადებული ვარ 1886 წ.), ერთხელ ჩვენ ქუჩაზედაც ვნახე ვირზე შემჯდარი „ყეინი“, წინ „ვეზირები“ მოუძღოდნენ, უკან ხალხი მოსდევდა.

მამაჩემი სეირის საცქერლად ქუჩაში გავიდა, მას თან ახლდა მისი სიძე (დის ქმარი) დიომიდე კილაძე. მეც გავყევი მამაჩემს.

როცა ახლანდელ კიროვის ქუჩის თავთან მივედით, დავინახეთ, რომ ზევიდან მოდის ფეხით ილია ჭავჭავაძე.

მამაჩემი რომ დაინახა, შეჩერდა. საუბარი დაიწყეს, მე რასაკვირველია, მათი საუბრის არაფერი მესმოდა.

ამ დროს მათ ყეინის „ვეზირები“ მოადგნენ. ილიას მიმართეს — ყეინმა ამდენი და ამდენი გადასახადი შეგაწერათ. ეს „ვეზირები“, ჩვეულებრივ, წინ შეხვედრილ მოქალაქეებს აჩერებდნენ და, ვისაც რამდენი სურდა, ფულს ართმევდნენ. ამ შეგროვილი ფულით კარნავალის გათავების შემდეგ მისი მონაწილენი ორთაჭალაში ან სხვაგან სადმე ბაღში მიდიოდნენ საქეიფოდ.

* * *

**ი. ტატიშვილი:**

— მამაჩემი დაბალი ტანისა იყო. მას ზედმეტ სახელად „მოკლე გიგოს“ ეძახდნენ.

ძალიან უყვარდა იტალიურ ოპერაში სიარული, რომელიც ქარვასლაში იყო მოთავსებული. ის ნელნელა დაუახლოვდა იტალიელებს, საკრავზე დახელოვნებულად უკრავდა, შეისწავლა დეკორატიული მხატვრობა და პიროტექნიკოსობა.

სულ იტალიელებთან ტრიალებდა. მათ დაარქვეს გრიგოლს „ფიგარო“, ამ სახელს მერე სხვებიც ეძახდნენ მამას.

ცხრაასხუთიან წლებში ფედერალისტებმა მოაწყვეს დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაცია. ამ საქმის ერთი მთავარი ორგანიზატორთაგანი იყო იოსებ გედევანიშვილი (დრამატურგი).

ამაზე ადრე, მამაჩემთან მოაგზავნეს საშა ციმაკურიძე (მასწავლებელი, ქვიშხეთელი), სთხოვეს სახელმწიფო ბეჭედი გაეკეთებინა. 2000 მანეთი აძლიეს, მამამ უარი უთხრა. მაშინ ვიღაც ებრაელ ხელოსანს მიმართეს, იმან გაუკეთათ.

თბილისიდან შტაბის ყალბი მიწერილობა გააკეთეს, ყალბი ბეჭედი დააკრეს, დუშეთს ავიდნენ. ხაზინის საყარაულო რაზმი გამოსცვალეს, თვისი გადაცმული ხალხი ჩააყენეს ყარაულად.

წაიღეს 360 ათასი მანეთი. ერთი ჩვენი უბნელი ბიჭი მონაწილეობდა ამ საქმეში, მახსოვს, ერთხელ მითხრა: დუშეთიდან ერთი ტომარა ვერცხლის ფული ვათრიე თბილისამდე, ზურგი ახლაც მტკივაო. ეტყობოდა, მონაწილეებმა ხელი მოითბეს ამ საქმეზე. დიდი ნაწილი ამ ფულისა ფედერალისტების პარტიას გადასცეს.

**18. IX. 45.**

* * *

**სანდრო შანშიაშვილი:**

— მე ტიბაანში ვსწავლობდი, ხირსის მონასტრის სამრევლო სკოლაში.

მასწავლიდა დათა კანდელაკი, სემინარიის მეოთხე კლასიდან გამოგდებული ახალგაზრდა კაცი.

სამი განყოფილება რომ გავათავე, დათამ თვითონ წამიყვანა თბილისში და სასულიერო სასწავლებლის პირველ კლასში მიმაბარა.

ამ ჩემმა პირველმა მასწავლებელმა ორი წლის შემდეგ ტრაგიკულად დაამთავრა ცხოვრება. შეძლებული ოჯახიდან შეირთო ცოლი. დიდ მზითევს ელოდა. როცა ეკლესიაში ჯვარი დაიწერა, მოატყუეს, არაფერი მისცეს. შერჩა ხელში უშნო ქალი.

ახლადჯვარდაწერილები თბილისში გაემგზავრნენ. ერთ ადგილას დათამ ეტლი შეაჩერებინა, ცოლს უთხრა, პატარა საქმე მაქვსო.

გავიდა ბუჩქებში, გულზე რევოლვერი დაიცა. თავი მოიკლა.

ნაწყენმა საკუთარ თავზე იყარა ჯავრი.

**მანქანაში, ხირსის ძველი მონასტრის დანახვაზე.**

**19. ხექტ. 45 წ.**

* * *

**ორბელიანთა სოფელი**

კუმისი — ორბელიანთ სოფელია. სოფლის თავში, კლდეზე, აღმართულია პატარა ეკლესია, კუმისის სამება. ეს ორბელიანთა საგვარეულო სამარხია. აქ არის მშვენიერი მანანას საფლავი, იქვეა დამარხული ყაფლანი — დარდიმანდი და მომღერალი ყაფლანი, ნათესავი და მეგობარი გრიგოლ ორბელიანის და ნიკოლოზ ბარათაშვილისა. ლექსით „ღამე ყაბახზე“ ბარათაშვილმა უკვდავჰყო იგი:

**ყაფლანც, სულდგმული აშიკობით,**
**დაიღიღინებს,**
**გულის საკვდავად და თანდათან ყელს**
**მოიღერებს...“**

სოფლიდან კუმისის ტბამდე ვეებერთელა ველია გაჭიმული.

ამ ველზე იყო ორბელიანთა საყანე და საძოვარი ადგილები. კუმისელი გლეხები დღესაც იტყვიან ხოლმე: „საქონელი გავრეკე მანანას წილში“, ან „ყაფლანის წილში“; ასე ეძახიან სხვადასხვა ადგილებს ამ ველზე. აღარც კი ახსოვთ, რატომ ეწოდება მათ ეს სახელი.

**გიორგი ლეონიძე, გიორგი სუმბათაშვილი (ნ. ბარათაშვილის დისწული) და მეგზად მარაბდისაკენ.**

**28 სექტ. 1945**

* * *

**ძველი მარაბდა**

ძველ სოფელ მარაბდაში პატარა უგუმბათო ეკლესიაა. მის გალავანში მარხიან ცხრა ძმანი ხერხეულიძენი და მათი დედა.

ახლა მიწის ზედაპირზე მხოლოდ სამი ძმის საფლავის ქვაღა მოსჩანს. დანარჩენს უკვე მიწა აქვს წაფარებული. უპატრონოდ და უყურადღებოდ არის დაკარგული ეს გმირთა სავანე (ჩვენდა სამარცხვინოდ). საფლავის ქვებზე ჩოხიანი, იარაღასხმული ვაჟკაცებია ბარიელეფებად ამოკვეთილი. ერთ მათგანს მხრებთან ორი სურა და ყანწი აქვს გამოხატული, მეორეს — სურა და ჩანგური. ეტყობა, ამას სიმღერა და დაკვრა უყვარდა, — ამბობს გოგლა ლეონიძე.

ძველი მარაბდის ახლო ახალშენი სოფელია, ახალი მარაბდა ეწოდება. აქ გერმანელები სახლებულან. ახალი მარაბდის გვერდით, როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარე სილვა მათიაშვილმა მითხრა, — სამი ბორცვია. იმ ადგილს სოფლელები „ნაომარს“ ეძახიან, სილვამ არ იცის, არც არავინ სოფელში არ იცის, თუ რატომ ეძახიან ამ ბორცვებს ნაომარს.

ჩვენ ვიცით რას ნიშნავს. ეს. გოგლა ამბობს, რომ ეს არის კურგანები, — საძმო საფლავებია, სადაც მარხია მარაბდის ომში დახოცილი 9 ათასი გმირი ქართველი ვაჟკაცი (1624 წ. ივნისი).

მარაბდას დასავლეთ ალგეთი ჩაუდის, იქ არის სოფელი ქოთიში. მდინარის შეყოლებით ჩვენ ვხედავთ საუცხოო ბაღებს, ბოსტნებს, ეს მწვანე ქალა საოცარ კონტრასტში იმყოფება გარემო გადახრუკულ ყვითელ მიდამოებთან. ამბობენ, რომ ეს გარემოც, ისე, როგორც მარაბდა, ბარათაშვილებს ეკუთვნოდა, მათი საგვარეულო მამული იყო.

მარაბდაში ახლა ნანგრევებია დარჩენილი ზაალ ბარათაშვილის სასახლისა. ეს ის მებატონეა, არსენა ოძელაშვილმა რომ ქალი მოსტაცა.

აქვეა სახლი, სადაც თვით არსენა ცხოვრობდა. სახლის წინ წყარო ამოდის. გოგლა ამბობს, არსენას სული თითქოს წყაროდ ქცეულა. დღესაც ემსახურება ხალხს.

მარაბდა.

28 სექტ. 45.

* * *

**ნ. ბარათაშვილი და არსენა**

ნ. ბარათაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ მიტინგზე, მარაბდაში, სიტყვები წარმოვთქვით.

გოგლამ გლეხებისადმი მიმართულ სიტყვაში, სხვათაშორის, თქვა:

„— მართალია, ნიკოლოზ ბარათაშვილი თავადი იყო, მაგრამ მას ეზიზღებოდა ბოროტი ზაალ ბარათაშვილი და მეგობრობდა არსენა ოძელაშვილს!“

მიტინგის შემდეგ ჩუმად ვკითხე, საიდან ჰქონდა მას ასეთი ცნობები.

გაეცინა: „მაშ რა მეთქვა, თუ იცნობდა მათ, ალბათ ასე იქნებოდაო“.

მარაბდის შთაბეჭდილებებიდან.

29 სექტ. 45.

* * *

**მარაბდიდან წამოსვლა**

მარაბდიდან რომ წამოვედით, კოდამდე მანქანით წამოვიყვანეთ იქაური კოლმეურნეობის და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეები. ერთი მათგანი სქელი კაცი იყო, ცოტა დალეული, რაღაცას გვიამბობდა გრძლად. წარა-მარა ურევდა სიტყვას „კანკრაზათ“, ბოლოს გოგლას გული მოუვიდა, შეუტია.

— რა არის „კანკრაზათ, კანკრაზათ“ რომ გაიძახი სულა? ქართველი კაცი ხარ, ქართული ლაპარაკი არ იცი, ემსაათში გადადი მანქანიდან!

ის შეკრთა, საქციელი წაუხდა. გაჩუმდა.

ასე ვიარეთ ჩუმად კოდამდე.

ღამე იყო თბილი, ვარსკვლავიანი. წითელი ნამგალი ეკიდა ცაზე, იალღუჯის მხარეს. საბჭოს თავმჯდომარე მიმავიწყდა. და მქონდა საოცრად მძაფრი განცდა ისტორიის. იქნებ ასეთი იყო ის საშინელი ღამეც, მარაბდის ბრძო-

ლის შემდეგ, დამცხრალი მთვარე დაჰყურებდა ამ ველზე დახოცილ ცხრა ათას ქართველ მებრძოლს?!

მარაბდის მოგონება.
2 სექტ. 45 წ.

* * *

გიგო ხეჩუაშვილი:

— ახალგაზრდობაში ჯაბადართან ვმუშაობდი ასოთამწყობად. თვეში 45 მანეთი მქონდა ხელფასი. მომჭირნეობით, რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ, პატარა სახლი, ავიშენე საბურთალოში.

იაფობა იყო, ფული ფულობდა.

ერთხელ ჩაის ფინჯნები ვიყიდე, თითოში შვიდი შაური მივეცი. ცოლს მოეწონა, უფრთხილდებოდა. მიუხედავად ამისა, ერთი ცალი მაინც გაუტყდა. ეწყინა.

მე ჩუმად წავედი, ისეთივე ფინჯანი ვიყიდე, გატეხილის ნაცვლად შევდგი თავის ადგილას.

ცოტა ხნის შემდეგ განჯინაში შეიხედა, ნახა, გატეხილი ფინჯანი აღარ არის, სათვალავი კი სწორია. საოცრად განცვიფრდა, მე გავიტვრინე, არ გავუმხილე. ვერ გაეგო, რაში იყო საქმე.

გულში მეცინებოდა. ახალგაზრდა ვიყავი, ვხარობდი ცხოვრებით.

გერონტი ქიქოძემ მიამბო.
9. X. 45.

* * *

ლეო ქიაჩელი:

— 1905-ში ერთი ხელმძღვანელთაგანი ვიყავი ე. წ. „ზუგდიდის რესპუბლიკისა". 600 კაცისაგან შემდგარი წითელი რაზმი მყავდა. მე ავყარე იარაღი პოლიციას, ადგილობრივ ადმინისტრაციას.

ჩვენი ხელისუფლება ოთხ თვეს გაგრძელდა. შემდეგ ცეცხლითა და მახვილით მოვიდა ალიხანოვ-ავარსკი.

მთებში გავიქეცით. დიდხანს ვიმალებოდი. სოფლებში რომ არ შეიძლებოდა შესვლა, ტყე-ტყე დავდიოდი ცხენით. ძალიან გამიჭირდა.

თანდათანობით გავთამამდი. ხშირად ჩამოვდიოდი ხოლმე ზუგდიდში, ერთხელ ღამეც კი გავათიე ჩემს სახლში. მაგრამ მეზობელმა გამცა, პოლიციაში მსახურობდა. მომასწრეს. დამაპატიმრეს.

ვიჯექი წელიწადსა და რვა თვეს. კატორღა მელოდა.

და აი, 1907 წლის შემოდგომაზე ქუთაისის საგუბერნიო ციხეში გვირაბი შემოიყვანეს გარედან.

ციხის პირდაპირ სახლი იდგა. მისი სარდაფიდან დაიწყეს გვირაბის ჭრა, ქუჩის ქვეშ გამოატარეს, ციხის გალავნის საძირკველი გამოჭრეს, ერთ-ერთ საკანის იატაკს მოადგნენ.

დანიშნულ დღეს ამ გვირაბით გამოვედით ორმოცზე მეტი კაცი.

გამოსულთა შორის იყვნენ: [illegible] ჩუბინიძე (ბოლშევიკი, მოჰკლეს 1918 წ. დუშეთის აჯანყების დროს, რომლის ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო), დავით სულიაშვილი, ჭიჭიკო ასათიანი და მრავალი სხვა.

მე და ჭიჭიკოს მოცემული გვქონდა მისამართი ქალაქში, იქ უნდა მივსულიყავით ბინაზე.

გვირაბში გამოვძვერით, მერე სარდაფიდან ზედა სართულზე ავედით და საპარადო შესასვლელით გარეთ გამოვედით. ასე სათითაოდ გამოვიდა ქუჩაში 47 კაცი.

საკუთარი ტანსაცმელი გვეცვა, არავის ყურადღება არ მიუქცევია.

იყო დღის 4 საათი.

ჭიჭიკომ მითხრა, ამ მისამართით ნუ წავალთ, უმჯობესია წყალწითელის ხიდზე წავიდეთ, იქ ნათესავი მყავს, მას შევაფაროთ თავიო.

დავუჯერე. მივუახლოვდით თუ არა, ვნახეთ მთელი ის რაიონი შეკრულია პოლიციელებითა და კაზაკებით.

პატიმართა გაქცევა გაუგიათ, თუ არა, ადმინისტრაციას ქალაქიდან გასავალი გზები სასწრაფოდ შეუკრავს.

ჩვენ წყალწითელას ხიდზე გავედით და თავი მივეცით მდინარის მახლობელ ტყეს. წყლისპირას ჩირგვებში ჩავწექით და მივუყუჩდით.

ის ღამე და მთელი მეორე დღე კაზაკები შესეულნი იყვნენ იმ ტყეს. მოიყვანეს მეძებარი ძაღლები, ჩირგვი არ დაუტოვებიათ გაუსინჯავი.

საკვირველია, როგორ გადავრჩით. ჩვენ ალბათ იმან გვიშველა, რომ ტყის სიღრმეს კი არ მივეტანეთ, ნაპირას ბუჩქებში ვიყავით მიმალულნი, ეჭვი ვერ აიღეს, რომ ისე გარეთ ვიქნებოდით.

განთიადზე ავდექით. ჭიჭიკომ თქვა, ახლა უმჯობესია გოლოგანში წავიდეთ, იქ კანდელაკი ცხოვრობს, ჩვენთან რომ იჯდა ციხეში და ამას წინათ გაანთავისუფლესო.

წავედით, შემოდგომის საამო დილა იყო. გზაში ხშირად გვხვდებოდნენ გლეხები — მოსავლის აღების დრო იყო.

ჩვენ თავი გავასაღეთ ექსკურსანტებად, ვითომ თბილისიდან ჩამოვედით გელათის ტაძრის დასათვალიერებლად.

კითხვა-კითხვით მივადექით კანდელაკს. იმან რომ შეგვხედა, ფერი ეცვალა. გაეგო ქუთაისის ციხიდან გაქცევის ამბავი, სოფელშიაც მისულიყო ბრძანება გზების შეკვრის შესახებ, გაქცეულთა დასაჭერად.

მაგრამ კანდელაკმა მასპინძლის ადათს მაინც არ უღალატა. ხელად დაამზადებინა სადილი. კარგად დაგვაპურა, შემდეგ ჩუმად ვენახის ბოლოზე ჩაგვიყვანა, იქ თხრილში ჭილოფები ჩაგვიგო და დაგვმალა.

**ასე ვიყავით იმ ღამეს და მეორე დღეს.** როცა დაღამდა, კანდელაკმა მეგზურად ერთი საუცხოო მოხუცი მოგვცა, ონისე ერქვა სახელად, არასოდეს დამავიწყდება ეს შესანიშნავი ბერიკაცი, და გაგვისტუმრა ოკრიბისაკენ.

ონისემ ტყე-ტყე გვატარა. მთელი ღამე ვიარეთ. დილას გელათის მახლობლად წყალწითელაზე ხიდს მივუახლოვდით. აქ ერთი ნაცნობი შეგვხვდა, გვარად ლალიძე. შევამჩნიეთ, რომ ხიდზე ყარაულები იდგნენ, ლალიძემ დაასახელა ვინ იყვნენ ხიდის დარაჯები.

ერთი მათგანი ჰიჰიკოს ნათესავი კაცი აღმოჩნდა. გადაწყდა ლალიძისა და ონისეს გაგზავნა იმ ნათესავთან მოსალაპარაკებლად, რომ გავეშვით.

ჩვენ ტყეში ვიყავით მიფარებულნი... მოცილეები წავიდნენ, რამდენიმე ხნის შემდეგ ონისე აჩქარებული დაბრუნდა, გვითხრა, იმ თქვენმა ნათესავმა ლალიძე დაიჭირა, მე კი მოვკურცხლეო.

ისევ ტყეს მივეცით თავი. დილ..ნს ვიარეთ. როცა სამშვიდობოს გავედით, ონისემ გვითხრა, ახლა თქვენ აქ დარჩით, მე გოდოგანში დავბრუნდები, კანდელაკთან მივალ, ვკითხავ, როგორ მოვიქცეთო.

წავიდა. იმ დღეს აღარ დაბრუნებულა ონისე. მეორე დღეც დაღამდა, არსად ჩანდა ჩვენი მეგზური, საგზალი შემოგველია, საშინლად გვშიოდა.

ტყეში ჰაჰანება არ იყო. ჩვენ ბუჩქებში ვიწექით. დილით ბიჭმა და გოგომ გაიარეს ჩვენს ახლო. არ დავუნახივართ. 13 და 12 წლისანი იქნებოდნენ. ბიჭი რაღაც უწმაწურს ეუბნებოდა გოგოს, ყველაფერს თავისი სახელით ეუბნებოდა.. სრულიად დამშვიდებულად, უსირცხვილოდ. გოგოც ასევე წყნარად უსმენდა. გავოცდი, არ მეგონა, თუ სოფელში, ასე პატარებისაგან გავიგონებდი მსგავსს რასმე.

მაგრამ მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ, თუ ასეთ უღრან ტყეში მათ ლაპარაკს ვინმე უსმენდა.

ღამე საოცარი ჟრიამული შექმეს ტყის ფრინველებმა. ირეოდნენ, ხმაურობდნენ, ვერ ისვენებდნენ, რა მოეჩვენათ, რატომ იყვნენ ასე შეშფოთებულნი? მერე ამიხსნეს, ალბათ გრძნობდნენ უცხო არსებათა ყოფნას თავის მახლობლად და ეს აშფოთებდათო.

განთიადისას მოვიდა ონისე .საჭმელი მოიტანა. გვითხრა, ისევ კანდელაკთან უნდა დავბრუნდეთო.

საშინელ ლერო-ჩოლროში ვიარეთ. დაბნელებულში ისევ მივადექით ჩვენს მასპინძელს. მან ისევ ვენახში დაგვმალა, მხოლოდ სხვა ადგილას.

დილით კანდელაკმა ონისე ქუთაისში გაგზავნა ვისთანაც საჭირო იყო, ვაცნობეთ ჩვენი ამბავი.

ჩქარა ქუთაისიდან მოვიდა ტერორისტი ქვანია, კბილებამდე შეიარაღებული იყო. მოგვიტანა ჩოხები. ჩვენ გადავიცვით, ტერორისტის თანხლებით გავუდექით გზას ისევ ქუთაისისაკენ.

ქალაქი სავსე იყო პოლიციელებითა და კაზაკებით. ..ვირს როგორ გადავურჩით. ერთხელ იმ ტერორისტმა ეტლში ჩაგვსვა, ისე მივდიოდით ქუთაისის ქუჩებში.

დანიშნულ ბინაზე მივედით. აღმოჩნდა, რომ იმ უბანში მაგარი ჩხრეკა იყო გაჩაღებული. ჩხრეკდნენ ყოველ ბინას. ქვანიამ მე წამიყვანა ბულვარში, იქ ვილაცები გამაცნო. ორ საათს ვისეირნეთ ბულვარში, როგორც უსაქმურმა თავადებმა.

ტერორისტმა მერე ისევ წამიყვანა. მივედით პოლიციის სამმართველოს გვერდით სახლში. იქ იყო ჩემთვის დანიშნული სადგომი.

ერთხანს იქ ვცხოვრობდი. შემდეგ გადამიყვანეს კოკოჩაშვილის აფთიაქის სარდაფში, რიონის პირას. საშინელი ნესტიანი სარდაფი იყო. სარკმელი მდინარეს გადაჰყურებდა. გაღმა არქიელის გორა მოსჩანდა. ერთხელ შევხედე, გაღმა მთის ფერდობი და ქუჩა კაზაკებით გაივსო. ვიღაც კაცი მოჰყავდათ ზევიდან დაჭერილი. დავაკვირდი — სტეპანოვი იყო, ჩვენთან ერთად რომ გაიქცა გვირაბით.

ძალიან შემეცოდა — ჩავარდნიათ ხელში მხეცებს.

ასე ვცხოვრობდი ერთხანს იმ სარდაფში.

ერთ საღამოს მოვიდა ის ჩემთან მოჩენილი ტერორისტი, წამიყვანა სადგურში, მატარებელში ჩამსვა, თან წამომყვა. მეორე დღეს ფოთში ამოვყავით თავი...

**13 ოქტ. 1945 წ.**

☐ გაგრძელება იქნება ☐

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როცა შედეგებს ვაჯამებთ

. საზოგადოებისა და პიროვნების ცხოვრებაში ადრე თუ გვიან გარდუვალად დგება ჟამი, როცა აუცილებელი ხდება განვლილი გზისათვის თვალის გადავლება, შედეგების შეჯამება და დასკვნების გამოტანა მიღებული გამოცდილებისა და ახალი ვითარების შუქზე. ასეთ „შედეგთა შეჯამებას“ ისახავს მიზნად გიორგი ციციშვილი თავის რომანში „სძლიე სიხარბესა შენსა“, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში უახლოესი წარსულის ნეგატიურ მოვლენათა მხილებას ეძღვნება. რომანის ეს ჟანრი გულისხმობს განვლილი გზის მნიშვნელოვან, საკვანძო ეპიზოდთა და მონაკვეთთა რეტროსპექტიულ მიმოხილვას, რაც მთავარ გმირს უკავშირდება, და იმ „გათვლის წერტილს“, იმ ქრონოლოგიურ მიჯნას, რომელიც წარსულსა და აწმყოს შორის ზღვრის დამდები ძალაა. გიორგი ციციშვილის რომანში ყველა ეპიზოდი არსებითად მთავარი გმირის — გოდერძი ზენკლიშვილის ირგვლივაა განლაგებული, ხოლო წარსულის ანალიზისაკენ მაბიძგებელ ფაქტორად ის დღე გვევლინება, როცა გოდერძი შეიტყობს: „პირველი მდივანი გამოუცვლიათ... მთელი საქართველოსი!“ გოდერძისათვის ამიერიდან ირღვევა „დროთა კავშირი“, იწყება წარსულისა და აწმყოს შეფარდება, შეფასება და გადაფასება. ამით არის განპირობებული რომანში დროთა მონაცვლეობა — აწმყოდან წარსულში მოგზაურობა და კვლავ აწმყოში დაბრუნება: „სიზმარივით გაქრა დღევანდელი დღე, ხოლო გუშინდელი ისე ცხადად დაუდგა თვალწინ, რომ გოდერძის ველარ გაეგო — რომელი მათგანი იყო ცხადი და რომელი — ზმანებით მონაბერი“

არც ისე შორეული წარსულის, „გუშინდელი დღის წიაღთა გადასინჯვა“ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ სიმპტომთა და განმსაზღვრელ მიზეზთა კვლევის მხატვრული საშუალებაა. გოდერძის ცხოვრების გზა — გამრჯე, ნიჭიერი და შრომისმოყვარე ადამიანის კომბინატორად გარდაქმნა ჩვენი სოციალური ყოფის ანალიზს ემსახურება. რომანის კითხვისას თანდათან სულ უფრო ვრწმუნდებით, რომ მთავარი გმირის ცხოვრების გზა და საბოლოოდ დაღუპვა არა მხოლოდ პირადმა ხასიათმა, არამედ უპირველესად შექმნილმა ვითარებამ განაპირობა. ამ ორი ასპექტის — საზოგადოებრივისა და პიროვნულის — ნათელყოფა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამ ნაწარმოების ზნეობრივ პათოსს. იურიდიულად გოდერძი დამნაშავეა, ხოლო მორალურად იგი მსხვერპლია, ვინაიდან „ჭინკა შეუძვრა გოდერძის, დაიმორჩილა, თავისაკენ მიიდრიკა!.. ერთხანს თითქოს უძალიანდებოდა, მაგრამ მერე თანდათან დაჰყვა მის ღონიერ ალვირს“. მორალური თვალსაზრისით ეს „ჭინკა“ სიხარბეა, რომელსაც ვერ სძლია გოდერძიმ. საზოგადოებრივი, სოციალური თვალსაზრისით ეს „ჭინკა“ ვახტანგ პეტროვიჩია, რაიკომის მდივანი, „რესპუბლიკის მასშტაბით“ ცნობილი კაცი, რომელიც შექმნილ ვითარებას განაპირობებს და განასახიერებს. როცა გოდერძი თავის სულში ჩაიხედავს და თავის გზის გამრუდების მიზეზთ იძიებს, სწორად ამჩნევს: „კაცმა რომ თქვას, სულაც ვახტანგ პეტროვიჩის ბრალია ყოველივე!“ მაგრამ შექმნილი ვითარება, „სიტუაცია“ როდი ანთავისუფლებს პიროვნებას მორალური პასუხისმგებლობისაგან. გოდერძის შეცდომა ისაა, რომ „ჭინკის“ პრინციპებს დაემორჩილა. მექრთამეობის სიტუაციას ვახტანგ პეტროვიჩი ქმნის, ქრთამის აღების ინიციატივა მისგან მომდინარეობს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბაზის მმართველი — გოდერძი განზე კი არ გადგა, არამედ დაემორჩილა ღონიერ ალვირს.

რომანის მთავარი გმირი იღუპება: „იქ, სადაც მორევი მტკვარს უერთდებოდა... სხვადასხვა მიმართულების დინებათა შორის ხაზი საკმაოდ მკვეთრად ჩანდა და, ვაი იმ გაუფრთხილებელს, ვინც ამ საზღვრის გადაცურვას მოინდომებდა“. მორალური თვალსაზრისით გოდერძიმ გადალახა ის „საზღვარი“, რომლის იქით „ჭინკის“ კანონები — სიხარბე და ვაუმაძღრობა მეფობს და სადაც ადამიანს მორალური დაღუპვა ელის. სოციალური თვალსაზრისით გოდერძიმ გადალახა ის „საზღვარი“, რომლის უფლებას არ იძლევა არსებული, ძლიერად ფეხგადგმული საზოგადოებრივი

წყობა. სუბიექტურად თუ ობიექტურად გოდერძი ზუნკლიშვილსა და სხვა „ინიციატივიან ადამიანებს“ კაპიტალისტური ეკონომიკის — კერძო ინიციატივის დანერგვა სურთ ისტორიული ყოფის მოთხოვნათა საპირისპიროდ და საწინააღმდეგოდ. „აი, კაცო, შეხედე, — უმარტავდა ენაწყლიანი ბუღალტერი ისაკა გოდერძის, — რა ძალა ჰქონია კერძო ინიციატივას. ტყუილად კი არ ააყვავა მაგანა მთელი ქვეყანა. კაპიტალიზმი რომ არ ყოფილიყო, სოციალიზმიც ხომ არ იქნებოდა?.. ერიჰა, იმ დალოცვილ სტალინსა კერძო ინიციატივა აგრერიგ ძირში რომ არ ჩაეკლა, ახლა ორჯერ წინ ვიქნებოდით“. გოდერძის სიკვდილი სიმბოლურია: ისტორიული გზის ძალა ულმობელია, ვინც დინების წინააღმდეგ გაიმკლავებს, განწირულია.

ამ რომანის შესახებ დაწერილ წერილში რევაზ მიშველაძე მართებულად მიუთითებს, რომ თანამედროვე კომბინატორები „იმითაც განსხვავდებიან მათი პროფესიული წინაპრებისაგან, რომ ოქროს იატაკქვეშ კი არ მარხავენ, ზოგი მათგანი ქველმოქმედი კაცის როლშიც გამოდის“. გოდერძიმ არა მხოლოდ თავისი კარ-მიდამო გამართა, არამედ დიდძალი ფული სასოფლის სკოლის მშენებლობას მოახმარა. „საქვეყნო საქმისათვის თუ გული არ შეგტკივა, ისე კაცი არა ხარ“, — აცხადებს ხოლმე იგი. „ცოტა საქართველოსაც ხომ უნდა მივხედოთ?“ — კიდევ უფრო მეტი სიცხადით აყალიბებს თავის მრწამსს ისაკა დანდლიშვილი. კაი ყმის, ერისკაცისა და საქვეყნო საქმისათვის თავდადების იდეალი ბუღალტრის „კათედრიდან“ ასეთ სახეს იღებს: „გეგმის ზევით მასალებს ვშოულობთ და საქართველოში ჩამოგვაქვს... ჩვენ ხალხს გასუქების საშუალებას ვაძლევთ და სახელმწიფოსაც სარგებლობას ვაძლევთ, ცხოვრებას ვაჩანჩქარებთ, რომ სულ მდორედ არ დიოდეს და ვაჭრობასაც ვაცხოველებთ, რადგან ვაჭრობის გარეშე ვერც სოციალიზმი დამყარდება და ვერც კომუნიზმი“. აქ აშკარად ქლერს კომერციული ნოტები. ასევე მომხვეჭელობის დაღითაა აღბეჭდილი ინტიმური ურთიერთობანი — მალხაზის და ლიას „მიჯნურობა“.

მამა-შვილის — გოდერძისა და მალხაზის ურთიერთობა, მათ შორის ჯერ ფარული, ხოლო შემდეგ ღია კონფლიქტი ნათელყოფს ტრადიციული ოჯახური ერთობის რღვევას ანგარებისა და მომხვეჭელობის ეთიკის მომძლავრების შედეგად. თუ გოდერძის, ყოფილ მეტივეს, ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს გარკვეული ღირსება და თავმოყვარეობა, მისი შვილი რესპუბლიკაში შექმნილი სიტუაციის ნამდვილი პირმშოა. „ახლა სხვა დროა“, — აცხადებს მალხაზი და ამ ახალი დროის შესაბამისად მოქმედებს. გამიზნული მაამებლობით, ფარისევლობითა და სხვა უღირსი ხერხებით იგი რაიკომის მესამე მდივანი ხდება. შვილის გაიძვერობის შემყურე მამას ასეთი ფიქრები ეუფლება: „უყურე ერთი, ამ მამაძაღლს, რა ორპირობა შესძლებია. ნუთუ ყველა ახლანდელი ახალგაზრდა ასეთია?.. უწინ უფრო პირდაპირი ხალხი იყო“. სიხარბე და ანგარება ხრწნის პიროვნებასაც და საზოგადოებასაც და გზას უკაფავს იმ მანკიერ ეთიკას, რომლის თეორეტიკოსად რომანში მალხაზი გვევლინება. მისი აზრით, თუ მორალი ცვლადი კატეგორიაა, მაშასადამე, სინდისის ცნებაც შედარებითია და ისიც ცვლადი რამ არის...“ მალხაზი ე. წ. სიტუაციური ეთიკის მიხედვით მოქმედებს. როცა რესპუბლიკაში სიტუაცია იცვლება და მალხაზს „უნაგირიდან გადმოგდების“ საშიშროება ემუქრება, თავისი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად მამას ზურგს შეაქცევს, ცალკე დაბინავდება და შექმნილი ვითარების შესაბამისად იქცევა — პატიოსნებას ქადაგებს, „ნეგატიურ მოვლენათა“ მამხილებლად გვევლინება.

, გოდერძი შეცდომათა და ცოდვათაგან მტკვრის ტალღებში განიბანა და კვლავ სიწმინდე მოიპოვა ტრაგიკული სიკვდილის ფასად. ციციშვილის რომანში ნათლად იგრძნობა ის ურთიერთკავშირი, რომელიც არსებობს ადამიანსა და არსებულ ვითარებას შორის. გოდერძი ამ ვითარების ნეგატიური ხასიათის მსხვერპლია. რაც შეეხება მალხაზს, იგი დროთა ქროლვის აბსოლუტური სმენითაა დაჯილდოებული და ამიტომაც ახერხებს თავის გადარჩენას. მართალია ,იგი ჩამოაქვეითეს — ალმასკომის თავმჯდომარედ გადაიყვანეს, მაგრამ ფაქტია, რომ გადარჩა და მოხერხებულად ეგუება ახალ ვითარებას. ასევე გადარჩა „წუწკი პროკურორი“, რომელიც გოდერძის ხელცარიელი არასოდეს გამოუბრუნებია, ხოლო ახლა „მამა აბრამის ბატკნად“ მოაქვს თავი და კანონიერების დამცველად გვევლინება. ეს მნიშვნელოვანი დეტალებია, რომელთაც გარკვეული აზრობრივი მიზანდასახულობა აქვთ მინიჭებული: უახლოესი წარსული და დღევანდელობა გააზრებულია არა როგორც ერთმანეთისაგან გათიშული მეტაფიზიკური ერთეულები, არამედ როგორც წინააღმდეგობებითა და რთული კონფლიქტებით აღსავსე ერთიანი დიალექტიკური პროცესი.

ამ რომანისადმი მიძღვნილ რეცენზიაში რ. მიშველაძე აღნიშნავს, რომ ნაწარმოებში ისტატურად დახატული ადგილების პარალელურად „მშრალი, კორესპონდენტული მსჯელობანიც“ გვხვდება. ასეთი „მშრალი“ ადგილები რომანში მართლაც არის, მაგრამ ისინი არ შეიძლება მივიჩნიოთ „მხატვრულ ხარვეზად“. თავისი ჟანრული ხასიათით, თავისი იდეურმხატვრული მიზანდასახულობით „სძლიე სიხარბესა შენსა“ ისეთი ნაწარმოებია, რომელიც არა თუ ადვილად იტანს, არამედ გულისხმობს კიდეც მსჯელობის, სოციალური საკითხების კომენტირების, დოკუმენტური საწყისის ფართო გამოყენებას. საერთოდ, უნდა გვახსოვდეს, რომ სხვადასხვა ჟანრში მხატვრულობის ხარისხი და ხასიათი, მათი სიმძაფრე არ შეიძლება ერთგვაროვანი იყოს. ყოველ ჟანრს თავისი კანონები აქვს და „მხატვრულობის“, ხელოვნების ხასიათი ამ კანონებს ემორჩილება. საზოგადოების მიერ განვლილი გზის შეჯამება ადეკვატურ ხერხებს მოითხოვს, რომელთა შორის „კორესპონდენტულ“ შტრიხებსაც გარკვეული ფუნქცია აკისრიათ. გიორგი ციციშვილის „სძლიე სიხარბესა შენსა“ იმითაა საყურადღებო, რომ თავისი ზნეობრივი პრობლემატიკით ერთობ აქტუალურია და მჭიდროდ უკავშირდება ჩვენს დღევანდელობასა და მომავლის პერსპექტივებს.

ირაკლი კენჭოშვილი

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# „МНАТОБИ“

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ